საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ილია რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ალ. ბარამიძე

ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

IV

გამომცემლობა „მეცნიერება"

თბილისი — 1964

8 Г
899. 962. 1. 09
ბ — 255

წარკვევების ეოთხე წიგნი სამეცნიერო შრომების კრებულს წარმოადგენს. ამ შრომებში განხილულია და გაშუქებული ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი საკითხები. დიდი ადგილი აქვს წიგნში დათმობილი რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას. რიგი წარკვევი განმაზოგადებელი ხასიათისაა და ზოგად-თეორეტიკულ საკითხებსაც ეხება: (ასეთებია: ქართული კლასიკური პერიოდის ჰუმანისტური ლიტერატურა. ლიტერატურული ურთიერთობანი ძველ საქართველოში. რეალისტური ნაკადის შესახებ XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში). წიგნს ერთვის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული განყოფილება.

ნარკვევების ერთი ნაწილი პირველად ქვეყნდება, ნაწილი კი დაბეჭდილი იყო სხვადასხვა სამეცნიერო ორგანოში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და სტუდენტ-ფილოლოგებისათვის. აგრეთვე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი ი. ლოლაშვილი

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი

(გამოცემის 250 წლისთავის გამო)

1712 წელს თბილისში, ვახტანგ მე-6-ის მიერ დაარსებული სტამბიდან გამოვიდა ვეფხისტყაოსნის პირველი ნაბეჭდი ტექსტი, რომელსაც დართული აქვს ვახტანგის ერცელი „თარგმანი" (თარგმანი ამ შემთხვევაში ნიშნავს განმარტებას, კომენტარიას). ამრიგად, წელს სრულდება ვეფხისტყაოსნის ბეჭდური გამოცემის 250 წლისთავი. ეს გარემოება შემთხვევას გვაძლევს ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ რუსთველის პოემის ამ გამოცემას, რომელიც სრულიად სამართლიანად ატარებს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის სახელწოდებას.

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი აღადგინა და სპეციალური გამოკვლევებით შეამკო აკაკი შანიძემ (შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ. ტფილისს 1937).

პირველნაბეჭდი ვეფხისტყაოსანი ჩვენ დრომდის მოღწეულია მცირე რაოდენობით. ა. შანიძეს აღწერილი და გამოყენებული აქვს 18 ცალი [1]. ამას გარდა ერთი ცალი აღმოჩნდა ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში [2], ერთიც — პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში [3].

---

[1] ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი. აღდგენილი ა. შანიძის მიერ. გვ. 395—403.

[2] ეს ცალი ა. შანიძეს მოუკითხავს ლენინგრადში 1936 წელს. მაგრამ მაშინ „მისი კვალი ვერსად აღმოაჩინესო" (გვ. 402). შემდეგ, 1939 წელს, ეს ცალი უნახავს და გაუსინჯავს ქრ. შარაშიძეს (პირველი სტამბა საქართველოში. თბილისი, 1955. გვ. 143).

[3] ე. თაყაიშვილი. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი. პარიზი. 1933. გვ. 44—45.

მოღწეული ცალები ყველა ნაკლულია (ზოგი მათგანი შევსებულია ხელით), მაგრამ, საბედნიეროდ, ისინი „ერთი მეორის დანაკლისს ავსებენ და კაცს მთელი გამოცემის აღდგენის საშუალებას აძლევენ“ (ა. შანიძე).

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ცალები იმიტომაა უმნიშვნელო რაოდენობით მოღწეული, რომ მე-18 საუკუნეში უცდიათ მთელი გამოცემის მოსპობა. საქმის კარგი მცოდნის ევგენი ბოლხოვიტინოვის მოწმობით, რუსთველის პოემა დაიბეჭდა თბილისში ვახტანგ მეფის დროს. „однакож вскоре истреблена так, что ныне весьма редко можно видеть печатные оной экземпляры“[4].

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ ფიზიკური ბრძოლა გაუჩაღებია ქართველ საეკლესიო-კლერიკალურ საზოგადოებას[5]. საყურადღებოა, რომ მთავარეპისკოპოსმა ტიმოთე გაბაშვილმა ნიშანში ამოიღო ვეფხისტყაოსნის სწორედ ვახტანგისეული გამოცემა. მან გესლიანი სიტყვები უძღვნა საკუთრად ვახტანგის „თარგმანს“. ტიმოთე ამბობს: „ესე (რუსთველი) იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენთა უმეცართა სამღვთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“[6]. ტიმოთე არ მოერიდა ვახტანგს და უმეცარი უწოდა მას. ტიმოთე გაბაშვილის გამოსვლა ცხადჰყოფს, რომ კიდევ უფრო გამძაფრებულა ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის დევნა პოემის ბეჭდურად გამოქვეყნების შემდეგ. ამას მოჰყოლია ვეფხისტყაოსნის ბეჭდური გამოცემის მოსპობის ცდა[7].

მიუხედავად გარკვეული წრეების მხრივ დევნისა, ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანს ბევრი დამცველი და გულწრფელი პატივისმცემელი ჰყავდა. ვახტანგისეული რედაქცია ვეფხისტყაოსნისა დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა და სარგებლობს სპეციალისტ რუსთველოლოგთა შორის. ვეფხისტყაოსნის პირველნაბეჭდი ტექსტის ზეგავლენა აღბეჭდილი აქვს პოემის შემდეგდროინდელი გამო-

---

[4] Историческое изображение Грузии и политическом, церковном и учебном ее состоянии, СПБ, 1802, стр. 87.

[5] ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემისადმი დამოკიდებულება მე-18—19 საუკუნეებში („ლიტერატურული ძიებანი“, I. 1943, გვ. 109—122).

[6] ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ე. მეტრეველის გამოცემა, თბილისი, 1956, გვ. 80, შენ.

[7] ალ. ბარამიძე, ერთი ცნობა ვეფხისტყაოსნის დევნის ისტორიიდან (ნარკვევები, I, 1945, გვ. 401—402).

ცემების დიდ უმრავლესობას. მათ შორის 1937 წლის საიუბილეო გამოცემასაც.

ჩვენ დრომდე მოღწეულია ვახტანგისეულ გამოცემაზე უფრო ძველი ოცდაათიოდე ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა. ხელნაწერებიც მეტნაკლებად დაზიანებულია. როდესაც ერთმანეთს ვუდარებთ ძველი ხელნაწერებით შემონახულ ტექსტს და ვახტანგის გამოცემას, ერთბაშად თვალში გვხვდება დიდი განსხვავება პოემის სტროფული მოცულობის მხრივ. ვახტანგის ტექსტი შედარებით მოკლეა და შეიცავს 1587 სტროფს, ხელნაწერების ტექსტი ვრცელია, 2200 სტროფს აჭარბებს [8]. (1937 წლის საიუბილეო გამოცემაში 1669 სტროფია). ვახტანგისეული გამოცემის მიხედვით პოემა მთავრდება ტარიელის ინდოეთში დაბრუნებითა და გახელმწიფებით. ხელნაწერებით კი ამბავი გრძელდება, მოთხრობილია გმირების შემდგომი თავგადასავალი და სიცოცხლის აღსასრული.

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი სიუჟეტურად წარმოადგენს პოემის მ ო კ ლ ე რ ე დ ა ქ ც ი ა ს, ხელნაწერებით ნაანდერძევი ტექსტი ვ რ ც ე ლ რ ე დ ა ქ ც ი ა ს გ ვ ა ძ ლ ე ვ ს. იმთავითვე დიდ ყურადღებას იქცევდა ეს სხვაობა. გამოსარკვევი იყო, ვახტანგმა კრიტიკულად გამოსცა ტექსტი, ე. ი. ხელოვნურად შეამოკლა ვრცელი რედაქცია, თუ მოკლე რედაქციის შემცველი ხელნაწერი ვარიანტი გამოაქვეყნა. ამაზე აზრთა დიდი სხვადასხვაობა სუფევდა.

სწავლული ბატონიშვილი თეიმურაზი ფიქრობდა, რომ ინტერპოლატორებმა წარყვნეს ვეფხისტყაოსანი თავიანთი ჩანართებითა და დანართებით, რომ „რაც რუსთველს დაუწერია, ვეფხისტყაოსნად ისი კმარა, იმას სხვა დამატებული არა ესაჭიროება რა“ [9]. თეიმურაზი გადაჭრით ამბობს: „სრული ვეფხისტყაოსანი არის რიცხვით ათას ხუთას ოთხმოცდა შვიდი სტიხი (სტროფი), როგორათაც ვახტანგ მეფისა დაბეჭდულს ვეფხისტყაოსანში იხილვება. ისინი არიან ნამდვილ შოთა რუსთველის შეთხზულნი სტიხნი“ [10].

ამ განცხადების მიუხედავად, თეიმურაზ ბატონიშვილი თვლიდა (და ამისათვის იმოწმებდა თავის მასწავლებელს, ცნობილ დავით

---

[8] ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით, თბილისი, 1956.

[9] გაიოზ იმედაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთველოლოგიური ცდანი (ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 189).

[10] იქვე. ოღონდ დედანში წერია „ათას ხუთას ოთხმოცდა ც ხ რ ა სტიხი“. საქმე ისაა, რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის სტროფების სათვალავში დაშვებულია შეცდომები. თუმცა ვახტანგის გამოცემა უჩვენებს 1589 სტროფს, ნამდვილად იქ არის 1587 სტროფი (ა. შ ა ნ ი ძ ე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, გვ. 350).

რექტორ ალექსიშვილს), რომ ვახტანგს ბეჭდური გამოცემიდან შეეთხზევით უნდა გამორჩენოდა ოთხი სტროფი [11]. საგულისხმოა, რომ ამ ოთხი სტროფიდან 1937 წლის საიუბილეო გამოცემაშიც შესულია სამი (სტროფები 152, 553. 586), ხოლო მეოთხე მოიპოვება ვეფხისტყაოსნის მეორე ბეჭდურ გამოცემაში (სტროფი 113).

ვეფხისტყაოსნის მეორე ბეჭდური გამოცემა კი განხორციელდა პეტერბურგში 1841 წელს მარი ბროსეს, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინაშვილის რედაქციით(ჩვეულებრივად ამას ბროსეს გამოცემას უწოდებენ). მეორე გამოცემის ავტორიტეტული რედაქცია ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანს თვლიდა კრიტიკულ გამოცემად. მეორე გამოცემას უძღვის ბროსეს შესავალი წერილი [12]. აქ ნათქვამია, რომ ვახტანგმა „გასინჯა და შეამოწმა ძველთ ხელწერილებსა და შემდგომად დაბეჭდა“ ტექსტი (გვ. XI -XII). 1841 წლის გამოცემის საფუძვლად რედაქციას აუღია ვახტანგისეული გამოცემა. გამოცემისათვის საჭირო სამზადისს რომ შედგომია, რედაქციას შეუმუშავებია სახელმძღვანელო პროგრამა. პროგრამაში იკითხება: „მიზეზნი ესე აღგვძურენ ჩვენ, რათა ახლად აღვბეჭდოთ ვეფხისტყაოსანი, რომლისა საფუძვლად გვექნება მეფის ვახტანგის მიერ დაბეჭდილი“ [13]. მაინც მეორე გამოცემის რედაქციას მექანიკურად არ გაუ-

---

[11] იქვე. გვ. 191—194.

[12] ბროსე საგანგებოდ შენიშნავს: „ამ წიგნის დაბეჭდვაზე და საკუთრად წინასიტყვაობის დაწერაზე უფ. ჩუბინოვმა გულითადი შემწეობა მიჩვენაო“ (გვ. XIV). ალბათ, ეს ასეა. ოღონდ ისიც უნდა ითქვას,რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის პრობლემისა და იდეურ-შინაარსის გაგების თაობაზე ბროსე არსებითად ავითარებს თეიმურაზ ბატონიშვილის შეხედულებებს (ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 51). გ. იმედაშვილის დაკვირვების თანახმად „ბროსეს ყოველი გამოსვლა ვეფხისტყაოსნის ამათუიმ საკითხზე, თეიმურაზის მიერ მასთან მიწერილი ვრცელი წერილების გარდათქმას წარმოადგენს“ (დ-სახელებული ნაშრომი. გვ. 198; იხ. აგრეთვე თეიმურაზ ბატონიშვილი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გ. იმედაშვილის რედაქციით. თბილისი, 1960, გვ. 030). გ. იმედაშვილი სამართლიანად ამბობს: „თეიმურაზი იყო პირველი სპეციალისტი რუსთველოლოგი, რომელმაც (ღირსეულად) შეაფასა ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემა და კრიტიკულად განიხილა ვახტანგის რუსთველოლოგიური მუშაობა“ (თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება, გვ. 023).

[13] ე. მეტრეველი, გ. ავალიშვილი — ბიბლიოფილი და კოლექციონერი (კორნელი კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959, გვ. 249).

მეორებია ვახტანგის ტექსტი. გაუსწორებიათ „ტიპოლრაფიული ცთომილებანი", პოემაში ჩაურთავთ ხელნაწერებიდან ამოკრეფილი 48 სტროფი. „მრავალნი ამ ლექსებისაგანი მშვენიერად თქმულია და ვეფხის-ტყაოსანსაც ეთანხმება, თუმცა სწორეთ არ ვიცით ვისგან არიან დაწერილნი, მაგრამ ღირსნი იყვნენ რომ ჩაგვებეჭდა და იმიტომაც ჩავუმატეთო" (გვ. XIII).

დიდ ანგარიშს უწევდა ვახტანგისეულ ტექსტს თავის საკუთარ გამოცემებში (პეტერბურგი, 1846, 1860) დავით ჩუბინაშვილი[14]. 1888 წელს გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის მდიდრულად გაფორმებული და ზიჩის მიერ დასურათებული ტექსტი ვეფხისტყაოსნისა (გ. ქართველიშვილის გამოცემა). ეს გამოცემა მოამზადა სპეციალურმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები (გრ. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ.). გამომცემლის შენიშვნიდან ჩანს, რომ კომისია შემდგარა იონა მეუნარგიას თაოსნობით, ხოლო „ბეჭდვის დროს ყურის-გდება თავს იდვა თ. ივანე გიორგის ძე მაჩაბელმა, რომელსაც ეკუთვნის ამ წიგნის უკანასკნელი რედაქციაცო". კომისია კრიტიკულად მიუდგა ვახტანგის ტექსტს, ვახტანგისეულ რედაქციასთან შედარებით რამდენადმე კიდევ უფრო შეამცირა სტროფების რიცხვი (ქართველიშვილისეულ გამოცემაში 1576 სტროფია). მოცულობის მხრივ ქართველიშვილისეული გამოცემა 1903 წელს გაიმეორა დავით კარიჭაშვილმა (ვეფხის-ტყაოსანი, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელი ლექსიკონით).

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები ვრცლად აღწერა და განიხილა ექვთიმე თაყაიშვილმა. ხელნაწერების და ვახტანგისეული გამოცემის შეპირისპირებამ ე. თაყაიშვილი დაარწმუნა, რომ ვახტანგს გაუცხრილავს პოემა მე-17 საუკუნის დანართებისაგან და ისე დაუბეჭდავს („Вахтанг сумел очистить Верхне-тквосани от всех наслоений, которые образовались в нем в XVII веке")[15].

ე. თაყაიშვილის „აღწერილობამ" თითქოს უდავოდ ცხადჰყო ვეფხისტყაოსნის პირველნაბეჭდი გამოცემის კრიტიკული ხასიათი. მაგრამ მალე დაიბეჭდა დავით კარიჭაშვილის სპეციალური ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა"[16], სადაც სულ საწინააღმდეგო

---

[14] ისიც აღნიშნავს, რომ: „При издании поэмы Руставеля (Вахтангом VI) рассмотрены и сличены были многие рукописные экземпляры" (ქართული ქრისტომატია, II, 1846, გვ. IV).

[15] Описание рукописей. II. 1908, стр. 581.

[16] ჟურნალი „განათლება", 1913, VI, გვ. 1—13 (ცალკე ამონაბეჭდი).

თვალსაზრისია გატარებული. დ. კარიჭაშვილი უარჰყოფს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის კრიტიკულად დამუშავების თვალსაზრისს და აცხადებს: „არსაიდგანა ჩანს და არც არის წარმოსადგენი, რომ ვახტანგ მეფეს თავის გამოცემაში რამე შესწორება შეეტანოს ან რამე შეეცვალოს — გამოეკლოს ან მიემატებინოს“ (გვ. 3). მკვლევარი შემდეგაც ამბობს: „დაუჯერებელია და უცნაურია ის აზრი, რომ იმას (ე. ი. ვახტანგს. — ა. ბ.) თავის დედნითგან გამოეტოვებინოს თითქოს ერთი მესამედი მთელის თხზულებისა“ (გვ. 4). დ. კარიჭაშვილის დაკვირვებით ვახტანგს ხელთ ჰქონია ხელნაწერი დედანი, რომელსაც „რაღაც სარწმუნოებრივის მოწიწებით მოჰკიდებია და ისიც კი არ შეუსწორებია და არ გამოუტოვებია, რაც მას ავტორის აზრად არ მიაჩნდა“ (გვ. 3). „ვახტანგის დედნისთანა ხელთნაწერები მეჩვიდმეტე საუკუნეში სხვებიც ყოფილაო“, შენიშნავს მკვლევარი და ასახელებს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის ხელნაწერს № 5006 (ქვემოთ ხელნაწერი U). ამ ხელნაწერში 1578-ე სტროფის („სამ თვეს ვლეს“...) შემდეგ ჩაწერილია 1637-ე სტროფის („ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწადელი“) სტრიქონ-ნახევარი, გადამწერს ამაზე შეუწყვეტია წერა და განუგრძია მე-17 საუკუნის ვრცელი ხელნაწერების მიხედვითო. საქმე ისაა, რომ ვახტანგის გამოცემაში 1578-ე სტროფს მიჰყვება 1637-ე სტროფი, ე. ი. გამოტოვებულია ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბავი. დ. კარიჭაშვილის ვარაუდით, U ხელნაწერის გადამწერს ხელთ ჰქონია სწორედ ვახტანგისეული რედაქციის მსგავსი დედანი, რისი გადმონაშთია 1637-ე სტროფის შეწყვეტილი ტაეპებიო (გვ. 4). ვახტანგს იმიტომ შეურჩევია მოკლე რედაქციის შემცველი ტექსტი პოემისა, რომ მას „უნდა ჰქონოდა უტყუარი ცნობები იმის შესახებ, რომ სხვა ხელნაწერებში მოთავსებული მეტი ამბები ყალბები იყვნენ და არ ეკუთვნოდნენ ვეფხისტყაოსანს. ამის გამო ჩვენ ვახტანგის გამოცემის დედანი მიგვაჩნია უძველესად თავის შედგენილობითო“, ასკვნიდა დ. კარიჭაშვილი (გვ. 4—5).

დ. კარიჭაშვილის მოსაზრება არსებითად გაიზიარა იუსტინე აბულაძემ. ვეფხისტყაოსნის 1914 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში (ეს გამოცემა დაიბეჭდა თვითონ ი. აბულაძის რედაქტორობით) განცხადებულია, რომ: „ვახტანგის რედაქცია... ვეფხისტყაოსნის გამოცემის ქვა-კუთხედს უნდა შეადგენდეს“, იმდენად მნიშვნელოვანია იგი თავისი სიძველით. „შეურევნელობით და სიმოკლით“ (გვ. LVI). ი. აბულაძის შეხედულებით, ვახტანგისეული რედაქციის ფარგლებშია საძიებელი ვეფხისტყაოსნის „დაახლოებით წმიდა და შეურევნელი ტექსტი“ (გვ. LXIII). ეს ტექსტი მხოლოდ წაკითხვე

ბის (და არამც და არამც შედგენილობის) მხრივ უხდა შემოწმდეს ხელნაწერებთანო.

თავისი შეხედულებანი ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის თაობაზე იუსტინე აბულაძემ დააზუსტა სპეციალურ ნაშრომში „ვახტანგის გამოცემული ვეფხისტყაოსნის რედაქცია" [17]. ი. აბულაძე ამბობს, რომ ვახტანგის გამოცემა შეიცავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის „ყველაზე მოკლე და სარწმუნო რედაქციას" (გვ. 4), თუმცა აქ „გადასმულ-გადმოსმულია შესავლის ხანები და ამასთან შეცვლილი და წარყვნილია ბევრი ვარიანტი" (გვ. 22). ი. აბულაძე ამტკიცებს, რომ ვახტანგის გამოცემა გადმობეჭდილია თავისი შემადგენლობითა და რედაქციით უ ძ ვ ე ლ ე ს ი ხელნაწერიდან, რომ ვითომც „ვახტანგს არ შეეძლო, შესაფერი ერუდიციის უქონლობის გამო, ტექსტის გაწმენდა იმ სახით, როგორც ამ გამოცემაშია" (გვ. 23). ი. აბულაძე აკრიტიკებს ე. თაყაიშვილს და წერს: „დღემდის ვახტანგის გამოცემის შესახებ შემცთარი აზრი იყო გავრცელებული, ვითომ ვახტანგი ყოფილიყოს იმ რედაქციის შემდგენელი, რომელსაც ეს გამოცემა წარმოგვიდგენს" (გვ. 22). „ვახტანგის კომისიამ — განაგრძობს ი. აბულაძე — არჩია ერთ-ერთის უძველესი რესტავრატორის ნახელავი, რომელიც, გამომცემლის აზრით, თავისუფალი იყო იმ აშკარა ყალბებისაგან, რომლებიც გვხვდება მე-17 საუკუნის ხელნაწერებში" (გვ. 23).

ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის რაობის თაობაზე უკიდურესი პოზიცია უჭირავს პავლე ინგოროყვას. იგი ამბობს: „კრიტიკული ანალიზი ვახტანგის ტექსტისა არ სტოვებს არავითარ ეჭვს... ტექსტის შესწავლიდან უცილობელად მტკიცდება, რომ ვახტანგს არავითარი შესწორება არ შეუტანია ვეფხისტყაოსნის დედანში და მას უცვლელად დაუბეჭდავს რომელიღაც ძველი ხელნაწერი" [18]. ეს „ძველი ხელნაწერი" უნდა შექმნილიყო მე-14 საუკუნეში: „ვახტანგის ტექსტი მე-14 საუკუნის ნახევარზე უფრო ძველია. ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ე უ ლ ი დ ე დ ა ნ ი დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ი ს ს ა ხ ი თ უ კ ვ ე ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ უ ლ ი ყ ო ფ ი ლ ა მე-14 ს ა უ კ უ ნ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ შ ი" (გვ. 42, დაყოფა ავტორისაა. — ა. ბ.). პ. ინგოროყვას სიტყვით, ვახტანგს „არ შეუცვლია არა თუ სტროფების რი-

---

[17] „განათლება", 1917, № 4—5, გვ. 262—278. ეს ნაშრომი ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა 1920 წელს. აქ შენიშნულია, რომ გადმობეჭდილია „განათლების" 1917 წლის აპრილის ნომერში „მოთავსებული წერილითგან შესწორებულად და შევსებულად". ამიტომაც ციტატებს მოვიყვან 1920 წლის ტექსტიდან.

[18] რუსთველიანა, I, 1926, გვ. 12—13 (აგრეთვე, 15).

ცხვი, არამედ ცალკე სიტყვების შეცდომებიც კი. თუმცა კარგად სცოდნია, რომ ესა თუ ის სიტყვა დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი მის დედანში" (გვ. 14). პ. ინგოროყვაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქ ხელნაწერის მონაცემს (გვ.13). იგი კატეგორიულად აცხადებს, რომ ვახტანგისეული რედაქციის გარეთ არ მოიპოვება ვეფხისტყაოსნის „თუნდაც ერთი სტრიქონი, რომელიც ეკუთვნოდეს რუსთველს" (გვ. 18. შენ.) [19].

თავისებური შესედულებისაა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის თაობაზე სარგის კაკაბაძე. ვეფხისტყაოსნის მისეული პირველი გამოცემის (1913/14 წ.) შესავალ წერილში ს. კაკაბაძე აღნიშნავდა: „ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოება უნდა წარმოადგენდეს ერცელი რედაქციის ფრიად დიდ შემოკლებას" (გვ. 21. აგრ. 22). ოღონდ მკვლევარს არაფერი უთქვამს, თუ სახელდობრ ვის უნდა შეემოკლებინა ვრცელი რედაქციის ტექსტი, ვახტანგს თუ ვინმე სხვას. 1927 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის შესავალ წერილში კი იგი ვახტანგისეული რედაქციის წარმოშობას მიაწერს მე-14--15 საუკუნეს (გვ, XXVI). როგორც ასეთი, ცხადია, ეს რედაქცია არ შეიძლება ეკუთვნოდეს ვახტანგს. მკვლევარი კიდევაც ამბობს: „ეგრ. წოდებული ვახტანგისეული რედაქცია აგრეთვე შეიძლება ხელნაწერებს შორის ვიგულისხმოთ, რადგანაც ამ ხელნაწერის რედაქცია, ეჭვს გარეშეა, ძველი წარმოშობისაა და ვახტანგს არ ეკუთვნისო" (გვ. XVIII, შენიშვნა).

ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის ხელოვნურად შემუშავებას ანუ კრიტიკული მიდგომის ნიადაგზე ჩამოყალიბებას თავგამოდებით იცავდა პოეტი და რუსთველოლოგი კ. ჭიჭინაძე [20]. ბეჯითად იცავს ვახტანგისეული რედაქციის კრიტიკულად შემუშავების თვალსაზრისს კ. კეკელიძე [21]. „ვახტანგის გამოცემის ობიექტური შესწავლას — წერს კ. კეკელიძე — მივყეევართ იმ დასკვნამდე, რომ ის არის არა უცვლელი გამეორება რომელიღაც ძველი ხელნაწერი-

---

[19] „რუსთველიანაში" გამოთქმული დებულებანი პ. ინგოროყვას გამეორებული აქვს თავის საპასუხო წერილში „რუსთველიანაზე პროფ. კორნ. კეკელიძის წერილის გამო" („მნათობი", 1927, № 3, გვ. 193—220). პ. ინგოროყვას მოსაზრებები მთლიანად გაიზიარა ს. გორგაძემ („მნათობი", 1927, № 3, გვ. 196—197, სქოლიო 2).

[20] ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია (წიგნში: „რუსთაველის გარშემო" 1929, გვ. 104—128); ვეფხისტყაოსნის ჭიჭინაძისეული გამოცემის შესავალი წერილი (თბილისი, 1934).

[21] „რუსთველიანა" („მნათობი", 1927, № 2, გვ. 183—186); ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემა (თუშ. X, 1939, გვ. 95—100).

სა, არამედ თავისებური კრიტიკული გამოცემა. ვახტანგს ხელთა ჰქონია ჩვეულებრივი ტიპის ვრცელი, დამატებიანი და ჩამატებიანი რედაქცია, რომელიც მას თავის შეხედულებისამებრ შეუმოკლებია" [22].

ფრიად საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ რედაქციაზე ივ. ჯავახიშვილმა [23]. იგი ამბობს, რომ ძველი ქართული მწერლობის საკითხების მცოდნე პირი „ვერას გზით ვერ დაიჯერებს, რომ ვახტანგ მე-6-ს შოთას ქმნილების ტექსტის აღდგენა თვითნებურად ეცადნა" (გვ. 22). „უეჭველია, გაგრძელებს ივ. ჯავახიშვილი, — ვახტანგს მის ხელთ მყოფ ხელნაწერთა შორის ვეფხისტყაოსნის ისეთი რედაქცია ჰქონდა, რომელშიც აღნიშნული ყოფილა, რომ «ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა» (ინდო-ხატაელთა ამბავი) და შემდეგი თავები შოთას პოემის კუთვნილებას კი არ შეადგენდა, არამედ მისი ქმნილების გამგრძელებელთა მიერ იყო დაწერილი" (გვ. 24). თავის წყაროზე (თუ წყაროებზე) დაყრდნობით, ვახტანგს „უყოყმანოდ მოუცილებია პოემის ბოლო თავები" (გვ. 24). ერთი სიტყვით, ივ. ჯავახიშვილის შეხედულებისდა თანახმად, ვახტანგს პირწმინდად კი არ გადმოუბეჭდავს ერთი რომელიმე ხელნაწერი, არამედ მას „გულდასმით კვლევაძიება უწარმოებია", შეუსწავლია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და იქ დაცული ცნობების ნიადაგზე პოემის ბოლო ნაწილი შეუკვეცია, უკეთ, ამ ნაწილიდან ამოუკვეთია ინტერპოლატორების დანართები, თუმცა მას სრულიადაც არ სურვებია „თვითნებური რედაქციის შექმნა" (გვ. 24—25). მაინცდამაინც, ივ. ჯავახიშვილის ფიქრით, ვახტანგი კრიტიკულად მოპყრობია ხელნაწერ მემკვიდრეობას და გარკვეულ მოსაზრებათა გამო ხელნაწერებით შემონახული ზოგიერთი ტექსტი „თავის გამოცემაში არ შეუტანია".

ადრე ჩვენ ვმერყეობდით ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის რაობის საკითხში. დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის შედგენილი „ქართული ლიტერატურის ისტორიის" ლითოგრაფიულ კურსში (განაკვეთი მეოთხე. 1932) ჩვენ გვიწერია: „დიდ აზრთა სხვადასხვაობას ბადებს საკითხი იმის შესახებ, კრიტიკულია ვახტანგისეული გამოცემა (ე. ი. ტექსტი ხელოვნურად არის შეკვეცილი), თუ ის უშუალოდ და უცვლელად იმეორებს აწ უკვე დაკარგულ სხვა რომელიმე იმ დროს არსებულ უმოკ-

---

[22] „მნათობი", 1927. № 2. გვ. 186.

[23] ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის ირგვლივ (ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები. თბილისი. 1956. გვ. 20—30).

ლეს რედაქციას. პირადად ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიმართლე უფრო მეორე მხარეზე უნდა იყოს (ამ აზრს დაბეჯითებით იცავენ დ. კარიჭაშვილი და პ. ინგოროყვა, ხოლო ეწინააღმდეგება პროფ. ქ. კეკელიძე), თუმცა გადაჭრით პასუხის გაცემა საძნელოდ მიმაჩნია. ამ შემთხვევაში ვახტანგისეული გამოცემის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ამ რედაქციას საკმაოდ უდგება და ამდენადვე ამართლებს კიდეც მე-17 საუკუნის ერთი ხელნაწერი — წ. კ. № 5006“ (გვ. 79).

ასეთი იყო საქმის ვითარება. როდესაც გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის აღდგენილი გამოცემა აკაკი შანიძისა (1937 წელს). ა. შანიძემ გამოარკვია, რომ ვახტანგს „თარგმანში“ განუმარტავს რიგი ისეთი სიტყვა და სტროფი, რომელთაც მისი სახელით გამოცემულ ტექსტში ვერ ვპოულობთ და რომლებიც შემონახულია ვრცელი რედაქციის ხელნაწერებში. „შედარება თარგმანში დამოწმებული ადგილებისა და პირველნაბეჭდი პოემის ტექსტისა დიდ განსხვავებას გვიჩვენებსო“, შენიშნავს მკვლევარი. შენიშნული განსხვავება მას უფლებას აძლევს დაასკვნას: „ვახტანგის მონოგრაფიის გულდასმით შესწავლა ეჭვს არ სტოვებს, რომ მას ხელთ ჰქონია ვრცელი რედაქციის ხელნაწერი და ამ ვრცელ ვეფხისტყაოსანს უწერდა იგი თარგმანს ანუ ახსნა-განმარტებას. ისიც ირკვევა, რომ ვახტანგს (ან მის კომისიას) საბოლოოდ სხვა რედაქცია შეუმუშავებია და დაუბეჭდავს“ (გვ. 391).

აკაკი შანიძის დაკვირვება ნამდვილ აღმოჩენას წარმოადგენდა, რამაც. ჩვენი აზრით, საბოლოოდ გადაწყვიტა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის ერთი ყველაზე უფრო თავსამტერევი საკითხი. აშკარა გახდა, რომ ვახტანგს კომენტარიები გაუკეთებია ვეფხისტყაოსნის ვრცელი და არა მოკლე რედაქციის ტექსტისათვის. მაგრამ საკვლევი და საძიებელი კიდევ ბევრი რჩებოდა. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღდგენილი ტექსტისადმი მიძღვნილ რეცენზიაში ჩვენ ვამბობდით: „ვახტანგისა (თუ მისი კომისიის) გამოცემული ტექსტი მთლიანად არ ემთხვევა კომენტარიებს. ამ მხრივ ადგილი აქვს მნიშვნელოვან შეუსაბამობას. სამწუხაროდ, ა. შანიძე სპეციალურად ბოლომდე არ იხილავს ამ, ერთი შეხედვით, უცნაურ მდგომარეობას. თუ გამოსაცემი ტექსტი კომენტარიების შემდეგ დამზადდა, ან პარალელურად, მაშინ რატომ არ ამოირიცხა კომენტარიებიდან უკუგდებული სტროფების კვალი? იქნებ ვახტანგმა სხვებს მიანდო ტექსტის დამზადება გამოსაცემად, იქნებ ტექსტი მაშინ იბეჭდებოდა, როდესაც ვახტანგი არც იყო საქართველოში, არამედ ირანში იმყოფებოდა (ასეთი მოსაზრება ლევან მეტრეველმა წამოაყენა). და

კიდევ რამდენი კითხვის დასმა შეიძლება. მაგრამ ამის ირგვლივ კვლევა-ძიება კვლავაც უნდა გაგრძელდეს" [24].

ვახტანგისეული რედაქციის აღდგენილმა გამოცემამ მტკიცე საფუძველი შეუქმნა ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიური საკითხების კვლევა-ძიებას. მაგრამ დიდ დაბრკოლებად რჩებოდა U ხელნაწერის მონაცემი, გამოდიოდა, რომ ამ ხელნაწერის გადამწერს ხელთ უნდა ჰქონოდა ვახტანგისეული გამოცემის მსგავსი დედანი. ამავე დროს ყველა მკვლევარი U ხელნაწერს მე-17 საუკუნით ათარიღებდა. მაშასადამე, თითქოს დასტურდებოდა მე-17 საუკუნეში ვახტანგის გამოცემის მსგავსი ვეფხისტყაოსნის მოკლე რედაქციული ტექსტის არსებობა. აღსანიშნავია, რომ არსებითად ვახტანგისეული რედაქციის ძველებურ წარმოშობას ზოგჯერ არც ისინი უარყოფდნენ, ვინც ვახტანგის გამოცემის კრიტიკულობას აღიარებდნენ. ზემოთ ჩვენ უკვე დავიმოწმეთ ს. კაკაბაძის სიტყვები: „ეგრ. წოდებული ვახტანგისეული რედაქცია აგრეთვე შეიძლება ხელნაწერებს შორის ვიგულისხმოთ. რადგანაც ამ ხელნაწერის რედაქცია, ეპვს გარეშეა, ძველი წარმოშობისაა და ვახტანგს არ ეკუთვნის" (დაყოფა ჩვენია, — ა. ბ.). განა არსებითად ამასვე არ ამტკიცებდნენ დ. კარიჭაშვილი, პ. ინგოროყვა და იუსტ. აბულაძე? მაშინ რაღა რჩება ვახტანგს ან იმის კომისიას?

განსაკუთრებით საყურადღებო ისაა. რომ კ. კეკელიძის ვარაუდითაც ვეფხისტყაოსნის მოკლე რედაქციის (ბოლომოკვეცილი რედაქციის) „ტრადიცია არსებობდა ჯერ კიდევ 1712 წლის გამოცემის რედაქციის შექმნამდე". საბუთად დასახელებულია U ხელნაწერი. მართალია, კ. კეკელიძე არ იზიარებს დ. კარიჭაშვილისეულ ინტერპრეტაციას „თითქოს გადამწერს ხელთა ჰქონია ჯერ მოკლე ხელნაწერი, რომელშიაც გაგრძელებებს ადგილი არ ჰქონია, მერე კი ვრცელი რედაქცია. არამედ იმით, რომ მასაც თავდაპირველად პოემის დაბოლოება იმავე ტრადიციის მიხედვით უნდოდა, რომლითაც ხელმძღვანელობდა 1712 წლის გამოცემის რედაქტორი. მაგრამ მერე გადაუფიქრია და მოუცია ვრცელი, დამატებიანი რედაქცია მისი" [25]. მაინცადამაინც კ. კეკელიძის მსჯელობიდანაც ის გამოდის, რომ ვახტანგის გამოცემამდის დამკვიდრებული ყოფილა ვეფხისტყაოსნის მოკლე რედაქციული

---

[24] ალ. ბარამიძე. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი აღდგენილი ა. შანიძის მიერ (გაზ. „კომუნისტი", 11. 10. 37; შდრ. ნარკვევები, I, 1945, გვ. 404—405).

[25] ვეფხისტყაოსნის დაბოლოებისათვის (თუშ, X, 1939, გვ. 110—111, დაყოფა ჩემია, — ა. ბ.).

ტექსტის ტრადიცია. მკვლევრის ეს დასკვნა, როგორც ვთქვით, ეყრება U ხელნაწერის ანალიზს. თვითონ ამ ხელნაწერის ხასიათი და თარიღი დავას არ იწვევდა. ამან უფლება მისცა პ. ინგოროყვას კვლავ გაემეორებინა თავისი ძველი შეხედულება ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის თაობაზე აკაკი შანიძის გამოკვლევის შემდეგაც.

1953 წელს გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის ტექსტი პ. ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით. შენიშვნებში პ. ინგოროყვა ამბობს, რომ ვახტანგისეული გამოცემა „დოკუმენტური ხასიათისაა" და ამის საბუთად ის მოჰყავს, რომ „მე-17 საუკუნეში (ე. ი. ვახტანგის გამოცემის უწინარეს) არსებულა ისეთი ტიპის მოკლე რედაქცია ვეფხისტყაოსნისა, რომელსაც წარმოგვიდგენს ვახტანგისეული გამოცემა, და რომელშიაც არ ყოფილა შეტანილი ვეფხისტყაოსნის ის ვრცელი დამატებანი, «ბოლოს შეთავება» (ე. ი. ინდო-ხატაელთა ამბავი და მისი მომდევნო ტექსტები), რომლებიც წარმოდგენილია მე-16—17 საუკუნეთა ხელნაწერების განვრცობილს რედაქციაში. ამ ჩვენებას იძლევა ვეფხისტყაოსნის მე-17 საუკუნის ხელნაწერი S—5006" (გვ. 508) [20].

ამგვარად, ყველა ის, ვინც თვლის, რომ ვახტანგმა ბეჯდურად გაიმეორა ვითომც მის დროს არსებული მოკლე რედაქცია ვეფხისტყაოსნისა, ებღაუჭება U ხელნაწერს. ამ ხელნაწერს დიდ ანგარიშს უწევს მკვლევართა მეორე ბანაკიც. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ მიუხედავად U ხელნაწერის ასეთი მნიშვნელობისა, ბოლო დროის ის არ ყოფილა შესწავლილი საჭირო სიღრმითა და სისრულით.

---

[20] პ. ინგოროყვა. რასაკვირველია, ვერ უარყოფს ა. შანიძის მიერ დადგენილ ფაქტს, რომ ვახტანგი კომენტარიებს უკეთებდა ვრცელი რედაქციის ტექსტს, მაგრამ „როდესაც ვახტანგი შესდგომია ვეფხისტყაოსნის ბეჭდვას და შემოუკრებიათ პოემის ხელნაწერები, ამ დროს მოუპოვებიათ პოემის ძველი დედანი, რომელიც საფუძვლად დასდებია ვახტანგისეულ გამოცემასო" (გვ. 506—507). სამწუხაროდ, პ. ინგოროყვას მთელი ეს მსჯელობა მხოლოდ ლიტონი განცხადებაა. ასევე ნებისმიერია პ. ინგოროყვას განცხადება, თითქოს „ვახტანგს თავისი კომენტარი, რომელიც დაწერილი ჰქონდა მე-16—17 საუკუნეთა ხელნაწერების განვრცობილი ტექსტის მიხედვით. შეუფარდებია ამ ახალ ტექსტთან, რომელიც საფუძვლად დაედო მის გამოცემას" (გვ. 507). ნამდვილად კი ვახტანგისეული გამოცემის კომენტარიებსა და საკუთრივ ტექსტს შორის შეუსაბამობა რჩება მნიშვნელოვან ფაქტად, რასაც ბოლოსადაბოლოს პ. ინგოროყვაც აღიარებს: „აღსანიშნავია ამასთან, რომ კომენტარის გადაკეთების შემდეგაც, მასში მაინც შერჩენილია ზოგიერთი გადანაშთი, საიდანაც ირკვევა, რომ კომენტარი თავდაპირველად დაწერილი იყო არა იმ ტექსტისათვის, რომელიც დაბეჭდა ვახტანგმა..." (გვ. 507, შენ.).

ამ მხრივ დიდი სამუშაო შეასრულა და U ხელნაწერი დაწვრილებით შეისწავლა სარგის ცაიშვილმა [27]. ხელნაწერის სპეციალურად შესწავლას შედეგად ს. ცაიშვილმა მიიღო მეტად საყურადღებო, რამდენადმე მოულოდნელი, მაგრამ სავსებით დასაბუთებული და დამარწმუნებელი დასკვნა.

ს. ცაიშვილმა გამოარკვია [28], რომ: 1) U ხელნაწერი გადაწერილია არა მე-17 საუკუნეში, არამედ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, ყოველ შემთხვევაში ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემის შემდეგ; 2) ხელნაწერის ერთი ნაწილი (თავ-ბოლო ნაწილი) გადმოწერილია მე-17 საუკუნის ჩვეულებრივი ტიპის ვრცელი ხელნაწერიდან, ხოლო მეორე ნაწილი („პოემის შუაწელი" თვითონ ვახტანგის გამოცემიდან (ამით აიხსნება გარკვეულ ნაწილებში U ხელნაწერისა და ვახტანგის მიერ გამოცემული ტექსტების არა მარტო მსგავსება, არამედ სრული დამთხვევა). მაშასადამე, „ის ერთადერთი მოსაზრებაც, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებდა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის კრიტიკულობას, უარყოფილ უნდა იქნეს". ვახტანგის გამოცემა რუსთველის პოემის კრიტიკული გამოცემაა, ამ გამოცემაში საგანგებოდ არის შემოკლებული მე-17 საუკუნის ხელნაწერებით შემონახული პოემის ვრცელი ტექსტი.

უკანასკნელი დროის კვლევა-ძიების შედეგად სავსებით დადასტურდა ვახტანგისეული რედაქციის აღმდგენელის, აკაკი შანიძის დასკვნები: „ვახტანგს გაუცხრილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტი. პირველი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა არის ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი და არა უცვლელად დაბეჭდილი რომელიღაც ძველი ხელნაწერი. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი არის შეძლებისამებრ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი" (გვ. 393).

ბუნებრივად ისმის კითხვა, ვახტანგმა თვითნებურად შეამოკლა პოემის მის ხელთ არსებული ვრცელი რედაქციული ტექსტი, თუ საამისოდ მოეპოვებოდა დოკუმენტური წყაროები. ივანე ჯავახიშვილმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ვახტანგს ვერას გზით ვერ დავ-

---

[27] იხ. მისი შრომები: ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის საკითხისათვის (ლიტერატურული ძიებანი. IX. 1955. გვ 313—324); ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია. თბილისი, 1957; ვეფხისტყაოსნის რედაქციები და პოემის ზოგიერთი ტექსტუალური საკითხი (კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. 1959. გვ. 379—387) ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციები (ლიტერატურული ძიებანი, XIII, 1960. გვ. 239—271).

[28] ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის საკითხისათვის. გვ. 321—324; ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია. გვ. 58—61.

წამებთ ამ მხრივ რაიმე თვითნებობის ჩადენას, რომ სწავლულ მეფეს „გულდასმითი კვლევაძიება უწარმოებია“ და მხოლოდ ამის შედეგად ჩაუტარებია გარკვეული სარედაქციო ოპერაციები. მართლაცდა. ვახტანგს უნდა სცოდნოდა თეიმურაზ პირველის რეპლიკა რუსთველის მისამართით (არჩილის პოემიდან „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“):

ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავეცო.

არჩილი საგანგებოდ ასახელებს ერთი ცნობილი ინტერპოლატორის. ნანუჩას სახელს (26):

ნანუჩას რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია;
მასთან რას სწერდა მის ლექსსა, სირეგვნე მით მორევია.
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევია [29].

გარდა ამისა, ვახტანგს ხელთ ექნებოდა ვეფხისტყაოსნის ისეთი ხელნაწერი (ან იქნებ ხელნაწერებიც). სადაც მინიშნებული ან ავტორწარწერილი იქნებოდა ინტერპოლატორთა ტექსტი. ერთ ასეთ ხელნაწერს მოუღწევია ჩვენ დრომდისაც. ესაა ხელნაწერთა ინსტიტუტის Q ფონდის ხელნაწერი №—1082, ეგრეთ წოდებული ზ ა ზ ა ს ე უ ლ ი ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა. ეს ხელნაწერი გადაუწერია ცნობილ მწიგნობარსა და კალიგრაფს იოსებ თბილელს (დიდ-მოურავიანის ავტორს) მე-17 საუკუნის სამოციან წლებში, არა უგვიანეს 1670 წლისა [30]. ზაზასეულ ხელნაწერში საგანგებოდაა გამოყოფილი ნანუჩას ჩანართები. ზოგი რამე ჩაუმატებია ვეფხისტყაოსნის ტექსტში თვითონ იოსებ თბილელს. ავტორწარწერილია თბილელის ჩანართებიც. მაშასადამე. ვახტანგის დროს მოიპოვებოდა საკმარისი ცნობები ვეფხისტყაოსნის ჩანართებისა და გაგრძელებათა თაობაზე. სწორედ ამ ცნობების საფუძველზე გაუცხრილავს მას პოემის ტექსტი და შეუკვეცია პოემის დასასრული.

ს. ცაიშვილის გამოკვლევის თანახმად. „ვახტანგისეული გამოცემა (ვეფხისტყაოსნისა) წარმოადგენს მე-17 საუკუნის ხელნაწერებზე

---

[29] ვეფხისტყაოსნის ინტერპოლაციების თაობაზე იხ. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. შოთა რუსთველი, თბ., 1958, გვ 310—360, კერძ. გვ. 312—313.

[30] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე. ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი (ლიტერატურული მემკვიდრეობა, I. 1935. გვ. 19—36; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. IV. 1957. გვ. 10—15; ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, გვ. 114—115.

მუშაობის ნაყოფს" [31], კერძოდ „მოცულობა-შედგენილობის მხრით ვახტანგისეული გამოცემის წყაროდ უკვე შესაძლებელია ვივარაუდოთ სწორედ «ზაზასეულის» ტიპის ხელნაწერი" [32]. საგულისხმოა, რომ ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანში არ ყოფილა „არცერთი ისეთი სტროფი, რომელიც „ზაზასეულ" ხელნაწერშიც არ იყოს" [33].

როგორც ვიცით, ვახტანგს დაუწერია ვეფხისტყაოსნის „თარგმანი". მაგრამ თვითონ ტექსტის რედაქციის ავტორობას ზოგიერთი მკვლევარი, მათ შორის აკაკი შანიძე, გადაჭრით არ მიაწერდა პირადად ვახტანგს. ჩვეულებრივად ამბობდნენ ხოლმე: „ვახტანგს (ან მისი კომისიას)" ასეთი და ასეთი ნაბიჯი გადაუდგამსო [34]. ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა კ. კეკელიძემ „ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემა" (თუშ. X, 1939, გვ. 95—100). კ. კეკელიძე ამტკიცებს, რომ 1712 წელს ბეჭდურად გამოქვეყნებული ტექსტი ვეფხისტყაოსნისა „დამუშავებული და რედაქტირებული უნდა იყოს არა ვახტანგის მიერ, არამედ დაშოუკიდებლად მისგან" (გვ. 95, დაყოფა ჩვენია, — ა. ბ.), „რომ პოემის დაბეჭდვასა და გამოცემაში 1712 წელს, როგორც ეს გაკვრით უკვეა აღნიშნული ლიტერატურაში, ვახტანგი უშუალო მონაწილეობას არ ღებულობდა" (გვ. 96). ამით უნდა აიხსნასო, ფიქრობს კ. კეკელიძე, ის შეუსაბამობა, რაც არსებობს ვახტანგის კომენტარიებსა და პოემის დაბეჭდილ ტექსტს შორის. კ. კეკელიძის დაკვირვებით, პოემის ბეჭდვის დროს ვახტანგი არც უნდა ყოფილიყო ქართლში, ის სპარსეთში იყო გამგზავრებულიო [35]. ვახტანგი სპარსეთში გაემგზავრა 1712 წლის 23 აპრილს. 1712 ქრონიკონული წელი დაიწყო ამავე წლის 1 მარტს: სრულიად შეუძლებელიაო, შენიშნავს მკვლევარი, რომ ვეფხისტყაოსანი დაბეჭდილიყო 1 მარტიდან 23 აპრილამდეო. ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემის რედაქტორობის პატივს კ. კეკელიძე მიაწერს ვახტანგის სტამბის მოღვაწეს, კარის დეკანოზისშვილს მიქელს. მართლაც, გამოცემის სატიტულო ფურცელზე ვკითხულობთ: „ვეფხის ტყაოსანი. აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა ყამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლი-

---

[31] ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია. თბილისი. 1957. გვ. 114.

[32] იქვე. გვ. 111.

[33] იქვე. გვ. 107.

[34] იუსტ. აბულაძე. ვახტანგ მეფე. გამოცემული ვეფხისტყაოსნის რედაქცია გვ. 23; ა. შანიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, გვ. 390.

[35] სხვათა შორის. ასეთი მოსაზრება გამოთქვა [illegible] მოსაზრება გამართულ კამათში. მწერალმა ლევან მეფეშვილმა.

სა ვახტანგისსა. შრომითა და წარსაგებელითა მისივე მპყრობელისათა. გაიმართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა". მიქელის ღვაწლი აღნიშნულია ლექსად დაწერილ ბოლოსიტყვაობაში (ბოლოსიტყვაობა უშუალოდ მისდევს პოემის ტექსტს):

> აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ხელისა.
> უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა,
> მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით კეთილ მქნელისა.
> ნაღვაწი მისის მღოცველისა მესტამბე მიქაელისა.

„ამრიგად, ასკვნის კ. კეკელიძე. სიტყვები «გაიმართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისა» ნიშნავს: ვეფხისტყაოსნის ტექსტი გასწორდა ესე იგი რედაქტირებულ იქნა მიქელის ხელით" (გვ. 99, დაყოფა ჩემია, — ა. ბ.). თუ ვეფხისტყაოსნის პირველ ბეჭდურ გამოცემას ჩვენ მაინც ვახტანგისეულს ვუწოდებთ, ვუწოდებთ პირობითადო. „რამდენადაც მის ბეჭდვაში განსორციელდა ვახტანგის იდეა და სურვილი და რამდენადაც ის დაიბეჭდა «ქამსა ვახტანგისასა», მისი ხარჯით, ღვაწლით, რუდუნებით და შრომით შექმნილს სტამბაში". ისე კი, გარდა «თარგმანისა» იმაში ვახტანგს არაფერი ეკუთვნის. არ ეკუთვნის მას კერძოდ ამ გამოცემაში მოთავსებული კრიტიკული რედაქცია პოემისა" (გვ.97).

კ. კეკელიძის მოსაზრებანი ვახტანგისეულ გამოცემაზე სერიოზული დაკვირვების შედეგია. განსაკუთრებით საყურადღებოა მიქელის რედაქტორობის საკითხი. ამ საკითხში კ. კეკელიძეს დაეთანხმნენ სპეციალური შრომების ავტორებიც ქრ. შარაშიძე [36] და სარგის ცაიშვილი [37]. „როგორც გარკვეულია, — წერს ქრ. შარაშიძე, — კ. კეკელიძის გამოკვლევაზე მითითებით, — მიქაელი იყო არა მარტო მესტამბე 1712—1713 წწ. გამოცემებისა. არამედ ვეფხისტყაოსნის გამმართველიც — ე. ი. რედაქტორ-კორექტორიც" (გვ. 144). სხვაგან იგივე მკვლევარი უფრო გარკვევით ამბობს, თითქოს მიქელი [38] ყოფილა დავითნისა და ვეფხისტყაოსნის რედაქტორი

---

[36] პირველი სტამბა საქართველოში. თბილისი. 1955, გვ. 124. 144. 153 და სხვ

[37] ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია. გვ. 64.

[38] ქრ. შარაშიძე ამ სახელს წერს ფორმით მიქაელ. ნამდვილად კარის დეკანოზიშვილი მის მიერ დაბეჭდილი წიგნების (ვეფხისტყაოსნის. დავითნის. კურთხევანის) თავფურცლებში თავის თავს ყველგან უწოდებს მიქელს. ვეფხისტყაოსნის ბოლოსიტყვაობაში დაცული ფორმა მიქაელ („მესტამბე მიქაელისა") მიღებულია ლექსის საჭიროების გამო.

(შდრ. რედაქტორ-კორექტორი), „რომელიც იმავე დროს მესტამბის მოვალეობასაც ასრულებს“ (გვ. 124).

მიქელის სახელი უკავშირდება ვახტანგის სტამბიდან გამოსულ სამ წიგნს: 1712 წელს დაბეჭდილ დავითნსა და ვეფხისტყაოსანს და 1713 წლის კურთხევანს[39]. მოგვყავს სამივე ამ წიგნის თავფურცელთა ცნობა (რაც მიქელს შეეხება):

1. გაიმართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა (დავითნი).

2. გაიმართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა (ვეფხისტყაოსანი).

3. გაიმართა... ხელითა სამთავნელ ეპისკოპოსის კვიპრიანესითა, ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მესტამბის მიქელისათა.

როგორც ჩანს, კურთხევანის ტექსტის რედაქტორი (გამმართველი) ყოფილა სამთავნელი ეპისკოპოსი კვიპრიანე. ბერძენ სერგიოსისა და ზოგიერთი სხვა პირის დახმარებით კვიპრიანეს მართლაც საფუძვლიანად დაუმუშავებია კურთხევანის ტექსტი: შეუდარებია ბერძნული დედნისათვის, გაუსწორებია ენობრივ-სტილისტიკურად და სხვ. (ამას ვტყობილობთ კვიპრიანეს ანდერძიდან, რაც დაბეჭდილ კურთხევანს ახლავს). მიქელი, ცხადია, კურთხევანის დაბეჭდვის საქმეში მარტოოდენ მესტამბის როლს ასრულებდა, ისე როგორც ადრე უნგროვლახელი მიხაილ იშტვანოვიჩი (მიხაილ სტეფანეშვილი). ვახტანგის სტამბის პირველ ნაბეჭდ წიგნებს აწერია: „გაიმართა ხელითა ნიკოლოზ ორბელიშვილისათა. ხელითა მესტამბე მიხაილ სტეფანეშვილისა უნგროვლახელისა“. არსებითად არაფერი გასამართავი და სარედაქციო არ ჰქონია დავითნს, რადგანაც 1712 წელს იგი მესამედ დაბეჭდილა. ცხადია, ამ შემთხვევაში გამოთქმა გაიმართა ნიშნავს გამოცემის საერთო ზედამხედველობასა და რედაქტორ-კორექტორობას (ახლა ვიტყოდით, გამოშვებისათვის პასუხისმგებლობას). ქრ. შარაშიძე სავსებით სწორად მსჯელობს: „გამართვა (გასწორება) უეჭველია სტამბის ტექნიკური მუშაობის თვალყურის დევნებასაც გულისხმობს“[40]. სტამბის მუშაობის თვალყურის დევნება მიქელს მით უფრო მოეთხოვებოდა, რომ 1712 წლით დათარიღებული ერთი დოკუმენტით იგი თავის თავს

---

[39] პირველი სტამბა საქართველოში. გვ. 100, 195—199.

[40] იქვე, გვ. 158.

„მესტამბეთ უმფროსს უწოდებს“ [41]. როგორც ვიცით, მესტამბეზე მრიხსენიება მიქელი ვეფხისტყაოსნის ბოლოსიტყვაობაშიც („ნაღვაწი... მესტამბე მიქაელისა“). რა თქმა უნდა, განსწავლული და დახელოვნებული მესტამბე („სტამბის უმფროსი“) შეიძლება მართლაც ყოფილიყო წიგნის გამმართველიც (რედაქტორიც) და რედაქტორ-კორექტორიც. ზემოთ დასახელებული სამი წიგნიდან (დავითნი, კურთხევანი, ვეფხისტყაოსანი) ორის მიმართ მიქელის ღვაწლია მხოლოდ მესტამბეობა. ვეფხისტყაოსანი ყოფილა „ნაღვაწი მესტამბე მიქაელისა“. ოღონდ რუსთველის პოემა მიქელს თითქოს რედაქციულად გაუმართავს, „გაიმართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზისშვილის მიქელისათა“. ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ მიქელი აღიარებულ იქნას ისეთ პირად, რომელმაც დაამუშავა და გაასწორა ვეფხისტყაოსანი, საკუთარი შეხედულებისამებრ შეამოკლა პოემის სიუჟეტი, თვითონ შეადგინა დასაბეჭდი ტექსტი და კიდევაც გამოაქვეყნა იგი თავის რედაქციით. ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, თითქოს 1712 წლის ბეჭდურ ვეფხისტყაოსანში ვახტანგს ეკუთვნის მ ხ ო ლ ო დ „თარგმანი“ და სხვა არაფერი.

ვეფხისტყაოსნის გამოსაცემად არ კმაროდა საერთო განსწავლულობა და სასტამბო საქმიანობაში დახელოვნება. საჭირო იყო ვეფხისტყაოსნის სპეციფიკური საკითხების კარგი ცოდნა. რედაქტორ-გამომცემელს უნდა გადაეწყვიტა პოემის შემადგენლობის უაღრესად რთული საკითხი. ყოველ შემთხვევაში თეიმურაზ პირველის (1589—1663) დროიდან მოკიდებული ვეფხისტყაოსნად თვლიდნენ პოემის ვრცელ რედაქციას, თუმცა მწიგნობრულ წრეებში ისიც იცოდნენ, რომ ტექსტი დახერგილი და წარყვნილი იყო სხვადასხვა ჯურის ინტერპოლატორთა ჩანართებითა და დანართებით. ნუთუ ასეთი საპასუხისმგებლო და საფრთხილო პრინციპული საკითხის გადაჭრას ვახტანგი სხვას მიანდობდა, თუ გონდ მწიგნობრობის მოყვარულ მესტამბე მიქელს?

ვეფხისტყაოსანზე ვახტანგის მუშაობის ხასიათის გასარკვევად ივ. ჯავახიშვილი და ქრ. შარაშიძე იშველიებენ ჭილილა და დამანას

---

[41] იქვე. გვ. 102. სხვათა შორის ეს მესტამბე მიქელი ხლებია იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს საქართველოში მოგზაურობის დროს (თ. ე ო რ დ ა ნ ი ა. მოკლე ისტორიული გამოკვლევა ქართულის სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა მე-18 საუკუნეში და მე-19 საუკუნის პირველ წელთ განმავლობაში. „ივერია“. 1885. X. გვ. 104; დოსითეოსის მოგზაურობის შესახებ. იხ. შ. კ ურ დ ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის ისტორიიდან. თბილისი, 1959, გვ. 9—18).

ვახტანგისეული ვერსიის ჩამოყალიბების ისტორიას [42]. ქილილა და დამანას მაგალითი იმას გვეუბნება, რომ ვახტანგი დიდი მონდომებითა და კეთილსინდისიერებით მოეკიდებოდა ვეფხისტყაოსნის დამუშავებას. როგორც ცნობილია, ვახტანგმა ნამდვილად დაამკვიდრა ჩვენში კოლეგიური მუშაობის სანაქებო ტრადიციები. ის თავის გარშემო იკრებდა საქმის მცოდნე თანამშრომლებს, ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით საჭირო დავალებებს აძლევდა მათ, მაგრამ სხვების მიერ შესრულებულ სამუშაოს თვითონ გულდასმით პირადად ამოწმებდა. მაგალითად, ვახტანგმა საკუთარი ხელით გაასწორა ქილილა და დამანას მთელი ტექსტი და კაიხელად გადამწერ (გადამთეთრებელ) მდივანმწიგნობარს საგანგებოდ მიუთითა: „მწერალო, აქ კარგა გული დაუხმე, სწორად დასწერე, არ წაახდინო, რა შეგამოწმე, გასწორებისაგან ასე იქნა“ [43].

ნუთუ ასეთი კრიტიკული ბუნების პატრონი და მეცნიერული სიზუსტის მოტრფიალე ვახტანგი სხვას მიანდობდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენას, თვითონ განზე გადგებოდა და საერთო განკარგულების გაცემით („ბრძანებით“) დაკმაყოფილდებოდა? ეს სრულიად წარმოუდგენელი და დაუჯერებელი რამეა.

ვახტანგი ადრე შედგომია ვეფხისტყაოსნის გამოცემის სამზადისს. ცხადია, იგი შესაფერის თანამშრომლებსაც შეარჩევდა და მათ საჭირო დავალებებს მისცემდა. საქმის თაოსნობა და პრინციპული საკითხების გადაწყვეტა კი თვითონ უნდა ეკისრა. ამას ადასტურებს ვახტანგის „თარგმანი“. „თარგმანი“ უნდა შეხებოდა სწორედ რუსთველის ტექსტს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ ტექსტს, რომელსაც ვახტანგი რუსთველურად ჩათვლიდა, რუსთველს მიაკუთვნებდა. ვრცელი რედაქციიდან კომენტატორი რუსთველურად მისაჩნევ ტექსტს გამოჰყოფდა და მის განმარტებას შეუდგებოდა. ნებსით თუ უნებლიეთ ვახტანგს უნდა ჩაეტარებია ის რთული ოპერაცია, რასაც ტექსტის დადგენა ან პოემის ტექსტის შედგენილობის განსაზღვრა ეწოდება. ვახტანგს პირადად თვითონ უნდა გადაეწყვიტა გამოსაცემი და გასამარტავი ტექსტის ნამდვილობა თუ ინტერპოლაციურობა, ესე იგი, ვახტანგი თვითონ უნდა გამოსულიყო არა მარტო კომენტატორის, არამედ ტექსტის რედაქტორ-შემდგენელის როლში. ესაა მთა-

---

[42] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები. გვ. 24; ქრ. შარაშიძე. პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 155.

[43] ალ. ბარამიძე. ნარკვევები. I. 1945. გვ. 303.

ვარი და არსებითი [44]. ხელნაწერებს ერთმანეთთან შეჯერებასა და სხვა ტექნიკური ხასიათის დავალებების შესრულებას სხვებიც შეძლებდნენ, კერძოდ მიქელი, მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო ვახტანგის უშუალო ხელმძღვანელობით. ვახტანგი შეუმოწმებლად ვერ დატოვებდა სხვის ნამუშევარს, ვეფხისტყაოსნის ბედს ის სხვებს ვერ მიანდობდა. ვეფხისტყაოსნის გამოსაცემი ტექსტის შემდგენელი. მისი რედაქტორი და კომენტატორი ვახტანგია. მიქელ დეკანოზისშვილი კი მისი თანაშემწე, მისი თანამშრომელი, მისი დავალებების შემსრულებელი. მის მიერ დადგენილი ტექსტის გამომცემელ-დამბეჭდავი.

შენიშნავენ, რომ ნაბეჭდი ტექსტის ბოლოსიტყვაობაში მიქელ დეკანოზისშვილი ამბობს ვეფხისტყაოსანი „ს ა ღ მ რ თ ო ც ა ა და ს ა ე რ ო ც ა: ამას ვახტანგი ვერ იტყოდა, რადგანაც «თარგმანში» ის ხაზგასმით აცხადებს, რომ ვეფხისტყაოსანი მ ხ ო ლ ო დ ს ა ღ მ რ თ ო ა, საღმრთო მიჯნურობას გულისხმობს, რომ პოეტს ის «საეროდ არ უთქვამს»“ [45]. ეს ფრიად სერიოზული კონტრარგუმენტია. მართლაც, თუ ასეა საქმე, მაშინ პირველნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის რედაქტორად მისაჩნევ პირს (სულ ერთია მიქელი იქნება თუ სხვა ვინმე) მეტისმეტად გაუფართოებია თავისი უფლებები, გაუბათილებია ვახტანგის „თარგმანი“ და ვეფხისტყაოსნის გაგების სრულიად ახალი თვალსაზრისი, ახალი კონცეფცია წარმოუდგენია. ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, ვახტანგი მართლაც ვერას გზით ვერ ჩაითვლება პირველნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის რედაქტორად. მაგრამ საქმის ფაქტობრივი ვითარებით არ მართლდება წინააღმდეგობის არსებობა მიქელის ფორმულასა და ვახტანგის „თარგმანს“ შორის. მიქელის მიხედვით, ვეფხისტყაოსანი „სამღვთოა და საეროცა“. ეს თვალსაზრისია გატარებული ვახტანგის „თარგმანშიც“. კომენტატორი მრავალგზის უბრუნდება ამ საკითხს და ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი აქვს მომარჯვებული. 209-ე სტროფის (აჰა მიჰხვდა ავთანდილსა) „თარგმანში“ ვახტანგი ამბობს: „ახლა სამღთოთ თუ საეროდ ისწავლება“. 693-ე სტროფის გამო შენიშნულია: „ეს სამღთოთაც ითარგმნება და საეროთაც ასრე არის“. 726-ე სტროფი: „სამღთოსა და საეროშივ კარგად არის სასწავლო“. 767-ე სტროფი: „ეს სამღთოც არის და საეროც, სამღდელოთაც კარგა ითარგმანება, საეროთაც უთქვამს“. იქვე 774-ე სტროფის გამოც აღნიშნავს კომენტა-

---

[44] მით უფრო, რომ წაკითხვების მხრივ 1712 წლის გამოცემაში ხელნაწერების მიმართ ტექსტი შესწორებული არ ჩანს.

[45] ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემა (თუშ, X, 1939. გვ 96).

ტორი: „ესეც სამღთოსა და საეროზედ უთქვამს". ავთანდილის ანდერძის შესახებ ვახტანგი შესავლის სახით საერთოდ განმარტავს (სტროფი 778): „აწ ამას იქით გასინჯეთ, თუ ეს ანდერძი რა კაცის სასწავლოდ. სამღთოდ თუ საეროდ, როგორ თვითოს რიგით უსწავლებია". საინტერესო ისაა, რომ 824-ე სტროფის თარგმანის დროს ვახტანგი აზოგადებს თავის შეხედულებას ვეფხისტყაოსნის ზნეობრივი მოძღვრების თაობაზე და საჯაროდ აცხადებს: „ბევრჯელ მითქვამს: რუსთველს სადაც პირი მოუკრავს, სამღვთო ყოფილა კარგი თუ საკაცო. ორივ დაუწერია". აღარავითარი ეჭვი არ არის, რომ ვეფხისტყაოსანი ვახტანგს ესმის როგორც მაღალი ზნეობის გამომხატველი სამღვთო და საერო ნაწარმოები. მიქელი თავის მხრივ კი არ აბათილებს ვახტანგის თარგმანს, არამედ ზუსტად იმეორებს პატრონის ფორმულას.

ამრიგად, მოხსნილად უნდა ჩაითვალოს ის უაღრესად მნიშვნელოვანი საბუთი, რომელიც მოხმობილი იყო ვახტანგის რედაქტორობის ასაცილებლად. რაღა თქმა უნდა, დიდი უსამართლობა იქნებოდა მიქელის ღვაწლის შეუფასებლობა, მაგრამ არც ამ ღვაწლის გადაჭარბებაა მიზანშეწონილი. როგორც ზემოთ ვთქვით, ვახტანგი უნდა ყოფილიყო ვეფხისტყაოსნის გამოცემისათვის წამოწყებული საქმის სულის ჩამდგმელი, მეთაური, ხელმძღვანელი, უშუალო მონაწილე, ტექსტის დამდგენი, კომენტატორი, ე. ი. ნამდვილი რედაქტორი, ხოლო მიქელი მისი ტექნიკური თანამშრომელი, ასე ვთქვათ, ტექსტის ტექნიკური რედაქტორი, კორექტორი, ბეჭდვის ხელმძღვანელი...

ვეფხისტყაოსნის პირველნაბეჭდ გამოცემას ბევრი დეფექტი ახლავს. ამ დეფექტებს აკრიტიკებდა თეიმურაზ ბატონიშვილი. ბროსე შენიშნავდა: „ვახტანგ მეფის მიერ დაბეჭდილს ვეფხისტყაოსანში მრავალი ტიპოლრაფიული ცთომილებანი იპოვებოდნენ. ჩვენ გავასწორეთო" [46].

იმის გამოსარკვევად, თუ რას უნდა გამოეწვია ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის „ტიპოლრაფიული ცთომილებანი". უნდა გავითვალისწინოთ როდის და რა პირობებში დაიბეჭდა პოემა. „თარგმანის" შესავალში ვახტანგი იუწყება: „მე ვსწერ ძმისწული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, გამგებელი ქართლისა ვახტანგ". „თარგმანის" სათაურშიც ნათქვამია „თქმული ბატონიშვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა". მაშასადამე, „თარგმანი" დაწერილი ყოფილა ვახტანგის ბატონიშვილობის, ქართლის ჯანშინობის (გამგებლობის) დროს. ხოლო პოემის მთელი გა-

---

[46] ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობა. გვ. XIV.

მოცემა დაუბეჭდავთ „მ ე ფ ი ს ვახტანგის ბძანებით". როგორც ამბობს მიქელი. ვახტანგის სტამბიდან გამოსული წიგნების თავფურცელი მზადდებოდა გარკვეული წესის მიხედვით [47]. აქ უსათუოდ მოიხსენიებოდა მეფე, რომლის დროსაც იბეჭდებოდა წიგნი, და წიგნის ფაქტობრივი გამომცემელი, ესე იგი „საფასეთა წარმგებელი". მაგალითად, ვახტანგის სტამბიდან გამოსული პირველი წიგნის ს ა ხ ა რ ე ბ ი ს თავფურცელზე აღნიშნულია:

„...დაბეჭდილი... ჟამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ე ფ ი ს ა უფლისა უფლისა გ ი ო რ გ ი ს ა"...

„შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა... ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ა მ გ ე ბ ე ლ ი ს ა ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა თვით უფლისა ვ ა ხ ტ ა ნ გ ლევანის ძისათა".

ეს წესი დაცულია ვეფხისტყაოსნის გამოცემის თავფურცელზედაც:

„...დაბეჭდილი... ჟამსა ამაღლებულისა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი ს ა უფლისა უფლისა ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ს ა,

შრომითა (და) წარსაგებელითა მ ი ს ვ ე მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი ს ა თ ა".

თავფურცლის წარწერილობის მიხედვით ვეფხისტყაოსანი დაუბეჭდავთ (ყოველ შემთხვევაში ბეჭდვა დასრულებულა) ვახტანგის მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი ს დროს მისივე საფასით. მაშინ ვახტანგი ქვეყნის მპყრობელი ყოფილა (და არა უბრალო გამგებელი), ნომინალური მეფე მოხსენებული არაა. ესე იგი, ეს ის დროა, როდესაც ქართლის მეფე ქაიხოსრო გარდაცვლილია, ქვეყნის ფაქტობრივი მპყრობელია ვახტანგი, მაგრამ მეფობის პატივი მას ჯერ არ აქვს მინიჭებული. ქაიხოსრო მოიკლა ავღანელებთან ბრძოლაში 1711 წლის ოქტომბრის 26 თუ 25-ს [48]. ტახტის ოფიციალურად მოსაპოვებლად ვახტანგი სპარსეთში წავიდა 1712 წლის 23 აპრილს. ვახტანგი ქართლის მპყრობელად ვერ იწოდებოდა ქაიხოსროს გარდაცვალებამდის და ამ გარდაცვალების ამბის ქართლში მოსვლამდის. მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვა თბილისის სტამბაში მიმდინარეობდა ამ გარდამავალ პერიოდში [49]. ამდენად დასაბუთებულია კ. კეკელიძის მოსაზრება, რომ 1712 წლის ვეფხისტყაოსანი ვახტანგის ქართლიდან გამგზავრების შემდეგ უნდა დაბეჭდილიყო [50] (უფრო სწორი იქნება თუ

---

[47] ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში. გვ. 114—116.

[48] ქართლის ცხოვრება. II. 1854. გვ. 76. 252

[49] შდრ. პირველი სტამბა საქართველოში. გვ. 153—155.

[50] ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემა (თუშ. X. გვ. 96—97).

ვიტყვით, მოთავებულიყო ბეჭდვა). ცხადია, ქაიხოსროს სიკვდილის ცნობის მიღებისთანავე შეუდგებოდა ვახტანგი შორეულ ისპაჰანში გამგზავრების სამზადისს რთული პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად. ვეფხისტყაოსნისათვის მაშინ მას აღარ ეცლებოდა. პოემის ბეჭდვა მიქელის ხელში უნდა გადასულიყო. აქ დაახლოებით იგივე მოხდა, რაც შემდეგ ქილილა და დამანას გარშემო განმეორდა. ვახტანგს გაუჩალხავი და გაუწყობელი დაურჩა ქილილა და დამანა პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრად შეცვლის გამო, ტექსტის გამართვაც სხვას ერგო წილად. მეფე ქაიხოსროს მოულოდნელმა სიკვდილმა პოლიტიკური ვითარება ქართლში ძალზე არივ-დარია, ვახტანგი საქვეყნო საქმეების მოგვარებას შეუდგა. ვეფხისტყაოსნის საბოლოო გამართვა დაუმთავრებელი დაურჩა. მიუხედავად დიდი ცდისა. ეტყობა, მიქელმა მთლად ვერ გაართვა თავი დაკისრებულ საქმეს. ტექსტი დაიბეჭდა დიდი დეფექტებით, პოემის ტექსტი და „თარგმანი“ ზოგ ნაწილში შეუთანხმებელი აღმოჩნდა. სწორია ქრ. შარაშიძის მოსაზრება, რომ მიქელი „თავისი ძალღონის შესაბამისად ვახტანგის დავალების (ბრძანების) პირნათლად შესრულებას ცდილობდაო [31], მაგრამ სრულიად შეუწყნარებელია მისივე ვარაუდი, თითქოს ვახტანგისადმი დიდი პატივისცემისა და მოწიწების გამო მიქელი შეგნებულად მორიდებია იმ განმარტებების ამოღებას, რომლის შესატყვისი ტექსტი პოემაში არ იპოვებოდა [32]. არც ისე ადვილი უნდა ყოფილიყო პოემის ტექსტისა და „თარგმანს“ შორის დარჩენილი შეუთანხმებლობის შემჩნევა. ეს მიქელის „დაუდევრობით“ არ შეიძლება აიხსნას. თუ რა ძნელი იყო ამ შეუთანხმებლობის „შემჩნევა (და შემდეგ მთელი კომენტარიის გადაკეთება), იქიდან ჩანს, რომ ეს შეუსაბამობა შემჩნეული იქნა მხოლოდ 200 წლის შემდეგ, სპეციალური ლექსიკოლოგიური მუშაობის ჩატარების დროს“ [33].

ყოველივე აღნიშნული იმასაც ამტკიცებს, რომ ბეჭდვის დროს მიქელს არ უნდა ჰქონოდა ვახტანგის ტექსტისაგან განსხვავებული რაღაც სხვა დედანი. „მიქელს დასაბეჭდად სხვა დედანი გამოუყენებიაო“, შენიშნავს ქრ. შარაშიძე [34], ხოლო აკაკი შანიძის სიტყვით

[31] პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 153.

[32] იქვე, გვ. 154

[33] ს ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია. 1957. გვ. 64. შენ. 1.

[34] დასახ. შრომა, გვ. 153.

„ისიც ირკვევა, რომ ვახტანგს (ანდრძის კომისიას) საბოლოოდ სხვა რედაქცია შეუმუშავებია და დაუბეჭდავს“[33]. ეს ვარაუდი არაა დაუსაბუთებული.

თუ ნათქვამს შევაჯამებთ, ჩვენი დასკვნა ასეთი იქნება: ვახტანგ ჯანიშინობის დროს, სტამბის მოწყობის პერიოდში, შედგომია ვეფხისტყაოსნის ბეჭდური გამოცემის სამზადისს. შეუკრებია და შეუსწავლია ხელნაწერები. ამ ხელნაწერებით შემონახული ვრცელი ტექსტები გაუცხრილავს საგულვებელი ჩანართებისა და დანართებისაგან. შეუმუშავებია პოემის შედარებით მოკლე რედაქცია. შეუდგენია საკუთარი „თარგმანი“ და განუზრახავს ტექსტის დაბეჭდვა. ბეჭდვის დაწყება შეგვიანებით მოხერხებულა, როდესაც ქართლში პოლიტიკური სიტუაცია გართულდა. ვახტანგი იძულებული გახდა ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის საქმე მთლიანად სხვისთვის, სახელდობრ კარის დეკანოზის შვილის მიქელისათვის, გადაებარებინა. მიქელმა ბევრი იღონისძია, მაგრამ დავალებას თავი ვერ გაართვა. სტამბიდან გამოვიდა დეფექტიანი ტექსტი, პოემის ზოგიერთი ადგილი და „თარგმანი“ შეუთანხმებელი აღმოჩნდა. მაინც ვახტანგმა და მიქელმა დიდი, საშვილისშვილო, ეროვნული საქმე გააკეთეს, ვეფხისტყაოსანი ბეჭდურად გამოაქვეყნეს და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადეს.

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ბევრი ნაკლი ტექნიკური მიზეზებითა და კორექტურის უსუსურობით აიხსნება. სანიმუშოდ ერთ მაგალითს დავიმოწმებთ.

მკვლევარი პავლე ინგოროყვა თავის „რუსთველიანაში“ (გვ. 14) წერდა: „ვახტანგს არ შეუცვლია არა თუ სტროფების რიცხვი, არამედ ცალკე სიტყვების შეცდომებიც კი, თუმცა კარგად სცოდნია, რომ ესა თუ ის სიტყვა დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი მის დედანში. ასე, ვახტანგის გამოცემაში (ერთგან იკითხება) საროს ტანისა... «საროს ტანისა» აქ დამახინჯებას წარმოადგენს. უკვე გამორკვეულია, რომ აქ უნდა იყვეს არა ორი სიტყვა «საროს ტანი», არამედ ერთი სიტყვა «საროსტანი», ანუ «სარატანი». სარატანი ნიშნავს მზის ეტლს (კირჩხიბის ზოდიაკოს), და სწორეთ ისეთი მნიშვნელობა უდგება აქ პოემის მოთხრობას. მაგრამ ვახტანგის კომენტარიებიდან სჩანს, რომ ეს კარგად სცოდნია თვითონ ვახტანგსაც. მიუხედავად ამისა პოემის ტექსტში მას ეს ადგილი არ შეუცვლია“. პ. ინგოროყვა სქოლიოში ურთავს: „კომენტარიებში ვახტანგი ასე

---

[33] ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, გვ. 391.

განმარტავს ამ დამახინჯებულ ადგილს: «საროტანი კირჩხიბსა ჰქვიან»".

მოყვანილი ტექსტის გამო კ. კეკელიძე თავის ცნობილ რეცენზიაში ამბობს: „ვახტანგს აქ არაფერი ჰქონდა შესასწორებელი. ვინაიდან, ჯერ ერთი, ის აქ ორს სიტყვას კი არ ჰკითხულობდა და გულისხმობდა, არამედ ერთს — «საროს-ტანისა». მეორე — მას «კირჩხიბის» შესატყვისად მიაჩნია «საროსტანი» და არა «საროტანი» („საროსტანი კირჩხიბსა ჰქვიანო")".[36].

საპასუხო წერილში[37] პ. ინგოროყვამ აღნიშნა. კ. კეკელიძეს „ვახტანგის ტექსტი არ მოჰყავს სწორადო", მან კვლავ გაიმეორა „რუსთველიანაში" თქმული და მწარედ დასძინა: „აქ საკითხავი რჩება მხოლოდ, რაში დასჭირდა კ. კეკელიძეს ვახტანგის გამოცემის ციტატების ასე დამახინჯება?" (გვ. 205, შენ. 1).

კ. კეკელიძე სამართლიანად აღაშფოთა მოპაექრის გამომწვევმა შემოკითხვამ და თავის მხრივ „უმსგავსო საქციელი" უწოდა პ. ინგოროყვას მოქმედებას, სიმართლის დასადგენად (ე. ი. იმის დასადასტურებლად. რომ ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანში ტექსტები ისეა დაბეჭდილი, როგორც მას წერილში მოჰყავს) „მნათობის" რედაქციას წარუდგინა ვახტანგის გამოცემის დედანი. რედაქციამ საგანგებო შენიშვნით დაადასტურა კ. კეკელიძის მიერ მოყვანილი ციტატის სისწორე [38].

თითქოს საკითხი ამოიწურა. კამათი დამთავრდა. სიმართლე კ. კეკელიძის მხარეზე დარჩა. მაგრამ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღმდგენელს ამ საგანზე მოულოდნელი სურათი გადაეშალა: ვახტანგის ნაბეჭდი ტექსტის ერთ ცალში საცილობელი სიტყვა სწორედ იმ სახით აღმოჩნდა დაბეჭდილი, როგორც ეს პ. ინგოროყვას მოჰყავდა („საროტანი"), ხოლო სხვა ცალში კ. კეკელიძის მიერ დამოწმებული ფორმით („საროსტანი"). ამის გამო ა. შანიძე შენიშნავდა: „პ. ინგოროყვას რომ (პირველნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის ის) ცალი წარედგინა, სადაც «საროტანი» იკითხება, ისიც ადვილად დაარწმუნებდა რედაქციას თავისი ციტატის სისწორეში" [39]. მაშასადამე, შემთხვევითმა გარემოებამ, ბეჭდურმა კორექტურულმა ცთომილებამ დიდი ვნებათა-

---

[36] „მნათობი", 1927, № 2, გვ. 184.

[37] კ ო რ ნ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს წერილის გამო („მნათობი", 1927, № 3).

[38] პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. კიდევ ვეფხისტყაოსნის გარშემო („მნათობი", 1927, № 5—6, გვ. 188, შენ. 1).

[39] ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი. გვ. 348. შენ. 1.

ღელეა დაპბადა. ორ ცნობილ მეცნიერს წონასწორობა დააკარგვინა და ერთმანეთის მიმართ შეუფერებელი სიტყვები აკადრებინა.

ა. შანიძემ გამოარკვია, რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ყველა ცალი კორექტურის მხრივ ერთგვარი როდია. „თითო-ოროლა კორექტურული შეცდომა ზოგ ცალში მოიპოვება. ზოგში კი არა. როგორც ჩანს, ბეჭდვის შეცდომები აქა-იქ ბეჭდვისავე პროცესში შეუნიშნავთ და მაშინვე საბეჭდავ დაზგაზე გაუსწორებიათ, ამიტომ ერთს (ან რამდენიმე) ცალში რომელიმე სიტყვა ერთნაირად იკითხება. სხვაში (ან სხვებში) — სხვანაირად" [60].

ტექნიკური ხასიათის მიზეზებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის სხვა ნაკლოვანებანიც, კერძოდ ტექსტობრივი ხარვეზები. პოემის პირველნაბეჭდ გამოცემას აკლია რამდენიმე ისეთი სტროფი, რომლებიც ხელნაწერებს შემოუნახავთ და რომელთა რუსთველისადმი კუთვნილებაში დაეჭვება ყოვლად შეუძლებელია [61]. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი არ არის თავისუფალი არც ჩანართებისაგან [62].

განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის „თარგმანი", რომელიც ვახტანგს დაუწერია. ტექსტების შინაარსობლივ-აზრობრივი ინტერპრეტაციის გარდა, ვახტანგი შიგადაშიგ ვხვდებით და წყვეტა ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ზოგ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს. არსებითად „თარგმანი" მართლაც წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას.

ვახტანგის „თარგმანი" მიზნად ისახავდა ვეფხისტყაოსნის მაღალი იდეურობისა და ზნეობრივი სიწმინდის დასაბუთებას. ვახტანგი ცდილობდა გაებათილებინა ის ბრალდებანი, რომელთაც რუსთველს უყენებდნენ რეაქციული წრეების წარმომადგენლები. „თარგმანის" დასაწყისშივე კომენტატორი ამბობს: „მე ვსწერ... გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა ამას ამისთვის: (რომ) უცოდინარობითა და სოფლის ნეთთა შემსჭვალეთა სამეძაოდ სთარგმნიდენ მის რიტო-

---

[60] ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, გვ. 343. სქოლიოში ა. შანიძე შენიშნავს: „შეიქლება ისეც მოხდა აქა-იქ, რომ პირველად ანაწყობი სწორი იყო, მაგრამ შემდეგ ბეჭდვისას დაებნათ" (იქვე, სქოლიო 1).

[61] ალ. ბარამიძე. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხისათვის (ლიტერატურული ძიებანი. V. 1949. გვ. 139—143; მისივე. შოთა რუსთაველი. 1958. გვ. 13—16) ამიტომაც მცდარია პ. ინგოროყვას მოსაზრება, თითქოს ვახტანგის გამოცემის გარეთ არ მოიპოვება რუსთველის პოემის ნამდვილი ტექსტის არც ერთი სტრიქონიც კი.

[62] ალ. ბარამიძე. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხისათვის. გვ 143 და შმდ.

რისა და ბრძენ-მეცნიერისა კეთილად ნამუშაკევისა სამუშაკოსა". ვახტანგი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის თარგმნა ტრადიციული გამხდარა, თვითონ გამოხმაურებია ამ ტრადიციას, და თავისი ბაღლონე უცდია: „აწ ესე მისმინეთ: ვეფხისტყაოსანი მე ასე მითარგმნია. და თუცა უწესოდ იყოს და ანუ უკეთ სცნოთ ვინმე. თქვენცა სთარგმნეთ. მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია. ერთი მე ასე მიეხვედი და მითქვამს; რაც რუსთველისაა, იმის გარდა არა მითქვამს რა"[63]. და ვინც გინდა იმან სთარგმნეთ. სხვის ნათქვამს როგორ სთარგმნით ყველა ეკადრება. მაგრამ ამისა უკადრისის მკადრე თავს გმობს. აწ ასრე ვსთარგმნე, ვითა მას მთქმელსა ეთქვა". როგორც ვთქვით, ვახტანგს უცდია იმ აზრის გაქარწყლება, ვითომც ვეფხისტყაოსანი უზნეობაზე ქადაგობდა. „თუცა ვინმე ამ თარგმნისას ამას ბძანებს. არა ისრე არისო, მე უგბილობაში[64] ჩამომირთმევიაო", ურთავს კომენტატორი.

ვახტანგი გვაუწყებს, რომ ვეფხისტყაოსანს ზოგიერთები დაბალი ზნეობის სულისკვეთებით გამსჭვალულ ნაწარმოებად თვლიდნენ და ამის გამო უკადრისად ექცეოდნენ მის ავტორს. უკვე არჩილი ალაპარაკებდა რუსთველს (გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, 2001:

თუმცა სჩხრეკენ ჩემს ლექსებსა, ვერ ჰპოებენ ვერსად ნაყის

ე. ი. თუმცა ბევრს ეძებენ. მაგრამ ჩემს ლექსებში ვერ იპოვიან ცუდს, ნაკიანს, წუნის მქონესო (ნაყის). რა თქმა უნდა. ამ შემთხვევაში იგულისხმება ლექსების იდეური შინაარსი და არა მხატვრული მხარე. ვეფხისტყაოსანს რომ გარკვეული საეკლესიო-კლერიკალური წრეები ანტიქრისტიანულ ნაწარმოებად აღიარებდნენ და ამის გამო პოემას დევნიდნენ, ეს კარგად ჩანს იმ ჩანართი სტროფიდან, რომელიც ხელნაწერების მიხედვით წინ უძღვის პოემის ტექსტს:

---

[63] თუ მოყვანილი ნაწყვეტის საერთო კონტექსტს გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი იქნება, რომ აქ ვახტანგი ლაპარაკობს ვეფხისტყაოსნის არა სტროფულ შედგენილობაზე, არამედ ტექსტში ჩაქსოვილ შინაარსზე. მე მხოლოდ იმას ვამბობ. რა აზრიც, რა შინაარსიც რუსთველს თავისი ლექსებით გამოუთქვამსო. ზოგიერთის ფიქრით კი, ვახტანგი თითქოს გვაფრთხილებს, მხოლოდ იმ ტექსტებს (სტროფებს) განვმარტავ, რომლებიც ნამდვილად რუსთველს ეკუთვნისო. ერთ დროს ამ საგანზე ცხარე კამათი წარმოებდა (შდრ. კ. კეკელიძე. რუსთველიანა. „მნათობი". 1927. №. 2. გვ. 184; პ. ინგოროყვა. რუსთველიანაზე პროფ. კორნ. კეკელიძის წერილის გამო. „მნათობი". 1927. № 3. გვ. 198—201).

[64] სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით უგბილი ნიშნავს ჯიუტს („თავის ჰკუაზე დაჟინებულს").

პირველ-თავი. დასაწყისი. ნათქვამია იგ სპარსულად.
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით. არსსა შეიქმს ხორცს. არ სულად;
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ არსულად,
არას გვარგებს საუკუნოს. რა დღე იქმნას აღსასრულად [65].

ცხადზე უცხადესია, რომ ამის დამწერი საეჭვოდ ხდის ვეფხისტყაოსნის მთელ იდეურ შინაარსს, იგი პოემას აცხადებს „სპარსულ" ნაწარმოებად. რომელიც ა რ ს ა დ თვლის მხოლოდ ხორცს (და არა სულსო). საერო-საამქვეყნოა, არ ახსენებს და არ ცნობს ერთ-არსება და სამპიროვან ღმერთს, ამიტომაც საიქიო ცხოვრებისათვის უსარგებლოაო.

ვახტანგი იბრძვის კლერიკალური თვალსაზრისის წინააღმდეგ ვეფხისტყაოსნის გაგების საკითხში. ვახტანგის რწმენით, ვეფხისტყაოსანი არის აღმზრდელობით-დამრიგებლობითი ხასიათის მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ადამიანის მაღალი ზნეობრივი იდეალების გამოხატვას ემსახურება. „რუსთველისა წიგნი სულ სასწაულებელი არისო" (245). „ბევრჯელ ვამბობ ყველა სასწაულო საქმეები უთქვამსო", აჯამებს თავის შეხედულებას (738). ვახტანგის „თარგმანის" მიხედვით, ვეფხისტყაოსანი ზღაპრულ თემატიკაზე აგებული საერო-მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც გვასწავლის მაღალ ზნეობას. „რადგან სამღვთო ნახა, რომ არვინ კითხულობდა, სოფლიოს ზღაპარს უფრო წაიკითხვენდენ, ს ო ფ ლ ი ო ზ ღ ა პ ა რ ი მ ო ი გ ო ნ ა ო" [66], ამბობს და განაგრძობს: „მაგრამ ასეთი ზღაპარი

---

[65] მეოთხე ტაეპის ვარიანტია:

თუ უყურა მონაზონმამ, შეიქმნების გაპარსულად.

სხვათა შორის, პ. ინგოროყვა აცხადებს, ვითომც ეს სტროფი „შემთხვევით არის გამორჩენილი ვახტანგისეულ დედანში, რადგან იგი თავისი რეალიებით უფრო არქაულია, ვიდრე ვახტანგისეული დედნის მე-16 სტროფი („ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები") (რუსთველიანა, I, გვ. 54, სქოლიო 2). უცნაური იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ ვისმეს შემთხვევით გამორჩა პოეტური ნაწარმოების პირველი დასაწყისი სტროფი.

[66] ასე ხსნიდნენ საერო პოეზიისადმი მიზიდულობას თეიმურაზ პირველი და არჩილი:

არვის უნდა ს ა ხ ა რ ე ბ ა, არცა წიგნი მოციქულთა...
თუ სამღთო რამე მესიბრძნა, შიგ არვინ ჩაიხედევდა...
მას არვინ ისმენს. ვარჩივე სოფლისა მიდ-მოდებანი
(თეიმურაზი).

საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით,
საშაიროს ინახვედენ სტავრის ბუდით, ან ნახლობით
(არჩილი).

არ უთქვამს, რომ საცოდავი იყოს“ (132). ამრიგად, ვახტანგის თვალ-საზრისით, ვეფხისტყაოსანი საერო თხზულებაა, რომელიც ალეგორიულად გამოხატავს მაღალ ზნეობრივ მოძღვრებას. თავისი პირდაპირი შინაარსით, პოემა „სოფლიო ზღაპარია“. მაგრამ ამ „სოფლიო ზღაპარში“ ჩაქსოვილია სამღვთო და საერთო სწავლანი. ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვახტანგი ბევრჯერ უბრუნდება ვეფხისტყაოსნის „სამღვთო და საერო“ დანიშნულების საკითხს. რასაკვირველია, თავის მიზნისდა შესაფერისად კომენტატორი განსაკუთრებული ბეჯითობით უსვამს ხაზს პოემის ვითომდა სამღვთო ხასიათს, კერძოდ „სამღვთო მიჯნურობას“ („მიჯნურობას სამღვთოს მიჯნურობისათვის ამბობსო“). აგრეთვე საცოლქმრო სიყვარულის იდეალებს.

ვახტანგი პოლემიკური გაცხარებით ეპაექრება ყველა იმათ, ვინც ფიქრობს, რომ „რუსთველის ნათქვამში სამღვთო არა ურევია რა“ (8) და სამეძაო აზრებს ავრცელებს. „რუსთველისათვის ამ წიგნის დაწერა რომ საბოზრად დაგიწამებიათ, იმას საბოზრად კი არ დაუწერია. ბოზებიცა და მისი მდევარიც ნამეტნავად გაულანძღავსო“ (1194). „რუსთველს ცოლქმრობის სიყვარულზე უთქვამს. არა თუ მეძაობაზედო“ [67], შენიშნავს ვახტანგი და ტენდენციურობას სწამებს ზოგ კომენტატორს: „ზოგნი, რაც კარგნი დაუწერია (რუსთველს), ამას კი არ უგდებთ ყურსა და რაც გინდათ ისე თარგმნითო“ (1475). ასევე „მრუდათ თარგმნას“ უკიჟინებს ვახტანგი ზოგიერთებს სხვა შემთხვევაშიც (865). საერთოდ ვახტანგის ადრესატია გაუპიროვნებელი „ზოგი ვინმე“ (8). ვეფხისტყაოსნის მოძულე და აუგად მხსენებელი. როგორც ჩანს, ეს „ვინმეები“ ცდილობდნენ საჭელი გაეტეხათ პოემისათვის მკითხველების თვალში. უეჭველია, რომ ამ „ზოგ ვინმეში“ იგი სამღვდელო პირებს, კლერიკალებსა და მისთანებს გულისხმობს: რადგანაც „თარგმნის“ შესავალ ნაწილშიეც შენიშნავს, რომ: „თავათ რუსთველის დროს ქალი ბატონობდა და ამგვარი მეძაობის სიტყვა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და როგორ არ უწყენდა. და მეორედ: ორი კათალიკოზი, რაჭითონი სამღდელო წმიდა და ღირსნი კაცნი იყვნეს, და ამთონი უდაბნო აშენებული იყო. ისინი — თუცა რუსთველს მოენდომებინა როდის აქნევინებდენ და ნათქვამს დაუხეველს როდის გაუშვებდენ?“

ამრიგად, ვახტანგმა ძირითადად რელიგიურ-მისტიკური ახსნა-განმარტება მისცა ვეფხისტყაოსნის ნათელ შინაარსს. ეს ტენდენციური განმარტება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. როგორც თავის

---

[67] ცოლქმრული სიყვარულის საკითხს ვახტანგი ბევრჯელ ეხება: „ცოლქმრობა რომ შცოდველია“, ეს ხომ იცითო. აგონებს მკითხველებს (160).

ადგილას აღვნიშნეთ, სწორედ ვახტანგის „თარგმანმა" გააბოროტა საეკლესიო კლერიკალური საზოგადოება და ბრძოლის გუნებაზე დააყენა. არც პატივისმცემლებმა მოუწონეს ვახტანგს „თარგმანი". მაგალითად ბროსე წერდა: „ვახტანგ მეფემ დააბეჭდვინა ვეფხისტყაოსნის განმარტება, რომელიც ფრიად უშესაბამო და უხამსია" [68]. დ. ჩუბინიშვილის სიტყვით კი „**странно и даже неприлично было бы видеть в этом создании (Руставеля) какую-то мистическую христианскую поэму**" [69].

რასაკვირველია, ნაძალადევი და ხელოვნურია ვახტანგის „თარგმანის" ძირითადი ხასიათი. ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს ის გარემოება, რომ ვახტანგს ამოძრავებდა კეთილშობილური სურვილი გადაერჩინა ვეფხისტყაოსანი კლერიკალურ-რეაქციული საზოგადოების დევნისაგან, თორემ ყველაფრიდან ჩანს, რომ ის მაინცადამაინც დარწმუნებული არც კი ყოფილა თავისი თვალსაზრისის უცილობლობაში [70]. ამისი საბუთია ვახტანგის გამოტეხილი აღსარება, რასაც ვპოულობთ „თარგმანის" შესავალი ნაწილის დასასრულში: „თუ უნდა ესეც არ იყოს და ისე იყოს, თ ა რ გ მ ა ნ ი ხ ო მ ა ს რ ე ს ჯ ო ბ ს". ვეფხისტყაოსნის დაცვის მიზნით პოემის ალეგორიულად განმარტების თვალსაზრისის წამოყენებას ვახტანგს უკარნახებდა სხვა არა იყოს რა თავისი მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობაც. დამოწმებული სიტყვების შემდეგ ვახტანგი განაგრძობს: „ღვთისა და კაცს წინ მე ასე მიჯობინებია. და ამას იქით მკითხველთ იცით, მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ. ქ ვ ე ყ ნ ი ს უ ფ რ ო ს ა ვ ი ს დ ა მ შ ლ ე ლ ი ხ ა მ ს და ა მ ა დ დ ა ვ შ ვ ე რ ო".

ვეფხისტყაოსნის დევნა უთუოდ ავი და სააუგო საქმე უნდა ყოფილიყო. ვახტანგი თავის მოვალეობად თვლიდა, დაეშალა ეს ავი საქმე. ამისათვის ადმინისტრაციულ ზომებს კი არ მიმართა, არამედ პოემა ბეჭდურად გამოაქვეყნა. გამოცემას დაურთო სპეციალური ახსნა-განმარტება, რომლითაც შეეცადა დაეჩუმებინა პოემის მოძუ-

---

[68] პოემის მეორე გამოცემის წინასიტყვა. გვ. XII.

[69] ჟართული ქრისტომატია, II, 1846, გვ. V

[70] ალ. ბარამიძე. შოთა რუსთაველი. 1958. გვ. 373—374. ამ თვალსაზრისს ავითარებს აგრეთვე შანიძეც (Первопечатное издание поэмы Руставели. „Заря Востока". 13.VI.62).

ლენი და მკითხველები დაერწმუნებინა რუსთველის მოძღვრების ზნეობრივ უზადოობაში [71].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის „თარგმანის“ ხასიათი არ შეიძლება აიხსნას ავტორის გულუბრყვილობით [72]. როგორც ჩანს, ამ „თარგმანის“ ხასიათს სხვა გარემოებანიც განაპირობებდა.

ვახტანგის ლექსიკონში „მოიპოვება სუსტი ადგილები და ზოგჯერ გაუგებრობანი და შეცდომებიც, მაგრამ საერთოდ ლექსიკონი კარგია და თავის დროისათვის ჩინებული“ (აკაკი შანიძე). უნდა ვიცოდეთ, რომ ვახტანგმა პირველმა სცადა ვეფხისტყაოსნის სპეციალური ლექსიკონის შედგენა. ლექსიკონში ბევრი სიტყვა განუმარტებელია. ავტორი თვითონვე აღიარებს: „მე თარგმანი მრავალი დამირჩაო“. მიზეზად ორ გარემოებას ასახელებს: პირველი მიზეზი „მოუცლელობა“ ყოფილა; „მეორედ: გზა და რიგი გამირკვევია, ვისცა თარგმანი გინდათ, ასეა ამისი თარგმანი, და აწ თქვენ ამ გზით თარგმნიდეთ და ამის ბაასობაზედ შეექცეოდეთო“. დასასრულ ურთავს: „თუცა სულ მეთარგმნა, სხვა რას იქმოდაო?“.

ვახტანგს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის სიძნელეებს არ ერიდებოდა, არც მალავდა, ამა და ამ სიტყვის მნიშვნელობა „არ ვიცოდი“, ან „ვერ გავარჩიეო“, შენიშნავს. განცვიფრებას იწვევს ის საუცხოო ალღო, რაც ვახტანგს გამოუჩენია ზოგი რთული ადგილის განმარტების დროს. სანიმუშოდ დავასახელებ ერთ ცნობილ მაგალითს [73]. ტარიელი იხმეს სასახლეში, დაუყოვნებლად ეახლა მეფედედოფალს. „ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს სახითა ოდენ სამითა“-ო (507,3). ასე იკითხება უმრავლეს ხელნაწერში, თუმცა აშკარა უაზრობაა, დარბაზში თითქოს ყოფილა ორი პირი სამი სახით. ვახტანგს შეუმჩნევია ეს უაზრობა. უცდია

---

[71] უცნაურად გვეჩვენება ჩვენ ამის თაობაზე ალ. ცაგარლის სიტყვები: „Когда при оценке политических произведений руководствуются полицейскими соображениями и побуждениями, тогда от подобной критики много толку ждать нельзя“ (О грамматической литературе грузинского языка, СПб. 1873, 103).

[72] შდრ. ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 147—148. ალ. ცაგარლის მოსაზრებით, ვახტანგის თარგმანი თითქოს იმ მხრივ არის საინტერესო, რომ „показывают совершенное извращение вкуса к изящному даже у передовых людей того времени и непонимание лучшего произведения классического периода груз. литературы“ (О грамматической литературе, გვ. 103).

[73] ალ. ბარამიძე. შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 11—13.

ტექსტის ახსნა. წერს: „სახითა ოდენ სამითა რომე სწერია, მართლა კი არ ვიცი, და მე ასრე მგონია: ორნი — მეფე-დედოფალნი და მესამე ერთი ვეზირი მისანდოც. თუ ასრე არ დაეწერა «სახითა ოდენ სამითა» ლექსი არ გაიწყობოდა და ერთს კიდევ ამას ვეპოვ. რომე ვითაც ხელმწიფენი ღვთის ჩრდილად რომ არიან თქმულნი. ორნი ერთად რომ ისხდენ სახით სამითა ვითამ კინაღარ სამების სახედ ისხდენო". ვახტანგი კარგად დაკვირვებია ტექსტს, „მართალი" არ ვიცოდიო. გულწრფელად აღნიშნავს და გვთავაზობს რამდენიმე შესაძლებელ ახსნას. მთავარი ისაა, რომ ძნელი ადგილისათვის მას გვერდი არ აუბვევია და ტექსტის გააზრიანება უცდია. საგულისხმოა, რომ შემდეგ ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის მომზადებამდე (1936 წ.) პოემის არც ერთ გამომცემელსა და კომენტატორს (მათ შორის არც თეიმურაზ ბატონიშვილს) არ უცდია ამ ბუნდოვანი ადგილის განმარტება, ან ტექსტის გასწორება. წარყვნილი სიტყვა გამართა საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენმა კომისიამ. ტაეპი ახლა ასე იკითხება:

ვნახე. ორნივე ერთგან სხდეს ხ ა ს ი თ ა ოდენ სამითა.

ხ ა ს ი თ ა-ს გადაკეთება გამოთქმით ს ა ხ ი თ ა ადვილი ასახსნელია გრაფიკულ ნიადაგზე (ხ და ხ ასოების არევას იწვევს ამ ასოების მოხაზულობის მსგავსება). არავითარი ეჭვი არაა, რომ თავდაპირველად იყო სწორედ აღდგენილი სიტყვა ხ ა ს ი თ ა[74]. ხასი პოემაში სხვაგანაც გვხვდება, ნიშნავს დიდებულს, წარჩინებულს. მაშასადამე, ტარიელს დარბაზში დახვედრია მეფე და დედოფალი ს ა მ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი თ. ვახტანგის გუმანი (მეფე-დედოფალს გარდა მისანდო ვეზირიც იყოო) გამართლებულია.

ერთგან ვახტანგი განმარტავს არქაულ სიტყვას ა ღ ვ ს ე ბ ა ს (552,2) და მშვენივრად ამბობს: „აღვსება აღდგომა არის და ქართველის კაცის გულისათვის უთქვამსო". დიახ, ვეფხისტყაოსანი ახალისებს ყოველი მკითხველის (ნამეტნავად ქართველი მკითხველის) გულს და სწვრთნის მის ინტელექტს.

ვახტანგი ხშირად ჩერდება ვეფხისტყაოსანში ასახული პატრონყმური ურთიერთობის საკითხების განმარტებაზე (პატრონყმობა მას ბატონყმობის შესატყვის სოციალურ ინსტიტუტად ეხატება). 65-ე სტროფის („ყმა მეფისა ბრძანებასა ლაღი წყნარად მოისმენდა") „თარგმანში" ვკითხულობთ: „ეს ბატონყმობის სასწავლელად უთქვამს. ბატონის ბრძანება ყმამ წყნარად და გასინჯვით უნდა მოისმა-

[74] ასე იკითხება ეს სიტყვა რამდენიმე ხელნაწერშიც.

ნოს და კიდეც უნდა რცხვენოდეს და კიდეც უნდა ეშინოდეს". ვახტანგი უწონებს რუსთველს პატრონყმური ერთგულების იდეის დაცვას. 802-ე სტროფის მეოთხე ტაეპის („პატრონისა ვერა-მჭვრეტ მან ყმამან რამცა გაიხარნა.") გამო კომენტატორი ურთავს: „ესე მართლა დაუწერია, თავის ბატონის ვერ მჭვრეტი ყმა ვერას გაიხარებს".

ერთადერთ შემთხვევაში ვახტანგი ეკამათება რუსთველს და არსებითად უარყოფს ვეფხისტყაოსნის ტექსტით გამოხატულ აზრს. თქმული შეეხება 183-ე სტროფის მეოთხე ტაეპს („ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს"). დამოწმებული ტაეპის პირველი ნახევრის შესახებ ვახტანგი შენიშნავს: „ეს რომ სწერია, ავს კარგად ვერ შესცვლისო, ეს ხომ ბევრი ქნილა ავი კარგად შეცვლილ იყოს. თუ კაცზედ უთქვამს. ურჯულო რომ რჯულიერად მოიქცეს, ეს ხომ ბევრი ქნილა. და ბევრი ქურდი და კაცის მკვლელი ავს საქმეს მოიკვეთს და ალარ იქს". 183-ე სტროფის კომენტარს დასტყობია სჯულმდებლის კაცთმოყვრული სულისკვეთების ზემოქმედება...

„თარგმანში" ვახტანგი ეხება ვეფხისტყაოსნის ამბის ანუ ფაბულის საკითხს. ვახტანგი განმარტავს თავისი გამოცემის მე-16 სტროფს („ესე ამბავი სპარსული") და აცხადებს: „ეს ამბავი სპარსში არ არის. და სპარსთ კაი მელექსობა იცოდნენ. და თამარ მეფე კარგი და ძალიანი ხელმწიფე რომ იყო, ვითამ ეს მაზედ მოინდომა: ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო, რომე ქართლშიაც არ იყოსო, და უბრძანა მის მდივანს რუსთველს ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო. აწ იმას ამბობს სპარსულის მიბაძვით, რადგან ათქმევინა თამარ მეფემ, რომ სპარსთაგან ვსთარგმნეო, თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება, ამბავიც თვითან გაკეთა და ლექსადაც". მე-5 სტროფის („მიბრძანეს მათდა საქებრად") განმარტების დასასრულშიც ნათქვამია: „ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიცა".

ვახტანგი სპარსული მწერლობის კარგი მცოდნე იყო. მან სპარსულიდან ქართულად გადმოთარგმნა რამდენიმე საყურადღებო ძეგლი, მათ შორის მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული იგავ-არაკების კრებული „ქილილა და დამანა". ვახტანგს გულმოდგინედ უძიებია სპარსულ ლიტერატურაში ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი, მაგრამ ვერ უპოვია. მკვლევარი-კომენტატორი საბოლოოდ დარწმუნებულა, რომ ვეფხისტყაოსნის მსგავსი „ამბავი" სპარსეთში არ არის, რომ ვეფხისტყაოსნის ფაბულაც რუსთველს შეუთხზავს და პოეტურადაც მას დაუმუშავებია ტექსტი. რომ ვეფხისტყაოსანი ყოველმხრივ ორიგი-

ნალური მხატვრული ნაწარმოებია. ვახტანგის ცნობის სისწორე ბევრჯერ დადასტურდა. არც სპარსეთში და აღმოსავლეთის არც სხვა რომელიმე ქვეყანაში არ აღმოჩნდა (მიუხედავად ძიების მრავალგზისი ცდისა) ვეფხისტყაოსნის რაიმე ნაკვალევი, ვეფხისტყაოსნის მსგავსი ლიტერატურული ნაწარმოები თუ ხალხური თქმულება. ვეფხისტყაოსნის ფაბულის უცხოური წარმოშობილობის თეორიას ვახტანგმა მეცნიერული საბუთიანობით გამოაცალა ყოველგვარი ნიადაგი. ესეც ვახტანგის ერთ-ერთი დიდი ისტორიული დამსახურებაა ქართული პოეზიის და მისი დიდების, რუსთველის ვეფხისტყაოსნის წინაშე [75]. ვეფხისტყაოსნის შესწავლა შემდეგ იმ გზით წარიმართა, რომელიც ვახტანგმა გაწალდა.

დიდია ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა ჩვენი ერის კულტურის ისტორიაში. როგორც ვთქვით, ბეჭდური გამოცემით ვახტანგმა ხელმისაწვდომი გახადა მკითხველი საზოგადოებისთვის ქართული პოეტური შემოქმედების უკვდავი ძეგლი. ვახტანგმა კიდევ უფრო დაუახლოვა და შეაყვარა ქართველობას რუსთველის მშვენიერი პოემა. სწავლულმა გამომცემელმა საქვეყნოდ ამხილა და გაკიცხა რეაქციული საეკლესიო-კლერიკალური წრეები, რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ ვეფხისტყაოსნის ცხოველმყოფელ პროგრესულ მსოფლმხედველობას და დაუნდობლად ებრძოდნენ ჩვენს სასიქადულო ეროვნულ განძს. ვახტანგი შეეცადა განემარტა მკითხველებისათვის ვეფხისტყაოსნის მაღალი ეთიკური იდეალები და დაეცვა პოემა ბოროტგანმზრახთა ხელყოფისაგან [76]. თავისი „თარ-

---

[75] მ. მახათაძე ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს ქართული მწერლობის ე. წ. აღორძინების პერიოდის „არც ერთი წარმომადგენელი არ იზიარებს ვეფხისტყაოსნის ირანულ (სპარსულ) წარმოშობას" და თითქოს „ვახტანგს (ან არჩილს) ვერავითარ ნოვატორობას ვერ მივაწერთ (რუსთველის) პოემის გენეზისის საკითხის გაშუქებაში" დიდი უსამართლობა იქნებოდა მ. მახათაძის შემდეგი დებულების გაზიარებაც: „ვახტანგი მხოლოდ კონსტატაციას ახდენს იმ ერთადერთი შეხედულებისას პოემის წმინდა ქართული წარმოშობის შესახებ, რომელიც მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული ჩვენში" (ვახტანგის როლის გაასაზღვრისათვის რუსთაველმცოდნეობის ერთი საკითხის გაშუქებაში, „ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები", XIV, 1955, გვ. 134). არა. ვახტანგმა დაარღვია ჩვენში მანამდის განმტკიცებული შეხედულება ვეფხისტყაოსნის ფაბულის უცხოური (სპარსული) წარმოშობის თაობაზე. მან დაამტკიცა, რომ რუსთველის შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფია ვეფხისტყაოსნის როგორც ლექსი, ისე სიუჟეტი (ფაბულა), რომ რუსთველი უბადლო ორიგინალური პოეტი-მოაზროვნეა.

[76] მიუღებელია მ. მახათაძის მოსაზრება, თითქოს ვახტანგი აზვიადებს ვეფხისტყაოსნის დღევნის ისტორიას (იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 132).

გმანით" ვახტანგმა საფუძველი ჩაუყარა ვეფხისტყაოსნის შესწავლის საქმეს. მეცნიერული რუსთველოლოგია თავის ანალებს იწყებს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის გამოსვლის დღიდან. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი ამ პოემის პირველი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემაა. ეს გამოცემა ცხადჰყოფს მაშინდელი ქართული ფილოლოგიური აზრის საკმაო მოწიფულობას. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი მაშინდელი ქართული პოლიგრაფიის მაღალი ტექნიკური დონის საილუსტრაციო საბუთიცაა. აღტაცებას იწვევს პირველნაბეჭდი ვეფხისტყაოსნის სოლიდური გარეგნობა, მხატვრული გაფორმება, საუცხოო ყდა, ძვირფასი სამკაულები, მშვენიერი შრიფტი... [77].

ვეფხისტყაოსნის პირველი ბეჭდური გამოცემის 250 წლის თავზე ჩვენი ხალხი მადლობის გრძნობით იხსენიებს ამ გამოცემის სულის ჩამდგმელს, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს და ქართული კულტურის დიდ მოამაგეს ვახტანგ მეექვსეს.

---

[77] ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის გაფორმების საკითხებს იხილავენ: ა. შანიძე (ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, გვ. 403—409). ქრ. შარაშიძე (პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 106—123), შ. კვასხვაძე, ვახტანგ მე-6 სტამბის წიგნი, თბილისი. 1952

О ГУМАНИСТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ ГРУЗИНСКОЙ КЛАССИЧЕСКОЙ ЭПОХИ

(По поводу выступления профессора Г. Деетерса)

Средневековая Грузия достигла своего наивысшего развития в политическом, экономическом, социальном и культурном отношениях в XII веке. Грузия того времени — сильная феодальная держава, игравшая значительную роль в истории народов Ближнего Востока. В жизни грузинского народа это был период могучего подъема материальных и духовных сил. Поражают величие и красота дошедших до нас монументальных памятников зодчества, тонкость и изящество живописи, ювелирного дела, чеканного искусства, художественного рукоделия и т. д.[1] Особого развития достигла письменность, словесное искусство. Не позднее конца XI века зародилась и пышно расцвела светская литература, особенно поэзия; церковно-религиозная литература же, потеряв свое прежнее господствующее положение, обретала все более и более конфессионально-исповедническую и книжно-схоластическую окраску.

XII век — классический период в истории грузинской духовной культуры. Светская литература этого периода носит ярко выраженный самобытный характер, однако она развивалась в тесной взаимосвязи с литературами соседних стран, в первую очередь с персидско-таджикской, азербайджанской и армянской литературами. На грузинский язык переводились творения античных греческих авторов, лучшие произведения персидско-таджикских и азербайджанских писателей («Шахнамэ» Фирдоуси, поэмы Низами, Онсори, Гургани и др.). Со своей стороны, высокий уровень грузинской культуры находит отражение в творчестве великих азербайджанских поэтов — Хакани и Низами.[2]

Из литературного наследия грузинской классической эпохи очень многое и ценное утеряно в результате катастрофических событий последующих веков (монгольские нашествия),

но всё же уцелевшие памятники дают возможность до некоторой степени восстановить картину общего состояния литературной жизни страны.

Древнегрузинская светская литература многообразна и богата по жанрам. Наибольшего развития достигли эпические жанры. Одним из ранних произведений светской литературы считается героическая повесть «Амирандареджаниани», в некоторой степени созвучная широкораспространенному в Грузии героическому сказанию о богоборце Амирани. О глубоко человеческой и сильной любовной страсти повествуется в грузинской редакции персидско-таджикской поэмы «Вис-о-Рамин» — «Висрамиани». Чувством высокого национального самосознания проникнуты замечательные памятники грузинской панегирической поэзии XII века — «Абдулмессия» Иоанна Шавтели и «Тамариани» Чахрухадзе,[3] а также сочинения грузинских историков, особенно «История и восхваление венценосцев».[4] Любопытна судьба неизвестного грузинского поэта-путешественника XII века, объездившего многие страны Востока и Запада и успешно выступавшего с чтением своих стихов, по-видимому, на персидском и арабском языках (о нем повествуется в «Тамариани»). Венцом и непревзойденным образцом грузинской поэзии классической эпохи является знаменитая поэма Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре».

Все памятники древнегрузинской светской литературы в большей или меньшей степени носят печать гуманизма, патриотизма, антидогматизма и антиклерикализма. Эти моменты с особой силой выступают в поэме Руставели.

Сюжет «Витязя в тигровой шкуре» развертывается на огромном географическом пространстве, персонажи поэмы — представители разных народов (в том числе и вымышленных). Искусно пользуясь приемом сюжетной маскировки, Руставели художественно правдиво отображает разнообразную и сложную действительность Грузии XII века. Ярко и точно выражает поэт свои религиозно-философские и социально-политические взгляды, с тонкостью великого мастера слова раскрывает он характеры героев, в действии показывая их богатый духовный мир. Глубокая психологическая характеристика персонажей и проникновенный показ внутренней сущности явлений — яркая черта творческого новаторства Руставели, непревзойденного мастера грузинского художественного слова и грузинского стиха.

Нельзя не согласиться с Г. Гуппертом (автором нового немецкого перевода «Витязя в тигровой шкуре»), что поэма Руставели по внешней форме напоминает рыцарский роман того типа, который выработался в Западной Европе.[5] Однако вызывает удивление и возражение вскользь высказанное мне-

ние Г. Деетерса о том, что очарованию поэмы Руставели по существу мы, якобы, обязаны только ее форме, в то время как ее идейное содержание (Ideengehalt) не может выдержать сравнения с современными ей произведениями других народов.[4]

Выступая с этим заключением, Г. Деетерс ссылается на свою же собственную статью, опубликованную в OLZ в 1937 г. (№-8/9, стр. 544—548), в которой он полемизирует с проф. Ш. Нуцубидзе по поводу его работы «К мировоззрению Руставели» (Труды Тбилисского университета, 1936, I, стр. 1—62). Высказав очень правильную мысль о том, что опасно „jeden allgemeinen Satz gleich auf die philosophisch-terminologische Goldwaage zu legen"[5], Г. Деетерс в частности упрекает грузинского ученого в чрезмерном преувеличении при сопоставлении Руставели и Данте. В статье Г. Деетерса в общем плане говорится и о «восточных элементах» поэмы Руставели. Мы согласны с Г. Деетерсом в том, что при сопоставлении Руставели и Данте иногда действительно допускаются излишние вольности и преувеличения. Нам кажется, что вообще и принципиально не совсем правильно обычное сопоставление этих величайших поэтов древности; чаще всего подобные сопоставления носят не исторический, а случайный и декларативный характер. Нельзя забывать, что Данте творил примерно на целое столетие позже Руставели, его произведения ни тематически, ни в отношении поэтического жанра ничего общего не имеют с «Витязем в тигровой шкуре». Поэму Руставели можно и нужно сопоставлять в первую очередь с рыцарскими и героическими романами средневекового Запада и с романтическими поэмами Гургани и Низами.

Крайне резкое заключение Г. Деетерса относительно идейного содержания «Витязя в тигровой шкуре» совершенно не обосновано, хотя внешне и представлено в форме предельно обобщенной формулировки.

Очень правильно рассуждает английский литературовед М. Боура: «Если сравнить «Витязя в тигровой шкуре» с восточными и западными поэтическими романами, относящимися к тому же столетию, то мы можем увидеть много общего», но Руставели «идет по своему собственному пути».[6] А это определенно говорит в пользу грузинского поэта.

По единодушному мнению выдающихся медиевистов, Руставели выгодно отличается от своих европейских собратьев (например, Вольфрама фон Эшенбаха и Кретьена де Труа) религиозным свободомыслием. По словам акад. В. Ф. Шишмарева, «в противоположность крупнейшим поэтам западноевропейского средневековья, Шота чужд какой-нибудь исповедной или церковной доктрины», хотя поэт хорошо был начитан в

библейских текстах". Такого же мнения придерживаются акад. А. Белецкий[10], акад. И. Луппол[11], М.Боура[12] и др. Кстати, и Г. Деетерс считает бесспорным „die undogmatische religiose Überzeugung des Dichters" (т. е. Руставели).[13] Поэма Руставели в значительной степени свободна и от сказочно-фантастических элементов: даже руставелевские каджи (буквально злые духи) очеловечены, наделены материальными и реалистическими чертами в образе людей.

«Витязь в тигровой шкуре» — волнующая поэма о любви и преклонении перед женщиной. Еще в 1910 г. акад. Н. Я. Марр отмечал, что «культ женщины, идеализованная любовь с преклонением перед нею — детище .... изысканно образованного грузинского общества эпохи Тамары».[14]

Руставели в прологе своей поэмы четко и ясно определяет сущность любви и устанавливает ее сложный кодекс. Поэт различает три основных вида любви. Первый вид — это божественная любовь, «отпрыск высоких родов (понятий)». Он признает, что это важнейшая, самая ценная форма любви, но «ту любовь познать не может даже жизнью умудренный». Явно отмежевываясь от любви первого вида, Руставели ратует за второй род любви, за возвышенную з е м н у ю любовь, говоря, что сам воспел лишь земные, человеческие («плотские») чувства. Хотя «чистым сердцем ты достигнешь совершенства неземного», — внушает поэт читателю, категорически отвергая третий вид любви — любовь грубо-чувственную, низменную, подобие распутства. Проповедуемая Руставели любовь — не отвлеченная, беспредметная духовная страсть, а глубокое земное человеческое чувство. Трактовка отдельных аспектов любви имеет много общего с западноевропейскими поэмами, но в последних любовь «не является полной системой жизни», как для Руставели.[15] По поэме «Витязь в тигровой шкуре» любовь вызывает к жизни все лучшее, что кроется в человеческой природе, она стимулирует человека на героические дела, на самопожертвование. Руставелевская любовь и для мужчины и для женщины — тяжелое испытание; только героическим порывом и доблестью может завоевать мужчина сердце избранницы, только рыцарской самоотверженностью, безукоризненным выполнением общественного долга, самозабвенной преданностью отечеству можно заслужить доверие возлюбленной. Что особенно важно, Руставели считает любовь основой семьи и брака. Поэт провозглашает свободу чувств, резко осуждая принуждение и насилие в выборе супруги. Ф. Энгельс говорит, что в средние века «было неслыханным делом, чтобы в качестве основания для брака взаимная склонность сторон преобладала

над всеми другими соображениями».[16] Именно это «неслыханное дело» и воспел великий грузинский поэт XII века.

«Витязь в тигровой шкуре» — восторженный гимн женской чести, свободной женской любви. Поэт утверждает равенство мужчин и женщин, подчеркивая, что как детеныши льва (будь то самка или самец) равны между собой, так же равны мужчины и женщины. Руставели создал неувядаемый женский образ в лице нежной и мужественной Нестан-Дареджан (по образу Тамары), способной подавлять обуревающие ее личные чувства во имя защиты родины от врагов. Но кроткую, тихую, целомудренную Нестан-Дареджан охватывает ярость тигрицы, дух мятежного протеста в защиту попранных человеческих прав, прав на любовь. Нестан-Дареджан никогда не теряла самообладания. Это она, хрупкая телом, но духом могучая, в самый тяжелый момент своей жизни произносит мудрейшие слова:

Жалок, кто, поколебавшись, на себя подымет руку:
Смертный в тяжких испытаньях должен к разуму взывать!

Знаменитое письмо Нестан-Дареджан к возлюбленному из Каджети является ярчайшим поэтическим выражением величия женской любви, торжества разума над страстями, вдохновенной исповедью человека, готового на любые подвиги и на любые жертвы во имя возвышенных целей.

Такой любви и героини, подобной Нестан-Дареджан, не легко найти в средневековой литературе Запада или Востока. Конечно, в гениальной поэме Низами «Лейли и Меджнун» описана великая сила чистой, добродетельной, самоотверженной любви, но эта любовь высоких устремлений не предназначена, так сказать, для житейского счастья людей. Еще больший интерес вызывает прекрасная поэма Низами «Хосров и Ширин». Центральный образ поэмы, Ширин—образ замечательной волевой женщины, умной и инициативной, тонкой и проницательной, смелой, решительной, умеющей любить и ненавидеть. Но всепоглощающая сила любовной страсти как-будто в ней подавляет и заглушает голос честолюбия и чувства женского достоинства; она сравнительно легко и безболезненно примирилась с оскорбительными выходками Хосрова. Хосров не раз унижал ее и надсмехался над ней (предложение стать наложницей, кощунственное соболезнование по поводу смерти Фархада, женитьба на Мариам и Шекер и др.). Во имя любви все прощается развратнику и прожженному себялюбцу Хосрову.

Нестан-Дареджан—женщина иного характера и иного склада мыслей. Когда в припадке ревности ей показалось, что Тариэл изменил клятвенному слову любви и задета ее женская честь, она ожесточилась как разъяренная тигрица и непоколе-

бимо решила жестоко наказать возлюбленного, навсегда изгнав его из пределов родной страны.

Вместе с тем нужно учесть, что ряд ученых прообразом Ширин считает грузинскую царицу Тамар,[17] а по научно обоснованному мнению проф. Е. Э. Бертельса, «создать образ Ширин ему (т. е. Низами.—А. Б.) в значительной степени помогла близость к христианским кругам. При смешанном характере населения Ганджи и ее близости к Грузии поэт не мог не знать о том, что женщина там была свободна и не подвергалась тому униженню, которое было обычно в стране мусульман».[18]

Слов нет, у Низами и Руставели немало отдельных общих черт, но в целом, в трактовке основных элементов „Ideengehalt". в частности в трактовке любви, они расходятся и идут по разным путям.

Поэму Гургани «Вис-о-Рамин» Руставели мог читать по-грузински, однако свою поэму он строит на диаметрально противоположной морально-этической основе.

Константин Бальмонт, автор первого полного русского перевода поэмы Руставели, писал: «Во всей европейской поэзии ни с чем, быть может, нельзя сравнить несравненную поэму грузинского певца, кроме лучшей средневековой сказки любви и смерти, — я говорю о бретонской повести Тристана и Изольды, слагавшейся приблизительно в одно и то же время, что и напевное сказание Руставели».[19] Но любовь Тристана и Изольды была порождена сверхъестественными волшебными чарами (они случайно испили волшебный любовный напиток), что и предопределило их дальнейшую судьбу.

Таким образом, было бы ошибкой утверждать, что Руставели уступал кому бы то ни было из средневековых поэтов в силе и оригинальности изображения чувства подлинно человеческой любви. Пожалуй, К. Бальмонт не очень преувеличивал, заявляя, что «Витязь в тигровой шкуре»—«это лучшая поэма любви, какая когда-либо была создана в Европе»,[20] да и не только в Европе, добавим мы от себя.

Некоторые ученые (напр. академики Н. Я. Марр[21] и И. А. Джавахишвили)[22] считают, что в поэме Руставели над мотивом любви превалирует мотив дружбы. Не разделяя этого мнения, мы признаем, что в «Витязе в тигровой шкуре» дружба играет исключительно важную роль и порой действительно может казаться, что она выступает на первый план. В поэме Руставели крепчайшими узами дружбы связаны не два (как обычно в средневековых произведениях), а три прекрасных витязя (как это бывает и в грузинском фольклоре). Вместе с тем, дружба героев у Руставели носит специфическую грузинскую форму побратимства. Побратимство отнюдь не противо-

поставляется чувству любви, наоборот, побратимство и любовь находятся в неразрывной связи. Можно сказать, что побратимство — органическая часть и порождение чувственной любви. Герои Руставели побратались на основе всеобъемлющей силы любви, во имя носительницы этого чувства — Нестан-Дареджан. Побратимство трех героев «Витязя в тигровой шкуре» символизирует дружбу народов. Араб Автандил, индиец Тариэл и мулгазарнец Придон не только стали задушевными личными друзьями-побратимами, но и связали узами дружбы возглавляемые ими народы. Спрашивается, в каком другом средневековом произведении выступает так своеобразно и так сильно как у Руставели, захватывающая, мужественная, самоотверженная дружба побратимов, перерастающая в дружбу народов? Лучезарна беспрецедентная дружба между представителями разных полов (Тариэлом и Асмат) у Руставели.

Мы не будем задерживаться на институте «патронкмоба» (разновидности вассалитета), ярко отраженной в поэме, который Н. Я. Марр квалифицировал как «продукт местной жизни, родной (грузинский) институт».[29] Не будем касаться и многих других сторон поэмы, отметим только, что Руставели один из первых в мировой литературе дал колоритную реалистическую картину купеческой жизни, противопоставленной идеализованной жизни куртуазно-рыцарского общества.

Руставели впитал в себя все богатство древнегрузинской письменной культуры и одновременно, следуя лучшим традициям народной словесности, развил и поднял на небывалую высоту грузинскую поэзию. Идеи, отраженные в поэме «Витязь в тигровой шкуре», глубоко самобытны, народны и национальны. Руставели — певец лучших идеалов и чаяний грузинского народа. Но ему совершенно чужда какая бы то ни была национальная ограниченность или замкнутость. Мир идей Руставели имеет общечеловеческое значение. Хотя идеи возвышенной любви, патриотизма, побратимства, дружбы, идеи героических дерзновений, воспетые Руставели, народно-национальны, но такие идеи присущи и другим народам—малым и большим. Однако грузинскому поэту удалось художественно воплотить эти прекрасные идеи в образцовую поэтическую форму еще в XII веке, в условиях мрачного средневековья, в условиях господства религиозно-мистической идеологии.

Из сказанного вытекает, что Руставели — великий гуманист, в центре его внимания — любовь к человеку, ч е л о в е к, во всей совокупности и непосредственности его чувств, переживаний, страстей и устремлений. В противовес средневековому умственному затворничеству, церковно-аскетической морали Руставели провозгласил свободу человеческой личности, сво-

боду мысли и всей душевной жизни. Он воспел интеллектуально возвышенного, морально чистого человека, его земные, материальные, но вместе с тем возвышенные идеалы. Поэма «Витязь в тигровой шкуре» — гимн прекрасной, содержательной, целеустремленной человеческой жизни, человеческой личности, не предопределенной и не ограниченной в действиях ни божественным провидением, ни роком. Гуманизм Руставели проявляется и в идее любви, и в идее содружества, братства людей и народов, в его беззаветной любви к родине, в его проповеди объединения родной страны, в беспощадной ненависти ко всем ее врагам. Своим свободомыслием, своими идеалами Руставели предвосхитил гуманистические идеи раннего Ренессанса. Руставелевские идеи так же свежи, прекрасны и оригинальны, как восхитительны его бесподобные стихи.

1) Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давида Гареджи, Тб., 1948; Его же. Грузинское чеканное искусство с VIII по XVIII век. Тб., 1957; Ш. Я. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, I, Тб., 1957.

2) Ю. Н. Марр, Грузинские слова в изданных К. Г. Залеманом четверостишиях Хакани (Бюллетень КИАИ, № 6, 1930, стр. 10—13); Его же, К вопросу о позднейших толкованиях Хакани (Хакани, Незами, Руставели, Л., 1935, стр. 7 — 14); А. Болдырев: Два ширванских поэта, Низами и Хакани (Памятники эпохи Руставели, Л., 1938, стр. 111—138; Искандер-намэ, Перевод и редакция проф. Е. Э. Бертельса, Баку, 1940, стр. 18; проф. А. Маковельский, О поэме Низами — «Искандер-нама» (Сборник Низами, IV, 1947, стр. 60).

3) Древнегрузинские одописцы. Грузинский текст исследовал, издал и словарем снабдил Н. Марр (ТР., IV, 1902).

4) История и восхваление венценосцев. Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил проф. К. С. Кекелидзе, Тб., 1954.

5) Schota Rustaveli. Der Recke im Tigerfell. Altgeorgische Poem. Deutsche Nachdichtung von Hugo Huppert. Berlin. 1955, стр. 206.

6) См. рецензию Г. Деетерса на немецкий перевод «Витязя в тигровой шкуре» Гупперта (Orientalistische Literaturzeitung. 1958. № 1/2, стр. 59).

7) См. отклик Г. Деетерса на статью Ш. Нуцубидзе (OLZ.1937, № 8/9. стр. 548).

8) Inspiration and Poetry by M. H. Bowra. Лондон, 1955. стр. 52—58 (Пользуюсь русским переводом работы Боура, выполненным С. Б. Серебряковым).

9) Проф. В. Ф. Шишмарев, Шота Руставели (несколько параллелей и аналогий) ИАН СССР, Отделение общественных наук, 1938, № 3, стр. 40—41.

10) А. Белецкий, Безсмертна поэма грузинского народу. «Соціалістична Харківщина», 26 грудня, 1937).

11) Проф. И. К. Луппол, Образы и идеи Шота Руставели (Шота Руставели и его время), М., 1939, стр. 202

12) Цит раб., стр. 58—59.

13) Цит. раб., стр. 545.

14) Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой коже» Шоты из Рустава (ТР, XII, 1910, стр. XXXVIII).

15) М Боура, Цит. раб., стр. 53

16) Происхождение семьи, частной собственности и государства. М., 1948, стр. 89.

17) Ю. Н. Марр, К вопросу о позднейших толкованиях Хакани (Хакани, Незами, Руставели), Л., 1935, стр. 9—10; А. Болдырев, Два ширванских поэта. («Памятники эпохи Руставели», Л., 1938, стр. 119—120).

18) Низами Гянджеви, Хосров и Ширин, под редакцией В. В. Гольцева. Вступительная статья и комментарии Е. Э. Бертельса. М., 1948, стр. 16; Е. Э. Бертельс, Низами, М. 1948, стр. 130. Вызывает удивление тот факт, что приведенной цитаты не находим в повторном издании монографии Е. Э. Бертельса «Низами» (М., 1956, стр. 123). В предыдущих двух работах проф. Бертельса сделана попытка научно объяснить появление образа Ширин в творчестве Низами, изъятием же цитированного текста логическое рассуждение исследователя неожиданно прерывается и вопрос остается открытым.

19) Шота Руставели, Носящий барсову шкуру. Перевод К. Д Бальмонта, Париж, 1933, стр. X.

20) Там же, стр. VIII.

21) Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема (ИАН, 1917, стр. 424).

22) Вопросы грузинского языка и литературы (на груз. яз.), Тб., 1956, стр. 18.

23) ТР, XII, стр. XXXVII.

ვეფხისტყაოსნის ზაბოლოცკისეული თარგმანის შესახებ

1957 წლის მიწურულში გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსნის ახალი რუსული თარგმანი. შესრულებული ცნობილი რუსი პოეტის ნ. ზაბოლოცკის მიერ[1]. მალე იგი განმეორებითაც დაიბეჭდა[2]. როგორც ვიცით, ზაბოლოცკიმ ადრე ვეფხისტყაოსანი დაამუშავა მოზრდილთათვის. უდროოდ გარდაცვლილი, ქართველობის დიდი მეგობარი რუსი პოეტი, მიუხედავად ავადმყოფობისა, ხალისითა და გატაცებით მუშაობდა ვეფხისტყაოსნის პოეტურ თარგმანზე. მკითხველი საზოგადოების მოლოდინი არც გამტყუნებულა: ჩვენ მივიღეთ სამაგალითო პოეტური სიფაქიზითა და ოსტატობით აღბეჭდილი თარგმანის ტექსტი. ზაბოლოცკის თარგმანი გამართულია მშვენიერი, ლაღი, გამომეტყველი და მოქნილი რუსული ენით. ეს თარგმანი მკითხველს აგრძნობინებს რუსთველური პოეტური სიტყვის სიდარბაისლესა და სინარნარეს, აზრის სიღრმესა და სიძლიერეს, თხრობის დინამიკურობას, ლექსის სინატიფეს; თარგმანში თითქმის დაცულია ორიგინალის მეტრული საზომი (მონაცვლეობს თექვსმეტ და თხუთმეტმარცვლიანი საზომი), სტროფული სისტემის ხასიათი, რიტმი, კატრენული რითმა; მაღალი და დაბალი შაირების ნაირსახეობანი საზოგადოდ მინიშნებულია ვაჟური და ქალური რითმების გამოყენების საშუალებით[3]. ხშირ შემთხვევაში რუსთველის ნაქედი შაირები

---

[1] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, Перевел с грузинского Н. Заболоцкий, Москва, 1957.

[2] Грузинская классическая поэзия в переводах Н. Заболоцкого, 1, Тбилиси, 1958

[3] ქალური რითმები მოდის თექვსმეტმარცვლიან ტაეპებზე, ვაჟური — თხუთმეტმარცვლიანებზე.

რუსულადაც ყოველმხრივ უნაკლოდ ჟღერს. სანიმუშოდ დავიმოწმებთ ერთ სტროფს ავთანდილის ლოცვიდან (811):

ღმერთო. ღმერთო მოწყალეო. არვინ მივის შენგან კიდე,
შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე:
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდე!
თუღა დავრჩე. გმსახურებდე. შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე

Боже, боже милосердный, ты один — моя основа!
Не покинь меня в сраженье, не лиши в скитанье крова,
Защити меня от бури и от дьявола ночного!
Если я в живых останусь, послужу тебе я снова!

ნ. ზაბოლოცკი სწორად და მოხდენილად თარგმნის რუსთველის განთქმულ აფორიზმებს. საკმარისი იქნება მოვიყვანოთ „ვერ დაიჭირავსა სიკვდილსა...“ (800):

Смерть сквозь горы и ущелья прилетит в одно мгновенье.
Храбрецов она и трусов — всех возьмет без промедленья.
И детей и престарелых ожидает погребенье.
Лучше славная кончина, чем постыдное спасенье.

ნ. ზაბოლოცკის ბევრგზის დაძლეული აქვს რუსთველური მეტაფორების, მხატვრული შედარებებისა და პოეტური ენის სხვა სახეობათა გადაღებასთან დაკავშირებული სიძნელეები. სანიმუშო მაგალითები:

იგი წუიმა დარენელდა. რომელ პირველ ვარდი აზრა,
ვნახე. ძოწსა მარგალიტი გარე ტურფად მოემაზრა.
(536.2—3).

ზაბოლოცკის თარგმნით ეს ტაეპები ასე გამოიყურება:

Дивясь, розу леденивший, вдруг повеял теплотою.
Ряд сияющих жемчужин приоткрылся предо мною.

მართალია, აქ ქართულის რთულსა და ლამაზ მეტაფორებს სრულყოფილი შესატყვისობა არ მოეპოვება რუსულში, მაგრამ თარგმანს მაინც უთუოდ აქვს შენარჩუნებული დედნის ენობრივ-მხატვრული სპეციფიკის ნიშანდობლივი თვისებები.

საგულისხმოა ასეთი მაგალითი (480, 3—4):

Блеском дивного сиянья озарилась вся страна,
В розах губ блистали перлы, изливая пламена.

ორიგინალით ამისი შესაფარდია:

სრულად ნათლითა აევსო სახლი, შუკა და უბანი,
მუნ ვარდსა შუა შვენოდეს ძოწ-მარგალიტნი ტყუბანი.

ციტირებული ტექსტის მეტაფორები რუსულად გამოიყურება უზადოდ, ოღონდ პირველი ტაეპის მხატვრული ჩამოთვლის აღმავალი გრადაციული რიგი („სახლი, შუკა და უბანი") მთარგმნელს გადაუცია განმაზოგადებელი სახეგამოთქმით („вся страна"), რითაც დაურღვევია დედნის მხატვრული აღნაგობის პრინციპი.

საკმაო სისწორით აქვს ზაბოლოცკის გამოხატული რუსთველის ერთ-ერთი ურთულესი და უმშვენიერესი მეტაფორული მწკრივი (1456, 3-4):

ეს თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა არია,
ნარგისთათ იძრვის ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვარია.

ზაბოლოცკის თარგმანით:

Царь заплакал, безутешный, и с ресниц дохнул мороз
И, мешая дождь со снегом, заморозил купу роз.

დავიმოწმებთ რთული, გაშლილი მხატვრული შედარების ერთი ნიმუშის თითქმის უნაკლო თარგმანს (1410):

ჩემი აწ ესე ნათქვამი მათი სახე და დარია:
რა ზედა წვიმდეს ღრუბელნი და მთათა ატყდეს ღვარია,
მოვა და ხევთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია,
მაგრა რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია.

Этих витязей отважных с горным я сравню потоком:
После яростного ливня мчит в ущелье он глубоком.
И ревет он, и грохочет, и, уже незримый оком,
Успокоенный, смолкает только на море широком.

ერთი სიტყვით, ზაბოლოცკისეული თარგმანი უთუოდ მნიშვნელოვანი მიღწევაა. ამისდა მიუხედავად, ეს თარგმანიც სრულყოფილი ვერაა. მას ბევრი ნაკლი აქვს, ის ვერ ავლენს დედნის მთელ სილამაზესა და სიდიადეს. ზაბოლოცკი ხშირად აფერმკრთალებს და აღარიბებს რუსთველურ სიტყვას: მთარგმნელი არათუ ორიგინალის სახეობრივ სისტემას ვერ იცავს ყოველთვის, ტექსტის აზრობლივ-შინაარსობლივ მხარესაც კი ცვლის და აქა-იქ ამახინჯებს კიდევაც, იჩენს გაუმართლებელ თვითნებობას.

ჩვენ ზემოთ საუკეთესო თარგმანის ნიმუშად მოვიყვანეთ ერთი სტროფი ავთანდილის ლოცვიდან. საგულისხმო ისაა, რომ იმავე ეპი-

ზოდის მეორე სტროფი, პირიქით, სუსტი თარგმანის ნიმუშს იძლევა. აი ამ სტროფის პარალელური ტექსტები (810):

ღმერთო. ღმერთო. გეაჯები. რომელი ჰფლობ ქვენათ ზესა.
შენ დაჰბადე მიჯნურობა. შენ აწესებ მისსა წესსა.
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა.
ნუ აღმოჰფხვრი სიყვარულსა. მისგან ჩემთვის დანათესსა!

Боже, царь земли и неба, ты словам моим внемли!
Ты велел любить друг друга бедным жителям земли,
Ныне я один страдаю от возлюбленной вдали.
Не гаси любви, чтоб в сердце семена ее взошли!

თარგმანი აქ საერთოდ მოშვებულია, რუსულ ტექსტს აკლია დედნის ამაღლებულობა. მთავარი მაინც ისაა, რომ რუსთველის სიტყვები „შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა“ გადასხვაფერებულია და შეუფერებლად არის გააზრებული. დედანი ამბობს, რომ ღმერთს შეუქმნია (დაუბადებია) მ ი ჯ ნ უ რ ო ბ ა, განუსაზღვრავს მისი (მიჯნურობის) წესები. ამის საფუძველზე, გამიჯნურებული რაინდი სთხოვს გამჩენს, ნუ აღმოფხვრი გულიდან იმ სიყვარულს, რომელიც სატრფოს დაუთესიაო. რუსული თარგმანით კი თითქოს ღვთაებას დაუწესებია ამ ქვეყნის უბედურ (თუ საწყალ) მკვიდრთათვის ურთიერთის სიყვარული. რუსული ტექსტიდან არ ჩანს, რა სიყვარულზეა აქ სიტყვა ჩამოგდებული, ალტრუისტულ, კაცთმოყვარულ გრძნობებზე საერთოდ (ე. ი. მოყვასის სიყვარულზე) თუ მიჯნურობაზე. ორიგინალის ტექსტის კონკრეტული და სავსებით გარკვეული შინაარსი განყენებული, ზოგადი და საკმაოდ გაბუნდოვნებული მსჯელობით არის შეცვლილი.

მთარგმნელი ყოველთვის ანგარიშს არ უწევს (ან ვერ უწევს) რუსთველის მსოფლმხედველობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებო რეალიების შემცველ ტექსტებს. საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ ხვარაზმშაჰის შვილის ზედსიძედ მოყვანის ეპიზოდიდან ერთ ცნობილ ადგილს. მეფის დავალების თანახმად ტარიელმა საზეიმო შეხვედრა მოუწყო ხვარაზმელ უფლისწულს. ეს ზეიმი სარწმუნოებით მ უ ს ლ ი მ ან პირს გარეგნულად მაინც ქ რ ი ს ტ ი ან უ ლ ი ა ღ დ გ ო მ ი ს დღესასწაულს აგონებდა. ტარიელი უამბობდა ავთანდილს (552):

შოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა.
მოვიდა სიძე, გარდახდა, დ ღ ე, ქ გ ვ ა ნ დ ა, ა რ ს ა ღ ე ს ე ბ ი ს ა.
შეიქმნა გასვლა შიგანთა. ჯარია მუნ ხასებისა.
დაიწყეს დგომა ლაშქართა თემ-თემად. დას-დ.სებისა.

ზაბოლოცკის თარგმანით:

Площадь красными шатрами мы уставили мгновенно.
Хорезмиец въехал в город и сошел с коня степенно.
Царедворцы из покоев шли к нему — за сменой смена,
И войска вокруг стояли, собираясь постепенно.

თარგმანი დედნის ტექსტის თავისუფალი გარდათქმაა მხოლოდ. რუსულს სრულიად წარხოცილი აქვს აღვსების (აღდგომის) ასოციაციის ნაკვალევი. ამ რეალიას კი გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რუსთველის სარწმუნოებრივი განწყობილების გამოსარკვევად. როგორც ცნობილია, სწორედ საანალიზო ტექსტის გამო შენიშნავდა ვეფხისტყაოსნის მეცნიერი-კომენტატორი (ვახტანგი): „აღვსება აღდგომა არის და ქართველის კაცის გულისათვის უთქვამსო". ამრიგად, რუსთველის ტექსტიდან მთარგმნელს სწორედ ის უგულებელუყვია, რაც საგანგებოდ ქართველის კაცის გულისათვის ყოფილა მინიშნებული.

კონკრეტულ-ისტორიული რეალიების თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს თინათინის მიერ მოწყობილი საჩუქრების გაცემის ეპიზოდი. თინათინს უბრძანებია (54; 55. 1-2):

უბრძანა. წადით. გახსენით. რაცა სად საჭურჭლენია!
ამილახორო. მოასხი რემა. ჯოგი და ცხენია!
მოიღეს. გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.
ლარსა ჰხვეტდიან ლაშქარნი. მართ ვითა მეკობრენია.
ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა. ვ ი თ ა ნ ა თ ურ ქ ა ლ ს ა.
მას ტაიჭსა არაბულსა. ქვე-ნაბამსა. ნასუქალსა.

თარგმანით:

Открывайте кладовые, отпирайте все подвалы!
Выводи коней, конюший! выносите перлы, лалы!
Ничего не пожалею! И войска, наполнив залы,
На сокровища царицы устремились, как шакалы.
Как законную добычу завоеванных земель,
Всех коней они угнали, столь желаемых досель...

ჯერ ერთი, შეუძლებელია, ლაშქრის თავყრილობასა და საბოძვრის გაცემას ადგილი ჰქონოდა დარბაზებში („войска, наполнив залы"). აკი რუსული თარგმანის მიხედვითაც, ამ თავყრილობის მონაწილენი „ალაფობდნენ" საჭურჭლესთან ერთად ცხენებსაც („всех коней они угнали"). ეტყობა, „залы" მთარგმნელს დასჭირდა რითმისათვის.

ნათურქალის შესანიშნავი კონკრეტულ-ისტორიული ასოციაცია, თარგმანისათვის უცნობია, ამის სანაცვლოდ ლაპარაკია რაღაც „о законной добыче завоеванных земель“. აქვე კონკრეტულ-ისტორიული ასოციაციებით შთაგონებულ მხატვრულ შედარებას

ლარსა ჰხვეტდიან ლამჭარნი, მართ ვითა მეკობრენია

მთარგმნელი შეუწუნარებლად ასხვაფერებს:

На сокровища царицы устремились, как шакалы.

ქაჯეთის ციხიდან ნესტანი სწერდა ტარიელს (1307, 1-2):

წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა.

რუსული თარგმანით:

Лучше в Индию, мой витязь, отправляйся ты с полками
Там беспомощный отец мой окружен теперь врагами.

გაუგებრობას იწვევს და ტექსტისათვის მეტხორცია «с полками». თითქოს რითმის გულისათვის აზრი დამახინჯებულია. ტარიელს მაშინ მხოლოდ ერთი მხლებელიღა ჰყავდა, მისი დობილი ასმათი...

მოვიყვანთ დედნის ტექსტის აზრობლივ-შინაარსობლივი მოტივის შეცვლის ერთ საგულისხმო მაგალითს. თინათინმა ავთანდილი იხმო, სიყვარულში გაუტყდა და უცხო მოყმის მოძებნა დაავალა. შემდეგ ერთხანს იმუსაიფეს და უცოდველად ილაღობეს (137):

ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს,
ბროლ-ბადახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს;
ყმა ეტყვის, თუ: შენთა მჭვრეტთა თავი ხელი, ა, სად აგეს!
ცეცხლთა, მანდით მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს [4].

თარგმანით:

Сели вместе, улыбнулись и в лобзании невинном,
Обнялись агат с агатом и слились рубин с рубином.
Он сказал: лишить рассудка можешь взглядом ты единым,
Лишь мое больное сердце наполняешь духом львиным.

---

[4] ეს სიტყვა შეიძლება ასე დანაწევრდეს: ა ს ა დაგეს.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მაჯამური წყობის მქონე სტროფის თარგმანთან. პირველი, მესამე და მეოთხე ტაეპების შინაარსობლივ-აზრობლივი ინტერპრეტაცია სიძნელეს არ წარმოადგენს. სავსებით ნათელია მაჯამების (ომონიმების) შინაარსიც. უფრო რთული ვითარება გვაქვს მეორე ტაეპში. ეს ტაეპი მთლიანად მეტაფორულია. ცალკეული მეტაფორული სახეები ცილობას ვერ გამოიწვევს: ბ რ ო ლ-ბ ა დ ა ხ შ ი გამოხატავს პირისახეს, ან კბილებსა და ბაგეთ, გ ი შ ე რ ი — წარბწამწამებს; ა ს ა დ ა გ ე ს ნაწარმოებია სადაგისაგან; სადაგი ნიშნავს სადას, მარტივს, უბრალოს (ა. შანიძე); ა ს ა დ ა გ ე ს — სადად აქციეს (იუსტ. აბულაძე), გაასადავეს (ა. შანიძე). მეტაფორების გაშიფრვის შედეგად ტაეპის შინაარსი ასე წარმოგვიდგება: შეკრული ლამაზი პირისახე და შავი წარბ-წამწამები გაასადავეს, ე. ი. თინათინსა და ავთანდილს თავი უბრალოდ, სადად ეჭირათ[5]. ყოველ შემთხვევაში მინიშნებული არ არის ხვევნა-კოცნაზე, რის შესახებაც ლაპარაკია რუსულ თარგმანში. თავისი იდეალიზებული პერსონაჟების პირველ შეხვედრას რუსთველი სხვაგვარ ასპექტში ვერ წარმოგვიდგენდა. ქართული ტექსტით აღბეჭდილი, ქალ-ვაჟის მხიარული და კდემამოსილი ლაღობა რუსულით ძლიერ ეროტიკაშია გადაზრდილი. ამით დარღვეულია ავტორისეული ჩანაფიქრი. უნდა დავძინოთ, რომ თარგმანით სრულიად შეცვლილია მეოთხე ტაეპის აზრი: ქართულით ავთანდილი ეუბნება თინათინს, შენგან მოდებულმა (სიყვარულის) ცეცხლმა ჩემი გული დასწვა, დადაგაო. რუსულით კი ვკითხულობთ: „Лишь мое больное сердце наполняешь духом львиным".

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ მთარგმნელს არ უცდია როგორმე მიენიშნებინა ქართული ტექსტის მაჯამურ (ომონიმურ) წყობაზე.

პოეტური გამომსახველობის მწვერვალს აღწევს რუსთველი ლუქსების ბგერული ორგანიზაციით, კერძოდ და განსაკუთრებით ალიტერაციებით. ბგერების განმაცვიფრებელი შეხამებით რუსთველი ზოგჯერ ახერხებს ზუსტად გადმოსცეს ტექსტის შინაარსობლივ-ახრობლივი დინამიკა. მოვიგონოთ უკვდავი სტროფი (558):

კ ა რ ვ ი ს კ ა ლ თ ა ჩ ა ხ ლ ა თ უ ლ ი ჩ ა ვ ჭ ე რ, ჩ ა ვ ა კ ა რ ა ბ ა კ ე,
ყ მ ა ს ა ფ ე რ ხ თ ა მ ო ვ ე კ ი დ ე, თ ა ვ ი ს ვ ე ტ ს ა შ ე ვ უ ტ ა კ ე.
წ ი ნ ა მ წ ო ლ თ ა დ ა ი ზ ა ხ ეს, გ ლ ო ვ ა მ ი ა ხ ვ დ ა ს ა ა რ ა კ ე;
ც ხ ე ნ ს ა შ ე ვ ჯ ე, წ ა მ ო ც ა ვ ე; ჯ ა ჭ ვ ი მ ე ც ვ ა ს ა კ ურ ტ ა კ ე.

---

[5] თუ ბროლ-ბადახმს გავიგებთ, როგორც კბილებსა და ბაგეთ, მაშინ შეიძლება აქ ვიგულისხმოთ ამეტყველება.

ნ. ზაბოლოცკის თარგმანით:

Я схватил его за ноги и о столб шатра с размаха
Головой его ударил. Стража вскрикнула от страха.
Я вскочил в седло, помчался, поднимая тучи праха.
Был на мне шелом походный и кольчужная рубаха.

ზოგიერთი დეტალის დამატებით (მაგალითად. „поднимая тучи праха") მთარგმნელს კეთილსინდისიერად გადმოუცია საანალიზო სტროფის ზოგადი შ ი ნ ა ა რ ს ი, მაგრამ მას უყურადღებოდ დაუტოვებია ლექსის მხატვრული კონსტრუქცია, კერძოდ პირველი ტაეპის უბადლო ალიტერაციები. ალიტერაციები კი არა, მთარგმნელს ამ შემთხვევაში უგულებელუყოფია ტაეპის შინაარსიც. საერთოდ ვეფხისტყაოსნის ეს უმშვენიერესი ტაეპი ამოვარდნილია რუსული თარგმანიდან. მთარგმნელიც იძულებული გამხდარა, როგორც ვთქვით, ზოგიერთი ახალი შინაარსობლივი დეტალი მოეშველებინა სურათის შესავსებად.

მოყვანილ მაგალითებს ვიკმარებთ. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა მაგალითი მოყვანილია ვეფხისტყაოსნის ნარატიული (თხრობითი) ნაწილიდან. გასაგები მიზეზების გამო პროლოგში უფრო იყო მოსალოდნელი დედნისაგან გადახვევის შემთხვევები. ნამდვილად ეს ასეცაა.

დასკვნა აშკარაა: ნიკოლოზ ზაბოლოცკის თარგმანი მიუხედავად უდავო დიდი ღირსებებისა, მაინც ვერ იძლევა დედნის ადექვატურ ტექსტს. ჩვენ კვლავ ვრჩებით ვეფხისტყაოსნის სრულყოფილი თარგმანის მოლოდინში. ოღონდ პოემის ახალი რუსული (ზაბოლოცკისეული) თარგმანი სრულყოფილობისაკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯია[*].

---

[*] ყოველივე აღნიშნულის შემდეგ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს ნ. ჩუკოვსკის განცხადება: „Поэму Руставели переводили несколько раз и до Заболоцкого, но труд Заболоцкого перечеркнул все, сделанное раньше, и теперь, в следующий раз, Руставели будут переводить не скоро,—разве тогда, когда русский язык изменится" (Николай Чуковский, Школа мастерства, „Литературная газета", 15. X. 60).

„გიორგი მერჩულეს“ გარშემო

ჩვენი რამდენიმე შენიშვნა შეეხება პავლე ინგოროყვას ნაშრომის[1] მეორე ლიტერატურათმცოდნეობითს ნაწილს. წიგნის ამ ნაწილის მნიშვნელობა, ჩვენის აზრით, უდავოა. პ. ინგოროყვამ წამოაყენა და სწორად გადაჭრა ძველი ქართული მწერლობის რიგი ღირსშესანიშნავი საკითხი. პირველ რიგში ასეთად გვეხატება მ ე ტ რ უ ლ ი პ უ ნ ქ ტ უ ა ც ი ი ს გარკვევა (გვ. გვ. 591, 593, 599, 606 და სხვ.). თავის მხრით მეტრული პუნქტუაციის რაობის გარკვევამ პ. ინგოროყვას საშუალება მისცა დაესაბუთებინა პროზაულად მიჩნეული ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული ტექსტების წყობილი, მეტრული ხასიათი. პ. ინგოროყვას გამოკვლევის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული ტექსტები ძირითადად სალექსო პრინციპებზეა აგებული და მეტრული კანონზომიერების განსაზღვრულ წესებს ემორჩილება. საყურადღებოა პ. ინგოროყვას მოსაზრებანი ძველ-ქართული პოეზიის სალექსო ფორმების შესახებ, კერძოდ და განსაკუთრებით ე. წ. სილაბური უკვეთელი ლექსის შესახებ (გვ. 590—607). პ. ინგოროყვამ გამოიძია და მზის სინათლეზე გამოიტანა შინაარსითა და ფორმით დიდად საინტერესო, დღემდის უცნობი საგალობლების ტექსტები. კანონზომიერია X საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლის სახელწოდებად მივიჩნიოთ მ ე რ ჩ უ ლ ე, დამოუკიდებლად მერჩულეს მნიშვნელობის ინგოროყვასეული ინტერპრეტაციისა.

პ. ინგოროყვამ თავისი წიგნის გამოქვეყნებამდე გამაცნო რამდენიმე ჰიმნოგრაფიული ტექსტი, რომლებიც, მისი სიტყვით, გრიგოლ

---

[1] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბილისი, 1954, 888+0126 გვ.

ხანძთელს ეკუთვნოდა. მე აღტაცებული დავრჩი იმ ტექსტებით. მკვლევარს ვუთხარი: არ ვიცი, რით ასაბუთებთ გრიგოლ ხანძთელის ავტორობას, მაგრამ ვისაც უნდა ეკუთვნოდეს ეს ტექსტები. მათი დიდი ღირსებანი თავისთავად ცხადია-მეთქი. მაშინდელი თქმული ახლაც უნდა გავიმეორო. პ. ინგოროყვას მონოგრაფიიდან ყველაზე უფრო მაინტერესებდა სწორედ გრიგოლ ხანძთელის ავტორობის დასაბუთება. საზოგადოდ პ. ინგოროყვას ნაშრომის მთავარ პრობლემად მე მეჩვენება გრიგოლ ხანძთელის საკითხი. უნდა გამოვტყდე, რომ იმედი გამიცრუვდა, როდესაც წიგნის პირველსავე გვერდზე (ლაპარაკია წიგნის მეორე ნაწილზე) ყოველგვარი მტკიცების გარეშე ამოვიკითხე:

გიორგი მერჩულეს თხზულებაში დაცულია ცნობა გრიგოლ ხანძთელის სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ.

კერძოდ, გიორგი მერჩულეს დაუცავს ცნობა, რომ გრიგოლ ხანძთელი არის ავტორი პოეტური ძეგლისა. — საგალობელთა კრებულისა, რომელსაც „საწელიწდო იადგარი" ერქვა.

გიორგი მერჩულე, მოგვითხრობს რა გრიგოლ ხანძთელის „სიბრძნის-მეტყველების" შესახებ, — გადმოგვცემს შემდეგს:

„არს ხანძთას კელითა მისითა დაწერილი, სულისა მიერ წმიდისა, საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან".

გიორგი მერჩულის ამ უაღრესად საყურადღებო ცნობიდან ამრიგად ირკვევა:

1. გრიგოლ ხანძთელი არის ავტორი „საწელიწდო იადგარისა".

2. „საწელიწდო იადგარის" თვით გრიგოლ ხანძთელის ავტოგრაფული ხელნაწერი დაცული ყოფილა ხანძთაში და გიორგი მერჩულე იცნობდა ამ ხელნაწერს" (გვ. 547).

ყოველივე ეს თავიდან ბოლომდის განმეორებულია წიგნის 754-ე გვერდზე, ხოლო ცოტა შემდეგ სრული კატეგორიულობით არის განცხადებული:

> 1. პირველი ძირითადი ცნობა, რომელიც ჩვენ გვაქვს აქ აღძრულ საკითხზე, ეს არის, როგორც მოვიხსენეთ, ცნობა გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფის გიორგი მერჩულისა, იმის შესახებ, რომ გრიგოლ ხანძთელი არის ავტორი „საწელიწდო იადგარისა" (ხაზი მკვლევარისაა, — ა. ბ.).
>
> 2. გიორგი მერჩულის ეს ცნობა სრულიად გარკვეული ხასიათისაა და არ იწვევს არა-

ვითარ გაუგებრობას ან რაიმე ცილობას (გვ. 759, ხაზი ჩემია. — ა. ბ.).

მე მაოცებს პ. ინგოროყვას სიტყვები, თითქოს მკრჩულის ცნობა გრიგოლ ხანძთელის ავტორობის შესახებ სრულიად გარკვეული ხასიათისაა, არ იწვევს არავითარ გაუგებრობას, ან რაიმე ცილობას.

გარდა ზოგადი განცხადებისა „ამრიგად ირკვევა". პ. ინგოროყვას თავისი არც ერთი საბუთი არ მოუყვანია გრიგოლ ხანძთელის ავტორობის დასამტკიცებლად. როგორც ცნობილია, ხანძთელის ცხოვრება აღმოაჩინა, ქართული ტექსტი რუსული თარგმანით, გამოკვლევითა და შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის ვრცელი დღიურით გამოაქვეყნა ნიკო მარმა (პეტერბურგი. 1911). ნ. მარი ვერაფერს გარკვეულს ვერ ამბობს საწელიწდო იადგარისადმი გრიგოლ ხანძთელის დამოკიდებულების შესახებ. იგი მხოლოდ წენიშნავს: „Для истории как грузинской церкви, так литературы ценны названия сочинений, случайно упоминаемых в Житии, в том числе иадгари и канони" (გვ. VIII). ივანე ჯავახიშვილი სხვათა შორის იმოწმებს საწელიწდო იადგარს იმის საბუთად, რომ გიორგი მერჩული წერილობითი წყაროებითაც სარგებლობდაო (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 117). მაგრამ არაფერს ამბობს (უკეთ, ვერაფერს ამბობს) გრიგოლ ხანძთელის ავტორობაზე. ვერ ამბობს იმიტომ, რომ გიორგი მერჩულის სიტყვები „სრულიად გარკვეულსა" და უცილო ცნობას არ შეიცავს. გრიგოლის ხელით დაწერილი (ნ. მარის თარგმანით, **написанный его рукою**) არ ნიშნავს უცილოდ, რომ ტექსტი შეთხზული იყო მის მიერ, თუმცა ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული არ არის. კერძოდ, კ. კეკელიძე ასეთი შესაძლებლობისაკენ იხრებოდა და იხრება. თავისი ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის პირველსავე გამოცემაში[2] კ. კეკელიძეს უწერია: „ბიოგრაფის სიტყვები «აწ არს ხანძთას ჴელითა მისითა დაწერილი... საწელიწდოჲ იადგარი...», — გვაფიქრებინებს, რომ ის მწერლობაში მართლაც რომ იღებდა მონაწილეობას. ფრაზა «ჴელითა მისითა დაწერილი...» უფრო ასე უნდა გვესმოდეს, რომ ეს იადგარი ან ლიტურგიკული ჰიმნები მთელი წლისა მას თვით შეუთხზავს"[3].

---

[2] თბილისი, 1923, გვ. 133—134.

[3] დაყოფა ჩემია ა. ბ.; შდრ. იმავე კურსის შემდეგი გამოცემები, თბ., 1941, გვ. 121—122; თბ.; 1952, გვ. 119.

ასეთი შთაბეჭდილება გვაქვს მიღებული გიორგი მერჩულის ცნობიდან ჩვენც. ჩვენ გვიწერია: „По всей вероятности одним из первых профессионалов-гимнографов был Григорий Хандзтели, основоположник книжного дела в Тао-Кларджети" (История грузинской литературы, გვ. 17).

აკადემიკოსების ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მრავალმეტყველი დუმილი და აკადემიკოს კ. კეკელიძის ფრთხილად გამოთქმული მოსაზრება იმას ამტკიცებს, რომ გიორგი მერჩულის ცნობა გრიგოლ ხანძთელის ავტორობაზე უცილობელი და სრულიად გარკვეული არ არის. პ. ინგოროყვას არც უცდია ქართული კულტურის ისტორიისათვის ეგოდენ საპასუხისმგებლო დებულების დასაბუთება. იგი მხოლოდ ბეჯითი განცხადებით კმაყოფილდება. საქმეში ჩაუხედავი მკითხველი შეიძლება უნებლიეთ ენდოს პ. ინგოროყვას. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ პ. ინგოროყვა გამოდის წინასწარ შემუშავებული, დაუსაბუთებელი მოსაზრებიდან. მთელი მისი შემდგომი მსჯელობა გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობის უმთავრესი ნაწილის (ე. ი. იადგარის) შესახებ ემყარება ამ დაუსაბუთებელსა და საცილობელ წანამძღვარს.

საყურადღებოა საკითხის მეორე მხარეც.

X საუკუნეში, ამ საუკუნის ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში (პ. ინგოროყვათი, კონკრეტულად 978—988 წლებში) მიქელ მოდრეკილმა შეადგინა საგალობლების დიდი კრებული. კრებულის მასალები მიქელს საგანგებოდ გამოუძიებია და შეუკრებია მთელ საქართველოში. საეჭვო არაა, რომ მიქელი თავის კრებულში შეიტანდა გრიგოლ ხანძთელის საგალობლებსაც (თუ კი ასეთები არსებობდა). პ. ინგოროყვას მოწმობით, მიქელის კრებულის ტექსტები ბევრ შემთხვევაში ავტორებს ასახელებს, ავტორწარწერილია. ეს ავტორებია — მიქელ მოდრეკილი, გიორგი მერჩულე, იოვანე მტბევარი, ივანე მინჩხი, სტეფანე სანანოძს-ძე ჯაონდიდელი, ივანე ქონქოზის-ძე, ბასილ ხანძთელი, კურდანაი-კვირიკე, მაკარი ლეთეთელი (გვ. 771). მოლოდინის წინააღმდეგ გრიგოლ ხანძთელი არ ყოფილა დასახელებული. თავისი გამოკვლევის სპეციალურ დამატებაში (Corrigenda et addenda) პ. ინგოროყვა განმარტავს: „მიქაელ მოდრეკილის დროს ადრინდელი ხანის — VIII—IX საუკუნის ავტორის — გრიგოლ ხანძთელის სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ უკვე სრული ცნობები აღარა ჰქონიათო" (გვ. 0118). საკვირველია! ჯერ ერთი, რა საფიქრებელია VIII—IX და X საუკუნეების დაპირისპირება. მართალია, გრიგოლ ხანძთელი იყო VIII—IX საუკუნეთა მოღვაწე,

მაგრამ მერჩულის მოწმობით მის დროს, ე. ი. X საუკუნის შუა წლებში (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება შეთხზულია 951 წელს) ხომ მოიპოვებოდა გრიგოლის ხელით გადაწერილი (ან დაწერილი) საგალობლების კრებული! მაშასადამე, მიქელ მოდრეკილსაც უნდა ჰქონოდა ეს პირველწყარო, მით უმეტეს, რომ პ. ინგოროყვას გამოკვლევის თანახმად, მიქელ მოდრეკილი თურმე მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელის მიერ აშენებულ შატბერდის სავანეში: 969—976 წლებში, შატბერდში ყოფნის დროს, მიქელს მონაწილეობა მიუღია შატბერდის ცნობილი კრებულის გადაწერაში (გვ. 768), მიქელის საგალობელთა კრებულიც შატბერდში ყოფილა დამზადებული (გვ. გვ. 764, 768, 769, 770). პ. ინგოროყვა იმასაც ვარაუდობს, რომ გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდოჲ იადგარის" დედანი „დაცული იყო იმავე სავანეებში, სადაც მიქაელ მოდრეკილი მოღვაწეობდა" (771). ე. ი. „საწელიწდოჲ იადგარი" უნდა ყოფილიყო არა მარტო ხანძთაში, არამედ შატბერდშიც. დასასრულ, პ. ინგოროყვა გვარწმუნებს, რომ მიქელ მოდრეკილს „პირველ რიგში თავის კრებულში შეუტანია გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი" (იქვე). ამრიგად, მიქელ მოდრეკილის განკარგულებაში ყოფილა გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი, მას სწორედ ავტორწარწერილად უნდა შეეტანა თავის კრებულში ამ იადგარის ტექსტები. ამის შემდეგ გაკვირვებას იწვევს პ. ინგოროყვას ნაგვიანევი და მოულოდნელი ჩივილი, აქაო და მიქელის დროს გრიგოლ ხანძთელის სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ უკვე სრული ცნობები აღარ ჰქონდათო. საკვირველია! მიქელის დროს არსებობდა გრიგოლ ხანძთელის იადგარის ავტოგრაფი, იგი დაცული ყოფილა ხანძთაში (და შესაძლებელია შატბერდშიც), მიქელი საგანგებოდ იკვლევდა და იძიებდა საგალობლების ტექსტებს. ასეთ პირობებში, ცხადია, შეუძლებელია, რომ მას უყურადღებოდ დაეტოვებინა გრიგოლ ხანძთელის კრებული. მაშასადამე, მიქელს ჰქონდა პირველხარისხოვანი და უტყუარი ცნობები გრიგოლ ხანძთელის შესახებ (მიქელის განკარგულებაში იყო გიორგი მერჩულის თხზულებაც „ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაი"). თუ ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად მიქელი მაინც არ ასახელებს გრიგოლ ხანძთელს, ეს უკვე გარკვეულად ლაპარაკობს გრიგოლ ხანძთელის ავტორობის წინააღმდეგ.

გამოირკვა უცნაური გარემოება: საკითხით საგანგებოდ დაინტერესებულ პირს, საგალობლების მაძიებელსა და შემკრებს, X საუკუნის მოღვაწე მიქელ მოდრეკილს თუმცა ხელთ ჰქონია გრიგოლ ხანძთელის მიერ დაწერილი თუ გადაწერილი საგალობლების კრებული, მაგრამ მას მაინც არ აღმოჩენია სრული ცნობები იმავე

გრიგოლ ხანძთელის სალიტერატურო მოღვაწეობის შესახებ, სამაგიეროდ ეს ცნობები უხვად აღმოაჩნდა XX საუკუნის მკვლევარს.

გრიგოლ ხანძთელის რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები, პ. ინგოროყვას გამოკვლევის მიხედვით, თითქოს გიორგი მერჩულეს შეუტანია თავის თხზულებაში „ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ“. ეს ნაწარმოებნიაო:

1. საველდრებელი ჟამსა ხანძთისა შენებისასა, პირველი [4].
2. საველდრებელი ჟამსა ხანძთისა შენებისასა, მეორე [5].
3. საველდრებელი ჟამსა შატბერთის შენებისასა [6].
4. ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ [7].

პირველი სამი „საველდრებელი“ გიორგი მერჩულის მოთხრობის მიხედვით წარმოადგენს გრიგოლ ხანძთელის მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმულ ლოცვებს. „ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ“ კი კლარჯეთის უდაბნოთა მხატვრული აღწერაა: აფხაზეთის მეფე დიმიტრის გამოუკითხავს „სახეჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ“, გრიგოლსაც აუწერია და დაუხასიათებია ეს მხარე. პ. ინგოროყვა ამ ტექსტების შეთხზვას მიაწერს გრიგოლ ხანძთელს იმ საბუთით, რომ გიორგი მერჩულეს ნათქვამი აქვს, გრიგოლმა „ლოცვაჲ ესე... წართქუა“ [8], ან „იტყოდა... ლოცვასა ამას“ (63), „ვთქუათ ... ესრეთ“-ო (54). ტექსტების შემთხზველ-ავტორად პ. ინგოროყვა აცხადებს ლიტერატურულ პერსონაჟს. ეს მეთოდი მან ადრეც გამოიყენა. პ. ინგოროყვამ თამარ მეფეს რეალურად მიუთვალა ის სიტყვები, რასაც დედოფალს მიაწერს მისი კარის ისტორიკოსი. ეს სიტყვებიო, ამბობს პ. ინგოროყვა, „მოწმობს თამარის ბრწყინვალე საორატორო ტალანტსო“ [9]. თამარმა ვითომ თვითონ შეთხზა რუქნადინისადმი მიმართული შესანიშნავი საპასუხო ეპისტოლე (იქვე) და სხვ. ამ მეთოდით, რამდენიც გნებავთ, იმდენ ავტორს აღმოაჩენთ! ასე. პ. ინგოროყვას მეთოდით რომ ვიხელმძღვანელოთ. მაგალითად. პირველხარისხოვანი მწიგნობარი და ფილოსოფოსი აღმოჩნდება ევსტათი მცხეთელი.

დავუბრუნდეთ გიორგი მერჩულის თხზულებას. კლარჯეთის უდაბნოთა აღწერა ადრე თვითონ პ. ინგოროყვას მოჰყავდა „მერჩუ-

---

[4] პ. ინგოროყვა. გ. მერჩულე. გვ. 737—738; ცხორებაჲ. გვ 26—27.

[5] 0102—36—38.

[6] 0103-0104—63-64.

[7] 740-742—54-55.

[8] ცხორებაჲ. პ. ინგოროყვას გამოცემა. თბ. 1949. გვ. 26. 36.

[9] თამარ მეფის იამბიკონნი. „მნათობი“. 1941. № 3. გვ. 152.

ლის სტილის გასაცნობად“ [10], ახლა კი ამით თურმე ვეცნობით გრიგოლ ხანძთელის შემოქმედებითს სტილს. უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელს გვიხასიათებს, როგორც მშვენივრად მეტყველ პირს, იგი ხან ლოცვებს ამბობდა, ხან ქადაგებდა, ბევრი მეფე-დიდებული და მათი ოჯახის წევრები დაულოცავს მაღალფარდოვანი სიტყვებით; გრიგოლი ბევრს მსჯელობდა, კამათობდა, განმარტებას აძლევდა თეოლოგიურ საკითხებს და ა. შ. საკითხი იბადება. რატომ ყოველივე ამას არ მიაწერს პ. ინგოროყვა გრიგოლ ხანძთელის შემოქმედებითს აქტივს? სხვას რომ თავი დავანებოთ. გრიგოლ ხანძთელს წარმოუთქვამს საუცხოო სამგლოვიარო სიტყვა აშოტ კურაპალატის გარდაცვალების გამო (ცხორებაჲ, გვ. 45), მხურვალე გამოსათხოვარი სიტყვით მიუმართავს გრიგოლ ხანძთელს შატბერდისათვის: „კეთილად აღორძნდი. შატბერდო!..“ (გვ. 125). ამ სიტყვებს გიორგი მერჩულე ხომ ხანძთელს მიაწერს! აღსანიშნავია, რომ პ. ინგოროყვა ხელოვნურად ჰკვეცავს იმ ტექსტებსაც, რომელთა ავტორად აცხადებს გრიგოლ ხანძთელს. რა საბუთით? იქნებ ნარჩენი ტექსტები ვერ ჩაეტია მეტრულ ჩარჩოში!

მშვენიერი, ლამაზი და პოეტური ქართულით მეტყველებენ გიორგი მერჩულის მრავალრიცხოვანი პერსონაჟები. მაგალითად, გუარამ მამფალი ყოფილა „ფრიად სიტყუა-ჭელოვან“ (გვ. 93). აზრიანი და მოხდენილი სიტყვები მიეწერება გაბრიელ დაფანჩულს (გვ. 35), ლოცვა-ვედრებაში დახელოვნებული ყოფილა ხუედიოსი (გვ. 25) და ა. შ. მე აქ მინდა მოვიყვანო „ქებაჲ ხანძთისაჲ“. რომელიც წარმოუთქვამს აშოტ კურაპალატისა თუ გაბრიელ დაფანჩულის მოცქულს ხანძთის პირველი ხილვის უშუალო შთაბეჭდილების მიღებისას. აი, ქების ტექსტიც (ცხორებაჲ. გვ. 40):

ქებაჲ ხანძთისაჲ

კეთილ არს უდაბნოჲ იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით კერძო. და აქუს მას წყაროჲ მდიდრად გამომდინარეჲ. შუენიერი. გრილი და ჰამოჲ. და მაღნართა სიმრავლეჲ ურიცხვი; და მცირედი რაჲმე სხუაჲცა ნუგეშინის-საცემელი ძალისაებრ მის უდაბნოჲსა: ხოლო სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რაჲთურთით არა არს, არცა იქმნების ღირღოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთასა.

პ. ინგოროყვა გრიგოლ ხანძთელს თვლის ახალი ჟანრის — ქებაჲს ჟანრის შემომღებად ქართულ ლიტერატურაში. ტერმინი

[10] ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. „მნათობი“. 1939. № 9. გვ. 131.

ქებაჲ მერჩულეს ნახმარი აქვს სწორედ ამ ტექსტის მიმართ (კლარჯეთის უდაბნოთა აღწერას იგი ქებას არ უწოდებს, თუმცა შინაარსობლივად ქებას კი წარმოადგენს). „ქებაჲ ხანძთისაჲ“ გიორგი მერჩულის თხზულების საუკეთესო ნიმუშია. პირველად აქ არის მხატვრულად ასახული კლარჯეთის ბუნების დიდებული სანახაობა: დახვეწილი, ეკონომიური, ლაპიდარული სტილით აღწერილია და დახასიათებული ხანძთის ბუნების სილამაზე, გამოხატულია „ბუნების ღრმა გრძნობა“.

თუ გავყვებით პ. ინგოროყვას კვლევა-ძიების მეთოდს, „ქებაჲ ხანძთისაჲს“ წარმომთქმელი — ეს უცნობი კლარჯი უნდა უყოყმანოდ ვაღიაროთ მერჩულის ბადალ მწერლად. კვლევის ახალი მეთოდი (პერსონაჟების ავტორებად გამოცხადება) საშუალებას იძლევა ისე დავშალოთ და დავანაწევროთ გიორგი მერჩულის თხზულება, რომ მის ნამდვილ ავტორს აღარაფერი დავუნარჩუნოთ.

ეჭვი არ არის, რომ „ქებაჲ ხანძთისაჲ“ და „ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ“ ერთი სულით არის გამსჭვალული, ერთ განწყობილებას გამოხატავს, გაწყობილია ერთიანი ხატოვანი ენით, ერთიანი მხატვრული სტილის ნაყოფია. ერთი სიტყვით, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთ ლიტერატურულ ძეგლთან და მის ერთ ავტორთან. ეს სახელოვანი ავტორია გიორგი მერჩული (გინა მერჩულე). გრიგოლ ხანძთელი ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია, ისე როგორც არაფერ შუაშია კლარჯი მოციქული.

ჩვენ ძირითადად სწორად მიგვაჩნია ის ამოსავალი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც პ. ინგოროყვა იძლევა ტექსტების რეკონსტრუქციასა და პუბლიკაციას. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მკვლევარი ზოგჯერ აჭარბებს და ნებისმიერად იქცევა. მაგალითად, იგი ამბობს, რომ ნახევარხმოვანი ჲ და ნახევარხმოვანი უ „ცალკეულ შემთხვევებში ჩაითვლებიან როგორც სრულხმოვანნი“ (გვ. 707). გაუგებარია, რა კანონზომიერების მიხედვით შეიძლება, მაგალითად, სიტყვა ტ ყ უ ე ლექსის ერთ სტრიქონში იყოს ერთმარცვლოვანი, ხოლო იქვე, მეზობელ სტრიქონში — ორმარცვლოვანი (გვ. 704—705). მეტრული კანონზომიერების დასადგენად ზოგჯერ არასწორადაა ნაჩვენები ტაეპების მარცვალთა რაოდენობა. მაგალითად, „მიქაელ საბაწმინდელის“ ტექსტის პირველი სამი ტაეპი სამივე შემთხვევაში მიჩნეულია თექვსმეტმარცვლოვნად (გვ. 704), შემოწმება არკვევს, რომ პირველი ტაეპი 17-მარცვლოვანია, მეორე — 15-მარცვლოვანი, მესამე — 16-მარცვლოვანი. როდესაც ტექსტი არ ეტევა მკვლევრის მიერ დადგენილ მეტრულ ჩარჩოში, მაშინ სცენაზე გამოდის თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი საზომი (გვ. 699).

ЛИТЕРАТУРНЫЕ СВЯЗИ ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ

Изучение литературных связей древней Грузии дает богатый конкретный материал для выяснения некоторых общих проблем из области взаимосвязей и взаимодействия национальных литератур.

На всем протяжении своей истории древняя Грузия поддерживала культурные связи со своими соседями как на Востоке, так и на Западе. Для обеспечения непрерывности этих связей создавались зарубежные грузинские книжно-просветительные очаги на территориях наиболее передовых культурных народов. Первые такие очаги возникли в Палестине (в Сирии и Иерусалиме). В Сирии еще в V в. подвизался выдающийся церковный деятель и, по-видимому, крупный писатель — богослов Петр Ивер (грузин), который многими отечественными и зарубежными учеными признается автором так называемых ареопагитских книг.[1] С X в. быстро развивается книжно-литературная деятельность в грузинской колонии на Синае. В X же веке начал действовать мощный грузинский культурный очаг на Афоне, а немного позднее такие очаги возникли на Черной Горе (около Антиохии), в Петрицони (на территории нынешней Болгарии) и в других местах. На Афоне грузинские деятели вплотную сталкивались и имели живое общение с представителями многих христианских народов, в частности со славянами. Греко-грузинские связи развивались задолго до нашей эры. Свидетельством тому являются такие популярные греческие мифологические сказания, как сказания об аргонавтах, о Прометее и др.

Греко-грузинские культурные связи расширились и углубились в христианскую эпоху. Находясь в центре византийской

---

[1] Э. Хонигман, Петр Ивер и сочинения Пс.-Дионисия Ареопагита, Пер. с французского со вступительной статьей проф. Ш. Нуцубидзе. «Труды Тбилисского гос. ун-та», т. 59, 1955, стр. 1—78.

образованности и культуры, зарубежные грузинские подвижники переводили на родной язык почти все основные произведения литературы западных христиан. На грузинском языке сохранилось много важных памятников, оригиналы которых или окончательно утеряны, или по крайней мере еще неизвестны. С помощью грузинских материалов проф. К. С. Кекелидзе удалось дать точную картину выдающейся литературной деятельности таких крупных византийских церковных писателей, каковыми являются Симеон Метафраст и Иоанн Ксифилин. Ознакомившись с известной работой К. С. Кекелидзе «Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста»,[2] акад. В. В. Латышев писал: «Никаких сведений об его (т. е. Иоанна Ксифилина. — А. Б.) жизни и литературной деятельности, в частности агиографической, до сих пор не было, так что К. Кекелидзе имел полное право сказать, что изданный им документ «является своего рода откровением в истории средневековой византийской письменности».[3] К. С. Кекелидзе уже опубликовано два тома неизвестных в оригинале грузинских переводных памятников греческой агиологии.

Помимо церковно-христианской литературы, на грузинский язык переводились поэмы Гомера, сочинения античных греческих философов (Платона, Аристотеля) и неоплатоников (Прокла Диадоха, Немесия Емесского и др.).

Не ограничиваясь заимствованиями, грузины вносили свой посильный вклад в созидание византийской культуры наравне со славянами, армянами и другими народами. Здесь уместно вспомнить имена упомянутого выше Петра Ивера, Евфимия Афонского, неизвестного грузинского философа (сподвижника Иоанна Итала) и др. В частности, Ефимий Афонский написал на греческом языке сочинение морально-аскетического содержания, переведенное затем на грузинский язык; он же перевел (по сведениям грузинского, греческого и латинского источников) с грузинского языка на греческий знаменитую средневековую душеспасительную повесть «Мудрость Балавара» (Варлаам и Иоасаф), «Абукуру» и ряд других, к сожалению, не известных нам пока произведений. На высоком уровне стояла и имела очень своеобразный характер переводческая культура древней Грузии. В доафонский период (до X в.) переводы делались настолько свободно, что даже переводные тексты священного писания носили название «грузинских» («грузинское евангелие», «грузинский псалтырь» и т. д.). Грузинский писатель XI в. Ефрем Мцире (Малый) создал очень любопытную теорию перевода, не потерявшую и поныне своей те-

---

[2] Христианский Восток, т. 1, вып. III, СПб., 1912, стр. 325—347.

[3] «Известия Академии наук», 1913, VI серия, № 4, стр. 237.

оретической ценности и практического значения. Он считал, что переводы должны делаться обязательно по первоисточникам. Сообразуясь со смыслом и духом оригинала, переводчик должен стремиться по возможности к точному, дословному соответствию с подлинником. Вместе с тем Ефрем Мцире возражал против формально-педантичного буквализма. Он советовал для пояснения трудных мест переводного текста пользоваться специальными комментариями на полях. Ефрем Мцире оставил после себя много научно точных и литературно безукоризненных переводов греческих текстов — произведений Иоанна Дамаскина, Василия Великого, Псевдо-Дионисия Ареопагита и др.

Очень живыми, тесными и непосредственными были в продолжении многих веков литературные связи между Грузией и Арменией. Эти связи не прервались и не уменьшились даже после известного разрыва на догматическо-конфессиональной почве между армянской и грузинской церквами.

В глубокой древности начали завязываться русско-грузинские политические и культурные связи. Первые сведения об этих связях относятся к XI в., к периоду Киевской Руси. Тяжелые времена монгольского ига затормозили нормальное развитие русско-грузинских отношений. Последние принимают регулярный и закономерный характер только с XV—XVI вв. Знаменательно, что в памятниках русской литературы этих веков уже находит отражение грузинская действительность («Сказание о Вавилонском царстве», «Повесть о грузинской царице Динаре»). Появление грузинских колоний сперва в Москве (в начале XVIII в.), затем в Петербурге, Астрахани, на Украине и в других местах, во многом способствовало углублению и расширению русско-грузинских литературных связей. Грузинские колонисты занимались интенсивной переводческой деятельностью, переводили с русского на грузинский язык огромное количество разной литературы: появились и первые опыты переводов с грузинского на русский язык («Похождение новомодной красавицы Гуланданы и храброго принца Барама. Сочинение Диларгета, секретаря Тифлисского. Переведено с грузинского языка Московского университета информатором Семеном Игнатьевым. Печатано в Санкт-Петербурге, 1773 г.»; «История георгианская о юноше князе Амилахорове, с кратким прибавлением истории тамошней земли от начала до нынешнего века. Перевел И[гнатьев] С[емен]». СПб., 1779).

В оригинальных произведениях грузинских поэтов-колонистов зазвучали новые нотки, появились новые темы, новые образы. Глава грузинской Московской колонии поэт Арчил Багратиони восторженно воспел славные дела Петра Первого;

он посвятил специальное поэтическое произведение знаменитой Полтавской битве. Арчил перевел с русского на грузинский язык героическую повесть «Александрию» и др. Благотворное воздействие русской культуры испытали на себе поэты-новаторы и мыслители Мамука Бараташвили и Давид Гурамишвили. В поэзии Гурамишвили находит широкое отражение и украинская жизнь. Под русским влиянием был вызван к жизни в царствование Ираклия II (1762—1798) первый грузинский профессиональный театр. Под влиянием русской драматургии развивалась древнегрузинская драматургическая литература.

Особый интерес вызывает то обстоятельство, что средневековая христианская Грузия имела близкое общение и тесные литературные связи и со странами мусульманского Востока. По словам акад. И. А. Джавахишвили, «если в области политической жизни Грузия находилась во враждебном отношении с разными мусульманскими государствами и [в частности] с Персией, то поэзия и культура создавали грузинско-персидское духовное единство и вместо вражды сеялись семена любви. Для Грузии не была чуждой персидско-мусульманская культура, они [т. е. грузины] с большим уважением относились к литературе, науке и искусству своих политических врагов».[4]

В эпоху наибольшего политического могущества и экономического подъема Грузии (XII в.) зародилась и пышно расцвела древнегрузинская светская литература, особенно поэзия. Древнегрузинская светская поэзия развивалась в условиях взаимосвязи и взаимодействия с персо-язычной литературой мусульманских стран. В XI—XII вв. были обработаны по-грузински многие выдающиеся произведения персидско-таджикских и азербайджанских авторов, в том числе «Шах-Намэ» Фирдоуси, «Вамек и Азра» Онсори, поэмы Низами Гянджеви (по крайней мере его «Лейли и Меджнун», «Хосров и Ширин», «Искандер-Намэ»), «Иосиф и Зулейха» анонима, «Вис-о-Рамин» Гургани.

С другой стороны, влияние высокоразвитой национальной грузинской культуры XII в. находит отражение в литературе соседних с Грузией народов, в частности в творчестве великих азербайджанских поэтов Низами и Хакани.

По мнению Евгения Эдуардовича Бертельса, созданию образа Ширин — энергичной, высокоморальной и интеллектуальной женщины — «в значительной степени помогла близость к христианским кругам. При смешанном характере населения Ганджи и ее близости к Грузии поэт [Низами] не мог не знать

[4] И. А. Джавахишвили. История грузинского народа, Тб., 1948, стр. 306 (на груз. яз.).

о том, что женщина там была свободна и не подвергалась тому унижению, которое было обычно в стране мусульман».[5]

Профессора Е. Бертельс и А. Маковельский считают, что Низами, возможно, изучал грузинские исторические хроники при создании поэмы «Искандер-намэ».[6] Ю. Н. Марр с большой научной убедительностью доказал, что Хакани искусно пользовался знанием грузинского языка в своих поэтических творениях.[7]

Таким образом, в пору высокого подъема национальной государственности и культуры самобытная грузинская литература быстро развивалась во взаимосвязи с литературами передовых соседей. Однако длительное монгольское иго и последующие времена варварских засилий деспотических восточных государств (Персии и Турции) тяжело отразились на состоянии духовной культуры грузинского народа. Именно в силу известных исторических причин в XVII—XVIII вв. в среде некоторой части грузинской феодальной аристократии стали насаждаться персидский язык и персидско-мусульманский образ жизни, в литературе усилилось влияние вычурной персидской поэзии позднефеодальной эпохи, появились отдельные чрезмерные ее поклонники. Некоторые грузинские поэты стали орудием литературной экспансии со стороны Иранского государства.

Чрезвычайно сильное персидское влияние стало тормозом в развитии национальной грузинской литературы. Передовые представители грузинской общественности XVII—XVIII вв., в первую очередь — прогрессивные писатели и поэты (Арчил, Сулхан-Саба Орбелиани, Давид Гурамишвили и др.), опираясь на исторические традиции национальной духовной культуры, развернули непримиримую борьбу против опасных форм глубокого проникновения в общественную жизнь и литературу иноземного влияния. Для прогрессивной грузинской литературы XVII—XVIII вв. характерно упорное стремление к прео-

---

[5] Низами. Хосров и Ширин. Под ред. В. В. Гольцева. Вступительная статья и комментарии Е. Э. Бертельса. М., 1948, стр. 16; Е. Э. Бертельс. Низами. М., 1948, стр. 130.

[6] Низами. Искандер-намэ. Пер. Е. Э. Бертельса. Баку, 1940, стр. 18; А. Маковельский. О поэме Низами «Искандер-намэ». — В кн.: «Низами», IV, Баку, 1947, стр. 60.

[7] Ю. Н. Марр. К вопросу о позднейших толкованиях Хакани. — В кн.: «Хакани, Низами, Руставели». Л., 1935, стр. 9—10.

долению одностороннего чуждого влияния и закреплению народно-национальных основ своей культуры.

Таким образом, многовековая история литературного общения Грузии с соседними странами показывает, что там, где имеет место равноправное сотрудничество народов, отношения между ними принимают форму здоровых литературных взаимосвязей и взаимодействия. Политическое же засилие со стороны агрессивного государства сопровождается литературной экспансией, односторонним вредным влиянием.

ამირან-დარეჯანიანის გარშემო

1958 წ. რ. სტივენსონმა გამოაქვეყნა „ამირან-დარეჯანიანის“ ინგლისური თარგმანი საინტერესო შესავალი წერილითა და შენიშვნებით. ამ თარგმანს დიდი რეცენზია უძღვნეს დ. მ. ლენგმა და გ. მ. მერედიტ-ოუენსმა[1]. რეცენზიაში დასმული და განხილულია პრინციპული ხასიათის რიგი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი, აქედან მთავარია „ამირან-დარეჯანიანის“ სადაურობა. კვლავ ახალი სიმწვავით წამოიჭრა „ამირან-დარეჯანიანისა“ და „ყისაი ჰამზას“ პრობლემა. ამგზობის ჩვენც ამას ვეხებით.

როგორც ცნობილია, „ამირან-დარეჯანიანის“ წარმოშობის თაობაზე იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა. 1895 წელს დაიბეჭდა ნ. მარის ცნობილი ნარკვევი „Персидская национальная тенденция в грузинском романе Амиран-Дареджаниани“. ნარკვევის სათაურიც ცხადად ამხილებდა მისი შინაარსის ხასიათს. ნ. მარი ვარაუდობდა, რომ მე-12 საუკუნის ქართული სარაინდო რომანი (ასე უწოდებდა ის „ამირან-დარეჯანიანს“) უნდა ყოფილიყო უცნობი სპარსული ნაწარმოების თარგმანი. მკვლევარმა შემდეგ იპოვა მე-16 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის, ბაგრატ მუხრან-ბატონის პირდაპირი მოწმობა, რომლითაც ირკვეოდა, თითქოს „ამირან-დარეჯანიანი“ წარმოადგენს სპარსული საგმირო-საფალავნო მოთხრობის „ყისაი ჰამზას“ „მცირედი რაიმე ნაწილის“ თარგმანს. ამით დასტურდებოდა ნ. მარის ვარაუდი. სპეციალისტებმაც უყოყმანოდ გაიზიარეს „ამირან-დარეჯანიანის“ წარმოშობილობის მარისეული თეორია.

---

[1] Amiran-Darejaniani a Georgian Romance and its English rendering by D.M. Lang and G. M. Meredith-Owens (Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London, vol. XXII, Part 3, 1959. 461—490).

„ყისაი ჰამზას“ სპარსული ტექსტის გაცნობამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ იგი არ იყო „ამირან-დარეჯანიანის“ უშუალო წყარო. „ყისაი ჰამზასა“ და „ამირან-დარეჯანიანის“ შედარების გზით ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ ისინი სრულიად სხვადასხვა თხზულებებია როგორც შინაარსით (სიუჟეტით), ისე იდეურობითა და არქიტექტონიკით[2]. ჩვენ საგანგებოდ შევუპირისპირეთ ერთმანეთს „ამირან-დარეჯანიანისა“ და „ყისაი ჰამზას“ იდეური შინაარსი. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ „ამირან-დარეჯანიანისათვის“ სპარსულ ეროვნულ ტენდენციასთან ერთად ნიშანდობლივია გარკვეული ანტიარაბული ტენდენციაც[3], მაშინ როდესაც „ყისაი ჰამზას“ მსჭვალავს ხაზგასმული არაბულ-მუსლიმანური ეროვნულ-სარწმუნოებრივი სულისკვეთება. აღნიშნულის მიუხედავად, ჩვენ მაინც არ დაგვისვამს „ამირან-დარეჯანიანის“ სიუჟეტური ორიგინალობის საკითხი, ჩვენ ვამბობდით: „ამირან-დარეჯანიანი რომელიღაც ამ დაკარგული (თუ ჯერ უცნობი) სპარსული სარაინდო თხზულების გადმოქართულებას უნდა წარმოადგენდეს-თქო“[4]. სიფრთხილით დასკვნის საჭიროებას იწვევდა ორი გარემოება: ჯერ ერთი, „ამირან-დარეჯანიანსა“ და „ყისაი ჰამზას“, როგორც საგმირო-საფალავნო თხზულებებს, „აქვთ ზოგიერთი ცალკეული მონათესავე ხასიათის მოტივები“ სიუჟეტური თუ თემატიკური რიგისა. ამასთან ერთად საერთო მოტივები აახლოებს ამირან-დარეჯანიანს სადევგმირო შინაარსის მქონე სხვა თხზულებებთან, მაგალითად „სეილანიანთან“, „ვარშაყიანთან“, „სირინოზიანთან“[5]... მეორე მხრით, ყურადღებას იქცევდა ის, რომ „ამირან-დარეჯანიანის“ საგმირო მოთხრობების ციკლიდან გარკვეულად გამოირჩევა ამბრი არაბისა და ინდო-ჰაბუკის ამბები (V და VI კარები). წინააღმდეგ „ამირან-დარეჯანიანის“ საერთო მონაცემებისა და თანახმად „ყისაი ჰამზას“ სინამდვილისა ამბრი არაბის და ინდო-ჰაბუკის ამბებში არაჩვეულებრივად განდიდებულია არაბობა. „ამბრი არაბის ამბის“ ზოგიერთი შინაარსობლივი დეტალიც (ამბრი არაბისა და არაბთა მეფის ძის ერთდროული დაბადება, ჰამზას მამის აბდ-ალ-მუტალიბის სახელის პარალელი ამბრის აღმზრდელის აბუტარის სახელთან, ამბრი არაბის ბავშვობიდანვე განმაცვიფრებელი

---

[2] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1932, გვ. 40—45.

[3] იქვე, გვ. 32—33.

[4] იქვე, გვ. 45.

[5] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 1945, გვ. 20.

ძალლონიანობა, შვიდი წლიდან სასახელო საფალავნო საქმეების შესრულება...) ემთხვევა „ყისაი ჰამზას“ ამბავს. ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ სახელწოდება ამბრი არაბი ჰამზას ჩვეულებრივი ეპითეტის ამირე არაბის „ოდნავ დამახინჯებული ფორმაა“. ერთი სიტყვით, „ამბრი არაბის სახე სახეა თვითონ ამირ ჰამზასი-თქო“. ვწერდით ჩვენ. მსჯელობას „ყისაი ჰამზასა“ და „ამირან-დარეჯანიანის“ შეპირისპირების თაობაზე ჩვენ ვამთავრებდით შემდეგი განმაზოგადებელი დასკვნით: „ჩვენ სრულიად იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ამბრი არაბის ამბავი სიუჟეტურად იყოს იდენტური ჰამზას ამბისა. არა. ზოგიერთი დეტალის გარეშე ორივე ტექსტი განსხვავებული შინაარსის მქონეა და სხვადასხვა თხზულებასაც უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ მაინც საფიქრებელად მიგვაჩნია, რომ გადანაშთის სახით ამბრი არაბის ამბავს უნდა შემოენახოს ამირე არაბის (ჰამზას) ფანტასტიკური ფალავნური მოღვაწეობის ცალკეული მომენტები“. „ამირან-დარეჯანიანის“ შინაარსისა და იდეური ტენდენციების შესწავლამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ საქმე უნდა გვქონოდა „სპარსული იდეური და ლიტერატურული ნიადაგიდან მომდინარე ნაწარმოებთან“ [6].

ჩვენი ნარკვევი თავის დროზე მიჩნეული იქნა „მეორე ახალ პერიოდად ამირან-დარეჯანიანის კვლევის ისტორიაში აკად. ნ. მარის შემდეგ“. ამ ნარკვევმა „ნებსით თუ უნებლიედ პირველმა შეარყია ამირან-დარეჯანიანის სპარსულობის თეორია და კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა იგიო“ [7]. ყოველ შემთხვევაში ბევრმა ცნობილმა მკვლევარმა გადასინჯა თავისი შეხედულება „ამირან-დარეჯანიანის“ გენეზისის თაობაზე. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, ჩვენ „ყოველმხრივ“ და „გულდასმით განვიხილეთ“ „ყისაი ჰამზასა“ და „ამირან-დარეჯანიანის“ დამოკიდებულების საკითხები და გამოვარკვიეთ საქმის „ნამდვილი ვითარება“. მაგრამ გამოჩენილმა მეცნიერმა ჩვენს საბოლოო დასკვნას „მოულოდნელი“ უწოდა და ამისათვის კიდევაც გვისაყვედურა [8]. საყვედური მივიღეთ კ. კეკელიძისგანაც.

---

[6] ნარკვევები, I, 1945, გვ. 25—27; აგრეთვე, ალ ბარამიძე, ამირან-დარეჯანიანის ორიგინალობის საკითხისათვის (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 6, 1943, გვ. 595—598).

ივ. ლოლაშვილი, აკად. ნ. მარი და ამირან-დარეჯანიანის სადაურობის პრობლემა (ლიტერატურული საქართველო, 18. IV. 41).

[8] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1956, გვ. 61—65 (ივ. ჯავახიშვილის სიცოცხლეში გამოქვეყნდა ჩვენი „ნარკვევების“ მხოლოდ პირველი გამოცემა).

ის შეგვნიშნავდა: „სამწუხაროდ, ვერც ა. ბარამიძე შერჩა მის მიერ დადგენილ ფაქტს და ნ. მარის ადრინდელ პოზიციებზე შეჩერდა, რამდენადაც რომანი სპარსული იდეური და ლიტერატურული ნიადაგიდან მომდინარე ნაწარმოებად აღიარაო“ [9]. აწინდელი გავრცელებული შეხედულებით [10], „ამირან-დარეჯანიანი“ მიჩნეულია სიუჟეტის მხრივაც ორიგინალურ თხზულებად. მის შესაძლებელ სპარსულ წარმოშობას მხარი დაუჭირა დ. კობიძემ. მან ვრცლად შეუდარა ერთმანეთს „ამირან-დარეჯანიანი“ და „შაჰნამეს“ ციკლის ვერსიები. დ. კობიძის დაკვირვების მიხედვით, „მიუხედავად იმისა, რომ შაჰნამე და ამირან-დარეჯანიანი სულ სხვადასხვა თემაზე აგებული ნაწარმოებებია, მათ შორის მაინც შეინიშნება ლიტერატურული შეხვედრები — სიუჟეტის გაშლის მოტივებისა და ალაგ-ალაგ ამა თუ იმ ეპიზოდის გარეგნული მხატვრული გაფორმების მხრივაც, რითაც ამირან-დარეჯანიანი ნაწილობრივ შინაგანი ხასიათითაც კი შაჰნამესთან ერთად მჭიდროდ უკავშირდება სპარსული საგმირო-ეპიკური და საგმირო-რომანული ხასიათის მთელ რიგ ნაწარმოებებს“ [11].

დ. კობიძის შეხედულებით, „ამირან-დარეჯანიანის“ ავტორი „უმთავრესად სპარსული ლიტერატურის ტრადიციების რკალშია მომწყვდეული და, ვინ იცის, იქნებ მისი თხზულება რომელიმე სპარსული საგმირო-ეპიკური ხასიათის დიდი ნაწარმოების ნაწილსაც კი წარმოადგენდეს“ [12]. ამ დასკვნასთან ერთად დ. კობიძე არ უარყოფს „ამირან-დარეჯანიანის“ ადგილობრივი წარმოშობის შესაძლებლობას. ის სვამს კითხვას: „რატომ არ შეიძლება, რომ ამირან-დარეჯანიანი წარმოშობილიყო ქართულ ნიადაგზედაცო?“ [13].

მოკლედ რომ მოვჭრათ, ასეთი იყო ვითარება „ამირან-დარეჯანიანის“ სადაურობაზე, როდესაც ამ საკითხით პატივცემული ინგლისელი მეცნიერები დაინტერესდნენ. დ. ლენგი და გ. მერედიტ-ოუენსი დიდ ანგარიშს უწევენ ბაგრატ მუხრან-ბატონის ცნობას „ამირან-დარეჯანიანის“ „ყისაი ჰამზადან“ წარმომდინარეობის შესახებ. ისინი აღნიშნავენ, რომ არც მარს და არც ვინმე სხვას ყურად-

---

[9] გ. ლეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 71, შენ. 1 (იგივე, მეოთხე გამოცემა, 1958, გვ. 75, შენ. 1).

[10] რამაც გამოხატულება პოვა „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ (თბილისი, 1954, გვ. 209—210) და რასაც სრულიად ბუნებრივად დაემყარა რ. სტივენსონი.

[11] დ. კობიძე, ამირან-დარეჯანიანის სადაურობისათვის (ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 262—263).

[12] ამირან-დარეჯანიანის სადაურობისათვის, გვ. 263.

[13] იქვე, გვ. 263—264.

ღებით არ გამოუკვლევია ეს საკითხი, იმისდა მიუხედავად, რომ ქართულ ენაზე მოიპოვება ჰამზას რომანის სრული ტექსტი, გადმოთარგმნილი სპარსულიდან შედარებით გვიან დროსო (გვ. 472). ის ფაქტი, რომ ჰამზას რომანის უმთავრესი ხელნაწერი, თუ ერთადერთი არა, დაცულია ბოდლეის ბიბლიოთეკაში, იწვევს ამ ნაწარმოების საკითხის გადასინჯვის საჭიროებასო, ამბობენ ინგლისელი მკვლევარები და დასძენენ: „მართალია, პროფესორი ა. ბარამიძე თავის ნარკვევებში რამდენადმე უთმობს ყურადღებას ამირან-დარეჯანიანის შედარებას სპარსული ამირ ჰამზას რომანის ერთ-ერთ ვერსიასთან“ (მიუთითებენ „ნარკვევების“ პირველ, 1932 წლის გამოცემაზე), მაგრამ მეორე ქართველმა მეცნიერმა უარყო, როგორც საბოლოო, ბარამიძისეული შეპირისპირების „ზედაპირული ცდა“, განსაკუთრებით იმის გამო, რომ არსებობს ჰამზას რომანის უმეტეს წილად ნაკლებ ცნობილი და ერთურთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ხელნაწერი ვერსიებიო [14] (იქვე). დ. ლენგმა ამაზე ადრეც [15] დაიმოწმა ბოდლეის ბიბლიოთეკის უორდროპისეული ფონდის ერთი ხელნაწერი, რომელიც შეიცავს თხზულებას სათაურით: „ისტორია ანუ მოთხრობა ყარანამარამზასი (ე. ი. საჰიბყირან ამირ ჰამზა) და ბაბა ამარისა“. იგი ნათარგმნია სპარსულიდან მოურავ თავად სოლომონ თარხნიშვილის მიერ თავად სიმონ მაყაშვილის დახმარებითო 1835 წელს. როგორც ჩანს, ეს ქართული თარგმანია „ამირ ჰამზას დასტანისა“. რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიკოსებისათვის უცნობი უნდა იყოსო, შენიშნავდა დ. ლენგი [16]. შენიშვნა სწორია. „ყარან-ამარ-ამზა და ბაბა ამარი“ მართლაც ამირ ჰამზას რომანის („ყისაი ჰამზას“) ერთ-ერთი სპარსული ვერსიის ქართული თარგმანია და, როგორც ასეთი, ის დღემდის უცნობი იყო ქართული მწერ-

---

[14] „მეორე ქართველ მეცნიერად“ იგულისხმება დ. კობიძე. ინგლისელი მკვლევარები მიუთითებენ კიდეცაც ჩვენს მიერ დასახელებულსა და ციტირებულ ნაშრომზე.

[15] Georgian Studies in Oxford (Oxford Slavonic Papers, VI. 1955, გვ. 141—142).

[16] ექვთიმე თაყაიშვილის არქივში აღმოჩნდა უორდროპისეულ სხვა ხელნაწერებთან ერთად „ყარანამარამზას“ ხელნაწერის აღწერილობაც, შესრულებული 1911 წელს. თაყაიშვილისეული აღწერილობა სათანადო შენიშვნების დართვით გამოაქვეყნა ელენე კეკელიძემ (უორდროპისეული ქართული ხელნაწერების აღწერილობა ე. თაყაიშვილისა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“, III, 1961, გვ. 188—211, სპეციალურად გვ. 192, 199—201). სხვათა შორის, ე. თაყაიშვილის აღწერილობის მიხედვით, ყარანამარამზას ამბავი ქართულად უთარგმნიათ არა 1835 წელს, როგორც ლენგს აქვს მითითებული, არამედ 1833 (ჩყლგ) წელს.

ლობის მკვლევართათვის. დ. ლენგის უთუო დამსახურებაა ამ ძეგლის აღმოჩენა და მისი მოხმობა „ამირან-დარეჯანიანის“ სადაურობის სადავო პრობლემის გადასაწყვეტად.

დავუბრუნდეთ საძიებელ საკითხს. როგორც ვხედავთ, ინგლისელი მკვლევარებიც თვლიან, რომ „ყისაი ჰამზა“ და „ამირან-დარეჯანიანი“ ასე თუ ისე მაინც ყოფილა შეპირისპირების საგანი. თუმცა ადგილი ჰქონია შეპირისპირების „ზედაპირულ ცდას“ (ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, შეპირისპირება და საკითხის განხილვა ჩატარებულ იყო „გულდასმით“ და „ყოველმხრივ“). „ზედაპირული შეპირისპირების“ ცდა უარუყვია „მეორე ქართველ მეცნიერს“. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს „მეორე ქართველ მეცნიერს“ ზედაპირულად მიუჩნევია პირველის მიერ ჩატარებული „შეპირისპირების ცდა“ (და ამიტომაც უარუყვია იგი, როგორც საბოლოო). მაგრამ ნამდვილად საქმე ისე არ არის, როგორც გვისურათებენ პატივცემული ინგლისელი მეცნიერები. „მეორე ქართველ მეცნიერს“, ე. ი. პროფესორ დავით კობიძეს, სიტყვასიტყვით უწერია: „პ რ ო ფ. ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ი თ უ დ ა ო დ წ ი ნ წ ა რ მ ო ე ბ უ ლ ი ა ვ ი დ ა ა მ ი რ ა ნ - დ ა რ ე ჯ ა ნ ი ა ნ ი ს ს პ ა რ ს უ ლ წ ყ ა რ ო ე ბ თ ა ნ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს კ ვ ლ ე ვ ი ს ს ა ქ მ ე“ [17]. იგი ფიქრობს, რომ „საბოლოოდ გარკვეულად“ ვერ ჩაითვლება „ამირან-დარეჯანიანისა“ და „ყისაი ჰამზას“ დამოკიდებულების საკითხი, რადგანაც გასათვალისწინებელი რჩება „ყისაი ჰამზას“ სხვადასხვა ვერსიები და ამ ვერსიების საფუძველზე შექმნილი თხზულებები [18]. სავსებით საბუთიანი მეცნიერული მსჯელობაა, მაგრამ სადაა აქ „ზედაპირული“ შეპირისპირების უარყოფა?! ჩვენ არც დაგვიჩემებია, რომ „საბოლოოდ“ გავარკვიეთ „ამირან-დარეჯანიანისა“ და „ყისაი ჰამზას“ დამოკიდებულების პრობლემა. „ყისაი ჰამზას“ ჩვენს ხელთ არსებული ვერსიისა და „ამირან-დარეჯანიანის“ შეპირისპირების ნიადაგზე კი გარკვეული დასკვნები გამოვიტანეთ. ჩვენი შეპირისპირება ბევრმა მეცნიერმა მოიწონა, უარყოფით კი არავის უარუყვია. კერძოდ, დ. კობიძემ გააფართოვა კვლევა-ძიების სფერო, „ამირან-დარეჯანიანი“ „შაჰნამეს“ შეუდარა. შეიძლება (და სასურველია) „ამირან-დარეჯანიანი“ დაწვრილებით შეუდარდეს საგმიროეპიკური ხასიათის სხვა ძეგლებსაც. მაინცადამაინც დ. კობიძეც იმ დასკვნამდის მივიდა, რაც ჩვენ შეხედულებას არა თუ ეწინააღმდეგება, არამედ პირდაპირ ემთხვევა (მოსე ხონელი „სპარსული ლიტე-

[17] ამირან-დარეჯანიანის სადაურობისათვის, გვ. 263 (დაყოფა ჩემია, — ა. ბ.).

[18] იქვე.

რატურული ტრადიციების რკალშია მომწყვდეულიო"). ამაოდ ცდილობენ ინგლისელი მეცნიერები ალ. ბარამიძისა და დ. კობიძის დაპირისპირებას! ქვემოთ დავინახავთ, რომ დ. ლენგმა და გ. მერედიტ-ოუენსმა ახალი ნაბიჯი გადადგეს წინ საკვლევი სფეროს შემდგომი გაფართოებისათვის („ყისაი ჰამზას" სხვა ვერსიები გამოიყენეს), მაგრამ არსებითად ჩვენს დასკვნებს არ გასცილებიან, უკეთ, ძირითადად იზიარებენ ჩვენ დასკვნებს (რამდენადაც საქმე შეეხება „ყისაი ჰამზასა" და „ამირან-დარეჯანიანის" დამოკიდებულების საკითხს).

დ. ლენგსა და გ. მერედიტ-ოუენსს მიზნად დაუსახავთ მეტად საპატიო ამოცანა — „ყისაი ჰამზასა" და „ამირან-დარეჯანიანის" დაწვრილებითი შედარება და „შუასაუკუნის ქართულ ლიტერატურაზე ყისაი ჰამზას შესაძლებელი გავლენის" გამოვლინება (გვ. 474—475). ინგლისელ მკვლევართა განკარგულებაში ყოფილა უახლოესი სპეციალური ლიტერატურა და „ყისაი ჰამზას" სხვადასხვა ხელნაწერი თუ ბეჭდური ვერსიები. მათ შორის დღემდის უცნობი ქართული ვერსიის ხელნაწერი ტექსტი.

ჰამზას რომანის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების საფუძვლიანი მიმოხილვის შემდეგ ინგლისელი მეცნიერები იწყებენ რომანის იმ ელემენტების „იზოლირებულად" გამოძიებას, რაც ამყარებს „გარკვეულ ნათესაობას" ქართულ „ამირან-დარეჯანიანთან" (გვ. 477). უწინარეს ყოვლისა ასეთად მიჩნეულია ჰამზას დაბადების გარემოებანი (იქვე). ჰამზას და ომარ ამიჰის დაბადების ამბები და მათი ურმობისდროინდელი საქმენი საგმირონი „მკრთალ ასახვას პოულობს ქართულ ამირან-დარეჯანიანშიო", წერენ ისინი, ამასთან ურთავენ: „პროფესორი ბარამიძეც კი აღიარებს, რომ ამბრი არაბი ამირ არაბის (ჰამზას ერთ-ერთი „ტიტულის") უბრალო დამახინჯებააო" და მიუთითებენ მ. ჩიქოვანის ნაშრომზე „ამირანი" (ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, 91), რის მიხედვითაც ციტირებულია ჩვენი ნარკვევი „ამირან-დარეჯანიანის ორიგინალობის საკითხისათვის" (უშუალოდ ამ წყაროს, როგორც ჩანს, არ იცნობენ).

ჩვენ დიდი გაკვირვება უნდა გამოვთქვათ. საქმე ისაა, რომ ჰამზას დაბადების გარემოებათა ნიშანდობლივი სიახლოვე და ნათესაობა „ამირანდარეჯანიანთან" პირველად ჩვენ დავადგინეთ. ინგლისელი მეცნიერები იმეორებენ ჩვენ მიერ დადგენილ ამ მნიშვნელოვან ფაქტს და უცნაური შენიშვნის საფასურით („პროფესორი ბარამიძეც კი აღიარებსო"...) იქიდან ჩვენ გვიტოვებენ მხოლოდ ერთი დეტალის გარკვევის პატივს (ამირ არაბი — ამბრი არაბი). აღძრულ სა-

კითხში დ. ლენგსა და გ. მერედიტ-ოუენსს ის სიახლე შეაქვთ, რომ სახელ ა მ ბ რ ი ს დამახინჯებას ხსნიან სპარსულ (ე. ი. არაბულ) დაწერილობაში დიაკრიტიკული ნიშნის დაკარგვით. სავსებით სწორი მოსაზრებაა. მაგრამ ეს არის და ეს. სხვა, პრინციპულად რამ ახალი, არაფერია თქმული.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამბრი არაბისა და ჰამზას ამბებიდან ინგლისელ მკვლევარებს დამატებით აქვთ გამონაჭული სიახლოვის მაუწყებელი ორი ანგარიშგასაწევი დეტალი: 1. „ღარიბი კაცის“ მიერ სტროლაბით წინასწარმეტყველება ამბრის მომავალ დიდებაზე („ამირან-დარეჯანიანი“) და ბოზორჯმიჰრის წინასწარმეტყველება ჰამზას შესახებ (ჰამზას რომანი); 2. „ჯადოსნური ცხენის“ მოტივი.

ამ საერთო მოტივებზე მითითების გარდა ინგლისელი მეცნიერების ვარაუდით, ამბრი არაბის საფალავნო ქველობანი ისევე გაზვიადებულად არის აწერილი „ამირან-დარეჯანიანში“, როგორც ჰამზას გმირობა „ჰამზას ამბავში“. ისინი პათეტიკური კილოთი შენიშნავენ: „გასაოცარია, რომ პროფესორი ბარამიძე, რომელმაც პირველად აღიარა ჰიპერბოლა ქართული ციკლის დამახასიათებელ თვისებად, ამისდა მიუხედავად უარს ამბობს გაავლოს საგულვებელი პარალელები ამირ ჰამზას რომანთან და იმისი ტიპის სხვა სპარსული ნაწარმოებებთან“ (479). თავის მხრით ინგლისელ მეცნიერებს ნიშანდობლივ პარალელებად მიაჩნიათ ო რ თ ა ბ რ ძ ო ლ ა ნ ი და ტ ი ლ ი ს მ ე ბ ი ს მ ო ტ ი ვ ე ბ ი. „სხვა მსგავსებათაგან“ აღსანიშნავიაო, რომ ამირანი ემსახურება ბაღდადის ხალიფს, ჰამზა კი სასანელ შაჰინშაჰს, ორივე ფალავანს ცოლად გამოჰყავს მეფის ასულები, ამირანის სამოღვაწეო ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტი ემთხვევა ჰამზას სამოღვაწეო ასპარეზსო (იქვე). ამით იხურება პარალელების ნუსხა.

დ. ლენგსა და გ. მერედიტ-ოუენსს უნდა მოვახსენოთ, რომ ბარამიძეს მხედველობიდან არ გამოპარვია არა თუ ამირანისა და ჰამზას გაზვიადებული ფალავნური ქველობანი, არამედ რიგი სხვა დამთხვევი მომენტებიც. ჩვენ გვიწერია: „ამირანი (ან სეფედავლე, მზეჭაბუკი) და ჰამზა ორივე ამხელს რაინდულ, თუ ფალავნურ კეთილშობილებასა და სულგრძელობას: ორივე თხზულების გმირები დამარცხებულ მოპირდაპირეს სიცოცხლეს უნარჩუნებენ, ათავისუფლებენ, ან მოყმედ იწყნარებენ, იჩენენ მოკრძალებასა და თავდაბლობას, პატრონებს (მეფეებს) ერთგულობენ, ქვეშევრდომებს მფარველობენ, თავგამოდებას და ვაჟკაცობას უმტკიცებენ მანდილოსნებს, ეხმარებიან ქერივ-ობლებსა და გაჭირვებულებს, მექარავნეებს

იცავენ მეკობრეებისაგან, ებრძვიან ავსულებს, დევებს, კაციჭამიებს, ჯადოქრებს, საერთოდ ყოველგვარ ბოროტ ძალებს და ა. შ. მაგრამ აღნიშნული მოტივების მხრივ ამირან-დარეჯანიანს ნათესაობა მოყ-პოვება არა მარტო ყისაი ჰამზასთან, არამედ სადევგმირო ხასიათის მრავალ სხვა ნაწარმოებთან..." [10] დ. ლენგისა და გ. მერედიტ-ოუენსის მოხმობილი ზოგიერთი პარალელი საეჭვოდ გვეჩვენება. აბა, რა ნ ი შ ა ნ დ ო ბ ლ ი ვ ი პარალელია ის, რომ ამირანი ამირა მუმლის (ბაღდადელი ხალიფის) კარზე მოღვაწეობს, ხოლო ჰამზა ანუშირვანის კარზე მედაინში? ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სხვადასხვაა გმირების სამეფო კარზე მოღვაწეობის ხასიათი (ამაზე აქ სიტყვას ვეღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ჰამზა თავზე ახვევს პატრონს თავის რჯულს და შაჰის სურვილის წინააღმდეგ ცოლად ირთავს მის ქალს. მსგავსი რამ გამორიცხულია ამირან დარეჯანის ძისა და ხალიფის ურთიერთობიდან). გმირების სამოღვაწეო ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის დამთხვევაც ძეგლების ნათესაობის დამამტკიცებელ ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ნიშნად ვერ ჩაითვლება.

მსგავსი რიგის მოტივებით „ამირან-დარეჯანიანს" ემსგავსება „სეილანიანი", „სირინოზიანი", „ყარამანიანი" და სხვ.

დ. ლენგისა და გ. მერედიტ-ოუენსს რაც შეიძლება დაწვრილებით გამოუძიებიათ „ჰამზას ამბისა" და „ამირან-დარეჯანიანის" მოტივები, ამის საფუძველზე გამოუტანიათ საბოლოო დასკვნა: „თუმცა ამირან-დარეჯანიანი, მართალი რომ ითქვას, არ არის ჰამზას რომანის თარგმანი, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, იგი (ე. ი. ამირან-დარეჯანიანი, — ა. ბ.) ატარებს მასთან (ე. ი. ჰამზას რომანთან, — ა. ბ.) ნათესაობის უცილობელ ნიშნებს" (გვ. 479). ამ ღირსშესანიშნავ დასკვნას მოჰყვება ცოტა არ იყოს გამომწვევი და სრულიად შეუფერებელი კილოთი გამოთქმული მსჯავრი: დიდი-დიდი, რაც მოსე ხონელმა მოახერხა, მან „შეაკოწიწა უპირატესად ირანული ინგრედიენტებიდან იმპორტირებული ზღაპრების სერია, რომელსაც მისი თანამემამულენი სიამაყით აცხადებენ მათი საკუთარი გმირული წარსულის გამოხატულებად" (გვ. 480).

ძველ ქართულ მწერლობას საუკუნეების მანძილზე ცოცხალი და ქმედითი კავშირი ჰქონდა მეზობელი ქრისტიანი და მუსლიმანი ხალხების მწერლობასთან. საკმაოდ შესწავლილი და გარკვეულია ძველ საქართველოს ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმები და სახეები. ჩვენთვის უცნობია „იმპორტირების" ის სახეობა, რომელსაც ინგლისელი სწავლულები გვთავაზობენ. მოსე ხონელს შეეძლო თა-

[10] ნარკვევები, I, 1945, გვ. 20.

ვისი მიზნებისათვის უცხოური ლიტერატურული მასალების გამოყენება (და ალბათ გამოიყენა კიდევაც), მაგრამ ამ მასალებს — თარგმანის შემთხვევაშიც კი -- იგი უეჭველად შეუფარდებდა ქართული ეროვნული და სოციალური სინამდვილის პირობებს. „ამირან-დარეჯანიანი" ცხადლივ ატარებს ამის უტყუარ ნიშნებს. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორადაც არ უნდა გადაწყდეს „ამირან-დარეჯანიანის" წარმოშობილობის საკითხი, ლიტერატურული ძეგლის ჩამოყალიბებას უთუოდ უსწრებდა წინ ძველ-ქართული ხალხური თქმულება ამირანზე (კეთილ გმირ-გოლიათზე, რომელიც უსამართლოდ ისჯება ღვთაებასთან შებრძოლების გამო). პირადად ჩვენთვის სადავო არაა, რომ ძველ-ქართულ ხალხურ თქმულებას შეერია და შეერწყო „ამირან-დარეჯანიანის" მოტივები, მაგრამ თქმულების ძირითადი ბირთვი უცვლელად უნდა დარჩენილიყო. მოსე ხონელის თანამემამულენი, რა თქმა უნდა, ხალხურ „ამირანიანში" სამართლიანად ხედავდნენ და ხედავენ თავიანთი დიდებული წარსულის სულიერი ცხოვრების თავისებურ ანარეკლს. თითქოს ეს სრულიად ბუნებრივია, გასაკილავი და მით უფრო დასაცინი აქ არა არის რა.

სრულიად უსაფუძვლოდ და უსამართლოდ ცდილობენ დ. ლენგი და გ. მერედიტ-ოუენსი ქართველ მეცნიერებს მიაწერონ პატრიოტული მიკერძების გრძნობებით ხელმძღვანელობა სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის დროს. „ყისაი ჰამზასა" და „ამირან-დარეჯანიანის" დამოკიდებულების გარშემო წარმოებული კვლევა-ძიება ნათლად ამტკიცებს, რომ ქართველი მეცნიერები „ნაციონალური პრესტიჟის" გულისათვის ოდნავაც არ ღალატობენ ობიექტურ მეცნიერულ პეშმარიტებას (როგორც ეს ინგლისელ მკვლევარებს ეჩვენებათ).

ახლა საკუთრივ ჩვენ საკითხზე. „ამირ ჰამზას ამბისა" და „ამირან-დარეჯანიანის" დამოკიდებულების თაობაზე დ. ლენგი და გ. მერედიტ-ოუენსი არსებითად იზიარებენ და ავითარებენ ჩვენს სამ ძირითად დებულებას: 1. მიუხედავად გარკვეული ელემენტების დამთხვევისა, „ამირან-დარეჯანიანი" არ არის „ყისაი ჰამზას" თარგმანი; 2. ამბრი არაბის ამბავს გადანაშთის სახით შემოუნახავს „ყისაი ჰამზას" ნიშანდობლივი მოტივები; 3. „ამირან-დარეჯანიანი" სიუჟეტურად ასე თუ ისე სპარსულიდან მიმდინარე ნაწარმოებს უნდა წარმოადგენდეს.

დ. ლენგმა და გ. მერედიტ-ოუენსმა ჩვენი დასკვნების საბუთიანობას საძირკველი გაუმაგრეს რამდენიმე ახალი, დამატებითი საბუთის მოხმობით.

საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ინგლისელ მეცნიერებს დიდ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოთ ის გარემოება, რომ მათ მდიდარი მასალის შესწავლის საფუძველზე შეამოწმეს და დაადასტურეს, რომ „ამირან-დარეჯანიანი" არ არის „ყისაი ჰამზას" ნაწილი ან მისი თარგმანი. კერძოდ, დ. ლენგს განსაკუთრებულად უნდა ვუმადლოდეთ „ყისაი ჰამზას" ქართული ვერსიის აღმოჩენას [20].

ახლა ორიოდე სიტყვა თვითონ ამ ვერსიის შესახებაც. ქართული ვერსიის საუკეთესო ხელნაწერი დაცული ყოფილა ბოდლეის ბიბლიოთეკაში. საქართველოში მოიპოვება მისი ორი პირი: ხელნაწერთა ინსტიტუტის S—950 და ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი 12923—b. ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხას [21] სათაურად აქვს: „ისტორია ანუ მოთხრობა საპყარან ამარამზასი და ბაბა ამარისა. გარდმოღებული სპარსულიდამ ქართულს ენასა ზედა შამშადინის მოურავის თავადის სოლომან თარხანოვისაგან თანაგუსლმოდგენით შემწეობითა თავადისა სვიმონ ალექსანდრის ძის მაყაევის თანა. დაიწყო გადმოწერა ხელახლად ჩყჲგ-ს (1863) წელსა. იანვრის ოთხსა". ეს ხელნაწერი შეიცავს თხზულების მხოლოდ დასაწყის ნაწილს. ამბავი იმაზე წყდება, რომ ანუშირვანმა ჰამზას თხოვა ის ზანდუკები, რომლებითაც აპარებდნენ მერინიგარსა და მის მოახლეებს (გვ. 112). ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერს [22] აქვს შემდეგი სათაური: „ისტორია ანუ მოთხრობა საპყარან ამარამზასი და ბაბა ამარისა". დიდი ფორმატის ხელნაწერია (38×21), 285 ფურცელი, მაგრამ მაინც ნაკლულია. თარიღი არ უზის. ამბავი წყდება შაზადას ეპიზოდზე. ორივე ხელნაწერის ტექსტი ძალზე წარყვნილია.

„საპყარან ამარამზას და ბაბა ამარს" ჩვენ სპეციალურად მაშინ დავუბრუნდებით, როცა საშუალება მოგვეცემა გაეცნოთ ბოდლეის ხელნაწერს. აქ იმასღა ვიტყვით, რომ ეს მართლაც არის სპარსული ჰამზას რომანის ერთ-ერთი ვერსიის თარგმანი. ლიტერატურულად

---

[20] როგორც ჩანს, ზოგიერთი გაუგებრობა, რის თაობაზედაც საუბარია ამ წერილში, იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ დ. ლენგი და გ. მერედიტ-ოუენსი არ იცნობენ ჩვენი ნარკვევების მეორე გამოცემას (თბილისი. 1945) და სპეციალურ ეამოკვლევას „ამირან-დარეჯანიანის- ორიგინალობის საკითხისათვის" (თბილისი, 1943). თუმცა უკანასკნელის არსებობა მათ მეუტყვიათ მ. ჩიქოვანის ნარკვევის სამუალებით.

[21] ამ ხელნაწერს მოკლე შენიშვნა უძღვნა ტ. რუხაძემ (ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში. 1939, გვ. 217, შენ. 1). ე. თაყაიშვილს ეს ხელნაწერი არ აღუწერია.

[22] მოკლედ აღწერილია ი. ლოლაშვილის მიერ (ლიტერატურული მატიანე. წიგნი ნ, ნაკვეთი მეორე. თბ., 1949, გვ. 42).

დაბალი ღირსებისაა, ენა უალრესობამდე ვულგარულია. მაინც „საპყარან ამარამზას და ბაბა ამარის“ ამბავი გვიდასტურებს, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გრძელდებოდა სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა (ამის საბუთია აგრეთვე ბახთიარ-ნამეს სულხანიშვილისეული თარგმანის არსებობა[23]). „ყარამანიანის“ მკითხველთა წრისთვის უცხო არ იქნებოდა ჰამზას ამბებიც.

„ყისაი ჰამზას“ ნაირი რედაქციების გამო ჩვენ თავის დროზე შევნიშნავდით: „ამ რედაქციებიდან ზოგი მოკლეა და ზოგი ვრცელი. პირადად ჩვენ ხელთ უნდა გვქონოდა ყისაი ჰამზას შედარებით მოკლე რედაქცია, მაგრამ არსებული წყაროების მიხედვით ტექსტის ყველა რედაქციისათვისაა საერთო მოთხრობის ძირითადი შინაარსეული წრე და არაბულ-მუსლიმანური ეროვნულ-სარწმუნოებრივი ტენდენცია. ჩვენი საკითხისათვის ყველაზე უფრო საყურადღებოა სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება“[24]. „ყისაი ჰამზას“ თარხნიშვილისეულმა ვერსიამ ეს ვარაუდი სავსებით გაამართლა. ქართველ მთარგმნელს ხელთ ჰქონია ჰამზას ამბის შედარებით ნაგვიანევად ჩამოყალიბებული ტექსტი. სხვათა შორის, ქართულში (იმ ნაწილში, რაც ჩვენს განკარგულებაში იყო) ორგზის გვხვდება სიტყვა „აბაზი“, შაჰაბას პირველის (1557—1628) მიერ შემოღებული მონეტა. მაშასადამე, ამის მიხედვითაც თარხნიშვილისეული თარგმანის დედანი XVI—XVII საუკუნეთა მიჯნის უადრესი ვერ იქნებოდა. ეს ვერსია შეიცავს ბევრ განსხვავებულ შინაარსობლივ მოტივს, მაგრამ ძირითადი ამბები, ძირითადი გმირები და ძირითადი იდეურ-შინაარსობლივი ტენდენციები იგივეა, რაც ჩვენ მიერ შესწავლილ სპარსულ ვერსიაში. ეს კიდევ უფრო გვარწმუნებს, რომ ჰამზას ამბის სხვადასხვა ვერსიების მომიზეზება არსებითად ვერ შეცვლის ჩვენს დასკვნებს „ყისაი ჰამზასა“ და „ამირან-დარეჯანიანის“ შეპირისპირების თაობაზე.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა საგულისხმო დეტალმა, ლანდაურისა და გოსტამის ბრძოლის ეპიზოდში ერთგან ნათქვამია: „იმ დღეს ლანდაურმან ასეთი ომი გარდაიხადა, რომ არც რ ო ს ტ ო მ ი ს ა, არც დ ა რ ი ჯ ა ნ ი ს ა და არც ყ ა რ ა მ ა ნ ი ს ა არ ენახათო“ (ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი, გვ. 184). ცხადია, აქ მოხსენებული დ ა რ ი ჯ ა ნ ი „ამირან-დარეჯანიანის“ გმირის სახელია. გასარკვევია, ეს არის მთარგმნელის (ან გადამწერის) გლოსა, თუ დედნის გადმონაშთი. ამას, რა თქმა უნდა, დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ამ საგანზე ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით.

[23] ალ. ბარამიძე. ნარკვევები, II, 1940, გვ. 102—103.

[24] ნარკვევები, I, 1945, გვ. 23.

თეიმურაზ პირველის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ

თეიმურაზ პირველი (1589—1663) გამოჩენილი პოეტი იყო, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენდა ქართული ლიტერატურის განვითარებაზე XVII—XVIII საუკუნეებში. თეიმურაზმა ქართულ ენაზე თარგმნა თუ დაამუშავა (გადმოაქართულა) სპარსულ მწერლობაში ფართოდ გავრცელებული პოემები „ლეილ-მაჯნუნიანი", „იოსებ-ზილიხანიანი", „ვარდ-ბულბულიანი" და „შამ-ფარვანიანი". თეიმურაზის საკუთარ ნაწერებშიც საკმაოდ აღიბეჭდა სპარსული პოეზიის გავლენის ნაკვალევი. ცილობას არ იწვევდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თეიმურაზს უნდა გამოეყენებინა სპარსული მწერლობით ცნობილი ზოგიერთი ჟანრი, პირველ რიგში ე. წ. გაბაასება. უკანასკნელ ღროს შეინიშნება ცდები თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ არსებული შეხედულების გადასინჯვისა. ასეთ ცდებად გვეჩვენება ჩვენ დროს ბ. ქიქოძის ნარკვევები: გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში (ბათუმი, 1952) და გაბაასების ჟანრის ისტორიისათვის (ბათუმი, 1955).

ბ. ქიქოძის ნარკვევები საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი, ავტორი ვრცლად და საფუძვლიანად იხილავს „გაბაასების" ჟანრის ძველ ქართულ ძეგლებს (მას შეუსწავლია ამ ჟანრის ზოგიერთი უცნობი თუ ნაკლებად ცნობილი ტექსტიც). იგი არკვევს „გაბაასების" ჟანრის აღმოცენების ისტორიას ქართულსა და უცხოურს მწერლობაში. გვაძლევს ამ ჟანრის საერთო დახასიათებას, ცდილობს იმისი სპეციფიკური თვისებების დადგენას. ბ. ქიქოძეს საჭირო სისრულით გამოუყენებია საგნის ლიტერატურა, შეკითხვებით მიუმართავს ცნობილი სპეციალისტებისათვის და იმათგან მიღებული პასუხები დამატების სახით გამოუქვეყნებია კიდევაც მეორე ნარკვევში

(გვ. 87—94). იქვე, მეორე ნარკვევში, გამოუქვეყნებია, აგრეთვე, „გაბაასების“ ჟანრის სამი თხზულება: „გაბაასება ბროწეულისა და ვაშლისა“, „თხრობანი სულთა და ხორცთანი ურთიერთას“, „გოჩასა და სოფლის გაბაასება“ (გვ. 50—86).

ბ. ჭიქოძე ამბობს, რომ: „თეიმურაზ პირველი — პირველი ქართველი პოეტია, რომელმაც გაბაასება XVII—XVIII სს. ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში დაამკვიდრა“ [1]. თეიმურაზის გაბაასებათა წყაროდ ბ. ჭიქოძე თვლის უპირატესად ქართულ ხალხურ სიტყვიერებას, ხოლო ნაწილობრივ ძველ ქართულ სასულიერო მწერლობას. მკვლევარი შენიშნავს: „ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს გაბაასება ქართულ ლიტერატურაში მომდინარეობდეს ირანული ლიტერატურიდან და წარმოადგენდეს ახალ ირანულ ლიტერატურაში ცნობილ მ უ ნ ა ზ ა რ ე ს მსგავს ლიტერატურულ ჟანრს. მართალია, ჩვენს გაბაასებასა და ირანულ მუნაზარეს შორის ერთგვარი მსგავსება შეინიშნება, მაგრამ კ ვ ლ ე ვ ა-ძ ი ე ბ ი თ ა რ დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა, რ ო მ გ ა ბ ა ა ს ე ბ ა ჩ ვ ე ნ შ ი ი რ ა ნ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ი თ ი ყ ო ს შ ე მ ო ღ ე ბ უ ლ ი“ [2]. მოყვანილი დებულება განმეორებულია ბ. ჭიქოძის მეორე ნარკვევშიც: აქაც ვკითხულობთ: „ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, თითქოს გაბაასება ქართულ ლიტერატურაში სპარსული ლიტერატურიდან მომდინარეობდეს, მაგრამ კვლევა-ძიებით ირკვევა, რომ გაბაასების ჟანრს ფესვები ქართულ ფოლკლორში აქვს“ [3].

ბ. ჭიქოძის ნარკვევებიდან მოყვანილი ნაწყვეტები მკითხველს ვერ არწმუნებს, თითქოს მცდარი იყო ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება თეიმურაზის სამწერლობო მოღვაწეობის ხასიათის შესახებ და თითქოს „კვლევა-ძიებით არ დასტურდება, რომ გაბაასება ჩვენში ირანული ლიტერატურის გავლენით იყოს შემოღებული“. საქმე ისაა, რომ ბ. ჭიქოძეს სერიოზულად არც უცდია მოხსენებული მოსაზრების დარღვევა. ავტორი სრულიად სამართლიანად მსჯელობს იმის თაობაზე, რომ ქართული ხალხური სიტყვიერება ძველთაგანვე იცნობდა გაბაასების ჟანრის ძეგლებს. მაგრამ მკვლევარი არ ასაბუთებს თეიმურაზისეულ „გაბაასებას“ და ქართულ ფოლკლორულ მასალებს შორის რაიმე კავ-

---

[1] I, 30; II, 44 (აქ და ქვემოთ რომაული ციფრი I აღნიშნავს ბ. ჭიქოძის პირველ ნარკვევს, II—მეორე ნარკვევს, არაბული ციფრები მიუთითებს ნარკვევების გვერდებზე).

[2] I, 8 (ხაზგასმა ჩემია, — ა. ბ.).

[3] იქვე, II, 48.

შირის არსებობას. იგი კმაყოფილდება მარტოოდენ ზოგადი მეთოდოლოგიური დებულების კონსტატაციით იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურული ცხოვრების მსგავსი მოვლენები ამ ქვეყნების თანმხვედრი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით უნდა აიხსნასო [4]. მხოლოდ ამ სახელმძღვანელო დებულების დამოწმებით წყვეტს ბ. ქიქოძე საძიებელ რთულ პრობლემას. მას ოდნავადაც არ უცდია შესაფერისი მასალების კონკრეტული ანალიზის ნიადაგზე დაესაბუთებინა თავისი, თავისდათავად საპატიო მოსაზრება ქართული კულტურის აღნიშნულ მნიშვნელოვან საკითხზე. ბ. ქიქოძის ნარკვევისადმი მიძღვნილ რეცენზიაში აღ. გვახარიამ უკვე მართებულად შენიშნა: „ვფიქრობთ, ამ (მეთოდოლოგიური) დებულების შექანიკურად მიყენება ყოველთვის სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს" [5]. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით იმავე რეცენზენტს მეორე შენიშვნის გამოც. იგი წერს: „ქართული, ისევე როგორც სხვა ერების, გაბაასების ახსნა მხოლოდ ფოლკლორის ნიადაგზე ცალმხრივი გვეჩვენება. კიდევ უფრო სქემატურია მსჯელობა სასულიერო ლიტერატურის გავლენის შესახებ გაბაასების ჩამოყალიბებაზეო". საგულისხმო ისაა, რომ როდესაც საქმე კონკრეტული მასალის ანალიზზე მიდგება, მაშინ ბ. ქიქოძე თვითონ ყოყმანობს. მაგალითად, გაზაფხულისა და შემოდგომის გაბაასების თაობაზე მკვლევარი ამბობს: „ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შენახულია ერთი ლექსი «შემოდგომა და ზაფხულის» სახელწოდებით. თეიმურაზ პირველის თხზულებასა დ ხსენებულ ლექსს შორის მსგავსება ისე მცირეა, რომ ძნელია თქმა, პირველი მომდინარეობს მეორიდან, თუ პირიქით" [6].

ამით ბ. ქიქოძე აღარ გამორიცხავს თვითონ თეიმურაზის გავლენას ქართულ ხალხურ სიტყვიერებაზე. მეორე მხრით, ბ. ქიქოძე სრულიად არ თელის საჭიროდ ეშვი შეიტანოს „ვარდ-ბულბულიანისა" და „შამ-ფარვანიანის" სპარსულიდან მომდინარეობის საკითხში. ამავე დროს ამ ძეგლებს არსებითად გაბაასების ჟანრს მიაკუთვნებს (1,37). მეტიც. ბ. ქიქოძე გვიდასტურებს, რომ თეიმურაზ პირველი, საერთოდ, გატაცებული იყო სპარსული პოეზიით. იგი აღიარებს: „თეიმურაზი არ ფარავდა თავის გატაცებას ირანული პოეზიითო" (I. 57). ბოლოს ბ. ქიქოძის სიტყვითაც, თეიმურაზი აღზრდილი და გაწაფული იყო სპარსული პოეზიის ნიმუშებზე (1,48). უმნო-

---

[4] I, 17—18; II, 4.

[5] გაბაასების ჟანრის ისტორიისათვის („ლიტერატურული გაზეთი". 27. 1. 56).

[6] I, 34 (ხაზგასმა ჩემია. — ა. ბ.).

შვნელო როდია, რომ სწავლულ კონსულტანტებსაც გარკვეული მი-თითება მიუციათ ახალგაზრდა მკვლევრისათვის. აკად. ე. კრაჩკოვს-კის მიუწერია ბ. ქიქოძისათვის: „Мне, кажется, для Вашей темы основное внимание надо направить на персидское „муназара", с которым грузины были несомненно знакомы" (II, 88), პროფ. ე. ბერთელსსაც გარკვევით აღუნიშნავს: „Тему Вашу считаю крайне интересной, как и все работы по линии персидско-грузинских отношений, усиленная разработка которых мне кажется крайне важной" (იქვე, 89).

ყოველივე ეს მკვლევარს ავალებდა მეტი წინდახედულობა გა-მოეჩინა საძიებელი საკითხების გადაწყვეტის დროს. ბ. ქიქოძის მსჯელობას უთუოდ აზის კონიუნქტურული განწყობილების დაღი. საქმე ისაა, რომ კოსმოპოლიტიზმისა და კომპარატივიზმის წინააღმ-დეგ სამართლიანი იდეური ბრძოლა ზოგიერთმა ისე გაიგო, თითქოს, საერთოდ მოიხსნა ხალხთა კულტურული თანამშრომლობის, ლიტე-რატურული ურთიერთობის, ლიტერატურული ზემოქმედებისა და მით უფრო, ლიტერატურული გავლენის პრობლემა. ნამდვილად კი ხალხები არასოდეს არ ყოფილან ერთმანეთისაგან „ჩინური კედლე-ბით" გათიშული. ხალხებს ერთმანეთთან ჰქონიათ ცოცხალი, ქმედი-თი, ზოგჯერ ძალიან მჭიდრო ურთიერთობა როგორც პოლიტიკურ-ეკონომიური, ისე კულტურული, სულიერი ცხოვრების სფეროში. ხალხები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ კულტურულ მონაპო-ვართ, ერთმანეთზე ახდენდნენ ზემოქმედებას, ნაციონალური კულ-ტურისადმი ერთგული სამსახურის გზით ამდიდრებდნენ საკაცობ-რიო კულტურის საგანძურს. ცნობილი რუსი საბჭოთა მეცნიერი-ლიტერატურათმცოდნე დ. ლიხაჩოვი შემდეგს წერს რუსული ლიტე-რატურის უცხოურ ლიტერატურისადმი დამოკიდებულების შესახებ: „Русская литература постоянно обогащалась сюжетами, мотива-ми, отдельными традиционными формами, разнообразными литературными жанрами, которые брались русскими авторами из литератур соседних стран—непосредственно или через пере-воды"[7]. ასევე ითქმის ქართული ლიტერატურის ურთიერთობაზე მეზობელი ხალხების ლიტერატურასთან. ქართულ ენაზე მოიპო-ვება მდიდარი ბერძნული საქრისტიანო ლიტერატურის თითქმის ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ძეგლი. ქართული

[7] Возникновение русской литературы. Москва, 1952, გვ. 30.

სასულიერო მწერლობის განვითარებაზე. ამ მწერლობის ხასიათის შემუშავებაზე უცილობელ ზემოქმედებას ახდენდა ბერძნული საკულტოთეოლოგიური მწერლობა. ამავე დროს ქართული ელემენტი თავის მხრივ გარკვეულ როლს თამაშობდა ბერძნული (ბიზანტიური) სულიერი კულტურის მშენებლობაში (პეტრე იბერის, ექვთიმე ათონელის, იოანე პეტრიწონელის და სხვათა მოღვაწეობა), ქართულიდან ბერძნულად ითარგმნებოდა ზოგიერთი პირველხარისხოვანი ლიტერატურული ნაწარმოები („აბუკურა", „სიბრძნე ბალავარისა" და სხვ.) [8]. ქართველობას არასოდეს ქედი არ მოუხრია ბიზანტიური სახელმწიფოს, ეკლესიისა და კულტურის წინაშე, თუმცა იმათ ავტორიტეტს ყოველთვის ცნობდა. ქართული სასულიერო მწერლობა საკუთარ შემოქმედებით ძალებზე დამყარებით ბრძოლით იკაფავდა გზას კულტურული დამოუკიდებლობისათვის [9].

ქართული კულტურის, საერთოდ, და, კერძოდ, ქართული მწერლობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი წარსულში ცოცხალ კავშირს ამყარებდა არა მარტო სარწმუნოებრივ-კონფესიურად მონათესავე დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან, არამედ მუსლიმანურ აღმოსავლეთთანაც. ქართული ნაციონალური საერო კულტურა არასოდეს ყოფილა ვიწრო კუთხური ინტერესებით შეზღუდული და კარჩაკეტილი. ქართულ საერო მწერლობას ცოცხალი კავშირი ჰქონდა, უწინარეს ყოვლისა, სპარსულ პოეზიასთან. ერთი მხრით, ქართული ეროვნული კულტურის ტრადიციები, საქართველოს ისტორიული სინამდვილე გამოხატულებას პოულობდა სპარსულ-ტაჯიკურ-აზერბაიჯანულ პოეზიაში (ხაკანი, ნიზამი), მეორე მხრით ქართულ ენაზე ითარგმნებოდა ამ პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. კლასიკურ პერიოდში ქართულ-სპარსული და სპარსულ-ქართული კულტურული თანამშრომლობა საურთიერთო ვითარებაში მიმდინარეობდა. შემდეგაც, დაქვეითების ხანაშიც კი ქართულ ელემენტს საკუთარი წვლილი შეჰქონდა სპარსული კულტურის საგანძურში (ცნობილი არიან ირანში მოღვაწე ქართველი მხატვრები და სპარსულ ენაზე მწერალი ქართველი პოეტები). რასაკვირველია, სპარ-

---

[8] Н. Я. Марр, Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века (ЗВОРАО, XIX, СПб, 1910); კ. კეკელიძე, ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 51, 1955); Ш. Нуцубидзе, Еще раз о тайне Псевдо-Дионисия (იგივე შრომები, ტ. 59, 1955); მ. კახაძე. ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბ., 1954.

[9] კ. კეკელიძე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1949.

სეთის პოლიტიკური ექსპანსიის გაძლიერების დროს, XVI—XVIII საუკუნეებში, შესაფერისად ძლიერდებოდა სპარსული კულტურის ზემოქმედებაც ქართული კულტურის მუშაკთა ზოგიერთ წრეზე. ჩვენს ქვეყანაში ჩნდებოდნენ სპარსული კულტურის, სპარსული ენისა და სპარსული მწერლობის მოჭარბებულად მოტრფიალენი, სპარსული კულტურის მეხოტბენი. ასეთი იყო თეიმურაზ პირველიც. თეიმურაზი ხომ არ მალავდა და საჯაროდ გულწრფელად აცხადებდა (ლეილ-მაჯნუნიანის შესავალში, 4.1): „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანიო“, სპარსულთან შედარებით ის მშობლიურ ქართულსაც კი იწუნებდა: „მძიმეა ენა ქართველთაო“ (იქვე, 4.2). თეიმურაზი შეგნებულად ცდილობდა დაენერგა საქართველოს სინამდვილეში სპარსული მწერლობის ტრადიციები. აღსანიშნავი ისაა, რომ თეიმურაზი სპარსულ კლასიკურ მწერლობას კი არ ემყარებოდა, არამედ იგი უფრო აყოლილი იყო სპარსული მწერლობის დაქვეითების პერიოდის სალაღობო, ეროტიკულსა, უიდეო და ფორმალისტურ პოეზიას. როგორც ცნობილია, XV—XVIII საუკუნეების რიგმა სპარსელმა მწერალმა უაღრესობამდე გაართულა პოეტური ენა, პოეტურ მეტყველებას მისცა რებუსების, შარადებისა და ამოცანების ხასიათი. ზოგიერთი სპარსელი მწერალი ლექსებით ქმნიდა ნამდვილ „თავსამტვრევ ფოკუსებს“, ხერხების ადგილს იჭერდა ხრიკები. ასეთ ლექსებში მთავარი ყურადღება ექცეოდა გარეგნულ-ფორმალურ მხარეს, აზრობლივ-შინაარსობლივი მხარე კი იჩრდილებოდა, ან სრულიად უგულვებელი რჩებოდა. მეტიც. არა იშვიათად პოეტები ლექსებიდან ერეკებოდნენ აზრს, შინაარსს, საგანგებოდ თხზავდნენ რთული და დახლართული სისტემის „სათარგმანებელსა“ და ამოსაცნობ (ამოსაშიფრავ) ტექსტებს. იმდროინდელი სპარსული პოეზიის ბევრი ნიმუში წარმოადგენს უკიდურესი ფორმალისტური ვარჯიშის შედეგს, ისინი უკეთეს შემთხვევაში გამოსადეგი იყვნენ „რჩეული“, „განათლებული“ საზოგადოებისათვის, ე. ი. უქნარა არისტოკრატიისათვის გასართობად და შესაქცევად[10]. ასეთი იყო, მაგალითად, ომონიმური (მაჯამური) ლექსები, ე. წ. თ ე ჯ ნ ი ს ე ბ ი და კიდევ უფრო თავსამტვრები მ უ ა მ ე ბ ი. მუამას ტიპის ლექსების შესახებ საბჭოთა ორიენტალისტი პროფესორი ე. ბერთელსი ამბობს: „Муамма ясно отражает всю основную тенденцию литературы XV века: через постепенное усложнение техники

[10] Е. Э. Бертельс, Джами: эпоха, жизнь, творчество, Дюшамбе, 1949, გვ. 31—45. მისივე, Навои. Опыт творческой биографии, Ленинград, 1948, გვ. 37—43.

довести изощренность формы до последнего предела, полностью ликвидировав содержание. В муамма содержание окончательно сведено к нулю. Здесь нет ни мысли, ни чувства, осталась одна голая игра словами, даже частями слов и только. Уходя в муамма, литература совершала самоубийство, обрекая себя на полную утрату какой-либо общественной ценности [11].

თეიმურაზს, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ უცდია პოეზიის მიყვანა თვითმკვლელობამდის. თეიმურაზი არ უარყოფდა ლექსის შინაარსისა და აზრობლივი მხარის მნიშვნელობას; მას უწერია გრძნობიერი, აზრიანი და იდეურ-შინაარსიანი (პატრიოტული) ლირიკული ლექსები და პოემები. ამისდა მიუხედავად ისიც უდავოა, რომ თეიმურაზის ლექსებს ეტყობა აზრის საზიანოდ ფორმის გართულებისაკენ მიდრეკილება. თეიმურაზის პოეზიაში მეტად დიდია ომონიმური (მაჯამური) ლექსების ხვედრითი წონა. თვითონ ავტორი შენიშნავს, რომ იმის მაჯამებს საგანგებო ამოცნობა, განმარტება ანუ „თარგმანება“ ესაჭიროება. „იკითხვიდენ და თარგმნიდენ, ლხინი ვერ შეედარებაო“, თავმომწონედ გაიძახის. თუ პოეზიის ერთ-ერთი სანაქებო ნიშანდობლივ თვისებად რუსთველი თვლიდა აზრობლივ სინათლეს („ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათლად“), თეიმურაზმა თავისი მაჯამებით ხელი შეუწყო ლექსის აზრობლივ-შინაარსობლივი მხარის გაბუნდოვანებას. ზოგიერთ თავის ლექსზე მუშაობისას თეიმურაზი უფრო ზრუნავდა გარეგნული ეფექტის მისაღწევად, ვიდრე აზრისა და შინაარსის გამოსაკვეთად. შემთხვევითი როდია, რომ თეიმურაზის ლექსების ერთი რიგი, კერძოდ მაჯამები, მოსალხენად და გასართობად ყოფილა გამიზნული. ხელნაწერების ცნობით, „მაჯამა“ იყო „სუფრისა და ლხინის დიდად შემამკობელი“. თვითონ თეიმურაზის სიტყვით „მაჯამის“ ადგილი ყოფილა „იახტანს თანა“, ხოლო მას „გვერც“ უნდა ხლებოდა „თასი, ღვინო და კულები“ (მაჯამა, ბოლოსიტყვაობა, 2,3) [12]. გვიანდელი სპარსული პოეზიის კანონიზებული წესების თანახმად თეიმურაზი თავის ლექსებში ხშირად ერთმანეთისაგან თიშავდა ფორმასა და შინაარსს. ზოგჯერ თეიმურაზიც მისდევდა ფორმალისტურ ვარჯიშს. საკვირველი არაფერია, რადგანაც თეიმურაზი ბავშვობიდანვე იზრდებოდა სპარსეთში, შაჰ-აბასის კარზე, სადაც ის სწავლობდა „ენასა და წიგნსა სპარსთასა“. სეფევიანთა დინასტიის შაჰების კარზე სწორედ სპარსული, ასე ვთქვათ, დეკადანსური, სალაღობო ფორმალისტური

---

11 Е. Э. Бертельс. Джами, გვ. 49 ნ: მისივე. Навои, გვ. 47.

12 „სალხინო და სალაღობოს“ უწოდებს თეიმურაზი „ვარდ-ბულბულიანსაც“ (6, 3).

პოეზია ჰყვაოდა. თეიმურაზი სიმპათიებით იმსჭვალებოდა ამ პოეზიისადმი და ცდილობდა სპარსული ნიმუშების მიბაძვას. მას შემუშავებული ჰქონდა საერთოდ სწორი თვალსაზრისი უცხოური კულტურისადმი დამოკიდებულების საკითხში (ვ. ბ., 2, 3--4):

ძმართებს, კაცსან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოიღოს,
უგბილმან და უგუნურმან ვერა რამე წამოიღოს.

თეიმურაზი მხოლოდ იმას სწუხდა, რომ ძნელი იყო სპარსელების „შეწმასნილი", ე. ი. ენაწყლიანი, რიტორიკული, ხელოვნური. რთული ტექსტების პირდაპირი გადმოღება ქართულად და ამიტომაც მკითხველთ პირდებოდა „მარტივად მბობას" (ლ. მ., 4). თეიმურაზის პოეზია გამსჭვალულია თავისებური სპარსული სულით. მის ლექსებს ამკობს სპარსული პოეზიისათვის დამახასიათებელი სახეები, თეიმურაზის ენა აჭრელებულია სპარსული ლექსიკით. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ თეიმურაზ პირველი ძლიერ განიცდიდა სპარსული მწერლობის გავლენას [13]. ასეთ პირობებში ბუნებრივად გვეჩვენება მოსაზრება, რომ სწორედ სპარსულმა მ უ ნ ა ზ ა რ ე მ ჩააგონა თეიმურაზს გ ა ბ ა ა ს ე ბ ა ნ ი. ამაში მოულოდნელი ან დაუჯერებელი არა არის რა.

მეორე მხრით, საერთოდ საეჭვოა ფოლკლორის გავლენა თეიმურაზის პოეზიაზე. თეიმურაზი, თუ შეიძლება ასე ითქვას მწიგნობრული პოეზიის მებაირახტრეა ე. წ. აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში. იგი დასცინოდა სახალხო მოშაირეთ, სახალხო მგოსნებს და დიდი თავმოწონებით გაიძახოდა (იოსებ-ზილიხანიანი, 4,1):

მე თვით ვწერ, ვიტყვი. რომელსა მეფედ მიხმობენ მონები.

მეფე-პოეტი თაკილობდა სახალხო მგოსნებთან კავშირს (იქვე, 3, 4):

ბოლოდ სცნათ ყოვლთა, არა ვარ მოშაირეთა ძმობილი.

თეიმურაზი აუგად ახსენებდა გუდა-სტვირის ოსტატ სახალხო მოშაირეებს. სულთან ჰუსეინის კარის სამეჯლისო მუსიკას იგი მედიდურად უპირისპირებდა ჩვენებური გუდა-სტვირის ხმებს (ლეილ-მაჯნუნიანი, 98,3):

ჰკვრენ ათას-ფერნი მუტრიბნი [14], არ ცუდი გუდა-სტვირები.

---

[13] რასაკვირველია, თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს შემოქმედებაში ძლიერია ეროვნული ტრადიციების ნაკადიც, მაგრამ უადგილო იქნებოდა იმისი აქ განხილვა.

[14] სულთან ჰუსეინის კარზეო.

ასეთი გახწყობილებისა და გეძოვხების პოეტისაგახ ძოულოღნელიც იქნებოდა ხალხური სიტყვიერების მასალებით უშუალოდ სარგებლობა. რაც შეეხება ძველ ქართულ სასულიერო მწერლობას, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს მწერლობა არ იცნობდა გაბაასების ჟანრის ძეგლებს და ამ მხრივ ვერც გამოდგებოდა თეიმურაზის წყაროდ.

დასასრულ, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ არჩილი და იმისი სკოლის პოეტები თეიმურაზს ებრძოდნენ სპარსული მწერლობით გატაცების გამო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეიმურაზ პირველმა ქართულ ენაზე დაამუშავა სპარსულ მწერლობაში ფართოდ ცნობილი ოთხი პოემა: „ვარდ-ბულბულიანი", „შამ-ფარვანიანი", „ლეილ-მაჯნუნიანი" და „იოსებ-ზილიხანიანი". ჩვენი ადრინდელი ნარკვევებით და გ. ჯაკობიას სპეციალური გამოკვლევით [15] ცხადი გახდა, რომ თეიმურაზის პოემების წყარო არ უნდა ყოფილიყო კლასიკური პერიოდის სპარსული მწერლობა. კერძოდ, თეიმურაზის „ლეილ-მაჯნუნიანის" პროტოტიპად არ შეიძლება ჩაითვალოს ნიზამი განჯელის ანალოგიური პოემა, ხოლო „იოსებ-ზილიხანიანი" ძლიერ განსხვავდება ამავე სახელწოდების მქონე ფირდოუსის თხზულებისაგან. თავის ერთ საინტერესო გამოკვლევაში [16] პროფ. დ. კობიძე იმ აზრს ავითარებს, რომ თეიმურაზ პირველის „ლიტერატურული წყაროები მე-15 საუკუნის აქეთ უნდა ვეძიოთ" (გვ. 221). „ამ დასკვნის უცილობელ უფლებას იძლევა, ამბობს დ. კობიძე, ერთი მხრივ, თეიმურაზის პოემებისა („ლეილ-მაჯნუნიანის", „ვარდ-ბულბულიანის", „იოსებ-ზილიხანიანის") და, მეორე მხრივ, სეფიანთა ეპოქის სპარსული ლიტერატურის ძეგლების შესწავლა" (იქვე). მეტისმეტად საგულისხმო და ანგარიშგასაწევი დასკვნაა. ჩვენ შემთხვევა გვეძლევა უფრო დავაკონკრეტოთ თეიმურაზის პოემების პროტოტიპთა წარმოშობის დროის საკითხი „ლეილ-მაჯნუნიანის" კერძო მაგალითის მიხედვით. თეიმურაზისეულ „ლეილ-მაჯნუნიანში" აწერილია ბასრელი ამირას მორჭმულობა და მისი კარის ბრწყინვალება, ამასთან დაკავშირებით შედარების წესით შენიშნულია:

---

[15] თეიმურაზის თარგმანები (თეიმურაზ პირველის თხზულებათა კრებული, თბ., 1934, გვ. 221—284).

[16] თეიმურაზის ლიტერატურული წყაროების ძიების გზაზე („ლიტერატურული ძიებანი", III, 1946, გვ. 215—223).

არ გაიწყვიტის მასთან› მოლექსე-მოშაირები.
ვით არის სულთან ქუსეინ. ბრძენი. არ ცნობა ვირები;
ქკვენ ათას-ფერნი მუტრიბნი. არ ცუდი გუდა-სტვირები.
შინ მათთან ქონდის მეჯლისი. კარზედ უდგანან გმირები.

გამონაგონი, ლიტერატურული პერსონაჟი ბასრელი ამირა ამ ნაწყვეტში შედარებულია სულთან ჰუსეინთან. ვფიქრობთ, არ შეკ-ცდებით, თუ ვიტყვით, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს ისტორიული სულთან ჰუსეინი, ბაიყარად წოდებული (1469—1506), რომელიც იყო თავის დროისათვის რიგიანი პოეტი და განთქმული მეცენატი. სულთან ჰუსეინის კარი მართლაც სავსე იყო „მოლექსე-მოშაირეებით“. ჰუსეინის თანამედროვე და უახლოესი თანამოღვა-წე-თანამშრომელი იყო დიდი უზბეკი პოეტი და მოაზროვნე ნავოი (1440/41—1501). თეიმურაზის „ლეილ-მაჯნუნიანის“ პროტოტიპის ავტორი გამოსული უნდა იყოს სულთან ჰუსეინის პოეტთა წრიდან. მაშასადამე, მისი მოღვაწეობაც XV საუკუნის მეორე ნახევარზე ან XVI ს-ის დასაწყისზე უნდა მოდიოდეს [17]. ეს არის სწორედ ის ხანა, როდესაც ყვაოდა ჩვენ მიერ ზემოთ დახასიათებული სპარსული სა-ლაღობო პოეზია.

საკითხავია, როგორი უნდა ყოფილიყო თეიმურაზის დამოკიდე-ბულება თავისი წყაროებისადმი? ამ საკითხის გარკვევისათვის დი-დი შრომა გასწია გ. ჯაკობიამ. მან დაწვრილებით შეუდარა თეი-მურაზის „იოსებ-ზილიხანიანი“ ფირდოუსისა და ჯამის შესაფერის პოემებს. ასევე შეუდარა მან ნიზამისა და ჯამის „ლეილისა და მაჯ-ნუნს“ თეიმურაზის „ლეილ-მაჯნუნიანი“. ამ გზობის ჩვენს ყურად-ღებას იქცევს „ლეილ-მაჯნუნიანის“ საკითხი. გიორგი ჯაკობიამ ცხადჰყო, რომ თეიმურაზის წყარო არ შეიძლებოდა ყოფილიყო არც ნიზამი და არც ჯამი. მკვლევარმა საგანგებოდ აღნუსხა ის სიუჟეტუ-რი მოტივები, რომლებითაც თეიმურაზისეული ვერსია განსხვავდე-ბა დასახელებული ავტორების ვერსიებისაგან და ამის საფუძველზე გარკვეული დასკვნა გამოიტანა. ის წერს: „უნდა ვაღიაროთ, რომ თეიმურაზის ვარიანტი ან სხვა დედნიდან მომდინარეობს (და ამ შემთხვევაშიაც საკუთარი მაინც მე-ტი იქნება, ვიდრე დედნიდან მომდინარე...), ან დამოუკიდე-ბელი დამუშავებაა ცნობილი არაბულ-სპარ-სული ლეგენდისა (ჩვენ გვგონია, რომ ეს უკანასკნელი მო-

[17] ეს გარემოება აღნიშნული გვაქვს პროფ. კ. კეკელიძესთან ერთად შედგენილ ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში (ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1954, გვ. 351, შენ. 1).

საზრება უფრო ახლოა სინამდვილესთან)" [18]. მოყვანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ გიორგი ჯაკობია უფრო იმ აზრისაკენ იხრებოდა, რომ თეიმურაზი დამოუკიდებლად ამუშავებდა ცნობილ ლეგენდას და მასში სიუჟეტური თავისებურებანიც შეჰქონდა.

პროფ. დ. კობიძეც იმ აზრისაა, რომ თუმცა თეიმურაზი ამუშავებდა აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურაში პოპულარულ თემებს, „მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი პოეტი რომელიმე გარკვეული ლიტერატურული ძეგლების მთარგმნელად გვევლინება" [19]. მკვლევარი დასძენს, რომ თეიმურაზი „კი არ თარგმნის — ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით", —არამედ... ამ თემებზე [20] ირანელი პოეტების მიერ შექმნილ ნაწარმოებთა გაცნობის ნიადაგზე, თავისებურად ამუშავებს მათ" [21].

პროფ. დ. კობიძეს, რასაკვირველია, უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ თეიმურაზის პოემების პროტოტიპთა „ამოცნობა მეტის მეტად რთულია და ხანგრძლივი კვლევა-ძიების საქმეა" (იქვე. 217). ამ რთული საკითხის გარკვევისათვის მოპოვებული მცირედი მასალაც კი უთუოდ იმსახურებს მეცნიერულ ინტერესს.

აღნიშნულის კვალობაზე ჩვენი ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა ტაჯიკი მკვლევრის კ. აინის ამას წინათ გამოქვეყნებულმა წერილმა „Бадриддин Хилоли и его поэма „Лайли ва Маджнун" [22]. როგორც სათაურიდან ჩანს, აქ აინი იხილავს ნაკლებად ცნობილი ტაჯიკი პოეტის ჰილალის [23] ჯერ გამოუქვეყნებელ პოემა „ლეილ-მაჯნუნიანს". კ. აინი არკვევს, რომ ჰილალის ეს პოემა შეუთხზავს „ნაზირას" წესით [24]. ძირითადი ფაბულური ამბის მხრით ჰილალის

---

[18] თეიმურაზის თარგმანები. გვ. 264 (ხაზგასმა ავტორისაა, — ა. ბ).

[19] თეიმურაზის ლიტერატურული წყაროების ძიების გზაზე („ლიტერატურული ძიებანი", III, გვ. 215).

[20] იგულისხმება „ლეილ-მაჯნუნიანი", „ვარდ-ბულბულიანი" და „იოსებ-ზილიხანიანი".

[21] დასახელებული წერილის გვ. 215.

[22] Известия Отд. общественных наук Академии наук Таджикской ССР, вып. 6, 1954, გვ. 135—149.

[23] ჰილალის გარდაცვალების თარიღად აინი უჩვენებს 1529 წელს (გვ. 135), ბერთელსის ცნობით ჰილალი სიკვდილით დაუსჯიათ 1532/1533 წელს (ნავოი, გვ. 37). ჰილალის „ლეილმაჯნუნიანის" შემცველი ხელნაწერი მოიპოვება მხოლოდ ლონდონში (К. С. Айни. Рукописные редакции произведений Бадриддина Хилоли. Известия Отд. общ. наук АН Таджикской ССР, вып. VII, 1955, გვ. 29—49.

[24] ნაზირა ნიშნავს ერთგვარ მიბაძვას ან პასუხის გაცემას ცნობილი ავტორის ცნობილ თემაზე. მაგალითად, ნიზამის განთქმული „ხუთეულის" (ხუთი პოემის) მიბა-

პოემა ენათესავება ნიზამის, ხოსრო დეჰლელის, ჯამისა და ნავოის ანალოგიურ თხზულებებს, მაგრამ საერთოდ და მთლიანად, აინის სიტყვით, ტაჯიკი ავტორის თხზულება „самостоятельное произведение: оно оригинально в подробностях развития действия поэмы, в трактовке образов героев и, наконец, в основной стилистической особенности всей поэзии Хилоли — ее простоте“ (გვ. 138). თავის ნარკვევში აინის მოყვანილი აქვს ჰილალის „ლეილ-მაჯნუნიანის“ მოკლე შინაარსი. ამისი შედარება თეიმურაზისეული „ლეილ-მაჯნუნიანის“ შინაარსთან ცხადყოფს ზოგიერთი სიუჟეტური დეტალის დამთხვევას, თუმცა ფაბულის არსებითს ნაწილში ჰილალი მიჰყვება ნიზამის, ხოლო თეიმურაზი ძლიერ არის ნიზამისაგან დაშორებული. ჩვენ დაგვაინტერესა ჰილალისა და თეიმურაზის ვერსიების ერთმანეთთან სიახლოვემ შემდეგი სამი სიუჟეტური მოტივის მხრით:

1. თეიმურაზის მიხედვით, ლეილისა და მაჯნუნის ქორწინების დროს მაჯნუნი თავს ვერ იკავებს და ჰკოცნის ლეილის გოშიას, რის გამოც ახირებულ სიძეს აძევებენ. ეს სიუჟეტური დეტალი გ. ჯაკობიას მიაჩნდა თეიმურაზის ვერსიის თავისებურებად (გვ. 259). ამავე დროს ირკვევა, რომ ლეილის გოშიის (თუ საერთოდ ძაღლის) ალერსისა და კოცნის მოტივი დამახასიათებელი ყოფილა „ლეილ-მაჯნუნიანის“ ყოველ შემთხვევაში გვიანდელი რედაქციებისათვის. ამ მოტივს იცნობს ჰილალიც, ოღონდ, უკანასკნელის მიხედვით, მაჯნუნმა მიუალერსა და დაკოცნა ლეილის ძაღლი სხვა დროს და არა ქორწილის დღეს (ქორწილის ამბავი ჰილალისათვის უცნობია). საგულისხმოა, რომ სატრფოს ძაღლის კოცნის მოტივი აღბეჭდილია ნავოის „ლეილ-მაჯნუნიანშიც“ [23].

2. თითქმის სავსებით ერთგვარადაა ჰილალისა და თეიმურაზის ვერსიებში მოთხრობილი ლეილისა და მაჯნუნის უდაბნოში მოულოდნელი შეყრის ეპიზოდი. თეიმურაზის ვერსიით, ლეილი საჰაეროდ (საიალაღოდ) მიჰყავდათ, ლეილის აქლემმა აიწყვიტა, ქარავანს ჩამორჩა და ძოვნა-ძოვნით მინდორში ამოჰყო თავი, იქ მაჯნუნი აღმოჩნდა, მაგრამ გაშმაგებულმა მიჯნურმა პირველად ვერც კი იცნო

ძულობით არის შეთხზული ხოსრო დეჰლელის, ჯამის, ნავოისა და სხვ. პოეტური კრებულები. ეს მიბაძვა იყო ერთგვარი „პასუხის გაცემა“ წინამორბედი ავტორის მიმართ. ასეთ „პასუხს“ ერქვა ნაზირა. ცნობილი ავტორები და ცნობილი თემები ბიძგს აძლევდნენ შემდეგი თაობის პოეტებს თავიანთი ძალღონე ესინჯათ პოპულარული თემების დამუშავებაზე. მიბაძულობა ხშირად ფორმალური გამოდიოდა. მიბაძულობის მიუხედავად ესა თუ ის ავტორი სრულიად დამოუკიდებელსა და ორიგინალურ თხზულებას ქმნიდა.

[23] Ахшер Навои, Пять поэм, М., 1948, გვ. 80—81.

თავისი სატრფო. გონს რომ მოვიდა, ვრცელი საუბარი გაიბეს. ამ-სობაში მსახურები წამოეწივნენ და მიჯნურები გაჰყარეს. გ. ჯაკობია ამ სიუჟეტურ დეტალს თეიმურაზის ვერსიის განსაკუთრებით მნიშვნელოვან თავისებურებად თვლიდა (გვ. 259—260). ამავე დროს მას იცნობს ჰილალის ვერსია. ოღონდ ჰილალის პოემით, მიჯნურები შეიყარნენ ლეილის მშობლების მხრით სამომთაბარო ადგილის გამოცვლის დროს. საკუთრივ ამბავი ორივეგან ერთგვარადაა მოთხრობილი.

3. საყურადღებოა ბაღდადელი ხალიფის ეპიზოდური ამბავი. თეიმურაზის ვერსიით მოთხრობილია, რომ ბაღდადელი ხალიფის შვილმა, ბასრელმა ამირამ, ნადირობის დროს შემთხვევით იპოვა მაჯნუნი, შეიბრალა, აღუთქვა დახმარება (ლეილა იყო ამ ბასრელი ამირას ახლო ნათესავი, ბიძისშვილი). მაგრამ ამირას ისე მოეწონა ლეილი, რომ თვითონ მოინდომა მისი შერთვა, მეტოქის ჩამოსაშორებლად მისი მოწვამელა განიზრახა. მოწამლული შეჭამადი ანაზდეულად მას ერგო წილად და სული განუტევა.

ლეილის გარდაცვალების შემდეგ უმემკვიდროდ დარჩენილ ლაზა (ლეილას მამის სამფლობელო) მიითვალა ბაღდადელმა ხალიფამ, რომელიც ლეილის დასატირებლად პირადად ეწვია ამ ქალაქს. ჰილალის სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი ბაღდადელი ხალიფის როლი ლეილისა და მაჯნუნის ამბავში. ხალიფი მოვიდა ლეილისა და მაჯნუნის საქორწილო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად (ლეილის და მაჯნუნმა ბედნიერებას ვერ გაუძლეს და ქორწილის დროს გარდაიცვალნენ). ამრიგად, თეიმურაზის ვერსიით ბაღდადელი ხალიფი ლეილას მშობლებს ეწვია სამძიმრისათვის, ჰილალით კი ქორწინების მისალოცავად, თუმცა უნებლიედ სამგლოვიარო ამბის მონაწილე გახდა.

ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ორივეს, თეიმურაზსა და ჰილალის, მოქმედ პირად გამოყვანილი ჰყავს ბაღდადელი ხალიფი, რომელსაც არ იცნობს არც ნიზამი და არც ჯამი. ამის გამო ეს სიუჟეტური დეტალიც ითვლებოდა თეიმურაზის ვერსიის თავისებურებად [26].

ამრიგად, სპარსულ-ტაჯიკურ მწერლობაში პარალელი მოეპოვება „ლეილ-მაჯნუნიანის“ თეიმურაზისეული ვერსიის იმ რიგის სიუჟეტურ მოტივებს, რომლებიც ქართული ტექსტის თავისებურებად იყვნენ მიჩნეულნი. ეს გარემოება ჩვენ დიდ სიფრთხილეს გვავალებს თეიმურაზისეული პოემების თავისებურებაზე მსჯელობის

[26] გ. ჯ ა კ ო ბ ი ა, თეიმურაზის თარგმანები, გვ. 263.

დროს. უმნიშვნელო არ არის, რომ „ლეილ-მაჯნუნიანს“ (ისე როგორც სპარსული სინამდვილიდან მომდინარე სხვა თხზულებებს) თეიმურაზი ჩვეულებრივად უწოდებს ნათარგმნ ნაწარმოებს. პოემის პირველსავე შესავალ სტროფში ნათქვამია (1,4):

ხელჰყო წიგნებსა სპარსულსა ქართულად მე მთარგმნელობით

ბოლოსიტყვაობაში ავტორი გადაჭრით აცხადებს (250,1):

უწყის ღმერთმან, ყველა ვთარგმნე, რაც სპარსთაგან მომესმინა.

ერთგან, პოემის შესავალ ნაწილში (5,1), ქართველი პოეტი თითქოს კონკრეტულადაც ასახელებს თავის წყაროს:

ლეილ-მაჯნუნის ამბავსა შიხ შეიდს[27] დავეცილები.

თუმცა სხვაგან ისევ ზოგადად ამბობს (ლეილასა და მაჯნუნის განსაცდელის გამო): „სპარსთა ძლივ თქვეს მისნი ჰირნი, აწ ვით ამბობს ჩემი ენა“ (131,1). შესავალშიც (4,3) თეიმურაზი ზოგადად შენიშნავს: „მათ შეწმასნილთა სიტყვათა მინდა მარტივად მბობანიო“. ერთი სიტყვით, ერთ შემთხვევაში თეიმურაზი ასე თუ ისე ასახელებს კონკრეტულ პირს, რომელსაც ის თითქოს შეჯიბრებია (შეცილებია) „ლეილ-მაჯნუნის“ ამბის გალექსვაში. სხვაგან იგი თავის წყაროს მრავლობითს რიცხვში გულისხმობს („სპარსთაგან მომესმინა“, „სპარსთა ძლივ თქვეს“ და სხვ.). საყურადღებოა ისიც, რომ ერთგან თეიმურაზი იმოწმებს სპარსული წიგნებით სარგებლობის ფაქტს („ხელჰყო წიგნებსა სპარსულსა ქართულად მე მთარგმნელობით“). ხოლო მეორეგან მონასმენის თქმაზე თუ თარგმანზე ლაპარაკობს: „უწყის ღმერთმან, ყველა ვთარგმნე, რაც სპარსთაგან მომესმინა“. თავისი პოემის დასასრულში თეიმურაზი უფრო გარკვეულად აცხადებს (270,1—2):

სიტყვათა შეთხზნვა-შეკაზმვა მელექსეს ჰმართებს, მგონია,
თვარ, უწყის ღმერთმან, უსმენლად არა რა მომიგონია.

---

[27] ეს სახელი ხელნაწერ ტექსტებში სხვადასხვა სახით თუ ფორმით არის წარმოდგენილი: „შიხ ისლამი“, „შიხ სალიამინი“, „შიხ სადი“ და სხვ. გ. ჯაკობია უპირატესობას აძლევდა „შიხ სეიდს“ (გვ 265—266). სიტყვა შეიდი, მისი განმარტებით, უნდა ნიშნავდეს უსაზომოდ შეყვარებულს, სიყვარულისაგან გახელებულს, ისე როგორც სიყვარულისაგან გაშმაგებული ბულბული (პოემა „ვარდბულბულიანიდან“) საყვედურით ეუბნება ვარდს: „შენი შეიდი ბულბული კარში რამ გაგაწვევინაო“ (36, 3). პროფ. კობიძე ფიქრობს, რომ უფრო სწორი უნდა იყოს ფორმა „შიხ სადი“. ამაში მკვლევარი გულისხმობს პოეტ შეიხ საადის, რომელიც 1576 წლის შემდეგ გარდაიცვალა და ყოფილა პოემა „ლეილ-მაჯნუნიანის“ ერთ-ერთი ვერსიის ავტორი (გვ. 221).

უნდა ვენდოთ თეიმურაზის ამ აღიარებას („უსმენლად არა რა მოშიგონიაო"). თეიმურაზი მწიგნობრულ ნიადაგზე უთუოდ კარგად იცნობდა „ლეილ-მაჯნუნიანის" (ისე როგორც მის მიერ „ნათარგმნი" სხვა პოემების) სიუჟეტებს. ქართულ ენაზე მას ეს ამბავი დაუმუშავებია ისე, რომ სიუჟეტური მოტივები არ მოუგონია და არ შეუთხზავს. ამ მხრით თეიმურაზი სისწორით უნდა იმეორებდეს თავის წყაროს თუ წყაროებს. თეიმურაზის თავისებურება ისაა, რომ მან ქრისტიანული ტენდენციით გამსჭვალა პოემა და იგი აშკარა მუსლიმანურ-სარწმუნოებრივ მოტივებს გაუმიჯნა. თეიმურაზის თავისებურებათა რიგს განეკუთვნება პოემის პროლოგ-ეპილოგი, ლირიკული წიაღსვლები და მხატვრული აქსესუარის ზოგიერთი ელემენტი. ის, რაც ითქვა „ლეილ-მაჯნუნიანის" შესახებ, ეფიქრობ, შეიძლება გავრცელდეს თეიმურაზის „ნათარგმნ" სხვა პოემებზეც.

ჩვენი ნარკვევი უკვე მზად იყო, როდესაც გამოქვეყნდა აქ აღძრული საკითხების თვალსაზრისით საყურადღებო ორი წერილი: 1. მ. მახათაძე, ვახტანგის როლის განსაზღვრისათვის რუსთაველმცოდნეობის ერთი საკითხის გაშუქებაში[28], 2. თ. გორელიშვილი, „ლეილ-მაჯნუნიანის" ლიტერატურული წყაროს საკითხისათვის[29].

ამგზობის არ ვეხებით მ. მახათაძის წერილის ძირითად მხარეს (თუმცა არასწორად მიმაჩნია ავტორის თვალსაზრისი). ჩვენს ყურადღებას იქცევს მ. მახათაძის მტკიცება, ვითომც „ვარდ-ბულბულიანს", „შამ-ფარვანიანს", „ლეილ-მაჯნუნიანს" და „იოსებ-ზილიხანიანს" „არაფერი აქვთ საერთო თეიმურაზის პირად ცხოვრებასთან, მის საკუთარ სულიერ სამყაროსთან"[30]. რა თქმა უნდა, თუ „სულიერ სამყაროდ" მივიჩნევთ მარტოოდენ სარწმუნოებრივ აღმსარებლობითს გრძნობას, მაშინ სწორი იქნება მ. მახათაძის მოსაზრება. მაგრამ არა გვგონია ასე ფიქრობდეს თვითონ მ. მახათაძეც. ნამდვილად კი დასახელებულ პოემებს თეიმურაზი იმიტომ აქართულებდა, რომ ისინი სავსებით შეეფერებოდნენ თეიმურაზის ლიტერატურულ-შემოქმედებითს ინტერესებს და ეხმაურებოდნენ იმის პოეტურ გულისთქმას. სრულიად გამოტეხილად ამბობს ამის თაობაზე თეიმურაზი „ვარდ-ბულბულიანის" ბოლოსიტყვაობაში (93).

---

[28] ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955, გვ. 103—136.

[29] „ლიტერატურული გაზეთი", 11, V, 56.

[30] გვ. 120 (ხაზგასმა ჩემია, — ა. ბ.).

თქვას თუ ვინმე: რა არისო ცუდს საქმეზედ სიტყვის გარჯა?
ესეც მითხარ, რა დამაკლდა, ანუ რამცა დამეხარჯა?
რიტორი ვარ, მსურის ს ი ბ რ ძ ნ ე. თვარ მომადგა ვისგან ბარჯა?!

თავზე დატეხილი უბედურების სიდუხჭირესა და სულიერი დეპრესიის სიმწვავეს ჩვენ პოეტს ერთგვარად უმსუბუქებდა დასახელებულ პოემებზე მუშაობა. ამასაც გულწრფელად აცხადებს იგი შესანიშნავ ლირიკულ აღსარებაში (შამ-ფარვანიანი, 13).

მე გასაძლებლად დავწერე ხან ისი, ხან ეს რამეო,
გული ამაზედ დავაპყარ, ბევრი დღე დავაღამეო;
სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გ უ ლ ი არ შ ე ვ ი ღ ა მ ე ო,
ჩარხი უკუღმა დაბრუნდა, ბედი დამტერდა, ვა მეო!

გაზაფხულისა და შემოდგომის გაბაასებაში თეიმურაზი კითხუ-თხულობს (8,1):

მითხრას ვინმე: რად გააშვრევ ცუდ საქმეზედ ენა შენი?

და თვითონ უპასუხებს (9,1):

წამლად რამე მოვიგონე სევდის ფიქრთა გამქარვებლად.

მაშასადამე, ვითომც „ლაყბობის" გამომხატველი პოემები ნამდვილად ძლიერ ესალბუნებოდა პოეტის მწუხარე გულს. „შამ-ფარვანიანშიც" პოეტი აღნიშნავს, რომ ვარდისა და ბულბულის გაბრჭობით „ცოტა რამ უკუვიყარე. სევდა ვქენ განათხელები" (15,4). თეიმურაზი დიდ აღტაცებას გამოთქვამს „ლეილ-მაჯნუნიანით" (270): „იოსებ-ზილიხანიანშიც" თეიმურაზი არ მალავს:

სიტყვათა შეთხზნივა-შეკაზმვა მელექსეს ჰმართებს, მგონია,
თვარ, უწყის ღმერთმან, უსმენლად არა რა მომიგონია.
თქმა სჯობს, ვის ენა რიტორობს, ჰქონდეს მახვილი გონია.
უცხო, ტკბილ, ბრძენთა ამბავთა ვერც ვარდი სჯობდეს, მგონ ია.

„გული მიუძღვენ კეკლუცთა" (8,2), თუმცა ამ პოემას „ბრძენთაგან შესაწყნარებელსა" და „ცნობილთა მოსაწონს" უწოდებს (4). ქებათა-ქებას ასხამს თეიმურაზი „შამ-ფარვანიანის": პროტოტიპის ბ რ ძ ე ნ ავტორს (19), ხოლო „ვინ აქო ვარდი-ბულბული, შამი-ფარვანაც უქია" (შ. ფ. 56,1). აკი თეიმურაზი „ვარდ-ბულბულიანის" შესავალში ამბობდა: „ჰმართებს, კაცმან კარგი ნახოს, მანაც მისგან გარდმოიღოსო" (2.3). თეიმურაზსაც სპარსულ მწერლობაში უპოვია „კარგი" ამბები, ისინი გაუწყვია მშობლიურ ენაზე. გული დაუამებია და სულიერი წყურვილი მოუკლავს. ვინ დაიჯერებს, რომ

თეიმურაზის მიერ გადმოქართულებულ პოემებს „არაფერი აქვთ საერთო" ავტორის „სულიერ სამყაროსთან?"

თ. გორელიშვილს გამოუყენებია ჩვენ მიერ უკვე განხილული ნაშრომი აინისა ჰილალისეული „ლეილ-მაჯნუნიანის" შესახებ. მას ერთმანეთისათვის შეუდარებია თეიმურაზისა და ჰილალის ვერსიები. ამ შედარების ნიადაგზე თ. გორელიშვილს მიუღია სწორი დასკვნა (რომ ჰილალი არ შეიძლება იყოს თეიმურაზის წყარო). ახალგაზრდა მკვლევარი უფრო საბუთიანად თვლის პროფ. დ. კობიძის მოსაზრებას, თეიმურაზისეული „ლეილ-მაჯნუნიანის" პროტოტიპის ავტორად უნდა მიჩნეულ იქნეს 1576 წლის შემდეგ გარდაცვლილი პოეტი შეიხ საადიო. თ. გორელიშვილს, სამწუხაროდ, ანგარიში არ გაუწევია ჩვენი ადრინდელი შენიშვნისათვის[31] თეიმურაზისეული „ლეილ-მაჯნუნიანის" პროტოტიპის თაობაზე, ე. ი. რომ თეიმურაზის „ლეილ-მაჯნუნიანის" პროტოტიპი უნდა შექმნილიყო სულთან ჰუსეინ ბაიყარას ლიტერატურულ წრეში.

საძიებელი საკითხის გარშემო ბოლო დროს დაიბეჭდა ახალგაზრდა მკვლევრის ვაია მამაცაშვილის ორი საყურადღებო წერილი: 1. თეიმურაზის ლეილმაჯნუნიანის სპარსული წყაროს საკითხისათვის (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 111—134), 2. შეიხ საად-ედ-დინ რაჰაი ხაფელის ლეილი ეო მაჯნუნისა და ქართული ლეილმაჯნუნიანის ურთიერთობისათვის (იქვე, III, გვ. 87—94).

მ. მამაცაშვილი ეთანხმება ჩვენს ვარაუდს, რომ თეიმურაზის ლეილმაჯნუნიანში დასახელებული უნდა იყოს სულთანი ჰუსეინ ბაიყარა (1469—1506) და შესაფერისადვე ამ პოემის პროტოტიპის ძიება უნდა წარმოებდესო „მე-15 საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე 1629 წლამდე" (მოამბე, III, 89). ლეილმაჯნუნიანის ქართული ტექსტი მკვლევარს საგანგებოდ შეუდარებია სპარსული პოემის ჰათეფისეული და რაჰაისეული ვერსიებისათვის. შედარების შედეგად გამორკვეულა, რომ თეიმურაზის უშუალო წყარო ვერ იქნებოდა ვერც ჰათეფი და ვერც რაჰაი, თუმცა ჰათეფისა და თეიმურაზის ვერსიებში სადავოდ ქცეული ზოგიერთი დეტალისა და ეპიზოდის სრული ტექსტუალური დამთხვევაც კი შეინიშნებაო (იქვე, გვ. 119). მ. მამაცაშვილის მოსაზრებით, უნდა არსებობდეს ლეილმაჯნუნიანის „ისეთი სპარსული ვერსია, რომელსაც თეიმურაზი მიჰყვებოდა ყველა

---

[31] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. ძველი ქართული ლიტერატურა, თბ., 1954, გვ. 351, შენ. 1.

დეტალსა და ეპიზოდში, უკეთ, თარგმნის მას". საგულვებელი წყარო ახლოს უნდა იყოს ჰათეფის ვერსიასთანაო (იქვე, გვ. 132—133).

ჩვენ ზემოთ დავიმოწმეთ თეიმურაზის ლეილმაჯნუნიანის ის სტროფი, სადაც მოხსენებულია სულთანი ჰუსეინი და პოეტებით სავსე მისი სამეფო კარი: „ვინ არის სულთან ჰუსეინ, ბრძენი, არ ცნობა ვირები". ამან უფლება მომცა მეფიქრა, თეიმურაზის ლეილმაჯნუნიანის პროტოტიპის ავტორი გამოსული უნდა იყოს-თქო სულთან ჰუსეინის პოეტთა წრიდან. მ. მამაცაშვილი ამტკიცებს, რომ დამოწმებულ ტაეპში ნაცვლად სიტყვისა „არის" უნდა იკითხებოდეს „ჰერის": „ვინ ჰერის სულთან ჰუსეინ". ჰერის ნიშნავსო ჰერატის (ე. ი. ჰერატის სულთანი ჰუსეინიო). კეთილი და პატიოსანი. ეს კიდევ ერთი ზედმეტი საბუთია იმისა, რომ საქმე გვაქვს სწორედ და სახელდებით ბაიყარად წოდებულ სულთან ჰუსეინთან და არა სხვა ვისმესთან. მ. მამაცაშვილს კი ძალიან შორს მიმავალი დასკვნები გამოაქვს. ის ამბობს: „არის ვარიანტთან ერთად მოიხსნა აგრეთვე თეიმურაზის პროტოტიპის ავტორისა და ჰუსეინ ბაიყარას თანამედროვეობისა და თანადროულობის საკითხი" (მოამბე, III, გვ. 89). განმაცვიფრებელი დასკვნაა. განა სულთან ჰუსეინის მახლობელი მგოსნისათვის (ვიდრე რომელიმე სხვა შემდეგდროინდელი პოეტისათვის), უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა მეცნატის სამეფო კარის ბრწყინვალების შედარება ბასრელი ამირის კარის ბრწყინვალებასთან? რა საბუთით მოხსნა მკვლევარმა წარმოდგენილი დებულება ასე ჯიქურ და გარდაწყვეტით? ეტყობა, მას უჭრძნია ეს უხერხულობა და საკითხის უკვე მოხსნის შემდეგ მანც საჭიროდ დაუნახავს უკანდასახევი განცხადება გაეკეთებინა: „ამით ჩვენ არ გვსურს იმის მტკიცება, თითქოს, პროტოტიპის ავტორი არ შეიძლებოდა ჰუსეინ ბაიყარას ლიტერატურული წრიდან გამოსულიყო. ეს შესაძლებლობა არაა გამორიცხული" (იქვე). ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს. როგორ მოხდა ასეთი კატეგორიულობით მოხსნილი დებულების მოულოდნელი გამოცოცხლება?

საჭიროდ მიმაჩნია ისიც აღვნიშნო, რომ მ. მამაცაშვილმა თავისი პირველი წერილით ისეთი მოსაზრება მომაწერა, რომლის ავტორი მე არ ვყოფილვარ. იგი წერს: „(ლეილმაჯნუნიანის) ქართული ვერსიის ლიტერატურული წყაროს ძიების საკითხში სულ სხვაგვარი პოზიცია უკავია პროფ. ალ. ბარამიძეს. მისი აზრით, თეიმურაზს პოემის გალექსვის დროს წიგნებით კი არ უხელმძღვანელია, არამედ მოსმენილი ამბავი ახსოვდა და მას აღადგენდა" (მოამბე, II, 113). მკითხველს უნდა მოვაგონოთ, რომ ჩვენ განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოვითხოვთ თეიმურაზისეული ლეილმაჯნუნიანის

წყაროს საკითხის გადასაწყვეტად, მით უფრო, რომ თავის პოემებს ქართველი პოეტი უწოდებს ნათარგმნ ნაწარმოებებს და სპარსული წიგნებით სარგებლობასაც ერთგვარად გვიდასტურებს[32].

ЗАМЕТКИ О ПЕРЕВОДЧЕСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ТЕЙМУРАЗА I

Резюме

Теймураз I (1589—1663) автор двух оригинальных произведений из жанра пений («Прения[1] весны и осени». «Прения[1] между вином и губами). Учитывая общепризнанный факт сильного воздействия на творчество Теймураза персидско-таджикской литературы, можно заключить, что прообразом пений грузинского поэта послужило т. н. муназара... Прототипы, переведенных Теймуразом поэм («Соловей и роза», «Свеча и мотылек», «Лейли и Меджнун», «Иосиф и Зулейха»), восходят к персидско-таджикской литературе XV—XVI веков. В грузинской версии «Лейли и Меджнун». (Леїл-Меджнуниани) имеется прямой намек на восхваление тимурида Султана Хусейна (1468—1506), что дает основание для определенного вывода — источником «Лейл-Меджнуниани» могло быть произведение, созданное в Средней Азии в литературной среде Султана Хусейна.

Заимствуя сюжетные мотивы своих поэм из иноземных источников, Теймураз обрабатывал их в достаточной степени свободно, сообразуясь с традициями назира.

Некоторые сходные сюжетные детали, имеющиеся между одноименными поэмами Теймураза и Хилали[2], косвенным образом указывают на среднеазиатское происхождение прототипа (или прототипов) грузинской версии «Лейл-Меджнуниани».

---

[32] ალ. ბარამიძე. თეიმურაზ პირველის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ (ლიტერატურული ძიებანი, XII, გვ. 172—173; იხ. აგრეთვე აქვე გვ. 93).

[1] Дословно: собеседование.

[2] К. С. Айни. Бадриддин Хилоли и его поэма «Лейли ва Маджнун» (Известия Отд. Обществ. наук АН Таджикской ССР, VI, Дюшамбе, 1954, стр. 135—149); Его же, Рукописные редакции произведений Бадриддина Хилоли (Известия Отд. Общ. наук АН Таджикской ССР, VII, 1955, стр. 29—49; Его же, Бадриддин Хилоли, 1957.

რუსუდანიანის გამოცემის გამო

რუსუდანიანი მნიშვნელოვანი ძეგლია გვიანფეოდალური ხანის ქართული მწერლობისა. დღემდის გამოქვეყნებული იყო მისი მხოლოდ ცალკეული ნაწილები. ამჟამად მოგვეპოვება ამ ვეებერთელა თხზულების სრული ბეჭდური გამოცემა[1]. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელთა გვაქვს დიდი ცოდნითა და სამაგალითო მეცნიერული კეთილსინდისიერებით მომზადებული წიგნი. ამით ამოვსებულია ერთი საგრძნობი ხარვეზი ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისა და პუბლიკაციის საქმეში. მკითხველისა და მკვლევარის განკარგულებაშია მეცნიერულად სანდო ტექსტი. ტექსტს ახლავს შესაფერისი აპარატი (შენიშვნები, ვარიანტები, სარედაქციო წერილი). წიგნს უძღვის შესავალი წერილი, ბოლოს დართული აქვს ვრცელი ლექსიკონი და საძიებლები.

რუსუდანიანის მეცნიერ გამომცემლებს ბეჯითად შეუსწავლიათ ამ ძეგლის ხელნაწერები, დაუჯგუფებიათ ისინი ვარგისიანობის თვალსაზრისით, გამოცემის საფუძვლად აუღიათ ერთი საუკეთესო ნუსხათაგანი. ძირითად ტექსტს მიჰყვება ზომიერად შერჩეული ვარიანტული წაკითხვანი, ჩვენამდის მოღწეულია რუსუდანიანის ტექსტის შემცველი ხელნაწერის სამი მეჩვიდმეტესაუკუნისეული პირი — საქართველოს ცენტრალური არქივის ხელნაწერთა ფონდის № 102 (გამოცემაში A ლიტერით აღნიშნული) და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის S—3698 და S—436 (B და C ლიტერები). რედაქციას გაუთვალისწინებია რუსუდანიანის გვიანდროინდელი ხელ-

---

[1] რუსუდანიანი. ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით (რედაქტორი მ. ებრალიძე), გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი", თბილისი, 1957, XXXIV+811 გვ.

ნაწერებიც. გამოცემული ტექსტი ძირთადად გამართულია A ხელნაწერის მიხედვით. „მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი მთლიანად A ხელნაწერისაა დაცული. დაცულია აგრეთვე A ხელნაწერის ორთოგრაფიაო", ვკითხულობთ სარედაქციო წერილში (გვ. XXXIII). იქვე შენიშნულია, რომ გამოცემაში უმარცვლო უ ყველგან შეცვლილია ჳ-ინით, ხოლო ჯ—ხანით (იქვე). თუმცა ვარიანტებში შეტანილი ყოფილა „მხოლოდ განსხვავებული წაკითხვები", გამონაკლისის სახით „თითქმის უკლებლივ" დაურთავთ ტექსტისათვის „B ხელნაწერის დიალექტიზმები" (იქვე). რედაქციის დასაბუთებული მოსაზრებით, „რუსუდანიანი დასავლეთ საქართველოში შექმნილი თხზულებაა", მას ბლომად შემოუნახავს დასავლური, კერძოდ „გურული დიალექტიზმები" (XXXIII). ტექსტის ეს სპეციფიკური დიალექტიზმები „განსაკუთრებით უხვადაა B ხელნაწერში", ხოლო „A და C ხელნაწერების გადამწერლები ცდილან დიალექტური ფორმები ლიტერატურულით შეეცვალათო" (იქვე). ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რუსუდანიანის ტექსტის პირვანდელი სახე უფრო B ხელნაწერს დაუცავს. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ის დაედებოდა საფუძვლად ბეჭდურ გამოცემას. მაშინ, სხვათა შორის, ვარიანტებიც საკმაოდ განიტვირთებოდა ზედმეტი ტექსტუალური მასალისაგან.

ძირითადი ხელნაწერის საკითხს უკავშირდება რუსუდანიანის სიუჟეტის ერთი საყურადღებო მხარე. შინაარსის მიხედვით, რუსუდანის მეუღლის მ ა ნ უ ჩ ა რ ი ს მამა-პაპანი ყოფილან „იამანთა ქვეყანისა ხელმწიფენი", მაგრამ შემდეგში „მათნი სამეფონი და საპატრონონი სხვათა დარჩომოდა" (გვ. 3). იამანეთის ტახტი ეპყრა „ახალთა ხელმწიფეთა". თითონ იამანეთი იმყოფებოდა რომელიღაც შორეული, დიდი და „მაღალი ხელმწიფის" მფლობელობაში. ეს „ქვეყნის მპყრობელი" ხელმწიფე ყოფილა „უსჯულო", „მძლავრი", „უსამართლო", „ქრისტიანთა მტანჯველი" (12), ბოროტი ე შ მ ა კ ი და საშინელი ვ ე შ ა პ ი (16). უწყალო ხელმწიფეს თავის კარზე გაუწვევია ქრისტიანობის აღმსარებელი და ზნეკეთილი მანუჩარი. მანუჩარს ეშინოდა, ვაი თუ საბატონოს დამტკიცების საფასურად მტარვალმა ხელმწიფემ ქრისტიანობის უარყოფა მომთხოვოს და „სჯულისა გარდამავალიცა შევიქნეო" (9). მანუჩარმა დიდი სამსახური გაუწია თავის პატრონს (თუმცა ნამდვილად ტყვის მდგომარეობაში იმყოფებოდა), რის გამოც „მისი სამკვიდრებელი სამეფო" დაიმტკიცა, მაგრამ თავი ვერ გაითავისუფლა. მტრების დასმენის შედეგად მტარვალმა მბრძანებელმა მშობლებს (რუსუდანსა და მანუჩარს) წაჰგვარა მათი საყვარელი ასული როდენ ქალი (როდამი) და

პირმშო ფრიდონი. ქმრისა და შვილების დაკარგვამ რუსუდანი ძლიერ დაამწუხრა. ბოლოსა და ბოლოს „ურჯულო" ხელმწიფეს ფრიდონი გაუთავისუფლებია, მისთვის მიუცია მამისეული საბატონო და იამანეთში გაუსტუმრებია". „მოვიდა ფრიდონ სრულისა იამანეთისა ხელმწიფედ" (595), მისი მეტოქე-მოცილენი „ზოგნი გაეცალნენ და ქვეყანა დაუგდეს, ზოგნი დაემონნენ და დანდობას ეაჯებოდენ" (596). ფრიდონი სახელმწიფო ტახტზე დაჯდა და „თავსა მნათობი გვირგვინი დაიდგა", „მიულოცეს ყოველთა" იამანეთის ხელმწიფობა (იქვე). ერთი სიტყვით, ფრიდონმა დაიბრუნა მამა-პაპათა სამკვიდრებელი.

გამოცემული ტექსტიდან (და A ხელნაწერიდან) არ ჩანს, ვინ არის ეს უსჯულო და მძლავრი ვეშაპი, რომლის ხელშია იამანეთის სახელმწიფოს ბედ-იღბალი, რომლის კარზე იტანჯებიან როდამი და მანუჩარი, რომლის მტარვალობის მსხვერპლი გამხდარა რუსუდან დედოფალი. B ხელნაწერის მიხედვით, მოძალადე ვეშაპი სპარსთა მეფეა. სპარსეთის მონობაშია იამანეთი. რუსუდანიანის ამბები ზღაპრული ენით მკაფიოდ და ნათლად გვიხატავს ჩვენი ქვეყნის ისტორიული ცხოვრების ცოცხალ სინამდვილეს სპარსეთის ბატონობის ხანაში. ვფიქრობთ, ეს გარემოება უფრო კონკრეტული უშუალობითაა აღბეჭდილი B ხელნაწერში. იმასაც თუ მოვიგონებთ, რომ B ხელნაწერს უკეთ დაუცავს ტექსტის ენის ერთი სპეციფიკური თვისებები (დიალექტიზმები), მაშინ აშკარა გახდება B-ს უპირატესობა A-სთან შედარებით.

რუსუდანიანის ტექსტი მეცნიერულად და ტექნიკურად უნაკლოდაა გამართული. ზუსტია პუნქტუაცია (იშვიათი გამონაკლისების გარდა), შედარებით ცოტაა კორექტურული შეცდომები, რედაქცია სწორად მოქცეულა, რომ დაუტოვებია პარალელური ფორმები (ხელმწიფე: ხემწიფე, სადავე: სადევე, მზითევი: ზითევი, ქარავანსრა: ქარვასლა, არშია: აშია, ყულაოზი: კოლაოზი, მაგრამ: მაგრა, თურმე: თურე, ამთონი: ამდონი. ზმნის ფორმა დენ და დნენ და ა. შ.).

ჩვენს შენიშვნებს იწვევს უმთავრესად გამოცემის შესავალი წერილი (წერილის ავტორია ივანე გიგინეიშვილი). მთავარი საცილობელი საკითხია თარიღის საკითხი. დ. ჩუბინაშვილი და ა. ხახანაშვილი რუსუდანიანს თვლიდნენ XIII საუკუნის ნაწარმოებად, მ. ბროსემ იგი XV საუკუნეს მიაწერა, ე. თაყაიშვილმა — XVI-ეს, ხოლო ნ. მარმა, კ. კეკელიძემ და ამ სტრიქონების ავტორმა რუსუდანიანის წარმოშობის თარიღი XVII საუკუნეში გადმოიტანეს. ი. გიგინეიშვილს საეჭვოდ მიაჩნია ეს, მისი სიტყვით, „ამჟამად დამკვიდრებული შეხედულება" (გვ. XIII). მკვლევარის ფიქრით, „რუსუ-

დანიახი XVII საუკუნეზე ადრე ჩანს დაწერილი" (XVII), „ასეთს ვარაუდს ხელს არ უშლის არც ნაწარმოების ენობრივი თავისებურებანიო" (იქვე). ი. გიგინეიშვილის კვლევისა და მსჯელობის მეთოდი ნეგაციური ხასიათისაა. იგი აკრიტიკებს არსებულ შეხედულებას, თხზულება XVII საუკუნეზე ადრეა დაწერილიო, მაგრამ არაფერს ამბობს, თუ სახელდობრ როდის, რომელ საუკუნეში, მეცამეტესა, მეთოთხმეტესა, მეთხუთმეტესა თუ მეთექვსმეტეში. რუსუდანიანის ენის ხასიათზე მკვლევარი ზოგადად მსჯელობს, „თხზულების ენას ხალხური მეტყველების ძლიერი გავლენა ემჩნევა, მაგრამ ეს სრულიად შესაძლებელი იყო XVII საუკუნეზე გაცილებით ადრეო", ხოლო „რაც შეეხება ორთოგრაფიული ხასიათის სიახლეებს, ეს სიახლეები გვიანდელი დროის გადამწერთა ნაბელაკს წარმოადგენსო" (XVII).

ჩვენ ვფიქრობდით და ვფიქრობთ, რომ რუსუდანიანის დათარიღების საკითხზე სავსებით დასაბუთებული მოსაზრება წამოაყენა ნ. მარმა. მან აღნიშნა, რომ რუსუდანიანის ტექსტში იხსენიება ცეცხლის მფრქვეველი თოფი, მექანიკური საათი და მონეტა აბაზი, რომლის მოჭრა შემოიღო შაჰმა აბას პირველმა (1587—1628). აღნიშნულის კვალობაზე შეუძლებელია რუსუდანიანი დაწერილიყო XVI საუკუნის გასულისა, თუ XVII-ის დასაწყისის უადრეს. კ. კეკელიძემ ამას ახალი საბუთები დაუმატა. რუსუდანიანში იხმარება ისეთი სამოხელეო ტერმინები, რომლებიც როსტომ მეფის (1632—1658) სახელს უკავშირდებაო. თავის მხრით ჩვენ მივუთითეთ, რომ რუსუდანიანზე დიდი გავლენა მოუხდენია როსტომიანის (შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის) ქართულ ვერსიებს. კერძოდ იმ ვერსიას, რომელიც XVI საუკუნის გასულს ჩამოყალიბდა, „მაშასადამე, ამ ფაქტითაც — ვამბობდით — რუსუდანიანის წარმოშობა XVII საუკუნის დასაწყისამდე მაინც შეუძლებელი ხდება"-თქო [2].

ივ. გიგინეიშვილი ადვილად ელევა ამ საბუთებს. აქაო და „გადამნუსხავები შემდგომ ხანებში ბევრ რასმე უმატებდნენ ტექსტში და ამ ჩანამატთა მეტი წილი სწორედ ამ ხასიათისაა, შედარებებზე მოდისო" (XV), ამიტომაც „უეჭველად შემდეგდროინდელ ჩანართად უნდა იქნეს მიჩნეული" აბაზიც. თოფიც და „მკვლევართაგან დასახელებული ორიოდე სხვა ტერმინიო" (იქვე, დაყოფა აქაც და ქვემოთაც ჩემია, — ა. ბ.). ასევე იოლად მოევლება თურმე როსტომიანის გავლენის ფაქტსაც. ივ. გიგინეიშვილი არ უარყოფს „ერ-

[2] რუსუდანიანის ლიტერატურული წყაროები (თბილისის უნივერსიტეტის მოამბე. VIII, 1926, გვ. 315).

თი თუ ორი ეპიზოდის“ დამთხვევას, ოღონდ ამ შემთხვევაში კვლავ უნდა ვივარაუდოთ „ან შემდეგდროინდელ გადამწერ-შემვსებთა“ ჩანამატი, ანდა ორიენტისათვის „საერთო წყაროო“ (გვ. XV—XVI). „სავსებით შესაძლებელიაო“, ამბობს მკვლევარი, რომ „რუსუდანიანის ავტორისათვის წყაროს წარმოადგენდეს თვით უცხო ენაზე დაწერილი თხზულება და არა მისი გვიანდელი ქართული თარგმანი“ (გვ. XVI). ეს საეგებიო ზოგადი მოსაზრება შემდეგ უფრო ბეჯითი კილოთია გამოთქმული: „როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, [რუსუდანიანის ავტორი], ჩანს, ფირდოუსის შაჰ-ნამეს უშუალოდ სპარსული დედნით იცნობდაო“ (XXII).

ერთი სიტყვით, ის, რაც საერთო აქვს რუსუდანიანსა და როსტომიანს, ან შემდეგდროინდელი ჩანართია, ან უშუალოდ სპარსული დედნიდან მოდისო. „უეჭველად“ და გადაჭრით შემდეგდროინდელ ჩანართად თვლის ი. გიგინეიშვილი ყველა იმ რეალიას, რომლებითაც მოსახერხებელი ხდებოდა რუსუდანიანის დათარიღება.

ავიღოთ სამოხელეო ტერმინების საკითხი. კ. კეკელიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ როსტომ მეფემ ძველის სანაცვლოდ შემოიღო რიგი ახალი სამოხელეო სახელწოდება. ამ ახალ სამოხელეო ტერმინთაგან რუსუდანიანში გვხვდებაო, აღნიშნა კ. კეკელიძემ, — მოლარეთუხუცესი, სოღბათიასაული. ეშიკაღაზი, ყორჩი-ბაში[3]. მართალია, ი. გიგინეიშვილი ამას „უფრო საყურადღებო საბუთს უწოდებს (XV), მაგრამ მაინც აღნიშნული ტერმინების გაჩენას რუსუდანიანში „შემდეგდროინდელი გადამწერის ნახელავად“ თვლის. მკვლევრის სიტყვით, ეს სამოხელეო ტერმინები ჩნდება მხოლოდ მეოთხე ზღაპარში („უველა დანარჩენ ზღაპარში... არსად ეს ტერმინები არ გვხვდება“) და ისიც „მხოლოდ ერთ ადგილას“, სახელდობრ „იქ, სადაც თავისი ქვეყნიდან გადმოხვეწილ ურუმის ხელმწიფის შვილს ყაისარს შერუქ მეფის ხელქვეითები ეგებებიან დიდი ზეიმითა და დიდებითო“ (XV). ამის შემდეგ „ზემოდასახელებული მოხელეები“ ქრებიან და „დასახელებული ტერმინები აღარ გვხვდებაო“ (იქვე).

ჯერ უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლევრის მიერ მოწოდებული ცნობები მთლად სწორი არ არის. მის მიერ დასახელებული ადგილი მოდის რუსუდანიანის გამოცემული ტექსტის 350—353 გვერდებზე.

[3] ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 326 (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციით, თბილისი, 1885, გვ. 17—18).

ამის შემდეგ მოთხრობილია, რომ ყაისარი დაბრუნდა თავის ქვეყანაში, ერთხანს იქ დარჩა, იქიდან მამის (ყარამანის) თანხლებით ისევ შერუქ მეფეს ეწვია. მამასა და შვილს (ყარამანსა და ყაისარს) ზეიმით შეხვდნენ, მათ რიგრიგობით ეგებებოდნენ ბოქაულთუხუცეს- (გვ. 392), მოლარეთუხუცესი (393), ბაზიერთუხუცესი (იქვე), ყორჩიბაში (იქვე), ვეზირნი და სხვანი. შერუქი და ყარამანი რომ ერთად შეიყარნენ, მათი მოლარენი და მოლარეთუხუცესები მათ თვალმარგალიტს აყრიდნენ (გვ. 395). ამრიგად, დასახელებული ოთხი მოხელიდან ორი მოხელე (მოლარეთუხუცესი და ყორჩიბაში) აშკარად გამოჩნდა სხვა დიდ მოხელეებთან ერთად. მეორე შეხვედრაც ისევე საზეიმოდ (და „გაჭიანურებულად“) არის აღწერილი, როგორც პირველი.

ზოგიერთი საცილობელი ტერმინი გვხვდება სხვა ზღაპრებშიც (გარდა მეოთხისა). მოლარეთუხუცესი სახლთუხუცესსა, ბოქაულთუხუცესსა და სუფრაჯთან ერთად სწორედ შესაფერ გარემოში მოქმედობს პირველი ზღაპრის მიხედვით (გვ. 103). მეორე კარის მიხედვით კი სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან მეღვინეთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, სუფრაჯი (გვ. 223). მისი სტილის შესაბამისად, რუსუდანიანის ავტორი სამოხელეო ტერმინებსაც ზოგს ახალი სახელწოდებით ხმარობს. ზოგსაც ძველით. მივაქცევ მკითხველის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ პირველსა და მეორე ზღაპრებში სხვა მოხელეებთან ერთად მოხსენიებულია სუფრაჯი. ეს სამოხელეო სახელწოდებაც როსტომის შემოღებულია[4]. ამრიგად, რუსუდანიანში სხვადასხვა ადგილას დამოწმებულია როსტომ მეფის მიერ დაწესებული რიგი სამოხელეო სახელწოდება. მაშასადამე, რუსუდანიანის შესავალი წერილის პატივცემული ავტორის მოსაზრებანი სამოხელეო ტერმინების შესახებ არც ფაქტობრივად არის სწორი და არც არსებითად. სამოხელეო ტერმინები რუსუდანიანში „ერთი ზღაპრის ერთ პატარა ნაკვეთში“ კი არ არის „დახვავებული“ და ისიც „არაბუნებრივად“, არამედ ეს ტერმინები ძეგლისათვის საერთოდ არის დამახასიათებელი და ისინი ბუნებრივადაა განლაგებული თხზულების რამდენიმე კარში. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საზოგადოდ ჩანართად გამოცხადება ყველაფერი იმისა, რაც ამა თუ იმ მკვლევრის მოსაზრებას არ ეთანხმება, ჩვენ სერიოზულ არგუმენტად არ მიგვაჩნია.

---

[4] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, 1885, გვ. 17.

რუსუდანიანში გვხვდება ბევრი საინტერესო სოციალური ტერმინი. კერძოდ ძეგლისათვის ნიშანდობლივია ბატონი, ბატონიშვილი, საბატონო, საბატონიშვილო, ბატონყმანი და მისთანანი. ეს ტერმინები ჩვეულებრივია როგორც საკუთრივ რუსუდანის ამბისათვის (გვ. გვ. 6, 9, 10), ისე ზღაპრებისათვის (გვ. გვ. 22. 152. 161, 167. 198. 201, 205, 226, 274, 277, 342, 509 და სხვ.). ამას წინათ გამოქვეყნებულ ერთ თავის ნაშრომში ი. ჯავახიშვილი შენიშნავს: „ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის უქონლობა უთარიღო ძეგლების დათარიღებასაც მეტად აძნელებსო", მაგრამ ბევრი რამე ამ მხრით ცნობილია და გარკვეულიო (თუმცა მკვლევარნი სათანადო ყურადღებას არ აქცევენო). აღნიშნულთან დაკავშირებით ი. ჯავახიშვილი ამბობს: „ბატონი და საბატონო ქართულში მხოლოდ XVI საუკუნითგან მკვიდრდება. ვიცით. რომ XIV და XV სს-შიც ბატონი და ბატრონი იყო" [5]. ი. ჯავახიშვილის ეს მითითება ძლიერ გვეხმარება რუსუდანიანის თარიღის საკითხის გარკვეული მიმართულებით გადასაწყვეტად. აღნიშნულის მიხედვით რუსუდანიანის თარიღი საძიებელია მეთექვსმეტე საუკუნიდან (და არა ამაზე ადრე). ივ. ჯავახიშვილის მოწმობა საერთო ასპექტით სავსებით ემთხვევა და ზურგს უმაგრებს რუსუდანიანის დათარიღების „ამჟამად დამკვიდრებულ შეხედულებას". რუსუდანიანის ახლებურად დათარიღების საკითხში კი გარდატეხა ნ. მარმა მოახდინა [6]. როგორც ვიცით, ტერმინოლოგიურ რეალიებს პირველად მან მიაქცია ყურადღება. რუსუდანიანით ერთი მეცხვარე აფრთხილებს მტარვალ მეფეს, მეორედ მოსვლის დროს („დიდს დივანში") სამართლიანად განიკითხები, „არცა რას ქალი გარგებს, არცა რას ეს ამდენი ოქრო, არცა რა გაგყვება მაგ ერთი აბაზის ტილოს მეტიო" (გვ. 526). ამ ნაწყვეტში კარგადაა დაპირისპირებული „ამდენი ოქრო" და „ერთი აბაზის ტილო". ამ დაპირისპირებას არავითარი ნაძალადევობა არ ეტყობა. პირიქით, სავსებით ბუნებრივი სახეები და ბუნებრივი ინტონაცია არის მოძებნილი. მართალია, ტერმინი აბაზი თხზულებაში ერთხელ გვხვდება, მაგრამ იგი იმდენად ნიშანდობლივია და ისე ბუნებრივად არის მოხმობილი, რომ საუცხოოდ ათარიღებს უთარიღო ძეგლს. თუ აბაზი გვხვდება ერთჯერ, თოფი „ოთხჯერაა დასახელებული", მაგრამ „ოთხჯერვე შედარებისათვის" და აჯ-

---

[5] ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1956, გვ. 74—75.

[6] Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из Русудании (Восточные заметки, С. Петербург, 1895, გვ. 221—259).

დენადვე საეჭვოაო, ამბობს ი. გიგინეიშვილი (გვ. XV). მე არ მესმის, რად უნდა იყოს საეჭვო მხატვრული ნაწარმოებისათვის შედარების ხერხი! რუსუდანიანის საერთო მხატვრული დონის კვალობაზე ტერმინ თოფის შემცველი ყველა ფრაზა ბუნებრივი აგებულებისაა. აი, მაგალითებიც:

1. ერთი ასეთი დაიწივლა, რომ ასე ვთქვი — ამ ყურში იქით თოფი გამიგდეს-მეთქი“ (გვ. 174).
2. „მისი ნაკრავი თოფსა გვანდა და ხელმწიფიშვილისა—მეხსა“ (გვ. 293).
3. „ვერცა ისარი გაუწევდა და ვერცა თოფი“ (გვ. 410).
4. „იმ კლდემ ტკაცატკუცი მოიღო, თითქო გატენილი თოფი გასქდაო“ (გვ. 439).

არც ერთი მოყვანილი მაგალითი საეჭვო არ არის. თავისებური მხატვრული ეფექტის შესაქმნელად რუსუდანიანის ავტორს მიუმართავს შედარების ხერხისათვის. სხვა საქმეა, რომ ყველა შედარება ორიგინალური არ არის. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეორე მაგალითი. იმან მე მომაგონა ქართული როსტომიანის ერთი ნაცნობი ტაეპი... მომყავს პარალელური ტექსტები:

მისი ნაკრავი თოფსა გვანდა და ხელმწიფიშვილისა —მეხსა
(რუსუდანიანი).

მისი ნაკრავი თოფსა ჰგავს. ჩემი — მსგავსია მეხისა
(როსტომიანი, 1521.2).

აშკარად სიტყვა-სიტყვითი დამთხვევაა. ან რუსუდანიანს აუღია ეს ფრაზა როსტომიანიდან. ან როსტომიანს დასესხებია რუსუდანიანი. სხვა შესაძლებლობა გამორიცხულია. მაგრამ ტაეპი ნამდვილად როსტომიანისაა, ოღონდ, რა თქმა უნდა, ქ ა რ თ უ ლ ი რ ო ს ტ ო მ ი ა ნ ი ს ა. როსტომიანის სპარსულ დედანში (X—XI საუკუნის ძეგლში) ხომ თოფი არ იქნებოდა!

მოყვანილი მაგალითიდან ცხადად ირკვევა ორი რამ: რუსუდანიანის ავტორი, როგორც ხშირად სხვა შემთხვევებშიც, მზამზარეულ ტექსტს დასესხებია როსტომიანს, ქ ა რ თ უ ლ რ ო ს ტ ო მ ი ა ნ ს. მაშასადამე, არ მართლდება რუსუდანიანის შესავალი წერილის ბეჯითი ვარაუდი, თითქოს რუსუდანიანის ავტორი უშუალოდ ფირდოუსის სპარსული დედნით სარგებლობდა. ისიც ცხადია, რომ რუსუდანიანის შეთხზვა შეუძლებელი იქნებოდა როსტომიანის ქართული ვერსიების ჩამოყალიბებამდის. კერძოდ, საკითხი შეეხება

ბარზუ ნამეს. რომელიც ხოსრო თურმანიძეს[7] უთარგმნია. აქვე უნდა მოვიტანო ბარზუ ნამეს ტექსტისა და რუსუდანიანის ერთი ეპიზოდის სრული „დამთხვევის" ერთი საგულისხმო მაგალითი:

აჭა ომი როსტომისა და ბარზუსი

1. ბარზუს უთხრა: ლომის მსგავსო გმირო, მკვლელო ლომისაო,
   რად შეებმი, ვისგანც ხაყან გულმტკივნად არისაო?
   ამ მინდორში სუდრად მოგცე შენ აბჯარი
   ტანისაო,

   მძიმის ლახტით კინწსა მოგტეხ, დაგანარცხებ მიწასაო.
2. ბარზუმ უთხრა: ფალავანო, ჭკვიან, ომგარდასულიო,
   რასა გაგულისებულხარ, შენ დამწყვარი გაქვს გულიო;
   მკლავ-კისერსა მინდობიხარ, ცივს სიტყვასა
   რად მეტყვიო?

   არა ხარ გოდერძიანი, არც როსტომ ზაალის შვილიო.
3. ცეცხლი ააა ხარ ბგზაებარი, მე კაჭაჭი, რომე
   დამწოს,

   უყაბი არ ხარ, მე ბუზი, შენთან ფრენა არ
   შემეძლოს;
   ჟამ-ნახული, უნდა ვაჟმან შენგან ზნეობა ისწავლოს,
   შენ პირსა ანძლი ამოგდის, ეგ საქმე როდის გეკადროს?

4. ესე თქვა და ერთმანეთსა მათ ისარი დაასხესა,
   სიკვდილი შვაზედა უდგა, მათს ნაკრავსა გაკვირდესა;
   ხუფთანი და ბარგისტანი ორთავ სისხლით აავსესა;
   ორნივ ლაშქარნი უჭვრეტდეს, მათსა ომსა
   გაკვირდესა.

5. კაპარჭი ისრით დაცალეს, ლახტებსა ხელი
   მიჰყვესა,

   ვითა მჭედელი გრდემლზედა, ერთმანერთს
   თავზედ სცემდესა;

   მეტის ცემისგან ლახტები, ვითა მშვილდები, დადრკესა,
   გამარჯვება არცერთგნით ჩანს, გაიყარნეს, უკუდგესა.

---

[7] ხოსრო თურმანიძე იყო სვიმონ მეფის თანამოღვაწე. სვიმონი ტყვედ ჩაიგდეს ოსმალებმა და ტყვედ წაიყვანეს სტამბოლში 1599 წელს (ს. ჯიქია, ეპიზოდი XVI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 31, თბილისი, 1954. გვ. 58).

6. იგ ერთმანერთსა უმზერდეს, შეისვენეს, შეუტევდეს;
შეეჯიდნენ ერთმანერთსა, სარტყლებსა ხელი ჩაუგდეს,
მათ ორთავე ფალავანთა სარტყლები ვერ დაუდგემდეს,
მეტის მიჰირვებისაგან ორთავ სარტყლები
დაწყვიდეს.

7. ორთავ ფრჩხილთ სისხლი წავარდა, ან ღახტებით
დამართესა,
ბარზუს რკინის ხე ხელთ აქონდა, ერთმანერთს შეუტივესა;
როსტომ თავს ფარი იფარა, გაგულისებით სდივესა,
ბარზუმ თავს ღახტი შემოკრა, ფარს მოახვედრა
და ბეჭსა.

8. როსტომს ემწვავა, გულს უთხრა: უკუღმა მექცა ბედია.
ამ საქმისაგან გმირს როსტომს ჩამოუვარდა ხელია;
ხელის მოტეხა შეიტყო, პილოტანს ეკრთო ფერია.
იმან ნაკრავსა დაუდგნა, ბარზე უპვრეტდა, ერია[8].

აქა მეორე ომი ხოსროსა და ბარზინისა

1. ხოსროს უთხრა: გმირი ხარ და ლომის მოკვლაც ადვილად შეგიძლია, მაგრამ ჩემს ომს ნუ ეძებ, თვარა ამ მინდორში შენი აბჯარი სუდრად მოგეჭცევაო და ამ ჩემის ლახტით კინწსა[9] მოგტეხო.

2. რა მისი მკვახე საუბარი გაიგონა ხოსრო, გაიცინა და ეგრე უთხრა: კარგი ფალავანი ხარ, ჰკვიანი და ომნახულიო. მიკვირს, რასთვის გაგულისებულხარ ანუ შენის ბეჭ-მკერდის მინდობით ცუდს სიტყვას რასთვის იტყვიო?

3. შენ ხომ ცეცხლი არა ხარ და მე კაჭაჭი, რომ დამწვა შენ უყაბი არა ხარ და მე ბუზი, რომ შენთან ფრენა არ შემეძლოს. ასე უნდა, ვაჟმა კაცმა შენგან ისწავლოს ზნეობა; შენ ეგ როგორ გეკადრება. ომს წინათ ჰკვეხო. ეგ საქმე რეგვენთა წესია, თვარამ ჰკვიანი თვით არ იკვეხსო: როდისაც გაიმარჯვებს, მაშინ შეასხმენ ქებასაო.

---

[8] შაჰნამეს ქართული ვერსიები, II, თბილისი, 1934, სტროფები 3894—3901.

[9] ეს სიტყვა მოგვაქვს B ხელნაწერის მიხედვით. გამოცემაშია — კირწსა (გამოცემა ვარიანტს არ უჩვენებს).

4. ესე თქვა და მათ ისარი ერთმანერთსა დაასხესა[10], რომე მათი ხვაფთანი სისხლითა აივსო. ორნივე ლაშქარნი გაკვირვებულნი უმზერდეს.

5. რა კაპარჭი ისრისაგან დასცალეს, აწ ლახტებს მიჰყვეს ხელი და, ვითა მჭედელნი გვრდემლსა ზედა უროსა, ეგრეთ ერთმანერთს თავსა სცემდეს. მეტის ცემისაგან ლახტები თასმასავით დაგრიხეს.

6. მერმე ლახტები გაყარეს და ერთმანერთს შეეჯიდნენ. ნამეტნავის მიჯირვებით ორთავ ფრჩხილთა სისხლი წვავარდა და ერთმანერთსა სარტყლები დააწყვიტეს.

7. ორნივ ლაშქარნი უჰვრეტდეს და შიშით ორთავ პირი დაუყვითლდა, თუ რომელი მოკვდებაო. მერმე ცოტა შეისვენეს. კვლავ სხვა ლახტები აიღეს და კიდევ შეუტიეს ერთმანერთსა გულმესისხლედ. მერე ხოსრომ ლახტი შეიმაღლა და ვითა გაგულისებული დევი ბარზინს მიუხდა. ბარზინ შეშინდა და თავს ფარი იფარა. დაჰკრა ხოსრო ლახტი, თავსა დააცდინა, ბეჭს მოახვედრა.

8. ემწვავა ბარზინს და ასე თქვა: ვაი, ჩემო ბედო, რა უკუღმა მომექეცო?! ჩემი მოწიფულობა აღარას მომეხმარაო. რა ხელი ველარ მოიხმარა და გაუღონოვდა, ხოსრომ შეიტყო მისი ხელის მოტეხა, უფრო გაგულოვანდა[11].

საილუსტრაციო ტექსტების დაყოფილი ნაწილების ერთი თვალის გადავლება საკმარისია, რომ დარწმუნდეთ — რუსუდანიანის ავტორს თითქმის უცვლელად გადმოუწერია როსტომიანის მთელი ეპიზოდი. თვალსაჩინოებისათვის რუსუდანიანის ტექსტი ჩვენ დავყავით ნაკვეთებად როსტომიანის სტროფების შესაბამისად. რუსუდანიანის ავტორი თანმიმდევრულად, სტრიქონ-სტრიქონ, ფრაზეოლოგიურად და სიტყვა-სიტყვით მიჰყვება თავის პროტოტიპს, განსაკუთრებით პირველი ექვსი სტროფის მანძილზე. ორივე ძეგლის სახეობრივ-სიტყვიერი ინვენტარი ძირითადად ერთი და იგივეა. ტექსტუალური თანხვედრილობა იმდენად ზუსტია, რომ რუსუდანიანის პროზაულ ტექსტს რამ-

---

[10] ეს ფრაზაც B ხელნაწერის მიხედვითაა ციტირებული. გამოცემაშია: ესე თქვეს და მათ ისარი ერთმანეთს მეხის მსგავსად დაასხეს.

[11] რუსუდანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, გვ. 286—287.

დენადმე დაცული აქვს როსტომიანის ლექსის წყობა (თუმცა ამ ნაწილში როსტომიანის ლექსი ძალზე სუსტია). ერთ შემთხვევაში პროზაულ ტექსტში მთლიანად განმეორებულია 16-მარცვლოვანი შაირის ტაეპი. სალექსო კონსტრუქციის სპეციფიკური ხასიათით:

ესე თქვა და მათ ისარი ერთმანერთსა დაასხესა (4,1). საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო, რომ ამ სტრიქონის ტექსტი ჩვენ მოგვყავს B ხელნაწერის მიხედვით. დაბეჭდილის რედაქციით ოდნავ განსხვავებაა და იქ სტრიქონს დაკარგული აქვს სალექსო ფორმა:

ესე თქვეს და მათ ისარი ერთმანერთს მეხის მსგავსად დაასხეს.

განსხვავება ისაა, რომ აქ დამატებულია სიტყვები „მეხის მგზავსად". „თქვა" მრავლობითი ფორმითაა წარმოდგენილი — „თქვეს". თითო ბოლო მარცვლით შეკვეცილია სიტყვები „ერთმანერთსა" და „დაასხესა". (ერთმანერთს, დაასხეს). დამოწმებული გარემოება ცხადჰყოფს, რომ რუსუდანიანის ავტორისათვის სწორედ B ხელნაწერის ვარიანტი ყოფილა უფრო მახლობელი. როგორც გამომცემლებიც შენიშნავენ, A ხელნაწერის გადამწერს (A ხელნაწერი უდევს საფუძვლად გამოცემას) ტექსტი ერთგვარად უსწორებია. რუსუდანიანის წყარო, ე. ი. როსტომიანი, საშუალებას იძლევა ტექსტის საკრიტიკოდ. თუმცა მრავლობითი ფორმა „თქვეს" გრამატიკულად უფრო სწორია. ვიდრე მხოლობითი „თქვა", თავდაპირველ დედანში უნდა ყოფილიყო „თქვა" (როგორც როსტომიანშია). ამ მხრით საინტერესოა შემდეგიც: „ამ ჩემის ლახტით კ ი რ წ ს ა მოვტეხო", ვკითხულობთ ერთგან გამოცემაში (ნაკვეთი პირველი).

B ხელნაწერში ნაცვლად სიტყვისა „კირწსა" გვაქვს „კინწსა" (ამ ჩემის ლახტით კ ი ნ წ ს ა მოგტეხო). ფრაზა ამოღებულია როსტომიანიდან: „მძიმის ლახტით კ ი ნ წ ს ა მოგტეხ" (1, 4). რუსუდანიანის დედანში თითქოს ყოფილა B ხელნაწერით შემონახული წაკითხვა. რუსუდანიანის ვარიანტთა საკითხებში გასარკვევად დახმარებას გვიწევს როსტომიანის ტექსტი. კ ი ნ წ ი როსტომიანში სხვანაც გვხვდება:

ზაალს ახარეს, ერთის კვრით პილოს კ ი ნ წ ი მოსწყდებოდა (1844,4).

ლახტით კ ი ნ წ ი და გვერდები დავალეწო, ვით მტვერია (3943,1). აღნიშნულს ისიც უნდა დავძინო, რომ როსტომიანის ერთ ხელნაწერს, რომელიც ამ თხზულების ორივე ტომის გამოცემაში B ლიტერით არის მოხსენებული, ჩვენთვის საინტერესო სიტყვა „კინწი" დაუცავს ფორმით „კირწი" (3894,4 C-ში წარყვნილია — კიწსა).

ვგონებ რუსუდანიანის ავტორს ხელთ ჰქონია როსტომიანის ისეთი ვარიანტი, სადაც „კირწის" ნაცვლად „კინწი" იკითხებოდა. ყოველ შემთხვევაში, რუსუდანიანი და როსტომიანი იძლევა კონკრეტულ მასალას ტექსტების საურთიერთოდ კრიტიკისათვის, იმდენად მჭიდროა მათ შორის არსებული კავშირი.

ამას შემდეგ მაინც საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ რუსუდანიანის ავტორი შაჰნამეს ქართული ვერსიების (როსტომიანის) ძლიერ გავლენას განიცდის. როსტომიანიდან რუსუდანიანში გადმოსულია სპეციფიკური ლექსიკა, მხატვრული სახეები (და კერძოდ შედარებანი), ფრაზეოლოგია, სიუჟეტური მოტივები, ცალკეული ტექსტუალური ნაწყვეტები და ეპიზოდებიც კი [12].

დამატებით აქვე მოვიყვან ამ თხზულებათა შორის ფრაზეოლოგიურ-სახეობრივი და ტექსტუალური „დამთხვევების" კიდევ რამდენიმე სანიმუშო მაგალითს:

1. „მისი სიდიდე ბ ე ს თ ა ნ ი ს ა მ თ ი ს ა მგზავსია" (რუსუდანიანი, გვ. 282; იხ. აგრ. გვ. 126).

„ბ ე ს თ ა ა ნ ი ს ა მ თ ა ს ა ჰგავს" (როსტომიანი, I, 3594, 3);

„ბ ე ს თ ა ნ ი ს ა მ თ ა ს მოსთხრიან" (იქვე, II, 385, 33—34).

2. „მისის სახისა და სიტურფის გამოსახვა ბ ა ს თ ა ნ ე ლ თ ა მხატვართაგან არ გამოიხატებოდა" (რუსუდანიანი, გვ. 300).

რაცა სთესო, ის მო~მკო. ასრე უთქვამს ბ ა ს თ ა ნ ე ლ თ ა

(როსტომიანი, I, 516,1; II, 3651,3).

3. „პ ი რ ი ს ა ნ დ ა ლ ო ზ ი ს ფ ე რ ა დ გ ა უ ხ დ ა თ" (რუსუდანიანი, გვ. 517, 570, 282).

„პ ი რ ი ს ა ნ დ ა რ ო ზ ი ს ფ ე რ ა დ გ ა უ ხ დ ა" (როსტომიანი, II, 373, 411, 420. 435; იქვე, I, 1621).

4. „ს ი ს ხ ლ ი ს ღ ვ ა რ ი წ ა ვ ი დ ა. რომე... უ ნ ა ო დ ა რ გ ა ი ს ვ ლ ე ბ ო დ ა და კლდე და მ ი ნ დ ო რ ი ა რ ღ ა ვ ნ ი ს ფ ე რ ა დ ი ყ ო" (რუსუდანიანი, გვ. 290).

მუნ გადის ს ი ს ხ ლ ი ღ ვ ა რ უ ლ ა დ,
კ ა ც ი ვ ე რ გ ა ვ ა უ ნ ა ო დ,
ა რ ღ ა ვ ნ ი ს ფ ე რ ა დ შ ე ე ღ ე ბ ე ი გ ი
მ ი ნ დ ო რ ი უშაოდ (როსტომიანი, 1,1500).

5. „წნორის ფურცელივით ათრთოლდა" (რუსუდანიანი, გვ. გვ. 526, 425).

---

[12] სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ ზემოთ განხილულ ეპიზოდში პერსონაჟის სახელიც კი თითქმის უცვლელადაა შემოტანილი რუსუდანიანში როსტომიანიდან (ბარზუ -- ბარზინი).

„წნორის ფურცელი ვითა თრთოდეს“ (როსტომიანი, II, 377; I, 2062; II, 2123).

6. „დაბნდა, ტახტისაგან ჩამოვარდა, თავ-მოკვეთილა ფრინველივით მიწასა ზედა გორევდა“.

(რუსუდანიანი, გვ. 12).

„დაბნედილი ცხენიდაღმან ჩამოიჭრა და თავმოკვეთილი მფრინველი ვითა მიწასა ზედან გორევდა“

(როსტომიანი, II, 411).

7. გლოვის ნიშნად „ცხენები დაპარსულნი და უკუღმა დაკაზმულები“ იყო (რუსუდანიანი. გვ. 148).

„ცხენები ყველა გაპარსეს, უნაგრები უკუღმა დასდგეს“ (როსტომიანი, II, 412).

8. როსტომი ამაყად აცხადებდა „ჩემი სახელი ღრუბელთა ზედა სწერიაო“ (I, 2272).

„შენი სახელი... ღრუბელზე დაიწერაო“. — იმეორებს რუსუდანიანი (გვ. 303).

9. უთრუათიან-საამიანით ფალავნები ლაშქარს თავს ესხმიან „ვითა ლომი კანჯრის ჯოგს“ (გვ. გვ. 17, 22, 32, 179. და ა. შ.) [13].

„ვით მომშეული ლომი კანჯრის ჯოგშიგან იარებოდეს“ (რუსუდანიანი, გვ. გვ. 57, 118, 189).

10. როსტომიანის გმირები მოლხენის დროს სვამდნენ „ხოშგვარ ღვინოს“ (I, 251; 1174; 2972; 3830: 3944; II, გვ. გვ. 400, 415. 422, 445).

ასეა რუსუდანიანშიც (გვ. გვ. 106, 217, 295, 467, 548).

11. გათენება და საბრძოლველად გამგზავრება:

„რა დილა გათენდა და საწუთროსა მაშვენებელმან მზემან თავი ამოყო...“ (რუსუდანიანი, 48): „რა დილა გათენდა და მზემან წითელი ფარდაგნი გაფინა და კირჩხიბისა ჰანგსა დაეხსნა და გუმბათსა ზედან ამაღლდა, კრეს ორგნითვე გურაგსა, ქოსსა, ნაღარასა...“ (რუსუდანიანი, 129; იხ. აგრ. 177. 284. 286, 387, და სხვ.).

„დილასა რა საწუთროსა მაშვენებელმან მზემან თავი ამოყო და კირჩხიბისა ჰანგსა დაეხსნა და გუმბათსა ზედან ამაღლდა, ჰკრეს ქოსსა და ნაღარასა და გაემართნენ“ (უთრუთიან-საამიანი, 5, იხ. აგრ. 2, 22, 45 და სხვ.).

---

[13] უთრუთიან-საამიანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დ. კობიძემ, რომელმაც თავისი ნაშრომი თავაზიანად დაგვითმო სარგებლობისათვის (გვერდები ნაჩვენები გვაქვს დ. კობიძის ხელნაწერის მიხედვით).

12. საერთოა როსტომიანსა და რუსუდანიანში ისეთი სახეები, გამოთქმები და სპეციფიკური სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად: პირი მიწასა დასდვა, პირით პერულსა ჰყრიდა, მთვრალი სპილო (პილო), ფარმანის თხოვა, ბედმლაშე, მფრეწველი ლომი, ჰანგმახვილი, ბარგისტანი, უზამბარი... საკრავები: ძროხაკუდი, სპილენძჭური, ზაბულური.. დუმბული, სინჯი, გურაგი; წერილების წერა „გონიარი მწიგნობრის“ მიერ, წერილების კილო და ფრაზეოლოგია, ბრძოლის სურათები და ა. შ.

რუსუდანიანის მოქმედი პირები როსტომიანით ცნობილ სახელებს ატარებენ. ასეთები არიან: არჯასპი, ბარამი, ბარზინი, გივი, გოდერძი, გვარჯასპი, გოსტამი, გოშტაშაბი, გურგენი, ზაალი, ზავი, თუმიანი, მავრიდი, მანუჩარი (რუსუდანის მეუღლე, ზავის ვაჟი), ნოდარი, ნუშრევანი, ოშანგი, როდამი (როდენი), ტომერანი, ფარეშუზი, ფირანი, ფრიდონი, ქეთევანი (ქეთაევანი), ყარამანი, შაიემანი, ხოსრო, ჯანი, ჯიმშედი და სხვ. უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ეს სახელები რუსუდანიანში იხმარება ჩვეულებრივად იმ სახით, რომლითაც დამკვიდრებულია რუსთომიანის ქართულ ვერსიებში. მაგალითად, ტომერანი მხოლოდ ქართული ვერსიით ეწოდება სპარსულ შაჰნამეს ტოჰმურასს, თუმიანს სპარსულში შეესიტყვება თეჰმინე, როდამს — რუდაბე და ა. შ. მაშასადამე, რუსუდანიანი როსტომიანის პერსონაჟების სახელებს ესხულობს უეჭველად ამ თხზულების ქართული ვერსიიდან.

ი. გოგინეიშვილი სამართლიანად ფიქრობს, რომ რუსუდანიანზე ზემოქმედება უნდა მოეხდინა ქართულ ხალხურ სიტყვიერებას (გვ. XX); ოღონდ მის მიერ მოყვანილი კონკრეტული მაგალითი ამის საბუთად არ გამოდგება. მკვლევარი ამბობს: „ქართული ხალხური ზღაპრიდან მომდინარე ჩანს მესამე ზღაპრის ერთი ეპიზოდი. ხოსრო რომ დაიბადა, ფასკუნჯმა ფრთა გამოიძრო და მისცა ხელმწიფეს: თუ რამე გაგიჭირდეს, ეს აკმიე და მოგეშველებიო. მართლაც, როცა ზავარი გველეშაპმა დააშავა, ფასკუნჯის ფრთა აკმიეს. ფასკუნჯი მოფრინდა და ზავარი სიკვდილს გადაარჩინაო“ (გვ. XX). ნამდვილად აქაც აღბეჭდილია როსტომიანის გაელენის კვალი. როსტომიანის მიხედვით, ზაალი ფასკუნჯმა აღზარდა. როცა ზაალი მამას დაუბრუნდა, ფასკუნჯმა „ფრთე მოიგლიჯა“, ზაალს მისცა და დაუბარა (I, 318):

დაგეჭიროს. ფიცხლად დაწვი. შემომივა სიცხე გულად.
შენ მოგმართებ. რა შევიტყობ. მე წამოვალ ფიცხლა მველად.
უსათუოდ მოვესწრები. მოგედები ცეცხლებრ ველად.

მართლაც, როდესაც სპანდიატმა მძიმედ დასჭრა როსტომი და მისი რაში, ზაალმა „მუჯამრით ცეცხლი აგზო, ცოტა ფრთე დადვა მაზედა“ (II. 5603). ფასკუნჯიც დაუყოვნებლივ გაჩნდა და დაჭრილებს უმკურნალა. ცხადია, რუსუდანიანის ეს აღგილიც როსტომიანის მიხედვით არის დამუშავებული.

მკითხველთა ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ ფასკუნჯის ამბავი ჩართულია რუსუდანიანის იმ კარში, რომელსაც ყველაზე უფრო მეტად განუცდია როსტომიანის ზეგავლენა (სწორედ ამ კარშია ხოსროსა და ბარზინის ბრძოლის ეპიზოდი). საყურადღებოა ასეთი დეტალიც: როსტომიანში სიტყვა ფრთა ნახმარია ფორმით „ფრთე“. რუსუდანიანის სათანადო ნაწყვეტში ეს სიტყვა საძჯერ გვხვდება, მათ შორია ერთჯერ როსტომიანის მაგვარად ფორმით „ფრთე“ (გვ. 320. 24). რუსუდანიანისა და როსტომიანის სიუჟეტური მოტივების დამთხვევის სხვა მაგალითებს აღარ ვეხები.

ი. გიგინეიშვილს მოჰყავს ზღაპრიდან გორჯასპის დასახასიათებლად მოხმობილი შედარება: „მისის ისრისა მგზავსი არცა როსტომის ისარი ყოფილა“ (გვ. 423) და შენიშნავს, ეს შედარება „არ უნდა გულისხმობდეს წყაროდ აუცილებლად ქართული როსტომიანის გამოყენებას. ავტორს წყაროდ ამ შემთხვევაში შეიძლება უშუალოდ ფირდოუსის ქმნილება ჰქონოდა ან. შეიძლება, ვეფხისტყაოსნის ცნობილი ტაეპი: «ისრითა მოკლის ნადირი როსტომის მკლავუგრძესითა» (XVI, შენ.). ჩვენ საკმაო საბუთები მოვიყვანეთ იმისათვის, რომ დაგვემტკიცებინა, რუსუდანიანის ავტორი ქართული როსტომიანით სარგებლობდა და არა სპარსული დედნით. ვეფხისტყაოსანზე მითითება კი სწორია. ჩვენ გაკვრით გვქონდა შენიშნული რუსუდანიანზე ვეფხისტყაოსნის გავლენის მომენტი. ი. გიგინეიშვილი საბუთიანად ამახვილებს ყურადღებას ამ მოვლენაზე (ვეფხისტყაოსნის გავლენის საკითხზე) და საგულისხმო მაგალითებიც მოჰყავს (გვ. XXII- -XXIII). რუსუდანიანზე დიდი გავლენა მოუხდენია ამირანდარეჯანიანსაც (თავის მხრივ რუსუდანიანის ზეგავლენა ეტყობა ამირანდარეჯანიანის გაგრძელებებს). ავერთოდ, როგორც კომპილატორს, რუსუდანიანის ავტორს ფართოდ და თავისუფლად გამოუყენებია სხვადასხვა ხასიათის წყაროები. მათ შორის ი. გიგინეიშვილი ასახელებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს. მკვლევარი იმოწმებს სათანადო ტექსტებს და ასკვნის: „რუსუდანიანის ეს ადგილი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ცნობილი ადგილის პერიფრაზს წარმოადგენსო“. (გვ. XXIV). ეს ფაქტი იმითაც არის საინტერესო, რომ ახლად მიკვლეული წყა-

რო სწორედ ქართულია. უცხოურ წყაროებსაც რუსუდანიანის ავტორი უპირატესად მაინც ქართული თარგმანებით ეცნობოდა.

დიდი დაკვირვებითა და საქმის ცოდნით არის შედგენილი რუსუდანიანის ლექსიკონი (და აგრეთვე საძიებლები). ოღონდ ლექსიკონი და საძიებლები სრული არ არის, ზოგიერთი სიტყვის განმარტება კი უკმარია, ან მთლად ზუსტი არაა. მაგალითად. ვერც ლექსიკონში და ვერც საძიებლებში ვერ ვპოულობთ ალექსანდრე მაკედონელისა და სოლომონ ბრძენს (გვ. 151- 152). ლექსიკონი ასე განმარტავს ბ ე ს თ ა ნ ს — მთის სახელწოდებაა. ბესთანი რომ მთის სახელწოდებაა, ეს თხზულებაშია აღნიშნული („მისი სიდიდე ბესთანისა მთისა მგზავსია"). ლექსიკონის განმარტება კონტექსტის განმეორებაა. როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, ეს შედარება შაჰნამედანაა ამოღებული. ბესთანი სპარსეთის უდიდესი მთის სახელწოდებაა. სხვათა შორის, ნიზამი განჯელის პოემის „ხოსროვ-შირინიანის" მიხედვით, შირინის ხელის მოპოვების მიზნით ბესთანის (ბისუთუნის) კლდეში გზის გაკვრა იკისრა ხუროთმოძღვარმა ფარჰადმა. უკმარია და განყენებული ყ ა ფ ი ს მ თ ი ს განმარტება („ზღაპრული მთა, რომელიც ვითომ გარს ერტყმის დედამიწის ყოველ მხარეს"). როსტომიანის მიხედვით, ყაფის მთა დევთა სამფლობელო და სამკვიდრებელი მთაა. ასევეა რუსუდანიანშიც: „შენისა შიშითა დევნი ყაფისა მთასა შიგან იხიზნებიანო" (გვ. 381). ყაფის მთის სახე რუსუდანიანში შესულია როსტომიანიდან. ზოგი სიტყვის განმარტება იწვევს დაეჭვებას. მაგალითად დავასახელებ ისეთ უბრალო სიტყვას, როგორიცაა მ წ ნ ი ლ ი. რუსუდანიანის ლექსიკონი ამ სიტყვას ასე განმარტავს: „მურაბა, ნარაჯი („შაქრითა და თაფლითა ხილებს (და შაქრის ქერქთა) შეაგბობენ შესანახავად" — საბა). რუსუდანიანის ტექსტში სიტყვა მ წ ნ ი ლ ი ორ ადგილას შევნიშნე (ლექსიკონი ერთზე მიუთითებს). აი ეს ადგილები: სხვადასხვა ჭურჭელი სავსე იყო ღვინითა და არყით, აგრეთვე „ყოვლისთანა მურაბა და მწნილი იყოო" (გვ. 452). მეორეგან ვკითხულობთ: „ზოგი შარბათს აკეთებდა, ზოგი მაჯუნებსა, ზოგი მურაბაებსა, ზოგი მწნილებსა" (209). ორივე ნაწყვეტში მწნილი დასახელებულია მურაბის გვერდით და, მაშასადამე, თვითონ არაა მურაბა. შესაძლებელია აქ მწნილი მართლაც ტკბილეულს (ნარაჯს) ნიშნავდეს. თუმცა უფრო ბუნებრივად გვეჩვენება მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით გაგება. ეს მით უფროა საგულვებელი, რომ მწნილი ასევე ჩვეულებრივი მნიშვნელობით გვხვდება ვეფხისტყაოსანში („მუნ აბჯარი ყოვლი-ფერი ასრე იდვა, ვითა მწნილი". 1367,3). ვეფხისტყაოსნის სპეციფიკურ ლექსიკას თავი უჩენია რუსუდანიანში. პროფ. აკაკი შანიძე შენიშნავს:

„ჩემთვის უდაოა, მაგ., რომ ვეფხისტყაოსანს დიდი გავლენა მოუხდენია რუსუდანიანზე, სადაც ვეფხისტყაოსნის «აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავთა თქვენთა» ასეთი სახითაა წარმოდგენილი: აწ თქვენს თავს თქვენ ეტერენით, თქვენ უშველეთო“ [14]. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ სიტყვა პაშტა. ეს სიტყვა ცნობილია ვეფხისტყაოსნით („დავაგდე მზღვარი ინდოთა, მევლო პაშტაი ხანია“, 421,1). მისმა განმარტებამ თავის დროზე მთელი ლიტერატურა შექმნა. ვისრამიანისა და როსტომიანის სპარსულ-ქართული ტექსტების დახმარებით შესაძლებელი გახდა პაშტას ნამდვილი მნიშვნელობის დადგენა. პაშტა არის: საკმაოდ ბევრი, საკმაოდ დიდი, კარგი ძალი (იუსტ. აბულაძე); კაი ძალი, ბევრი (ა. შანიძე). ეს სიტყვა ხშირია რუსუდანიანში (მაგ. 31, 24; 228, 21; 261, 37; 310, 25; 342, 19; 350, 36). ლექსიკონში განმარტებულია: „პაშტა პატარა, ცოტა“. რუსუდანიანში შეინიშნება ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენება. ასეთია, მაგალითად, ღარიბი, მღერა და მისთანანი. ღარიბი ნიშნავს უცხოელს, უცხო ქვეყანაში გადახვეწილს, მოხეტიალეს, მწირს (როგორც რუსუდანიანის ლექსიკონშია აღნიშნული). მაგრამ ზოგჯერ ეს სიტყვა რუსუდანიანში თანამედროვე გაგებით იხმარება (ღატაკი, უპოვარი). მაგალითად, ერთგან დაპირისპირებულია ღარიბი და მდიდარი (გვ. 420). ასევე უნდა ვთქვათ პაშტას შესახებაც. კონტექსტის მიხედვით, პირველ შემთხვევაში (31, 24) მართლაც საფიქრებელია დამოწმებული განმარტება. დანარჩენ შემთხვევებში კი უფრო საგულვებელია სიტყვის ძველი მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში სიფრთხილეა საჭირო. რუსუდანიანს ძლიერ ეტყობა ლიტერატურულ-მწიგნობრული ტრადიციის ზემოქმედება. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. საგულისხმო ისიცაა, რომ ერთი და იგივე სიტყვა რუსუდანიანში ზოგჯერ უცხოური ფორმითაა მოყვანილი, ზოგჯერ ქართულით. მაგალითად, ასეთია დინარი და დრაჰკანი, როგორც ოქროს ფული, ოქროს მონეტა. ლექსიკონში ეს გარემოება მინიშნებული არაა (ზოგჯერ დრაჰკანი გვხვდება ფორმით „დრაკანი“, გვ. 349, 9; 352, 32 და სხვ.).

ჩვენ ვიზიარებთ ი. გიგინეიშვილის იმ მოსაზრებას, რომ რუსუდანიანის მდიდარი ლექსიკის გამოუყენებლობა სულხან-საბა ორბელიანის მიერ არ გამოდგება ამ თხზულების დათარიღების უეჭველ საბუთად. ოღონდ თავისთავად ინტერესმოკლებული არ არის

[14] ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, გვ. 017—018 (ა. შანიძის წერილის ეს ადგილი მოყვანილია რუსუდანიანის შესავალ წერილშიც, გვ. XXII).

ის გარემოება, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი რუსუდანიანის მასალით შეუვსია ჩვენი სახელოვანი ლექსიკოგრაფის სახელოვანსავე თანამშრომელს. ვახტანგ მეექვსეს[13]. ალბათ, საბასათვის რუსუდანიანი თავიდანვე ცნობილი არ ყოფილა.

ი. გიგინეიშვილს საინტერესო, თუმცა ნაწილობრივ სადავო მოსაზრებები აქვს გამოთქმული რუსუდანიანის სტილის თაობაზე. ამაზე აქ არ ვჩერდებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ რუსუდანიანის სტილის საკითხები მჭიდრო კავშირშია რუსუდანიანის წყაროების საკითხთან, რაზედაც შეძლებისდა გვარად ამ წერილში ყურადღებას ვამახვილებთ.

ამით ვამთავრებთ ჩვენს შენიშვნებს. დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ რუსუდანიანის გამოქვეყნება ჩვენი კულტურული ცხოვრების სასიხარულო მოვლენაა. ხოლო თხზულების მეცნიერი-გამომცემელნი დიდი მადლობის ღირსი არიან გაწეული შრომისათვის.

---

[13] ლილი ქუთათელაძე. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბილისი, 1957, გვ. 100—138.

სიბრძნე სიცრუის გარშემო

1

რა ეწოდება სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულს და როგორ უნდა გავიგოთ მისი შინაარსი

ამ წერილში აღძრული კითხვა მთელი სიმწვავით დასვა ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. მ. ლ ე ნ გ მ ა (წიგნი სიბრძნე-სიცრუესა-ს სათაურისათვის, „მნათობი", 1957, № 5, გვ. 159—167). მართლაცდა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის სათაურის საკითხი დიდ ინტერესს იწვევდა და იწვევს როგორც სპეციალისტთა შორის, ისე ფართო საზოგადოებაში. ამ კრებულის სათაურის ნამდვილი აზრის გაგება მით უფროა საჭირო, რომ ერთი ცნობილი საბჭოთა მწერლის სიტყვით, „საბა ორბელიანის იგავებს სათაურშივე მეღავნდება მისი გენიის უდიდესი ორიგინალობა" [1].

„სიბრძნე სიცრუის" გაგება განსაკუთრებით მკაფიოდ მჟღავნდება მისი სხვა ენებზე თარგმნის დროს. კრებულის დასათაურება არსებითად დაკავშირებულია მისი შინაარსის გახსნასთან. ამ საკითხზე ქრონოლოგიურად პირველ ცნობას ვპოულობთ ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნში, რომელიც გამოქვეყნდა პეტერბურგში 1802 წელს [2]. ბოლხოვიტინოვი აღნიშნავს (მას მასალებს აწვდიდნენ საქმის მცოდნე პირები), რომ ქართველებს ბევრი აქვთ საერო წიგნი, როგორც მაგალითად „Сибрзнеципруе т. е. мудрологание на подобие Локмановых и Езоповых басней" [3]. ბოლხოვიტინოვის დაკვირ-

---

[1] კ. გ ა მ ს ა ხ ურ დ ი ა, კრიტიკა, თბილისი, 1956, გვ III.

[2] Историческое изображение Грузии и политическом, церковном учебном ее состоянии.

[3] დასახელებული შრომის გვ. 81—82.

ვებით, სულხან-საბა ორბელიანის წიგნში ეზოპეს ენით. იგავურად სიცრუის სიბრძნეა გამოხატული, სიცრუის სიადაგზე ხდება ბრძნული მეტყველება, „სიბრძნე სიცრუისა“ ბრძნულცრუობაა.

1846 წელს დ. ჩუბინაშვილმა თავის ქრესტომათიაში დაბეჭდა „სიბრძნე სიცრუის“ ნაწყვეტები, თხზულებას სათაურად შეარქვა „სიბრძნე სიცრუვის ზღაპარი“ და რუსულად ამგვარად თარგმნა „Сказки мудрости и лжи“. სპეციალურად შეეხო ამ საკითხს პროფ. ალ. ცაგარელი, იგი წერდა: „Я перевожу заглавие этой книги Сибрძნე Сიცრუისა словами „мудрость вымысла“, а не „мудрость и ложь“, как это делают разные переводчики, ибо, во-I-х, между этими двумя словами (на груз. языке) нет никакой соединительной частицы; во-2-х, второе существительное стоит в род. падеже; в 3-х, грузинское слово სიცრუე означает умственную и нравственную фальшивость, в настоящем случае, очевидно, его следует понимать в первом значении и перевести словом вымысел (Dichtung, dichten), как единственно противоположным понятию „мудрость“, выражающим умственное совершенство. И так смысл заглавия упомянутой книги Сулхана есть, по моему мнению, след: мудрое нравоучение, вытекающее (хотя бы и) из вымышленных рассказов и событий“.[4]

ასეთი ვრცელი და დასაბუთებული განმარტების მიუხედავად იგივე წიგნი ალ. ცაგარელმა რამდენიმე წლის შემდეგ განსხვავებული გაგებით გადათარგმნა:

«Книга мудрости и лжи (грузинские басни и сказки XVII — XVIII стол.) Саввы Сулхана Орбелиани. Перевод и объяснения Ал. Цагарели. Санктпетербург, 1878 г.».

ალ. ცაგარლის სხვადასხვაგვარმა თარგმანმა საკითხი გაართულა და საცილობელი ტექსტის გაგება გააბუნდოვანა. საქმეს ხელი მოჰკიდა ილია ჭავჭავაძემ. „რას ჰნიშნავს ეს ორი სიტყვა — სიბრძნე-სიცრუე, ერთმანეთზე გადაბმული?“ — კითხულობს ილია და განაგრძნობს — საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა, სიბრძნე-სიცრუის წიგნი დაარქვა. მე ხშირად ჩავფიქრებივარ ამ უცნაურს სახელს წიგნისასო“[5]. საკითხის ყოველმხრივ გამოძიებისა და აწონ-დაწონის შედეგად ილია ჭავჭავაძე იმ დასკვნამდის მისულა, რომ:

---

[4] О грамматической литературе грузинского языка, Санктпетербург, 1873, გვ. 100—101.

[5] ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე (თხზულებანი, II, 1941, გვ. 276—293.).

„საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია". ოღონდ „ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თითონ ამბავია, სიბრძნე შიგ ჩასახული აზრია". სხვაგვარად რომ ითქვას, ილია ჭავჭავაძის მოსაზრებით, სულხან-საბა ორბელიანის „ზღაპარი, არაკი, იგავი ერთსა და იმავე დროს სიბრძნეც არის და სიცრუეც, სიბრძნე სულით, სიცრუე ხორცით. აქ სიცრუე ხატებაა, განსახოვნებაა სიბრძნისა". ილიას სიტყვით, „საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნებო". ამიტომაც „საბა ორბელიანისებური სიცრუე ნამუსიანია".

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, „სიბრძნე სიცრუისა" არის ალეგორიული ხასიათის ნაწარმოები. აქ „სიცრუე თითონ ამბავია", რომელიც იგავურად, გადატანით ანუ ალეგორიულად გამოხატავს სიბრძნეს. ილია ჭავჭავაძემ მოგვცა სავსებით სწორი მეცნიერული ახსნა ბუნდოვანი საკითხისა. მცირე გამონაკლისის გარდა ილია ჭავჭავაძის ეს განმარტება ყველამ გაიზიარა. არსებითად ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისს ემხრობოდა კერძოდ აკად. ნ. მარიც, „სიბრძნე სიცრუეს" მან რუსულად უწოდა „Мирская мудрость" და საგანგებოდ შენიშნა: „Буквально Мудрость лжи в противоположность Мудрости истинной, христианской", თუმცა ესეც დასძინა: „Грамматически, конечно, верен и обычный перевод этого же заглавия Книга мудрости и лжи".[6]

ოლივერ უორდროპმა სულხან-საბა ორბელიანის იგავარაკთა კრებული გაიგო როგორც „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა", შესაფერისად თარგმნა იგი ინგლისურად (The Book of Wisdom and Lies), ბოლო დროს გამოქვეყნდა „სიბრძნე სიცრუის" გერმანული თარგმანი: „Die Weisheit der Lüge" (მთარგმნელი მ. წერეთელი). თარგმანს ახლავს ზ. ავალიშვილის ვრცელი შესავალი წერილი. წერეთელი და ავალიშვილი იზიარებენ „სიბრძნე სიცრუის" ილიასეულ გაგებას. ასევეა ტექსტი გაგებული ახალი რუსული თარგმანებითაც: Мудрость лжи (თარგმანი ალ. ცაგარლისა, საერთო რედაქცია ს. იორდანიშვილისა, ლიტერატურული რედაქცია იური ტინიანოვისა, თბილისი, 1939) და „О мудрости вымысла" (თარგმანი

---

[6] Сборники притч Вардана, I. стр. 516, прим. 1. ერთ თავის გვიანდელ ნაშრომში ნ. მარი იმოწმებს იგავ-არაკს „из Книги мудрости и лжи" Сулхана Орбелиани (К определению племенного происхождения Георгия, сына Тамары, НАН СССР, 1926, გვ. 474).

ე. ლოლობერიძისა. რედაქცია ე. ლუნდბერგისა. მოსკოვი. 1948. 195 თბილისი. 1955).

რამდენიმე წლის წინათ დაიბეჭდა გ. იმედაშვილის წერილი „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა-ს სათაურის გაგებისათვის" [7]. მკვლევარი ამ აზრს ავითარებს, რომ „სიბრძნე სიცრუისა" არის წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა. რომ სულხან-საბას იგავთა კრებულში გამოხატულია სიბრძნეც და სიცრუეც, „ამიტომ მისი სათაური უთუოდ უნდა გავიგოთ როგორც სიბრძნე და სიცრუე და რუსული თარგმანიც შეიქმნება იყოს მხოლოდ „книга мудрости и лжи". რამდენადაც ის მართალსა და ტყუილ ამბებს შეიცავსო".

სადავო საკითხზე უკანასკნელი სიტყვა თქვა დ. მ. ლ ე ნ გ მ ა დიდი სიყვარულითა და საქმის ცოდნით დაწერილ თავის მრავალმხრივ საინტერესო წერილში ინგლისელი მეცნიერი გულმოდგინედ აკრიტიკებს ორბელიანისეული თხზულების სათაურის გერმანული თარგმანის გაგებას და ბეჯითად ცდილობს დაასაბუთოს, რომ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულს შეჰფერის არა მოკლე სათაური — „სიბრძნე სიცრუისა", არამედ ვრცელი — „წიგნი სიბრძნე სიცრუისა". სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სათაურის რედაქციის საკითხს დ. ლენგი ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. სათაურის ენობრივ-აზრობლივი და მთელი თხზულების იდეურ-შინაარსობლივი ანალიზი დ. ლენგს არწმუნებს, რომ: „სულხან-საბა ორბელიანისათვის სიბრძნე და ჭეშმარიტება არ გამოდის სიცრუისაგან და არც დაფუძნებულია მასზე. სიბრძნე უფრო სიცრუის საწინააღმდეგო წამალია; ტყუილთან დაპირისპირებით სიბრძნე უფრო ბრწყინვალედ კაშკაშებსო" [8].

აღნიშნულის კვალობაზე მკვლევარი ასკვნის: „ალ. ცაგარლისა და უორდროპისეული წაკითხვა სულხან-საბას უცნაური სათაურისა, როგორც «წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა», სწორია. ვერაფერი სხვა გაგება ვერ გადმოსცემს ზედმიწევნით ვერც წიგნის შინაარსს და ვერც ავტორის ხასიათსა და ჩანაფიქრს" (გვ. 167).

თავის შეხედულებათა დასამტკიცებლად პატივცემული მეცნიერი პირველ ყოველისა სრულიად სამართლიანად მიმართავს ხელნაწერების ცნობას. „უმთავრესი სიძნელე ის არის, — ამბობს დ. ლენგი — რომ ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, ზუსტად რა სახის სათაური წააწერა ორბელიანმა საკუთარ თავდაპირველ ხელნაწერს. თუ დამტკიც-

---

[7] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XV, № 5, 1954, გვ. 303—309.

[8] „მნათობი", 1957, № 5. გვ. 167.

დება. რომ სულხან-საბამ თვითონვე დაარქვა წიგნს „სიბრძნე სიცრუისა". „წიგნის" გარეშე, საკითხი გადაწყვეტილი იქნება: ეს ფორმა იძლევა მხოლოდ ერთ გაგებას „სიცრუის სიბრძნე" (გვ. 163).

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანის იგავთა კრებულის სათაურის შინაარსის გაგებისათვის დ. ლენგი გარდამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვა წ ი გ ნ ს. თუ ეს სიტყვა შევა სათაურში, ენობრივ-გრამატიკულად ტექსტის გაგების ერთადერთი შესაძლებლობა რჩებაო, მაშინ სულხან-საბას თხზულების სათაური ნიშნავს: წ ი გ ნ ი ს ი ბ რ ძ ნ ი ს ა და ს ი ც რ უ ი ს ა. ხოლო თუ თხზულებას ჰქონდა მოკლე სათაური (სიბრძნე სიცრუისა) „უწიგნოდ". ამით დადასტურდება ს ი ც რ უ ი ს ს ი ბ რ ძ ნ ე. ამის შემდეგ მკვლევარი აანალიზებს ხელნაწერებით ნაანდერძევი სურათის ვითარებას. სამუზეუმო კოლექციების აღწერილობათა გაცნობის საფუძველზე დ. ლენგი აცხადებს: „ჩვენ ხელთმყოფ ხელნაწერთაგან არც ერთს არა აქვს მოკლე სათაური — სიბრძნე სიცრუისა" (164). თავის მხრით „მოკლე სათაურის მქონე ხელნაწერების არ არსებობა საბუთია" ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც სულხან-საბას კრებულში ეძებს სიცრუის სიბრძნესო (იქვე).

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება სულხან-საბას იგავ-არაკთა კრებულის არც ავტოგრაფი და არც ადრეული ხელნაწერის პირი. ჩვენ დრომდე მოღწეული ხელნაწერებიდან მხოლოდ რამდენიმე ეკუთვნის მე-18 საუკუნის მეორე ნახევარს. დანარჩენები კი მე-19 საუკუნისაა. ხელნაწერთა ერთ რიგს დეფექტურობის გამო სათაური საერთოდ არ გააჩნია. მაინც, ზ ო გ ი ე რ თ ხ ე ლ ნ ა წ ე რ ს შ ე მ ო უ ნ ა ხ ა ვ ს მ ო კ ლ ე ს ა თ ა უ რ ი. ასე, 1810 წელს გადაწერილი ერთი ხელნაწერი იწყება ასე: „დასაწყისი ს ი ბ რ ძ ნ ე ს ი ც რ უ ი ს ა" (საქ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობანი, H კოლექცია, V, 108). საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ხელნაწერის გადამწერი ამბობს: „აღიწერა მალხენელი და მარადის განმაძლებინებელი ს ი ბ რ ძ ნ ე ს ი ც რ უ ი ს ა ხელითა თავადის ჯაფარიძის ქაიხოსროს ძე, ონოფრეს ძის ძე, რაჟდენ დეკანოზისათა სანკტ-პეტერბურღსა, წელსა ჩყკვ (1826), სექდენბერს კგ (23)" [9]. ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ მოკლე სათაური „სიბრძნე სიცრუისა" დაუცავს ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერს, სახელდობრ A—860. ეს არის ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ცნობილი დიდი კრებული „შეხვეტილნიანი", სადაც თავმოყრილია ძველი

[9] ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1949, გვ. 44 (ლიტერატურული მატიანე. წიგნი 5, ნაკვეთი მეორე). ამ ხელნაწერში თხზულებას ჰქონია შენიშნული: „სიბრძნე სიცრუის წიგნია".

ქართული საერო მწერლობის საუკეთესო ძეგლები. ნ. ჩაჩიკაშვილის „სიბრძნე სიცრუისა“ გადაწერილია 1778 წელს. „სიბრძნე სიცრუვისა“ ეწოდება იმ ტექსტსაც, რომელიც 1792 წელს გადაუწერიათ ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის შვილებს — კორნილიესა და თომას (S—3011).

თავისებური მოკლე სათაური აქვს 1811 წელს გადაწერილ ერთ ხელნაწერ ტექსტს: „აღიწერა წიგნე ესე, რომელსა ეწოდების სიბრძნე სიცრუვე ხელითა პავლე დავითასშვილისათა, მოზდოკელისა... წელსა ჩყია (1811), მარტი ა (1)“ [10]. საყურადღებოა, რომ გადამწერი საგანგებოდ შენიშნავს: „დედანზედა სწორეთ არს გადაწერილი და შემოწმებული“. მაშასადამე, ასეთი მოკლე სათაური ჰქონია თხზულებას დავითაშვილის ხელნაწერის დედანშიც. როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, ე. ბოლხოვიტინოვის მოწმობითაც სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებს მოკლედ რქმევია „სიბრძნე სიცრუე“. ასეთივე ცნობას იძლევა იოვანე ბატონიშვილი, იგი ამბობს, „სულხან-საბა ორბელიანმა „ქმნა წიგნი ზნეთსწავლულებისა სიბრძნე სიცრუედ წოდებული“ [11]. როგორადაც არ უნდა გავიგოთ ე. ბოლხოვიტინოვისა და იოვანე ბატონიშვილის ცნობები, ყოველ შემთხვევაში ჩვენ მოგვეპოვება მოკლე სათაურთა მქონე („უწიგნოდ“) რიგი ხელნაწერი, მათ შორის ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ნუსხა (ჩაჩიკაშვილი საგანგებოდ არჩევდა თავისი კრებულისათვის ძველსა და სანდო ხელნაწერებს). მაშასადამე, არ მართლდება მოსაზრება, თითქოს ჩვენ არ გაგვაჩნდეს მოკლე სათაურის მქონე ხელნაწერი ტექსტები სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულისა (დ. ლენგის დასკვნაც ემყარებოდა მის „ხელთ მყოფ“ ხელნაწერებზე).

ანგარიშგასაწევია მეორე ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაც. არ შეიძლება გადაურით ითქვას, თითქოს სიტყვა წიგნი უთუოდ შედის სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სათაურში ცნობილი რედაქციის კვალობაზე — წიგნი სიბრძნე სიცრუისა. საქმე ისაა, რომ წიგნი ხშირად აქვს დართული ამა თუ იმ თხზულების ჩვეულებრივსა და კანონიზებულ სათაურებს. მაგალითად: წიგნი დილარიანი (აღწერილობანი, H, II, 283: Q, 1, 199); წიგნი ხრონოღრაფი (H, 1, 215); წიგნი მაჯამა H, 1, 113); წიგნი ხილის ქება, (A IV, 272); შამიფარვანის წიგნი, (H, 1, 113); წიგნი წყობილსიტყვაობა (H, 1, 132,

[10] ე. თაყაიშვილი, აღწერილობანი, I, 110.

[11] კალმასობა, II, 1948, გვ. 188.

164, 283; H, V 110. 212 და სხვ.); წიგნი ყარამანისა, ე. ყარამანიანი (H, 1, 4. 62, 240; H, V 73; A, IV 149—150 და სხვ.); წიგნი ამირან დარეჯანის ძისა, ე. ი. ამირანდარეჯანიანი (H, II. 296; H, V 220; Q, 1, 374); წიგნი ვეფხისტყაოსნისა (იოსებ გრიშაშვილის საკუთრება). საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთ ხელნაწერს მიწერილი ჰქონია: „...ვი(ი)ძულებოდი ადრითვე გარდაწერად ამა წიგნისა სიტყვის-კონისა, რომელ არს ლექსიკონი“ (H, I, 142), წიგნი დართვია თვითონ სულხან-საბას ლექსიკონსაც.

მოყვანილი მაგალითები ცხადჰყოფს, რომ არც ერთ დამოწმებულ შემთხვევაში სიტყვა წიგნი თხზულების სათაურში არ შედის, თუმცა სათაურის ტექსტს დართული აქვს. ეს კი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სიტყვა წიგნი არ შედიოდა არც სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის სათაურში.

აღნიშნულთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის დასახელებული ხელნაწერი A—860. ეს ხელნაწერი, როგორც ვთქვით, წარმოადგენს საერო ხასიათის თხზულებათა უზარმაზარ კრებულს (აწ ნაკლულს), რომელსაც საგანგებოდ შერქმეული აქვს „შეხვეტილიანი“. კრებულში შეტანილი თხზულებანი რომ მკითხველს ადვილად მოეძებნა, ხელნაწერს კაბადონების თავზე მიწერილი აქვს სათაურები. ოღონდ ყველა ცალკე შემთხვევაში თხზულების ჩვეულებრივ სათაურს წინ უძღვის წიგნი (წიგნი ბაამან ხელმწიფისა, წიგნი ყარამანიანი, წიგნი მცირე ბარამ ჰაბუკისა, წიგნი დიდი ბარამიანი, წიგნი მირიანი, წიგნი ჩარდავრიშიანი, წიგნი თიმსარიანი, წიგნი ანბანთქება, წიგნი კრებისა, წიგნი თათართ ბაასი...). ფრიად საყურადღებო ისაა, რომ კერძოდ სულხან ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულს ტექსტის დასაწყისში საგანგებოდ გამოყოფილ სათაურად აქვს „სიბრძნე სიცრუისა“, ხოლო ხელნაწერის კაბადონებზე „შეხვეტილიანის“ საერთო წესის მიხედვით წარწერილია „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“. აქედან აშკარაა, რომ არც ერთ შემთხვევაში, მათ შორის სიბრძნე სიცრუის შემთხვევაში, სიტყვა წიგნი თხზულებათა სათაურში არ შედის. სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის ნამდვილი სათაურია „სიბრძნე სიცრუისა“.

ამრიგად, ხელნაწერი მემკვიდრეობის საფუძველზე ვერ დამტკიცდება, რომ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულს ეწოდებოდა „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ და არა „სიბრძნე სიცრუისა“. ტრადიციულად ქცეული სათაურის ტექსტშიც („წიგნი სიბრძნე სი-

კრუისა") სიტყვა წიგნი სათაურის ნაწილი არ არის (უნდა წავიკითხოთ: წიგნი „სიბრძნე სიცრუისა").

დ. ლენგი იზიარებს იმ შეხედულებას, რომ სულხან-საბა ორბელიანზე გარკვეული ზემოქმედება მოუხდენია ძველი ქართული მწერლობის იმ განთქმულ ძეგლს. რომელსაც ეწოდება: სიბრძნე ბალავარისი (ბალავარიანი). მკვლევარი შენიშნავს: „სულხან-საბას სწორედ ბალავარიანი ჰქონდა გულში, ანდა გულის კუნჭულში მაინც, როდესაც თავის წიგნზე მუშაობას შეუდგაო" (გვ. 162). ეს კი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ სულხან-საბას წიგნსაც სიბრძნე ბალავარისი-ს ანალოგიით ერქვა სიბრძნე სიცრუისა. მით უმეტეს, რომ ბალავარიც თავის სიბრძნეს იოდასაფს აცნობდა არსებითად სწორედ იგავ-არაკების („საცრუო არაკების") საშუალებით. სულხან-საბა კარგად იცნობდა ისეთ წიგნებს, როგორიცაა სიბრძნე სოლომონისი, სიბრძნე ისო ზირაქისა და მისთანანი. ამ ლიტერატურული ტრადიციების მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის სათაურის საკითხის გადაწყვეტისათვის უმართებულო იქნებოდა [12].

დასასრულ დ. ლენგი კითხულობს, „გრამატიკა რომ გვერდზე გადავდოთ", „როგორ შეესაბამება წიგნის განწყობილებასა და შინაარსს", რომ სულხან-საბა ორბელიანის მიერ გამოხატული „სიბრძნე მხოლოდ და მხოლოდ სიცრუესა და აბდაუბდაზე დამოკიდებულად ვცნოთ" (166). დასმულ კითხვაზე მკვლევარი იქვე იძლევა ამომწურავად გარკვეულ პასუხს. ის ამბობს: „უპირველეს ყოვლისა თავიდან უნდა მოვიშოროთ ის აზრი, რომ თხზულების ერთი რომელიმე გმირი ბრძნული მოძღვრების წარმომადგენელია, მეორე კი ცრუსი ან ყალბისა. ცაგარელი საჭურის რუქას რაღაც ეშმაკის მოციქულად ხატავდა, წინააღმდეგ ბრძენი ლეონისა და ჭეშმარიტების სხვა წარმომადგენლებისა, მაგრამ წიგნის სახელდახელოდ გადასინჯვაც კი ააშკარავებს, რომ ნამდვილად ჭკუის დამრიგებელი და სულელური მოთხრობები მეტ-ნაკლებად თანაბრად ნაწილდება სხვადასხვა მობაასეთა შორის. მართლაც მოქმედი პირები კი არა, წიგნის იგავები და ამბები იყოფა ორ ჯგუფად"... (გვ. 166; დაყოფა ჩემია. — ა. ბ.).

სწორია დ. ლენგის მოსაზრება, რომ „სიბრძნე სიცრუის" იგავ-არაკები იყოფა ორ ჯგუფად; სწორია, რომ გმირების დახასიათებისას

---

[12] ი. მეგრელიძე. სიბრძნე სიცრუის სათაურის შესახებ (ლიტერატურული გაზეთი, 20. 8. 54).

უნდა ავცილოთ ტენდენციურობა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი ერთმანეთს უპირისპირებს მათი ხასიათის კვალობაზე თავის გმირებსაც. ამაზე აქ მსჯელობას ვერ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ შეუძლებელია ერთ სიბრტყეზე მოვაქციოთ გულღვარძლიანი ქოსა საჭურისი რუქა და კეთილი ვაზირი სედრაქი (ან ლეონ ჭაბუკი).

თავისი გუმანის სამოწმოდ დ. ლენგი მიმართავს „ქილილა და დამანას". ამ თხზულების ქართული ტექსტის მთარგმნელები (ე. ი. ვახტანგ მე-6 და სულხან-საბა) „წერენ, «სასიბრძნო სწავლა» და «საცრუო არაკები» სულ ერთმანეთშია არეული; მათ «მეცნიერნი — სასარგებლოდ და უმეცარნი საცილობელად უნდა იყითხვიდნენ». ეს სულხან-საბას საკუთარ მოთხრობათა წიგნსაც პირდაპირ შეესაბამება. სიბრძნე უპირისპირდება სისულელეს; სიქველე მანკიერებას; ყალბი. ცრუ მოძღვრება — ჭეშმარიტს. გასართობად გათვალისწინებული დაუჯერებელი ამბები მოთავსებულია ჭკუის სასწაულებელი იგავების გვერდით" (გვ. 167).

რა თქმა უნდა, „ქილილა და დამანას" ტექსტის მონაცემები უთუოდ შეესაბამება სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების წიგნს. ოღონდ „ქილილა და დამანას" ტექსტიდან ის აზრი არ უნდა გამომდინარეობდეს, რასაც გვთავაზობს პატივცემული მეცნიერი. თვალსაჩინოებისათვის მთლიანად მოგვყავს „ქილილა და დამანას" შესაფერისი ტექსტი:

> „ბრძენთა და მეცნიერთა ფილასოფოსთა ამისნი შეკრების რიგები მრავალი სახენი ერთ-რიგად შეუწყვიათ: სასიბრძნო სწავლა (სამხიარულოდ) და საცრუ არაკები ერთმანეთში აურევიათ. სიტყვით მაგალითნი მრავალთა ბუნებათა საწადელად საცთურის კალთათა გამოუხვევია: ნადირთა, მხეცთა, თევზთა და ფრინველთა ენათა მაგიერ არაკნი და სიბრძნის გზები მოუყვანიათ. ამა მეცნიერებისა სარგებელთა რიგები ფერად-ფერადად. სიბრძნე და სწავლანი სვე-ბედნიერობით გამოუჩენიათ. მეცნიერნი სასარგებლოდ და უმეცარნი საცილობელად უნდა იყითხვიდენ" [13].

როგორც ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანმა „გაჩალხა" ქილილა და დამანას ვახტანგისეული თარგმანის ტექსტი. მოყვანილი ტექსტის სწორად გაგებისათვის აქვე ვაქვეყნებთ მისი დედნის რედაქციას (ე. ი. ვახტანგის თარგმანს):

---

[13] ქილილა და დამანა, ილია ჭყონიას გამოცემა, თბილისი, 1886. გვ. 1—2.

სიბრძნის მეცნიერთა და ფილასოფოსთა ამის შეკრების რიგი ერთის რიგით თვის თვისად შეუწყვიათ: სიბრძნე, სწავლა, სამხიარულო და საცრუო ერთმანერთში აურევიათ, სიტყვის სახე მრავალთა ბუნებათა მონდომისათვის მოცთუნების კალთაში გაუხვევიათ; და ნადირთა, თევზთა, მხეცთა და მფრინველთა ენით არაკნი და სიბრძნის გზები უთქვამთ, ამითი მეცნიერების სარგებლის რიგები და ფერად-ფერადნი სიბრძნენი და სწავლანი გასაბედნიერებელნი გამოუჩენიათ. მეცნიერნი სარგებლისათვის და უმეცარნი სალაყბოდ წაიკითხევდენ".

უნდა ვიცოდეთ, რომ ქილილა და დამანაში წარმოდგენილია ბევრი „სწავლა" (ფილოსოფიურ-თეოლოგიური, სარწმუნოებრივ-ზნეობრივი, სოციალურ-პოლიტიკური, საყოფაცხოვრებო და ა. შ.). ამ „სასიბრძნო სწავლის" გადმოსაცემად გამოყენებულია „სიტყვის სახე" (ვახტანგი) ან „სიტყვის მაგალითნი" (სულხან-საბა), ე. ი. ალეგორიული, იგავ-არაკული ხერხი. ნადირთა, მხეცთა, თევზთა და ფრინველთა ენით „არაკნი და სიბრძნის გზები უთქვამთ". მივაქცევ მკითხველის ყურადღებას იმას, რომ ვახტანგისეული რედაქციით ნათქვამია: „სიბრძნე, სწავლა სამხიარულო და საცრუო ერთმანეთში აურევიათო". საბას რედაქციით იგივე ტექსტი ასე გამოიყურება: „სასიბრძნო სწავლა (სამხიარულოდ) და საცრუო არაკები ერთმანეთში აურევიათ". ვახტანგის ტექსტით ისე გამოდის, თითქოს თხზულებაში სამხიარულო და საცრუო სწავლა ერთმანეთშია არეული. სულხან-საბა აზუსტებს, ერთმანეთშია არეული სასიბრძნო სწავლა და საცრუო არაკებიო. მართლაცდა ქილილა და დამანას თვის „საცრუო არაკები" სიტყვის მაგალითებია. საილუსტრაციო ნიმუშებია, რომლებმაც უნდა ნათელი და სარწმუნო გახადოს „სასიბრძნო სწავლა". „საცრუო არაკებით" ასახულია სიბრძნე. სხვაგანაც ქილილა და დამანაში ნათქვამია: „ამა ზღაპრობისა ამბავსა შინა გამოჩენილი საუბარი მრავალ რიგთა გამოცდილებათაგანი იპოვებიან, და რამდენი სხვადასხვა სწავლანი გამოჩნდებიან" (გვ. 262). თხზულება იმ აზრს ავითარებს, რომ „საცრუო არაკები" შეიცავს სწავლას, სიბრძნეს, „საცრუო არაკებში" სიბრძნეა ჩაქსოვილი, რაც უნდა შეიცნოს და ამოიკითხოს წიგნის შეგნებულმა მკითხველმა. იგავ-არაკის ამბავს ორმაგი შინაარსი აქვს — პირდაპირი და გადატანითი. პირდაპირი მნიშვნელობით იგავ-არაკი ცრუ და ზღაპრულია, გადატანით კი სასიბრძნოა, ამიტომაც ტექსტის კითხვა შეიძლება სამეცნიერო სარგებლობისთვისაც და სალიზღობელადაც (სალაყბოდ).

წინაალმდეგ დ. ლენგის მოსაზრებისა, ქილილა და დამანას ორბელიანისეული ტექსტის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება არა ჭკუის სასწაულო იგავები და სულელურ-გასართობი ამბები, არამედ პოზიტივური ფორმით წარმოდგენილი სასწავლო სიბრძნე და მოგონილი, „საცრუო არაკები“.

ასე უნდა იქნეს გაგებული ქილილა და დამანას ციტირებული ტექსტი. ქილილა და დამანას ორბელიანისეული ტექსტით, სიცრუე ნიშანდობლივი, სპეციფიკური თვისებაა არაკისა. აშკარაა, რომ სულხან-საბა აქ იმასვე ამბობს, რაც მან საუცხოოდ გამოთქვა წიგნით „სიბრძნე სიცრუისა“. სულხან-საბა ორბელიანმა საკუთარი შემოქმედებითი შედევრითაც და ქილილა და დამანას მის მიერვე დამუშავებული ტექსტითაც მხატვრულად დაასაბუთა, რომ სიცრუეს აქვს სიბრძნე, რომ „საცრუო არაკებში“ სიბრძნეა ჩაქსოვილი. ამ ნიადაგზეა შექმნილი სულხან-საბა ორბელიანის უკვდავ იგავ-არაკთა კრებულის მშვენიერი, უაღრესად ორიგინალური სათაური „სიბრძნე სიცრუისა“. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ძლიერ დავამცირებდით ამ დიდებული ძეგლის მნიშვნელობას, თუ ალ. ცაგარლის თანამად მას გავუიგივრებდით „в смысле мудрости и правды“.[14] სამწუხაროდ, ამ საკითხში ალ. ცაგარელს ეჭერს მხარს პატივცემული დ. ლენგი.

დასასრულ უნდა აღვნიშნო შემდეგი: თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულს მაინცდამაინც ეწოდებოდა „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, ამ სათაურის შინაარსობლივი გააზრება მაინც არ შეიცვლება. ასეთი დაშვებისას უნდა ვიფიქროთ, რომ იგავ-არაკთა კრებულში აწერილია სიბრძნისა და სიცრუის ამბები იმ განზრახვით, რომ სიცრუითაც სიბრძნე გამოიხატოს. შეუძლებელი იქნება სულხან-საბა ორბელიანს მივაწეროთ ის აზრი, თითქოს მწერალი შეეცადა მხატვრულ-ალეგორიული ენით დაესაბუთებინა სიბრძნისა და სიცრუის თვითარსებობის, თუ თანაარსებობის უცილობლობა.

შ. ნუცუბიძე არ იწუნარებს სიბრძნე სიცრუის გაგებისა და თარგმანის გარშემო არსებულ შეხედულებებს (ქართული ფილოსოფიის ისტორია, II ტომი, 1958. გვ. 242. 255). მართალია მკვლევარი ამბობს: „როგორღაც პირობითად, ერთგვარად გადატანითი მნიშვნელობით. ავტორს ყოველთვის შეეძლო გამოეთქვა აზრი, რომ ამა თუ იმ არაკის შინაარსიდან გარკვეული სიბრძნე გამომდინარეობს, და სა-

---

[14] Книга мудрости и лжи. Гересод и объяснения Ал. Цагарели, გვ. 179.

თაურშიაც განზოგადებულის სახით ეთქვა რამდენადაც არაკები შეთხზული, ტყუილი ამბები, ანუ სიცრუე იყო —ეს არის „სიბრძნე სიცრუისა“-ო. აქ არც შეუძლებელი და არც უაზრო არაფერი იქნებოდა“ (გვ. 253). სხვაგან საგანგებოდ განმარტებულია: „ამ წიგნის (ე. ი. სიბრძნე სიცრუის, — ა. ბ.) მიზანი იყო შეთხზული ამბებით — სიცრუის გზით — მიწოდებული ყოფილიყო ერთგვარი სიბრძნე, რომელიც, უპირველესად ყოვლისა, პრაქტიკულ ჭკუას უდრიდა“ (გვ. 242). მაგრამ ასეთი გაგება შ. ნუცუბიძეს გადატანილი აქვს ფილოსოფიურ ასპექტში. საბასათვის მიზანი სიბრძნეა, ამოსავალი კი სიცრუე, ოღონდ „მხილებული სიცრუე“-ო. „მხილებული სიცრუე“, როგორც ჰეშმარიტება, აღარაა სიცრუე, ესაა „შეცნობილი სიცრუე“-ო. „სიცრუე თვით ძირითადი ამბავია, არაკი, მხოლოდ მისი შეცნობა, როგორც სიცრუისა, სოკრატისებური სიბრძნეაო“, წერს შ. ნუცუბიძე. „აქედან სრულიად ნათელიაო, — ასკვნის მკვლევარი, — რომ საბას ფილოსოფიური წარმოდგენა სიბრძნეზე აგებულია სიცრუის სიცრუობის მოხსნაზეო“ (გვ. 254). შ. ნუცუბიძე ხაზგასმით შენიშნავს, საბას სიბრძნე „სიცრუის სიბრძნეა, ანუ სიცრუე ქცეული სიბრძნედ ანუ, კიდევ სიბრძნე მიღწეული სიცრუის სიცრუედ აღიარებით“ (257). შ. ნუცუბიძის მოსაზრებით, თითქოს საზოგადოდ „მთავარი ინტერესი საბას სამწერლო მოღვაწეობისა — ფილოსოფიურია“ (გვ. 247; იხ. აგრეთვე, გვ. 257).

2

სიბრძნე სიცრუისა თარიღისათვის

„სიბრძნე სიცრუის“ დაწერის თარიღი ერთ დროს საცილობლად ითვლებოდა. ალ. ცაგარელის მოსაზრებით, „სიბრძნე სიცრუისა“ თუ არ შეთხზულა, ყოველ შემთხვევაში მისი საბოლოო რედაქცია უნდა ჩამოყალიბებულიყო ავტორის მოხუცების ასაკში, კერძოდ საბას ევროპიდან დაბრუნების შემდეგ [15]. მკვლევარს საბუთად ის მოჰყავდა, რომ „სიბრძნე სიცრუის“ ზოგიერთ იგავ-არაკში ლაპარაკია იტალიელ მხატვრებზე, დუკასა და გრანდუკაზე, მაგისტროსზე, რომზე, კონსტანტინეპოლეზე, საფრანგეთზე. თუმცა, რასაკვირველია, ასეთი რამ შესაძლებელია საბას ევროპაში წასვლამდეც სცოდნოდაო. საგანგებოდ დასძენს ალ. ცაგარელი. ცაგარლის თვალსაზრისი გაიზიარეს ნ. მარმა [16] და ალ. ხახანაშვილმა [17].

[15] Книга мудрости и лжи, პეტერბურგი. 1878, გვ 217.

[16] Сборники Притч Вардана, I, გვ. 516.

[17] Очерки, III, გვ. 236.

ალ. ცაგარლის თვალსაზრისის წინააღმდეგ გაილაშქრა აკაკი წერეთელმა, „სიბრძნე სიცრუე საბამ ყმაწვილობაშივე შეაგროვა და ევროპაში კი სიბერის დროს მოგზაურობდაო", წერდა აკაკი 1898 წელს [18]. ეს მოსაზრება, რომელიც ბოლო დრომდე საყოველთაოდ იყო მიღებული, ემყარება „სიბრძნე სიცრუის" ხელნაწერთა მოწმობას. კრებულის ყველა ხელნაწერს, რომელსაც კი დასაწყისი შერჩენია, წარწერილი აქვს: „ნათქვამი სულხან ორბელიანისა ჟამსა სჯ-ჭაბუკისა თვისისა". წარწერაში გახაზულია ორი გარემოება: „სიბრძნე სიცრუისა" ნათქვამია ავტორის სიჭაბუკეში და სულხანობის პერიოდშიო, ე. ი. ბერად შედგომამდე, ანუ 1698 წლამდე.

„სიბრძნე სიცრუის" ადრინდელი წარმოშობილობა ახლა საცილობელი გახადა თ. კუკავამ [19]. იგი ამტკიცებს, რომ კრებული დაწერილია სულხან-საბა ორბელიანის ევროპიდან დაბრუნებისა და საბასა და ვახტანგ მე-6 შორის ურთიერთობის გამწვავების, ანუ უფრო კონკრეტულად 1717 წლის შემდეგო.

თ. კუკავა თავის მოსაზრებას იმით ასაბუთებს, რომ „სიბრძნე სიცრუის" არაკებში ასახულია ერთი მხრით ავტორის ევროპაში მოგზაურობის და მეორე მხრით ვახტანგთან გამწვავებული ურთიერთობის ამბებიო. რა თქმა უნდა, თავის იგავ-არაკთა კრებულში ავტორს აღბეჭდილი აქვს ცხოვრების დიდი ცოდნა და საკუთარი გამოცდილებანი. თხზულების გმირების საშუალებით ავტორი გამოხატავს თავის შეხედულებებს ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე, ამჟღავნებს თავის პირადულ განცდებს და ა. შ. მაგრამ „სიბრძნე სიცრუის" იგავ-არაკებში ავტორის კონკრეტული ბიოგრაფიო ფაქტების ძიებას შეუძლია მხოლოდ საკითხის არევ-დარევა. მართლაც, ავიღოთ სანიმუშოდ ის იგავ-არაკები, სადაც თითქოს ალეგორიულად გადმოცემულია სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგის ურთიერთობანი, სულხან-საბას ევროპიდან დაბრუნების შემდეგ.

„ამკარად ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს არაკს — „კატის გაზრდილი ლომიო". ამბობს თ. კუკავა. მკითხველს უნდა მოვაგონოთ ამ პატარა იგავ-არაკის მოკლე შინაარსი: ერთმა კატამ გაზარდა უპატრონოდ დარჩენილი ლომის ლეკვი. მოწიფულობის ასაკში ლომმა თავისი მტაცებლურ-მხეცური ბუნება გამოამჟღავნა და აღმზრდელის შეჭმა მოინდომა. კატამ თავს უშველა და ხეზე ავარდა. ლომმა ტკბილი სიტყვებით მიმართა მას, ყვე-

---

[18] აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, VI, 1957, გვ. 495. იხ. ალ. ბარამიძე, სიბრძნე-სიცრუის გარშემო („მნათობი", 1957, № 12 გვ. 146—149)

ლა „ზნეობა“ რომ მასწავლე. „ეგ ხეზე გასვლა რად აღარ მასწავლეო“. კატამ უპასუხა, ეს ამ დღისათვის შევინახეო. თ. კუკავას მოჰყავს ამ არაკის შინაარსი და ასკვნის: „არაკი ა შ კ ა რ ა დ მიგვითითებს ვახტანგისა და საბას ურთიერთობის გამწვავებაზე. აქ გატარებულია შემდეგი აზრი: მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმა ენებამ ვახტანგს საბაზე გული შეაცვლევინეს, ვერ შეძლეს, რომ საბა ვახტანგის რისხვის მსხვერპლი გაეხადათ“. უცნაური დასკვნაა, „ვერ შეძლეს“ კი არა. ლომმა ძალიან მოინდომა, მაგრამ ვერ შეძლო კატის შეპყრობა და შეჭმა. ესეც არ იყოს, თ. კუკავა არ უკვირდება, როგორ ამცირებს ვახტანგის პიროვნებას. მიუხედავად სულხან-საბა ორბელიანის მხრით კეთილად აღზრდისა და გაწაფვისა, თურმე ვახტანგს ბოლომდე შერჩა მხეცური ბუნება და თავისი აღმზრდელის შეჭმაც კი მოიწადინა. საბასა და ვახტანგს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა, მაგრამ ვახტანგს არ დაუწყია საბას დევნა, საბას არ დასჭირვებია ვითომცდა ვახტანგის დევნის გამო თავშესაფრის ძებნა. ერთი სიტყვით, ანალოგია არა თუ ნაძალადევია. არამედ ა შ კ ა რ ა დ ყ ა ლ ბ ი ა.

ძლიერ გულისწყრომას იწვევს იგავ-არაკის „იხვი და მყვარის“ ინტერპრეტაცია. ამ იგავ-არაკში მოთხრობილია, რომ ერთ მთაში დარჩენილიყო წვიმის პატარა გუბე. იმ გუბეში ერთად მეგობრულად ცხოვრობდნენ იხვი და მყვარი (ბაყაყი). ზაფხული რომ დადგა და სიცხეებმა დაიჭირა, გუბემ იწყო დაკლება. იხვმა ურჩია მყვარს, ადგილი ვიცვალოთო. მყვარმა უპასუხა: „შ ე ნ ა ქ ა-ი ქ თ რ ე ვ ა ს ჩ ვ ე უ ლ ხ ა რ, მე სამკვიდროს ვერ დაუტევებო“. იხვი წავიდა და ახალი, კარგი ადგილი მოძებნა. მყვარი კი გამშრალ გუბეში დაიღუპა. შემდეგ იხვმა მოიკითხა თავისი მეგობარი, მკვდარი რომ ნახა. წამოიძახა: „ძმობილო, მაგისთანა სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო“.

თ. კუკავას ვარაუდით, იხვი ასახიერებს ვახტანგს, ეს იგავ-არაკი გვიან უნდა იყოს შეთხზული. „კერძოდ, იმ პერიოდში, როდესაც ვახტანგშიც და ქართულ წრეებშიც უკვე მომწიფებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ უკეთესი იყო ვახტანგს მიეტოვებინა საქართველო, ვიდრე იქ დარჩენილიყო და დაღუპულიყო. ეს აზრი ადვილად ამოიკითხება არაკში „იხვი და მყვარი“, სადაც იხვი გადარჩა სიკვდილს იმიტომ, რომ დროზე მიატოვა „დამშრალი გუბე“. მყვარი კი დაიღუპა“.

გამოდის, რომ ვახტანგს იძულების გამო კი არ დაუტოვებია სამშობლო მხარე, არამედ იგი საზოგადოდ ყოფილა ჩვეული „ა ქ ა-ი ქ თ რ ე ვ ა ს“ უკეთესი სამკვიდრებელის საძებნელად. ვახტან-

გისა და სულხან-საბა ორბელიანის წარმოდგენით, თურმე საქართველო წარმოადგენდა „მომცრო გუბეს“. რომელიც დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ დაშრებოდა და საჭირო იყო მისი ბინადარნი გასცლოდნენ და თავი გადაერჩინათ. ნამდვილად კი ვახტანგსა და სულხან-საბას ღრმად სწამდათ თავიანთი ქვეყნის მომავალი და სრულიადაც არ ფიქრობდნენ მის საბოლოოდ მიტოვებას. ვახტანგი რუსეთში გარდაიხვეწა იმიტომ კი არა, რომ იქ დამკვიდრებულიყო, ვახტანგი იმედოვნებდა, რომ პეტრე პირველის დახმარებით მალე უკანვე დაბრუნდებოდა, სამშობლო ქვეყანას მტრებისაგან გაათავისუფლებდა და თავის სამფლობელოს დაიმკვიდრებდა. ვახტანგს უცხოეთში არ უძებნია „კარგი გუბე“ განცხრომისა და ნებიერობისათვის. ვახტანგმა ანდერძი დაუტოვა თავის მხლებლებს, საცთურს არ აჰყოლოდნენ, არ მიეღოთ უცხოეთის ქვეშევრდომობა, დაბრუნებოდნენ თავიანთ ქვეყანას და თავიანთ სახლ-კარს, თავიანთ „გუბეს“. ნებიერობასა და „აქა-იქ თრევას ჩვეული“ იხვი კი დასცინის და ნიშნს უგებს სამკვიდრებლის მოყვარულს თავის „მეგობარს“. ეს მოხეტიალე და ფუქსავატი იხვი არაფრით არ ჰგავს სამშობლოსათვის თაკილდებულსა და ნამდვილად წამებულ ვახტანგ მე-6-ს, ისე როგორც „გამხმარი გუბე“ არაფრით არ ჰგავს ვახტანგის გარდახვეწილობის დროინდელ აოხრებულსა და აკლებულს, მაგრამ მაინც მშვენიერ ქართლის ქვეყანას.

ძნელი არ არის არც იმის გარკვევა, თუ როდის უნდა მომწიფებულიყო აზრი ვახტანგის მხრით ქართლის დატოვებისა და რუსეთში გახიზვნის აუცილებლობის თაობაზე. 1721 წელს დაიდვა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი პეტრე პირველსა და ვახტანგ VI შორის. 1722 წლის ზაფხულში პეტრემ დაიკავა კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროები ქალაქ დერბენტითურთ. მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო პეტრე იძულებული გახდა შეეწყვიტა სამხედრო ოპერაციები სპარსეთის წინააღმდეგ. სამხედრო ოპერაციების განახლებას იგი აპირებდა 1723—24 წლებში[20]. 1723 წლის მაისამდის ვახტანგს მტკიცედ ეჭირა ქართლის ტახტი. 1723 წლის მაისში თბილისი ხელთ იგდეს მაჰმად-ყული-ხანის მიერ დაქირავებულმა ლეკებმა (და ყიზილბაშებმა). იმავე წლის ივნის-ივლისში ქართლი და თბილისი დაიპყრეს ოსმალებმა[21]. ამის შემდეგ ვახტანგი იძულებული გახდა ეფიქრა რუსეთში გახიზნვაზე. მშობლიური მიწა-წყალი მან დატოვა 1724

---

[20] Очерки истории СССР, XVIII век, первая четверть. М., 1954, გვ. 606—613.

[21] ქართლის ცხოვრება. II, გვ. 84—87, 254.

წლის ივნისსა თუ ივლისში [22]. ამრიგად, ვახტანგის რუსეთში წასვლის აზრი უნდა მომწიფებულიყო 1723 წლის ივლისის შემდეგ და, მაშასადამე, ამის შემდეგ უნდა შეთხზულიყო სიბრძნე სიცრუისა, თუ სწორია ზემოთ აღნიშნული ვარაუდი. ჩვენ ახლა დანამდვილებით ვიცით, რომ ვახტანგის აღმზრდელი და მისი უერთგულესი თანამშრომელი სულხან-საბა ორბელიანი თბილისის ოსმალთაგან დაპყრობის გამო გახიზნულა და დროებით სადგური ქვიშხეთში უპოვია თავის ძმა ზოსიმესთან ერთად. აქედან ძმები იმერეთში გადასულან და შეერთებიან ვახტანგის ჰამალას რუსეთში გასამგზავრებლად. მართალია, იმ აფორიაქებულ ხანაშიც სულხან-საბა გულხელდაკრეფილა არ ყოფილა, ქვიშხეთში მას და ზოსიმეს დაუწყიათ კოლექტიურად ქართული ლექსიკონის ახალი ნუსხის მომზადება, მაგრამ უდროობის გამო იგი ვერ სრულუყვიათ. ეს ლექსიკონი უკვე რუსეთში დაასრულა ზოსიმემ სულხან-საბას გარდაცვალების შემდეგ (ესაა ჩვენ დრომდის მოღწეული ხელნაწერი H—1429) [23]. სულხან-საბა რუსეთში გაჰყვა ვახტანგს, იგი მოსკოვში ჩავიდა 1724 წლის ნოემბერში და იქვე გარდაიცვალა 1725 წლის 26 იანვარს [24]. ერთი სიტყვით, რუსეთში ემიგრირების აზრის მომწიფების პერიოდში (1723 წლის ივლისი 1724 წლის ივნისი) სულხან-საბა ორბელიანს არც დრო ჰქონია და არც საშუალება, რომ სიბრძნე სიცრუის წიგნი დაეწერა. ჩვენ აღარას ვამბობთ იმის შესახებ, რომ სიბრძნე-სიცრუის ანტიკლერიკალური კილო სრულიად არ ეგუება სულხან-საბა ორბელიანის ბოლოდროინდელ გუნება-განწყობილებას.

თუ „იხვი და მყვარის“ იხვმა (ვახტანგმა) სამშობლო მიატოვა და იგი ახალ „გუბეში“ დაემკვიდრა, იგავ-არაკის—„მეფე ანაკოფიის“ გმირი მეფე (აგრეთვე ვახტანგი) „თავის სამკვიდროზე ველარ დადგა და სხვას თემს ივლტოდა“, მაგრამ საბოლოოდ მაინც „ადგილსა და მამულსა თვისსა მოვიდა და გამეფდა“. იხვისა და ანაკოფიის ბრიყვა და უსამართლო მეფის თავგადასავალი ერთმანეთს არაფრით ჰგავს, როგორ შეიძლება ორნივე ვახტანგს ასახიერებდნენ?

იგავ-არაკში „ორი დავრიში და შაჰი“ მოთხრობილია, რომ ისპაჰანში ჩავიდა ორი დავრიში, ერთი მათგანი „სადგომს დადგა და ერთი შაჰთან მივიდა“. თ. კუკავას სიტყვით, ეს ამბავი „ზუსტად

---

[22] იქვე, გვ. 254; შდრ. ე. თაყაიშვილი, Материалы для исторіи Грузіи, თბ., 1895, გვ. 38.

[23] ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონები (ნარკვევები, III, 1952), გვ. 337—343.

[24] ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი რუსეთში („ლიტერატურული გაზეთი“, 10.1.58).

ემთხვევა საბასა და ვახტანგის სპარსეთში მოგზაურობას. ის გარემოებაც, რომ არაკის მიხედვით, მხოლოდ ერთი „დავრიში" მიჰყიდა შაჰთან, აგრეთვე ნიშანდობლივია. რადგან სინამდვილეში, საფიქრებელია, რომ შაჰთან მხოლოდ ვახტანგი უნდა მისულიყო, რადგან მხოლოდ მას ჰქონდა შაჰთან საქმე". მისთვის საჭირო დასკვნის მისაღებად თ. კუკავას სწორად არ გადმოუცია იგავ-არაკის შინაარსი. მკვლევარი მკითხველს არწმუნებს, შაჰს ეახლა მხოლოდ ერთი დავრიში (ვახტანგი), ხოლო მეორე (საბა) უბრალო „სადგომს დადგაო". ჩვენთვის საინტერესო იგავ-არაკში კი ნათქვამია, რომ პირველ დღეს შაჰს ეწვია ერთი დავრიში. მან ისეთი ტყუილები უთხრა შაჰს, რომ „გაწყრა შაჰი და გააძო. ასეთი ტყუილი რა სათქმელიაო". „გაწბილებული დავრიში" მივიდა ამხანაგთან, თავისი გასაჭირი უამბო, „საშოვარს მოველოდი" და რისხვა დავიმსახურეო. მეორე დღეს შაჰს ეწვია მეორე დავრიში (საბა), რომელმაც ახალი ტყუილებით პირველი დავრიშის ტყუილები გაამართლა. ამრიგად, შაჰთან იყო ორივე დავრიში. ოღონდ პირველი დავრიში უფრო ბრიყვი მატყუარა გამოდგა. მეორე კი ენამოსწრებული და მახვილგონიერი.

აბა, რა აქვთ საერთო ამ მატყუარა დავრიშებს ვახტანგსა და სულხან-საბა ორბელიანთან? ვახტანგისა და სულხან-საბა ორბელიანის მსგავსად დავრიშებიც ისპაჰანს ეწვივნენო. „სიბრძნე სიცრუისა" გმირები, კერძოდ ლეონი (ეს ყველაზე მეტად გამოხატავს ავტორის სულისკვეთებას), ბევრ სხვა ქვეყანაში და ქალაქში ყოფილან. რატომ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს არჩევს მკვლევარი სულხან-საბა ორბელიანის საბიოგრაფიო-სათავგადასავლო ამბების საილუსტრაციოდ? სად არის აქ ლოგიკა? რა არის მკვლევრის საზომი და ამოსავალი თვალსაზრისი?

თ. კუკავას მოსაზრებით, მან „სიბრძნე სიცრუეში" თითქოს ამოიკითხა სულხან-საბასა და ვახტანგის ცხოვრებისა და ურთიერთობის ამბები, რითაც აგრეთვე თითქოს მეორე დიდი საკითხიც გადაჭრილა: დაასაბუთა „სიბრძნე სიცრუის" ორიგინალობა, იგი პირდაპირ ამბობს, „სიბრძნე სიცრუის" ინტერპრეტაციიდან „გამომდინარეობს, როგორც პირდაპირი შედეგი, „სიბრძნე სიცრუისას" ორიგინალობის აღიარებაო". მეტად სახიფათო საფუძველია გამონახული „სიბრძნე სიცრუის" ორიგინალობის ცხადსაყოფელად. უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევრის მიერ მოხმობილი იგავ-არაკების უმრავლესობა განეკუთვნება ე. წ. მოარულ იგავ-არაკთა რიგს და მათ სიუჟეტის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი გაუგებრობა იქნებოდა. კერძოდ, „იხვი და მყვარის" ანალოგიური იგავ-არაკი მოიპო-

ება ვარდანის კრებულში. იგი გამოაქვეყნა ნ. მარმა და შესაფერისი სათაურიც მისცა „ბაყაყთა პატრიოტიზმი" [25]. „კატისა და ღომის" იგავ-არაკი ძლიერ გავრცელებულია აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამისი ერთი ვარიანტი გამოყენებული აქვს საადი შირაზელს [26]. უკვე კ. ჭაქტებიც მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად „აშკარად ავტობიოგრაფიულია" იქ მოთხრობილი ამბები.

თ. კუკავა იმოწმებს ახალგაზრდა მკვლევრის ალ. გვახარიას ნაშრომს „სიბრძნე სიცრუის ერთი არაკის შესახებ" [27]. ნაშრომის ავტორი ამტკიცებს, რომ სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუეში" იყენებს „ბახთიარ-ნამეს" იმ ტექსტს, რომელიც ქართულად ითარგმნა 1703—1712 წლებს შუა. ამას კი მნიშვნელობა აქვს „სიბრძნე სიცრუის" დასათარიღებლადო. უთუოდ ანგარიშგასაწევი მოსაზრებაა. ოღონდ ალ. გვახარია იმასაც აღნიშნავს, რომ სულხან-საბას თავის იგავ-არაკში შეაქვს ისეთი დეტალები, რომლებიც უცნობია „ბახთიარ-ნამეს" ვახტანგისეული რედაქციისა და მისი დედნისათვის, მაგრამ ცნობილია ფანაის ვერსიით (მე-15 ს.). ამ უკანასკნელის ნაკვალევი აღბეჭდილია ქართულ მწერლობაში. ამიტომაც ალ. გვახარია ფიქრობს: „იქნებ საბამ ზეპირი გზით იცოდა მეორე ვერსიის შინაარსი, ან იქნებ ფანაისეული ვერსიის სხვა, ადრეული თარგმანიც არსებობდა ქართულ ენაზეო". ერთი რამ აშკარაა. სულხან-საბა ორბელიანს რაღაც სხვა წყარო ჰქონია (სულერთია ზეპირი თუ წერილობითი) „უბედური დიდვაჭრის" დასამუშავებლად და არა უცილობლად „ბახთიარ-ნამეს" ის ტექსტი, რომელიც 1703—1712 წლებს შუა ითარგმნა.

თ. კუკავას არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებია ხელნაწერების ცნობა იმის შესახებ, რომ „სიბრძნე სიცრუისა" დაიწერა ავტორის „ჟამსა სიჭაბუკისასა". მკვლევრის განმარტების თანახმად: „ამ მინაწერით საბა ცდილობს თავი დაიცვას იმ კლერიკალების დევნისაგან, რომელნიც სასულიერო პირს არ აპატიებდნენ საერო წიგნის დაწერას, მით უმეტეს, ისეთი წიგნის დაწერას, რომელიც სატირას წარმოადგენდა ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგ". მკვლევრის დასკვნით, „საბამ თუ გადამწერლებმა" ავტორის სიჭაბუკე იმისთვის მოაგონეს, რომ „ნაწარმოები ეკლესიის ცენზურას გააპარესო".

---

[25] Сборники притч Варлаама, I. გვ. 361.

[26] ბოლესთანი, თარგმანი ა. ჭელიძისა, თბილისი, 1948, გვ. 80—81.

[27] თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული № 7, თბილისი, 1955. გვ. 117—125.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ, რომ სწორედ 1717—1720 წლებში სულხან-საბა ორბელიანმა ქართულ ენაზე დაამუშავა „ქილილა და დამანა“, რომელიც იმავე ტიპისა და იმავე ჟანრის საერო ნაწარმოებია. როგორც „სიბრძნე სიცრუისა“. სულხან-საბას სრულიადაც არ დასჭირებია ეკლესიური წრეებისათვის თვალის ახვევა, მწერალი ამბობს, რომ მან ვახტანგისაგან დავალება მიიღო „ქილილა და დამანას“ გასაჩარხავად და ლექსებით გასაწყობად: „ეს ბრძანება მოუვიდა, უარი აღარ იქნებოდა. თვარამ მ ო ნ ა ზ ვ ნ ი ს გ ა ნ ა მ ი ს თ ა ნ ა ა მ ბ ა ვ ი უ წ ე ს ო ა და უ რ ი გ ო ო“. როგორც ირკვევა, სულხან-საბას თავის მდგომარეობისათვის შეუფერებლად (უწესოდ და ურიგოდ) მიაჩნდა „ქილილა და დამანასთანა“ თხზულების დამუშავება; თუ ამ ტექსტს ხელი მოჰკიდა, ეს იმიტომ, რომ „უარი აღარ იქნებოდაო“. მაშასადამე, აშკარაა, რომ სულხან-საბა ორბელიანი მაშინ საკუთარი ინიციატივით, თავისი გუნება-განწყობილების შესაფერისად ვერ შეთხზავდა „სიბრძნე სიცრუეს“. უნდა დავსძინო, რომ მსგავსების მიუხედავად „ქილილა და დამანა“ და „სიბრძნე სიცრუისა“ ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება სტილითაც და საერთო იდეური ტენდენციებითაც. „სიბრძნე სიცრუისა“ დაწერილია სადა, მდაბიო, ხალხური ენით. „ქილილა და დამანა“ კი მაღალფარდოვანი, ენაწყლიანი მწიგნობრულით არის გამართული (სანიმუშოდ საკმარისია ერთმანეთს შეუდარდეს სულხან-საბას „კუ და მორიელი“ და ქილილა და დამანას „კუ და ღრიანკალი“). „სიბრძნე სიცრუისა“ ოპტიმისტური მსოფლმხედველობით არის გამსჭვალული, ანტიკლერიკალური ნაწარმოებია. ავითარებს სიცოცხლისმოყვარულობის იდეას. „ქილილა და დამანაში“ კი სულხან-საბა ორბელიანს შეუტანია პესიმისტური განწყობილების მოტივები და ქრისტიანული სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი ტენდენციები. „ქილილა და დამანა“ გამოხატავს რელიგიურად განწყობილი, ცხოვრებაზე საკმაოდ გულგატეხილი თუ გულაცრუებული მწერალ-მოაზროვნის სულისკვეთებას, რაც თხზულების შესაფერის სტილშიც აღიბეჭდა. ასეთი განწყობილებანი დამახასიათებელი იყო ევროპიდან დაბრუნებული მწერლისათვის. ცხადია, მსგავსი განწყობილების პატრონი ვერ დასწერდა „სიბრძნე სიცრუის“ წიგნს.

დასასრულ, საგულისხმოა, რომ სულხან-საბა ორბელიანმა „ქილილა და დამანას“ ანდერძში ჩაურთო ნამდვილად გამშვირვალე და ნიშანდობლივად ავტობიოგრაფიული ხასიათის სამი იგავ-არაკი (მზე და ვარდი, ზღვა და დელფინი, მეფე და მეძებარი). ავტორი არ შენიღბულა და არ დაუფარავს, რომ ამ იგავ-არაკებით მან გამოხატა ვახტანგთან დამოკიდებულების ამბები. ანდერძში მწერალი პირდაპი-

რი ფორმით აღნიშნავს, რომ: „სოფლის სიმუათლემ (ისიში) ერთმანეთს მოაშორება და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი დახეთქილება ჩამოაგდო. მეფე მას და მის ძმათზე უბრალოდ მწყრომელი შექმნეს. და მერმე ეს ბრძანება მოუვიდა, უარი აღარ იქნებოდა...“ აწერილი ამბის სალუსტრაციოდ არის მოყვანილი დასახელებული სამი იგავ-არაკი.

თ. კუკავას სრულიად მხედველობაში არ მიუღია „ქილილა და დამანასთან“ დაკავშირებული გარემოებანი. ეს კი საშუალებას მისცემდა მას გაეთვალისწინებინა სულხან-საბა ორბელიანის იმჟამინდელი (ევროპიდან დაბრუნების დროინდელი) გუნება-განწყობილებანი. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ცხადია, რომ „ქილილა და დამანაში“ გამოხატული გუნება-განწყობილების პატრონი ვერ დასწერდა „სიბრძნე სიცრუეს“. ხელნაწერების მოწმობის თანახმად, „სიბრძნე სიცრუისა“ უეჭველად შეთხზულია ავტორის სიჭაბუკის პერიოდში. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით სიჭაბუკის პერიოდი გრძელდება „ოცის წლითგან ვიდრე ოცდაათამდე“ [28]. როგორც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული [29], ამის კვალობაზე „სიბრძნე სიცრუისა“ შეთხზულია 1678—1688 წლებს შუა, ყოველ შემთხვევაში ავტორის სულხანობის დროს, ე. ი. ბერად შედგომამდე ანუ 1698 წლამდე.

თუ სულხან-საბა ორბელიანის მუშაობის საერთო ხასიათს გავითვალისწინებთ, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იგი უყურადღებოდ არ დატოვებდა თავის მხატვრულ-ლიტერატურულ პირმშოს. სულხან-საბა ალბათ თანდათანობით აუმჯობესებდა თავის ტექსტს. მაინცდამაინც „სიბრძნე სიცრუის“ ძირითადი რედაქცია ყოველ მიზეზ გარეშე უნდა ჩამოყალიბებულიყო არა უგვიანეს 1698 წლისა.

3

სიბრძნე სიცრუისა

Прочитал ее с наслаждением.
М. Горький

სიბრძნე სიცრუისა წარმოადგენს იგავ-არაკთა კრებულს. ეს კრებული განეკუთვნება ე. წ. ჩარჩოიან მოთხრობათა რიგს (Rahmenerzählung). იგავ-არაკები აქ გაწყობილია ფაბულური თხრობის

---

[28] ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928 (იხ. სიტყვა კაცი, გვ. 164—165).

[29] მაგალითად, იხ. გ. ლეონიძის შესავალი წერილი, რომელიც დართული აქვს „სიბრძნე სიცრუის“ უკანასკნელ გამოცემას (თბილისი, 1957, გვ. XLVI).

ჩარჩოზე (მსგავსად „სიბრძნე ბალაჰვარისა", „ათას ერთი ღამისა", „სინდბადის წიგნისა", „ქილილა და დამანასი" და სხვ.). სიბრძნე სიცრუის ფაბულური ქარგა (ჩარჩო) აწესრიგებს იგავ-არაკების აღგილს. ფაბულური ჩარჩოს საშუალებით თხზულების ცალკეული კომპონენტები კომპოზიციურად შეკრულია და ერთიან, მთლიან ნაწარმოებად არის ჩამოყალიბებული.

სიბრძნე სიცრუის ფაბულა შეიცავს უფლისწული ჯუმბერის აღზრდის ამბავს. აღმზრდელად გამოყვანილია ჭაბუკი ლეონი. ლეონის აღმზრდელობითს მეთოდს გმობს მეფის (ფინეზის) საჭურისი რუქა, ხოლო ბეჯითად იცავს ვაზირი სედრაქი. მეფემ გამოსცადა უფლისწული, აღზრდა მოუწონა და ტახტი გადააბარა. სიბრძნე სიცრუის ფაბულური თხრობის პერსონაჟები ერთმანეთს ეკამათებიან სხვადასხვა საკირბოროტო საკითხებზე (მთავარია აღზრდის საკითხი) კამათი უპირატესად იგავ-არაკებით წარმოებს. იგავ-არაკებს ცვლის ზღაპრები, ლეგენდები, ანეგდოტები, მოსწრებული და მახვილგონივრული პატარა ამბები, გამოცანები და ა. შ. თხზულების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იგავ-არაკები. თუმცა თავისი იდეური ჩანაფიქრი ავტორს ჩაქსოვილი აქვს ფაბულურ ამბავში. იგავ-არაკები ასრულებს მხატვრული ილუსტრაციების ფუნქციას, მოპაექრენი იგავ-არაკების დამოწმებით ცდილობენ თავიანთ მოსაზრებათა დასაბუთებას. ამდენადვე თუმცა თითოეულ იგავ-არაკს აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ყველა მათ მთლიანი ამბის რკალში უჭირავს გარკვეული ადგილი, ცალკე აღებული იგავ-არაკები მთელი თხზულების ორგანულ ნაწილს შეადგენს [30].

ასეთია სიბრძნე სიცრუის საერთო კონსტრუქციული სქემა.

სიბრძნე სიცრუისა იგავ-არაკული ჟანრის ნაწარმოებია, იგავ-არაკებში მოქმედ პირებად ჩვეულებრივად გამოყვანილი არიან ცხოველები, ფრინველები, ქვეწარმავალნი და ა. შ. ესენი იგავურად, გადატანითი მნიშვნელობით, ანუ ალეგორიულად ასახავენ ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ყოფაცხოვრებითს სინამდვილეს.

სიბრძნე სიცრუის მთავარი თემაა ახალი თაობის აღზრდა. მხატვრული ენის საშუალებით სულხან ორბელიანი მკაფიოდ აყალიბებს თავის დიდაქტიკურ პრინციპებს. უნდა მოვიგონოთ, რომ სიბრძნე სიცრუის დიდაქტიკური იდეები უკავშირდება სულხან ორბელიანის პრაქტიკულ მოღვაწეობას აღმზრდელობითი საქმიანობის სარბიელ-

---

[30] სიბრძნე სიცრუის ტექსტები ქვემოთ მოყვანილია 1957 წლის გამოცემის მიხედვით (სიბრძნე სიცრუისა. გიორგი ლ ე ო ნ ი ძ ი ს წინასიტყვაობით და სოლომონ ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით).

ზე (სულხანი იყო ვახტანგისა და დედოფალ რუსუდანის აღმზრდელი). სიბრძნე სიცრუის ამბავთა ქვაკუთხედია უფლისწულ ჯუმბერის აღზრდის ამბავი. მაგრამ. რა თქმა უნდა. თხზულებაში გამოხატულ დიდაქტიკურ მოძღვრებას ზოგადი, უნივერსალური მნიშვნელობა აქვს. ავტორის თვალთახედვით. სიბრძნე სიცრუის „სწავლა" სახელმძღვანელო უნდა გამხდარიყო საზოგადოების ყველა ფენის მოზარდი თაობის აღზრდისათვის. კერძოდ უფლისწულის აღზრდაზე მწერალი ყურადღებას იმიტომ ამახვილებს, რომ თვითმპყრობელური წყობის პირობებში მეფეები განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდნენ. ხშირად მეფეთა ჭირვეულ ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული ქვეყნის, საზოგადოების, ხალხის ბედ-იღბალი. უგნური, ბრიყვი და ქარაფშუტა მეფე ქვეყნის უბედურებას მოასწავებდა, განათლებული, ჰუმანური და ქვეშევრდომების კეთილდღეობისათვის მზრუნველი ხელისუფალი ხომ დიდი ბედნიერება იქნებოდა.

სულხან ორბელიანი იცავს დემოკრატიული აღზრდის პრინციპებს. სიბრძნე სიცრუის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყმაწვილის აღზრდას საფუძვლად უნდა დაედვას შრომა, გარჯა, ფიზიკური გაწაფვა. ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სული დასადგურდებაო. შრომას შეჩვეული, ფიზიკურად გაწვრთნილი. ამტანი და გამძლე მოზარდი ადვილად გაიწაფება ზნეობრივად და მომწიფდება გონებრივად. შრომისმოყვარეობა და ბეჯითობა ადამიანს აკეთილშობილებს, ზნეობრივად ამაღლებს და ხელს უწყობს გონებრივ განვითარებას. ზნესრული ყმაწვილი სულხან ორბელიანს ეხატება, როგორც ფიზიკურად ამტანი. სულიერად მხნე და გონებრივად გამჭრიახი. თავდაბლობის გრძნობა. სულგრძელობა. კაცთმოყვარეობა და სხვა მისთანა თვისებები მოზარდს ბუნებრივად უმუშავდება წესიერად წარმართული აღზრდის კვალობაზეო. ამიტომაც ავტორი დიდ მნიშვნელობას აძლევს აღმზრდელ-მასწავლებლის გამოცდილებასა და დახელოვნებას. საუცხოოდ აღზრდილი უფლისწული ჯუმბერი მამას უცხადებს: „ჩემს სიკეთეს მე ნუ მაკვეხებ და ნურც მე მადებ. გალატოზმან, რომელმან ნატიფად სახლი აღაშენა, სახლის სიკეთეა, ანუ მაშენებლისა? მხედარმან, რომელმან კვიცი კარგა სადავედ გაწვართოს. კვიცის საქებელია, თუ მხედრისა? შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი. ჩემი სიკეთე ჩემგან არ არის: აგებულობის საქმე — შენგან. და წვრთილობა — ლეონისაგან". ლეონი გვისურათებს იდეალური აღმზრდელის სახეს. ლეონი ავტორის მხატვრული ორეულია. შემთხვევითი არ არის, რომ მეფე ფინეზმა უფლისწული ჯუმბერის აღსაზრდელად ლეონი მოიწვია. როგორც ვიცით, ლეონი უცხო თემიდან მოვიდა, მას მშობლები არ ენახა, თავის ჩამომავლობის თაო-

ბაზე არაფერი იცოდა (მაშასადამე, გვაროვნული წარმოდგენები არ ზღუდავდა). იყო გონიერი, გაწაფული, განათლებული, დამოუკიდებელი და მტკიცე ხასიათის პატრონი. თხზულების დახასიათებით, ლეონი იყო „ჯაბუკი შვენიერი, მსგავსი ლომისა, მხნე, ახოვანი, პირმწყაზარი. ტანსარო, ახლად სუმბული ამოსვლოდა და მცირედ ჭუჭური მოხვეოდა. საყვარლად სახილველი". ლეონი ასახიერებს ზნესრულ ადამიანს.

ლეონმა ცალკე სასახლე აიშენა, ჯუმბერი იქ გადაიყვანა. უფლისწული საკარო ცხოვრების გარემოს მოაშორა. ლეონი ჯუმბერს ზრდიდა ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე (მეფე მის საქმეებში ვერ ჩაერეოდა, ვერც შეიბეზღებდა. ამისათვის ხელწერილი ჰქონდა მიღებული), დამოუკიდებლად და თავის გუნებაზე.

სულხან ორბელიანის შეხედულებით (თხზულების მიხედვით სულხანის შეხედულებათა გამტარებელია ლეონი), ფიზიკური გაწაფვა და შრომა აპირობებს მოზარდის როგორც სულიერი ცხოვრების ნორმალურ განვითარებას, ისე გონებრივად მომწიფებას[31]. ფუფუნება და ნებივრობა კი, პირიქით, მოზარდს ძლიერ ვნებას აყენებს. ფუფუნებითა და ნებივრობით აღზრდილი ხდება უილაჯო, ზარმაცი და მცონარი, ზნეობრივად მანკიერი და გონებრივად ჩლუნგი ფუფუნებასა და ნებივრობაში აღზრდილი უფლისწული. დაშორებული ხალხის, ქვეშევრდომების ყოფა-ცხოვრებითს სინამდვილეს, ვერასოდეს ვერ გაიგებს ხალხის ჭირ-ვარამს, ხალხის სოციალურ სატკივარს. მის გულისთქმას. ნებიერად და უდარდელად აღზრდილ უფლისწულს დაეუფლება ავადმყოფური ვნებები, მას გაუღვივდება ეგოისტური და სადისტური გრძნობები. ფუფუნებაში აღზრდილს შეუმუშავდება ჭირვეული ხასიათი, იგი ადვილად მოექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, ადვილად გახდება უმოწყალო და უსულგულო მტარვალი, ეგოისტი. თავნება და ჭირვეული ხელისუფალი ქვეყანას ხიფათს შეჰყრის.

ლეონის პირით სულხან ორბელიანი ამბობს, რომ მომავალი მეფე უნდა იყოს პრაქტიკულად გაცნობილი თავისი ქვეშევრდომების ყოფაცხოვრებას: „მეფეთა და ხელმწიფეთა წესი და რიგი" მოითხოვს, რომ მეფისათვის უცხო არ იყოს ქვეშევრდომთა „შრომა, ჭირი, მუშაკობა, სმა-ჭამა" და ა. შ. ლეონი ასე ასაბუთებს ჯუმბერის აღზრდისათვის გამოყენებულ მეთოდს: „თუცა (ჯუმბერ) ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი,

---

[31] შდრ. **А. С. Прангишвили, Очерки по истории психологических знаний в Грузии. Автореферат. Тбилиси. 1957 გვ. 16.**

თუ ზემდგომს რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის, უნებს აღდგება, უნებს დაჯდება, მათი მცნება. სამსახური ვით სცნას, რას მიიჭირვებენ მისთვის? დღე ყოველ ზე დგანან და დაითმენენ. თუცა შიმშილით არ მომყმარიყო, რამცა იცოდა, გლახაკთა და უღონოთა შიან. ანუ სხვათა ვისმე საჭმელი აკლია?... თუცა უცხენოდ სელა და ფეხშიშვლობა არ გამოეცადა. ბაზიერთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა ეცნა, რომლითა სიბრალულითა შეიბრალებდა? ანუ თოხარიკთა ცხენთა ჯდეს, გინა ეტლითა ვიდოდეს?" ჯუმბერს რომ პირადად არ განეცადა გაროზგვის სიმწარე, „არგნის კვრა" მისთვის შეიძლება გასართობ სანახაობად გამხდარიყო.

სულხან ორბელიანმა კარგად იცოდა, რომ მდიდარსა და მაძღარს არ შეუძლია წარმოიდგინოს და განიცადოს შიმშილის გრძნობის საშინელება, „მაძღარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდა და ზედა აყვედრიდა, რად ღორულად სჭამო". მწერალი აშიშველებს მაძღარის ცინიზმს, იგი მოსარჩლეობას უწევს ღარიბსა და ღატაკს, მშიერს. მწერალი მშვენიერად ხატავს მაძღრისა და მშიერის რეალისტურ სურათს. სულხან ორბელიანი საერთოდ იმ თვალსაზრისს ავითარებს, რომ ლმობიერი, კაცთმოყვარე და ჩაგრულთა მოამაგე შეიძლება იყოს ის, ვისაც თვითონ განუცდია შიმშილის ძალაც, დევნის სიმწარეც და მართლმსაჯულების სუსხიც.

თავისი სახელოვანი უფროსი თანამედროვის, არჩილის მსგავსად სულხან ორბელიანი აფასებს ადამიანის პირადულ ღირსებას, პირადულ დამსახურებას საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე. „კაცი მისი საქმით იცნობებაო", ამბობს ერთგან უფლისწული ჯუმბერი. სულხანი ჰგმობს ჩამომავლობით თავმომწონეობას და გვარიშვილობით ყოყოჩობას. ამ მხრით ჩვენი მწერალი-მოაზროვნე ისე შორს მიდის, რომ გადაჭრით აცხადებს: „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთაო". სულხანი მოუწოდებს ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის შეუფერებელ მეფეს: „თუცა ყმანი ჰკუთმოყოფნი გყვანან, იგინი ამეფე და შენ მათ დაემონეო". მეფობას სულხანი თვლის ფრიად საპატიო და ფრიადვე საპასუხისმგებლო მოვალეობად. ჯუმბერის პირით იგი აგონებს მეფეს: „რა გინდ დიდებული და მძლავრი მეფე იყო, სცან ესე: მიწა ხარ და მიწად მიიქცევიო". სულხანი ჰკიცხავს მეფურ გულზვიადობასა და ზვაობას, ბოლოს და ბოლოს მეფეც მომაკვდავი ადამიანია, მიწიერი არსებაა. ეს მას მუდამ უნდა ახსოვდესო. სულხანის მოსაზრებით, მეფეს მოეთხოვება დიდბუნებოვანება, ჭეშმარიტი ადამიანობა და ნამდვილი დიდკაცობა. წესიერი აღზრდით, ფართო განათლებით, ფაქიზი ზნეობით, გონებრივი გამჭრიახობით მეფე სანიმუშო მაგალითს უნდა აძლევდეს საზოგა-

დებასო. ასეთებად ხატავს მწერალი მეფე ფინეზსა და უფლისწულ ჯუმბერს.

თავისი მოწოდების სიმაღლეზე მდგომი მეფე. რომელსაც შეგნებული აქვს მეფური მოვალეობა, სულხან ორბელიანს აგონებს კეთილ მწყემსს. როგორც კეთილ მწყემსს უყვარს თავისი „სამწყსო“ და მისთვის დაუზარელად ზრუნავს, მეფესაც მხურვალედ უნდა უყვარდეს თავისი ხალხი და თავისი ქვეყანა, მეფემ თავისი ძალღონე არ უნდა დაზოგოს ქვეშევრდომთა კეთილდღეობისათვის. მეფე შრომისა და მოღვაწეობისათვის არის დაბადებული და არა განცხრომისა და ნებივრობისათვისო, გვასწავლის სულხანი. სიბრძნე სიცრუეში შეგონების სახით საგანგებოდ ჩამოთვლილია მეფეთა მოვალეობანი მათი ქვეშევრდომი საზოგადების ყველა ფენის მიმართ:

„მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა.

მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა.

მეფეთაგან სამს იქენებენ დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა, და ჭირში ჭირსა და ლხინში ლხინსა.

მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენსა მალსა. საჭურველსა მაგარსა და დანახვასა ნამსახურისასა.

მეფეთაგან სამს იღწვიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: სავსესა ტაბლასა. ჯამაგირთა მოუკლებლობასა და მალე შეუბეზღებლობასა.

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურისა მიპყრობასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.

მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა. ღირებულის მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.

მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა. ზვერის წესად აღებასა. ფუნდუკთა უშუღართა დგომასა.

მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზღრის წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდების შენდობასა, რისხვის წუალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისისასა.

ესე არს წესი მეფეთა. ესე არს საბოძვარი თემთა. ესე არს გოდოლი სპათა. ესე არს ზღუდე ქალაქთა. რომელმან ჰყოს, იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს“.

პატარა იგავ-არაკში „მეფე და მხატვარი“ სულხან ორბელიანი გვიჩვენებს მეფის უხამსობასა და დესპოტიზმს. ამავე დროს იგი საერთოდ აღიარებს მეფის უფლების უზენაესობას, მოითხოვს მეფის ძალაუფლების გაძლიერებას, ქადაგობს ქვეყნის გაერთიანებისა და პოლიტიკური ცენტრალიზმის საჭიროებას. სულხან ორბელიანი ებრძვის პარტიკულარიზმს, კუთხური განკერძოებას, თავადაზნაურული შუღლს, შინაურ აშლილობას. მწერალი ბუკოლიკურად ავითარებს სამშობლოს სიყვარულის, პირადულისა და წოდებრივ-კორპორაციული ინტერესების საზოგადოებრივი და საქვეყნო ინტერესებისადმი დაქვემდებარების იდეებს. არჩილის სკოლის მწერლებთან ერთად სულხანი გრძნობდა, რომ ქვეყნის სიმტკიცესა და ძლიერებას ძირს უთხრიდა შინაგანი უთანხმოებანი, ფეოდალური ქიშპი, დინასტიური განხეთქილებანი. სულხან ორბელიანი ოცნებობს შეკავშირებულ, შემჭიდროვებულ, ორგანიზებულ და მონოლითურ ახალქმწიფოზე. ასეთი სახელმწიფოს მიმართ უძლური იქნებაო გარეშე მტრის რისხვა, ძალა ერთობაშიაო, ამბობს პატრიოტი მწერალი. საილუსტრაციოდ მოყვანილია ცნობილი მშვენიერი იგავ-არაკი: „მეფე ვინმე იყო დიდებული, ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა. რათა გატეხოს, და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დალეწა. უთხრა შვილთა თვისთა: — თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წეღან შეკრული ისარი ვერ გავტეხე. თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა“.

სულხან ორბელიანი ამტკიცებს, რომ მტრის დანდობა არ შეიძლება, რადგანაც იგი თავის მუხანათობას არ მოიშლისო. „მტერი რაკაცსა მტერობით ვერას დააკლებს, დაემოყვრების და მით გაუსრულებს მტერობასაო“. მწერალი ამახვილებს მკითხველის ყურადღებას ყველა შენიღბული, ვერაგულად დამოყვრებული, გაიძვერა დუშმანთა მიმართ. ღმობიერი, მოწყალე. უხვი და უშურველი ორგულებისადმი. მეფე უნდა იყოსო მკაცრი და ულმობელი მტერთათვის. ურთიერთდაუნდობლობას, გაუტანლობას, კინკლაობასა და შურიანობას სულხან ორბელიანი უპირისპირებს მეგობრობას, ძმობას, ამხანაგობას. რუსთაველის შემდეგ სულხან ორბელიანმა უგალობა ამხანაგობა-მეგობრობას წარმტაცი, მაღალგრძნობიერი და ამაღელვებელი ჰიმნი. აი ამ ჰიმნის ერთი ნაწყვეტი:

„კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერავინ იყიდის.

ამხანაგი ცხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია.

ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია. მოყვარეთათვის საიმედოვნეა. უცხოს თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა.

ამხანაგი მარტოსათვის სმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია.

ამხანაგი ჭირში მომხმაროა, სნეულებაში მკურნალია, სიკვდილში თავის წამგებია.

ამხანაგის უკეთესსა შენ რას იშოვნი?“

ფეოდალური აშლილობის პირობებში მეფის ხელისუფლების დაცვა უთუოდ პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა. საგულისხმოა, რომ თვითმპყრობელური ხელისუფლების ქომაგი სულხან ორბელიანი პრინციპულად არ უარყოფდა კოლეგიალობას, პირიქით, კოლეგიალობა მას მიაჩნდა თანამშრომლობის სასურველ ფორმად. სულხანი ამბობდა: „ერთი ჰკუა და რჩევა უამხანაგოდ სწორედ არ იქმნების. რაგინ ბრძენი იყოს, ერთიც არის საქმე არ დაიცდინოს და ერთის საქმის დაცდენითა ბევრი წახდება. ამისთვის ო რ ი ს ა და ს ა მ ი ს კ ა ც ი ს რ ჩ ე ვ ა ს ჯ ო ბ ს“. ამიტომაც მწერალი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მეფის უახლოეს მრჩეველ-თანამშრომლებს. კერძოდ ვაზირებს, „ვაზირთა მეფისა და ქვეყნისა დაყენებაც შეუძლიათ და წახდენაცაო“. „ვაზირი პატრონისა და ქვეყნის სამჯობინაროს მდომი უნდა იყოსო“. აცხადებს სულხანი, ხოლო „პატრონისა ორგული ღმერთსაც სძულს და კაცთაცაო“. მწერალი კარგად ხედავდა, რომ სასახლეებში ჩვეულებრივად ბლომად იყვნენ მოკალათებული სხვადასხვა ჯურის მედროვეები, ანგარებიანი, გაიძვერა, პირმოთნე და მლიქვნელი კარისკაცები. სულხანს ორ კატეგორიად ესახება სამეფო მრჩეველთა და კარისკაცთა საზოგადოება. სიბრძნე სიცრუით, ერთს გამოხატავს სედრაქი. მეორეს რუქა. სედრაქი ასახიერებს ბრძენ, გამჭრიახ, კეთილშობილ, კაცთმოყვარე ვაზირს. რუქა ვერაგია, გაიძვერა, ინტრიგანი, ცბიერი და ფლიდი მოხელე, მაგრამ მახვილი ჰკუის და გაქნილი ენის პატრონი. ენის ძალა სულხან ორბელიანს საგანგებოდ აქვს აწერილი რიგ იგავ-არაკში („უტკბესი და უმწარესი“, „ენით დაკოდილი“). რუქას სულიერი მანკიერება სავსებით შეეფერებოდა მის მახინჯ გარეგნობას. რუქა იყო ფიზიკურად გოხჯი, გაქსუებული ქოსა, კაცობაწართმეული საჭურისი, არც

მამაკაცი, არც დედაკაცი: მშვენიერი და ახოვანი ჭაბუკის ლეონის პირით ავტორი დაუზოგავად ამხელს რუქას სიმახინჯეს. „თუცა მამაკაცი ხარ, — ეკითხება ლეონი რუქას, — წვერი და ულვაში საჲ არს? თუცა დიაცი ხარ, სად არს თმანი ნათხზენი? თუცა ჭაბუკი ხარ, სადაა ძლიერება მაჯათა?“ ლეონი რუქას უწოდებს „უგვაროს, უჯნურს, უგბილს, უგვანს, კაცთა არასახეს“, „კაცობის მარცხვენელს“, გველივით ბოროტსა და შხამიანს. უფლისწული ჯუმბერიც არ ინდობს რუქას და, სხვათა შორის, საოცარი შეუბრალებლობით ქირდავს („შენ რომ ასონი დაგკვეთეს, რასათვის ულვაში და წვერი გაკცივდა და მის გარშემო არაო“).

სულხან ორბელიანი მხატვრული ენით ამტკიცებს, რომ რუქას მახინჯ სხეულში დამკვიდრებულა ავი, ბოროტი სული. რუქა ფიზიკურად უმგვანია, ხოლო სულიერად და ზნეობრივად უკეთური. რუქა ადამიანთა მოძულე ინდივიდუალისტია, იგი გადაჭრით ეუბნება სედრაქს: „შენ მაგ ბუნების პატრონი ხარ, რომე ყოველი კაცი გიყვარს და მე ყველანი მძულან“. რუქას არაფერი სწამს სიკეთისა და ადამიანობისა, მისი ამოსავალი პრინციპია—„არას კაცს კარგის მოქმედებისათვის კარგი არ უქმნიაო“. თქმულის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ცნობილი იგავ-არაკი „კაცი და გველი“, ანუ „სიკეთის მუქაფა“. რუქა პრინციპულად ამართლებს და იცავს სიკეთის წილ ბოროტად ზღვევის თვალსაზრისს. ამ ანტისაზოგადოებრივსა და არსებითად პესიმისტურ შეხედულებას სულხან ორბელიანი უპირისპირებს სიკეთის ყოვლად შემძლებლობის, კაცთმოყვარეობისა და სიცოცხლისმოყვარეობის ოპტიმისტურ იდეას. სულხანს სწამს (და ამ რწმენას გამოხატავენ მისი საყვარელი გმირები) ადამიანთა ბუნებითი სიკეთე, მწერალს შესაძლებლად მიაჩნია საზოგადოებაში ფეხმოკიდებულ ზნეობრივ მანკიერებათა დაძლევა. მას მხატვრულ ასპექტში დასახული აქვს ზნეობრივი მოძღვრების მთელი სისტემა, რომლის ცხოვრებაში მომარჯვებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის უკეთესი მერმისი. სახელოვან მწერალს ასულდგმულებდა საზოგადოებისა და ქვეყნის უკეთესი მერმისის იმედი. ზნეობრივი დაცემულობის წუმპეში ჩაფლობილ საზოგადოებას სულხანი მოუწოდებდა გამოსწორებისაკენ, ხოლო უკეთურ რუქას, ყოველგვარი სიმახინჯის სიმბოლოს, იგი მიწასთან ასწორებს მადლიანი კალმით.

სულხანის ჩანაფიქრით, რუქა საშიშია, საშიშია იმიტომ, რომ ვერაგ ბუნებასთან ერთად იგი დაჯილდოებულია, როგორც ვთქვით, მახვილი ჭკუით, დიდი ნიჭითა და უნარით. თავისი ჭკუის წყალობით იგი საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეშია მოქცეული, გავლენას ახდენს ქვეყნის მართვა-გამგეობაზე. მეფის მრჩეველი კარისკაცია,

თავი მოაქვს მეფესთან სიახლოვით და მის ერთგულებას ჩემულობს. მეფე მას ყურს უგდებდა და ანგარიშს უწევდა. რუქას უკეთურობა იმთავითვე შეიცნო და კიდევაც გამოაშკარავა ლეონმა. ბოლოსდაბოლოს ფინეზიც დარწმუნდა თავისი საჭურისის ავკაცობაში. აუჩქარებელი, თავშეკავებული, შორსმჭვრეტელი და სულგრძელი ფინეზი რუქასთან საუბარში ერთგვარად ჰკარგავს მოთმინებას და მას დიდი საყვედურით მიახლის: „ამდენს სულში კაცს ერთი მოყვარე არა ჰყავს, დიდი სიავე არისო“. რუქა უკან არ იხევს და ავკაცობაში სხვებსა სდებს ბრალს: „კართა შენთა ავსა კაცსა ნუ დაადგენ და მე არ გავუმტერდებიო“. მეფეს მზად ჰქონდა მოსწრებული პასუხი: „თუცა ავი კაცი არ დავაყენო, პირველ შენ უნდა გაგაძოო“. მეფე ფინეზმა შეინანა რუქას დაბეზღებით გამოწვეული გაცხარება ლეონის წინააღმდეგ. „მოეხვია ყელსა“ და გულწრფელად უთხრა მას: „რა ვყო, შვილო, მიმძიმს, ავთა კაცთა ენამან (ე. ი. რუქას ენამ, — ა. ბ.) და შვილისა სიმწარემან აღმაშფოთაო“. ჯუმბერის დახასიათების თანახმად, რუქა იყო ავი სიტყვითაც და საქმითაც. ამრიგად, მხილებულია და იზოლირებული ავი ინტრიგანი და ბოროტგანმზრახველი რუქა. სულხან ორბელიანის ჩანაფიქრით, რუქას დამარცხება შესაძლებელი გახდა მხოლოდ გამჭრიახი და გაწაფული ჭკუის წყალობით. ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო იარაღად და გამარჯვების საწინდრად სულხანი თვლის კარგად დაყენებულ სწავლასა და აღზრდას, განათლებას, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. სულხან ორბელიანს სწამდა სიბრძნისა და ცოდნის, ჭკუის ყოვლისმომრევი ძალა [82].

სიბრძნე სიცრუისა ტუქსავს ისეთ ხელისუფალს, რომელსაც თავი განცხრომისათვის მიუცია, დავიწყნია საზოგადოების ინტერესები და ქვეყნის მართვა-გამგებლობის სადავეები გარყვნილი და გაქნილი მოხელეებისათვის გადაუბარებია. მსგავს ხელისუფალთა ბედი განწირულია. მხოლოდ განათლებულ, კაცთმოყვარე და ხალხისათვის გულშემატკივარ, სამართლიან მეფეს შერჩება ძალა-უფლებაო, ფიქრობს სულხან ორბელიანი. სულხანი გულახდილად აწერს და ამხელს სასახლეებში გაბატონებულ საზიზღო პირფერობასა და ფლიდობას, საკარო ინტრიგებს, ჭორებს, მაბეზღრობას და ა. შ. „მეფისა კარსა მდგომნი კაცნი, — ამბობს სულხანი — მრავალს ოცნებას იქმონენ და ხერხს და ხრიკს ცდილობენ, რათა შეგაძაგონ (ერთგული მონა)“,

---

[82] А. С. Прангишвили, Очерки по истории психологических знаний в Грузии, გვ. 9; მისივე, ადამიანის სულიერი ცხოვრების საკითხი აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში (ფსიქოლოგია, XI, 1957, გვ. 52).

მაგრამო, აფრთხილებს მეფეს, „პატრონსა თუცა მონა უყვარს, ადრე არ უნდა შეიბეზღოს“, საქმე გულდასმით გასინჯოს და ისე გადაწყვიტოსო. საბასეული ქილილა და დამანას ანდერძშიც აღნიშნულია: „მანამდე უნდა მოსამსახურე მეპატრონემ არ მოიძულოს, თვარა რა მოჯდება, ტირილი აღარ გააცოცხლებს, არცა წყენა წასულ საქმეს-ღა მოაბრუნებსო“.

დიდი მოხელეებისა და კარისკაცების მანკიერების მხილებასთან ერთად სულხან ორბელიანი დიდ ადგილს უთმობს თავის თხზულებაში წვრილი მოხელეების ბიწიერ საქმიანობას. მოსწრებული იგავ-არაკებით ავტორი ამათრახებს ავ მოურავებს, გაიძვერა მამასახლისებს. წურბელა გზირებს და ა. შ. ყველა ისინი, მათი მდგომარეობისა და რანგის შესაბამისად, აწუხებენ მოსახლეობას. ჩაგრავენ, ყვლეფენ. ზოგჯერ პირდაპირ არბევენ და აწიოკებენ მშვიდობიან მშრომელთ. განსაკუთრებული სიმძაფრითა და მძულვარებით ამხილა სულხან ორბელიანმა უმეცარი, ჩერჩეტი, ბრიყვი, ყბედი და მექრთამე მოსამართლენი („ყადები“). გაიძვერა, მსუნაგი და წუწკი მელა ერთგან პრეტენზიულად აცხადებს: „ლომ-ნადირთ ხელმწიფისაგან დასმული მდივანბეგი ვარო“. მელა-მდივანბეგის ალეგორია მკითხველს ადვილად აგონებდა მწარე სინამდვილის ნაცნობ მოვლენებს. მელა-მდივანბეგის ალეგორია მოსწრებულიცაა და გაბედულიც. სხვა არა იყოს რა, მდივანბეგი იყო თვითონ სულხანის მამა. მდივანბეგების ოჯახსა და წრეში აღიზარდა და განისწავლა ჩვენი სახელოვანი მწერალი.

მამულების გაყოფა, გაყრა ნიშანდობლივი მხარეა ფეოდალური საზოგადოების ყოფითი სინამდვილისა. იგავ-არაკში „თხა და მელა“ სულხანმა საუცხოო ოსტატობით ასახა ბოროტი მომჩივნების, მსუნაგი შუაკაცების, ანგარებიანი ცილისმწამებელი მოწმეებისა და მოძალადე მოსამართლეების შეხმატკბილებული მოქმედება უწყინარი, პატიოსანი და გამრჯელი მშრომელი გლეხის მიმართ. თხამ და მელამ ზიარად მიწა დათესეს და კარგი ჭირნახული მოიყვანეს. ყანა მომკეს, გალეწეს, გაანიავეს. ხორბალი ცალკე დააგროვეს და ბზე ცალკე. მელას უთქვამს: „ხვავი მე და ბზე შენაო“. გულმართალ თხას უთხოვია, „ორივ შუა გავიყოთო“. ვითომცდა შეურაცხყოფილი ცბიერი მელა გაშურებულა შუაკაცს მოსაწვევად. თხა არ დაბნეულა (მას კარგად სცოდნია მელას ოინები). ორი ნაცნობი ქოფაკი მოუყვანია და ბზეში დაუმალავს. მალე მელაც გამოჩნდა. შუაკაცად მოჰყვა მგელი. მგელმა-შუაკაცმა ყალბი პათოსით იკითხა: „ჩემს დისწულს რატომ აჩიენებო?“ უდანაშაულოდ სამართალში მიცემულმა თხამ მშვიდად უპასუხა მართლმსაჯულების ქომაგს: „მაშ, რადგან მოწმად

მოყოლიხარ, მეც მამა-ბიძანი აქ მისაფლავიან. — მის საფლავზე შე-დეგ, ისულე და მართალი მოწმე იქნებიო“. მართლმსაჯულების მსუნაგმა მოციქულმა „თხის შეშმა მოინდომა“, მაგრამ ბრალდებულის მამა-ბიძების საფლავზე რომ ფეხი შედგა, „წამოხტნენ ძაღლები. მელა და მისი მოწმე ისე გახადეს, შარშანდელიც დაავიწყეს. არამც თუ წლეული ეშოვნათ“.

სულხან ორბელიანი იყო დიდაქტიკოსი და მორალისტი. მოყვანილი იგავ-არაკიდან მას გამოჰყავს გარკვეული მორალური დასკვნა: მოძალადესა და ცილისმწამებელს ღირსეული სასჯელი მიეზღვისო. ეს იყო სიბრძნე-სიცრუის ავტორის რწმენა, უკეთ, მისი სურვილი. სინამდვილეში კი (და ეს მწერალმა დაუფარავად გვანიშნა) მელა და მგელი განუკითხავად თვითნებობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. სავალალო ისიც იყო, რომ მოძალადე მგელ-მტაცებელი აშკარა წამგლეჯელობას ხშირად ეწეოდა კანონისა და სამართლის სახელით.

წერილი მოხელეების მძარცველური საქმიანობის დასახასიათებლად საინტერესოა იგავ-არაკი „მაოხრებელი მკვდარი“. კლარჯეთის თემში მოღვაწეობდა ერთი გზირი, „ანჩხლი და მტერი სოფლისა“. ამ გზირმა სოფელი დააწიოკა და „სრულიად ააოხრა“. დადგა გზირის სიკვდილის დღე. გზირმა იხმო სოფლელები, თითქოს სინდისის ქენჯნის შედეგად დაუწყო შეგონება: „მე თქვენთვის ბევრი შემიცოდებია და რადგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ რა, გაფიცებთ ღმერთსა, რა მოვკვდე, თოკი ყელთ მომაბით, გამათრიეთ და ხეზედ ჩამომკიდეთო“. გულუბრყვილო სოფლელები მოტყუებულან, გზირის სიტყვები მათ სასინანულო ალალ-მართალ აღსარებად მიუთვლიათ და ანდერძი სისრულეში მოუყვანიათ. ხელისუფლების წარმომადგენლებს უფიქრიათ — „ჩვენი გზირი დაუხრჩვიათო“, მისევიან სოფლელებს და მკაცრად დაუსჯიათ. გაწბილებული სოფლელები თურმე ამბობდნენ: „ცოცხალმან მოგვეთხარა და მკვდარმან აგვაოხრაო“.

სიბრძნე სიცრუისა ამტკიცებს, რომ შედარებით კარგი მოურავი სანთლით არის საძებარიო. სოფლის მაშენებელნი კი მხოლოდ საკუთარ გამორჩენაზე და მიტაცებაზე ფიქრობდნენ. სულხან ორბელიანს შეუმჩნეველი არ დარჩენია არც ხელოსანთა თავგასულობა („ქურდი მკერვალი“).

სიბრძნე სიცრუისა არის ანტიკლერიკალური ხასიათის ნაწარმოები. სულხან ორბელიანი არ ინდობს სამღვდელოებას, ამხილებს და ჰკიცხავს სამღვდელოების ფარისევლობასა და მსუნაგობას. მწერალი აშიშვლებს ბერად შედგომის პირფერულ მხარეს, დასცინის საქრისტიანო წმინდა ადგილების მოლოცვის ფორმალობას, აბუჩად იგ-

დებს წმინდა ზიარებისა და საიდუმლო აღსარების საქმეში. თვალთმაქცობას („მელა მოძღვარი"). სიბრძნე სიცრუეში ასახულია ზნედაცემული და წუწკი მოლების საქმიანობა, ფლიდი და ქურდი სადრების (სჯულის თავების) სამარცხვინო „მოღვაწეობა". ერთ იგავ-არაკში („გრძნეული ცოლის პატრონი") პირდაპირ ქურდ-ბაცაცისა და ყაჩაღის როლშია გამოყვანილი მუსლიმანური სამღვდელოების უმაღლესი წარმომადგენელი (სადრი). მართალია, სულხან ორბელიანი ზოგჯერ მუსლიმანური სინამდვილისათვის დამახასიათებელ ტერმინოლოგიას (სადრი, მოლა და სხვ.) იშველიებს, მაგრამ იგავ-არაკული ჟანრის თხზულებისათვის ეს სრულიად ბუნებრივია. დაკვირვებულ მკითხველს სადრის საქციელი მოაგონებდა რომელიმე ზნედაცემული ეპისკოპოსის საქციელს, ხოლო გარყვნილი მოლა აღუდგენდა ასევე გარყვნილი ნაცნობი მღვდელ-დიაკვანის საზიზღარ სახეს.

სიბრძნე სიცრუის ავტორის მსოფლმხედველობის გასაშუქებლად საყურადღებოა ამ თხზულებაში გამოხატული ერთგვარი დაეჭვება ღვთიურ სამართლიანობასა და ღვთის ყოვლის შემძლებლობაში. ერთი გლახაკი საყვედურით სავსე სიტყვებით მიმართავს გამჩენს: „დიდად მოწყალე ბრძანდები, მაგრამ ვინემ კაცს სისხლს არ დაანთხევინებ, არას მისცემო". დიდად საინტერესოა იგავ-არაკი „ჯოჯოხეთში დაუტევნელი". ერთ პირფერულად მლოცველ ბოროტმოქმედ კაცს სამოთხის კარები ჰქონია გამოკეტილი. ყოვლად მოწყალე ღმერთს მაინც შესცოდებია მისგანვე ქმნილი ადამიანი (ისიც მლოცველი) და ანგელოზის პირით უცნობებია მისთვის, სხვა ყველა სურვილს შეგისრულებ, ოღონდ სამოთხეში ადგილს ნუ მთხოვო. ცოდვილს უპასუხნია, რადგან სამოთხე არ მეღირსება, ბარემ ისეთი დიდი გამხადე, რომ ჯოჯოხეთმა ჩემს გარდა ვერავინ დაიტიოსო. ღმერთი საგონებელში ჩავარდნილა, „ეს ვეღარ უყო ღმერთმან და ისრევ სამოთხე მისცა მას კაცსაო". როგორადაც არ უნდა გავიგოთ ღვთის საქციელი, ერთი აშკარაა, იგი ანგარიშში მოტყუებულა, კაცის შესაძლებელი პასუხი ვერ გაუთვალისწინებია, კაცს ჭკუით უჯობნია ღვთისათვის, ღმერთი დამარცხებულა. სადღაა ღვთის ყოვლად გონიერი, ყოვლის მცოდნე და ყოვლად შემძლე ბუნება? სადღაა ღვთიური გამჭრიახობა?

სულხან ორბელიანი იმ მოსაზრებას ავითარებს, რომ ქველმოქმედებასა და ყოველგვარ კეთილ საქმიანობას, კერძოდ გლახაკთა და დავრდომილთა შეწყალებას ადამიანი სიცოცხლეში უნდა ეწეოდესო, თორემ სიკვდილის შემდეგ „გაცემას" სამადლო ძალა ეკარგება და უკან მიდევნებულ ლამპარს ემსგავსებაო. უკან მიდევნებული ლამპა-

რი ცხოვრების გზას როგორ გააშუქებსო („უკან მიდევნებული ლამპარი“ ანუ „მეფე და მისი შვილი“).

სულხან ორბელიანი უარყოფს ღვთისადმი დანდობის ფატალისტურ იდეას, უარყოფს მშვრეტელობასა და მცონარეობას, ადამიანებისაგან იგი მოითხოვს მოქმედებასა და გარჯას. ყოველგვარ საქმიანობაში წარმატების საწინდრად თვლის აქტიურ მოქმედებას. ამ თვალსაზრისის საილუსტრაციოდ მოხმობილია იგავ-არაკი „უგუნური მცურავი“. „მცურავი ერთი მოჰქონდა წყალსა. თქვა: „ღმერთო, მიშველეო. მეორე ამხანაგმა უთხრა: ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველები იქნებიო“.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისათვის შესამჩნევი გახდა როგორც ფეოდალური წყობის, ისე ფეოდალური საზოგადოებისა და მისი მორალის რღვევის პროცესები. აღნიშნულის თვალსაზრისით სიმპტომატურია იგავ-არაკი „ყასაბი და მყიდველი“. ერთმა კაცმა ყასაბს ნისიათ თხოვა ცხვრის ნახევარი, საფასურს შემდეგ მოგართმევო. ყასაბმა ირონიულად უპასუხა: „შენ არ გეკადრება სისხლიანი ხორცი გეპურას და მიხვიდოდე; სადგომს მიდი, ერთის მონის ხელით შენის თმის ბეწვი გამომიგზავნე. ვიხიშხებ და გამოგიგზავნი“. გულუბრყვილო მყიდველი ასეც მოიქცა. მოგზავნილ კაცს ყასაბი მკვახედ დაუხვდა: „ვაჟო, თვით აქ იყო. წვერიცა და ულვაშიც ზედ ესხა. არამც თუ თმის ბალანი, და ერთი გამოსაცოხნელი არ მიეცა, და ახლა ერთის ბალნით ბევრს რად გაუგზავნიო?“.

ძველ ადათ-ჩვეულებას ასაზრდოებდა ძველი სოციალური ყოფის ვითარება. ძველი სოციალური ყოფის შერყევამ შეარყია მამა-პაპეული მორალის საფუძვლებიც. მოყვანილი იგავ-არაკი ამბობს, რომ თამასუქების ჩარჩული სისტემის პირობებში სასაცილოა თმის ბეწვით ანგარიშობის წესიო. პრაქტიკოსი ჩარჩ-ვაჭარი, რა თქმა უნდა, არ ენდობოდა ჯიბეცარიელი მუშტრის ქედმაღლურ დარდიმანდობას, იგი ნაღდ ფულს, ნაღდ ანგარიშს მოითხოვდა. რეალური საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ახალი მოვლენაც სულხან ორბელიანმა ასახა მხატვრული სიმართლით.

ვაჭრულ-ჩარჩული საზოგადოების წარმომადგენლებს სულხანი ხატავს ძუნწებად, გაუმაძღრებად, ხარბებად, ზნეობაშელახულებად. მწერალი, სხვათა შორის, გესლიანი ირონიით გვიამბობს („უბედური დიდ ვაჭარი“), ერთი დიდვაჭარი დააწინაურეს, მეფის სალარო ჩააბარესო. თურმე შემთხვევით სალაროს კლიტე გაფუჭდა, ძუნწმა მოლარემ მცირე გროში არ გაიმეტა, რომ მჭედელი მოეწვია, სამაგიეროდ თავიც წააგოვო. სულხან ორბელიანი უარყოფითად უცქერის და ვაჭრული საზოგადოების ვიწრო პრაქტიციზმს. სულხანი დასცი-

ნის ვაჭრების სულმოკლეობასა და სულწასულობას. მათ სიჯაბნესა და ფლიდობას. სიბრძნე სიცრუის მიხედვით მოუწესრიგებელი ჩანს ანგარებითა და მოხვეჭით გატაცებული ჩარჩ-ვაჭრების ოჯახური ცხოვრება. ფიზიკური უილაჯობისა და მოუქნელობის გამო ცოლები ჩვეულებრივად ღალატობენ ხოლმე თავიანთ ჩარჩ-ვაჭარ ქმრებს (ეს მოტივი შეიძლება ჩაგონებული იყოს ვეფხისტყაოსნით).

ფრიად საყურადღებოა შემდეგი დეტალი. სულხან ორბელიანი ყოველგვარ სიმდიდრეზე მაღლა აყენებს პ უ რ ი თ ს ი მ დ ი დ რ ე ს („ორი მდიდარი"). ეს დეტალი უმნიშვნელო როდია. იგი გვაგრძნობინებს ავტორის გარკვეულ იდეურ მიდრეკილებებს. სულხანი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ შეუღლება-დაქორწინებაც ანგარიშიანობისა (და ანგარების) საგანს წარმოადგენსო. ერთმა ხელმოკლე მეფემ თავის შვილს ცოლად მოუგვარა გამდიდრებული ხელოსნის (მჭედლის) ასული. მეფე დიდ მზითევს გამოელოდა. მჭედელმა ქალს გაატანა ძვირფასი მისნური ქვა. მაყრიონის მისვლის უმალვე მეფის პირველი სიტყვა ყოფილა: „ჩემის რძლის მზითევი მიჩვენეთო. ვნახო, რა მოპყოლიაო". ბრძანება აუსრულეს. მეფემ მისნური ქვის მნიშვნელობა არ იცოდა, გაწყრა: „ამიტომ ვითხოვე გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი, მრავალი ქონება ჰქონოდა, ბევრი მზითევი გამოეტანებინაო". ძვირფასი ქვა მეფემ უგუნურად „ზღვაში გარდააგდო".

ეს იგავ-არაკი გვითვალისწინებს დროთა ახალ ქროლვას. უბრალო ხელოსანი ისე გამდიდრებულა და დაწინაურებულა, რომ მეფე მასთან დამოყვრებას აღარ თაკილობს.

სიბრძნე სიცრუის წიგნში ასახულია საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენისა და წრის ყოფაცხოვრების უარყოფითი მხარეები. ავტორი არ არჩევს დიდსა და პატარას, მეფედან მოკიდებულ ხელოსნამდე თანაბრად სუსხავს ყველა პარაზიტს. სულხან ორბელიანი სამაგალითოდ პირუთვნელია, დაუზოგავია და ულმობელია მაენე ჩვეულების და ზნეობის მახინჯი მოვლენების მხილების მხრივ. ავტორი ძალას არ იშურებს, რომ დაუფარავად ამხილოს და მკაცრად გაკიცხოს ამპარტავნობა, ბაქიობა, უქნელობა, სიზარმაცე, ძუნწობა, მსუნაგობა, სულწასულობა, პირფერობა, ფლიდობა, ლოთობა, ენატანიობა, შურიანობა, ღვარძლიანობა, ქვემძრომელობა, მოღალატეობა, ლაჩრობა და ზნეობის სხვა მსგავსი თვისებები. ოღონდ ავტორი უარყოფითს უპირისპირებს დადებითს, ყოველი იგავ-არაკიდან გამოჰყავს ბრძნული შეგონება, მკითხველს არიგებს, ასწავლის, მოძღვრავს.

სულხან ორბელიანის დაკვირვებით, პატიოსნება, ზნეობრივი სიფაქიზე, გულწრფელობა, უზაკველობა და მისთანანი შერჩენილია

უპირატესად საზოგადოების დაბალ სოციალურ ფენებში. საზოგადოების შეძლებულსა და გავლენიან ფენებში კი ძლიერ ფეხმოკიდებულია ზნეობრივი მანკიერებანი. მწერალი გვიხატავს უბირსა და გულუბრყვილოს, მაგრამ გულმართალ, სინდისიერ, რწმენა-ურყევსა და მტკიცე ნებისყოფის პატრონ სულდიდ ღარიბ-ღატაკებს, გლახაკებს, ხელოსნებს და ა.შ.(„ძუნწი ვაჭარი", „ბაღდადის ხალიფა და არაბი", „ხალიფა და არაბი" და სხვ.). დავიმოწმებთ ერთი იგავ-არაკის შინაარსობლივ მოტივს. უპოვარ არაბს უდაბნოში ეწვია მეფე (ხალიფა). არაბს სამი თხა ჰყავდა, „სხვა არა ებადა რა". ერთი მეფეს დაუკლა. თურმე მეფე მხოლოდ თხის ტყინს ჭამდა. ერთი თხა რას ეყოფოდა? არაბმა დანარჩენი თხებიც დაუზარელად გაიმეტა მეფის დასანაყრებლად. ამ უპოვარი და კეთილი არაბის საქციელი ბუნებრივად გვაგონებს ბიბლიური ქვრივი დედაკაცის საქციელს. თითქოს იმ იგავის შესაფარდად სულხან ორბელიანი ალაპარაკებს ხალიფას ვაზირს: „თავმან შენმან. მდიდარი რასაც დახარჯავს, ათასი სხვა დარჩეს, ამას (არაბს, ა. ბ.) მის მეტი არა ჰყვანდა და ყოველივე დახოცა და შენ გიმზადაო".

სიბრძნე სიცრუის მიხედვით, მდიდრებსა და შეძლებულებს ჩვეულებრივად ხელმომჭირნეობა და სიძუნწე ახასიათებთ, მაშინ როდესაც ღარიბ-ღატაკნი სტუმართმოყვარენი არიან, ხელგაშლილნი და მათი შეძლების კვალობაზე უხვნი და უშურველნი. სულხან ორბელიანის მთელი სიმპათია პატიოსანი და გულმართალი, გამრჯე და შრომისმოყვარე, სულითა და ხორცით ჯანმრთელი მდაბალი სოციალური ფენების მხარეზეა. ამაში მჟღავნდება სულხან ორბელიანის გუნება-განწყობილებათა სოციალური მოტივები.

სიბრძნე სიცრუის წიგნში ჰარმონიულად არის შეერთებული ქართული სიტყვის გარეგნული გამოხატულების შნო და მისი შინაგანი გამომსახველობის ძალა, მისი შინაარსობლივ-აზრობრივი მხარე. ამ წიგნზე ზედგამოჭრილია ავტორის მიერ სულ სხვა შემთხვევისათვის მოხმობილი დახასიათება: „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი". სიბრძნე სიცრუის საქმიანი (და აზრიანი) იდეები გადმოცემულია დაუნჯებული, ოსტატურად შერჩეული სიტყვებით, შესანიშნავი მხატვრული ენით. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სულხან ორბელიანმა თავისი სიბრძნე სიცრუით მტკიცე საფუძვლები ჩაუყარა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას. სულხან ორბელიანის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის შედეგად (პირველ რიგში ეს შეეხება სიბრძნე სიცრუეს) „მეთვრამეტე საუკუნისათვის ახალი ქართუ-

ლი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება უკვე დაძთავრებულია“ [32]. როგორც წესი, სიბრძნე სიცრუის „ენა სადა და ხალხურია“ [33], სისადავე, სიმარტივე. მაღალი ფორმის უბრალოება (ე. ი. ნამდვილი ხალხურობა) და ლაკონიურობა არის სიბრძნე სიცრუის ენის ნიშანდობლივად დამახასიათებელი თვისებები. ამასთან სიბრძნე სიცრუის ენის სისადავეს ერთვის ლიტერატურულ-მწიგნობრული დახვეწილობა და გამართულობა [35]. დასასრულ, ფრთხილად და ძალიან ზომიერად გამოყენებული არქაიზმებიც გარკვეულ კოლორს უქმნის სიბრძნე სიცრუის კეთილშობილურ სტილს. საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ იგავ-არაკს „დათვი და მონადირე“:

„ამხანაგნი ნადირობდნენ. ხევი იყო და ხევს გაღმა-გამოღმა რონინობდნენ. ერთს ამხანაგს დათვი შემოეჭიდა და ქვეშ ჩაიდვა. მეორე ამხანაგმა უყივლა: — გაუშვი ეგ დათვი და წამოდი, სხვა საქმე გვიძსო. მან დაუძახა: დათვი არ მიშვებს, თვარა მე წეღანვე გავუშვებდიო“.

მოყვანილი იგავ-არაკის ენა მე-17 საუკუნისათვის უაღრესად სადაა, ეს ენა ხალხურივით მსუბუქია და გასაგებად ადვილია, თუმცა არქიზმებითაც არის შეზავებული (ნარიანი მრავლობითი ფორმა, სიტყვები „რონინი“, „უყივლა“, „ეგ“, „გვიძს“). ამ იგავ-არაკს ეტყობა სიტყვიერი რესურსების დაზოგვა, სტილის ლაპიდარობა. რამდენიმე ფრაზის მოსმით ავტორს გადმოუცია დასრულებული სიუჟეტური ამბავი. მსუბუქი ჰუმორული კილო იგავ-არაკს აძლევს განსაკუთრებით მომხიბლავ იერს.

ასეთია საზოგადოდ სიბრძნე სიცრუის იგავ-არაკების ენა და სტილი. იგავ-არაკებში ავტორი ხშირად ურთავს ხალხური სიბრძნით აღბეჭდილ მოხდენილ აფორიზმებს, სენტენციებს, ნაკვესებს, „მარილიან“ გამოთქმებს და ა. შ. მაგალითად:

1. არაკად თქმულა: ბედი მომეც და ნეხვთა დამფალო.
2. არაკად თქმულა: ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო.
3. არაკად თქმულა: თხის პატრონს აღარც თხის კუდიო.
4. არაკად თქმულა: ქორი ქორსა სჩეკს, ძერა ძერუკასაო.

---

[32] არნ. ჩიქობავა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 019).

[34] იქვე.

[35] რასაკვირველია, სრული გაუგებრობაა, თითქოს „საბა-სულხან ორბელიანის ენა წარმოადგენს მთელ სიმახინჯეს და უვარგისია ლიტერატურული ენისათვისო“ (ლადო ბერიაშვილი, რუსთაველის და დანტეს იდუმალი, I, პარიზი, 1956, გვ. 64—65).

5. რასაც მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია. უარესიც დაე-
მართებაო და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, სიბრძნე სიცრუის სახუმარო-საოხუნჯო ჰუმორს ენაცვლება მძაფრი სატირა, სატირა კი არა-იშვიათად გესლიან ირონიასა და შხამიან სარკაზმში გადადის. სიბრძნე სიცრუის იდეური შინაარსისა და მისი საერთო სტილის დასახასიათებლად საინტერესოა სედრაქ ვაზირის მიერ რუქას შესაგონებლად მოყვანილი იგავ-არაკი „მოტირალი და მოცინარი“: „ორნი კაცნი იყვნენ ქალაქსა ერთსა“, ერთი სულ მუდამ ტიროდა, „რა ვქნა, ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ამ საწუთროს საქმეს შვრებიან, საუკუნო სასჯელი დაუვიწყებიათ, და მით ვტირიო“. მეორე, თურმე, პირიქით, სულ იცინოდა და თავის საქციელს შემდეგნაირად ასაბუთებდა: „ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავს შვრებიან, კარგს არ იქმონენ. ყოველს კაცს ვუქადაგე, ვურჩიე. ვერა დავაჯერებინე რა და აწ სიცილს ძალი მივეცო“.

წუთისოფლისა და ცხოვრების შეფასებაში ორივენი, მოტირალი და მოცინარი, არსებითად ერთ თვალსაზრისზე იდგნენ, ორივენი აღიარებდნენ წუთისოფლის სიმოკლესა და ადამიანების უკუღმართობას, ოღონდ ერთის რეაგირება იყო ტირილი და წუწუნი, მეორისა — სიცილი[30]. მართალია, დუხჭირი სინამდვილის სიცილით აღქმა, როგორც ეს დიდმა აკაკიმ თქვა, „ზოგჯერ ცრემლზე მწარეა“. სულხან ორბელიანი სედრაქის სახით მოცინარის მხარეზე დგება. მისი სიცილიც ცრემლნარევი მწარე სიცილია. სულხან ორბელიანს აცინებდა მეხილეს სულმოკლეობა („მეხილე და მწყემსი“), გლახაკის უნიადაგო ფანტაზიორობა („გლახაკი და ქილა ერბო“), მეფის ფუყი მედიდურობა და ვაზირის ოინბაზობა („მეფე და მისი ვაზირი“), აღმზრდელის გონივრული წინდახედულობა („კატის გაზრდილი ლომი“). სულხან ორბელიანს აგულისებდა მეფის უსამართლობა („უსამართლო შირვანშაჰი“ და სხვ.), მოსამართლის უგუნურება და უქეთურება („ქოსა და ყადი“, „ვირად ცნობილი ყადი“ და სხვ.), მოხელის გაიძვერობა („მაოხრებელი მკედარი“). ბერმონაზონთა ფარი-

---

[30] ა. ფრანგიშვილის მოსაზრებით, მოტირალისათვის ეს სოფელი იმიტომაა მოკლე, რომ „საუკუნოა ზეციური ქვეყანა“. მას ატირებს ადამიანის საიმქვეყნიო სასჯელზე ფიქრი. მოცინარისათვის კი ეს სოფელი იმიტომ არის მოკლე. „რომ ადამიანის ნამდვილი ცხოვრების საზღვრები — „ამ სოფელში“ ცხოვრების საზღვრებია. მოცინარი არ ფიქრობს საიმქვეყნიო ცხოვრებაზე, მას დავიწყნია საუკუნო სასჯელი (ადამიანის სულიერი ცხოვრების საკითხი აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში, ფსიქოლოგია, XI, 1957, გვ. 45—47).

სევლობა („მელა მოძღვარი"), ვაჭართა გაუმაძღრობა, მოლების მსჯნაგობა და ა. შ. სულხან ორბელიანი ამხილებს და დასცინის ადამიანთა მანკიერ თვისებებს. საზოგადოებრივი ზნეობის მახინჯ მხარეებს, პოლიტიკური ცხოვრების უარყოფითს მოვლენებს, დასცინის, მაგრამ არ წუწუნებს. სულხან ორბელიანის მიზანია სწავლა. რასაკვირველია, მწერალი არ იბრძოდა იმ სოციალური წყობის წინააღმდეგ, რომლის წიაღშიც მის მიერ აღწერილი უკეთურებანი ხარობდა, მაინც მხილების მხრით იგი იყო პრინციპული, უკომპრომისო, დაუზოგავი. სულხან ორბელიანზე ზედ გამოჰკრილია მოცინარის სიტყვები: „შენთვის ვიურვე, ვიწუხე, ვინაღვლე, გასწავლე"-ო. სატირულ ასპექტში სულხან ორბელიანმა დაგვიხატა გვიანფეოდალურ საქართველოს რთული საზოგადოებრივი ცხოვრების ცოცხალი სურათი.

საგანგებოდ ყურადღება მისაქცევია სიბრძნე სიცრუის ფრიად ლური კილო.

სიბრძნე სიცრუის ენა და სტილი სადაა, იგი არაა დამძიმებული XVI—XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის სტილისათვის დამახასიათებელი ორნამენტულობით, ანუ „ფიგურობითა" და „ალეგორიებით", როგორც იტყოდა ილია ჭავჭავაძე. სულხან ორბელიანი ძალიან იშვიათად მიმართავს მეტაფორებს. თხზულებაში მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება პერსონაჟთა მეტაფორული დახასიათებანი. ასე. ჯუმბერზე ნათქვამია: „სინათლითა მზე მოშურნეობდა, ათხუთმეტისა დღისა მთვარე მისგან ნათელსა ითხოვდა, ვარსკვლავნი მისსა კამკამებასა გაეცვიფრებინა, შავნი მერცხლისა მხარნი ბროლთა ზედან განპობით დაეშვენებინა, მელნის გუბენი გიშრის ლერწმით შემოესარა, ვარდი და ზამბახი ერთმანეთში აეყვავებინა". მივაქცევ ყურადღებას, რომ ტრადიციული ყორნისა ბოლო აქ შენაცვლებულია მოხდენილი განახლებული მეტაფორით — მერცხლისა მხარნი (წარბები) [37]. უნდა შევნიშნოთ, რომ სულხან ორბელიანი სხვა შემთხვევაშიც მიმართავს მერცხალს, როგორც შედარების საგანს. მაგალითად. ლეონ ჭაბუკის მეტყველების შესახებ იგი ამბობს: „მერმე აუბნა თვისი ბულბულის უტკბილესი ენა. ყოველსა კაცსა ასე ეგონა, პირსა იადონი უბუდებსო. ან მერცხალი ჰიკჰიკებსო". აგრეთვე იშვიათად და გამონაკლისად სიბრძნე სიცრუეში დაიძებნება მაღალფარდოვანი მხატვრული შედარების ნიმუშებიც, როგორც მაგალითად: „ლეონ მოახსენა (მეფეს):

---

[37] ვისრამიანში რამინის „შავნი წვერნი" დასახულია „მერცხლის ბოლოდ" (ვისრამიანის 1938 წლ. გამოცემა, გვ. 9). ეს გარემოება შენიშნული აქვს გ. ლეონიძეს (სიბრძნე სიცრუის 1928 წლ. გამოცემის შესავალი წერილი, გვ. CC. IX. შენ. 1).

ჯერეთ მოწყალებისა ქარით მხრისხანებისა ღველფი განაბნივე და სიტკბოსა წყლითა მ სი ალი დაშრიტე". შედარების ხერხით სულხან ორბელიანი ფართოდ სარგებლობს.

სიბრძნე სიცრუისათვის დამახასიათებელია ცოცხალი დიალოგები, რაც უმეტეს წილად ცხარე კამათის ფორმას ღებულობს. ვიქტორ შკლოვსკიმ ასეთ კამათს უწოდა იგავ-არაკებით, ანუ ზღაპრებით კამათის ხერხი (прения сказками)[38]. ეს ხერხი მიღებულია ჭილილა და დამანაში, სინდბადის წიგნში და ჩარჩოიანი ტიპის ზოგიერთ სხვა მოთხრობაში. იგავ-არაკების ადგილსა და ხასიათს სიბრძნე სიცრუეში აწესრიგებს აღზრდის საკითხების გარშემო ამტყდარი დავის მიმდინარეობა. ამა თუ იმ დებულების საილუსტრაციოდ მოპაექრეებს მოჰყავთ შესაფერისი იგავ-არაკები (ან ზღაპრები, ანეგდოტები, გამოცანები და ა. შ.). სხვა რაიმე გარეგანი საბაბი ამისათვის მოხმობილი არ არის. მხოლოდ ორ შემთხვევაში გვხვდება ჩარჩოიან მოთხრობებში ჩანართი ნოველების გასამართლებლად მიღებული შეკითხვის ტრადიციული ფორმულა: „როგორ ყოფილაო".

ისეთი ტიპის ჩარჩოიან მოთხრობათა კრებულში, როგორიცაა მაგალითად ჭილილა და დამანა, ფაბულური ჩარჩო თითქმის არავითარ არსებითს როლს არ თამაშობს. იქ მთელი ინტერესი გადატანილია მხოლოდ ჩანართ მოთხრობებზე (იგავ-არაკებზე). „სიბრძნე სიცრუეში" ამ მხრით დამყარებულია გარკვეული წონასწორობა და სიმეტრიულობა. „სიბრძნე სიცრუეში" ფაბულა არ არის უბრალო ჩარჩო. როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, ძირითადი იდეური ჩანაფიქრი სულხან ორბელიანს ჩაქსოვილი აქვს ფაბულურ ამბავში. იგავ-არაკები ემსახურება ფაბულური ამბით დასმული პრობლემის მხატვრულად გახსნას, დასაბუთებას. როგორც გარკვეული ტიპის ჩარჩოიან მოთხრობათა კრებული „სიბრძნე სიცრუისა" სანიმუშოა და მას ერთი პირველი ადგილთაგანი უნდა მიეკუთვნოს მონათესავე კრებულთა შორის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის მასშტაბით[39].

სიბრძნე სიცრუისა პროზაული ნაწარმოებია. ესეც დიდად საგულისხმო გარემოებაა. XV—XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში პროზა არ ფასობდა. მას მწერალიც გაურბოდა და მკითხველიც.

---

[38] Виктор Шкловский. О теории прозы, Москва, 1929. გვ. 83—84.

[39] „Высокой степени художественного мастерства достиг этот жанр (ლაპარაკია „ჩარჩოიან" მოთხრობათა ჟანრის შესახებ. ა. ბ.) в произведении замечательного грузинского баснописца Сулхана-Саба Орбелиани „О мудрости вымысла" (Анекдоты о Ходже Насреддине. Перевод с турецкого В. Л. Гордлевского. Предисловие И. Брагинского. стр. 8).

მაშინ სალექსო ჟანრები ბატონობდა. სულხან ორბელიანი ამ მხრითაც თავისებურია და საკუთარი მეობის პატრონი. იგი არ აჰყვა ეპოქის სტილსა და გემოვნებას. მართალია, პოეზიაშიც მშვენიერი სიტყვა თქვა. მაგრამ სულხან ორბელიანი მაინც მხატვრული პროზის სწორუპოვარ ოსტატად რჩება ქართულ მწერლობაში. ამის საბუთი უწინარეს ყოვლისა სიბრძნე სიცრუის წიგნი. სულხან ორბელიანმა მხატვრულ პროზას აღუდგინა დიდების ღირსი. ვისრამიანის შემდეგ მკითხველმა სიბრძნე სიცრუის სახით პირველად იხილა სრულყოფილი მხატვრული პროზაული ნაწარმოები. სიბრძნე სიცრუემ მხატვრულ პროზას კვლავ განუმტკიცა შერყეული ავტორიტეტი. ესეც არის სიბრძნე სიცრუის ავტორის დიდი დამსახურება ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში. სიბრძნე სიცრუეს მოჰყვა ახალი პროზაული შედევრები — მოგზაურობა ევროპაში, ქილილა და დამანა. განსხვავებული ჟანრისა, სტილისა და იდეური მიდრეკილებისაა, მაგრამ ლიტერატურულად ფრიად საყურადღებოა სულხან ორბელიანის „სწავლანიც“.

სიბრძნე სიცრუისა თავისი სიუჟეტით, კომპოზიციით, იდეური შინაარსით ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებია. ორიგინალურია „ჩარჩოს“ ამბავიც და ჩანართი მოთხრობებიც (იგავ-არაკები, ზღაპრები და მისთანანი). რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავტორი სხვადასხვა მასალებით არ სარგებლობდა. სულხან ორბელიანი იყო ფართოდ განათლებული, ერუდიტი მწერალი. იგი კარგად იცნობდა მშობლიურ ლიტერატურასა და ფოლკლორს, მისთვის ხელმისაწვდომი იყო მეზობელი კულტურული ხალხების მწერლობაც. ავტორის ფართო ლიტერატურული ჰორიზონტი და ფართო ლიტერატურული ინტერესები კარგად იგრძნობა სიბრძნე სიცრუის წყაროების შესწავლის გზითაც. ძირითადი წყაროები, რომელთაც ავტორი იყენებდა, იყო ქართული მწერლობის ძეგლები, ქართული ხალხური სიტყვიერება და ე. წ. მოარული ხასიათის იგავ-არაკები.

სიბრძნე სიცრუის საერთო სიუჟეტური ჩარგის ერთგვარ ლიტერატურულ პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს ძველი ქართული მწერლობის ის შესანიშნავი ძეგლი, რომელსაც ეწოდება „სიბრძნე ბალაჰვარისი“ (ბალავარიანი). ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. ლენგმა სწორად აღნიშნა: „სულხან-საბას სწორედ ბალავარიანი ჰქონდა გულში. ანდა გულის კუნჭულში მაინც, როდესაც თავის წიგნზე მუშაობას შეუდგაო“ [40]. სულხანის იგავ-არაკთა კრებულის სათაურიც ბალავარიანით უნდა იყოს ჩაგონებული (სიბრძნე ბალაჰვარი-

[40] დ. ლ ე ნ გ ი. სიბრძნე სიცრუისა-ს სათაურისათვის („მნათობი“, 1957, V, გვ. 162).

სი: სიბრძნე სიცრუისა). უფრო საყურადღებოა საგანთა არსი. „სიბრძნე ბალაჰვარისიც" და „სიბრძნე სიცრუეც" სიბრძნეს გამოხატავს უმთავრესად სიცრუის გზით, ალეგორიული, იგავური ენით. კომპოზიციურად ორივე თხზულება ერთგვარია. შეინიშნება მსგავსებანი სიუჟეტური მოტივების დეტალებში. აბენესსა და ფინეზს გვიან მიეცათ ერთადერთი ვაჟი-შვილი. ერთმაც და მეორემაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბავშვის აღზრდას. იოდასაფიც და ჯუმბერიც იმთავითვე მოაცილეს საკარო გარემოს. ცალკე სასახლე აუგეს და იქ გადაიყვანეს აღსაზრდელად, მწვრთნელად საგანგებოდ შერჩეული მასწავლებელი შეურჩიეს [41].

ლეონ ჭაბუკის ნახვა უთუოდ მოგვაგონებს უცხო მოყმის (ტარიელის) ნახვას ვეფხისტყაოსანში. მეფე ფინეზი და მისი მხლებელნი სანადიროდ იყვნენ გასულნი, „ნადირი ურიცხვი მოწყვიდეს. შემოიქცეს და მოვიდეს ალაგს ერთსა. კვიპაროსი იდგა შვენიერი, ძირს წყაროჲ დიოდეს... ხის ჩრდილსა ჭაბუკი მძინარე იყო, თან აკაზმული ცხენი ებაო". დაახლოებით ასეთი სურათია ვეფხისტყაოსანში (ოღონდ ვეფხისტყაოსნით, უცხო მოყმეს კი არ ეძინა, არამედ „ჯდა მტირალი წყლისა პირსა"). ერთმანეთს ჰგავს მეფე ფინეზისა და ამირან დარეჯანის ძის სიზმარი. როგორც ცნობილია, ამირან დარეჯანის ძეს თავისი უცნობი საცოლე ეზმანა, რომ გაეღვიძა „ეტრატითა დაკრული ქალისა სახე კედელსა ზედა ეწერა". ფინეზ მეფეს ეზმანა მშვენიერი ჭაბუკი (ლეონი), რომელმაც „სახე თვისი, ეტრატსა ზედა გამოწერილი, ხელთა მისცა". სიბრძნე სიცრუეში გვხვდება ამირანდარეჯანიანით ცნობილი სტერეოტიპული ფრაზები, როგორც მაგალითად: „არა არს პირსა ყოვლისა ქვეყანისასა". მოიძებნება სხვა წერილმანი მსგავსებანიც. სიბრძნე სიცრუეს დასტყობია ვისრამიანისა და როსტომიანის ერთგვარი ზეგავლენის ნაკვალევიც. შედარებით მეტი აქვს საერთო სიბრძნე სიცრუეს ქილილა და დამანასთან. ერთი სიტყვით, სულხან ორბელიანის ამ ლიტერატურულ შედევრში აღბეჭდილია ავტორის დიდი ნაკითხობა და განსწავლულობა ძველ ქართულ მწერლობაში. რაც შეეხება კერძოდ სიბრძნე სიცრუის იგავ-არაკებს, როგორც ვთქვით, ავტორს ამ მხრით ფართოდ მოუხმია ე. წ. მოარული სიუჟეტები ნაწილობრივ მწიგნობრული გზით, ნაწილობრივ (და საფიქრებელია უფრო მეტად) ხალხური სიტყვიერე-

---

[41] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 350; ი მეგრელიძე. სიბრძნე სიცრუის სათაურის შესახებ („ლიტერატურული გაზეთი", 20.8.54).

ბიდან. სიბრძნე სიცრუეში საკმაო რაოდენობით ვხვდებით ისეთ იგავ-არაკებს, ზღაპრებს და ანეგდოტებს, რომელთა სიუჟეტები ცნობილია პანჩატანტრათი, ჰიტოპადეშით, ქილილა და დამანათი, სინდბადის წიგნით, ბახთიარ-ნამეთი, თუთი-ნამეთი, სიბრძნის სალაროთი, ხოჯა ნასრედინზე არსებული ანეგდოტებით, ვარდანის იგავებით, მელის წიგნით, ეზოპეს იგავ-არაკების კრებულით და სხვ. [42]. ამისდა მიუხედავად დიდი სიფრთხილით შეიძლება ლაპარაკი სიბრძნე სიცრუის ავტორის მხრით უცხო ლიტერატურული წყაროებით სარგებლობის შესახებ. ჩვენი მოსაზრებით, სულხან ორბელიანი უპირატესად მაინც ზეპირის გზით უნდა გასცნობოდა მის მეირ გამოყენებულ უცხოური წარმოშობილობის მასალებს. თუ როგორ იყენებდა და თავის შემოქმედების ბრძმედში როგორ ამუშავებდა „ნასესხებ" სიუჟეტებს. ამის თაობაზე გარკვეულ წარმოდგენას მოგვცემს ერთი ტიპიური ნიმუშის გაცნობა. ასეთ ნიმუშად ვიღებთ ძალიან გავრცელებულ იგავ-არაკს „გლახაკი და ქილა ერბო". ამ იგავ-არაკის პროტოტიპი გვაქვს ძველ ინდურ პანჩატანტრასა და ჰიტოპადეშაში, ქილილა და დამანას ჩვენამდე მოღწეულ უძველეს არაბულ ვერსიაში (მე8 ს.) და ქილილა და დამანას ანვარი სოჰაილის რედაქციაში (მე-15 ს.). აღნიშნული იგავ-არაკის პირველ-წყარო პანჩატანტრაა, მაგრამ მან დროთა განმავლობაში ტრანსფორმაცია განიცადა.

პანჩატანტრას რედაქცია

პანჩატანტრას იგავ-არაკს შეიძლება ეწოდოს „გატეხილი ქოთანი" (ქილა). აქ მოთხრობილია, რომ ერთ ქალაქში ცხოვრობდა ბრაჰმანი. სახელით სვაბჰავაკრიპანა (რაც ნიშნავს „ბუნებით ძუნწი"). ნასუფრალიდან სამოწყალოდ ახვეტილი ქერის ბურღულით ქოთანი (ქილა)

---

[42] სიბრძნე სიცრუის შესაძლებელი წყაროები დიდი გულმოდგინებით აქვს გამოძიებული პროფ. ს. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ს (Die Weisheit der Lüge, ბერლინი, 1933, გვ. 11—53). ამ საგანზე იხ. აგრეთვე ალ. ც ა გ ა რ ლ ი ს კომენტარები, რომელიც დართული აქვს სიბრძნე სიცრუის რუსულ თარგმანს (პეტერბურგი, 1878); კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952. გვ 351—352; გ. ლ ე ო ნ ი ძ ე. სიბრძნე სიცრუის 1928 წლის გამოცემის შესავალი წერილი, გვ. CXC—CXCVII: ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 270—272; ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ლეონარდო და ვინჩი და სულხან-საბა ორბელიანი („მნათობი", 1947, № 1—2, გვ. 266—276); ალ. გ ვ ა ხ ა რ ი ა. სიბრძნე სიცრუის ერთი არაკის შესახებ. ცალკე ამონაბეჭდი. თბილისი. 1955.

გაავსო. ქოთანი ლურსმნით კედელზე ჩამოკიდა, მის ქვეშ საწოლი გამართა, თვალს არ აშორებდა.

ერთხელ ღამით (ბრაჰმანი) ფიქრებმა წაიღო: ეს ქოთანი ახლა სავსეა ქერის ბურღულით. თუ შიმშილობა მოხდა, ქოთანი ას რუპის მომიტანს. ამით ვიყიდი წყვილ თხას. ყოველ ექვს თვეში მონაგებს მივიღებ, გამიხდება თხის მთელი ჯოგი. შემდეგ, თხების საფასურით შევიძენ ძროხებს. ძროხები რომ ხბოებს მოიგებს, ხბოებს გავყიდი. შემდეგ, ძროხების საფასურით შევიძენ ფურ-კამეჩებს, ფურ-კამეჩების საფასურით — ფაშატებს, მათი მონაგებით ბევრი ცხენი მეყოლება. ცხენების გაყიდვა ბევრ ოქროს მომცემს. ოქროთი სასახლეს ავიშენებ.

შემდეგ ვინმე ბრაჰმანი მეწვევა, თავის ქეკლუც ასულს ცოლად მომცემს მზითევით. იმისგან ვაჟი მეყოლება, სახელად დავარქმევ სომაშარმანს. რთცა ისე წამოიზრდება, რომ მუხლებზე ქანაობა შეეძლება, წიგნს ვიყიდი, საჯინიბოს უკან ჩამოვჯდები და კითხვას დავიწყებ. დედის მუხლებზე მყოფი სომაშარმანი დამინახავს, ჩემს მუხლებზე ქანაობას მოისურვებს, წამოვა და ჩემს ახლო მყოფ ცხენებს მოუახლოვდება. გაბრაზებული ცოლს შევუყვირებ: „წაიყვანე, წაიყვანე-მეთქი, ყმაწვილი“. საოჯახო საქმით გართული, იგი ჩემს ნათქვამს ვერ გაიგონებს. მაშინ მე წამოვიჭრები და მას წიხლს ვკრავ.

ბრაჰმანი ისე გაიტაცა ფიქრებმა, რომ ფეხი გაიქნია, ქოთანს მოხვდა, ქოთანი გატყდა [43].

ჰიტოპადეშის რედაქცია

ქალაქ დევკოტაში ოდესღაც ცხოვრობდა ერთი ბრაჰმანი სახელით ვედასაზმანი. ერთხელ, ბუნიობის ჟამს, მან იპოვა ჯამი სავსე ფქვილით. ამით მივიდა იგი ერთი მექოთნის სავაჭრო დუქანში, რომელიც გავსებული იყო ჭურჭლით, წამოწვა კუთხეში დასაძინებლად და მიეცა ფიქრს: თუ ჩემი ჯამი ფქვილი გავყიდე, ნამდვილად მოვიგებ ათ გროშს; იმ ფულით ვიყიდი ქოთნებს და (სხვა) ჭურჭლებს; იმათ კვლავ გავყიდი, ამგვარად გაიზრდება ჩემი სალარო. შემდეგ დავიწყებ ვაჭრობას კაკლით, ფართლით და სხვა საქონლით, ასიათასის ქონებას შევიძენ. მაშინ მოვიყვან ოთხ ცოლს, ყველაზე ნორჩსა

---

[43] Панчатантра. Избранные рассказы. Перевод с древне-индийского, предисловие и примечания Р. О. Шор. Москва, 1930, გვ. 129—130, Панчатантра. Перевод с санскрита и примечания А. Я. Сыркина. Москва, 1958, გვ. 293—294.

და ლამაზ ცოლს სათუთი სიყვარულით მოვეპყრობი. სხვებს ეჭვი შეაჭირვებს. მაგრამ მხოლოდ ლანძღვა-გინებას თუ გაბედავენ. „მათ ვაგრძნობ-ნებ ჩემს მრისხანებას და განვაცდევინებ ჩემი ჯოხის სუსხს", წამოიძახა და მოიქნია თავისი ჯოხი. მისი ჯამი და კარგა ბლომად სხვა ჰურჰელი ნამტვრევებად იქცა. ხმაურზე მოიჭრა მექოთნე, დაცინვითა და ლანძღვა-თრევით გააგდო ბრაჰმანი თავის დუქნიდან [44].

ქილილა და დამანას არაბული ვერსია

(იბნ-ალ-მუყაფფას თარგმანი, მე-8 ს.)

ამბობენ, რომ ერთი ვაჭრისაგან ღვთისმოსაგი საზრდოდ ღებულობდა ერბოს, თაფლს და ფქვილს. რაც რჩებოდა, აგროვებდა დერგში (რაც წინასწარ ჰქონდა მომარაგებული). ასე გაავსო დერგი. შემთხვევით ერბო და თაფლი გაძვირდა. მაშინ მან თქვა: „სულ მცირე ამას დრაჰკანად გავყიდი და იმით ვიყიდი ათ თხას. ხუთი თვის შემდეგ ისინი მოიგებენ ციკნებს". ანგარიშობდა, თუ ამგვარად რას მიიღებდა ხუთი წლის განმავლობაში; გამოდიოდა, რომ ოთხასზე მეტი სული თხა ეყოლებოდა. მან თქვა: „ას სულ საქონელს ვიყიდი, ოთხოთხ თხაში მერგება ხარი თუ ძროხა; ვიშოვი სათესლეს, ხარებით მოვხნავ საყანეს. ხორცი და რძე ხომ (თავსაყრელი) მექნება. ხუთი წელიც არ გავა, რომ საქონლისა და ნათესისაგან დიდ ფულს შევიძენ. მაშინ ავიშენებ საუცხოო სახლს, ვიყიდი მონებს, ტანსაცმელს და სხვადასხვა ავეჯს. როცა ყოველივე ამას მოვითავებ, ცოლად მოვიყვან ლამაზსა და კეთილშობილ ქალს. იგი მუცელქმნული შეიქნება და მიშობს ვაჟს, ჯანღონით სავსეს, ლამაზს, ღვთისმოსავსა და კეთილს. დავარქმევ მის შესაფერისს სახელს, კარგად აღვზრდი, ამას მოვანდომებ მთელ ჩემს ძალ-ღონეს. თუ შევიტყე, რომ იგი უგუნური და ურჩი გამოვა, ეი, ასე ვუშენ თავში ჯოხს". ჯოხი მოიქნია და დერგს მოახვედრა. დერგი გატყდა, თავზე გადაეღვარა ერბო და თაფლი. ასე უბრალოდ გარდაქარდა მისი გეგმები და ოცნებანი [45].

---

[44] Hitopadesa. Die freundliche Belehrung. Iohannes Hertel-ის თარგმანი, ლაიფციგი, 1894, გვ. 153 (შდრ. Книга мудрости и лжи, პეტერბურგი, 1878, გვ. 195—196).

[45] Калила и Димна. Перевод с арабского И. Ю. Крачковского и И. П. Кузьмина. М.—Л., 1931, გვ. 254—255.

ქილილა და დამანას ახალ-სპარსული რედაქცია ქაშიფისა
(მე-15 ს.)

მოუყვანიათ, რომ ერთს მოღვაწეს კაცს ერთი ბაზირგნის მეზობლად სახლი ჰქონდა. მას ბაზირგნის სამსახურისაგან თავის სიცოცხლეს მოსვენებით ატარებდა. ბაზირგანი ყოვლთვის თაფლსა და ერბოს ჰყიდდა და სარგებლის ერბოიანსა და თაფლიანს აღებ-მიცემას იქმოდა ამ ძალით, რომ იმ მოღვაწეს ქებული სიცოცხლე ჰქონდა და ყოვლთვის ღვთის სიყვარულის თესლს რომ თავის გულის სახნავში სთესევდა. ბაზირგანს იმაში ერთი სანდოობა ეპოვნა, მის საზრდოს თავის შეძლების ოდნად აძლევდა. მჭონიაობის სარგებელი ის შეიქნების, რომ ერთის დავრდომილის გული ხელში დაიჭირონ და უკვდავი საგძალი მოკვდავის საქონლისაგან აიღონ. (ლექსი)

მდიდარო, გლახაკისა და საბრალოს გული ხელთ დაიჭირე,
რომ ქონება თეთრისა და თვალ-მარგალიტისა არ შეგრჩება.

ბაზირგანსაც დრო შემოუარდა და ყოვლთვის მას აღებ-მიცემაჲ ცდილობდა მისის გულისათვის, ცოტას რასმე იმ საბრალოსათვის გაგზანიდა. ზეიდიც მისგან ცოტას რასმე მოიხმარებდა და მონარჩომს ერთს კუთხეში მისდებდა. ცოტას ხანში ერთი ქილა იმითი აავსო. ერთს დღეს ის საბრალო იმ ქილას უყურებდა და ფიქრობდა: „ნეტა თუ რანითი თაფლი და ერბო ამაში დაგროებულ იყოს“. ბოლოს ის ისრე ორ ლიტრათ ჩააგდო და თქვა: „ათ დინრათ გამიეაო. და ამას გავყიდი და მისის ფასით ხუთს ცხვარს ვიყიდი. და ეს ხუთი ცხვარი ყოვლს ექვს თვეში ხუთივ შობს, თითოჯერ ორს ბატკანს მომცემს. წლის თავს ოცდახუთი შეიქნება და ათს წელიწადში მათის თესლით ცხვრის გალები შემეყრება, და ზოგს გავყიდი და ჩემს საქმეს გავასწორებ და ერთს დიდის კაცის ქალს შევირთავ. ცხრას თვეს უკან ერთი ვაჟი მეყოლება და მართებულობასა და ცოდნას ვასწავლი. მაგრამ რა ყმაწვილობის უღონობიდან სიდიდის ღონეში შევა, მგონია, რომ ჩემი წვრთნა არ ისმინოს. და თუ გამწეობა ქნას და ამ საქმეზე მისი დატუქსვა საქნელი არის და ამ არგანით, რომ ხელში მაქვს, უნდა ასე დავჰკრა“. და აიღო ის არგანი. და ასეთს გულისთქმის ზღვაში ჩაღუპვილიყო, რომ უარშიო შვილი თავის წინ ეგონა და არგანი დაჰკრა და ის ქილა, რომ თაფლი და ერბო იდგა, გასტეხა.

და ის ქილა მაღლა თახჩაში იდგა და თვითან მის თახჩას ქვეშ პირდაპირ უჯდა და რა არგანი ქილას მოხვდა, მაშინვე გატყდა და თაფლი და ერბო სულ მას თავსა, წვერულვაშსა და ტანისამოსზე გარდედინა. და ის ყველა გულისთქმა გაუცუდდა [46].

სიბრძნე სიცრუის რედაქცია

ერთი გლახაკი კაცი მივიდოდა გზასა ზედა და ერთი ქილა ერბოჰპოვა. აიღო ქილა, საკიდარში ჯოხი გაუყარა და მხარზე შეიდვა. დაიწყო გზა-გზა სვლა და გულთა ამასა უბნობდა: „აწ გამდიდრება ჩემი მოინება ღმერთმან. ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილაჯ გავყიდი. მით თორმეტს სამამლე წიწილას ვიყიდი, მოვიყვან, დავზრდი, დავყვერავ, დავასუქებ და თითოს თითო აბაზად დავყიდი. მერმე მით საეშვე გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ, დავაკარატებ და ორორ მარჩილად დავყიდი. მერმე მით სახარე ხბორებს ვიყიდი, ხარებს დავზრდი, მოვხნავ, მოვთესავ და აშენებული შევიქნები“. ამ გულისთქმაში შეშა აუდვა და ქალაქს გასასყიდად წამოიღო. ერთი ხიდი დახვდა. თქვა მან კაცმან: „აქ ხარი არ გაიარს, ხმა გავცეო“. შესძახა: „ჰარიო“. დაუქნია ჯოხი, ერბოს ქოთანი ხიდზე დაჰკრა, ქოთანი გატეხა, ერბო დაიქცა. მისის გულისთქმით გამდიდრება წუთზე წაუხდა.

თუ მოყვანილ ტექსტებს დავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ სულხანისეული „გლახაკი და ქილა ერბო“ სიუჟეტურად უკავშირდება აღმოსავლური წარმოშობის ანალოგიურ იგავ-არაკებს. ოღონდ ქართულს ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი. ტექსტი აქ ლაკონიურია (რაც სიბრძნე სიცრუის სტილის საერთო თვისებაა), იგი გაცხრილულია არაპირდაპირი ხასიათის წვრილმანი შინაარსობლივი მოტივებისაგან. ოთხივე უცხოურ რედაქციაში სიუჟეტურად და შინაარსობლივად ცენტრალური მნიშვნელობისაა გლახაკის (ბრაჰმანის) მიერ ცოლის შერთვისა და ვაჟის შეძენის ამბავი. ჯოხის ამოქმედებას (და ჭოთნის გატეხას) იქ იწვევს ან ოცნებით წარმოსახული ცოლის საქციელი, ან ასევე ოცნებით შექმნილი ვაჟიშვილის ურჩობა. სულხან ორბელიანისათვის ეს მოტივი სრულიად უცნობია. ჯოხის მოქნევისა და ქილის დამტვრევის ასახსნელად ქართულში უფრო ბუნებრივი სიტუაციაა მოგონილი (ოცნებით შეძენილ ხარებს გლახამ შეშა აუდვა, გასარეკად შეუძახა და ჯოხი მოუქნია...). ქართულის

[46] ვახტანგისეული თარგმანის პწკარედი (ლენინგრადული უნიკალური ხელნაწერის ფოტოპირი, გვ. 535—536).

სიუჟეტისათვის ნიშანდობლივია, ასე ვთქვათ, სასოფლო-საყოფაცხოვრებო მოტივები (ხარების შეძენა, მიწის მოხვნა, მოსავლის მოყვანა, შეშის გადაზიდვა...), რაც მუყაფას ქილილა და დამანაში მოცემულია ჩანასახის ფორმით, მაგრამ განვითარებული არაა. ქართული ივავ-არაკი აგებულია ღარიბ-ღატაკი გლეხის სანეტარო, ოღონდ ფუჭი ოცნების გამამხრუებელ განცდებზე. აქ წინა რიგზეა წამოწეული სოციალურ-ყოფაცხოვრებითი მხარე. აღნიშნულის მიხედვით „გლახაკი და ქილა ერბოს“ უპირატესობა სადავო არ უნდა იყოს.

პანჩატანტრათი და მასზე დამოკიდებული ჰიტოპადეშით ბრაჰმანის ოცნებითი გამდიდრება იწყება ქერის ბურღულით სავსე ქოთნის პოვნით. ქილილა და დამანას არაბული ვერსიით, გლახაკმა ერთი ქილა (დერგი) ნაწყალობევი თაფლი, ერბო და ფქვილი დააგროვა, ქაშიფისეული ქილილა და დამანათი გლახაკმა გამოიზოგა თაფლა და ერბო, ქართულით კი გლახაკმა ქილა ერბო იპოვა. ესეც ქართულის სასარგებლოდ ლაპარაკობს. რასაკვირველია, არაბუნებრივი იქნებოდა ერთ ქოთანში (დერგში, ქილაში) თაფლისა და ერბოს (მით უფრო თაფლისა, ერბოს და ფქვილის) ერთად შეზავება. როგორც ვთქვით, პანჩატანტრათი და ჰიტოპადეშით ბრაჰმანი იძენს ქერის ბურღულს ან ფქვილს. მუყაფას ქილილა და დამანაში ფქვილს გადმონაშთის ადგილი უჭირავს (გლახაკი ქველმოქმედი ვაჭრისაგან საზრდოდ ღებულობდაო ერბოს, თაფლსა და ფქვილს), ქაშიფისთან იგი სრულიად ქრება, როგორც შინაარსობლივად შეუფერებელი. ქართულით გლახაკი იძენს მხოლოდ ერბოს. მაინც ერბოს მოტივით სიბრძნე სიცრუისა უფრო ენათესავება ქილილა და დამანას, თუმცა მას საკუთარი და დამოუკიდებელი მნიშვნელობის გააზრება აქვს. ერთი სიტყვით, აღმოსავლური სამყაროს განხილულ ივავ-არაკებთან შეპირობებით სულხან ორბელიანის „გლახაკი და ქილა ერბო“ მოფიქრებული, გააზრებული და დამუშავებულია ორიგინალურად. უშუალოდ იგი არც ერთი, ზემოთ მოყვანილი, ტექსტისაგან დამოკიდებული არ არის. ეჭვი არაა, რომ აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურასა თუ ზეპირ სიტყვიერებაში დაიძებნება ანალოგიური შინაარსის სხვა, იქნებ სულხანის ტექსტთან უფრო დაახლოებული, ვარიანტი (დასავლურ მასალებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ აქვს). მაგრამ უკვე ჩატარებული ექსკურსიც მეტყველებს სულხან ორბელიანის ივავ-არაკის კონსტრუქციულსა და შინაარსობლივ თავისთავადობაზე, სულხანის შემოქმედებითს დამოკიდებულებაზე „მოარული“ თუ „ნასესხები“ სიუჟეტებისადმი. ყველაფრიდან ჩანს, რომ სულხან ორბელიანი უცხოური მწიგნობრული წყაროებით არ სარგებლობდა, ჩვეულებრივად იგი მიმართავდა უცხოური მწიგნობრული

წყაროების ქართულ თარგმანებს [47]. ამის საუკეთესო მაგალითია „სადაფი და კირჩხიბი“, რომელიც სულხან ორბელიანს დაუმუშავებია. ბასილი კესარიელის თხზულების „ექუსთა დღეთათვის“ მიხედვით [48]. „გლახაკი და ქილა ერბოს“ პროტოტიპის შემცველი ძეგლები სულხანის დროს ქართულად ნათარგმნი არ უნდა ყოფილიყო (შემდეგში, გვიან, სულხანმა თვითონ გაჩალხა და გააწყო ქაშიფისეული ქილილა და დამანას ქართული პწკარედი თარგმანი). „მოარულ“ სიუჟეტებს სულხან ორბელიანი ზეპირის გზით ეცნობოდა.

სულხან ორბელიანი ასევე შემოქმედებითად იყენებდა ქართველი ხალხის საკუთარი ზეპირი სიტყვიერების ნაყოფსაც. გ. ლეონიძეს მითითებული აქვს საგულისხმო პარალელები სიბრძნე სიცრუის იგავ-არაკებსა და ქართული ხალხური სიტყვიერების მასალებს შორის [49]. ელ. ვირსალაძის მიერ გამოქვეყნებული „ქართული ხალხური ზღაპრების“ რჩეულს დართული აქვს რედაქტორის შენიშვნები სიბრძნე სიცრუის რიგ პარალელებზე მითითებით [50]. ყველა მითითება სწორია. ქართული ხალხური ზღაპრების შინაარსი მეტ-ნაკლები სიახლოვით ემთხვევა სულხანის ტექსტებს. ოღონდ ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთი ხალხური ზღაპარი თვითონაა „მოარული“ რიგისა. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ, მართალია, სულხანი სწავლობდა და იყენებდა ხალხურ მასალებს (ახლა დოკუმენტურად ცნობილია, რომ სულხან ორბელიანი ხალხურ წყაროებს თავისი ლექსიკონისთვისაც იყენებდა), მაგრამ თავის მხრით მისი იგავ-არაკებიც გადადიოდა ხალხში, ხალხური ხდებოდა [51].

---

[47] შდრ. ალ. გვახარია, სიბრძნე სიცრუის ერთი არაკის შესახებ, 1955, ალ. ბარამიძე, სიბრძნე სიცრუის გარშემო („მნათობი“, 1957, XII, გვ. 148).

[48] ა. გაწერელია, ლეონარდო და ვინჩი და სულხან-საბა ორბელიანი („მნათობი“, 1947, № 1—2, გვ. 267—271).

[49] სიბრძნე სიცრუის 1928 წლის გამოცემის შესავალი წერილი, გვ. CXCII—CCVII.

[50] რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, ელ. ვირსალაძის რედაქციით, შესავალი წერილით და შენიშვნებით, თბილისი, 1949, გვ. 485—496 (№№ 6, 7, 30, 38, 50, 63, 79, 81, 87). შდრ. მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 157—158.

[51] ამის ერთი კონკრეტული ნიმუში ნაჩვენებია გ. ლეონიძის დასახელებულ ნარკვევში, გვ. CCIV—CCVI.

ამასთან დაკავშირებით ისევ უნდა დავუბრუნდე იგავ-არაკს „გლახაკი და ქილა ერბო“. ამას წინათ ალ. ღლონტმა გამოაქვეყნა ნარკვევი „სულხან-საბა ორბელიანის ორი იგავის ფოლკლორული წყაროები“ (ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1958, № 2, გვ. 54—58). ნარკვევში მოყვანილია „გლახაკი და ქილა ერბოს“ გურიაში ჩაწერილი ხალხური ვარიანტი „ქვრივი ქალი და ერთი ქოთანი ნადული“; საერთო სიუჟეტურ ასპექტში

სულხან ორბელიანის იგავ-არაკების ზემოქმედება ხალხურ სიტყვიერებაზე ისევე უცილობელია, როგორც უცილობელია ხალხური სიტყვიერების ზემოქმედება სულხან ორბელიანის შემოქმედებაზე. აქ უნდა გავიმეოროთ დ. ლენგის მიერ თქმული სიტყვები სულხან ორბელიანის მხრით სხვადასხვა, მწიგნობრული და ხალხური მასალების შემოქმედებითად ათვისების თაობაზე: „ადამიანი არ შეიძლება არ განაცვიფროს იმ ხელოვნებამ, რომლითაც სულხან-საბა ორბელიანმა ერთმანეთში შეადუღა ეს ნაირ-ნაირი მასალა, რათა მკაფიო და ჭეშმარიტი ქართული ხალხური სურნელებით გაჟღენთილი ერთიანი თხზულება შეექმნა“ [32].

„სიბრძნე სიცრუისა“ ნამდვილი სახალხო წიგნია. შემთხვევითი როდია, რომ მისი ხელნაწერები ძლიერ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში. „სიბრძნე სიცრუის“ იგავ-არაკების შემდგომ პოპულარობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ბევრი მათგანი ლექსად შეაწყო ცნობილმა ქართველმა პოეტმა რაფიელ ერისთავმა. სიბრძნე სიცრუის იგავ-არაკებს ქართველ ახალგაზრდობას აყვარებდა იაკობ გოგებაშვილი. „სიბრძნე სიცრუისა“ ბევრჯერ არის ბეჭდურად გამოცემული. იგი ნათარგმნია რუსულ და უცხო ენებზე. რუსულად პირველად გადათარგმნა პროფ. ალ. ცაგარელმა (Книга мудрости и лжи, პეტერბურგი, 1878). ალ. ცაგარლის თარგმანის ახალი, ლიტერატურული რედაქცია დაიბეჭდა თბილისში 1939 წელს (Мудрость лжи. Перевод с грузинского Ал. Цагарели. Редакция предисловие, комментарии С. Иорданишвили. Литредакция Ю. Тынянова).

ამ იგავ-არაკთა ლიტერატურული და ხალხური ვარიანტები ერთმანეთს ემთხვევა. ყურადღებას იპყრობს ერთი დეტალი: სულხან-საბას რედაქციით, გლახაკმა იპოვა ერთი ქილა ერბო, ხალხური ვარიანტით — ერთი ქოთანი ნადუღი. გურულისათვის არ შეიძლება დამახასიათებელი იყოს არც ერბო და არც ქილა (ქილა გურიაში ეწოდება სხვა საწყაო ერთეულს). მეორე მხრივ, ქილა ერბო უკვე ქილილა და დამანათი არის დადასტურებული. ეს გარემოება ლაპარაკობს ჩვენი იგავ-არაკის ლიტერატურული რედაქციის პრიორიტეტობაზე. „ქვრივი ქალი და ერთი ქოთანი ნადუღი“ სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ ნიადაგზე უნდა იყოს წარმომობილი. მკითხველის ყურადღებას მივაქცევ შემდეგს: დამოწმებული იგავ-არაკის გურული ვარიანტის შინაარსის გადმოცემის:ს ალ. ღლონტს ერთგან, წინააღმდეგ სათაურისა და საერთო განწყობისა, ტრადიციისამებრ თვითონ აქვს ნახმარი სიტყვა ქილა (იქვე გვ. 56, სტრ. 7).

[32] სიბრძნე სიცრუისა-ს სათაურისათვის („მნათობი“, 1957, № 5, გვ. 162).

მეორე რუსული თარგმანი შეასრულა ელენე ღოღობერიძემ (О мудрости вымысла. Перевод с грузинского Елены Гоголеридзе под редакцией Е. Г. Лундберга. Москва, 1938, 1951).

სიბრძნე სიცრუისა ინგლისურად გადათარგმნა ოლივერ უორდროპმა (The Book of Wisdom and Lies, ლონდონი, 1894), გერმანულად მ. წერეთელმა (Die Weisheit der Lüge, ბერლინი, 1933). მოიპოვება ნაწილობრივი თარგმანი ფრანგულ ენაზე ჟორჟ შურიესი (Contes georgiens du XVI-ème et XVIII-ème siècles, თბილისი. 1885).

1955 წელს ბუდაპეშტში გამოქვეყნდა სიბრძნე სიცრუის სრული უნგრული თარგმანი. თარგმანის ტექსტს დართული აქვს ალ. ბარამიძის ნარკვევი სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

უკანასკნელ დროს სიბრძნე სიცრუისა გადაითარგმნა უკრაინულ, სომხურ, პოლონურსა და ჩეხურ ენებზე.

რეალისტური ნაკადის შესახებ XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში

საძიებელ საკითხს ჩვენ ადრეც არა ერთხელ შევხებივართ [1]. მაგრამ პრობლემის სირთულე და მისდამი ინტერესის სიმძაფრე უფლებას გვაძლევს მას კვლავ დავუბრუნდეთ. სამართლიანად არის აღნიშნული ჩვენთვის საინტერესო ერთი სპეციალური კრებულის („Ранний буржуазный реализм") სარედაქციო წერილში: „Проблема художественного реализма столь значительна для советского искусствознания во всех отраслях, что возвращаться к ней неисчислимое число раз будем и мы и другие, не считая той или другой работы в этой области окончательной" [2].

ამთავითვე უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან რეალიზმი როგორც გარკვეული შემოქმედებითი მეთოდი, გარკვეული მსოფლმხედველობრივი მიმართულება ლიტერატურაში, რომლის აღმოცენება დაკავშირებულია გარკვეულად პირობადებულ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქასთან, — და ლიტერატურის რეალისტური ნაკადი. სინამდვილის მოვლენათა რეალისტური ასახვის ხერხი საზოგადოდ. რეალისტური ელემენტები ისევე ნიშანდობლივია ძველი მწერლობისათვის, როგორც ნიშანდობლივია მისთვის რომანტიკული ელემენტები. ყოველი დროისა და ყოველი ქვეყნის მწერალი ასე თუ ისე ანგარიშს უწევდა ობიექტურ სინამდვილეს, ასეთი თუ ისეთი ფორმით ასახავდა ობიექტური სინამდვილის მოვლენებს. რა ლაღი ფან-

---

[1] არჩილის ცხოვრება და შემოქმედება (არჩილიანი, II, 1937); გეფხისტყაოსნის ტიპაჟის საკითხისათვის (ლიტერატურული ძიებანი, VI, 1950; აგრეთვე ნარკვევები, III, 1952).

[2] Ранний буржуазный реализм. Л., 1936, გვ. 3.

ტაზიის პატრონი არ უნდა იყოს მწერალი, ის მაინც უძლურია გონებით წარმოიდგინოს და სიტყვიერად გამოხატოს რეალური სინამდვილისათვის მიუმსგავსებელი საგანი, მოვლენა თუ სიტუაცია. მწერალს შეუძლია დაამახინჯოს სინამდვილე, შეგნებულად თუ შეუგნებლად გააყალბოს იგი, მაგრამ საყრდენი საფუძველი მისთვის მაინც იქნება რეალური სინამდვილე. მწერალი ვერ გაექცევა სინამდვილეს. სინამდვილიდან გაქცევის სურვილიც, რაც ზოგიერთ მწერალს გააჩნია, ობიექტური სინამდვილის უცილობელი აღიარების დამადასტურებელი გარემოებაა. მწერლის შემოქმედებითი აღმაფრენა თუ დაღმაფრენა განსაზღვრულია სინამდვილის ფარგლებით. სინამდვილის რეალისტური ასახვის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მწერლის პრინციპულ დამოკიდებულებას ასასახავი საგნისადმი, ე. ი. ობიექტური სინამდვილისადმი, მწერლის პრინციპულ პოზიციას ამ მხრივ: შეცნობილი თუ შეუცნობელი, შეგნებული თუ შეუგნებელი თვალსაზრისით უდგება მწერალი სინამდვილის ასახვას; თავისუფალია მწერლის შემოქმედებითი მხედველობის არე, თუ ის შეზღუდულია რაიმე გარემოებით, დაჩრდილულია მსოფლმხედველობრივი (რელიგიური, ცრურწმენითი, სოციალურ-პოლიტიკური და სხვ. ხასიათის) საბურველით, დახშულია მწერლის გონებრივი ჰორიზონტი თუ გაშლილია მისი ჰვრეტითი სარბიელი და ა. შ.

ადრეული ბურჟუაზიული რეალიზმის დადგინების ხანად ითვლება XVIII საუკუნის პირველი ნახევარი, კლასიკური ე. წ. კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრება უკავშირდება უწინარეს ყოვლისა ბალზაკის (1799—1850) სახელს. სწორედ ბალზაკი ჰყავდა ფრ. ენგელსს მხედველობაში, როდესაც აყალიბებდა რეალიზმის ცნობილ განსაზღვრას. ჰარკნესისადმი მიმართულ წერილში ენგელსი ამბობს: „ჩემი აზრით, რეალიზმი ჰგულისხმობს დეტალების სიმართლის გარდა, ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში სწორ გადმოცემასო“ [1]. ენგელსის ფორმულა რეალიზმის საფუძვლად აცხადებს ტიპიურობის ცნებას („ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში გადმოცემას“).

რეალიზმი როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა (ლიტერატურული მიმართულება) ჩვენში ჩამოყალიბდა დაახლოებით XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, პირველი ქართველი რეალისტი მწერლები იყვნენ გიორგი ერისთავი, ლავრენტი არდაზიანი და დანიელ ჭონქაძე. კრიტიკული რეალიზმი განამტკიცა და ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა თერგდალეულთა თაობამ ილია ჭავჭავა-

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Об искусстве. М.-Л., 1938, გვ. 163.

ძის მეთაურობით. ამისდა მიუხედავად თამამად შეიძლება ლაპარაკი რეალისტური ნაკადის შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში ადრინდელი ხანიდანაც კი. რეალიზმის ელემენტები უხვად მოიპოვება ძველ ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში, რეალიზმის ელემენტები გააჩნია აპოკრიფული ჟანრის საეკლესიო ძეგლებს (მოვიგონოთ, მაგალითად, „მარიამის მოხილვა"), ჰიმნოგრაფიას და საეკლესიო მწერლობის სხვა დარგებს. მით უფრო ძლიერია რეალისტური ნაკადი XII საუკუნის ქართულ საერო მწერლობაში. გარკვეულ ფარგლებში რეალისტურია რუსთველის შემოქმედებითი მეთოდი. რუსთველმა მნიშვნელოვნად დააღწია თავი შუასაუკუნეობრივი მწერლობისათვის დამახასიათებელ მოჭარბებულ ფანტასტიკას, ის ხატავს ჩვენი ქვეყნის მისდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რეალურ სურათებს და სახავს პერსონაჟთა ტიპიზირებულ ხასიათებს[4], თუმცა, რა თქმა უნდა, რუსთველი არ იძლევა ზუსტ, შეუფერავ სინამდვილეს. ის აუცნაურებს ამა თუ იმ მოვლენას. აზვიადებს გმირის ძალ-ღონეს, მიმართავს ჰიპერბოლიზაციას. რუსთველი ჭარბი ფერებით ხატავს მოვლენებს, აზვიადებს პერსონაჟების სახასიათო თვისებებს, როგორც ვთქვით, სიტუაციათა თუ პერსონაჟთა ასახვისათვის იყენებს ჰიპერბოლიზაციის ხერხებს, მაგრამ რუსთველის მხატვრული აზროვნება მაინც ყოველთვის რეალისტურ საფუძვლებს ემყარება... არსებითად რუსთველი იძლევა მოვლენათა (გარემოთა) თუ პერსონაჟთა ტიპიურ დახასიათებას. პოეტი აღწევს ტიპიური განზოგადების სიმაღლეს. ზოგჯერ ეს ტიპიური განზოგადება განმაცვიფრებელია თავისი რეალისტური უშუალობით. ასეთია ფატმანის სახე. ზოგჯერ კი ტიპიურ განზოგადებას ახლავს რომანტიკული ელფერი. ასეთია რუსთველის იდეალიზებულ პერსონაჟთა გალერეა.

როგორც ცნობილია, XVII—XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ერთმა მიმდინარეობამ ზღაპრულად მიიჩნია რუსთველის მიერ ასახული სიტუაციები და პერსონაჟები, ამ მიმდინარეობამ გულუბრყვილოდ წუნი დასდო „ვეფხისტყაოსნის" გენიალურ ავტორს გამომგონებლობისა და ფანტასტიკურობისადმი მიდრეკილებაში.

სიუჟეტისა და თემატიკის თვალსაზრისით პოეტი არჩილი და მისი მიმდევრები ერთ სიბრტყეზე აყენებდნენ რუსთველსა და თეიმურაზ პირველს, სპარსული მიმდინარეობის დამამკვიდრებელს ქარ-

---

[4] ალ. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის ტიპაჟის საკითხისათვის (ლიტერატურული ძიებანი, VI, 1950; ნარკვევები, III, 1952).

თულ მწერლობაში. თუმცა შემოქმედებითი ძალის მხრივ „ქართველთ ენიცა მელექსე ვერ ედარების ამ ორსაო“ (ე. ი. რუსთველსა და თეიმურაზსო), აცხადებს არჩილი, მაგრამ „იტყვიან უკლოდ ამბავსა სპარსთა ნათქვამსა, ნაჭორსაო“. რუსთველისა და თეიმურაზის პოემების სიტუაციებსა და პერსონაჟებს არჩილი უწოდებდა ზღაპრულსა და ტყუილად გასაგონარს, ხოლო სიუჟეტებს მთლიანად „საკვირველ ამბავს“. არჩილის ხმას აყოლილი ფეშანგი აღნიშნავს, რომ რუსთველმა და თეიმურაზმა „აქეს უცხონი — ინდო და არაბელია“ და „ყველა ტყვილი შეატმასნეს“, მათ გალექსეს ნაჭორი ამბავიო. ასევე ამბობს თეიმურაზ მეორეც. „ვეფხისტყაოსნის“ ნესტანდარეჯანს თეიმურაზ მეორემ დაუპირისპირა რუსეთის სამეფო კარის სეფექალი ვინმე ბარბარე ბუტურლინა. სწორედ ასეთი რეალური არსება უნდა ყოფილიყო რუსთველის შთაგონების საგანი და არა ტყუილი ტარიელი, არგაგონილი ნესტანდარეჯანი, არყოფილი ფარსადანი და სხვა გამონაგონი პერსონაჟებიო. თეიმურაზ მეორის სიტყვით, რუსთველი „დაშვრა ტყუილზედ“. თეიმურაზ მეორე წინააღმდეგ თეიმურაზ პირველისა აღტაცებული იყო რუსთველის პოეზიის სრულყოფილებით და კიდევაც გამოტეხილად უცხადებდა ქართული პოეტური სიტყვის უბადლო ოსტატს:

> თქვენი ღრმად მეტყველებანი უცხო რამ საკვირველია,
> თუმცა მართალზე თქმულიყო, რა ტკბილი საკითხველია!

როგორც თეიმურაზ მეორე, ისე არჩილი, ფეშანგი და სხვები რუსთველისა და თეიმურაზ პირველის ამბავთა ფანტასტიკურობას უპირისპირებენ მართლის თქმას. „მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბე რად?“ გაიძახის დავით გურამიშვილი. ცნება მართალი, მხატვრული სიმართლე, XVII—XVIII საუკუნეების ქართველ მწერლებს ესმოდათ შეზღუდული, ვიწრო მნიშვნელობით. მათი მოსაზრებით, მართალი იყო მხოლოდ ის, რასაც რეალურ სინამდვილეში უეჭველად ჰქონდა ადგილი, სულერთია შეეხებოდა ეს ამბავს (სიუჟეტს) მთლიანად, თუ ცალკეულ ეპიზოდს, სიტუაციას, ან მოქმედ პირს (პერსონაჟს). ტარიელი ნატყუვარი პერსონაჟია იმიტომო, ამბობდნენ არჩილი, ფეშანგი და სხვები, რომ რეალურად, ნამდვილად, ისტორიულად, რა თქმა უნდა, არასოდეს არ ყოფილა რუსთველის ტარიელი. ეს პერსონაჟი შექმნილი, გამოგონილი, მხატვრულად გამოსახულია რუსთველის მიერ. ამდენადვე ის ზღაპრულია, არამართალიო, ფიქრობდნენ ძველად. „მართლის თქმის“ თეორიის

აღიარებული მეთაური იყო არჩილი. არჩილის გაგებით, მართალია ისეთი ამბავი და სიტუაცია, რაც რეალურად, ისტორიულად მომხდარა, მართალია ისეთი გმირი (პერსონაჟი), რომელიც ნამდვილად, რეალურად ცხოვრობდა გარკვეულ დროსა და სივრცეში, გარკვეულ ქვეყანაში, გარკვეული ხასიათის პატრონი იყო და გარკვეული ხასიათის მოღვაწერობას ეწეოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმართლის თვისებათა მქონეა კონკრეტულ-ისტორიული შემთხვევა, ფაქტი (ამბავი, სიტუაცია, მოვლენა), მართალი გმირია — კონკრეტულ-ისტორიული პიროვნებაა. ამ შემთხვევაში სულერთია ამბავი წარსულს ეკუთვნის თუ თანამედროვე მოვლენას განეკუთვნება. ასევე ისმება და წყდება გმირის (პერსონაჟის) საკითხიც. პერსონაჟი მაშინ არის „მართალი", ე. ი. რეალური და არა გამონაგონი, პოეტის ლაღი ფანტაზიის ნაყოფი, თუ მისი არსებობა კონკრეტული სინამდვილით არის დადასტურებული, თუ ის აღებულია ისტორიული — სულ ერთია შორეული, თუ აწინდელი — სინამდვილიდან. თქმულის კვალობაზე, მოგონილი და ზღაპრულია „ვეფხისტყაოსანში" მოთხრობილი ამბავი ინდოეთისა ან არაბეთისა, ისევე როგორც მოგონილი და ზღაპრულია ამ ქვეყნების წარმომადგენლებად გამოყვანილი პერსონაჟები. გამონაგონ სიტუაციებსა და პერსონაჟებს არჩილმა დაუპირისპირა მართალი ამბები და ნამდვილი, კონკრეტულ-ისტორიული მოღვაწენი. არჩილმა აწერა XVII საუკუნეში მომხდარი ნამდვილი ამბები, მან სამოქმედო ასპარეზზე გამოიყვანა ნამდვილი ისტორიული პირები (თეიმურაზ პირველი, ლუარსაბ მეფე, ქეთევან დედოფალი, შაჰ-აბაზი, გიორგი სააკაძე, ზურაბ ერისთავი და სხვანი).

თავის შემოქმედებითს მეთოდს არჩილი უწოდებს მართლის თქმას, ამავე გამოთქმას იყენებენ XVII—XVIII საუკუნეების სხვა მწერლებიც. მართლის თქმა უთუოდ გულისხმობს ერთ მხარეს იმ ლიტერატურული ცნებისას, რომელსაც რეალიზმი ეწოდება. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ერთ მხარეს. რეალიზმის ეს ერთი მხარეა სინამდვილის ნიადაგზე დგომა, სინამდვილის მოვლენების აწერა, სინამდვილის გამოსახვა. არჩილი და მისი სკოლა რეალიზმის აღნიშნულ მხარეს იცავს, თუმცა რამდენადმე შეკვეცილად, თუ შეზღუდულად. გამოსახვა, როგორც ასეთი, ერთგვარად ეუცხოება არჩილის აზროვნებას. მხატვრულად გამოსახული პერსონაჟი, თუ ის კონკრეტულ-რეალურ პიროვნებას არ წარმოადგენს, გამონაგონია, შეთხზულია, ავტორის ფანტაზიის ნაყოფია და ამდენადვე ზღაპრულიც, არჩილის პოზიციის მიხედვით. ამასვე უკავშირდება ტიპიურობის პრობლემა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კლასიკური ანუ კრიტიკული რეალიზმის ერთი მხარეა დეტალების სიმართლე, ხოლო მეორე ტიპიურობა, ტიპიური ხა-

სიათების ტიპიურ გარემოში სწორად გადმოცემა. არჩილის შეხედულება ასე თუ ისე ემთხვევა რეალიზმის ერთ საფუძველს. დეტალების სიმართლეს. სამაგიეროდ არჩილისათვის სრულიად უცხოა ტიპიურობის ცნება. ტიპიური განზოგადება. არჩილის თვალსაზრისით, რომელიმე ლუარსაბ თათქარიძე, ეს უაღრესად ტიპიური სახე, იქნებოდა ზღაპრული. გამონაგონი, ნატყუარი, რადგანაც რეალურად მართლაც არასოდეს, არსად არ ყოფილა კონკრეტული, ისტორიული ლუარსაბი. ასეთი რამ შექმნა ილია ჭავჭავაძემ. მაშასადამე, პრინციპულად ლუარსაბ თათქარიძე ისეთივე სახეა, როგორიცაა ტარიელი. ილიას დარეჯანიც რუსთველის ნესტანდარეჯანის მსგავსად ავტორის მიერ არის შეთხზული და გამოგონილი. ამრიგად, რეალიზმის საფუძველი, ტიპიურობის პრინციპი, არჩილისათვის ბოლომდე უცნობი რჩება. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება ჩვენ მიერ აღძრულ კითხვას და მას ამომწურავად სრულყოფილი სწორი პასუხი გასცა. ერთ თავის პოლემიკურ წერილში („ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე") ილია ჭავჭავაძე შემდეგნაირად მსჯელობს:

> „მთელი ეგრეთ-წოდებული სიტყვაკაზმული ლიტერატურაც ამ საფუძველზეა აშენებული: მოგონილის ამბათ ცხადჰყოს მართალი. იგიც ამ სათავიდამ მოდის. ამიტომაც ამგვარს ლიტერატურაში არ არის არც ერთი მოთხრობილი ამბავი, რომ მართლა მართალი იყოს, მართლა ნამდვილი იყოს: სულ ადამიანის ფანტაზიით შექმნილია და ისეთი შემოქმედობით ხორცთ შესხმული, სულთ ჩასახული, რომ კაცს კი არ ეჯავრება, დიდადაც მოსწონს და ესურვება. ტარიელი, ნესტანდარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავისს-დღეში ყოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრიათ და არც ეხლა სცხოვრებენ, მაგრამ აბა ჰნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი როგორ სასწაულთ-მოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს, მათის ცხოვრების მაჯისცემას გვატყობინებს!.. შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არაჭეშმარიტი მართალი გვგონია. აი ეს საოცარი გარდაქმნა, ანუ უკეთ ვთქვათ, ქმნა არ-ყოფილისა ყოფილად, მარტო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ღვთიურს ძალღონეს ქმნისას შემოქმედებას ეძახიან" [5].

---

[5] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, II, თბ., 1941, გვ. 281—282.

მოყვანილი ნაწყვეტით ილია ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ მხატვრულ მწერლობაში სიმართლე იხატება მოგონილი ამბის საშუალებით, გარკვეული ჟანრის ძეგლებში „არ არის არც ერთი მოთხრობილი ამბავი, რომ მართლა მართალი იყოს, მართლა ნამდვილი იყოს: სულ ადამიანის ფანტაზიით შექმნილიაო". მაგრამ ხელოვანი შემოქმედი მას მსჭვალავს სინამდვილის სულით და სინამდვილის ხორცს ასხამსო. მკითხველს საეჭვოდ აღარ მიაჩნია მოგონილი ამბის სიმართლე. ერთი სიტყვით, შემოქმედი-ავტორის მეოხებით მოგონილი ამბავი სიტყვაკაზმულ მწერლობაში ღებულობს ჭეშმარიტად მართალი ამბის ხასიათს. ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ ჩერდება სწორედ „ვეფხისტყაოსანზე": „ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თავისს-დღეში ყოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოვრიათ... შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არაჭეშმარიტი მართალი გეგონიაო". სინამდვილის ამ გარდაქმნას ან სინამდვილის მხატვრულ გარდასახვას ილია ჭავჭავაძე უწოდებს შემოქმედებას. ილიას მხედველობაში აქვს რეალისტური შემოქმედება. ჩვენ არ ვიცით, იცნობდა თუ არა ილია ჭავჭავაძე XVII—XVIII საუკუნეების ქართველი მწერლების აზრს „ვეფხისტყაოსნის" შესახებ. ერთი რამ ცხადია, ის სავსებით სწორად სწყვეტს „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული სიმართლის, „ვეფხისტყაოსნის" რეალისტური ხასიათის პრობლემას და დამარწმუნებლად აბათილებს რუსთველის პოემის ანტირეალისტურობის თვალსაზრისს. იმავდროულად ილია ჭავჭავაძე არკვევს რეალისტური შემოქმედების, მხატვრული გამომგონებლობის თვისებას და აკრიტიკებს ამ მხრივ ყოველგვარ ვიწრო, შეზღუდულ შეხედულებას. მეტად ვიწრო და შეზღუდულია კერძოდ არჩილის, როგორც ახალი ლიტერატურული მიმართულების მეთაურის, შეხედულება სინამდვილესა და სიმართლეზე, ისე როგორც ვიწრო და შეზღუდულია არჩილის მხრივ გაგება „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული სიმართლის რაობისა. ეს რაც შეეხება არჩილის შეხედულებათა კრიტიკულ-ნეგაციურ მხარეს. ასევე ვიწრო და შეზღუდულია მართლის თქმის არჩილისეული პოზიტიური გაგება. არჩილს გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ მხატვრულადაც მხოლოდ ის არის ნამდვილი და მართალი, რასაც რეალურ-კონკრეტულ ვითარებაში ჰქონია ადგილი. არჩილს არ ესმოდა მხატვრული გამომგონებლობის, შემოქმედების ის სპეციფიკა, რომლის თაობაზე ასე მოხდენილად მსჯელობს ილია ჭავჭავაძე.

აღნიშნულის მიუხედავად, არჩილისა და მისი სკოლის გამოსვლა ქართული სალიტერატურო ცხოვრების ასპარეზზე დიდი ნაბიჯი იყო

წინ საზოგადოებრივი და მხატვრული აზროვნების ისტორიაში. არჩილმა დაგმო ქართული ლიტერატურის თემატიკური შეზღუდულობა, ორიენტაცია სპარსულ სიუჟეტებზე (არჩილს გულუბრყვილოდ ეგონა, თითქო „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტიც სპარსულიდან მომდინარეობდა), გატაცება ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბებით, უშუალო თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრების უგულებელყოფა და ენობრივ-სტილისტურ სფეროშიც ეროვნულ-ხალხური ტრადიციების დავიწყება. არჩილი მწერლობისაგან მოითხოვდა თანადროულობისადმი დაბრუნებას, თანადროული საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების დამუშავებას, ეგზოტიკური და ფანტასტიკური ქვეყნების ნაცვლად საქართველოს ამბების დამუშავებას, ცხოვრების უშუალო სინამდვილის გამოხატვას მწერლობაში. ეს უცილობლად იყო პროგრესული მოვლენა, მომასწავებელი ეროვნული თვითშეგნების მომწიფებისა და საღი საზოგადოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო არჩილის გამოსვლა იმიტომაც, რომ მისმა უფროსმა თანამედროვემ, დიდად ნიჭიერმა პოეტმა თეიმურაზ პირველმა არასწორი გეზი დაუსახა ქართული ლიტერატურის განვითარებას, თეიმურაზმა ეროვნულ საწყისებს გადაუხვია და სპარსული სალაღობო, მსუბუქი პოეზიის ტრადიციების დამკვიდრებას შეეცადა ქართულ ლიტერატურაში. არჩილის აზრით, პოეზიის საგანი უნდა ყოფილიყო რეალური ცხოვრების სიმართლე და არა ვარდბულბულისა თუ ლეილ-მაჯნუნის ფუჭი ამოკობა. ამ მხრივ სიმართლე არჩილის მხარეზე იყო. მას სწორი ალღო ჰქონდა აღებული. ის სტიქიურად მივიდა ლიტერატურის საბრძოლო ამოცანების სწორ გადაწყვეტასთან. ეს არის არჩილის დამსახურება. საყურადღებოა საქმის მეორე მხარე. არჩილი ჩვენ გვევლინება ახალი თვალსაზრისის გამომხატველად არა მარტო თეორიის სფეროში, არამედ ის იყო ნაყოფიერი პრაქტიკოსი მწერალი. თავისი პრინციპული თვალსაზრისი მწერლობის დანიშნულებაზე არჩილმა პრაქტიკულად განახორციელა თავისივე ნაწერების საშუალებით. განსაკუთრებით გამოირჩევა არჩილის განთქმული „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, ნამეტნავად ამის მეორე ნაწილი, რომელსაც ზოგჯერ თეიმურაზიანს უწოდებენ. თეიმურაზიანით არჩილმა მართლაც თქვა მართალი სიტყვა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეულ მხარეებზე. ამ თხზულების (გაბაასებას, თუ მის ნაწილს, პირობითად „თეიმურაზიანს“) ჩვეულებრივად თვლიან საისტორიო პოემის ჟანრის ნაწარმოებად. ეს სწორიც არის და არც არის სწორი. ამჟამად, რა თქმა უნდა, თეიმურაზიანი საისტორიო პოემაა, იქ აწერილია ისტორიული, შორეული ისტორიული ამბები. მაგრამ ეს ამბები ისტორიუ-

ლია და შორეულია ჩვენი დროისათვის, თანამედროვეობის თვალსაზრისით. განა არჩილისათვის ან არჩილის მკითხველისათვის ისტორიული წარსულის მნიშვნელობა ჰქონდა მარაბდის ომის ამბებს, თეიმურაზისა და გიორგი საакაძის შუღლს, ზურაბ ერისთავის ეპოპეას და ა. შ. ეს ხომ იმდროინდელი, რეალური, მღელვარე საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს წარმოადგენდა. მით უმეტეს ეს ითქმის, მაგალითად, დავით გურამიშვილის „დავითიანზე", კერძოდ „დავითიანის" იმ ნაწილზე, რომელსაც ეწოდება „ჭირი ქართლისა". „ჭირი ქართლისა" აგრეთვე ისტორიული პოემაა, მაგრამ ესეც ისტორიული პოემაა ჩვენი თანამედროვე გაგებით. გურამიშვილმა კი აწერა არა წარსულის ამბები, არამედ მისი თანამედროვეებისა და თავისი საკუთარი უკუღმართი ცხოვრების ტრაგედია. არჩილმა, გურამიშვილმა და ზოგიერთმა სხვამ ჩვენ დაგვიხატეს მათი თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრების, ყოფის, სოციალური და პოლიტიკური ვითარებისა და მისთანათა სურათები. განა საისტორიო პოემად მივიჩნევთ ჩვენ სამოქალაქო ან სამამულო ომის თემაზე შეთხზულ რომელიმე თანამედროვე საბჭოთა პოეტის მიერ პოემის ჟანრით გაფორმებულ რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებს?! მაგრამ როგორადაც უნდა იყოს, არჩილი და მისი სკოლის პოეტები არ გაურბოდნენ თავიანთ თანადროულობას, არ ერიდებოდნენ თანადროულობის აქტუალური პოლიტიკურ-სოციალურისა და ყოფითი საკითხების მთელი სიმკვეთრით დასმასა და გადაწყვეტას. არჩილისა და მისი სკოლის საუკეთესო პოეტებს ამოქმედებდათ სიახლის გრძნობა. მათი შემოქმედების საგანი უპირატესად იყო თანადროულობის პრობლემატიკა. ამდენადვე ისინი იყვნენ პოლიტიკური, სამოქალაქო, საზოგადოებრივი ჰანგის მგოსნები. მათთვის პოეზია იყო ბრძოლის ქმედითი იარაღი, საზოგადოებაზე ზემოქმედებისა და საზოგადოებრივი აღმზრდელობის საუკეთესო საშუალება. შემთხვევითი როდია, რომ ჯერ კიდევ შოთა რუსთველი უტილიტარულ ამოცანებს უსახავდა პოეზიას, ხოლო მამუკა ბარათაშვილი მწერლობას აკისრებდა საზოგადოების ზნეობრივად და პოლიტიკურად გაწვრთნას, ზნეობრივად და პოლიტიკურად აღზრდას. მამუკა წერს თავის „ჭაშნიკში": „ან კარგი იგავები მოიყვანე და იმაზედა თქვი, ან კაი სწავლის ამბებით კაი ამბები გალექსე; ან ომსა და ფალავნების ამბავზედ თქვი, ამისათვის რომ კაცს გააგულოვნებს, ომს მოანდომებს, ომისა და იარაღის ხმარებას ასწავლის, და რჯულისა და მეფის და ქვეყნის მტერზე გამოსაყენებელიაო". მამუკას აზრით, რჯულის, მეფისა და ქვეყნის სამსახური უნდა ესწავლებინა მწერლობას მკითხველი საზოგადოებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მამუკა ბარათაშვილის დროს რჯულისა

და მეფის ერთგული სამსახური უდრიდა, ან ემთხვეოდა, ქვეყნის სამსახურს. რჯულისა და მეფისადმი ერთგულება საზოგადოებრივად სასარგებლო, პატრიოტულ საქმეს წარმოადგენდა. მამუკა ბარათაშვილის მოძღვრების თანახმად, მწერლობამ საზოგადოება უნდა აღზარდოს იდეურად, შეაყვაროს მას თავისი სამშობლო ქვეყანა, გაუღვივოს პატრიოტული გრძნობები, აღძრას მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. ესაა მამუკა ბარათაშვილის სწავლების საფუძველი. მამუკა ბარათაშვილსაც, როგორც პოეზიის სფეროში ნორმატიკოსსა და კანონმდებელს ახასიათებდა სიახლის გრძნობა და სინამდვილის რეალისტურად აღქმისადმი მიდრეკილება. შემთხვევითი როდია, რომ მამუკა ბარათაშვილი გააფთრებით იბრძოდა თეიმურაზ პირველის ლიტერატურული მიდრეკილების წინააღმდეგ და გამკილავად აცხადებდა: „სხვას მრავალთ დედაკაცთ ტრფიალებისათვის თათრის ზღაპრები (იგულისხმება სპარსული პოემები, სპარსული სიუჟეტები, ა. ბ.) გაულექსავს მსმენთ საზიანოდ და მთქმელთ საურიგოდო". თეიმურაზ პირველსა და იმის მიმდევრებს მამუკა ბარათაშვილი ირონიულად უწოდებდა თათრული ზღაპრების გამლექსავებს. ბრძოლა სპარსული („თათრული") ტენდენციის წინააღმდეგ ქართულ პოეზიაში ეხმაურებოდა ეროვნულ-ხალხური და რეალისტური საწყისებისათვის ბრძოლას.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ არჩილს შეზღუდულად ესმოდა მართლის თქმის შინაარსი. უკეთ რომ ვთქვათ, არჩილისა და იმისი სკოლის მართლის თქმა არის შეზღუდული ხასიათისა. არჩილისათვის თეორიულად უცხოა ცნება ტიპიურობისა, რაც შეადგენს რეალისტური ხელოვნების საფუძველს. ამისდა მიუხედავად თავისი პრაქტიკული შემოქმედებითი მოღვაწეობით არჩილმა თვითონ გადალახა ეს შეზღუდულობა. დასახელებულ პოემაში („თეიმურაზიანში") არჩილმა დახატა მისდროინდელი ფეოდალური საზოგადოების აშლილობისა და ფეოდალურ-თავადაზნაურული გაუტანლობის შემაძრწუნებელი სურათები. არჩილმა სისწორით ჩამოაყალიბა ფეოდალური შინათაშლილობით გამოწვეული ქვეყნის განსაცდლის მიზეზები, მან გამოხატა სოციალური გაუმაძღრობითა და განდიდების მანიით შეპყრობილი თავადაზნაურობის ანტისაზოგადოებრივი და ანტიეროვნული სახე. არჩილმა საუცხოოდ დაახასიათა უიდეო, გულზვიადი, ყოყოჩა და ვიწრო წოდებრივი ინტერესებით შეპყრობილი მისდროინდელი თავადაზნაურობა:

ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა,

აზვავდებიან, იტყვიან: „უჩემოთ ვინ იმღერეთა".

არჩილის სიტყვით „ალაღდებიან თავადნი, ერთი მეორეს აიტანს, ერთი მეორის სიკვდილად მოვა, ამხანაგს მოიტანს“. არჩილი სამართლიანად ამტკიცებს, რომ ჩვენს ქვეყანას უფრო მეტი ზიანი მიაყენა შინაგანმა უთანხმოებამა და კინკლაობამ, ვიდრე გარეშე მტრების აულაგმავმა თარეშებმა და მოსახლეობის უმოწყალოდ ხოცვა-ჟლეტამ:

მტერი რას უზამს იმდენსა, რომ ყმა ბატონზედ მოიღებს?
მძლავრისა მტრისაც ეგევე ერთს რასმე გზასა გაიღებს,
თუ კაცი შიგნით საქმესა აიშლის, იმას მოიღებს.

საგულისხმოა, რომ ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის სიტყვითაც „საქართველოსთვის გარეშე მტერს იმდენი არ დაუკლია, რამდენი ვნებაც მთავრებისა და დიდგვარიან აზნაურების თავგასულობამ, უგუნურმა ქცევამა და ქვეყნისა და ხალხის ღალატმა მიაყენა“ [1]. მაგრამ არჩილმა არა მარტო სისწორით აგვიწერა საქართველოს იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განზოგადებული ვითარება, არამედ მან ცოცხლად გამოგვისახა, მე ვიტყოდი, ერთგვარად ტიპიზირებულად გამოგვიხატა თავის პოემის გმირები, ისტორიული პერსონაჟები. ამასთან არჩილი ოდნავადაც არ იფარგლება აღწერილობათა ობიექტივისტური ხერხებით. არჩილი არ არის ისტორიულ მოვლენათა და ისტორიული პერსონაჟების პასიურად მჭვრეტელი, ან პასიურად მხატვარი ობიექტივისტი ისტორიკოსი. აწერილ ამბებს არჩილი ახარისხებს, აანალიზებს და გარკვეულ შეფასებას აძლევს. ასევე შეფასებითი დახასიათებით უდგება ის ისტორიულ პერსონაჟებსაც. არჩილი არ მალავს, ის საგანგებოდ აცხადებს კიდევაც: „ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებო“. ეს არის განსაკუთრებულად დამახასიათებელი მხარე მართლის თქმის მიმდევარი ქართველი მწერლების შემოქმედებისა. მართლის თქმის მწერლებს, თითქმის ყველას გამოუკლებლივ (განსაკუთრებით კი არჩილსა და გურამიშვილს), ახასიათებთ მკვეთრი მამხილებლური კილო. ისინი პირმართლად და დაუზოგავად ამხელენ საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მოვლენებს, იჩენენ განმაცვიფრებელ პრინციპულობას, პირუთვნელობასა და გამბედაობას, არ ინდობენ თავიანთ საზოგადოებრივ წრეებს, დიდსა თუ მცირეს, მეფესა თუ დიდებულებს, ერისკაცსა თუ სასულიერო პირს. დავით გურამიშვილმა ვაჟკაცურად გამოაცხადა:

---

[1] საქართველოს ისტორია, მე-11—15 საუკუნეები, თბ., 1949, გვ. 263.

მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად.
მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

მართლაც, დავით გურამიშვილმა გააშიშვლა თავისდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთურობა და მზის სინათლეზე გამოიტანა თავადაზნაურული საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფის მთელი სიავე. „ქართლის ჭირში“ პოეტურად ამეტყველებულია შეუნიღბავი სიმართლე ქართლ-კახეთის განხეთქილებისა, ფეოდალური აშლილობისა, კინკლაობისა და პარტიკულარიზმისა, თავადაზნაურული საზოგადოების ზნეობრივი დაცემისა, ჩვენი ხალხის რბევა-აწიოკებისა და ხოცვა-ჟლეტისა. არჩილი საგანგებოდ უსვამს ხაზს თავადაზნაურობის მხრით გლეხობისადმი სოციალურად და ეროვნულად სახიფათო დამოკიდებულებას და შენიშნავს: „თუ ამოწყდა გლეხკაცი, საქართველო დაძაბუნდაო“. არჩილს გლეხკაცი მიაჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების ბურჯად, ქვეყნის საიმედო სასიცოცხლო ძალად და მისდამი შემწყნარებლობითს ადამიანურ მოპყრობას მოითხოვს თავადაზნაურობისაგან. ასევე უყურებდა გლეხობას დავით გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვა პროგრესისტი ქართველი მწერლები XVII—XVIII საუკუნეებისა.

ამრიგად, მართლის თქმის მიმდევარი პოეტები, უწინარეს ყოვლისა არჩილი და დავით გურამიშვილი, მამხილებელი და ტენდენციური პოეტებია. აქ შეიძლება საგანგებოდ შევჩერდეთ ლიტერატურაში ტენდენციის საკითხის თაობაზე. როგორც ცნობილია, ამ მხრით ტენდენციურობის კლასიკურ განმარტებას გვაძლევს ფრ. ენგელსი. ის წერს: „მე არავითარ შემთხვევაში არა ვარ მოწინააღმდეგე ტენდენციური პოეზიისა, როგორც ასეთისა. ტრაგედიის მამა ესქილე და კომედიის მამა არისტოფანე იყვნენ მკვეთრად გამოხატული ტენდენციური პოეტები, ისევე როგორც დანტე და სერვანტესი, ხოლო შილერის „ცბიერება და სიყვარული“ მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის პირველი გერმანული პოლიტიკურ-ტენდენციური დრამა. თანამედროვე რუსი და ნორვეგიელი მწერლები, რომლებიც წერენ საუცხოო რომანებს, სულ ტენდენციურები არიან. მაგრამ, მე ვფიქრობ, ნაწარმოებში ტენდენცია თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს მდგომარეობისა და მოქმედებიდან, ვიდრე მასზე საგანგებოთ მიუთითებდნენ“[1].

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Об искусстве, М.-Л., 1938, стр. 161.

მაშასადამე, ენგელსის მოსაზრებით, ტენდენცია ღირსებაა პოეზიისა და არა ნაკლი. ტენდენციურობა დამახასიათებელი მხარეა ძველისა თუ ახალი დროის ყველა დიდი კლასიკოსი მწერლისა. კერძოდ, ტენდენციურობა დამახასიათებელი მხარეა რეალისტური მწერლობისა. შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ არსებობს უტენდენციო მწერლობა. ეპიკური თხზულებების ავტორებიც კი ვერ ახერხებენ არ გამოამჟღავნონ თავიანთი გარკვეული მიდრეკილებანი, ანუ თავიანთი ტენდენციები, თავიანთი სიმპათია-ანტიპათიები. განა ტენდენციური არ არის რუსთველი, როდესაც ის გამომჟღავნებულად ერევა ამბის მიმდინარეობაში, ქომაგად უდგება თავის საყვარელ გმირ ტარიელს, ერთგვარად ეკამათება თავის მეორე გმირ ავთანდილს და ტარიელის მოქმედების გასამართლებლად პირდაპირ მიმართავს თავისი პოემის მკითხველებს:

ლექსთა მკითხველნო, თქვენიმცა თვალნი ცრემლისა მღვრელია,
გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია;
მოშორვება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკვლელია,
ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე როგორ ძნელია!

სწორედ ტარიელისადმი რუსთველის უზომო სიმპათიის გამჟღავნებამ ათქმევინა „ვეფხისტყაოსნის“ რომელიღაც გამგრძელებელს: „ტარიელ (უქია) მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ შეუშრობელსაო“. განსაკუთრებულ იერსა და მნიშვნელობას ანიჭებს თხზულებას ავტორის პოლიტიკური ტენდენციის გამოხატულება. რამდენადაც ეს ტენდენცია პროგრესული ხასიათისაა, იმდენად უფრო ფასეულია ნაწარმოები და პირიქით. მაგრამ ტენდენციაც არის და ტენდენციაც. თუ ტენდენცია აშკარად გამჟვირვალეა, თუ მწერალი თავის წინასწარ მოფიქრებულსა თუ აკვიატებულ აზრს უხეშად თავზე ახვევს მკითხველს, მაშინ საქმე გვაქვს არა შემოქმედებითი მადლით აღბეჭდილ მხატვრულ ნაწამოებთან, არამედ მდარე ღირსების სქემატიკურ ჩარჩოსთან. ხშირად ისეც კი ხდება, რომ თავისი პოლიტიკური განწყობილების მიუხედავად საღი შემოქმედებითი ალღოს წყალობით მწერალი ობიექტურად სწორად და, თუ გნებავთ, ერთგვარად უტენდენციოდ გამოხატავს სინამდვილეს (მოვიგონოთ, მაგალითად, ბალზაკისა და ტოლსტოის მაგალითები). მაგრამ ამ შემთხვევაშიდაც, რა თქმა უნდა, საქმე გვაქვს მხატვრული ზომიერებით შეზავებულ გარკვეულ ტენდენციასთან. ერთი სიტყვით, ტენდენციურობა ყოველგვარი ხელოვნების, კერძოდ და განსაკუთრებით, სიტყვიერი ხელოვნების ბუნებრივი და ნიშანდობლივი თვისებაა. სათაკილოა მხოლოდ შიშველი, დეკლარაციული, მხატვრულად დაუსაბუ-

თებელი და მოქმედებით გაუმართლებელი, ასე ვთქვათ, ტენდენციური ტენდენცია.

XVII—XVIII საუკუნეების მოწინავე ქართველი პოეტების ტენდენცია მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ტენდენციაა, პროგრესული მიდრეკილების ტენდენცია. არჩილი და დავით გურამიშვილი თავიანთი პოემების მხატვრული გაშლის გზით, სიტუაციების მოტივური დასაბუთებით, პერსონაჟების დახასიათებით, მათი ამოქმედებით, მკაფიოდ და შეუნიღბავად გამოხატავენ თავიანთ ტენდენციას. არჩილმა დიდი მხატვრული სიმართლით გამოხატა, მაგალითად, გიორგი სააკაძის ისტორიულად სწორი სახე, გიორგის საქმენი საგმირონი, მისი მამულიშვილური თავდადება, მისი საანდერძო მოქმედება. არჩილი სწორედ ანდერძად უდებს შთამომავლობას გიორგი სააკაძის პატრიოტულ საქმეს. „აწ ეს ქმენით, ქართველებო, ანდერძსავით შვილს ეტყოდეთო“. მაგრამ ამან არ დაუშალა პოეტს დაეგმო და გაეკიცხა იმავე გიორგი სააკაძის ზოგიერთი სხვა, საძრახისი მოქმედება. საგულისხმოა, რომ თეიმურაზის, გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის დაჭიშპებამ წარმოათქმევინა არჩილს ზემოთ მოყვანილი შესანიშნავი სიტყვები „ასრე სჯირს საქართველოსას, დიდებულთ, გინა მცირეთაო“. არჩილი აზოგადებს ტიპიურად დამახასიათებელ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს. მეორე მხრივ თვითონ განზოგადებულად წარმოდგენილ თავის დებულებას ის შემდეგ ასაბუთებს კონკრეტული ისტორიული ამბების აწერით. არჩილი არ მალავს გიორგი სააკაძის ანტიპატრიოტული ხასიათის მოღვაწეობას, კერძოდ სააკაძის მიერ ოსმალეთში გარდახვეწის გამო მწარედ შენიშნავს:

> მოურავი ვეღარ დადგა, ახლა ხონთქარს მიაშურა,
> ვერ კარგად ქმნა ორგულობა, ვერ ომი და ვერა შურა.

თუ არჩილი ობიექტური სისწორითა და უტენდენციო ტენდენციით გვიხატავს გიორგი სააკაძის სახეს, არჩილის მიმდევარი იოსებ სააკაძე (იოსებ თბილელი) გიორგი სააკაძის მხატვრული სახის შექმნის დროს იჩენს ნამდვილ შიშველ ტენდენციას.

თავისი დროის შესანიშნავი სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე გიორგი სააკაძე უაღრესად ტრაგიკული ისტორიული ფიგურაა. სააკაძეს ამოქმედებდა კეთილშობილური პატრიოტული მიზანდასახულება, მას შემუშავებული ჰქონდა პროგრესული ხასიათის პოლიტიკურ-სოციალური პროგრამა, ის იბრძოდა ჩვენი ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის, დიდგვარიანი ფეოდალური წრეების პარტიკულარისტული მიდრეკილებების აღკვეთისათვის, საზოგადოებრივ

ურთიერთობაში სოციალური შემწყნარებლობის დამყარებისათვის. მაგრამ XVI—XVII საუკუნეების სინამდვილე არ იძლეოდა გიორგი სააკაძის პროგრესული იდეების განხორციელების შესაძლებლობას. შინაგანი სოციალური ნიადაგი მომწიფებული არ იყო. ამიტომაც სააკაძე უცხოეთის ძალებს დაემყარა, იგი ამ ძალების საშუალებით აპირებდა თავისი პოლიტიკური პროგრამის სრულქმნას. ეს იყო გიორგი სააკაძის პრაქტიკული მოღვაწეობის სუსტი და სახიფათო მხარე. ნამდვილად მან თავის მიზნებისათვის ვერც გამოიყენა უცხოეთის ძალები. უცხოეთის ძალებმა კი, კერძოდ ჩვენი ქვეყნის სისხლისმსმელმა შაჰ-აბასმა, გიორგი სააკაძე უნებლიეთ თვითონ გახადა თავისი ბოროტი ზრახვების იარაღად. სუბიექტურად კეთილშობილური განზრახვის მიუხედავად გიორგი სააკაძემ ობიექტურად ზოგჯერ დიდი ზიანი მიაყენა თავის სამშობლოს. გიორგი სააკაძის პიროვნებისა და ისტორიული როლის შეფასებაში იმთავითვე ორგვარი შეხედულება შემუშავდა: ერთი შეხედულებით, გიორგი სააკაძის ყოველგვარ მოქმედებას თითქოს სარჩულად ჰქონდა პირადული ინტერესები. მეორე შეხედულების გამომხატველნი დადებითად აფასებდნენ გიორგი სააკაძის ყველა მოქმედებას და მას უზადო ნაციონალურ გმირად სახავდნენ, აიდეალებდნენ. იოსებ თბილელი მეორე თვალსაზრისის უკიდურესი ფორმით გამომხატველია. თბილელი იყო გიორგი სააკაძის ახლო ნათესავი („ნათესავ-მოდგამ გვარტომი"). ის შეეცადა თავისი პოემის საშუალებით რეაბილიტაცია ეყო თავისი სახელოვანი წინაპრისათვის. თბილელი ცხადლივ ტენდენციურ მიკერძოებას იჩენს გიორგი სააკაძისადმი, ხაზს უსვამს და ერთგვარად აზვიადებს გიორგი სააკაძის მამულიშვილობას, გიორგის პერსონალურ დამსახურებას ქვეყნისა და ბაგრატოვნების წინაშე. სამაგიეროდ ის გვერდს უვლის ან ჩქმალავს გიორგის მოღვაწეობის საჩოთირო მხარეებს. საგულისხმოა, რომ თბილელმა ვერ შეძლო დაემალა ისეთი დიდი ფაქტი გიორგის მოღვაწეობიდან, როგორიც იყო სპარსეთში გარდახვეწა და შაჰ-აბასის ყმად შედგომა. ამის გამო პოეტი დარცხვენით ალაპარაკებს თავის გმირს („დიდ-მოურავიანი" აგებულია როგორც გიორგი სააკაძის მონათხრობი ამბავი, როგორც ერთი დიდი გაბმული მონოლოგი):

ესე მეც ვიცი, იქ[6] წასვლა ვერა ვაქენ კაის ცნებითა,
დგომა და წასვლა, ორივე შემქნია ბოლოს ვსებითა.

---

[6] სპარსეთში.

ავტორი დიდი სინანულით ათქმევინებს გიორგი სააკაძეს მისი ყოფნის შესახებ შაჰ-აბასის ბანაკში კახეთის ავაზაკური აკლების დროს, 1614 წელს:

წამობრძანდა და წამოვჰყევ, ჯარნი შეექმნეს ხშირენი,
არ დამიჯერებთ, მოსვლისთვის გული მაქვს ასატირენი!

ეჭვი არაა, რომ გიორგი სააკაძე სუბიექტურად უთუოდ მტკივნეულად განიცდიდა ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრის, შაჰ-აბასის სიახლოვეს კახეთის აოხრებისას. მაგრამ ობიექტურად ის ნებით თუ უნებლიეთ თვითონ იყო მონაწილე ამ აოხრებისა. არჩილი პირუთვნელი იყო, როდესაც მოურავს აღიარებინა ზურაბ ერისთავთან საიდუმლო თათბირის დროს, შაჰისაგან განდგომის წინ (591,1):

კახეთი ხომ ამოვსწყვიტეთ, კვლა ქართველნიც იქ ჩავგვაროთ!

იოსებ თბილელს აკლია თავისი მასწავლებლის არჩილის სანაქებო პირუთვნელობა. ის მარტოოდენ მოურავის სასინანულო და გამამართლებელი სიტყვებით კმაყოფილდება. თბილელი არაფერს არ ამბობს გიორგის როლზე შაჰ-აბასის სისხლიან ეპოპეაში. უფრო საყურადღებოა მეორე გარემოება. 1626 წელს გიორგი სააკაძემ თავისი მომხრეებით დიდი საძმათაშორისო ბრძოლა გამართა ბაზალეთის ტბის მიდამოებში თავისი წინანდელი მოკავშირეების, თეიმურაზ პირველისა და ზურაბ ერისთავის წინააღმდეგ. ამ სამარცხვინო შინაურმა ომმა დიდი მსხვერპლი შეიწირა. გიორგი სააკაძე დამარცხდა. ამჯერად ის ოსმალეთში გაიქცა და ხონთქრის კალთას შეაფარა თავი. ეს იყო ყველაზე უფრო საჩოთირო მომენტი გიორგი სააკაძის მოღვაწეობიდან. როგორც ცნობილია, გიორგიმ ვერც ოსმალეთში იპოვა მყუდრო თავშესაფარი, ის მალე დაიღუპა ოსმალური მუხანათობის შედეგად. იოსებ თბილელი გვერდს უვლის სააკაძის ცხოვრების ამ ტრაგიკულ ფინალურ პუნქტს. ის მხოლოდ გაკვრითა და ყრუდ შენიშნავს:

სიკვდილი ამად არ ვსწერე, არ ვაჯობინე ხოცანი-ო.

ეს არის სიტყვის ბანზე აგდება. იოსებ თბილელი ტენდენციურად მოერიდა გიორგი სააკაძის ოსმალეთში გარდახვეწის საძრახისი ამბის აღწერას. მაშასადამე, იოსებ თბილელი, როგორც პოეტი, ვერაა ობიექტური მომთხრობელი ამბებისა, პირუთვნელი ამსახავი თავისი გმირის საქმიანობისა. იოსებ თბილელი ტენდენციურად ალამაზებს ისტორიას. ისტორიას კი არ სჭირდება შელამაზება-შეკეთება. ისტორიული ამბავი პირუთვნელი სიმართლით უნდა აიწეროს. იოსებ თბი-

ლელის პოეზია გამჭვირვალედ ტენდენციური ხასიათის მქონეა. ესაა მისი სუსტი მხარე, თუმცა ოსტატობის მხრით თბილელი უცილობლად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი პოეზიის ისტორიაში. ჩვენ ვერც იმას დავივიწყებთ, რომ „დიდ-მოურავიანი“ შეიცავს დიდი მხატვრული სიმართლით აღბეჭდილ მრავალ ცალკეულ მომენტს. „დიდ-მოურავიანის“ ავტორისათვისაც დამახასიათებელია მკვეთრი მამხილებლური კილო. მეტის თქმაც შეიძლება. იოსებ თბილელი პირველი პოეტია საქართველოში, რომელმაც შეუნიღბავად და გამოტეხილად გაკიცხა ბაგრატიონთა (მართალია „ზოგთ ბაგრატოვანთ“) დესპოტიზმი და უმადურობა. იოსებ სააკაძე ასე ალაპარაკებს ერთგან თავის გმირს:

ზოგთ ბაგრატოვანთ ასრე სჯირს, არ ახსოვს სამსახურია,
რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია.
მაბეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია.
ვის რა გაოდა, ქართლშია მეც რომ მეჭამა პურია?!

იოსებ თბილელმა პირველმა გამოხატა ქართულ პოეზიაში ის სევდიანი მოტივი „თაო ჩემოსი“, რომელიც შემდეგ უკვდავჰყო აკაკი წერეთელმა. სამშობლოდან საბოლოოდ გარდახვეწის წინ გიორგი სააკაძეს მშვენივრად გამოუთქვამს თავისი მწარე გულის წუხილი:

თაო ჩემო, ვით გასულო, სევდიანო, როგორ წყლულო,
საქართველოს სჯულისათვის ათას ფერად წამებულო,
მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო, რა ერთგული.
აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ალაბ-სტამბოლს დაკარგულო!
თაო ჩემო, სად მოკვდები, ანუ ვისსა სამარებსა?!

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ XVII—XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული მართლის თქმა მართლაც მართალი, რეალურად მომხდარი ამბის შემოქმედებითად დამუშავებას ისახავდა მიზნად. ოღონდ რეალურად მომხდარი ამბავი თავისებურად აღიქმებოდა მწერლის ცნობიერებაში და მხოლოდ ამ აღქმის კვალობაზე პოულობდა მოვლენა (ამბავი) მხატვრულ განსახიერებას. მართლის მთქმელი პოეტები ცდილობდნენ პროგრესულ პოლიტიკურ-სოციალურ შეხედულებებს, თანმიმდევრულად ავითარებდნენ ცხოველმყოფელ პატრიოტულ იდეებს, ქადაგებდნენ სოციალურ შემწყნარებლობას, პირუთვნელად ამხილებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებათა, არ ინდობდნენ გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის სოციალურ თავმოყვარეობას, დაუნდობლად აკრიტიკებდნენ თავადაზნაურული საზოგადოების ყოფითს მანკიერებას და ა. შ.

თუმცა XVII—XVIII საუკუნეების მართლის მთქმელთა ლიტერატურულ-თეორიული თვალსაზრისი ძალზე შეზღუდულია, მათთვის უცნობი დარჩა განზოგადებისა და ტიპიზირების პრინციპი, ისინი გულუბრყვილოდ უარყოფდნენ მხატვრულ გამომგონებლობას, მაგრამ ზოგმა მათგანმა მისდაუნებურად პრაქტიკულად მაინც შეძლო განზოგადებული მნიშვნელობის მქონე სიტუაციებისა და ხასიათების შექმნა, სუბიექტურად გააზრებული და გაფორმებული ობიექტური სინამდვილის ცოცხლად გამოხატვა.

საკითხი ისმის, შეიძლება თუ არა ასე სრულიად გარკვეული ლიტერატურული შეხედულებების ნიადაგზე მდგომი მწერლების გარკვეულ ლიტერატურულ მიმდინარეობად დაჯგუფება? მე ვფიქრობ, რომ შეიძლება. ცნობილ ლიტერატურულ მიმდინარეობათა (მიმართულებათა) შორის მართლის მთქმელთა ჯგუფი, რა თქმა უნდა, ყველაზე ახლოსაა რეალისტურ მიმდინარეობასთან. ამიტომაც შეცდომა არ იქნება, თუ ამ ჯგუფის პოეტებს (და საზოგადოდ მწერლებს) ჩვენ ვუწოდებთ ადრეული ქართული რეალიზმის წარმომადგენლებს.

რეალისტური მოტივებით გამსჭვალულია პირველი საყოფაცხოვრებო პოემა ქართულ ენაზე დაწერილი — დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი“. რეალისტური ელემენტები მკაფიოდ იგრძნობა ბესარიონ გაბაშვილის სატირულ-საყოფაცხოვრებო პოემაში „რძალდედამთილიანი“. ცხოვრების მოვლენების რეალისტური ასახვით ძლიერ გამოირჩევა იოვანე ბატონიშვილის (1768—1830) მრავალტომიანი „კალმასობა“. ეს თხზულება ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული მწერლობის ისტორიაში. იოვანე ბატონიშვილი თავისი დროისათვის მოწინავე მოაზროვნის თვალსაზრისით იხილავს საქართველოს სახელმწიფოებრიობის რღვევის ისტორიას, ბატონყმობისა და სხვა საშინაროტო სოციალური ცხოვრების საკითხებს. ამხელს თავისი წრისა და თავადაზნაურული საზოგადოების ზნეობრივი დაკნინების გარემოებას, აღწერს მოხელეების თავგასულობას, დასცინის სამღვდელოების ფარისევლობასა და მსუნაგობას, ააშკარავებს უსწავლელობისა და ცრუმორწმუნეობის მავნე გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ა. შ. საგულისხმოა ზოგიერთი სამაგალითო რეალისტური დეტალი, რომელსაც „კალმასობაში“ ვხვდებით. ერთ დიდ ქართელ ფეოდალს, სახელდობრ ამილახვარს, იოვანე ხელაშვილისათვის უთქვამს: „ცოდნამ დააქცია ქვეყანაო“. კახელ თავადიშვილს კი აუვსია „ერთი დიდი ჯიხვის ყანწი ღვინით“, გადაუკრავს და შეუძახნია: „აჰა, ჩვენი ცოდნა ეს არისო“. ჰეშმარიტად, ეს თავადიშვილი ღირსეული წინამორბედი ყოფილა ნეტარხსენებული ლუარსაბ თათქარიძისა!

ბატონყმური ცხოვრებისა და აღზრდის პირობებს ამირაჯიბის ყმაწვილები ნამდვილ პირუტყვებად უქცევია. იოვანე ბატონიშვილს აღწერილი აქვს ყმა-გლეხობის ველური ყვლეფისა და დაბეჩავების შემაძრწუნებელი მაგალითები. მწერალი აშიშვლებს თავადაზნაურული სასამართლოს ბიწიერების საფუძვლებს. სხვათა შორის, „კალმასობის“ ერთი პერსონაჟი მწარე ირონიით შენიშნავს: „ქართლში სამართალი არც ქმნილა და არც იქნებაო“. საზოგადოდ, ეგრეთწოდებული გარდამავალი პერიოდის, XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნის, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყოველი მხარის თაობაზე მოიპოვება „კალმასობაში“ ნამდვილი, შეუფერავი, ზოგჯერ გროტესკულად დახატული, მაგრამ ჰეშმარიტი რეალისტური ელფერით აღბეჭდილი ცოცხალი, დასამახსოვრებელი სურათები. აქა-იქ იოვანე ბატონიშვილი სატირულად ამაბვილებს ყურადღებას და ერთგვარად აზვიადებს კიდევაც საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოვლენების მახინჯსა და ნაკლოვან მხარეებს (მაგალითად, „კალმასობის“ მიხედვით ქართული სამეფოების მდივნებმა თითქოს არ იცოდნენ უბრალო წერა-კითხვა, მათ არ შეეძლოთ არა თუ საქმიანი ქაღალდების შედგენა, არამედ მოკითხვის ბარათის დაწერა). მაგრამ შეგნებული გადაჭარბების ხერხით იოვანე ბატონიშვილი როდი ღალატობს მოვლენათა რეალისტური ასახვის პრინციპს, ტიპიზირების პრინციპს.

იოვანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მძლავრად არის შეჯერილი მოვლენათა რეალისტური ასახვის ცხოველმყოფელი ნაკადი.

დავით გურამიშვილი დაღესტანში*

დამოწმებული სათაურით გამოქვეყნდა ს. ჩიქოვანისა და გ. ნატროშვილის ფრიად საინტერესო წერილი (ლიტერატურული გაზეთი, 24. VI. 1955). ავტორები წერილის დასაწყისშივე შენიშნავენ: „ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევართა შორის რატომღაც განმტკიცებულია შეხედულება, თითქოს დავით გურამიშვილი დატყვევებულ იქნა 1727 თუ 1728 წელს და პოეტმა ლეკების ტყვეობაში გაატარა ორი ან ერთი წელიწადი მაინც“. თავის მხრით ისინი ამტკიცებენ, გურამიშვილმა ლეკების ტყვეობაში დაახლოებით თვენახევარი გაატარაო. ავტორების მოსაზრებით, დავით გურამიშვილი ლამისყანიდან გაიტაცეს 1729 წლის ივლისის პირველ რიცხვებში, ხოლო იმავე წლის აგვისტოში იგი ტყვეობიდან გაიქცაო [1].

ს. ჩიქოვანმა და გ. ნატროშვილმა უთუოდ მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი საბუთები მოიყვანეს მათი მოსაზრების დასამტკიცებლად. ავტორების ორი მთავარი საბუთი შემდეგია:

1. ლეკებისათვის ხელსაყრელი არ იყო დავითის თავისთან დატოვებაო. „გამტაცებლებს დავით გურამიშვილი სასწრაფოდ უნდა წაეყვანათ გასაყიდად, თვითონ პოეტი ამბობსო «გასაყიდად დამაშურეს».-ამის კვალობაზე ავტორები ასკვნიან: „გამტაცებლები დავით გურამიშვილს თავისთან მონად დატოვებას კი არ უპირებდნენ, არამედ მისი საჩქაროდ გაყიდვა განუზრახავთო“.

---

* ამ ნარკვევის პირველი ვარიანტი გამოქვეყნდა სოლ. ყუბანეიშვილის თანაავტორობით („ლიტერატურული გაზეთი“, 8. VII. 55).

[1] როგორც თავიანთ მეორე წერილში (ისევე დავით გურამიშვილის დატყვევების თარიღზე, „ლიტერატურული გაზეთი“, 1. VII. 55) აღნიშნავენ იგივე ავტორები, მსგავსი შეხედულება, სხვა საბუთებზე დამყარებით, გამოთქმული აქვს კ. კეკელიძეს.

2. „დავით გურამიშვილის ნაწერებში, ტყვეობაში გატარებულ დროის მონაკვეთის აღწერაში, ზ ა მ თ ა რ ი არსად გვეელინება. როგორც მოქმედი პირიო", ამბობენ ავტორები და განაგრძობენ: „ზამთარის ამგვარი უგულებელყოფა იმას ნიშნავს, რომ პოეტს დაღესტნის ზამთარი არ უნახავს და ამიტომაც არ აუწერიაო".

მოყვანილ საბუთებს ავტორების მოსაზრებით უნდა ამაგრებდეს ერთი „მნიშვნელოვანი დეტალი". სახელდობრ, ტყვეობიდან გაპარვის აღწერილობაში გურამიშვილი ერთი შემთხვევის გამო აცხადებს: „პერანგი მეცვა ახალი, არ ძველი მე ტანზე ნარმა". ამის გამო ავტორები ფიქრობენ: „თუ დავით გურამიშვილს არც ჩააცვეს და არც დახურეს და კიდევ ერთი ორი წელიწადი გააჩერეს ტყვეობაში, როგორ შეიძლებოდა ახალი პერანგი ცმოდა ტყვეობიდან გამოპარვის დროს!" ეს ახალი პერანგი „ლამისყანიდან უნდა გამოჰყოლოდა გარაყანიძეების სიძესო".

როგორც ვთქვით, ავტორების მოსაზრებანი დიდად საყურადღებოა, მაგრამ ისინი ზოგიერთ ეჭვებსაც იწვევენ და ამით არის გამოწვეული ჩვენი ეს შენიშვნებიც.

პირველი საბუთი, თუ განყენებულად ვიმსჯელებთ, ძლიერ სარწმუნოა. ლეკებისთვის ხელსაყრელი არ იყო გურამიშვილის თავისთან მონად დატოვება, სასწრაფოდ გაყიდვას უპირებდნენ. პოეტმა ეს გაიგო (ან იცოდა) და თავის დახსნას შეეცადაო. ავტორების სიტყვით, „დავითის პირველი გაპარვა დაღესტანში ჩ ა ს ვ ლ ი ს თ ა ნ ა ვ ე მომხდარა" (დაყოფა აქაც და ქვემოთაც ჩვენია, — ავტ.). თვითონ დავითის მონათხრობი ამ მოსაზრებას არ უნდა ამართლებდეს. დავითი ამბობს:

> მიმიყვანეს, არა ღირსთა ღირსეულად მიმსახურეს,
> არც მასვეს და არც მაჭამეს, არც ჩამაცვეს, არც დამხურეს;
> უსასყიდლოდ მიღებული გასასყიდლად დამაშურეს.
> გავეპარე, დამიჭირეს, რად წავველო, დამპაღურეს.

აქედან აშკარად ჩანს, რომ პოეტის პირველი გაპარვა არამცდაარამც არ მომხდარა დაღესტანში ჩასვლისთანავე. ლეკებს დავითი გაუხდიათ შინაყმად თუ შინამოსამსახურედ. გინდა მონად. უღირსებს მდაბიოდ უმსახურებიათ ჩვენი დიდებული პოეტი („არა ღირსთა ღირსეულად მიმსახურესო"), სამაგიეროდ თურმე არც ასვეს და არც აჭამეს, არც ჩააცვეს და არც დახურეს, ამასთან გაყიდვაც დაუპირეს. პოეტის მოთმინების ფიალა აივსო, მან ვერ გაუძლო ლეკების ძალადობას და გაიპარა, თუმცა პირველად უშედეგოდ. ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება. არსაიდან ჩანს, რომ გურამიშვილი

ოსოქოლაში ჩასვლისთანავე გაპარულიყო. აღსანიშნავია საკითხის ზოგიერთი კერძო მხარეც. ავტორები თავიანთი მოსაზრების სასარგებლოდ იყენებენ გურამიშვილის სიტყვებს „არც ჩამაცვეს, არც დამხურესო". ისინი ამბობენ: „კლდე-ღრეებზე და ტყეებში სიარულის დროს მას (ე. ი. დავით გურამიშვილს, — ავტ.) ტანსაცმელი შემოეხა და ფეხებიც შიშველი ჰქონდა", მაგრამ „გასასყიდლად გამზადებულ ტყვეს არც ტანისამოსი მისცეს და არც საკმარისი საჭმელიო". ჯერ ერთი, გურამიშვილი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ მას გზაში ტანისამოსი შემოეხა და ფეხები შიშველი ჰქონდა. აქ ავტორები ან საერთო მოსაზრებიდან გამოდიან, ან მოგვითხრობენ გურამიშვილის ტყვეობიდან გაპარვის დროინდელ ამბებს. საქმე კი შეეხება დავითის გატაცებას. ისიც საგულისხმოა, რომ ავტორების ფიქრით. დატყვევებული დავითი ლეკებს ოსოქოლაში ჩაუყვანიათ „მესამე დღეს, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს მეოთხე დღისა". დავით გურამიშვილი იყო თავადისშვილი, დატყვევების დროს ის გარემოების შესაფერისად იქნებოდა ჩაცმულ-დახურული. როგორ მოხდა, რომ სამ-ოთხ დღეში ტანსაცმელიც შემოეგჯა და ფეხშიშველიც გახდა (სხვა საქმეა, თუ დავუშვებთ, რომ ლეკებმა ის გაძარცვეს. მაგრამ არც ამის თაობაზე ამბობს რაიმეს პოეტი). ახლა გურამიშვილის ახალი პერანგის შესახებ. ავტორები გვარწმუნებენ. რომ ტყვეობიდან მეორედ გაპარვის დროს გურამიშვილს ეცვა გარაყანიძეების ოჯახში იქნებ პატარძლის მიერ შეკერილი ახალი პერანგიო. ძნელი დასაჯერებელია! თუ გურამიშვილს სამ-ოთხ დღეში ტანსაცმელი დაეგლიჯა და დაეძონძა, ცხოვრების აუტანელი პირობების მიუხედავად თვენახევრის განმავლობაში (პოეტი ორმოში. თუ ჰაში იყო დამწყვდეული) როგორღა შერჩა მას ახალი პერანგი? ავტორები გრძნობენ ამ უხერხულობას და ამიტომაც საგანგებოდ შენიშნავენ: „ერთი თვის (თუ თვენახევრის? — ავტ.) წინათ ლამისყანაში ჩაცმული თეთრეული, რასაკვირველია, გაჭუჭყიანდებოდა, მაგრამ არ დაძველდებოდა... ლამისყანიდან გამოყოლილი პერანგი შეიძლება კალთებდახეული იყო, მაგრამ იგი მაინც ახალი იქნებოდაო". ვერა, ვერ ვერწმუნებით ავტორებს, რომ თვენახევრის განმავლობაში გაუხდელი. გაჭუჭყიანებული და კალთებდახეული პერანგი მაინც დაუძველებელი და ახალი იქნებოდა. გურამიშვილს ჯადოსნური პერანგი ხომ არ ეცვა?! ცხადია, პოეტის სიტყვები ახალი პერანგის შესახებ გადატანითი, ირონიული ან ალეგორიული მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ გურამიშვილის პირველი გაპარვა დაღესტანში ჩაყვანისთანავე არ მომხდარა. მეორე მხრით, სავარაუდებელია დროის გარკვეული მონაკვეთი პირველსა და მეორე გაპარვას შორის. პირველი უშედეგო ცდის შემდეგ პოეტი მეტ წინდახედულებას გამოიჩენდა, დროსაც შესაფერისად შეარჩევდა, აკი გვიამბობს:

ხელმეორედ გავიპარე, რაკი ვპოე ჟამი-დრონი.

ძალიან მნიშვნელოვანია ავტორების მიერ მოყვანილი მეორე საბუთი: დავითი უგულვებელჰყოფს ზამთარს დაღესტნის ციკლის ლექსებში, პოეტს დაღესტანში არ დაუზამთრებიაო. პოეტის მოთქმა-ჩივილი ყინვაზე, ქარბუქზე, სიცივეებზე იმით უნდა აიხსნასო, ამბობენ ავტორები, რომ საქმე შეეხება ალპიური ზაფხულის ღამისა და ავდრიანი დღეების მოვლენებსო. თავიანთი მოსაზრების გასამაგრებლად მათ მოჰყავთ საგულისხმო ამონაწერები გრ. ორბელიანის წერილებიდან დაღესტნის სიცივეების შესახებ ზაფხულში. ამ საკითხის განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი გარემოება. ლექსების ის ციკლი, რომელსაც ავტორები „დაღესტნურს“ უწოდებენ, ორი ნაწილისაგან შედგება. ერთ ნაწილში ტყვეობის დროინდელი ამბები და განცდებია ასახული, მეორეში მოთხრობილია ტყვეობიდან გაპარვის ამბავი. ეს ნაწილი იწყება 32-ე კარით: „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა“. ყველანი შეთანხმებული არიან იმაში, რომ პოეტი ტყვეობითგან მეორედ გაპარულა დაახლოებით აგვისტოს შუა რიცხვებში, რადგანაც გაპარვის მეცამეტე დღეს ის აღმოჩენილა ატმიანსა და ვაზიანს ბაღში და ყურძნით მოუკლავს სიმშილი („აღმოვირეხვე ყურძნითაო“). ეს იქნებოდა ან აგვისტოს ბოლო, ან სექტემბრის დასაწყისი. ტყვეობითგან გამოპარული პოეტი იმყოფებოდა „შუვა დაღისტნის არესა“, სხვათა შორის პირველსავე დღეებში ის თურმე მიადგა შიშველ მთას, ბუნება მკაცრად დახვდომია თავისუფლების მაძიებელს: „ასტყდა ქარი და დაიწყო სეტყვა, ელვა და ქუხილი“. უნდა ვიცოდეთ, რომ პოეტი ფეხშიშველი იყო და პერანგის ამარა; ელვის სინათლეზე გამოქვაბული იპოვა და იქ შეაფარა თავი, ღმერთს მადლობა შესწირა, „დამიხსნა წვიმა-სეტყვასა. ქარსა სასტიკად მბზარავსაო“. შემდეგ გვიამბობს: „სეტყვამ გარდაღო, გამოველო“, მაინც დიდი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა: „კოჭამდის სეტყვას ვაპობდი, ფეხები მაქვნდა შიშველიო“. სიცივემ შემდეგაც ბევრჯერ შეაჭირვა ლტოლვილი პოეტი („სიცივით სულ ვკრკი ამ ღამეო“ და სხვ.), თუმცა „ყველას წვრილად ვერ მოვსთვლი, რაც მაშინ გარდამხედიაო“, საგანგებოდ გვაფრთხილებს. დავით გუ-

რამიშვილი თორმეტიოდე დღე-ღამის განმავლობაში იმყოფებოდა დაღესტნის მთებსა, ტყეებსა, ჯაგნარებსა, ხევებსა და მინდვრებში. ის საერთოდ უჩივის სიცივეს, კერძოდ ელვა-ჭექას, წვიმას, ქარიშხალსა და სეტყვას, მაგრამ არც ერთხელ არ ასახელებს თოვლს, ყინვას, ქარბუქს. სამაგიეროდ დაღესტნური ციკლის ლექსების პირველ ნაწილში სწორედ ზამთრის სეზონისათვის დამახასიათებელ მოვლენებზეა ლაპარაკი. ასე, მაგალითად: „მაზრობს ქარი და ბუქია; მასხია ცივი ნაბადი, არა მაქვს თბილი ქურქია“. ნაბადი პოეტს იმიტომ არ ათბობდა, რომ ყ ი ნ ვ ი ს ა გ ა ნ იყო დამზრალი: „მე ყინვისაგან დამძრალი გენუკვი დასათბობელადო“, მიმართავდა მზეს. შემდეგაც პოეტი ჩივის: „ყ ი ნ ვ ა მკლავს და მახრჩობს ბ უ ქ ი ო“, და ღვთაებას შესთხოვს: „ნ უ დ ა მ ა ძ რ ო ბ ც ი ვ ი ს ყ ი ნ ვ ი თ ო“.

ამრიგად, დაღესტნური ციკლის ლექსების ერთ ნაწილში ლაპარაკია ზამთრის დამახასიათებელ მოვლენებზე (ყინვაზე, ქარბუქზე და მისთანებზე), მეორე ნაწილში კი — ზაფხულის დამახასიათებელ მოვლენებზე (ჭექა-ქუხილზე, წვიმაზე, სეტყვაზე და ა. შ.). ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დავით გურამიშვილს ზ ა მ თ ა რ ი ტ ყ ე ე ო ბ ა შ ი გ ა უ ტ ა რ ე ბ ი ა. ტყეობიდან თავდახსნილი გურამიშვილი მოსკოვში ჩასულა 1729 წლის ბოლოს. ამის მიხედვით ცხადია, რომ იგი ტყეობიდან გაპარულა 1729 წლის აგვისტოში, 1728/29 წლის ზამთარი დაღესტანში გაუტარებია, ტყეში შეუპყრიათ პოეტი 1728 წლის ზაფხულის დასაწყისში (პურის მკის დროს), ე. ი. ტყეობაში დაუყვია პოეტს სრული ერთი წელი და თვენახევარი.

„დავითიანის“ ტექსტის ანალიზის შედეგად მიღებულ ამ დასკვნებს ადასტურებს დოკუმენტური ხასიათის ცნობაც. ქართულ ჰუსართა პოლკის სახელობითს სიაში, რომელიც შედგენილია 1752 წლის 13 ივლისს, დავით გურამიშვილის საქართველოდან წასვლის თარიღად ნაჩვენებია 1728 წელი[2]. ცხადია, საქართველოდან წასვლა აქ გაიგივებულია დატყვევების დროსთან. თუ პოეტი 1729 წელს დაატყვევეს და ის იმავე წელს მოსკოვში ჩავიდა, მაშინ საქართველოდან წასვლის თარიღადაც უსათუოდ ეს წელი, ე. ი. 1729 წელი, უნდა ყოფილიყო ნაჩვენები. დავით გურამიშვილი თავის სამშობლოს ფაქტობრივ გასცილდა დატყვევების დროს. ეს გარემოება არის ნაგულისხმევი ქართული ჰუსართა პოლკის სახელობითი სიით. ამრიგად, საბოლოოდ ირკვევა, რომ დავით გურამიშვილი ლეკებმა დაატყვევეს 1728 წელს, ერთი წელი მან დაჰყო ტყეობაში, 1729 წლის

[2] ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, თბილისი, 1955, გვ. 36—37.

აგვისტოში ტყვეობიდან გაიპარა და იმავე წლის მიწურულში შეუერთდა ვახტანგის ამალას მოსკოვში.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ორიოდე სიტყვით ვეხებით იმ საკითხსაც, რომელიც იმავე ავტორებმა დასვეს თავიანთ მეორე წერილში[3]. საკითხი შეეხება კახთა მეფის კონსტანტინესადმი დავით გურამიშვილის მხრით ერთგვარ სიმპათიურ დამოკიდებულებას. სწორია ავტორების შენიშვნა, რომ გურამიშვილი „ერთგვარად კეთილშობილურ ფიგურად გვიხატავს (კონსტანტინე მეფეს), რაღაც სიმპათიებს ამჟღავნებს პოეტი მისდამიო". ისიც მართალია, რომ „გურამიშვილს მთელი გატაცებით უყვარს ვახტანგ VI". „დავითიანის" ავტორი ორივე მეფის, ვახტანგისა და კონსტანტინეს, განსაკუთრებით — რა თქმა უნდა — ვახტანგის მიმართ იჩენს დიდ მოკრძალებას. მაგრამ პირუთვნელი პოეტი არ მალავს მათს უარყოფითს მხარეებსაც. დავით გურამიშვილის ღრმა რწმენით, ქართლ-კახეთის განსაცდელის მთავარი მიზეზი იყო შინაგანი უთანხმოება, კუთხური განკერძოება, შინათაშლილობა:

> რაც მოგახსენე, მოგეგვა: რა ჩვენ ერთმანერთის ბრძოლამა,
> ქართლი ოსმალომ დაიპყრა, კახეთი ლეკთა მოლამა.

გურამიშვილი ისე არ ფიქრობდა, როგორც მისი თანამედროვე პოეტი იესე ტლაშაძე, რომელმაც ქვეყნის ყველა უბედურება კახთა მეფე კონსტანტინეს გადააბრალა და წყეველა-კრულვა შეუთვალა მას:

> ეს შენ ქენ, კახო ბატონო, დაწყევლილო და ბედ-აო,
> სამჯერ ყათლანი ქართველთა დამართე ზედი-ზედაო,
> ლეკს ახოცინე, ურუმსა; ღმერთს რატომ არ შეხედაო?!

უთანხმოების ჩამოგდებას გურამიშვილი ორივე მხარეს უსაყვედურებდა, კონსტანტინესა და ვახტანგს, კახელებსა და ქართლელებს („კახელების აღმა ხნულნი ქართველებმა დაღმა ფარცხეს"). დავით გურამიშვილი მაღლა იდგა ყოველგვარი კუთხური განკერძოებისაგან. ფრიად საგულისხმო გარემოებაა, რომ პოეტი ოფიციალურად თავის თავს თვლიდა კახელ თავადად („из кахетинских князей")[4]. მართლაც და, დავით გურამიშვილი ჩამომავლობით იყო ქართლელი, მაგრამ, როგორც საგურამოს მეპატრონის შვილი, ის ეკუთვნო-

---

[3] ს. ჩიქოვანი, გ. ნატროშვილი, ისევ დავით გურამიშვილის დატყვევების თარიღზე („ლიტერატურული გაზეთი", 1. VII. 55).

[4] ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში (ლიტერატურული ძიებანი, IX, 1955, გვ. 155, 157, 159).

და კახეთის თავადთა წრეს (საგურამო ტერიტორიულად შედიოდა კახეთის მეფის სამფლობელოში). შემთხვევითი როდია, რომ გურამიშვილს ორგან ჰქონია საგვარეულო „სასაფლაო და ძვალთ შასალაგი“. „კახეთს ზედაძენს“ და „ქართლს — შიო მღვიმეს“. მაინც კახელი თავადიშვილი პოეტი მთელი თავისი არსებით იზიარებდა ქართლის მეფის, ვახტანგ მეექვსის, პროგრესულ პოლიტიკურ მრწამსს[5], ის ბოლომდის დარჩა ვახტანგის თაყვანისმცემელი და ერთგული მიმდევარი. დიდი შთაგონებით დახატა გურამიშვილმა ვახტანგის უაღრესობამდის მიმზიდველი სახე, მანვე დიდი გრძნობით გამოიტირა სწავლული მეფის სიკვდილი („ვაი რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო“). როგორც პოეტი და მოაზროვნე, დავით გურამიშვილი, რასაკვირველია, იყო შეურიგებელი მტერი და დაუნდობელი მამხილებელი კუთხური მიდრეკილებისა და კუთხური ინტერესებისა. დავით გურამიშვილს დარდებს ჰგვრიდა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის საერთო ჭირვარამი. დავით გურამიშვილის ცხოვრება ქართველი ხალხის ტრაგიკული წარსულის ცოცხალი მატიანეა. ხოლო მისი პოეზია ამ ხალხის გულისთქმის ღაღადისია.

ს. ჩიქოვანი და გ. ნატროშვილი ეთანხმებიან კ. კეკელიძეს და თავიანთ მხრივ ცდილობენ დაასაბუთონ, თითქოს დავით გურამიშვილის ლექებმა დაატყვევეს კონსტანტინე მეფის გარდაცვალების შემდეგ („ისევ დავით გურამიშვილის დატყვევების თარიღზე“). „დავითი ჯერ ისევ საქართველოშია, როცა კონსტანტინეს ოსმალები ჰკლავენო“. კონსტანტინეს მოკვლას კი ზოგიერთი წყაროს ჩვენების საფუძველზე ისინი 1729 წლით ათარიღებენ. აქედან ის დასკვნა გამოაქვთ, რომ დავით გურამიშვილიც სწორედ 1729 წელს დაატყვევესო. „წინა წერილში ჩვენს მიერ მოყვანილი არგუმენტებიც საბოლოოდ განამტკიცებენ არა მარტო დავით გურამიშვილის გატაცების თარიღს, არამედ კონსტანტინე მეფის მოკვლის წელსაც. ეს არის 1729 წელიო“, აცხადებენ პატივცემული ავტორები.

კონსტანტინე მეფის სიკვდილის თარიღის საკითხს ორი სპეციალური საგაზეთო წერილი მიუძღვნა გ. ლეონიძემ[6]. რიგი დოკუმენტის დამოწმებით, გ. ლეონიძემ ეჭვმიუტანლად დაამტკიცა. რომ კონსტანტინე კახთბატონი უნდა მოეკლათ ოსმალებს არა უადრეს

---

[5] ვრცლად ამის თაობაზე იხ. ჩვენი ნარკვევი — „დავითიანის პერსონაჟები: ვახტანგი და კონსტანტინე“ („მნათობი“, 1955, № 9, გვ. 158—162, მდრ. აქვე, გვ. 197—206).

[6] დავით გურამიშვილის ბიოგრაფიისათვის: კონსტანტინე კახთბატონის სიკვდილის თარიღის გამო („ლიტერატურული გაზეთი“, 22. 7. 55); კიდევ ახალი საბუთი კონსტანტინე კახთბატონის სიკვდილის დათარიღებისათვის (იქვე, 12. 8. 55).

1732 წლის დეკემბრისა. მოხმობილი დოკუმენტებიდან ყველაზე უფრო საყურადღებოა კონსტანტინე მეფის მიერ პირადად გაცემული „ბრძანება და ნიშანი“, რომელსაც თარიღად უზის ქრონიკონი უკ (1732), ენკენისთვის კა (21) [7]. მაშასადამე, 1732 წლის 21 ენკენისთვეს კონსტანტინე მეფე ცოცხალი იყო, ხოლო დავით გურამიშვილი იმყოფებოდა მოსკოვში. საბუთიანად ასკვნის გ. ლეონიძე: „ამრიგად, კონსტანტინეს სიკვდილის თარიღი ვეღარ გამოდგება დავით გურამიშვილის დატყვევების დასათარიღებლადო“.

დავით გურამიშვილის ლექთაგან დატყვევების საკითხს შეეხო გრ. ხერხეულიძეც [8]. იგი ცდილობს სხვაგვარად „წაიკითხოს“ და სხვაგვარად გააზრიანოს გურამიშვილის ცნობილი ტექსტი:

ექვსის წლით წინათ ჩემს უწინ
ქართლიდამ წაბრძანებულნი,
რა მიველ მოსკოს, ვიხილე
მეფე და ქართველთ კრებულნი.

„მეფე ვახტანგის ქართლიდან წასვლას დ. გურამიშვილი აქ თ ა ნ ა ვ ი ს ი დ ა ტ ყ ვ ე ვ ე ბ ი ს დ რ ო ი ს მ ო შ ვ ე ლ ი ე ბ ი თ ა ნ გ ა რ ი შ ო ბ ს“, ამბობს გრ. ხერხეულიძე და განაგრძობს: „ისტორიიდან კარგად ვიცით, რომ ვახტანგ VI თავისი ამალით რუსეთს გადავიდა 1724 წელს. მოტანილ სტროფში კი სავსებით გასაგებად არის აღნიშნული, რომ ვახტანგ მეფის ქართლიდან წასვლა ე ქ ვ ს ი წ ლ ი თ უ ს წ რ ე ბ დ ა დ ა ვ ი თ ი ს მ ი ე რ ს ა მ შ ო ბ ლ ო ს დ ა ტ ო ვ ე ბ ა ს. მაშასადამე, თუ გურამიშვილი საქართველოს მოშორდა რუსეთში ვახტანგის გადასვლიდან ექვსი წლით გვიან, მაშინ უ ბ რ ა ლ ო გ ა მ ო ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა ც კ ი — 1724 წელი რომ ჩავთვალოთ საკმარისია, რომ ჩვენი პოეტის დატყვეების ნამდვილ თარიღად 1729 წელი მივიღოთ“ (დაყოფა ჩემია, — ა. ბ.). „უბრალო გამოანგარიშებით“ რომ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი ყოფილიყო, მაშინ ადგილი აღარ ექნებოდა აზრთა სხვადასხვაობას. „უბრალო გამოანგარიშება“ იმას არ გვეუბნება, რასაც მკვლევარი ფიქრობს. მართლაც, ვახტანგმა სამშობლოს მიჭა-წყალი დატოვა და იგი რუსეთისაკენ გაემგზავრა 1724 წლის ივნისსა თუ ივლისში. ამას რომ ექვსი წელი დავუმატოთ, მაშინ მივიღებთ 1730 წლის ივნისს ან ივლისს. ალბათ, ამის გამო შენიშნავს გრ. ხერხეულიძე „1724 წელი რომ ჩავთვალოთო“, მაგრამ რატომ უნდა ჩავთვალოთ ეს წე-

---

[7] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, კონსტანტინე კახთბატონის სიკვდილის თარიღის გამო; საქართველოს სიძველენი, III, 1910, გვ. 156—157.

[8] „დავითიანის“ ერთი ადგილის გაგებისათვის („ლიტერატურული გაზეთი“, 2. 9. 55).

ლი? იმიტომ ხომ არა, რომ სასურველი თარიღი მივიღოთ? ერთი სიტყვით, „უბრალო გამოანგარიშება“ საქმეს ვერ შველის. ოფიციალური ცნობის თანახმად, გურამიშვილი მოსკოვში ჩასულა 1729 წელს, ცხადია, ამ წლის მიწურულში, რადგანაც პოეტს ტყვეობიდან თავი დაუხსნია და იგი „სარუსეთოში“ გადასულა იმავე წლის სექტემბერში. ვახტანგის საქართველოდან გამგზავრების დროს გურამიშვილი ანგარიშობს არა თავისი დატყვევების დღიდან, არამედ მოსკოვში ჩასვლიდან: „რა მიველ მოსკოვს, ვიხილე“ ჩემს უწინ ქართლიდან წამობრძანებული მეფე ვახტანგი (და მისი კრებულიო). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით ქართლის განშორების თარიღად გურამიშვილი ასახელებს 1728 წელს. გრ. ხერხეულიძე ძლიერ ადვილად ელევა ამ დოკუმენტს, „მშრალი ანკეტა“ არისო. გურამიშვილის პირადი ჩვენების ასე ადვილად აცილება არ შეიძლება. ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს, არ ვენდოთ დავით გურამიშვილის „ანკეტურ“ (თუ გინდ „მშრალ ანკეტურ“) ჩვენებას. მით უფრო, რომ ამ „ანკეტურ“ ჩვენებას ემთხვევა გურამიშვილის პოეტური მონათხრობიც.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ძალაში უნდა დარჩეს დავით გურამიშვილის ლეკთაგან დატყვევების თაობაზე ჩვენი სავარაუდო თარიღი — 1728 წელი (ზუსტად, 1728 წლის ივლისის პირველი ნახევარი).

დავითიანის პერსონაჟები: ვახტანგი და კონსტანტინე

დავით გურამიშვილის თხზულებათა კრებულის „დავითიანის“ მთავარი ნაწილია პოემა „ქართლის ჭირი“. აქ პოეტურად მოთხრობილია ჩვენი ქვეყნის ისტორიული თავგადასავალი მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში. მოთხრობილი ამბების წამყვანი პერსონაჟია ქართლის მეფე ვახტანგ VI. „ქართლის ჭირის“ ისტორიულ ამბებში ბუნებრივი უშუალობით ჩაქსოვილია თვითონ პოეტის საკუთარი სათავგადასავლო ამბები. პოემის შესავლის საექსპოზიციო ნაწილში ავტორი მკაფიოდ გადმოსცემს თავისი შთანაფიქრის შინაარსობლივ სქემას:

> აქ ცხადად ითქმის ყველაი დასაბამ-დასასრულისა,
> მეფის ვახტანგის ამბავი, მოწყალის, სიბრძნით სრულისა.
> მაზედან ქართლის არაკი, მტერთაგან გაბასრულისა,
> მერმე თვით ჩემის თავისა, დაკარგულ, დამაწრულისა.

„ქართლის ჭირი“ ისტორიული ჟანრის პოემაა. პოემის ისტორიულობა განსაკუთრებით ძლიერად იგრძნობა ახლა, თავისი დროისათვის კი პოემა წარმოადგენდა მღელვარე თანადროულობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებს, რომელიც გამსჭვალული იყო მისი ავტორის მხურვალე პატრიოტულ-ჰუმანისტური იდეებით. „ქართლის ჭირის“ მთავარი მოქმედი პირია ქართლის ქვეყანა, პოემის სასიუჟეტო არსს შეადგენს ქართლის ქვეყნის უკუღმართი ისტორიული ცხოვრების ამბავი, რაც ავტორის თავმდაბლური განცხადების მიუხედავად („ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენამჭევრი“) აღწერილია სამაგალითო სიმართლითა და დიდი პოეტური მგზნებარებით. პოემის სათაურიც გარკვეულ წარმოდგენას ჰქმნის მოსათხრობი ამბების შინაარსობლივი ხასიათის შესახებ და გარკვეული მიმართულებითაც განაწყობს მკითხველს.

დავით გურამიშვილს ბევრი ცნობილი ისტორიული პირი ჰყავს გამოყვანილი თავის პოემაში და მათ ახასიათებს შესაფერისი შტრიხებითაც. მაინც, როგორც აღვნიშნეთ, პოემის ცენტრალური ფიგურაა ვახტანგ VI. ზემოთ ციტირებული ნაწყვეტიდან კარგად ჩანს ავტორის დამოკიდებულება თავისი გმირისადმი, ნათელია პერსონაჟის ავტორისეული დახასიათება („მოწყალე", „სიბრძნით სრული"). გურამიშვილი ბევრგზის უბრუნდება ვახტანგის მეფური თუ ადამიანური თვისებების აღწერას. იგი ვახტანგს პირველად გვაცნობს პეტრე პირველის ელჩის მიღებასთან დაკავშირებული ამბების მოთხრობისას. აი, ვახტანგი ერთხელ. საღამო ჟამს მარტოდ იჯდა თავის სასახლის აივანზე თბილისს, მეფეს მწვავე სევდა შემოსწოლოდა („ქვეყნის არევის მიზეზით გულს სევდა მას მიმატოდა"). მეფე დანაღვლიანებული იყო საქვეყნო საქმეების გამო. მთელი პოემის მანძილზე გურამიშვილი ავითარებს ამ მოტივს. „ქართლის ჭირის" მკითხველს ვახტანგი ეხატება, როგორც ქვეყნის ინტერესებისათვის თავდადებული მზრუნველი, უიღბლო, კეთილშობილი მეფე და ადამიანი, რომელსაც ვერ მოუშორებია ჰმუნვა და ნაღველი. ქვეყნის „არევის" გამო ვახტანგის მგრძნობიარე გულს „ეკრა ჯანგ-მურია", „ჯავრიანი" და „შესახედავად შესაზარი" დაუხვდა იგი კახეთის ელჩებს. ამ შემთხვევაშიც მეფის მძიმე სულიერი განწყობილება საქვეყნო ამბებით იყო გამოწვეული. რუსეთში გარდახვეწილმა ვახტანგმა ცოცხალს ვერ მიუსწრო თავის მოკავშირე პეტრე პირველს. თუმცა მოსკოვში მეფური ცხოვრების პირობებიც შეექმნა, ვახტანგს ძლიერ ადარდებდა მშობლიური ქვეყნის უნუგეშო ხვედრი. გურამიშვილის სიტყვით, ვახტანგის გულს „სცემოდა სევდა", იგი დამწუხრებული იყო, „მგლოვიარე", „ცრემლების მღვრელი". ქვეყნისათვის გულშემატკივარი მეფე თურმე „თავისას, თავის ქვეყნისას უბედურებას ჩიოდა". ვახტანგი ცრემლებით ავედრებდა თავის ქვეყანას იმპერატრიცა ანას („ამასა გთხოვ, შემიწყნარო, ბრძანო ჩემის ქვეყნის შველაო"). ქართლის მეფეს თავზარი დასცა შაჰ-ნადირის ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლამ და ამასთან დაკავშირებით მისი ქვეყნის განთავისუფლების საკითხის პოლიტიკური ცხოვრების დღისწესრიგიდან დროებით მოხსნამ. „სევდით გულ-ღვიძლ-დანაყული" ვახტანგი სამდურავს ეუბნებოდა ღმერთს („ღმერთო ჩემო, ეს რა მიყავო") და წყევლა-კრულვას უთვლიდა წუთისოფელს („წყეულო, ცრუო მაცდურო, ასე რად დამემტერეო?.. არც მამკალ, არც დამარჩინე"). შაჰ-ნადირის ამიერკავკასიაში შემოჭრამ ვახტანგს სასო წარუკვეთა და სამუდამოდ დაუკარგა თავისი ქვეყნის განთავისუფლების იმედი. ეს იყო ყველაზე უფრო მძიმე მომენტი ვახტანგის ცხოვრებაში, იმედ

გაცრუებული და გულმოკლული პატრონი წარდგენია თავის მხლებელთა კრებულს და დარცხვენით უთქვამს „ვეცადე მე ჩემის ქვეყნის შველასაო“, მაგრამ არ იქნა და არა, შედეგს ვერ მივაღწიეო. მ.ს. თავის თავზე მიუღია თავდატეხილი უბედურების მთელი პასუხისმგებლობა და თავისი ერთგული თანამემამულეებისაგან მდაბალი შენდობა უთხოვია. თავის საუკეთესო მიზანსწრაფვაში დამარცხებული ვახტანგი ჩამოშორებია პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზს, განმარტოებულა და, როგორც კერძო პირი, დასახლებულა ასტრახანში, ახლოს თავის მშობლიურ მხარესთან. ვახტანგის განწირებას უზომო მწუხარება გამოუწვევია მის მხლებელთა წრეში. გურამიშვილი აღიარებს:

ვწუხდით მეფისა გაყრისთვის, გვწვევდა სახმილთა დებანი;
ბევრმან დავსწყეულეთ მას დღესა ჩვენ ჩვენი დაბადებანი.

გურამიშვილი ყოველთვის მადლიერებით იგონებდა ვახტანგის ამაგს („გვწყალობდის, უხვად გვაძლევდის, სწავლით შვილურებ გვზრდიდისა“) და მას უწოდებდა „დიდს“. გურამიშვილმა მჭუბარე ლექსით გამოიტირა ვახტანგის სიკვდილი („ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო“).

დავით გურამიშვილი ვახტანგს გვიხატავს როგორც გონიერ მეფეს, დიდბუნებოვან ადამიანს, გულისხმიერსა და გულშემატკივარს ქვეშევრდომების მიმართ, თავმდაბალსა და ჰუმანიურს. ამასთან ერთად ვახტანგი ყოფილა მეტად თავმოყვარე, ამაყი, კადნიერი, თანაც პრინციპული. შეუპოვარი და ქედმოუხრელი. ვახტანგს ბევრი სიკეთე აღუთქვა ნადირ-შაჰმა, მაგრამ მან ითაკილა მტარვალის წყალობა („არ წავიდა, არ მიენდო, მისი ყმობაც ითაკილა“). ვახტანგი ბოლომდის დარჩა ერთგული თავისი პროგრესული პოლიტიკური მრწამსისა, ერთგული რუსეთის ორიენტაციისა: საქართველოს ხსნას ქართლის მეფე ხედავდა მხოლოდ რუსეთთან მჭიდრო კავშირში. თავისი მღელვარე ფიქრები ვახტანგმა თან ჩაიტანა სამარეში, ხოლო გონივრული აზრები ანდერძად დაუტოვა შთამომავლობას.

გარკვეული სიმპათიებით გვიხატავს დავით გურამიშვილი კახეთის მეფე კონსტანტინესაც. კახელებსა და ქართლელებს შორის მტრობის ჩამოსაგდებად და ჩვენი ქვეყნის ორივე კუთხის დასაძაბუნებლად ირანის შაჰმა ვერაგული ხერხის გამოყენება სცადა, ქართლის ტახტი ჩამოართვა ვახტანგს და იგი „უწყალობა“ კახეთის მეფე კონსტანტინეს (შაჰმადიანური სახელწოდებით მაჰმად-ყულიხანს). კონსტანტინემ პირველად საუცხოო პოლიტიკური გამჭრიახობა გამოიჩინა, შაჰის მიერ დაგებულ მახეში არ გაება, მას წინდახე-

დულად უთქვამს: „ქართლი მომცა. ძმათ საჩხუბრად, ამხანაგთა მრ-
საშორადო“. კონსტანტინემ ყური არ მიუგდო გათიშულობის მომხ-
რე კახელი დიდკაცების რჩევას დამორჩილებოდა შაჰის ბრძანე-
ბას, ე. ი. წამოგებულიყო შაჰის ანკესზე. მას ბრძნულად განუსჯია:

გარს გვარტყია, ვით სარტყელი, სულ სხვა-და-სხვა მტერთა გუნდი,
ჩვენ ერთმანერთს ხმალსა ვსცემდეთ, ეგ რჩევა არს დიაღ ცუდი.

კახეთის მეფეს უცდია ძმური მოლაპარაკებით მოეგვარებინა საქ-
მე. მას გადაუწყვეტია ვახტანგის „გვერთხლება“, რისთვისაც დას-
ტური უთხოვია („მანდ გეახლებით, მოგვმადლეთ მამაშვილური
მცნებაო“). კონსტანტინეს უნდოდა ქართლ-კახეთს შორის ყოფი-
ლიყო „სიყვარული ძმური“. მოციქულების პირით მას ვახტანგისა-
თვის მიუცია უაღრესად გონივრული რჩევა:

ჩვენ ერთმანერთსა ნუ ვახდენთ, თორემ წაგვახდენს მტერები.

გირჩევ, ნუ აქცევ ზღუდებსა, შენს ზურგის მისაყუდებსა.

გურამიშვილის მონათხრობის მიხედვით, კახთბატონ კონსტანტი-
ნეს აქტიური მონაწილეობა მიუღია ოსმალების წინააღმდეგ წარ-
მოებულ ქართველთა ერთობლივ გამამთავისუფლებელ ბრძოლაში
ზედაველაზე.

პოეტი მაინც არ ივიწყებს ვახტანგისა და კონსტანტინეს ადამია-
ნური ბუნებისა, თუ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მოღვაწე-
ობის, მისი თვალსაზრისით, უარყოფითს მხარეებს. ჩვენ აქ მხედვე-
ლობაში არ ვღებულობთ ბაქარის მხრით ვახტანგის მიმართ უმარ-
თებულო განაჩენს („ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე მინაწვდო-
მარე, რაზედაც მიდგა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე“). ამ სიტ-
ყვებისათვის პასუხისმგებელია ბაქარი და არა გურამიშვილი. დავით
გურამიშვილს მამა-შვილი (ვახტანგი და ბაქარი) იმთავითვე სხვადა-
სხვა პოლიტიკური მრწამსისა და პოლიტიკური ორიენტაციის მიმდევ-
რებად ჰყავს გამოყვანილი, პოეტის სიტყვით „წახდენის დროს მამა-
შვილთაც არა ჰქონდათ ერთი პირი“. სახელდობრ, „მამა რუსეთს
იზიდევდა, შვილი ყეენისა კარსა“. ვახტანგი მტკიცედ იდგა რუსე-
თის ორიენტაციის გზაზე, ბაქარი კი ირანის ბატონობას ამჯობინებდა.
ვახტანგი იყო პროგრესული პოლიტიკური თვალსაზრისის გამომხატ-
ველი, ბაქარი კი ჩვენს ქვეყანას უკან ეზიდებოდა, აგრესიული ირა-
ნის მონობისაკენ. მართალია, გურამიშვილი გაურბის ბაქარის აუგად
ხსენებას, მაგრამ ზოგჯერ მას მიაწერს ზერელე და ფუქსავატი ადა-
მიანის თვისებებს. ამ მხრივ საგულისხმოა ვახტანგისა და ბაქარის

შემდეგი დიალოგი. თავისი ქვეყნის განთავისუფლებაზე იმედდაკარგულ ვახტანგს ღრმა მჭმუნვარებით უთქვამს ბაქარისათვის:

არ ვიცი, რაღაც ეტლზედა შევიქენ, დავიბადეო,
მე ბევრს ვეცადე, არ იქნა, აწ ახლა შენა სცადეო.

ბაქარი უცნაურად შეხვედრია ვახტანგის გულის წუხილს, მას დაუფიქრებლად უკითხავს:

.....შენ რა გაქვს აწ საჭმუნავი?
რაზედ შექმნილხარ, არ ვიცი, შენის ცხოვრების მწუნავი?

იმის ნაცვლად. რომ ღრმად გაეაზრებინა მამის სიტყვები. ჩასწვდომოდა იმის გულისთქმას. ქვეყნის სასარგებლო საქმიანობაზე ეთათბირა. ბაქარს დაუწყია უადგილო რეზონერობა და ჰკუის სწაელება:

სჯობია ისევ მოლხენა წუხილსა, ჭმუნვა-ურვასა,
გირჩევ, დავხსენ მაგდენსა ცრემლსა და ოფლში ცურვასა.

ბაქარის სიტყვებიდან არ ჩანს, რომ მას შეგნებული ჰქონდა მდგომარეობის მთელი სირთულე და სიმწვავე. რომ მას მამის მსგავსად შესტკიოდა გული ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისათვის. ბაქარი ზერელედ მსჯელობდა და ზერელე დასკვნებიც გამოჰქონდა მის.ი გამოჩენილი მამის განწყობილებებსა და იმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის თაობაზე.

დავით გურამიშვილი იშვიათ ობიექტურობას იჩენს. არ ზოგავს თავის მწყალობელ პატრონს, მისი ხასიათისა და მოქმედების ცალკეულ უარყოფით თვისებებს ამხელს. ასე. გურამიშვილი ერთგვარი საყვედურით შენიშნავს, რომ ვახტანგი ზოგჯერ ჯიუტობასა და თვითნებობას იჩენდა რთული პოლიტიკური საკითხების გადაჭრის დროს. იგი არა თუ ყურს არ უგდებდა თავის მრჩევლებს, არამედ: „ვინც არ ემოწმის, მაზედა ერთგულად არ უყუროდა“. ვახტანგის თავნებობით უკმაყოფილო პოეტი დიდი სამდურავით ამბობს:

მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა რასაც ინებდა.

კახეთის მეფის მოციქულების მიღების დროს ვახტანგს დაუკარგავს პოლიტიკური მოღვაწისათვის საჭირო წონასწორობა, გულის სიფიცხეს აყოლია („გახდა ვითა ნაკვერცხალი, მეტის წყენით ექცა ფერი“) და შეუფერებელი განკარგულება გაუცია:

მომზადენ ჩემნი სპასპეტნი, ლაშქარი შეიყაროსა,
წავიდეს, მოსპოს კახეთი, მტრის ჯავრი ამამყაროსა.

კახთბატონი მთლად გულფიცხელობის ცეცხლს შეუპყრია. „არც მე შევჭამ იმათ ჯავრსაო“, უთქვამს მას ქართლელებზე, მიუხმია ჭარელი ლეკები, დასხმია თავს თბილისს და ნაცარ-ტუტად უქცევია საქართველოს დედაქალაქი. დამარცხებულ ვახტანგს საბედისწერო ნაბიჯი გადაუდგამს, დახმარება უთხოვია ჩვენი ქვეყნის მაოხარი ოსმალებისათვის. მწარე ირონიით შენიშნავს გურამიშვილი:

ვახტანგს ძიმწარის უმწარე ეტკბილა ვითა შაქარი;
ძილ-გაკრთობილმან საზღაპროდ მძინარე შეძრა ხვანთქარი.

შავი დღეები დაუდგა ჩვენს ქვეყანას ოსმალთა შემოჯრის შედეგად. ოსმალებმა დაიპყრეს ქართლი, შებილწეს მისი მიწა-წყალი, დაარბიეს და ააოხრეს ქალაქები და სოფლები, გაძარცვეს და გაჟლიტეს მოსახლეობა, საშინელი ტირანია გაამეფეს. ქართლის ქვეყანა იქცა უდაბურ ტრამალებად („მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა“). დავით გურამიშვილის მოწმობით, ვახტანგი და კონსტანტინე გულის სიფიცხემ დაიმორჩილა, ისინი მიენდენენ მოღალატე მრჩევლებს, ვერ გამოიჩინეს საჭირო გამჭრიახობა, თავიანთი საძრახისი საქციელის წყალობით დიდი ზიანი მიაყენეს ქვეყანას. გურამიშვილი გამოტეხილად ამბობს ვახტანგის და კონსტანტინეს მისამართით:

მოტყუვდნენ ხუროთმოძღვარნი, იხმარეს ავნი ხურონი:
ძველთაგან მკვიდრად ნაშენნი საქართლო-საკახურონი
მოშალეს, ველარ იშენეს სრა-ვანი საკვეხურონი.
ყმა და მამული მტრებს მისცეს, თვით დარჩენ უმსახურონი.

მართალია, გურამიშვილი პერსონალურად მარტო ვახტანგსა და კონსტანტინეს არ სდებს ბრალს ქვეყნის „წახდენაში“, ორივე მხარის დიდკაცებმა და გავლენიანმა წრეებმა, მათ შორის სამღვდელოების წარმომადგენლებმა, საზიზღარი როლი ითამაშეს საძმათაშორისო შუღლსა და სისხლის ღვრაში. დავით გურამიშვილმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა კახთა ელჩების, „ჩინით რჩეული“ ბერების, ანგარებიანი და მსუნაგი „დიაკვნების“ გულისშემზარავი საქმიანობა. მშვიდობისა და სათნოების ჩამოგდების სანაცვლოდ „წმიდა“ ბერები კიდევ უფრო აღვივებდნენ ქართლსა და კახეთს შორის გაჩაღებული მტრობის კოცონს. ვახტანგის სიტყვებით მწვავედ ამათრახებს გურამიშვილი „საქართლოდ გაჩაფრულ დიაკვნებს“. მეფეს ღრმა აღშფოთებით უთქვამს ბერებისათვის:

რად არა ხართ მონასტერში, არ იღოცავთ, ღმერთს არ ესავთ?
გამოსულხართ და დადიხართ, ენაობთ და ჩხუბსა სთესავთ,
ჩვენთა ხრმალთა გამახულთა მაგით უფრო თქვენ აღლესავთ.

გურამიშვილმა ამხილა გაიძვერა ინტრიგანისა და მრავალგზის რენეგატის იესე მეფის ბინძური მოქმედებანი. პოეტის ღრმა რწმენით, ჩვენი ქვეყნის დაძაბუნების მთავარი მიზეზი იყო არა გარეშე მტრის თარეში და ლეკიანობა, არამედ შინათაშლილობა, კუთხური განკერძოება, თავადაზნაურული ეგოიზმი და გულზვიადობა. გარეშე მტრების, მათ შორის ლეკების, აულაგმავ თარეშს ხელს უმართავდა და ზოგჯერ პირდაპირ იწვევდა სწორედ შინაგანი განხეთქილება და კინკლაობა. ქართველი მთავრები და დიდებულები ხომ „საუკუნეთა განმავლობაში ეომებოდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს, ერთიმეორეს უსისიანებდნენ სპარსელებსა და თურქებს". დავით გურამიშვილი გადაჭრით ამბობს: „რაც მოგახსენე, მოგვგვარა ჩვენ ერთმანერთის ბრძოლამა; ქართლი ოსმალომ დაიპყრა, კახეთი – ლეკთა მოლამა". კუთხურ განკერძოებაში გურამიშვილი თანაბრად სდებს ბრალს ორივე მოშუღარ მხარეს, ქართლსა და კახეთს („კახელების აღმა ხნულნი ქართველებმა დაღმა ფარცხეს... ძმამ ძმას საბრე გარდუჭირა, მტერთ კობალი თავში დასცხეს, ორნივ ერთად შებრინკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს"). პოეტი სასოწარკვეთილებით ასკვნის:

უკუღმართად ხვნა და ფარცხვამ ეს ნაყოფი გამოიღო:
მოგვითხარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან ამოიღო.

დავით გურამიშვილი არის ადრეული ქართული რეალისტური მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენელი პოეტი-მოქალაქე, რომლის გუნება-განწყობილების ხასიათს საზოგადოებისა და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები განსაზღვრავდა. საზოგადოებრივი უკეთურების მამხილებელი პოეტი, უაღრესობამდე პირუთვნელი და მიუკერძოებელი, ააშკარავებდა მანკიერების ყოველგვარ გამოვლინებას, არ ინდობდა არც დიდსა და არც პატარას, არც ერისკაცსა და არც სამღვდელოს, თავადსა და აზნაურს, მეფესა და ბატონიშვილს. გურამიშვილი დაუზოგავად ებრძოდა კუთხურ განკერძოებასა და კუთხურ მიდრეკილებებს, იგი მტკიცედ იდგა ქართველი ხალხისა და მთელი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის საერთო ინტერესების სადარაჯოზე. ყოველგვარ საზოგადოებრივ მოვლენას იგი ამ თვალსაზრისით ზომავდა და აფასებდა. აღნიშნულის მიხედვით გურამიშვილი სრულიად არ ჰგავს მის წინამორბედსა თუ თანამედროვე იმ ქართველ მწერლებს, რომლებიც ვიწრო კუთხური პოზიციებიდან აშუქებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. გურამიშვილის წინამორბედთაგან ასეთი იყო, მაგალითად, პოეტი ფეშანგი,

ავტორი „შაჰნავაზიანისა“. თანამედროვეთაგან კი კუთხური პატრიოტიზმის მკვეთრი გამომხატველია იესე ტლაშაძე, რომელიც ქვეყნის ყოველგვარ უბედურებას აბრალებდა პირადად კახეთის მეფე კონსტანტინეს და მას საშინელ წყევლა-კრულვას უთვლიდა:

ეს შენ ქენ, კასო ბატონო, დაწყევლილო და ბედ-აო,
სამჯერ ყათლანი ქართველთა დამართე ზედი-ზედაო,
ღუკს ახოცინე, ურუმსა, ღმერთს რატომ არ შეხედაო?

როგორც ცნობილია, კუთხურ განწყობილებებსა და კუთხურ შიდრეკილებებს თავი ვერ დააღწია მე-18 საუკუნის გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა ბესარიონ გაბაშვილმაც. კუთხური განწყობილებანი მკაფიოდ აისახა პოემაში „რუხის ბრძოლა“. დავით გურამიშვილი კი ქართველი ხალხის საუკეთესო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალების, ქართველი ხალხის ფიქრთა, გულისთქმათა და გრძნობათა ამსახველია პოეზიაში.

საგულისხმო ისაა, რომ გურამიშვილი თუმცა წარმოშობით იყო ქართლელი, თავისი მდგომარეობით ის ეკუთვნოდა კახეთის მკვიდრთა (საგურამო ტერიტორიულად შედიოდა კახეთის მეფეთა სამფლობელოში) და ოფიციალური დოკუმენტებით თავს აცხადებდა კახელ თავადიშვილად [1]. შემთხვევითი როდია, რომ პოეტის სიტყვით, სავარეულო „სასაფლაო და ძვალთ შასალაგი“ მას ჰქონია „კახეთს — ზედაძენს, და ქართლს — შიომღვიმეს“. ფორმალურად დავით გურამიშვილის უშუალო „უფალი“ იყო კახეთის მეფე კონსტანტინე. ნამდვილად კი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში პოეტი ერთგულობდა ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსეს, იზიარებდა იმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს. რუსეთში გარდახვეწილი გურამიშვილი შეუერთდა ვახტანგის ამალას და თავისი ბედი მთლიანად მას დაუკავშირა.

ისიც აღსანიშნავია, რომ თვითონ ვახტანგიც ქართველი ხალხის საუკეთესო ზრახვების განხორციელებისათვის იღწვოდა. ვახტანგის მიმდევართა და თანამგზავრთა წრეში საკუთრივ ქართლის მკვიდრთა გარდა საკმაოდ იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები, მათ შორის კახელები, იმერლები და სხვანი. ამ მხრივ სამართლიანად შენიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი: „ამას (ე. ი. ვახტანგს, — ა. ბ.) მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნიო“ [2]. თუმცა ზოგჯერ

[1] ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში („ლიტერატურული ძიებანი“, IX, 1955, გვ. 155, 157, 159).

[2] ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 71.

ერთგვარი კუთხური ტენდენცია ეტყობა თვითონ სწავლული ბატონიშვილის მონათხრობსაც. მაგალითად, ერთი შემთხვევის გამო ის აცხადებს: „იწყეს, ვითარცა წესი არს, კახთა კერძობა ერთმან მეორისა და მტრობა ურთიერთთა“ [3]. გვიანფეოდალური საქართველოს სინამდვილეში ასეთი კერძობა ახასიათებდა არა მარტო კახეთს, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეს. ქართლის, კახეთისა, იმერეთისა და საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროების თავადაზნაურობისა და თავადაზნაურული საზოგადოების სოციალური ბუნება და სოციალურ-პოლიტიკური მიდრეკილებანი, რასაკვირველია, ერთგვარი იყო და საზოგადებრივ-კლასობრივი ცხოვრების გარკვეულ კანონზომიერებას შეეფერებოდა. გურამიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ამაღლდა კუთხურ ინტერესებზე. სხვათა შორის, მან ისიც კი დაივიწყა, რომ ერთს დროს ვახტანგმა ბაქარსა და იესეს უმოწყალოდ ააკლებინა საგურამო და მისი მიდამოები [4]. კახელი გურამიშვილი კარგად ხედავდა, რომ კუთხურ კონკლაობასა და ურთიერთ შუღლს ერთნაირად მოჰქონდა ზიანი როგორც კახეთისათვის, ისე ქართლისათვის, რომ გარეშე მტერი მოხერხებულად იყენებდა ქვეყნის შინათაშლილობას, ქვეყნის დასუსტებისა და დაძაბუნების მიზნით მტერი ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად აქეზებდა ერთიანი საქართველოს სხვადასხვა ნაწილს. დავით გურამიშვილის მგზნებარე პოეტური ხმა მიმართულია ქართველობის კუთხური ინტერესების დაძლევისაკენ, ქვეყნის შემშიდროებისა, შეკავშირებისა და ერთობისაკენ. ამ აზრს პოეტი მკაფიოდ გამოთქვამს კახეთის მეფის კონსტანტინეს სიტყვებითაც:

> გარს მტერთგან ცეცხლი გვედების, შუა ჩვენ ვსდნებით ცვილები.
> სჯობს, რომ ჩვენ ერთნი შევიქნათ, აგებ გვედირსოს ძილები.

დავით გურამიშვილმა მშვენივრად იცოდა, თუ რა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისათვის საქართველოს გულს — ქართლს. ქართლის ჭირი და განსაცდელი ყოველთვის იყო მთელი ქართველი ერის საერთო ჭირი და განსაცდელი. ქართლის ლხინი კი ერთობლივი საქართველოს ლხინს შეადგენდა. გურამიშვილმა უწინარეს ყოვლისა აწერა „ჭირი ქართლისა“, მან ასა-

---

[3] იქვე, 133.

[4] იქვე, 137.

ხა ქართლის ცხოვრების, ანუ ზოგად ქართველობის, მთელი საქართველოს. მთელი ქართველი ხალხის ტრაგიკული ცხოვრების ამბავი. დავით გურამიშვილის სევდა-ნაღველს იწვევდა და მას „დარდებს ჰგვრიდა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის საერთო ჭირვარამი. დავით გურამიშვილის ცხოვრება ქართველი ხალხის ტრაგიკული წარსულის ცოცხალი მატიანეა, ხოლო მისი პოეზია ამ ხალხის გულისთქმის ღაღადისია“ [5].

---

[5] ალ. ბარამიძე, სოლ. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი დაღესტანში („ლიტერატურული გაზეთი“, 8. 7. 55; შდრ. ს. ჩიქოვანი, გ. ნატროშვილი, ისევ დავით გურამიშვილის დატყვევების თარიღზე, „ლიტერატურული გაზეთი“, 1. 7. 55).

ჩვენი მწერლობის დიდი მკვლევარი

„ქართულ ლიტერატურას, მეტი თუ არა, თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია მაინც აქვს, — ლიტერატურული ძეგლები ჩვენ უკვე მეხუთე საუკუნიდან მოგვეპოვება, — ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა. დიდია და განუზომელი ამ ლიტერატურის მნიშვნელობა: იმაში აღბეჭდილია ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების პერიპეტიები; მის ძეგლებში, ორიგინალურსა და ნათარგმნში, გამოვლინებულია უდაო ნიშნები ქართველთა შემოქმედებითი პოტენციისა“ [1]. ასე ამბობს ჩვენი გამოჩენილი მკვლევარი კორნელი კეკელიძე, რომელიც ექვსი ათეული წელი დაუცხრომლად იღვწოდა ქართველი ერის დიდი, ძველი სულიერი კულტურის შესწავლისა და საუკეთესო ნიმუშების გამომზეურებისათვის.

კორნელი კეკელიძის მახლობელი წინაპარი ჩოხატაურის საბოქაულოს ს. ზოტიდან წამოსულა და დასახლებულა ს. ტობანიერში მდ. ყუმურის პირას (ვანის რაიონში). კორნელის მამა სამსონი იყო დიდი ოჯახის პატრონი, ხელმოკლე „მედავითნე“ გლეხი, რომელსაც მემამულეთა მიწებზე უხდებოდა მუშაობა „სანახევროდ“. გამრჯე მეოჯახე იყო კორნელის დედა თებრონეც, უშვერიძის ქალი საჯავახოდან.

დაბადებულა კორნელი 1879 წლის 18 (30) აპრილს. წერა-კითხვა მას უსწავლია მშობლებისაგან. 1886 წელს იგი შეიყვანეს ქუთაისის ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში. მამას უჭირდა შვილის ქალაქში შენახვა (საზრდოს სახლიდან უზიდავდა). უშველა სკოლის

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XIX, 1941, გვ. 141).

ინსპექტორმა ივანე გაფრინდაშვილმა (პოეტ ვალერიან გაფრინდა-შვილის მამამ). მისი დახმარებით კორნელი უფასოდ ჩარიცხეს სას-წავლებლის ინტერნატში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მას-წავლებელთაგან კორნელი, განსაკუთრებული პატივისცემის გრძნო-ბით იგონებს პოლიევქტო ყვიცარიძეს, თავის დროისათვის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს. ქართული მწერლობის მკვლევარს და ქართუ-ლის ენის გრამატიკის („სწორმეტყველების“) ავტორს. პ. ყვიცარი-ძის წყალობით გაეცნო კორნელი კეკელიძე „ვეფხისტყაოსანს“, „არ-ჩილიანს“ და ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებს, რომელთა შესწავლას შემდეგ მან ასეთი ამაგი დასდო.

საზაფხულო არდადაგებს კორნელი თავის სოფელში ატარებდა, დროს ფუჭად არ ჰკარგავდა, ეხმარებოდა მამას, ძმებსა და დებს წიგნის კითხვაში ავარჯიშებდა, თვითონაც ბევრს კითხულობდა. ერთ-ხელ სამების ძველი ეკლესიის სიძველეების აღსაწერად იქაურობას ეწვია ისტორიკოსი და არქეოლოგი ექვთიმე თაყაიშვილი. მამა აუტყ-და თურმე კორნელის. წადი, ინახულე ის „დიდი კაცი“, გაეცანი და შინაც მოიპატიჟეო. კორნელის ეუხერხულებოდა უცხო კაცთან შეხ-ვედრა, ფეხს ითრევდა. ამასობაში „დიდი კაცი“ მორჩა თავის საქმეს და გზას გაუდგა. კორნელიმ დააგვიანა. ამის გამო მამის საყვედური დაიმსახურა. რა იცოდა მაშინ სამსონ კეკელიძემ, რომ მისი კორნელი იმ „დიდი კაცის“ უახლოესი თანამებრძოლი და თანამოღვაწე გახდე-ბოდა ახლო მომავალში!

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი კორნელი კეკელიძემ წარ-ჩინებით დაამთავრა 1893 წელს. იმავე წლის სექტემბერში მამამ თბილისში ჩაიყვანა სემინარიაში მისაბარებლად. მთავარი იყო პანსი-ონში მოწყობა, ოჯახს სხვა საშუალება არ ჰქონდა. პანსიონში კი ყველა ადგილი დაკავებული აღმოჩნდა, ობლები ჩაერიცხათ. გულ-დაწყვეტილი კორნელი დერეფანში კედელთან იყო ატუზული და იცრემლებოდა. მამამისი შორიახლო ვიღაცას ცხარედ ესაუბრებოდა. ამ დროს კორნელის ჩამოუარა უცნობმა პირმა, ცრემლები რომ შე-ნიშნა. მიზეზი გამოკითხა. მამა რომ ცოცხალი მყავს, ის მატირებსო, უპასუხია. უცნობის გაოცებაზე კორნელის განუმარტავს, სემინარიის პანსიონში თურმე მხოლოდ ობლებს ღებულობენ, მამის გამო უსა-მართლოდ ვისჯები, უარს მეუბნებიან, უკან უნდა გაებრუნდე, ეს მაწუხებსო. უცნობი ბედზე აღმოჩენილა სემინარიის ინსპექტორი იოანიკი. იმას გაუმხნევებია და გაუხარებია კორნელი, დაპირებია პან-სიონში ჩარიცხვას. შეუსრულებია კიდევაც სიტყვა. ასეთი ბედნიერი შემთხვევის გამო კორნელი გახდა სემინარიელი.

კორნელიმ სემინარიაშიც ბეჯითად და გულმოდგინედ განაგრძო სწავლა. ოღონდ პირველსავე წელს სემინარიელთა არეულობაში ჩაება და ერთი წელი გაუცდა. ნიჭიერი ყმაწვილის ყურადღება იმთავითვე მიიპყრო მასწავლებელმა თედო ჟორდანიამ. პ. ყვიცარიძესთან ერთად კორნელი კეკელიძე თედო ჟორდანიას თვლის ისეთ აღმზრდელ-მასწავლებლად, რომელმაც ღრმა ნაკვალევი დატოვა მის მეხსიერებაში, გაუღვიძა ინტერესი მშობლიური წარსულისადმი, შეაყვარა მშობლიური მწერლობა[2]. კორნელი გატაცებით კითხულობდა ქართულსა და რუსულ წიგნებს, თვალყურს ადევნებდა ჟურნალ-გაზეთებს, ეტანებოდა აკრძალულ ლიტერატურას, აკვირდებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, იძენდა საზოგადო მოღვაწეობის ჩვევებს. სემინარია კორნელი კეკელიძემ დაამთავრა როგორც კარგად მომზადებულმა და გონებრივად მოწიფულმა ყმაწვილმა კაცმა. მას უკვე აღძროდა სერიოზული ინტერესი მშობლიური ქვეყნის წარსულისადმი, ნამეტნავად მისი მწერლობისადმი.

ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლობად კორნელი, როდესაც 1895 წელს გარდაეცვალა საყვარელი დედა, ორი წლის შემდეგ მამითაც დაობლდა. ობლად დარჩენილ მცირეწლოვან ბავშვებს ნამდვილი მშობლიური მზრუნველობა გაუწია კორნელის უფროსი დის ქმარმა ამფილოქე ცინცაძემ. მანვე შეუწყო ხელი კორნელის დაუბრკოლებლად განეგრძო სწავლა უმაღლეს სასწავლებელში. კორნელი ოცნებობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც მაშინ მოღვაწეობდნენ პროფესორები ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი. ხელმოკლეობამ აქაც შეუშალა ხელი. სამაგიეროდ სემინარია დაეხმარა მას, როგორც წარჩინებით კურსდამთავრებულს, „სახელმწიფო ხარჯზე“ ესწავლა სასულიერო აკადემიაში. უსასტიკესი საკონკურსო გამოცდების ჩაბარების შემდეგ კორნელი კეკელიძე 1900 წლის შემოდგომიდან გახდა კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი.

სასულიერო აკადემიებმა გასულ საუკუნეში ჩვენს ქვეყანას მისცეს ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები და მეცნიერები, როგორიც იყვნენ პლ. იოსელიანი, დიმ. ბაქრაძე, გაბრიელ ქიქოძე, თედო ჟორდანია, იაკობ გოგებაშვილი, დ. ფურცელაძე და სხვები. თეოლოგიურ დისციპლინებთან ერთად აკადემიებში ფართოდ ისწავლებოდა ისტორიულ-ფილოლოგიური საგნები. კორნელი კეკელიძე ჩაირიცხა

---

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, თედო ჟორდანიას კუბოსთან (გაზ. „საქართველო“, 1916 წ., № 242); წერილი გამოქვეყნებულია „ნამოწაფარის“ ფსევდონიმით.

აკადემიის სიტყვიერების განყოფილებაზე, მონდომებით დაეწაფა სწავლას და იმთავითვე ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხების ლიტერატურული წარსულის გაცნობამ მწვავედ აგრძნობინა პატრიოტ სტუდენტს მშობლიური მწერლობისადმი არსებული სამეცნიერო გულგრილობის სიმწარე. ასეთ პირობებში არაჩვეულებრივად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უკვე გარკვეული გუნება-განწყობილების მქონე ყმაწვილკაცზე აკადემიკოს ნიკო მარის გახმაურებულმა შრომამ „Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховым, и в Иерусалиме в поездку 1902 г" [3]. ამ ნარკვევით ნ. მარმა საზოგადოებას მიაწოდა წინასწარი ცნობები იმ უმდიდრეს ლიტერატურულ საგანძურზე, რომელიც დაცული აღმოჩნდა სინას მთისა და იერუსალიმის ძველ ქართულ სამწიგნობრო ცენტრებში. ნ. მარის შესანიშნავმა ნაშრომმა დასავლეთ ევროპის მეცნიერთაც კი აღუძრა ინტერესი ძველი ქართული მწერლობისადმი. მაგალითად, ბერლინის უნივერსიტეტის სახელმოხვეჭილი პროფესორი ჰარნაკი აღნიშნავდა: მარის პუბლიკაციამ ნათელი გახადაო, რომ „უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომელნიც შეძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და გაგვაცნონ ახლოს მისი საუნჯე" [4].

დაბადების 75 წლისთავზე (1954 წელს) კ. კეკელიძემ მოიგონა ჰარნაკის ეს გამოსვლა და განაცხადა: „ჩვენი მდიდარი კულტურის შესწავლა, ჰარნაკის აზრით, მხოლოდ გერმანელი მეცნიერებისაგან იყო მოსალოდნელი. მე კი ვფიქრობდი ჯერ კიდევ მაშინ, რომ ეს საქმე პირველ ყოვლისა უნდა თვით ქართველებმა იკისრონ; რომ თუ ვისმე შეუძლია ეს, პირველ რიგში ქართველ მეცნიერებს. ამისათვის საჭირო არაა, როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი სწერდა ერთხელ აკად. მ. ბროსეს, ევროპელებს ველოდოთ. ამ გარემოებამაც წარმართა ჩემი სამეცნიერო ინტერესები, მე განვიზრახე ჩემი წვლილიც შემეტანა ამ დიდს, თავისთავად საჭირო და აუცილებელ საქმეში" [5].

---

[3] Сообщения Палестинского Общества, т. XIV, ч. 2, 1903, პეტერბურგი.

[4] Adolf von Harnack, Forschungen aus dem Gebiete der alten grusinischen und armenischen Litteratur (Sitzungsberichte der preusischen Akademie der Wissenschaften, XXXIX, ბერლინი, 1903. გვ. 840: კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1954, გვ. 11.

[5] ლიტერატურული ძიებანი, IX, 1955, გვ. 452.

კ. კეკელიძემ საბოლოოდ გადაწყვიტა თავისი სპეციალური მუშაობის საგნად გაეხადა ძველი ქართული მწერლობის შეუსწავლელი დარგი, ეგრეთ წოდებული სასულიერო მწერლობა. ენთუზიასტი სტუდენტის გადაწყვეტილებას ფრთები შეასხა მისი ორი მასწავლებლის, თავისი დროისათვის გამოჩენილი რუსი მეცნიერების, კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორებისა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების, ნ. პეტროვისა და ა. დმიტრიევსკის თანაგრძნობამ და მხარდაჭერამ. ნ. პეტროვი აკადემიაში დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კურსს კითხულობდა, ა. დმიტრიევსკი კი იყო ბიზანტიური მწერლობის დიდი სპეციალისტი. ორნივე რამდენადმე იცნობდნენ საქართველოს წარსულს, მათ საკმაოდ ჰქონდათ წარმოდგენილი ძველი ქართული სულიერი კულტურის მნიშვნელობა მსოფლიო საქრისტიანო კულტურის ზოგადი ისტორიის თვალსაზრისით.

პროფესორმა დმიტრიევსკიმ წინადადება მისცა კ. კეკელიძეს სადიპლომო (საკანდიდატო) დისერტაციის თემა აერჩია ძველი ქართული მწერლობიდან. კორნელი ხალისით მოეკიდა ამ წინადადებას, საფუძვლიანად შეისწავლა ქართული სიძველეთსაცავების ფონდები და 1904 წელს წარადგინა ვეებერთელა შრომა „Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение". შრომას დიდი წარმატება ხვდა წილად. აღტაცებული შეფასება მისცეს მას ოფიციალურმა რეცენზენტებმა პროფ. ა. დმიტრიევსკიმ და დოც. ა. გლაგოლევმა[*]. სადიპლომო ნაშრომით განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა კ. კეკელიძის ხელმძღვანელი მასწავლებელი პროფესორი დმიტრიევსკი. იგი გულწრფელად აღიარებდა: „Скромные наши ожидания сводились лишь к желанию развить в студенте Кекелидзе охоту и навык к занятиям в области древней грузинской, родной для него, письменности, чтобы потом в будущем приобрести в нем полезного для науки работника. Но представленный им на степень кандидата, внушительный, по объему труд, в 822 страницы, основательный по научным приемам и весьма любопытный по собранным, неизвестным науке данным, признаемся откровенно, превзошел далеко наши скромные ожидания и показывает с доста-

[*] Извлечение из журналов Совета КДА за 1903—1901 учебный год. კიევი, 1904, გვ. 306—317.

точной ясностью, что в лице К. С. Кекелидзе грузинология и наша наука приобретают трудолюбивого и даровитого труженика".

პროფ. დმიტრიევსკი მიუთითებდა შრომის ზოგიერთ წვრილმან დეფექტზე და ასკვნიდა: „ყველა ამ ნაკლზე ჩვენ მივუთითებთ მხოლოდ იმ კეთილი განზრახვით, რომ მათზე ყურადღება მივაქცევინოთ შრომისმოყვარე და ნიჭიერ ავტორს და არა იმისათვის, რომ შევამციროთ შრომის იშვიათი მეცნიერული ღირსებანი. ეს შრომა არა თუ საკმარისია თავისი პირდაპირი დანიშნულებისათვის, არამედ მითითებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და აღწერილი ძეგლების ხელმეორე, უფრო ბეჯითი გადასინჯვის შემდეგ, ჩვენი აზრით, იგი შეიძლება წარმოდგენილი იქნას სამაგისტრო დისერტაციად". დოც. ა. გლაგოლევიც აღნიშნავდა ორიოდე ნაკლს და წერდა: „ჩვენ, რასაკვირველია, შორსა ვართ იმისაგან, რომ რაიმე არსებითი მნიშვნელობა მივსცეთ აქ აღნიშნულ შემთხვევით დეფექტებს. ეს დეფექტები მხოლოდ წარმოადგენენ სტუდენტ კეკელიძის შრომის მთლიან ნათელ ფონზე შემჩნეულ შავ ლაქებს. ეს შრომა უცილობლად გამოირჩევა საუკეთესო საკანდიდატო დისერტაციებიდან და ზოგიერთი შესწორების შემდეგ დაიმსახურებს მაგისტრის ხარისხს".

რეცენზენტების წარდგენის შედეგად შრომისათვის მისი ავტორი დააჯილდოეს მნიშვნელოვანი ფულადი პრემიით.

სწავლის დიდი წარმატებით დამთავრების შემდეგ აკადემიის საბჭოს დადგენილების თანახმად კორნელი კეკელიძე დატოვებულ იქნა პროფესორობისათვის მოსამზადებლად მახლობელ აღმოსავლეთში (ათონი, იერუსალიმი, სინას მთა) მივლინებით იქაური ქართული ხელნაწერების შესასწავლად.

ქართველი ახალგაზრდის პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვება იშვიათი მოვლენა იყო. ამ სასიხარულო ამბის გამო „ივერიაში" (1904, № 148) დაიბეჭდა გაზეთის კიეველი სპეციალური კორესპონდენტის მალაქია ბოლქვაძის მოკლე საყურადღებო წერილი:

„ამ მოკლე წერილით მინდა ვამცნო მკითხველს შემდეგი ახალი და სასიამოვნო ამბავი. კარგი რამ და ისიც ქართველ ახალგაზრდის შესახებ ვის არ გაუხარებს გულს, რომ გულწრფელ ქართველს არ აგრძნობინებს სიამოვნებას.

კ. კეკელიძე, რომლის თხზულების შესახებაც უკვე იყო „ივერიაში" დასტამბული წერილი და რომელმაც წელს დაამთავრა სწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში, აკადემიის პროფესორთა კრების გადაწყვეტილებით დატოვებულ იქნა აკადემიაში სტიპენდიატად, ესე იგი საპროფესოროდ მოსამზადებლად. კეკელიძემ მომავალში უნდ-

დაიჭიროს პროფესორ დმიტრიევსკის ადგილი. ეს პირველი მაგალითია ქართველის აკადემიაში სტიპენდიატად დატოვებისა.

აი რას ნიშნავს შრომა, ცოდნის შესწავლის სურვილი და სიყვარული მეცნიერებისადმი, რასაც ჩვენების დიდი ნაწილი აქ არა სცემენ თაყვანს მაინცადამაინც, თვისდა საუბედუროდ ზარმაცობენ.

სალამი მშრომელ ახალგაზრდას და ბრწყინვალე მომავალი ჩვენდა სასიხარულ-სასიქადულოდ".

კიევის აკადემიის მხრივ საქართველოს წარსულისადმი ყურადღების გამახვილება მეფის რუსეთის სინოდმა არ მოიწონა და პროფესორთა საბჭოს დადგენილება არ დაამტკიცა. სინოდის მიერ შექმნილმა დაბრკოლებამ გული ვერ გაუტეხა ახალგაზრდა ენთუზიასტს. საკუთარი თაოსნობით ის გულმოდგინედ შეუდგა ჯერ კიდევ პირველი დაგროვების სტადიაში მყოფი ძველი ქართული წერილობითი წყაროების სისტემურ შესწავლას, გააფართოვა და გააღრმავა თავისი სადისერტაციო შრომა.

1904 წლის ზაფხული და შემოდგომა კ. კეკელიძემ გაატარა მოსკოვსა და პეტერბურგში, აქ იგი ეცნობოდა ქართულ ხელნაწერთა ფონდებს. პეტერბურგში გაიცნო აკადემიკოსი ნიკო მარი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი კორნელი კეკელიძის მომავალი მუშაობის ხასიათის გარკვევასა და განსაზღვრას. ამ დროიდან დამყარდა მჭიდრო მეცნიერული კავშირი სახელმოხვეჭილ ქართველოლოგსა და დამწყებ მკვლევარს შორის.

1905 წელს კორნელი იწყებს მასწავლებლობას ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში. ქუთაისში ყოფნას ის იყენებს გელათის მდიდარი ხელნაწერი კოლექციის დაწვრილებით შესასწავლად. ადგენს ამ კოლექციის მეცნიერულ აღწერილობას. კორნელის მალე შეუსრულდა ნატვრა და 1906 წლის დამდეგს გადმოვიდა თბილისში. ამის თაობაზე წერდა ნ. მარს: „Желание сердца моего сбылось, я уже в Тифлисе" (12.3.06). თბილისში კ. კეკელიძემ განაგრძო პედაგოგიური მოღვაწეობა, დაინიშნა აქაური საეპარქიო სასწავლებლის პედაგოგიური ნაწილის გამგედ.

კ. კეკელიძემ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეპარქიალურ სასწავლებელში ქართული დისციპლინების (ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის) სწავლების გაძლიერებას, რითაც დაიმსახურა საეკლესიო უწყების მეთაურის, მაშინდელი ეგზარხოსის რისხვა (ეგზარხოსის გვერდის ავლით სასწავლო ნაწილის უფროსმა ვრცელი გაბედული მოხსენებით მიმართა სინოდს ეპარქიალურ სასწავლებელში ქართული ენის სწავლების მდგომარეობის თაობაზე). კეკელიძის აქ ყოფნის დროს „საეპარქიო ქალთა

სასწავლებელი... ნამდვილ ეროვნულ სასწავლებლად გადაიქცაო", წერს ვიღმე „ძველი სემინარიელი" [7].

კ. კეკელიძე აქტიურად ჩაება საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ახლად დაარსებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში. სწავლობს ხელნაწერებს, ადგენს კატალოგებსა და აღწერილობებს, აქვეყნებს საყურადღებო დოკუმენტებს, კითხულობს მოხსენებებს. არქივებისა და მუზეუმების სპეციფიკური სურნელებისადმი სიყვარული კორნელის შემდეგ თუ გაუორკეცდა, თორემ აროდეს შენელებია. ხელნაწერთა აღწერილობების შედგენას ის აწარმოებდა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

1905 წელს დაიბეჭდა კ. კეკელიძის პირველი სამეცნიერო შრომები: 1. ახალი საგალობლები ეპო თბილელისა („მწყემსი", 1905, №—13—14), 2. К вопросу о времени празднования рождества Христова в древней церкви (ТКА, 1905, № 1, გვ. 1—10).

1907 წელს კ. კეკელიძემ დაასრულა თავისი საკანდიდატო შრომის გადამუშავება და წარუდგინა იგი კიევის აკადემიას მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ბეჭდურად გამოქვეყნდა ეს შრომა 1908 წელს აკადემიის ხარჯით: Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение (Тбилиси, 1908, XXXI+515+XIII გვ.). მნიშვნელოვნად გაფართოებულსა და გაღრმავებულ სამაგისტრო შრომას ისეთივე წარმატება ხვდა წილად, როგორც ამავე შრომის საკანდიდატოდ დაწერილ ვარიანტს [8]. ეს იყო პირველი შემთხვევა რუსეთის აკადემიათა პრაქტიკაში, როდესაც სამაგისტრო დისერტაციას იცავდა ქართველი კაცი ქართულ თემაზე. ამჯერადაც ოფიციალურმა ოპონენტმა პროფ. დმიტრიევსკიმ სადისერტაციოდ წარმოდგენილ ვეებერთელა ტომს უწოდა „სოლიდური და ჭეშმარიტად მონუმენტური ნაშრომი" და შენიშნა: „თავმოყრილი მასალის სიუხვითა და მეცნიერულ მონაცემთა სიახლით ეს იქნება ლიტურგიული მეცნიერების ძვირფასი განძი და იგი გახდება ლიტურგისტთა სამაგიდო წიგნად". პროფ. ა. დმიტრიევსკიმ თავის რეცენზიაში ძლიერ გაუსვა ხაზი ნაშრომის ეროვნულ-პოლიტიკურ ტენდენციას. ეს ტენდენცია რეცენზენტმა ოფიციალურად მაინც არ მოუწონა მკვლევარს. პროფ. დმიტრიევსკი ამბობდა, რომ კ. კეკელიძის სადისერტაციო ნაშრომს „აღბეჭდილი

---

[7] გაზ. „საქართველო", 1916, № 223.

[8] Извлечение из журналов Совета КДА за 1907—1908 учебный год, стр. 470—480.

აქვს ის პოლიტიკური და ლიტერატურული მიმდინარეობა, რომლის უცილობელი გავლენის ქვეშ იმყოფება ახალგაზრდა ავტორი — თავისი მშვენიერი, მაგრამ უბედური სამშობლოს კანონიერი შვილი. აღზრდითაც და სამსახურებრივი მდგომარეობითაც კი იგი იმყოფება თანამედროვე ცხოვრებისა და ლიტერატურის ნაციონალისტურ მოძრაობათა შუაგულში". რეცენზენტის მოსაზრებით, კ. კეკელიძე მაშინ „მოხიბლული იყო ქართველოლოგების ნ. მარის, ალ. ცაგარლის, ივ. ჯავახიშვილისა და სხვათა მიერ და მათი მფარველობით იკაფავდა გზას ქართული ლიტერატურის პანთეონში". პროფ. დმიტრიევსკი ეკამათებოდა თავის მოწაფეს ერთი კერძო საკითხის გამო და ფრთხილი საყვედურის კილოთი შენიშნავდა, ვითომც უეჭველიაო, „რომ აქ ყოველი ქართველოფილისათვის მახლობელსა და აკვიატებულ იდეას და ტენდენციას მსხვერპლად ეწირება ისტორიული სიმართლე და უცილობელი ფაქტები".

მეორე ოფიციალური რეცენზენტი ა. გლაგოლევიც, მაშინ უკვე პროფესორი და აკადემიის რექტორი, უყურადღებოდ არ ტოვებდა კ. კეკელიძის ნაშრომის გარკვეულ ეროვნულ-პატრიოტულ მხარეს და მიუთითებდა მის სახიფათო პოლიტიკურ ტენდენციაზე.

ერთი სიტყვით, რეცენზენტებმა სწორედ ის არ მოუწონეს ახალგაზრდა პატრიოტი მკვლევრის ნაშრომს, რაც, ჩვენის აზრით, მას განსაკუთრებულად დიდ ფასსა და ღირებულებას აძლევდა.

ა. დმიტრიევსკისა და ა. გლაგოლევის რეცენზიები მიეძღვნა კ. კეკელიძის ნაშრომის ხელნაწერის სახით წარდგენილ რედაქციას. ორივე რეცენზენტი მოითხოვდა შრომის ბეჭდურად გამოქვეყნებას. კ. კეკელიძეს საშუალება ეძლეოდა ერთხელ კიდევ გადაეხედა თავისი ნაშრომისათვის და აეცილებინა რეცენზენტების მიერ მხილებული ეროვნულ-პოლიტიკური ტენდენციები. მაგრამ ავტორმა არა თუ ეს არ ისურვა, არამედ შრომის საჯაროდ დაცვის წინ წარმოთქვა მხურვალე მეცნიერულ-პატრიოტული სიტყვა „К вопросу о важности и своевременности научной разработки памятников древнегрузинской церковной, в частности, — литургической письменности"[9]. ამ სიტყვაში კ. კეკელიძემ მკაცრად გააკრიტიკა სასულიერო აკადემიების ნიჰილისტური დამოკიდებულება ძველი ქართული კულტურის საკითხებისადმი და ხმამაღლად განაცხადა: „ქართული ეკლესია აღმოცენდა ქრისტიანობის გარიჟრაჟზე. მან ჯერ კიდევ მე-4—5 სს. შეიმუშავა თავისი საკუთარი საღვთისმეტყველო ენა, რომლის საშუალებითაც დაიწყო ბერძნულ-ბი-

[9] ТКА, 1903, XI, გვ. 1—9; აგრეთვე კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1957, გვ. 295—300.

ზანტიური საქრისტიანო ცივილიზაციის ათვისება და ეროვნული გენიის ძალით გარდაქმნა იგი ივერიზმის ცხადად გამოკვეთილი ნიშნების მქონე თავისებურ კულტურულ სისტემად".

კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ ქართული კულტურა ზეგავლენას ახდენდა თვითონ განათლებულ ბერძნებზე, რომ ქართულმა მწერლობამ კაცობრიობას გადაურჩინა საქრისტიანო ცივილიზაციის დიდი საგანძური და რომ ამიერიდან „არცერთ ნაშრომს, რომელიც კი ძველი საქრისტიანო-საეკლესიო მწერლობის ამათუიმ საკითხის შესწავლას ეძღვნება, სათანადო საკითხის ყოველმხრივად გაშუქებისა და გამოკვლევის თვალსაზრისით არ შეიძლება ჰქონდეს სამეცნიერო პრეტენზია ქართული ხელნაწერი საგანძურებით შემონახული ცნობების გარეშე". „ფაქტობრივ მხოლოდ დღეიდან, ამ საპატიო ტრიბუნაზე ჩვენი ახლანდელი გამოსვლით, იწყება აკადემიების სისტემაში ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლების მეცნიერული შესწავლაო", აცხადებდა კეკელიძე. დისერტანტის მართებული შენიშვნით, მისი ნაშრომი მნიშვნელოვნად ავსებდა არსებულ ხარვეზს. „კაცმა რომ თქვას, — ამბობდა იგი — ჩვენი ნაშრომით მთავრდება ლიტურგიკული მეცნიერების დამუშავების ისტორიაში შემკრებლობითი პერიოდი და იწყება სინთეტიკური პერიოდი, სამეცნიერო განზოგადებათა პერიოდიო".

კ. კეკელიძემ ბრწყინვალედ დაიცვა თავისი შრომა და დამსახურებულად მოიპოვა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი. მისმა თამამმა, პრინციპულმა, ღრმად მეცნიერულმა და პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულმა სიტყვამ კიევისა და პეტერბურგის საზოგადოებისა და პრესის საგანგებო ყურადღება მიიპყრო.

1908 წელს კიევის აკადემიაში გათავისუფლდა კ. კეკელიძის მასწავლებლის პროფესორ ა. დმიტრიევსკის კათედრა (იგი პეტერბურგში გადავიდა). თვითონ დმიტრიევსკისა და პროფ. ნ.პეტროვის წანადადებით ვაკანტურ კათედრაზე მიიწვიეს კ. კეკელიძე. მაგრამ შემონაძლევ საპატიო თანამდებობაზე მან უარი განაცხადა, რადგანაც ფიქრობდა, რომ მისი სამოღვაწეო ასპარეზი უნდა ყოფილიყო საქართველოში, ახლოს საკვლევაძიებო ობიექტებთან, კიევში გადასვლა კი მოწუენტდა მას ქართული ხელნაწერი მასალების კერებს. ოღონდ ქართველ მეცნიერს არ შეუწყვეტია კავშირი თავის აღმზრდელ უმაღლეს სასწავლებელთან, 1905—1912 წლების განმავლობაში იგი სისტემატურად თანამშრომლობდა ამ სასწავლებლის სამეცნიერო ორგანოში — „Труды Киевской Духовной Академии".

სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შემდეგ კ. კეკელიძე კვლავ განაგრძობდა მასწავლებლობას, 1912 წლიდან მიიწვიეს ლექციების

საკითხავად ქალთა უმაღლეს კურსებზე, მაგრამ უფრო მეტი მონდომებითა და გატაცებით ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას.

კ. კეკელიძის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლას დიდი კმაყოფილებით შეხვდა პეტერბურგის სახელოვან ორიენტალისტთა წრე. კერძოდ ქართველოლოგთა ჯგუფი. განსაკუთრებით მოხარული იყო ნ. მარი. კ. კეკელიძის სადისერტაციო შრომას მან უწოდა „сенсационнейшее явление". ნ. მარი ამხნევებდა ახალგაზრდა მკვლევარს, ურჩევდა წარმატებით წამოწყებული საქმის შეუფერხებლივ გაგრძელებას. „თუ საქმე ბეჭდვაზე მიდგება, ჩვენ აქ მოვაგვარებთო", წერდა ნ. მარი კ. კეკელიძეს ჯერ კიდევ 1905 წლის 23 მარტს, სხვათა შორის ა. დმიტრიევსკი ატყობინებდა კ. კეკელიძეს: „Марр в восторге от Ваших научных трудов и главное от Вашего метода" (20. XI. 12). ნ. მარმა კ. კეკელიძე მიიწვია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური ორგანოს „Христианский Восток"-ის მუდმივ თანამშრომლად. მართლაც, 1912—1917 წლების მანძილზე ამ ორგანოში დაიბეჭდა კ. კეკელიძის არა ერთი ნაშრომი.

1912 წელს თბილისში გამოქვეყნდა კ. კეკელიძის მეცნიერული რედაქციითა და გამოკვლევით ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლი „იერუსალიმის განჩინება" (Иерусалимский Кавопарь VII века, VII+346 გვ.). მსოფლიო საქრისტიანო ლიტერატურის ეს უნიკალური ძეგლი დაუფასებელი წყაროა პალესტინის როგორც უძველესი საეკლესიო ცხოვრების, ისე ამ მხარის მთელი მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის შესასწავლად. შესავალ წერილში მეცნიერი გამომცემელი მოკრძალებით შენიშნავდა: „უშუალოდ დაინტერესებული სპეციალისტები თვითონ შეაფასებენ გამოცემული ძეგლის მთელ მნიშვნელობას პალესტინათმცოდნეობისა და საქრისტიანო აგიოლოგიისა და ლიტურგიკისათვის". თითქოს ამის საპასუხოდ საგნის საუკეთესო სპეციალისტმა, კიევის აკადემიის ყოფილმა პროფესორმა და მაშინ პალესტინის საზოგადოების მდივანმა პეტერბურგში, ა. დმიტრიევსკიმ „იერუსალიმის განჩინება" დაახასიათა როგორც „თავისი ინტერესითა და უნიკუმობით განსაკუთრებული ძეგლი" [10]. ა. დმიტრიევსკიმ აღნიშნა „იერუსალიმის განჩინების" დიდი მნიშვნელობა უძველესი საქრისტიანო კულტურის ისტორიისა და პალესტინათმცოდნეობისათვის. ქართული ტექსტი გვერდში დაუყენა იტალიელი მეცნიერის გ. გამურინის მიერ აღმოჩენილსა და 1887 წელს გამოქვეყნებულ განთქმულ ძეგლს „Pere-

[10] Сообщения Палестинского Общества. т. XXIV, СПБ. 1913. გვ. 34—48.

grinatio ad loca Sancta". ა. დმიტრიევსკი დასძენდა: „კ. კეკელიძის წიგნი რომ ოცი წლით ადრე გამოსულიყო, ყოველ ეჭვს გარეშე ივი მოახდენდა მეცნიერთა შორის ნამდვილ ფურორს". ა. დმიტრიევსკი თავისი მიუზღა კ. კეკელიძის იშვიათ შრომისმოყვარეობასა და მეცნიერულ კეთილსინდისიერებას. სარეცენზიო ნაშრომი ცხადყოფსო, ამბობდა გამოჩენილი სპეციალისტი, „ახალგაზრდა მეცნიერის სამაგალითო შეუპოვრობას და მხურვალე სიყვარულს თავის სამშობლოსა და თავის სპეციალობისადმი. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ მის შრომას წილად ერგო, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალე წარმატება".

გულთბილი რეცენზიები მიუძღვნეს „იერუსალიმის განჩინებას" პროფესორმა ი. კარაბინოვმა [11], პ. პეეტერსმა [12], აკად. ნ. მარმა [13]. თავის ვრცელ რეცენზიას ნ. მარი ასე იწყებდა: «В городе, где основание университета считается несвоевременным в виду предполагаемой незрелости туземного общества, появляется книга, составленная туземцем, которая особенно живо заставляет сожалеть об отсутствии там университета. Задуман труд, серьезный по отвлеченности темы и по важности новооткрытого текста, проникнутый искренним стремлением к строгой научной трактовке предмета и выполненный автором, хорошо ориентированным как в специальной литературе, так и в разнообразных источниках, дающих ему возможность искусно разъяснять и комментировать трудные места текста; в труде попутно сделаны существенные поправки к принятым в использованных работах утверждениям».

ნ. მარის წარდგინების შედეგად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ „იერუსალიმის განჩინების" გამოცემისათვის კ. კეკელიძე დააჯილდოვა მ. ნ. ახმატოვის სახელობის პრემიით. ნ. მარმა საგანგებო წერილით მიულოცა მკვლევარს მისი ნაშრომის დიდი წარმატება.

კ. კეკელიძის შრომებმა გულწრფელად აღაფრთოვანა მისი ყოფილი სემინარიელი მასწავლებელი, ცნობილი ისტორიკოსი თედო ჟორდანია. საგულისხმოა, რომ ჭეშმარიტების მაძიებელმა მასწავლებელმა დაუზოგავი კრიტიკაც მოუწონა თავის ნიჭიერ მოწაფეს. თ. ჟორდანია წერდა კორნელის: — მივიღე ძვირფასი საჩუქარი — თქვენი ახალი წიგნი „Иерусалимский Кановарь". თვალი გადავავლე და მადლობა შევსწირე ღმერთს, რომელმაც აღმისრულა მე ჩემი წადილი: როგორც იყო, ამ ბოლო ჟამს მოგვევლინა ქართველებს გამ-

[11] Христианское чтение, 1912, გვ. 646—651.
[12] Analecta Bollandiana, 1914, გვ. 349—350.
[13] Христианский Востокъ, I, 1912, გვ. 114—122.

ჭრიახი, საქმიანი და მცოდნე გამომეძიებელი ქართული ხელნაწერებისა... აქამდის თუ პატივსა გცემდით, ახლა ძმაზე უძმესი ხართ ჩემთვის... თქვენი მეცადინეობა, ახალგაზრდობა, ნიჭი, ცოდნა, სიყვარული მეცნიერებისადმი ჰეშმარიტს, უმწიკვლოს მოჰფენს დიდებულს ჩვენს ისტორიას.

თქვენი სამართლიანი შენიშვნა დიდად მიამა: თქვენ ყველას სამართლიანად გაგვისწორე შეცდომა მ ე ხ უ რ ზ ე [14]. აგაშენოს ღმერთმა. აი ეს მართალი არი. თქვენი უკანასკნელი შრომა არის გვირგვინი თქვენი ნაშრომებისა, ღირსი სამეცნიერო დოკტორობის ხარისხისა (დაუცველად). თქვენი ყოფილი მასწავლებელი დღეს თქვენ ათასჯერ მეტად გაფასებთ, ვიდრე დღემდი.

დამიჯერე, ჩემს ძმასთან უძმესო კორნელი, რომ ჩვენ უნდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ დასაცველად ჩვენის მწერლობა-ისტორიის ღირსებათა. რაც კარგი ვნახოთ, ის შევითვისოთ, გამოვააშკარავოთ, გამოვაბრწყინოთ, ხოლო ნაკლულევანებანი, დეე, მტრებმა ეძიონ“ [15].

მეორე წერილშიც (1912 წლის 3 მარტის თარიღით ქ. გორიდან) თედო ჟორდანია ამბობდა: „მე მახარებს და მაცოცხლებს ის, რომ ჩვენს მწერლობას ბუმბერაზი მეძიებელი გამოუჩნდა და ეს გმირი ჩემი ნამოწაფარია. რა ვუყოთ, რომ მოძღვარს მოწაფე სწიხლავს. ათასიც რომ მწიხლოთ და დიდათ უსამართლოდაც. მაინც კარგ მოძღვარს უნდა უხაროდეს მოწაფის გაძლიერება. გაზვიადება და პირფერობა მე სრულებით არ მახლავს და თუ შენი შრომა [16] ვაქე, ეს პირფერობა არ არის, წმინდა ნაყოფია ჩემის წრფელის გონება-გამოცდილებისა... თქვენს შრომას იმიტომ კი არ ვაქებ, რომ ის უნაკლოა ვითომ. მე ვაქებ და საქებელია შენი მეცნიერული მომზადება და — უმეტეს ამისა — შენი გონება-ძლიერება, ნიჭიერება, ბასრი ლოღიკა“.

იმავე 1912 წელს კ. კეკელიძემ გამოსცა ძველი საეკლესიო მწერლობის მეორე მნიშვნელოვანი ძეგლი — ძველ-ქართული არქერატიკონი (Древнегрузинский Архиератикон. Грузинский текст

---

[14] კ. კეკელიძემ გაარკვია, რომ წინააღმდეგ გავრცელებული შეხედულებისა, მ ე ხ უ რ ი არაა ეროვნების აღმნიშვნელი სიტყვა (მესხური, სომხური) და იგი ეწოდება გალიტბით შესასრულებელ ჰიმნებს (Иерусалимский Канонарь, გვ. 332; ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ.604—606).

[15] წერილს თარიღი არ უზის, მაგრამ უდავოდ დაწერილია 1912 წელს.

[16] იგულისხმება „იერუსალიმის განჩინება“.

под редакцией и с предисловием К. Кекелидзе. თბილისი, 1912. XXX+142 გვ.). ნ. მარმა ამასაც აღფრთოვანებული რეცენზია უძღვნა. იგი, სხვათა შორის, აღნიშნავდა: „გამოცემის სიახლეა მისი ფილოლოგიური აპარატი. ამ სიახლით მეცნიერი გამომცემელი თამამად დგება ძველი ქართული ენის თანამედროვე მეცნიერული გაგების მხარეზე“ [17].

თავისი გამოკვლევებითა და გამოცემებით კ. კეკელიძემ მალე მოიხვეჭა მოწინავე მეცნიერის სახელი. მასთან ცხოველი საქმიანი მიმოწერა გააჩაღა რუსეთისა და საზღვარგარეთის მრავალმა ცნობილმა მეცნიერმა, მათ შორის, აკადემიკოსმა ვ. ლატიშევმა, პ. პეტერსმა. რ. გუსენმა, ფ. კონიბერიმ, ა. ბაუმშტარკმა და სხვ. კ. კეკელიძის ნაშრომებმა ბევრ საზღვარგარეთელ მეცნიერს აღუძრა ინტერესი ქართული მწიგნობრული წყაროებისადმი.

იმ ხანებში რუსეთის მეცნიერებათა აკადემია ნ. მარის თაოსნობით შეუდგა ქართული ენის დიდი აკადემიური ლექსიკონის გამოცემის სამზადისს. საჭირო შეიქნა რიგი წინასწარი სამუშაოს შესრულება. გადაწყდა გამოქვეყნებულიყო ძველი ქართული ენის ძეგლები, უწინარეს ყოვლისა ჰაგიოგრაფიული ტექსტები — ეგრეთ წოდებული „წმიდათა ცხოვრებანი“. ლექსიკონის შემდგენმა კომისიამ თავის სხდომაზე 1915 წლის 22 თებერვალს დაადგინა კ. კეკელიძის მიწვევა თანამშრომლად. 25 თებერვლის თარიღით ნ. მარმა აცნობა მას საქმის ვითარება და კომისიის სახელით სთხოვა ეკისრა შესაფერისი ძეგლების გამოცემა. თავის ოფიციალურ მოხსენებითს ბარათში ნ. მარი აღნიშნავდა: „Когда речь зашла об исполнителе предначертанной серии, не могло быть двух мнений и все остановились на том, что для этого предприятия должен быть привлечен К. С. Кекелидзе. Кроме основательной научной подготовки, сотрудничество его делали неизбежным и его последние работы, помещавшиеся в „Христианском Востоке“ и в „Bibliotheca Armeno-Georgica“ по грузинской агиографической литературе. В них сказывается уже опытный агиолог, прекрасно знающий, с одной стороны, родную литературу и научные запросы по житийным памятникам, с другой—усвоивший в совершенстве всю теорию грузинского языка, необходимую для ученого издателя древнегрузинских текстов“ [18].

---

[17] Христианский Восток, I. გვ. 353.

[18] Протокол VII заседания Историко-филологического Отдела Академии Наук, 15.IV.15. стр. 61—62.

კ. კეკელიძე დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამ წინადადებას. „Что же касается столь лестного для меня предложения взять на себя издание грузинского текста житии святых, то предложение это совпало с заветною моею мечтою", ატყობინებდა იგი კომისიას (12 მარტს). კ. კეკელიძე იშვიათი მონდომებით შეუდგა კოლოსალურ, მაგრამ მეტად საპატიო საქმის შესრულებას.

1915 წელს გარდაიცვალნენ ქართველთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მესვეურები, ქართული პოეზიის კორიფეები — აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა. კ. კეკელიძე მგზნებარე პატრიოტული სიტყვებით გამოეთხოვა ორივეს ნეშტს. აკაკის კუბოსთან წარმოთქმული სიტყვა გადარჩენილია მხოლოდ რუსული თარგმანის სახით [19]. თარგმანის თარგმანის ასაცილებლად მოვიყვანთ ამ შესანიშნავი სიტყვის ერთ ნაწყვეტს რუსულ ენაზე: „Бурлит и волнуется житейское море, волны над волнами вздымает оно и родину нашу, как маленькую ладью, с одного берега к другому пригоняет. Теперь-то и нужен был нам такой надежный кормчий, как покойный Акакий, но как раз теперь прекратилось биение пульса его. Рыдай, Грузия, и в траур облекайся, плачь родина, плачь: одного за другим теряешь ты лучших сынов своих. Не стало у тебя Димитрия Кипиани, утешал тебя Илья Чавчавадзе; отняли у тебя Илью, зато радовалась ты Акакию. Сегодня же ты прощаешся и с Акакием, он уходит, туда, где почивают Димитрий и Илья:

მთაწმინდა გულში იხუტებს
სამშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს".

„ჯერ კიდევ არ გაცივებულა დიდებული აკაკის საფლავი, რომ ჩვენი პოეზიის საკურთხეველზე ჩაქრა მეორე ბრწყინვალე ლამპარი", ამბობდა კ. კეკელიძე ვაჟას კუბოსთან. ორატორი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თუმცა ვაჟა-ფშაველა ზოგჯერ „იცქირება წარსულისაკენ", მაგრამ „მისი ელეგიური, მელანქოლიით აღსავსე ქნარი სულ უიმედოდ მომავალსაც არ უყურებდა". ვაჟა-ფშაველას მტკიცედ სწამდაო, რომ „გათვითცნობიერებული ქართველი ერი, ადრე იქნება თუ გვიან, ძალამოკრეფილ მდინარესავით უეჭველად გაარღვევს იმ სალ კლდეს, რომელიც გზას არ აძლევდა ამ მდინარეს და არ უშვებდა ბარად". სიტყვის დასასრულს ორატორმა ასე მიმართა სასიქადუ-

[19] Акакий и его поэзия. Составил и издал А. Алдон. Тбилиси. 1915, стр. 32—34.

ლ. პოეტის ნეშტს: „შუქი გაჰფანტავს იმ წყვდიადს, რომელსაც მოუცავს დღეს შენგნით მიტოვებული, შენზე მტირალი ქართველი ერი“ [20].

კორნელი კეკელიძის მოღვაწეობას თანაგრძნობითა და მოწონებით ხვდებოდნენ რუსეთისა და საქართველოს მოწინავე სამეცნიერო და საზოგადოებრივი წრეები. სამაგიეროდ უკმაყოფილო რჩებოდა როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი სასულიერო უწყება. კ. კეკელიძის შრომები ეხმაურებოდა ქართველთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ხელს უწყობდა ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას და მოსწავლე თაობის აღზრდას პატრიოტიზმის იდეალებზე. ისე როგორც პეტერბურგელი პროფესორები (ალ. ცაგარელი და ნ. მარი), კ. კეკელიძეც ბეჯითად იცავდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის („ავტოკეფალობის“) იდეას, რაც სასულიერო უწყების მეთაურთა შეურიგებელ წინააღმდეგობას იწვევდა. კ. კეკელიძე თავგამოდებით იბრძოდა იმ ტიპის რეაქციონერი მოღვაწეების წინააღმდეგ, როგორიც იყვნენ ვოსტორგოვი და იანოვსკი. „კიდევ ვინმე გაბედავს მეგრელების ქართველობა უარყოს?... განა შესაძლოა აფხაზების ქართველებისაგან ჩამოშორება?“ კითხულობდა კ. კეკელიძე ვოსტორგოვებისა და მათი დამჭაშების შაერაზმული მოღვაწეობის გამო [21].

რუსეთის სასულიერო უწყება იძულებული ხდებოდა სერიოზული ანგარიში გაეწია კ. კეკელიძის მიერ დამსახურებულად მოპოვებული გამოჩენილი მეცნიერის სახელისათვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 1916 წელს კ. კეკელიძე დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად. როგორც იმდროინდელ პრესაში აღინიშნა, ეს იყო პირველი შემთხვევა XVIII საუკუნის შემდეგ, რომ ჩვენი ქვეყნის ასეთ მნიშვნელოვან სამოსწავლო დაწესებულებას სათავეში ჩაუდგა ქართველი კაცი. ერთი ცნობილი მოღვაწე წერდა სემინარიის ახალ რექტორს: „გილოცავთ არა რექტორობას, არამედ იმას, რომ თქვენ გაარღვიეთ ქართველთადმი უნდობლობის კრეტსაბმელი“. კ. კეკელიძის სემინარიის რექტორად დანიშვნის გამო მიძღვნილ წერილში ჩვენთვის უცნობი პირი „ძველი სემინარიელის“ ფსევდონიმით აღნიშნავდა, რომ კ. კეკელიძე „ჯანღონით აღსავსე 38 წლის ახალგაზრდაა და იმედია თავისის ნიჭითა და ენერგიით მომავალში

[20] გაზეთი „საქართველო“, 1915, № 61.

[21] გაზეთი „საქართველო“, 1916, № 70.

კიდევ უფრო მეტს ღვაწლს დასდებს მეცნიერებას, სამშობლო მხარესა და მისი მოზარდი თაობის აღზრდის საქმესო“ [22].

სემინარიის რექტორის თანამდებობაზე მოუსწრო კ. კეკელიძეს თებერვლის რევოლუციამ.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის დროიდან იწყება კორნელი კეკელიძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ახალი პერიოდი.

შემაჯამებელი ხასიათის ერთ თავის წერილში კ. კეკელიძე ამბობს: „ნამდვილი პირობები ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლისათვის შეიქმნა მხოლოდ ცარიზმის დამხობის შემდეგ, განსაკუთრებით კი ოქტომბრის დიდი რევოლუციის მეოხებით“ [23]. ვეფხისტყაოსნის 750 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში კ. კეკელიძემ თქვა: „ჩამოჰკრა დიდი ოქტომბრის განმათავისუფლებელმა ზარმა. სოციალისტური რევოლუციის აზვირთებულმა ტალღამ წალეკა ის სიბინძურე, რაც დაგროვილი იყო ჩვენს სინამდვილეში, და კაშკაშა კენჭებივით გამოამზეურა ძვირფასი მარგალიტები გარდასული კულტურული მემკვიდრეობისა. დაიწყო ახალი ხანა კერძოდ რუსთველისა და ვეფხისტყაოსნის ისტორიაში“ [24].

1918 წელს ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის იმ დიდებულ კერას, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეწოდება. კორნელი კეკელიძე თბილისიდან მხურვალედ გაეხმაურა პეტერბურგის ქართველ მეცნიერ-ენთუზიასტთა იმ ჯგუფს, რომელსაც ქართული უნივერსიტეტის გახსნა გადაეწყვიტა. კ. კეკელიძეც ერთი იმ მთავარი ბურჯთაგანია, რომელზედაც დაეფუძნა პირველი უმაღლესი სასწავლებელი ახალ დროის საქართველოში. კორნელი კეკელიძე სათავეში ჩაუდგა და სიკვდილამდის უცვლელად განაგებდა თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. იგი იყო პირველი პროფესორი იმ სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინისა, რომელსაც თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სამოცი ნაყოფიერი წელი შესწირა. პროფესორობასთან ერთად კ. კეკელიძე წლების მანძილზე ეწეოდა უნივერსიტეტში სამეცნიერო-ადმინისტრაციულ მოღვა-

---

[22] გაზეთი „საქართველო“, 1916, № 224.

[23] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი (თსუ შრომები, XIX, 1941, გვ. 142).

[24] დიდი ქართველი პოეტი და ჰუმანისტი სამუალო საუკუნეებისა (ეტიუდები, I, გვ. 2).

წეობას; 1919—1925 წლებში იყო სიბრძნისმეტყველების (ფილოლოგიის) ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1925—1930 წლებში — სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის პრორექტორი.

„1921 წლის 25 თებერვალს დაიბადა ახალი საქართველო. პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ახალი გზებით“ [25]. კორნელი კეკელიძე ამ ახალი, საბჭოთა საქართველოს ერთერთი აქტიური მშენებელი გახდა. არაჩვეულებრივად გაფართოვდა და გაღრმავდა თბილისის უნივერსიტეტის მუშაობა საბჭოთა პერიოდში. კ. კეკელიძე უნივერსიტეტის წინსვლისა და ზრდის ერთი ხელმძღვანელი მონაწილეა. მან ბევრი გააკეთა საუნივერსიტეტო ცხოვრების ახალ სამეცნიერო ნიადაგზე გადასაყვანად. ფრთები გაშალა კ. კეკელიძის სამეცნიერო-კვლევითმა და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ.

კ. კეკელიძე სხვადასხვა დროს ასრულებდა რიგ საპასუხისმგებლო საქმიანობას: იყო განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სატერმინოლოგიო კომისიის თავმჯდომარე, 1921—30 წლებში განაგებდა უნივერსიტეტთან არსებულ სიძველეთსაცავს, 1933—1936 წლებში ხელმძღვანელობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. 1922 წელს მონაწილეობდა რუსეთიდან ქართული სიძველეების სარევიზიო კუაციო კომისიის მუშაობაში. კ. კეკელიძე არა ერთხელ ყოფილა მივლინებული მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში (სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, უზბეკისტანში) და აგრეთვე მოსკოვსა და ლენინგრადში სხვადასხვა სამეცნიერო სესიისა და კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

კორნელი კეკელიძე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაშიც. იყო ქალაქ თბილისის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს 1927, 1929 და 1931 წლების მოწვევის დეპუტატი, საქართველოსა და ა/კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი (1927, 1929).

არაჩვეულებრივი ნაყოფიერებით განაგრძობდა კ. კეკელიძე თავის საყვარელ საქმეს — კვლევაძიებითს მუშაობას. ზედიზედ აქვეყნებს დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე არა ერთსა და არა ორ გამოკვლევას. მცირე დროის განმავლობაში უშვებს „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ორ ვეებერთელა ტომს (ტომი პირველი, თბილისი, 1923; ტომი მეორე, თბილისი, 1924).

[25] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, განახლებული საქართველო (თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა გაზეთი, 16. 5. 61).

ღვაწლმოსილი მეცნიერი 1941 წელს არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის ნამდვილ წევრად. 1942—1949 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წიაღში დაარსებულ რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. შემდეგ წლებში განაგებდა ამავე ინსტიტუტის ძველი ქართული მწერლობის განყოფილებას. ერთხანს სათავეში ედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას.

განმაცვიფრებელ ენერგიასა და მოქალაქეობრივ შემართებას იჩენდა კ. კეკელიძე საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომის პერიოდში. მახვილი სიტყვითა და პრაქტიკული საქმიანობით პატრიოტ მეცნიერს თავისი წვლილი შეჰქონდა გამარჯვების საერთო საქმეში. სამამულო ომის განმავლობაში არ ჩატარებულა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითქმის არც ერთი სესია, თუ სამეცნიერო სხდომა, რომელზედაც კ. კეკელიძე არ გამოსულიყო მოხსენებით თუ სიტყვით. 1940—1944 წლებში მან გამოაქვეყნა თავისი ცნობილი კურსის ორივე ტომის საფუძვლიანად გადამუშავებული გამოცემა და ოცდაათამდე სამეცნიერო ნაშრომი. 1942 წლის ზაფხულის მრისხანე დღეებში კ. კეკელიძე იმედიანი სიმშვიდით წერდა: „ჯერ კიდევ 1757 წელს გაერთიანებულმა რუსულ-უკრაინულ-ქართულმა ჯარმა, დავით გურამიშვილის უშუალო მონაწილეობით, როგორც თვით პოეტი ამბობდა, პრუსიის ან „ბრუსის“ კოროლს შეურყია ტახტის სვეტი“. მალე, ძალიან მალე დადგება ის ბედნიერი დღე, როდესაც გაერთიანებული საბჭოთა ხალხების ძლევამოსილი არმია, წითელი არმია... არა თუ შეარყევს პრუსიულ-გერმანული ფაშიზმის სვეტს, არამედ საბოლოოდ დაამხობს მას“ [26]. მართლაც. მალე დადგა ის ნანატრი დღე და თეთრად შეეერცხლილმა მეცნიერმაც პირადად განიცადა საბჭოთა ხალხის საყოველთაო სიხარული და ბედნიერება.

კორნელი კეკელიძე თვითონ თვლიდა, რომ მან ხელი აიღო „ყოკლისმცოდნეობაზე“. რომელიც ერთ დროს გაბატონებული იყო ჰუმანიტარულ ქართველოლოგიაში (ერთი და იგივე პირი მუშაობდა ლინგვისტიკაშიც, ისტორიაშიც, არქეოლოგიაშიც, ეთნოგრაფიაშიც, ლიტერატურათმცოდნეობაშიც და ა. შ.), დაადგა სპეციალიზაციის გზას და თავისი კვლევის საგნად გაიხადა მარტოოდენ ძველი ქართული მწერლობის საკითხები. ძირითადად ეს ასეა. ოღონდ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იგი არ შემოფარგლულა ვიწრო სპეციალობის

[26] „ლიტერატურული საქართველო“, 24. VII. 42.

პრობლემატიკით და დროდადრო საყურადღებო ნაშრომებს ბეჭდავდა ენათმეცნიერებისა და საკუთრივ ისტორიის საკითხებზე. კ. კეკელიძე ფართო ინტერესებისა და ფართო შესაძლებლობათა მეცნიერი მკვლევარია. მას გამოქვეყნებული აქვს ორასორმოცდაათზე მეტი ნაშრომი, აქედან ბევრი ცალკე წიგნის სახით. მისი წერილები გაბნეულია სხვადასხვა სპეციალურ სამეცნიერო ორგანოებში და ჟურნალ-გაზეთებში. გამოკვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია კრებულებში — „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდება 1945 წლიდან. დღეისდის დაბეჭდილია „ეტიუდების“ ცხრა წიგნი, მზადაა დასაბეჭდად მეათე წიგნი.

კ. კეკელიძის მრავალფეროვანი სამეცნიერო მუშაობის შედეგები შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად: 1. ძველი ქართული სამწერლობო ძეგლების კატალოგები და სამეცნიერო აღწერილობანი; 2. ლიტერატურული ძეგლების მეცნიერული გამოცემანი; 3. გამოკვლევები, ნარკვევები, პოლემიკური წერილები, რეცენზიები, წვრილი შენიშვნები; 4. განმაზოგადებელი და შემაჯამებელი ხასიათის წერილები და ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემური კურსები.

1889 წელს პროფ. ალ. ცაგარელი აღნიშნავდა: „В настоящее время разработка истории грузинской литературы находится в периоде, так сказать, библиографическом или статистическом“[27]. ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ კორნელი კეკელიძის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლამდის ბევრი გაკეთდა ძველი ქართული მწერლობის შესასწავლად, მაგრამ არსებითად მაინც დაუძლეველი რჩებოდა ქართული სამწერლობო ძეგლების პირველი დაგროვებისა და რეგისტრაციის, ან — ცაგარლის ტერმინით — სტატისტიკური პერიოდი. კ. კეკელიძე იმთავითვე გულმოდგინედ დაეწაფა ძველი ქართული მწერლობის პირველ წყაროებს. საკვლევ ობიექტებს იგი უშუალოდ ეცნობოდა სიძველეთსაცავებში, არქივებში, ეკლესია-მონასტრებში, კერძო მეპატრონეთა კოლექციებში.

საკვირველია, თუმცა ფაქტია, რომ ალექსანდრე ცაგარლისა, ნიკო შარისა და ივანე ჯავახიშვილის წყალობით მიმდინარე საუკუნის დ-

[27] Сведения о памятниках грузинской письменности. II, სანკტ-პეტერბურგი, 1889, გვ. III.

საწყისისათვის შედარებით უკეთ იყო მოგვარებული საზღვარგარეთული ძველი ქართული სამწერლობო კერების (ათონის, იერუსალიმის, სინის მთის) ქართული ხელნაწერი კოლექციების აღრიცხვა და აღწერილობა, ვიდრე საქართველოსა და რუსეთის სიძველეთსაცავების ფონდებისა. საგულისხმოა, რომ მხოლოდ 1903 წელს გამოვიდა საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა მოკლე აღწერილობის პირველი წიგნი (შემდგენელი თედო ჟორდანია). უფრო მივიწყებული იყო ძველი ქართული მწერლობის სწორედ ის უბანი, რომელიც კ. კეკელიძის სპეციალური შესწავლის სფეროს შეადგენდა. კ. კეკელიძეს თავიდანვე უხდებოდა მძიმე შავი სამუშაოს შესრულება. სამუზეუმო მტვერი სიამოვნებას ჰგვრიდა, ენერგია და ახალგაზრდული გატაცება ძალას ჰმატებდა, ხოლო პირველი შედეგების დიდი ეფექტი ამხნევებდა და ახალისებდა. რუსეთისა და საქართველოს სიძველეთსაცავებში, განსაკუთრებით მანამდის სრულიად ხელუხლებელ გელათის მდიდარ კოლექციაში კ. კეკელიძემ 1905—1906 წლებში მუშაობის დროს აღმოაჩინა ძველი ქართული (და მსოფლიო საქრისტიანო) სულიერი კულტურის უდიდესი საგანძური. მან შეადგინა გელათის ქართულ ხელნაწერთა ვრცელი სამეცნიერო აღწერილობა. 1911 წლის ზაფხულში კ. კეკელიძემ იმოგზაურა სვანეთში, იქ დაცული ხელნაწერების შესასწავლად და აღსაწერად. სპეციალური ხასიათის ბევრი ქართული ძეგლი აღწერა კ. კეკელიძემ თავისი პირველი საკვალიფიკაციო შრომისათვის. შემთხვევითი როდია ამ შრომის სათაური „Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах“.

1918 წელს უნივერსიტეტს გადაეცა ყოფილი საეკლესიო კომიტეტისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერი ფონდები. ასე შეიქმნა უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი. წლების განმავლობაში (სახელდობრ 1930 წლამდის, როდესაც უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს შეუერთდა) მას განაგებდა კ. კეკელიძე. ქართული ხელნაწერების შეგროვების, დაცვის ორგანიზაციისა და აღწერილობათა შედგენის მხრივ კ. კეკელიძეს, როგორც უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის ხელმძღვანელს, დიდი ამაგი მიუძღვის.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე კ. კეკელიძე მოსიყვარულე ჰირისუფალივით დასტრიალებდა თავს ხელნაწერებს, უვლიდა მათ, სწავლობდა, იკვლევდა, უდგენდა აღწერილობებს, იწერდა იქიდან ტექსტებს. ღრმად მოხუცებულობის დროსაც კ. კეკელიძეს ხშირად ნახავდით მუზეუმში გულმოდგინედ რომ ჩაჰკირკიტებდა უზარ-

მაზარ ხელნაწერ ფოლიანტებს. სპეტაკ სახეზე ნათელი მიადგებოდა ხოლმე, როდესაც მისთვის საჭირო ცნობას ამოიკითხავდა...

1948—1954 წლებში კ. კეკელიძის საერთო რედაქციით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი კოლექციების აღწერილობათა რამდენიმე ტომი.[28]

დიდი მეცნიერული ღირებულებისაა კ. კეკელიძის მიერ ოშვიათი მეცნიერული სკრუპულოზობით შედგენილი ისტორულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობარი, უკეთ საძიებელი — კატალოგი — „უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში" და „კიმენის რედაქციის ჰაგიოგრაფია". აქ აღრიცხულია სათანადო წყაროების დამოწმებით ქართულ ენაზე არსებული ყველა ნათარგმნი ძეგლი, მათი ავტორი და მთარგმნელი[29]. ცნობარის შედგენამ მოითხოვა კოლოსალური შრომა. მისი შექმნა შესაძლებელი გახადა თვითონ კ. კეკელიძის მიერ გაწეულმა ხანგრძლივმა საკვლევაძიებო მუშაობამ.

კ. კეკელიძე დახელოვნებული ტექსტოლოგია. როგორც ტექსტების მეცნიერმა გამომცემელმა, მან ადრიდანვე გაითქვა სახელი. მის მიერ გამოძიებული და კრიტიკულად დადგენილი ტექსტები იბეჭდებოდა რევოლუციამდელ ისეთ სერიოზულ აკადემიურ ორგანოებში როგორიცაა „Христианский Востокъ" და „Bibliotheca Armeno-Georgica". ქართული აკადემიური ლექსიკონის კომისიამაც (1915 წელს) სწორედ კ. კეკელიძეს მიანდო ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების პუბლიკაცია.

ძველი ტექსტების გამოცემა ძნელი და რთული საქმეა. ამისათვის საჭიროა გამოსაცემი ძეგლის ენის საფუძვლიანი ცოდნა, სპეციალური ფილოლოგიური მომზადება, ტექსტოლოგიური მეცნიერების ხერხებისა და მეთოდების დაუფლება, ფართო ლიტერატურული განათლება, განსაკუთრებული დაკვირვების უნარი და დიდი შრომისმოყვარეობა. ყველაფერი ეს ჰქონდა კ. კეკელიძეს. ის სავსებით მომზადებული იყო რთული ამოცანების შესასრულებლად. კ. კეკელიძის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლის დროს ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი ჯერ სრულიად ხელუხლებელი იყო. მოპოვებოდა მხოლოდ მცირეოდენი უკრიტიკო გამოცემანი. ერთ თავის სპეციალურ წერილში კ. კეკელიძე ამბობს: „სადაო არაა, რომ ძველი ქართული ტექსტების გამოცემისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. საქმე ისაა, რომ არასწორად წაკითხუ-

---

[28] ტომი III, H კოლექცია (1948); ტომი IV, იგივე კოლექცია (1950); ტომი IV A კოლექცია (1954).

[29] ეტიუდები, V, 1957, გვ. 5—211.

ლი და გაგებული ტექსტის საფუძველზე ხშირად ყალბი და შეუწყნარებელი დასკვნები კეთდება და უნიადაგო თეორიები ითხზვება ამა თუ იმ საკითხის შესახებ“ [30]. კ. კეკელიძეც დიდი ცოდნით, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობითა და სიფრთხილით შეუდგა ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოქვეყნებას.

როგორც ვიცით, 1915 წელს კ. კეკელიძეს დაევალა წამოეწყო ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტების სისტემური გამოცემა. „ჰაგიოგრაფიული ჟანრი მწერლობისა ერთ-ერთი უძველესი და პოპულარული ჟანრია ძველი ქართული ლიტერატურისა. მისი პოპულარობა იმითაც აიხსნება, რომ ჰაგიოგრაფია წარმოადგენდა არა მარტო «სულთა მარგებელი» რომანის ჟანრს, არამედ ისტორიული მწერლობის ერთ-ერთ დარგსაც, იმდენადვე მნიშვნელოვანს, რამდენადაც საკუთრივ ისტორიული მწერლობა. ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, რომელნიც «წმიდათა» ცხოვრება-მარტვილობას შეიცავენ, ავტორებს ისეთი დეტალები და რეალიები დაუტოვებიათ, რაც ნაფიც ქრონისტებსა და მემატიანეებს უყურადღებოდ რჩებოდათ ხოლმე“ [31]. კ. კეკელიძემ შეადგინა ჰაგიოგრაფიული ტექსტების გამოცემის გეგმა (რომელიც დაამტკიცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ). ამ გეგმის მიხედვით, უნდა დაარსებულიყო ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების სერია: Monumenta hagiographica Georgica. მთელი გამოცემა უნდა გაყოფილიყო სამ ნაწილად: პირველ ნაწილში შეევიდოდა ე. წ. კიმენური ტექსტები (უძველესი, „ლიტონად“, ანუ უბრალოდ აღწერილი და შეუსწორებელი რედაქციის მქონე ტექსტები), მეორე ნაწილში — მეტაფრასული, ანუ შესწორებულ-აღკაზმული რედაქციის მერმინდელი ტექსტები, მესამე ნაწილში — ქართველ წმიდათა ცხოვრებანი (ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლები). კ. კეკელიძეს განზრახული ჰქონდა 8 ტომად დაებეჭდა „ქართული ჰაგიოგრაფიის ისეთი ტექსტები, რომელთა ბერძნული თუ სხვა დედანი დღეს უკვე დაკარგულია“.

ამ გრანდიოზულ წამოწყებას მხოლოდ საფუძვლები ჩაეყარა. 1918 წელს გამოვიდა ჰაგიოგრაფიული სერიის პირველი მონუმენტური ტომი (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ნაწილი პირველი. კიმენი. ტომი I. გამოცემა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა, პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქტორობით. თბილისი, 1918

---

[30] ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა გამოცემისათვის (ეტიუდები, I, 1956, გვ. 309).

[31] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი (თსუ შრომები, XIX, 1941, გვ. 150).

XVIII+350 გვ.). კიმენის მეორე ტომის გამოცემა გ ნხორციელდა მხოლოდ 1946 წელს (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ნაწილი პირველი. კიმენი. ტომი II, 239 გვ.).

კიმენის გამოცემამ „იმდენი ყურადღება დაიმსახურა საზღვარგარეთულ სამეცნიერო წრეებში, რომ იმაში მოთავსებული მასალა ნაწილ-ნაწილ ითარგმნებოდა ლათინურ ენაზე ცნობილი ორიენტალისტისა და ჰაგიოლოგის პეეტერსის მიერ“ [32]. პ. პეეტერსმა სპეციალური რეცენზია უძღვნა კიმენის პირველი ტომის გამოცემას[33]. რეცენზია მთავრდებოდა შემდეგი საგულისხმო სიტყვებით: „ჩვენ გვინდა ვიქონიოთ იმედი, რომ დადგება ის დრო, როდესაც ამ დიდი საქმის ინიციატორები შეძლებენ მის გაგრძელებას და დამთავრებას ყველა იმათთან კავშირში, რომელთაც (დიდი წამოწყების) საფუძვლები ჩაჰყარეს“ [34]. თვითონ კ. კეკელიძე „კიმენის“ პირველი ტომის შესავალ წერილში საგანგებოდ აღნიშნავდა: „დღეს მხოლოდ საფუძველი ედება ამ დიად საქმეს და იმედია... თანდათანობით გამოჩნდებიან, ჩვენი წინაპართა ენით რომ ვთქვათ, «სწავლის-მოყუარენი», რომელნიც დაწყებულ საქმეს სასურველად დააგვირგვინებენ“.

კ. კეკელიძეს დამზადებული ჰქონდა მასალები ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების არა ერთი ტომის გამოსაცემად. აქედან 1940 წელს ვრცელი გამოკვლევით დაბეჭდა „ცხოვრება და მოქალაქობა ტიმოთე ანტიოქელისა“ (ენიმკის მოამბე, VII, 1940). ეს უაღრესად საყურადღებო თხზულება „თავდაპირველად დაწერილი ყოფილა არაბულ ენაზე, არაბულიდან უთარგმნიათ ბერძნულად, ბერძნულიდან კი ქართულად. არც არაბული, არც ბერძნული ტექსტი მისი ცნობილი არაა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით. მაშასადამე, დაგვრჩენია ქართული თარგმანი, რომლითაც შესაძლებელი ხდება ამ საინტერესო ძეგლის აღდგენა და ყოველმხრივ გათვალისწინება. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ ქართული თარგმანის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ არაბულ-ქრისტიანული მწერლობის ძეგლი; არაბულ-ქრისტიანული ლიტერატურა კი ჯერ შეუსწავლელია. ის ამ უკანასკნელ ხანებში იპყრობს ორიენტალისტების სერიოზულ ყურადღებას. ამრიგად, ძველ ქართულ ლიტერატურას ამ ძეგ-

---

[32] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი, გვ. 151.

[33] Analecta Bollandiana, 1925, ტ. XLIII. გვ. 379—391.

[34] Nous voulons garder l'espoir qu'un jour viendra ou les initiateurs de cette grande oeuvre pourront la reprendre et l'achever en union avec tous ceux qui en ont jeté les fondements.

ლის სახით საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში“ (ტიმოთე ანტიოქელი. გვ. 10).

კ. კეკელიძე შემდეგაც განაგრძობდა ისეთი ჰაგიოგრაფიული ძეგლების ქართულ თარგმანთა გამოცემას, რომელთა დედნები დაკარგულია, ან ქართული რედაქციულ თავისებურებას ამჟღავნებს. ამ რიგისაა: ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა [35]; ახლად აღმოჩენილი აგიოგრაფიული თხზულება იოსებ სკევოფილაქსისა [36]; უძველესი რედაქცია ქრისტინეს მარტვილობისა [37]; მარტვილობა ეულანდუხტ სპარსისა [38]; თეოდოსი განგელის „მოსახსენებელის“ ქართული ვერსია [39].

ძველი პუბლიკაციებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა საბერძნეთის განთქმული საეკლესიო მოღვაწის, პოეტისა და ფილოსოფოსის იოანე დამასკელის „ცხოვრება“, რომელიც ქართულად გადმოუღია ეფრემ მცირეს. ეფრემისეული თარგმანის ბერძნული დედანი ამჟამად დაკარგულად ითვლება [40]. კ. კეკელიძეს გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე მხოლოდ ქართული თარგმანებით შემონახული ე. წ. აპოკრიფული „ცხოვრებანი“ და „მარტვილობანი“. (იოანე ურჰაელისა, აგათანგელე დამასკელისა და სხვ.), რომელთაც საზღვარდაუდებელი ფანტასტიკურობა ახასიათებს.

მსოფლიო საქრისტიანო ლიტერატურის ისტორიისათვის დიდად მნიშვნელოვანია საეკლესიო მწერლობის სხვა დარგების შესანიშნავ ძეგლთა კეკელიძისეული გამოცემანი. ამათგან უნდა დავასახელოთ მიტროფანე სმირნელის უცნობი თეოლოგიური ძეგლის ქართული თარგმანი [41] და მარტვირი ქართველის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ხასიათის თხზულება „სინანულისათვის და სიმდაბლისა“ [42].

საგანგებო ყურადღების ღირსია ის ღვაწლი, რაც კორნელი კეკელიძეს მიუძღვის ორიგინალური ქართული ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის მხრივ. 1936 წელს კ. კეკელიძის რედაქციით

---

[35] ეტიუდები, IV, 1957, გვ. 293—325 (პირველად დაიბეჭდა 1948 წელს „ლიტერატურულ ძიებათა“ IV ტომში).

[36] ეტიუდები, III, 1955, გვ. 251—270.

[37] იქვე, გვ. 178—196.

[38] იქვე, გვ. 197—250.

[39] იქვე, გვ. 271—310.

[40] Христианский Восток, т. III, 1915, გვ. 119—174: ეტიუდები, VII.

[41] თარგმანება ეკლესიასტისა, თბილისი, 1920.

[42] ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, გვ. 261—313.

და გამოკვლევით გამოქვეყნდა იოანე საბანის-ძის „მარტვილობა აბო ტფილელისა“ და ბასილ ზარზმელის „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“ [43].

ორივე პირველხარისხოვანი სალიტერატურო ძეგლია, იმავე დროს საუცხოო საისტორიო წყაროს რომ წარმოადგენს. „აბო ტფილელის მარტვილობა“ შეთხზულია მე-8 საუკუნის ოთხმოციან წლებში (786—790 წლებს შუა), ასახავს ქართველთა იმდროინდელ ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას არაბ-მუსლიმანთა აგრესიის წინააღმდეგ. თხზულებას მსჭვალავს პატრიოტული სულისკვეთება და პუბლიცისტური პათოსი. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ დაწერილია მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში, გვიხატავს სამცხის სოციალური ცხოვრების მეტად კოლორიტულ სურათს. „აბო ტფილელის მარტვილობა“ მანამდის ორჯერ იყო გამოცემული, მაგრამ „მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის საიმედო ბაზად ვერ გამოდგება ვერც ერთი ამ გამოცემათაგანი“ [44]. კ. კეკელიძემ თავისი გამოცემით მეცნიერებას შეუქმნა ეს „საიმედო ბაზა“.

უფრო სავალალო მდგომარეობა სუფევდა ბასილ ზარზმელის თხზულების გარშემო. ეს უნიკალური ძეგლი აღმოაჩინა და 1907 წელს გამოსცა მოსე ჯანაშვილმა. გამოცემის საქმეს ის აბრკოლებდა, რომ ტექსტი შემონახული აქვს ერთადერთ ნაკიან და წარყვნილ ხელნაწერს. გამომცემელმა გადამწერის შეცდომებს ნებსით თუ უნებლიეთ თავისი შეცდომებიც დაუმატა. კ. კეკელიძისადმი გამოგზავნილ ერთ თავის კერძო წერილში ნ. მარი მკაცრად აკრიტიკებს მ. ჯანაშვილის გამოცემას: „Житие Зарзмского Строителя отвратительно издано... Жемчужины сообщений в этом виде зарыты, извините за выражение, в навозную кучу издательского (с переписчиком отчасти) невежества“ (17.VII.14).

მოვიყვანთ ტექსტის დამახინჯების ერთ ტიპურ მაგალითს. როგორც ხელნაწერ დედანში, ისე მ. ჯანაშვილის ბეჭდურ გამოცემაში ნათქვამია, თითქოს სერაპიონმა არ მოისურვა მონასტრის აშენება „ადგილთა მას: ზედანავთასა“. ეს ტექსტი ენობრივად გაუმართავია და უაზროა. ღრონდ ცხადია, რომ დამახინჯებული „ზედანავთასას“ ნაცვლად უნდა ყოფილიყო გეოგრაფიული სახელწოდების სიტყვა. თხზულების საერთო შინაარსის გათვალისწინებით კ. კე-

[43] ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. ნაკვეთი პირველი, თბილისი, 1935, 186 გვ.

[44] იქვე, გვ. 8.

კეკელიძემ მახვილგონივრულად აღადგინა დამახინჯებული სიტყვის თავდაპირველი ფორმა: ზანავისათა. მართლაც. მონასტრის ადგილის შერჩევის თაობაზე სერაპიონს საუბარი ჰქონდა გამართული ზანავის მფლობელ მემამულე გიორგი ჩორჩანელთან. ამისი მსგავსი შეცდომა კ. კეკელიძემ სხვაც ბევრი გაასწორა თავის გამოცემაში.

„აბო ტფილელის მარტვილობისა" და „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" კეკელიძისეულ გამოცემას (როგორც წესი, აგრეთვე მის, სხვა გამოცემებსაც) ახლავს სრული მეცნიერული აპარატი: ვარიანტები, შენიშვნები, ლექსიკონი. გამოკვლევა.

ხელნაწერებში უაღრესობამდე დამახინჯებულია და წარყვნილი ქართული საისტორიო მწერლობის უბრწყინვალესი ძეგლი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", რომელიც თამარის ისტორიას შეიცავს. მაგრამ ამ ძეგლის „დახმარებით შესაძლებელია გავითვალისწინოთ, რამდენადმე მაინც, ხასიათი მე-11—13 საუკუნეთა ქართული კულტურისა და ლიტერატურისა. თავისი მაღალფარდოვანი, მოქარგულ-მოგვირისტებული. მხატვრულ-პოეტური ენით, თავისი შედარებებით, მეტაფორებით, ტროპებითა და ფიგურებით, რომლებითაც თხზულება თავიდან ბოლომდე სავსეა, ის სცილდება ისტორიული ნაწარმოების ფარგლებს და პოეტური შემოქმედების სფეროში გადადის" [45]. ერთგვარად თხზულების ეს „მაღალფარდოვანი, მოქარგულ-მოგვირისტებული" ენაწყლიანი სტილი უწყობდა ხელს ტექსტის დამახინჯებას. „ისტორიანი" იმზომამდეა დამახინჯებული, რომ კ. კეკელიძის სიტყვით, „მისი წანაკითხებით სარგებლობა მხოლოდ პრინციპული, წინასწარ მათდამი უნდობლობით შეიძლება მხოლოდ" [46].

კ. კეკელიძემ თვითონ იტვირთა „ისტორიანის" კრიტიკულად გამოცემის მძიმე და თანაც საპატიო ამოცანის გადაწყვეტა. მართალია. თავის გამოცემას იგი უწოდებდა ცდას. გამოცემის სატიტულო ფურცელზე ქვესათაურად იკითხება: ცდა ტექსტის აღდგენისა. შესავალ წერილშიც ნათქვამია, გამოცემას ცდა იმიტომ უწოდება, რომ: „დღევანდელ პირობებში... აბსოლუტური პრეტენზიებით გამოსვლა ნაადრევი იქნებოდაო". მაინც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" კეკელიძისეული გამოცემით დიდი ნაბიჯია

---

[45] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1941, გვ. 1.

[46] იქვე.

გადადგმული წინ ამ შესანიშნავი თხზულების ტექსტის კრიტიკულად დადგენისა და შინაარსობლივად ათვისებისათვის.

შინაარსობლივად ათვისების თვალსაზრისით შეიძლება მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ამ თხზულების რუსულ თარგმანს, რომელიც შეასრულა კ. კეკელიძემ (История и восхваление венценосцев. Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил действительный член Академии наук Грузинской ССР проф. К. С. Кекелидзе, თბილისი, 1954). რუსულ გამოცემას ახლავს ღრმა ერუდიციით დაწერილი კომენტარიები. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ რუსული გამოცემა იმითაც არის გამართლებული, რომ ის შეიცავს საყურადღებო ცნობებს რუსეთზე და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებზე.

კ. კეკელიძემ რუსულად გადათარგმნა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადა მის მიერვე მეცნიერულად გამოცემული ჰაგიოგრაფიული ტექსტები — „აბო ტფილელის მარტვილობა“ და „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, აგრეთვე იაკობ ცურტაველის „მარტვილობა შუშანიკისი“ (Памятники древнегрузинской агиографической литературы. Грузинский текст перевел, исследованием и примечаниями снабдил академик Академии наук Грузинской ССР проф. К. С. Кекелидзе, თბილისი, 1956). ეს თარგმანები შესრულებულია დიდი ცოდნითა და ოსტატობით, ისინი მაჩვენებელია ქართული საბჭოური მთარგმნელობითი კულტურის მაღალი დონისა. კ. კეკელიძის თარგმანები ემსახურება საბჭოთა ხალხების ერთმანეთთან კულტურულად დაახლოებისა და დაძმობილების კეთილშობილურ საქმეს.

ბევრი აქვს კ. კეკელიძეს გაკეთებული ძველი ქართული საერო მწერლობის ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკულად გამოცემის მხრითაც. 1930 წელს მისი ხელმძღვანელობით გამოვიდა შაკიდი მთიები ანუ ბარამგურიანი (რომანტიკული პოემა გადმოღებული და დამუშავებული მე-17 საუკუნეში ნოდარ ციციშვილის მიერ). კ. კეკელიძემ მონაწილეობა მიიღო როსტომიანის ქართული ვერსიის მეორე ვეებერთელა ტომის გამოცემაში (თბილისი, 1934). 1938 წელს კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას მეცნიერული რედაქტორობით დაიბეჭდა „ვისრამიანი“. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით გამოქვეყნდა იოვანე ბაგრატიონის „კალმასობის“ ორი ტომი (ტომი პირველი, თბილისი, 1936; ტომი მეორე, 1948). კ. კეკელიძის თანამშრომლობით მომზადდა დავით გურამიშვილის თხზულებათა საიუბილეო გამოცემა 1955 წლისა (ამ

გამოცემას ახლავს კ. კეკელიძის მიერ შედგენილი კომენტარიები). კ. კეკელიძის საერთო რედაქციით გამოქვეყნდა „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ (1947) და „ჩვენი საუნჯის“ პირველი ტომი (1960). ა. შანიძესთან ერთად კ. კეკელიძე თავმჯდომარეობდა რუსთველოლოგთა იმ კომისიას, რომელმაც მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა (1937). კ. კეკელიძის თანარედაქტორობით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ 1951, 1957 და 1960 წლების გამოცემები. კ. კეკელიძე იყო წევრი „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენი კომისიისა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არის შექმნილი. კ. კეკელიძის ხელმძღვანელობით მომზადდა გამოსაცემად სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულის მესამე ტომი. კ. კეკელიძის მეთაურობით განხორციელდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერების საიუბილეო გამოცემა (თბილისი, 1945).

კორნელი კეკელიძე ძველი ქართული მწერლობის დიდი მკვლევარია. განსაკუთრებით დაუფასებელია ის ღვაწლი, რაც მას მიუძღვის ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლის მხრივ.

კ. კეკელიძეს იმთავითვე კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლის ორმაგი მნიშვნელობა: ერთი კერძო, საკუთრივ ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით და მეორე, ზოგადი — მსოფლიო საქრისტიანო კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. კ. კეკელიძე ამბობს: „ქართულ ლიტერატურას მტკიცე, განუყრელი კავშირი ჰქონდა წინააზიის და დასავლეთის ხალხთა ლიტერატურასთან. სახელდობრ: სპარსულთან. სომხურთან, სირიულთან, არაბულთან, ბერძნულთან, რუსულთან და (დასავლეთ) ევროპულთან. ამიტომ მან შემოგვინახა უძველესი პერიოდის თარგმანებში ისეთი ძეგლები. რომელთა ორიგინალი დროთა მსვლელობაში დაკარგულა და მეცნიერებაში საძიებელი გამხდარა“ [47].

ბუნებრივად ძლიერი იყო ძველი საქართველოს სულიერი კავშირი საქრისტიანო მსოფლიოსთან, უმთავრესად ბიზანტიასთან, რამდენადაც „ბიზანტიური კულტურა ერთ დროს მსოფლიო კულტურის როლში გამოდიოდა. საშუალო საუკუნეებში მის ნიადაგზე იფურჩქნებოდა არა მარტო ბიზანტიისა და რუსეთის ქრისტიანული კულტურა, არამედ დასავლეთ-ევროპისაც“ [48].

---

[47] ქართული ლიტერატურა და უნივერსიტეტი (თსუ შრომები, XIX, გვ. 141).

[48] იქვე, გვ. 143.

კ. კეკელიძე აღიარებს, რომ პირადად მისი და საერთოდ ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის „მთავარი საზრუნავი საქმე იყო ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემის დამუშავება, კერძოდ ქართული ლიტერატურის წვლილის გამოძიება ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში[49].

როგორც ვიცით, კ. კეკელიძე წლების განმავლობაში სისტემურად აქვეყნებდა ძველი ქართული მწერლობის ისეთ პირველხარისხოვან ძეგლებს, რომლებითაც, ერთი მხრივ, შუქი შეჰქონდა ჩვენი ისტორიული წარსულის ბუნდოვანი საკითხების გარკვევაში, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად ავსებდა მსოფლიო საქრისტიანო ლიტერატურის ისტორიის ხარვეზებს. საკმარისი იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ ბიზანტიური და მსოფლიო საქრისტიანო ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის, სვიმეონ ლოღოთეტის მოღვაწეობის ხასიათისა, დროისა და შრომების მოცულობის „ამდენჯანს მეცნიერებაში საცილობელი და გაურკვეველი (საკითხები), საბოლოოდ გაირკვა ქართული მასალების საშუალებით“[50]. კ. კეკელიძემ იპოვა და გამოაქვეყნა ეფრემ მცირის „მოსახსენებელი მცირე სვიმეონისათვის ლოღოთეტისა“[51]. რომლითაც ნათელი გახდა მე-10 ს. გამოჩენილი ბიზანტიელი მწერლის მთელი სალიტერატურო მოღვაწეობა. მაგრამ ეს ცოტაა. სვიმეონ ლოღოთეტს გადამეტაფრასებული ჰქონია სექტემბერ-იანვრის თვეების ჰაგიოგრაფიული ტექსტები. მეცნიერებამ არაფერი იცოდა დანარჩენი შვიდი თვის, თებერვალ-აგვისტოს, ტექსტების შესახებ. კ. კეკელიძეს ბედნიერი შემთხვევა მიეცა ქართულ მასალებში აღმოეჩინა სვიმეონ ლოღოთეტის გამგრძელებლის, მანამდის უცნობი ნაყოფიერი მწერლის, იოანე ქსიფილინოსის ანდერძი, რომლითაც ერთბაშად გადაწყდა ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანი. გამოირკვა, რომ მეთერთმეტე საუკუნის მოღვაწეს „პალატისა მწიგნობართა უაღრესს, ყოვლად ბრძენ ფილოსოფოს“ ქსიფილინოსს გაუგრძელებია და დაუსრულებია სვიმეონ ლოღოთეტის საქმიანობა. ქსიფილინოსს გადაუმეტაფრასებია თებერვალ-აგვისტოს თვეების ჰაგიოგრაფიული ტექსტები. საყურადღებოა, რომ „ქსიფილინოსის შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შენახულა, ქართულად თითქმის მთლიანადაა და-

---

[49] ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი, გვ. 143.

[50] იქვე, გვ. 151.

[51] Симеон Метафраст по грузинским источникам, Труды Киевской духовной Академии. 1910; ამგრეთვე ეტიუდები, V, გვ. 212—226.

ცული, ასე რომ შესაძლებელი ხდება საშუალო საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობის ერთი მსხვილი ხარვეზის ამოვსება“

კ. კეკელიძის ნარკვევმა და პუბლიკაციამ „Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста“[53] დიდი სენსაცია გამოიწვია როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. აკადემიკოსი ვ. ლატიშევი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სპეციალურად მუშაობდა ბერძნულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებზე და მას კიდევაც გამოქვეყნებული ჰქონდა ორ ტომად „Menologii anonymi Bysantini“, დაუყოვნებლივ გაეხმაურა კ. კეკელიძის აღმოჩენას საგანგებო წერილით „Четьи-минеи Иоанна Ксифилина (предварительное сообщение)“[54]. კ. კეკელიძის მიერ მოპოვებულ ტექსტს (იოანე ქსიფილინოსის ანდერძის თარგმანს) ვ. ლატიშევი უწოდებს „უაღრესად საინტერესოსა და მნიშვნელოვან დოკუმენტს“ (გვ. 233). ლატიშევი აღნიშნავს, რომ იოანე ქსიფილინოსის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ დღემდის არავითარი ცნობები არ მოიპოვებოდა, ამიტომაც კ. კეკელიძეს სრული უფლება ჰქონდაო მის მიერ გამოცემული დოკუმენტი ჩაეთვალა „своего рода откровением в истории средневековой византийской письменности“ (იქვე, 237)[55]. სხვათა შორის, აკად. ლატიშევმა ანონიმურად მიჩნეული და მის მიერვე გამოცემული ჰაგიოგრაფიული ტექსტები სწორედ იოანე ქსიფილინოსს მიაწერა (გვ. 239). შემდგომ მანვე გამოაქვეყნა კ. კეკელიძის მიერ რუსულად თარგმნილი ერთ-ერთი ტექსტი ქსიფილინოსის ქართული კრებულისა[56]. ამ ტექსტის გაცნობის საფუძველზე ლატიშევი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ: „Грузинский текст нетождествен (ხაზგასმა ავტორისაა,—ა. ბ.) с текстом, находящимся в изданной мною минологии, и представляет собою особую редакцию“ (გვ. 76). „Грузинский агиографический сборник, открытый К. Кекелидзе, неожиданно дал нам совершенно новую редакцию жития свв. епископов хер-

---

[52] თსუ შრომები, XIX, 152.

[53] Христианский Восток, т. I, вып. III. 1912; ეტიუდები. V, გვ. 227 — 241

[54] ИАН. 1913, стр. 231—240.

[55] შდრ. История русской литературы. I, М.—Л., 1941, стр. 104—105.

[56] Житие свв. епископов Херсонских в грузинской минее, ИИАК. вып. 40. 1913, გვ. 75—88

сонских... Грузинский текст представляет собою типичное „житие" или „подвизание" в агиографическом смысле этого слова". და, რომ, დასასრულ, ქართული ტექსტი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ის შედეგია „старательной литературной обработки" (79). ანუ გადამეტაფრასებული ტექსტია. მაშასადამე, ამით გამართლდა კ. კეკელიძის მოსაზრება, რომ იოანე ქსიფილინოსის ტექსტი შემოუნახავს მხოლოდ გელათის ქართულ კრებულს (ლატიშევის გამოცემული ტექსტები კი კვლავ ანონიმური რჩება), თუმცა თვითონ ლატიშევმა საბოლოო დასკვნის მიღებისაგან თავი შეიკავა (გვ. 80—82). 1947 წელს კ. კეკელიძემ კიდევ ერთი ახალი ღირსშესანიშნავი ნაშრომი მიუძღვნა ბიზანტიური მეტაფრასტული მწერლობის საკითხს [57].

აღნიშნულ აღმოჩენებთან დაკავშირებით კ. კეკელიძემ ცხადად გაარკვია საცილობელი ლიტერატურული ტერმინის „კიმენის" აზრი და მნიშვნელობა. კიმენი ჰრქმევია არა მწერალს, არა მთარგმნელს (როგორც ფიქრობდა, მაგალ., თ. ჟორდანია), არამედ იმ პირველად, ლიტონად ნათარგმნ ტექსტს ,რომელიც გამხდარა წყაროდ ლიტერატურული გადამუშავებისა (გადამეტაფრასებისა).

თავისი გამოკვლევებითა და პუბლიკაციებით კ. კეკელიძე აესებს ბიზანტიური (და მსოფლიო საქრისტიანო) ლიტერატურის ისტორიის ხარვეზებს. ყველაზე მეტი სამსახური მან გაუწია ჰაგიოგრაფიას. ბევრი შესძინა კ. კეკელიძემ სასულიერო მწერლობის სხვა სპეციფიკური დარგების (ბიბლიოლოგიის, თეოლოგიის, ლიტურგიკის სასულიერო პოეზიის და სხვა) შესწავლასაც. საკმარისია, თუ მოვიგონებთ, რომ მან აღმოაჩინა და ვრცელი გამოკვლევით გამოსცა არისტოტელეს მიმდევარის მიტროფანე სმირნელის ერთი ყველაზე უფრო ფილოსოფიური შინაარსის თხზულება, რომლის „არავითარი კვალი ბერძნულ ენაზე არ შენახულა". ცალკე აღსანიშნავია, რომ ქართულმა მასალებმა გადაარჩინა ბიზანტიის გამოჩენილი ფილოსოფოსის მიქაელ ფსელოსის თხზულება „პირმშოების შესახებ" [58]. ერთი სიტყვით, „ქართული მასალების საშუალებითა და დახმარებით სულ ახალ-ახალი ჰორიზონტი იშლება ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში [59]. სრულიად უდავო, კონკრეტული მაგალითების საფუძველ-

---

[57] ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია, „უნივერსიტეტის შრომები", XXX B, გვ. 19—95.

[58] კ. კეკელიძე, ქართული წყალი ბიზანტიურ ლიტერატურაში (ეტიუდები, III, გვ. 4).

[59] იქვე.

ზე კ. კეკელიძემ ნათელჰყო, თუ რა დიდი წვლილი შეაქვს ძველ ქართულ მწერლობას მსოფლიო საქრისტიანო ლიტერატურის ისტორიაში.

ჯერჯერობით ჩვენ ვლაპარაკობთ ქართული თარგმანების წვლილზე. კ. კეკელიძე საბუთიანად ამტკიცებდა, რომ ნათარგმნი ლიტერატურა ქართული ეროვნული მწერლობის ისტორიის ორგანული ნაწილია. გარდა ცალკეული მრავალრიცხოვანი შენიშვნებისა, ამ საკითხს მან მიუძღვნა განმაზოგადებელი ხასიათის სპეციალური ნარკვევი „მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“ [60]. ამ ნარკვევში ნათქვამია:

„ქართველი ხალხი არასდროს არ ყოფილა კულტურულად შემოზღუდული; ის ყოველთვის კურსში იყო იმ მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემებისა, რომელნიც ამა თუ იმ დროს, ამა თუ იმ ეპოქაში აღელვებდნენ კაცობრიობას. მას მტკიცე კავშირი და ურთიერთობა ჰქონდა მოწინავე კულტურის მატარებელ მრავალ ქვეყანასთან. თეიმურაზ პირველი ამბობდა: «ჰმართებს, კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოიღოს, უგბილმან და უგუნურმან ვერა რამე წამოიღოს» (ვარდბულბულიანი, სტრ. 2). რადგანაც ქართველები ისეთი „უგბილნი და უგუნურნი“ არ ყოფილან, რომ უნარი არ ჰქონოდათ „კარგის“ შესამჩნევად, ისინი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს მსოფლიო კულტურის მონაპოვარს და შეძლებისდაგვარად კიდეეც ითვისებდნენ მას. მაგრამ ეს პროცესი „კარგის წამოღებისა“ ცალმხრივი არასდროს არ ყოფილა, „კარგი“ არა ერთ ქვეყანას შეუძენია და გაუტანია საქართველოდან (მაგალითად, საშუალო საუკუნეების ისეთ დიდსა და მძლავრ ქვეყნებსაც კი, როგორიც იყო ბიზანტია დასავლეთით და ირანი აღმოსავლეთით. მაგრამ ამაზე არ შევჩერდებით. რადგანაც ამის შესახებ უკვე სპეციალური საუბარი გვქონდა) [61].

უდავოა, რომ უცხოეთიდან შემოსული თხზულებები ამდიდრებდნენ ჩვენს ლიტერატურას. ამდიდრებდნენ როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივადაც. მაგრამ ეს „გამდიდრება“ ზიანს ხომ არ აყენებდა მას, ხომ არ ჩრდილავდა და ხომ არ აბნობდა მის ეროვნულ ხასიათს და თვითმყოფობას? რასაკვირველია, არა!

საქმე ისაა, რომ ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში. ისინი გამოწვეულნი არიან იმ სოციალური და კულტურულ-ისტორიული მოთხოვნი-

---

[60] ლიტერატურული ძიებანი, VII, 1951 (ეტიუდები, I, 1956, გვ. 183—197).

[61] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში, თბილისი, 1949 (შენიშვნა ავტორისა).

ლებებით, რომელთაც აყენებს აზროვნების ადგილობრივი მიმდინარეობა; ითარგმნება ის, რასაც თხოულობს არსებითი, ყოველდღიური საჭიროება, ითარგმნება უცხო მასალა. ხოლო შერჩევას აწარმოებს თარგმნის და ითვისებს ეროვნული სპეციფიკა და შეგნება, ერთი სიტყვით, ითარგმნება ის, რაზედაც აუცილებელი მოთხოვნილებაა. მოთხოვნილება კი მაშინ წამოიჭრება, როდესაც მთარგმნელ ქვეყანაში თავს იჩენს იმგვარივე განწყობილებანი, რომელნიც გაფორმებულნი არიან გადმოსაღებ თხზულებაში. ასე რომ, თუ ქართველები თარგმნიდნენ ამა თუ იმ თხზულებას, ეს იმიტომ, რომ იმაში ხედავდნენ და პოულობდნენ პასუხს მათთვის საჭირბოროტო და სასიცოცხლო საკითხებზე. მაგრამ მთავარი ის არის, რომ გადმოღება უცხო თხზულებისა იყო არა მექანიკური აღქმის პროცესი, არამედ პროცესი შემოქმედებითი გადამუშავებისა და თავის საკუთარ გემოვნება-შეგნებასთან შეგუებისა. ქართველთა შემოქმედებითმა გენიამ შეძლო ნათარგმნი ლიტერატურის ასიმილირება, თავის საკუთარ იდეურ-ესთეტიკურ შეგნებაში გადახარშვა და გადადნობა მისი ეროვნული საქმიანობის ბრძმედში. თუ დღეს თარგმანისაგან მოვითხოვთ, რომ ის იყოს ზედმიწევნითი, ზუსტი, დედანთან შეძლებისდაგვარად ადეკვატური, ძველ საქართველოში ასეთ მოთხოვნილებას პედანტურ ხასიათს არ აძლევდნენ. მართალია იყვნენ ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ისეთი პირები და იყო ისეთი მომენტები, როდესაც ასეთ სიზუსტეს უურადღებას აქცევდნენ, მაგრამ მოთხოვნა ასეთი სიზუსტისა დეკლარაციად რჩებოდა, ტრადიცია კი თავისას აკეთებდა. ჩვენში თავიდანვე განმტკიცებული ყოფილა ტრადიცია „თავისუფალი თარგმანისა". თეორია „შემატება-შემოკლებისა" მარტო ექვთიმე ათონელის თარგმნებში როდი იჩენდა თავს, ის ამა თუ იმ საზომით სხვების მუშაობასაც წარმართავდა. მთარგმნელობის პროცესში ქართველები მონურად არ მისდევენ სათარგმნელ ნიმუშებს. იშვიათად შევხვდებით ჩვენს ძველ მწერლობაში ისეთ გადათარგმნილ ძეგლს, რომელიც სიტყვასიტყვით, უცვლელად იყოს გადმოღებული. მთარგმნელებს შეაქვთ თავიანთ თარგმანში ქართული სული, ქართული შეგნება, ქართული სახეები და კოლორიტი, ქართული გეოგრაფიულ-ისტორიული სახელები და ტერმინები; თავისებურად, ქართულად ამოკლებენ თუ ავრცობენ მათ, ასე რომ ეს ნათარგმნი ძეგლები ხშირად ორიგინალური შემოქმედების მიჯნამდე მიდის. მაგრამ ეს „თავისუფლება", ეს „შემატება-მოკლება" არ მიდიოდა იქამდე, რომ დედანი დამახინჯებულიყო; მთავარი, არსებითი მხარე დედნისა როგორც იდეური, ისე მხატვრული, თარგმანში გადმოდიოდა ან ეფრებ-

მცირის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, თარგმანი «მასვე ჰირსა იტყოდა», რაც დედანში იყო მოცემული" [62].

კ. კეკელიძე სხვაგანაც იმეორებს, რომ: „ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლები მაჩვენებელი არიან იმ კულტურული სამყაროსი, რომელთანაც კავშირსა და ურთიერთობაში იმყოფებოდა ესა თუ ის ხალხი და კულტურულ ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდა. ასეთი ურთიერთობა ხალხთა შორის მუდამ ყოფილა და იქნება. ადამიანთა საზოგადოების ისტორიამ არ იცის მაგალითი აბსოლუტურად იზოლირებული კულტურული განვითარებისა" [63]. მკვლევარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურულ კავშირს უცხოეთთან, კერძოდ, ბიზანტიასთან, საურთიერთო ხასიათი ჰქონდა. ჯერ ერთი, ქართველები „ბიზანტიელებს გვერდში ამოუდგნენ კულტურულად", ისინი ამ კულტურას ითვისებდნენ „კრატიკულად, ატარებდნენ მას თავისი ეროვნული გენიის ბრძმედში". მეორე მხრივ ბერძნებს საქართველოდანაც ბევრი კულტურული განძი გაუტანიათ და იმით გაუმდიდრებიათ როგორც თავიანთი, ისე მსოფლიო კულტურის საგანძური. ასე, მაგალითად, თავის დროზე ბერძნულად გადაუთარგმნიათ ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლები „ცხოვრება ექვთიმე მთაწმინდელისა" და „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა" [64]. კ. კეკელიძემ სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნა ქართული ენიდან ბერძნულად ნათარგმნ ისეთ თხზულებებს, რომელთაც მსოფლიო რეზონანსი ჰქონდათ. ასეთებია სახელგანთქმული „სიბრძნე ბალავარისი" [65] და „აბეკურაჲ" [66]. ორივე ეს ძეგლი ქართულიდან ბერძნულად გადაუღია ექვთიმე ათონელს. კ. კეკელიძემ გამოარკვია, რომ ექვთიმე ათონელს პირდაპირ ბერძნულ ენაზე დაუწერია ორიგინალური თხზულება სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ხასიათისა „წესი შუენიერი და პატიოსანი, თუ ვითარ ჯერ-არს ცხოვრებაჲ დაყუდებულისაჲ გინა მარტოდ-მყოფისაჲ" [67]. მკვლევარი ასაბუთებს, რომ თუმცა ამ თემაზე ბიზანტია-

---

ეტიუდები, I, 1956, გვ. 184—186.

[63] ეტიუდები, V, 1957, გვ. 5.

[64] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული წყლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში (ეტიუდები, III, გვ. 8—9).

[65] ბალავარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში (ლიტერატურული ძიებანი, XI, გვ. 145—172; ეტიუდები, VI, გვ. 41—71).

[66] რომანი „აბუკურა" და მისი ორი რედაქცია ძველ ქართულ მწერლობაში (ეტიუდები, VI, გვ. 18—46).

[67] თსუ შრომები, ტ. 51, გვ. 195—208 (ეტიუდები, III, გვ. 9—11).

ში „მთელი ტომები დაუწერია სხვადასხვა პირთა". ექვთიმეს ორიგინალობა გამოუჩენია და საკითხი საკუთარი მიდგომით განუხილავს. წინააღმდეგ ბერძნული პრაქტიკის „უსასტიკესი რიგორიზმისა". ექვთიმე „დიდ ჰუმანიზმს ამჟღავნებს". კიდევ მეტი. „ჰუმანიზმის იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ჩვენს ავტორს ვხედავთ, არ ასულა არცერთი წარმომადგენელი ბერძნულ-ბიზანტიური პრაქტიკისა". მკვლევარი ასკვნიდა: „ექვთიმეს სახით ქართველებს მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ ბიზანტიური კულტურისა და მწერლობის სალაროში".

კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ე.წ ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა ქართული ელემენტიც. ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში ბერძნული მწერლობის ასპარეზზე სახელი გაუთქვამს „მისტიკურ-ასკეტიკური" მიმართულების გამოჩენილ წარმომადგენელს, ევაგრე ქართველს [68]. მე-5 საუკუნეში მოღვაწეობდა კიდევ უფრო სახელგანთქმული პეტრე ქართველი (იბერიელი) [69]. შემდეგ საუკუნეებში — ანტონი სელევკიელი, თეოფილე ტარსელი, იოანე პეტრიწი, პატრიარქი გერასიმე მესამე და სხვ. ბოლოს ანთიმოზ ივერიელი (რუმინული მწერლობის ფუძემდებელი).

ქართველები დიდად აფასებდნენ ბიზანტიურ კულტურას, მაგრამ მათ კარგად იცოდნენ თავიანთი ეროვნული კულტურის ფასი და არა თუ ქედს იხრიდნენ ბიზანტიზმის წინაშე, არამედ მეტოქეობას უწევდნენ. „ჩვენი პატარა სამშობლო უდავო მეტოქეობას უწევს ისეთ დიდ ქვეყანას, როგორც იყო ბიზანტია", აცხადებს კ. კეკელიძე და ამისი დამამტკიცებელი მრავალი ფაქტი მოჰყავს [70]. ჯერ კიდევ მე-8 საუკუნეში იოვანე საბანის-ძე ეროვნული სიამაყის გრძნობით აცხადებდა: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისა მიერ მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა. აჰა ესერა ქართლისაცა მკვიდრთა აქვს სარწმუნოება და წოდებულ არს დედად წმიდათა". მე-10 საუკუნის ჰიმნოგრაფი იოვანე-ზოსიმე ამბობს,

---

[68] მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე (ეტიუდები, VI, გვ. 5—17).

[69] კ. კეკელიძე საეჭვოდ თვლის პეტრე იბერიელისა და ფსევდო დიონისე არეოპაგელის ერთდროგიგივეობას (Проф. Э. Хопягин о Петре Ибере и сочинениях Пс.-Дионисия Ареопагита. „თსუ შრომები", ტ 6-ე, გვ 421—431); ეტიუდები, IX, გვ. 253—261

[70] კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ ლიტერატურაში (ეტიუდები, IV, გვ. 110—133).

რომ ქართულ ენას გარკვეული უპირატესობა აქვს ბერძნულთან შედარებით. ყოველი ღირსებით უხვად „შემკული და კურთხეული“ ეს ენა დღეს დამდაბლებულია დიდმპყრობელურ ქვეყანათა გაბატონებულ ენებთან შეპირისპირებით, მაგრამ პატრიოტ მწერალს სჯეროდა მისი მშვენიერი მშობლიური ენის მომავალი საერთაშორისო აღიარება და მთელი მისი სიდიადით გამობრწყინება. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ მონათხრობით, ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ მაკედონელმა თურმე თავისი შვილების აღზრდა ქართველ მასწავლებლებს მიანდო და დაავალა: „ასწავლეთ წიგნი და ენა თქვენიო“.

ქართველები სცნობდნენ და აღიარებდნენ ბიზანტიური კულტურის დიდ მნიშვნელობას მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე. მათ მეტად მწვავედ განიცადეს ბიზანტიური სახელმწიფოს ციტადელის — კონსტანტინეპოლის დაცემა მე-15 საუკუნეში. შეეცადნენ კიდევაც მის დახსნას თურქების ბატონობისაგან [71]. მაგრამ ქართველები არასოდეს არ ურიგდებოდნენ ბერძნების ქედმაღლობასა და გულზვიადობას, ამხილებდნენ მათ დიდმპყრობელურ შოვინიზმს, მათ მტაცებლობას [72].

ქართველობის წარმატებამ და „საერთაშორისო ასპარეზზე დაწინაურებამ“ შეაშფოთა გულზვიადი ბერძნები, ისინი აშკარა შემოტევაზე გადმოვიდნენ, მოიწადინეს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის შელახვა, საზღვარგარეთული ქართული ეკლესია-მონასტრების მიტაცება და დასაკუთრება. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ: „ამით აიხსნება წყევლა-კრულვა ათონის ქართველებისა“ იმათ მიმართ, ვინც ანგარებით თუ სხვა მოსაზრებით ხელს უწყობდნენ ბერძნების ძალმომრეობას [73]. ამითვე აიხსნება გრიგოლ ბაკურიანისძის ანდერძი, რომ მის მიერ დაარსებულ პეტრიწონის ქართულ მონასტერში არ იქნენ დაშვებული „ძალადობას, მტაცებლობას და ანგარებას მიჩვეული ბერძნები“ [74].

---

[71] კ. კეკელიძე, Отклики в Грузии на падение Константинополя, (ეტიუდები, III, გვ. 87—95).

[72] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, შემოქმედებითი პროცესი ძველ-ქართულ ლიტერატურაში იდეოლოგიური ხასიათის ზოგიერთ მომენტთან დაკავშირებით (ეტიუდები, II, 195—208); მ ი ს ი ვ ე, მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა ათონზე და მისი მდგომარეობა მე-16—17 საუკუნეებში (ეტიუდები, III, გვ. 69—86).

[73] ეტიუდები, IV, 118

[74] ი ქ ვ ე

ჩვენ შედარებით სრულად განვიხილეთ კ. კეკელიძის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობიდან ერთი პრობლემა — ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი [75]. რა თქმა უნდა, მკვლევრის ყურადღებას იპყრობდა არა ერთი და ორი სხვა პრობლემაც. მაგალითად, ძველი ქართული მწერლობის საწყისები და ქართული ანბანი. სულ უკანასკნელ დროს გამოაქვეყნა მან ორი ნარკვევი, რომლებიც ეხება ქართული დამწერლობის უძველეს ძეგლებს: 1. უძველესი ქართული მონასტერი იერუსალიმის მახლობლად და მისი მოზაიკური წარწერა [76], 2. ბოლნისის ტაძრის წარწერების ინტერპრეტაციისათვის [77]. რამდენიმე წლის წინათ იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ იერუსალიმის მახლობლად აღმოაჩინა ქართული მონასტრის ნანგრევები საუცხოო მოზაიკური წარწერებით. ამ აღმოჩენას კ. კეკელიძე გაეხმაურა სპეციალური ნაშრომით, რომელიც 1955 წელს გამოქვეყნდა. კ. კეკელიძის წერილი ეხება დაუზიანებლად შემონახული ერთი წარწერის დათარიღებას. მკვლევრის ვარაუდით, ეს წარწერა უნდა ეკუთვნოდეს მე-7 საუკუნის დასაწყის ხანას, 614—620 წლებს. ბოლნისის სიონის წარწერა მეხუთე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებისა ბოლო დრომდის ითვლებოდა ქართული დაწერილობის უძველეს ნიმუშად. კ. კეკელიძემ ამოხსნა წარწერის გაურკვეველი ორი სიტყვა. ქართული მწერლობის საწყისების პრობლემას უკავშირდება რამდენადმე ის დიდი ისტორიულ-კულტურული მოვლენა, როგორიცაა ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში. ეს საკითხი განხილულია კ. კეკელიძის მონოგრაფიულ ნარკვევში „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“ [78], რომელიც გერმანულ ენაზედაც გამოქვეყნდა [79]. შრომამ ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია უცხოეთშიც, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში მასზე დაიბეჭდა ბევრი ანოტაცია და რეცენზია.

დიდი გულისყურით იკვლევდა კ. კეკელიძე ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის საკითხებს [80]. დავასახელებთ იმ სერიის ზოგი-

---

[75] ამ საგანზე იხ. აგრეთვე რ. მ ი მ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, კორნელი კეკელიძე — ქართულ-ბერძნული ლიტერატურული ურთიერთობის დიდი მკვლევარი (საიუბილეო კრებული, კორნელი კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის გამო, თბილისი, 1959, გვ. 264—276).

[76] ეჯიუდები, VI, გვ. 72—80.

[77] იქვე, გვ. 418—420.

[78] ეტიუდები, IV, გვ. 257—292.

[79] Die Bekehrung Georgiens zum Christentum, ლაიფციგი, 1925.

[80] ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ქართული აგიოგრაფიის შესწავლის ისტორიიდან (საიუბილეო კრებული, კორნელი კეკელიძეს, გვ. 233—245).

ერთ ცალკეულ ნაშრომს: 1. ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა)[81]. კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა[82], 3. საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ[83]. 4. ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან[84], 5. მოქცევაჲ ქართლისაჲს შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები[85] (აქ განხილულია ნინოს ცხოვრების საკითხები). 6. ცხოველთა მოტივი აგიოგრაფიულ მწერლობაში[86] და სხვ. ილარიონ ქართველის ცხოვრების გამოკვლევით კ. კეკელიძემ დაასაბუთა, რომ რომსა და კონსტანტინეპოლს შორის სარწმუნოებრივ-ეკლესიურ ნიადაგზე ამტყდარი ბრძოლის დროს „საქართველო არ იზიარებდა საბერძნეთის რიგორისტულ და კონსერვატიულ-რიტუალურ შეხედულებას რომაელთა ეკლესიის შესახებ“ (ეტიუდები, IV, 139). საერთოდ, კ. კეკელიძის გამოკვლევების თანახმად, „ქართველებისათვის უცხო იყო რელიგიური აუტანლობა და ფანატიზმი“ (იქვე, გვ. 123), რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა ე. წ. მწვალებლობასა და სექტანტობას, ხოლო „მწვალებლობა, სექტანტობა შეიდეგია მოუსვენარი სულის ძიებისა რელიგიის სფეროში, აზროვნებისა, ფიქრისა, უველაფერი იმისა, რაც ბიძგს აძლევს ლიტერატურის განვითარებას და შინაარსობლივად, იდეურად ამდიდრებს მას“ (ეტიუდები, II, 203). კ. კეკელიძე დამარწმუნებლად ასაბუთებს, რომ ე. წ. სირიელი მოღვაწენი, რომელნიც ქართლში მოსულან მე-6 საუკუნეში, ნამდვილად ყოფილან არა სირიელები, არამედ ქართველები. ალმსარებლობით მონოფიზიტები, „მათ გადაუტანიათ მთელი სიმწვავე იმ დევნულობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სირიაში მეექვსე საუკუნის სიგრძეზე, და ქართლში მოსულან არა სამისიონერო მიზნით, არამედ იძულებით, ისინი გამოქცევიან დასახელებულ დევნულობას“ (ეტიუდები, I, 43).

ჩვენ აღარ შევჩერდებით კ. კეკელიძის სპეციალურ გამოკვლევებზე იოანე საბანის-ძისა და სერაპიონ ზარზმელის შესახებ (ამაზე ნაწილობრივ ზემოთ გვქონდა საუბარი). ჰაგიოგრაფიული მწერლობის საკითხებს დიდი ადგილი აქვს დათმობილი კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“.

---

[81] ეტიუდები, IV, გვ. 134—158.

[82] იქვე, I, გვ. 133—146.

[83] იქვე, I, გვ. 19—50.

[84] იქვე, II, გვ. 218—236.

[85] იქვე, I, გვ. 63—83.

[86] იქვე, III, გვ. 166—177.

საყურადღებოა კ. კეკელიძის ისტორიულ-კრიტიკული და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ნარკვევები და შენიშვნები. მაგალითად: 1. ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები[87], 2. ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში[88], 3. Идея братства закавказских народов по генеалогической схеме грузинского историка XI века Леонтия Мровели[89], 4. კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში[90] და სხვ.

კ. კეკელიძის რიგი ნაშრომი ეხება ისტორიულ-ქრონოლოგიურ პრობლემატიკას, კერძოდ ქართულ წელთაღრიცხვას. ასეთებია: 1. როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება, 2. ქართული ერა და ეორტალოგიური წელიწადი, 3. ძველი ქართული წელიწადი, 4. იოანე ქართველის კალენდარი, 5. წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში და სხვ.

კ. კეკელიძემ საგანგებოდ შეისწავლა ძველი ქართული სტამბის და ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის საყურადღებო საკითხები (ქართული კულტურის ორი დღესასწაული[91], ნიკიფორე ირბახი-ინიციატორი ქართული სტამბისა რომში[92], ქართული სტამბის ისტორიიდან მეთვრამეტე საუკუნეში[93]). კ. კეკელიძეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ქართველი ქალების მონაწილეობა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში (ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში[94], ქართველი ქალები შაჰ-აბას პირველის

---

[87] აქვე შევნიშნავთ, რომ კ. კეკელიძის მოსაზრება ლეონტი მროველის მოღვაწეობის დროის შესახებ სავსებით დაადასტურა ლეონტის სამშენებლო წარწერის აღმოჩენამ თრეხვის ქვაბთა სახიზარში (გ. გაფრინდაშვილი, Новооткрытая надпись Леонтия Мровели, „Заря Востока", 24. 7. 57; მისივე, ლეონტი მროველის სახიზარ მღვიმეებში, გაზ. „კომუნისტი", 25. 6. 58).

[88] ეტიუდები, I, გვ. 168—182.

[89] ეტიუდები, III, გვ. 96—107.

[90] ეტიუდები, IV, გვ. 326—357.

[91] ჟურნ. „მნათობი", 1929, №—5—6, 7.

[92] ეტიუდები, II, გვ. 292—313.

[93] ეტიუდები, III, გვ. 108—115.

[94] ეტიუდები, IV, გვ. 202—216.

კარზე [95], მეოვრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან [96].

როგორც ძველი ქართული მწერლობის ისტორიკოსი, კ. კეკელიძე საგანგებოდ იხილავს ამ მწერლობის პერიოდიზაციის პრობლემას. ცალკეულ შენიშვნებთან ერთად, ამ საკითხს ეძღვნა მონოგრაფიული გამოკვლევა „ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია“ (თბილისი, 1933). კ. კეკელიძემ წამოაყენა საკუთარი თეორია ძველი ქართული საერო მწერლობის აღმოცენებისა და განვითარების თაობაზე. გარდა დასახელებული ნაშრომისა („ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია“) ამ პრობლემას განეკუთვნება წერილების სერია „ქართული საერო მწერლობის წარმოშობის პრობლემისათვის“[97] („წმიდა მხედარი“, სამიჯნურო ცთუნების პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში, რომანი ტ ა ვ რ ო მ ე ნ ი ა ნ ი ძველ-ქართულ ლიტერატურაში, ძველი ქართული რომანი და მისი წინამორბედი ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში). კ. კეკელიძე ამტკიცებს, რომ საერო ლიტერატურა წარმოიშვა „სასულიერო მწერლობის მომდევნოდ და მის შედეგად“, რომ საერო მწერლობის აღმოცენება მოამზადა სასულიერო მწერლობის განვითარებამ. რომ საერო მწერლობა „დიალექტიკური განვითარებაა სასულიერო მწერლობისა და კანონზომიერად წარმოიშობა მისგან“.

კ. კეკელიძის თვალსაზრისის თანახმად, ძველმა ქართულმა სასულიერო მწერლობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საერო ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესში: „ეს როლი იყო, ერთი მხრით, ფ ო რ მ ა ლ უ რ ი ხასიათისა: საერო მწერლობამ სასულიეროსაგან დაიმკვიდრა სავსებით დამუშავებული ლიტერატურული ენა, მან გაიმეორა მისი მთავარი ჟანრები (ეპოსი, ლირიკა) და კომპოზიციური ხერხები; მეორე მხრით შინაარსობლივი: სატრფიალო-სამიჯნურო და სადევ-გმირო მოტივები, რომელნიც წარმოდგენილნი არიან კლასიკური პერიოდის საერო ლიტერატურაში. უკანასკნელმა, ელემენტების სახით, ჰაგიოგრაფიული და აპოკრიფული ბელეტრისტიკიდანაც მიიღო“. კ. კეკელიძე ასაბუთებს, რომ ჰაგიოგრაფიული მწერლობისათვის უცხო არ იყო არც სატრფიალო-სამიჯნურო მოტივები, („სამიჯნურო ცთუნებანი“) და არც საგმირო-სათავგადასავლო ამბები. მოჰყავს ამისი მრავალი კონკრეტული მაგალითი. თავის მხრივ

---

[95] ეტიუდები, IV, გვ. 217—226.

[96] იქვე, გვ. 227—251.

[97] ეტიუდები, II, გვ. 1—63.

„ჰაგიოგრაფიული რომანის გმირი, გარკვეულს სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ-კულტურულ პირობებში. საერო ლიტერატურის ამქვეყნიურ გმირად ქცეულა“, სასულიერო მწერლობის წიაღში ჩაისახა საერო მწერლობის ცალკეული მოტივები, ხოლო „ჰაგიოგრაფიულმა ბელეტრისტიკამ და შესხმა-ქებებითმა ენკომიებმა ქართველი მკითხველი მისთვის შეუმჩნევლად მიიყვანეს საერო რომანებისა და ხოტბების სალარომდე“. ერთი სიტყვით, გარკვეული შინაარსისა და ფორმის „თხზულებები სასულიერო მწერლობისა ნიადაგს ამზადებდა ჩვენში საერო-მხატვრული ლიტერატურის წარმოსაშობად და მასთან მკითხველთა შესაგუებლად“. ასე გადაიზარდა. ქ. კეკელიძის შეხედულებით, ძველი ქართული სასულიერო მწერლობა საეროში, როდესაც კი საამისო საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული პირობები მომწიფდა. ესაა დაახლოებით მე-11—12 საუკუნეთა მიჯნა, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანა.

მისთვის დამახასიათებელი გულმოდგინებითა და სიღრმით იკვლევს ქ. კეკელიძე ძველი ქართული საერო პოეზიის საკირბოროტო, საკვანძო პრობლემებს. პირველ ყოვლისა მისი ყურადღების ცენტრშია ქართული პოეზიის დიდება და მშვენება — შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანი. სხვადასხვა დროს დაწერილ სხვადასხვა ნაშრომში მას გაშუქებული აქვს რუსთველოლოგიური პრობლემატიკის სხვადასხვა საკითხი. ქ. კეკელიძეს უფრო იზიდავდა რუსთველის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები, თუმცა უყურადღებოდ არ დაუტოვებია „ვეფხისტყაოსნის“ არც იდეურ-შინაარსობლივი და ლიტერატურულ-მხატვრული მხარეები. ქ. კეკელიძის უმთავრესი რუსთველოლოგიური ნაშრომების უბრალო დასახელებაც კი საკმაო წარმოდგენას ჰქმნის მკვლევრის ინტერესთა ნაირსახეობაზე (ქ. კეკელიძის ძირითადი რუსთველოლოგიური ნაშრომები თავმოყრილია „ეტიუდების“ მეოთხე წიგნში, ავტორის რუსთველოლოგიური ნააზრევი შეჯამებულია მისი ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომში): 1. რუსთველოლოგიური შტუდიები (პერსონალური ალეგორიები: ნესტან-ტარიელი და თამარ-სოსლანი. თინათინი და თამარი. ზაზასეული ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა): 2. რუსთველოლოგიის საკითხები: ა. ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემა, ბ. რუსთველის სადაურობისა და სახელისათვის; 3. პოეტი შოთაძე; 4. ახალი ნაშრომი ვეფხისტყაოსნის შესახებ, 5. რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი; 6. დიდი ქართველი პოეტი და ჰუმანისტი საშუალო საუკუნეებისა (ეტიუდები, 1); 7. კ. ჯიჯინაძის მიერ

გამოცემული ვეფხისტყაოსანი (ეტიუდები, II). 8. Грузинское Возрождение (ეტიუდები. III); 9. რეცენზია პ. ინგოროყვას „რუსთველიანაზე“[98]; 10. კიდევ ვეფხისტყაოსნის გარშემო [99]; 11. ვეფხისტყაოსანი, როგორც წყარო საბას ლექსიკონისა [100]: ვეფხისტყაოსნის ერთი სიტყვა საბას ლექსიკონში [101]; 12. რუსთველოლოგიური შენიშვნები: ა. რუსთაველის „მზიანი ღამე“. ბ. პოემის ერთი სტროფისათვის [102]; 13. Отчет о работах Комиссии по установлению критического текста поэмы Вепхистхаосани для юбилейного (1937 г.) издания [103]. კ. კეკელიძის მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანი“ არის მსოფლიო მნიშვნელობის მქონე დიდი ეროვნული ნაწარმოები, რომელიც გვხიბლავს თავისი მშვენიერი, მიმზიდველი ამბით, ღრმააზროვანი ბრძნული ფილოსოფიური შეგონებებით, პროგრესული აზროვნებით, ხალასი პოეტური ენით, ცოცხალი ხალხური მეტყველებით, დიადი ეპიკური სტილით. „რომელიც დიჯი და ნაზი, როგორც საქართველოს ველები, ხან კი ქუხს ლამაზად შეკინძული ფრაზებით. როგორც პოეტის სამშობლოს მთებიდან მოვარდნილი ჩანჩქერი“. „ვეფხისტყაოსანმა“ — კ. კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ — რამდენიმე საუკუნით უფრო ადრე ასახა, ვიდრე დასავლეთის რენესანსმა, ჰუმანისტური იდეები და კეთილშობილი მისწრაფებანი ადამიანისა“, „в Грузии еще в XII веке начинается то движение, которое в Западной Европе породило в последствии т. н. Ренессанс. Руставели на несколько столетий раньше деятелей эпохи европейского Возрождения с большой силой и широтой выразил гуманистические идеи, роднящие его с лучшими представителями западно-европейского Ренессанса“,

ქართული რენესანსის წარმოშობა შეპირობა ქართული კულტურის ისტორიული განვითარების ვითარებამ. რუსთველი კანონზომი-

---

[98] „მნათობი“, 1927, № 2, გვ. 181—204; ეტიუდები, IX, გვ. 207—230.

[99] „მნათობი“, 1927, № 5—6, გვ. 167—188; ეტიუდები, IX, გვ. 231—252.

[100] სულხან-საბა ორბელიანი (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო კრებული), თბილისი, 1959, გვ. 129—131; ეტიუდები, VIII, გვ. 347—349.

[101] იქვე, გვ. 131—133; ეტიუდები, VIII, გვ. 349—351.

[102] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სმგ მოამბე, 1960, № 2, გვ. 208—214; ეტიუდები, VIII, გვ. 163—169.

[103] ეტიუდები, VII, 1961, გვ. 279—290.

ერი მოვლენაა და ბუნებრივი მაღალი საფეხური ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და პოეტური კულტურის განვითარების ისტორიულ გზაზე. კ. კეკელიძე აკრიტიკებს „ვეფხისტყაოსნის“ მეტეორივით მოვლინების ყალბ თეორიას. რუსთველს ჰყავდაო თავისი ღირსეული წინამორბედნი, მას გაუჩნდა ბევრი მიმდევარიც. თუმცა იმთავითვე „აუმხედრდნენ ბნელეთის მოციქულები, კლერიკალურ-კონსერვატული წრის წარმომადგენლები, რომელნიც ებრძოდნენ მას სარწმუნოებრივ-მორალური პოზიციებიდან იმიტომ, რომ ის «არ ახსენებს სამებასა ერთარსულად» და. როგორც «სამეძაო» ვითომცდა წიგნი, ოჯახურ მორალს ბღალავსო. ამის გამო ზოგი თავისი უილაჯო ინტერპოლაციით და ინკრუსტაციით შეუბრალებლად სჯიჯგნიდა და ამახინჯებდა პოემის ნატიფ აღნაგობას. ზოგი კიდევ ულმობლად სდევნიდა მას და პირდაპირ აუტოდაფეს უმართავდა“ [104].

კ. კეკელიძემ ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ მცდარია დებულება რუსთველის მანიქეველობაზე, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორის სარწმუნოებრივი აღმსარებლობა არის ქრისტიანობა, მაგრამ არა დოგმატიკური. რელიგიური საკითხებისადმი რუსთველი „მეტად თავდაჭერილია“, იგი ცდილობს მაღლა იდგეს ყოველგვარ საეკლესიო-კონფესიურ პარტიკულიარიზმზე“. კლერიკალური წრეების ბრძოლა ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ „იყო წარმოებული იმდენად არა რელიგიურ ნიადაგზე, რამდენადაც მორალურზე“. თავის უახლეს წერილში („რუსთაველის მზიანი ღამე“) კ. კეკელიძე იხილავს ვეფხისტყაოსნის ცნობილ სტროფს (836, 1—2):

> იტყვის: ჰე, მზეო, ვინ სატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
> ერთ-არსებისა, ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად.

მკვლევრის სიტყვით, „მზიანი ღამე — აბსოლუტური უაზროობაა“, რომ „ე რ თ ა რ ს ე ბ ა implicite გულისხმობს ს ა მ ე ბ ა ს“. რომ საანალიზო ტექსტი დამახინჯებულია, ნაცვლად „მზიანისა ღ ა მ ი ს ა დ“ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო „მზიანისა ს ა მ ი ს ა დ“. რომელიმე გადამწერმა თუ რედაქტორმა შესაძლებელია ტექსტი შეგნებულად დაამახინჯა „იმ მიზნით, რომ სახელი გაეტეხა პოემისათვის“.

განსაკუთრებული შეხედულება აქვს კ. კეკელიძეს „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღის თაობაზე. პოემაში აქა-იქ გამოხატული ნაღვ-

---

[104] იხ. აგრეთვე, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, შემოქმედებითი პროცესი ძველ-ქართულ ლიტერატურაში იდეოლოგიური ხასიათის ზოგიერთ მომენტთან დაკავშირებით (ეტიუდები, II გვ. 205—216).

ლიანი განწყობილება და სოფლის სამდურავი არ შეეფერება „თამარის დროის ლაღსა და ცხოველმყოფელ მსოფლმხედველობას. რომელსაც, ისტორიკოსების ცნობით, ყველა თავს ბედნიერად თვლიდა, ყველა შესტრფოდა ცხოვრებას, ყველა მადლობდა თავის ბედს. ყველგან ისმოდა ქება თამარისა". პროლოგის „თამარს ვაქებდეთ მეფესა სიხლისა ცრემლ დათხეული" უნდა გულისხმობდესო, ფიქრობს კ. კეკელიძე, უკვე გარდაცვლილ თამარს. „ვეფხისტყაოსანი" უნდა შექმნილიყო იმ პერიოდში, როცა «იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა», ე. ი. „არა უადრეს მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევისა ჩვენში", დაახლოებით მე-13 საუკუნის მესამე ათეული წლის გასულს. ამდენად „დაწერის თარიღით პოემა არ ემთხვევა თამარის მეფობას", თუმცა რუსთველი „უეჭველია, თამარის მეფობის შეგნებული თანამედროვე და მომსწრე იყო". სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ვეფხისტყაოსანი" „შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თამარის ეპოქის (და არა მეფობის) ნაწარმოებადაც". მკვლევრის ვარაუდის თანახმად, „ვეფხისტყაოსანი თამარის სახელისა და მისი მეფობის მოგონებით ამათრახებს რუსუდანის დროისა და მისი პირადი ცხოვრების ანომალიებს".

კ. კეკელიძის რუსთველოლოგიურ ნარკვევებში საჭირო სისრულით არის განხილული „ვეფხისტყაოსნის" ინტერპოლაციებისა და პოემის პირველი გამოცემის საკითხები. პირველ სიუჟეტურ-ინტერპოლაციად კ. კეკელიძე თვლის „ინდო-ხატაელთა ამბავს", რომელიც შეთხზული უნდა ყოფილიყო არა უადრეს მე-16 საუკუნის დამდეგისა". შემდეგ მოღვაწეობს ნანუჩა ციციშვილი. „საბოლოოდ გარკვეულად უნდა ჩაითვალოსო", ამბობს კ. კეკელიძე, რომ ვახტანგისეული გამოცემა „არის თავისებური კრიტიკული რედაქცია, ესე იგი — შეგნებული შემოკლება ხელნაწერებში დაცული ვრცელი, დამატებიანი და ჩამატებიანი ტექსტისა. და თუ დღესაც [105] ვინმე სხვაფრივ ფიქრობს, ის, პოემის შესავლის სიტყვებით რომ ვთქვათ, «უცილობლობს ვითა ჯორი»». 1712 წლის გამოცემას ვახტანგისეული იმიტომ ეწოდებაო, ამტკიცებს მკვლევარი, რომ ის დაიბეჭდა ვახტანგის ბრძანებით, „მისი ხარჯით, ღვაწლით, რუდუნებით და შრომით შექმნილს სტამბაში". 1712 წლის გამოცემას დართული აქვს ვახტანგის „თარგმანი". „გარდა თარგმანისა, იმაში ვახტანგს ბევრი არაფერი ეკუთვნის, არ ეკუთვნის მას კერძოდ ამ გამოცემაში მოთავსებული კრიტიკული რედაქცია პოემისა". კ. კეკელიძის მოსაზრებით, 1712 წლის გამოცემის ტექსტი უნდა დაბეჭდილიყო ვახტანგის სპარ-

[105] ამას წერდა 1939 წელს (ეტიუდები, IV, გვ. 16).

სეთში წასვლის შემდეგ. ის გაუმართავს კარის დეკანოზის შვილს, მესტამბე მიქელსო. ამ მიქელს მის მიერ რედაქტირებული ტექსტისათვის მექანიკურად დაურთავს ვახტანგის თარგმანი. ეს თარგმანი გაკეთებული ყოფილა „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქციისათვის და ზოგჯერ ვახტანგის მიერ განმარტებულია ისეთი სტროფები, რომლებიც არ შესულა ბეჭდურ გამოცემაში. „ვახტანგის გამოცემის რაობის გარკვევისათვის“ დიდი მნიშვნელობა აქვს პოემის ზაზასეულ ხელნაწერს, კერძოდ ამ ხელნაწერის „საშუალებით შესაძლებელი ხდება პოემის ზოგიერთი, შემდეგში დამატებული და ჩამატებული, ადგილების ავტორთა გარკვევა, ამ ავტორთა ლიტერატურული მეკვიდრეობის გათვალისწინება“. ამიტომაც კ. კეკელიძემ სპეციალურად შეისწავლა ზაზასეული ხელნაწერი და თავისი დაკვირვებანი ცალკე წერილის სახით ჩამოაყალიბა [106].

ჩვენ აღარ ვეხებით კ. კეკელიძის გამოკვლევებს ძველი ქართული საერო მწერლობის სხვა საკითხებზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თავისი კომენტარიებით კ. კეკელიძემ დიდად შეუწყო ხელი რიგი ძეგლების შინაარსობლივ-აზრობლივი მხარეების ნათელყოფას. ასეთებია, მაგალითად: 1. კომენტარები თამარიანის ზოგიერთი ტაეპისა [107]; 2. კომენტარები ა ბ დ უ ლ მ ე სი ა ნ ი ს ზოგიერთი ტაეპისა [108]; 3. ერთი მომენტი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა კლასიკური ხანის ლიტერატურაში [109]; 4. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო [110]; 5. ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან [111]. კ. კეკელიძეს ეკუთვნის აგრეთვე „დავითიანის“ საიუბილეო გამოცემის (1955 წლ.) მთელი ტექსტის კომენტარია.

ძველი ქართული საერო მწერლობის საკითხებს მჭიდროდ უკავშირებდა ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემატიკა. კ. კეკელიძეს დიდი შრომა აქვს გაწეული ამ პრობლემის გარშემოც [112]. კერძოდ მას ძლიერ აინტერესებდა ისეთი საკითხები,

---

[106] ეტიუდები, IV, გვ. 10—15.

[107] ეტიუდები, III, გვ. 27—36.

[108] ეტიუდები, IV, 56—69.

[109] ეტიუდები, I, გვ. 312—318.

[110] რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 121—158; ეტიუდები, VIII, გვ. 200—237.

[111] ეტიუდები, IV, გვ. 161—174.

[112] ალ. გ ვ ა ხ ა რ ი ა, ქართულ-აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი აკად. კ. კეკელიძის შრომებში (საიუბილეო კრებული, გვ. 97—109).

როგორიცაა ნიზამი და საქართველო, ნიზამი და რუსთველი. აღნიშნულის რიგისაა კ. კეკელიძის ნარკვევები: 1. Руставели и Низами Гянджеви;[113] 2. რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი[114]. 3. საქართველო და ნიზამი განჯელი[115]. კ. კეკელიძემ გაარკვია, რომ რუსთველი იცნობდა ნიზამის და ასახელებს კიდევაც მისი ცნობილი პოემის „ლეილ-მაჯნუნიანის" ორ პერსონაჟს — კაენს (=ყაისს) და სალას („მისნი ვერ გაძლნეს პატიჟნი ვერ კაენ, ვერცა სალამან"). მათ შემოქმედებაში შესამჩნევია ზოგიერთი საერთო მოტივი. თავის მხრივ ნიზამიც იცნობდა საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს და საკმარისად არის ამ სინამდვილისაგან დავალებულიო. კ. კეკელიძის ვარაუდით, ნიზამის „ხოსროვ-შირინიანის" პერსონაჟის შამირას (შირინის მამიდის) პროტოტიპი უნდა იყოს რუსუდანი (თამარის მამიდა), ხოლო შირინისა — თვითონ თამარი. ნიზამის „ისქანდერ-ნამეს" ერთერთი მთავარი გმირია მალიქ დავალი, აფხაზეთის (საქართველოს) მბრძანებელი, მხედართმთავარი, თბილისის პატრონი. „ვინაა აფხაზთა მალიქი და სარდალი დვალი?" კითხულობს კ. კეკელიძე და უპასუხებს: „უეჭველია თამარის ქმარი დავით სოსლანი. დავით სოსლანი, როგორც ქმარი თამარისა, იწოდებოდა მეფედ (მელიქი). ის იყო მთავარი სარდალი მისი ჯარებისა, გულოვანი, მამაცი და უძლეველი, როგორც იმდროინდელი ისტორიკოსები და პანეგირისტები გადმოგვცემენ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს თვით სახელი დვალი: დვალი ქართულად ხომ იგივე ოსია. ცნობილია, რომ თამარის ქმარი დავით სოსლანი ოსთა მეფისწულ იყო". ბარდავის დედოფლის ნუშაბეს „პორტრეტი ნიზამის თამარიდან უნდა ჰქონდეს გადმოღებულიო", შენიშნავს მკვლევარი. ნუშაბე გახდა დავალის მეუღლე.

კ. კეკელიძემ მკაცრად გააკრიტიკა პროფ. შალვა ნუცუბიძის მიერ წამოყენებული თეორია აღმოსავლური რენესანსის თაობაზე[116].

კ. კეკელიძის სხვა შრომებიდან ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესახებ ჩვენ აქ დავასახელებთ მხოლოდ ორს: 1. ხოსროვ-შირინიანის ქართული ვერსია[117], 2. შვიდი მთიე-

---

[113] თსუ შრომები, V, 1936, გვ. 157 –178.

[114] ეტიუდები, IV, გვ. 37—55.

[115] იქვე, IV, გვ. 81—89.

[116] ეტიუდები, IV, გვ. 37—55.

[117] ჟურნ „ჩვენი მეცნიერება", 1926, №№ 17—18, გვ. 21—23.

ბი [118]. ქართულ ენაზე მოიპოვება მე-18 საუკუნის დამდეგის უნიკალური ხელნაწერით შემონახული პროზაული ტექსტი „ხოსროვ-შირინიანისა". ამის ეპილოგში იკითხება (ტექსტი აღდგენილია კ. კეკელიძის მიერ): „ესე ნიზომიმ მოინდომა, თავის სიცოცხლეში შაირობდა. დიდი ხანია მინდოდა, რომ იმისის წყალობით (მეთქვა). ლექსება იმას ვამგზავსე და «ხოსროვი-შირინი» დავარქვი. და ქორონიკონი ექვსის რვის წლისა იყო, რაჯაბს თვეს დავიწყევი. ვინც ნახოთ, მითხრას, რომ ხოსრო და შირინის სიცოცხლე გათავდა, ღმერთმან აცხონოს".

მოყვანილი ტექსტის ანალიზის საფუძველზე კ. კეკელიძე სამართლიანად ასკვნიდა, რომ ის უნდა წარმოადგენდეს სპარსული ორიგინალის თარგმანს, ქორონიკონი კი მაჰმადიანურიაო. ამ საკითხს თითქმის იმავდროულად შეეხო ლენინგრადელი მკვლევარი ა. ჰენკო [119]. მისი დაკვირვებით, თითქოს საცილობელია ეპილოგის წარმოშობა და აზრი. კერძოდ ჰენკომ საცილობელად ჩათვალა ტერმინ ლ ე ქ ს ი ს სწორედ უცილობელი მნიშვნელობა („в частности нелсно, что понимать под словами ლექსები стихи или прозу"). ეპილოგის ავტორობას ჰენკო მიაწერს ქართველ მთარგმნელს, ეპილოგის ქორონიკონს ქართულ ქორონიკონად აცხადებს და ამის მიხედვით ქართული თარგმანის წარმოშობას 1388 წლით ათარიღებს.

ა. ჰენკოს წერილის გაცნობის შემდეგ კ. კეკელიძე კვლავ დაუბრუნდა „ხოსროვ-შირინიანის" საკითხს, მან უარყო ჰენკოს მოსაზრებანი და თავისი ადრინდელი შეხედულებანი დაიცვა [120]. უკანასკნელ დროის სპეციალურმა კვლევა-ძიებამ სავსებით დაადასტურა კ. კეკელიძის დებულებანი. გამოირკვა, რომ ქართულ ენაზე შემონახული ყოფილა „ხოსროვ-შირინიანის" ის ვერსია, რომელიც დაამუშავა ნიზამის მიმბაძველმა პოეტმა ხოსრო დეჰლელმა.

კ. კეკელიძის ნარკვევი „შვიდ-მთიებზე" ანუ „ბარამ-გურიანზე" დღემდის რჩება ამ საკითხის ყველაზე უფრო სრულ გამოკვლევად... მთელ რიგ დასკვნებს დღესაც აქტუალური მნიშვნელობა აქვთ" [121].

[118] ნ ო დ ა რ ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, შვიდი მთიები (ბარამ-გური), პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით, თბილისი, 1930, შესავალი წერილი, გვ. I—XXXIV.

[119] Грузинская версия „Хосро и Ширин" Хосро Дехлеви (Доклады РАН, 1924, в. VII—IX, стр. 138—141.

[120] „რუსთაველის კრებული", 1938, გვ. 152; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 344—345.

[121] ალ. გ ვ ა ხ ა რ ი ა, დასახელებული წერილი, გვ. 106.

კ. კეკელიძის გამოკვლევის თანახმად ბოდბე ციციშვილს თავისი „შვიდი მთიების“ წყაროდ გამოუყენებია სხვადასხვა დროის ცნობილი ავტორების, მათ შორის ნიზამისა და ნავაის ანალოგიური თხზულებანი. მიუხედავად ნასესხობისა, ასკვნის კ. კეკელიძე „იმდენად თავისებურია კომპოზიცია პოემისა (ე. ი. შვიდი მთიებისა.—ა. ბ.), იმდენად მაღალია და მხატვრული დამუშავება მასალისა და ისე მოხერხებულადაა ჩაქსოვილი ამ მასალაში ეროვნული და ქრისტიანული ელემენტი, რომ მიბაძვა ორიგინალობამდე ადის“.

საანალიზო პრობლემიდან ცალკე აღსანიშნავია კ. კეკელიძის წერილები: 1. Отражение восточного культа в древнегрузинской поэзии [122], 2. Алипер Навои в древнегрузинской литературе [123]. ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის მახვილგონივრული შენიშვნები უძღვნა კ. კეკელიძემ „შაჰნამეს“ (როსტომიანის) ქართულ ვერსიებს. კ. კეკელიძემ აღმოაჩინა და საერთოდ სწორად შეაფასა „მეფეთა სალაროს“ ქართული ვერსია, რომლის სპარსული დედანი დღემდის უცნობი რჩება. კ. კეკელიძეს ერთგვარი წვლილი აქვს შეტანილი სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის ისტორიაშიც.

კორნელი კეკელიძემ თავისი ავტორიტეტული სიტყვა დააწია ქართული ფოლკლორისა და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს [124]. „ღვაწლმოსილმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ ქართული ხალხური შემოქმედების ბევრ რთულ საკითხსაც მოჰფინა სინათლე. კორნელი კეკელიძის მდიდარსა და მრავალფეროვან მეცნიერულ პროდუქციაში დასმულია და გადაჭრილია ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლკლორისტიკის დიდი მნიშვნელობის თეორიული საკითხები; მათ შორის ქართული ხალხური სიტყვიერების ადგილი მსოფლიო ლიტერატურასა და ხალხურ შემოქმედებაში; ხალხური სიტყვიერებისა და ლიტერატურის ურთიერთობა; მხატვრულ ნაწარმოებთა სიუჟეტის მსგავსება და ხალხთა კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის საკითხი; ხალხურ ნაწარმოებთა ან მათი ეპიზოდებისა და მოტივების გენეზისის საკითხი; სხვადასხვა ჟანრის ხალხურ ნაწარმოებთა ტრადიცია საქართველოში, მათი შემსრულებლები და შესრულების წესები და სხვ. მაღალ მეცნიერულ და პრინციპულ სიმაღლეზე აყვანილი ყველა ეს საკითხი კ. კეკელიძის

---

[122] ეტიუდები, II, გვ. 281—286.

[123] იქვე, გვ. 287—291.

[124] ქსენია სიხარულიძე, კორნელი კეკელიძე და ქართული ხალხური შემოქმედების საკითხები (საიუბილეო კრებული), გვ. 305—319.

ნაშრომებში ემსახურება მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ისტორიის სრულყოფილად წარმოდგენას“ [125].

კ. კეკელიძის შეხედულებანი ფოლკლორის საკითხებზე გამოხატულია ქართული ლიტერატურის ისტორიის ორტომეულში და სპეციალურ ნარკვევებში: 1. ბარამ-გურიანის ნოველათა სიუჟეტური პარალელები ქართულ ფოლკლორში [126]; 2. ბაში-აჩუკის ერთი ეპიზოდისათვის [127]; 3. ორი მოხეტიალე სიუჟეტისათვის ქართულს ფოლკლორსა და მწერლობაში [128]. 4. გართობა-სანახაობათა ისტორიისათვის ძველს საქართველოში [129].

კ. კეკელიძეს შენიშნული აქვს ქართულ სალიტერატურო ძეგლებში თუ ფოლკლორულ მასალებში ისეთი სიუჟეტები და მოტივები, რომელთაც პარალელები მოეპოვებათ სხვა ხალხების სულიერი კულტურის საგანძურში.

მკვლევრის მოსაზრებით, მსგავს შემთხვევებში სრულიად არ არის აუცილებელი „სესხების თეორიის“ მანკიერი პრინციპებით ხელმძღვანელობა. მსგავსი სიუჟეტები შეიძლება წარმოშობილიყო „ერთიმეორისაგან დაშორებულ ხალხთა სოციალური ყოფის მსგავს პირობებში“. კერძოდ, ბარამ-გურიანის (შვიდი მთიების) და ქართული ფოლკლორის ანალოგიური სიუჟეტები უნდა მომდინარეობდეს ამიერკავკასიური ზოგადი ფონდიდან ან სუბსტრატიდან. მკვლევარი განმარტავს: „თუ ჩვენ მხედველობაში გვექნება, ერთი მხრით, ის გარემოება, რომ ნიზამი ცხოვრობდა და ჰქმნიდა ამიერკავკასიის სინამდვილეში (ადერბაიჯანში), მეორე მხრით კი ქართულ-ადერბაიჯანული კულტურული ურთიერთობანი, არ გვეუცხოება ის მოვლენა, რომ ამ ფონდის ერთს ნაკადს თავი უჩენია ქართულ ფოლკლორში, მეორეს მუსლიმანურ-ადერბაიჯანულში“.

როგორც ლიტერატურის ისტორიკოსს, კ. კეკელიძეს სრულიად ბუნებრივად უფრო აინტერესებდა ფოლკლორისა და ლიტერატურის (თუ ლიტერატურისა და ფოლკლორის) ურთიერთობის პრობლემა. ამ პრობლემის საკითხებს იგი იხილავს სიფრთხილით, კონკრეტული მასალის შემოწმებისა და გამოძიების საფუძველზე, ყოველგვარი წინასწარ აღებული თვალსაზრისის (ან აკვიატებული თვალსაზრისის)

---

[125] ქ ს ე ნ ი ა ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, კორნელი კეკელიძე და ქართული ხალხური შემოქმედების საკითხები (საიუბილეო კრებული), გვ. 305.

[126] ეტიუდები, II, გვ. 81—86.

[127] ი ქ ვ ე, გვ. 64—70.

[128] ი ქ ვ ე, გვ. 87—98.

[129] ი ქ ვ ე, გვ. 151—159.

გარეშე. მაგალითად, კ. კეკელიძე თვლიდა, რომ: „დღეს უკვე საბოლოოდ გარკვეულია ფოლკლორული წარმოშობა «სიბრძნე სიცრუისა» ზოგიერთი არაკისა". ხალხური „ტარიელიანი" კი რუსთველის პოემაზეა დამოკიდებული. მეტად თავისებური ვითარება გვაქვს „ამირან-დარეჯანიანთან". კ. კეკელიძის შეხედულებით, ლიტერატურულ „ამირანდარეჯანიანს" საფუძვლად უდევს ძველი ქართული თქმულება ამირანზე. მაგრამ თქმულების აწინდელ ვერსიაში ადრინდელი კვალი მნიშვნელოვნად არის წარხოცილი, სამაგიეროდ მასში შერთულია ლიტერატურული „ამირან-დარეჯანიანიდან" მომდინარე მასალა. მკვლევარი ასე მსჯელობს: „ლიტერატურული და ხალხური ამირანდარეჯანიანის ურთიერთობის გათვალისწინებისას ასეთ მოვლენას ვაწყდებით. ის ზღაპრები, ლეგენდები და თქმულებანი, რომელნიც ლიტერატურულად გადამუშავებულ იქნენ ამირან-დარეჯანიანში, უკანასკნელის გავრცელების შემდეგ იკარგებიან და დავიწყებას ეძლევიან. ლიტერატურულმა ამირანდარეჯანიანმა ჩაკლა ისინი. სამაგიეროდ მან წარმოშვა საუკუნეთა განმავლობაში ის ახალი თქმულებანი, რომელნიც დღეს ხალხში ტრიალებენ. იმ ძველი, პირველადი თქმულებიდან გადარჩა მხოლოდ ის, რაც თავის დროს ამირანდარეჯანიანში არ შესულა. ასეთი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, თქმულება ამირანის ცხოვრება-მოღვაწეობის პირველი და უკანასკნელი პერიოდის შესახებ, რომელიც ლიტერატურაში ვერ პოულობს წყაროს". ამრიგად, კ. კეკელიძის შეხედულების თანახმად, ამირანის თქმულებაში ახლა მძლავრად არის შეჭრილი და შერწყმული ლიტერატურული წყაროს ნაკადი, თუმცა ლიტერატურული ძეგლი ადრე თითონ გაუნაყოფიერებია ხალხურ ელემენტს, ესე იგი ერთი და იმავე ძეგლის ფარგლებში ადგილი აქვს ხალხურისა და ლიტერატურულს ურთიერთ ზემოქმედებას.

საგულისხმოა, რომ ფოლკლორული მასალების კვალი აღუბეჭდავს კ. კეკელიძის ისეთი სპეციფიკური ხასიათის ნაშრომს, როგორიცაა სამაგისტრო დისერტაცია (—Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах...). შრომაში დამოწმებული და განხილული შელოცვების ტექსტებს (შელოცვები ბოსტნისა, ყანისა, ყურძნისა და ა. შ.) „დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული საწესო პოეზიის ისტორიისათვის", ისე როგორც „სამგლოვიარო ისტორიისათვის საინტერესოა" კ. კეკელიძის ნარკვევი „წმიდა მხედარი" [130]. ხალხური დრამის ისტორიის ზოგიერთი საკითხი გადაწყვეტილია ნაშრომში „გართობა-სანახაობათა ისტორიისათვის ძველს

[130] კს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახელებული წერილი, გვ. 318.

საქართველოში“ [131]. ამ ნარკვევში გარჩეულია თვითონ კ. კეკელიძის მიერ აღმოჩენილი პოემა „სიბილაიანი“ („პოემის დაწერა შესაძლებელია დადებულ იქნეს მე-17 საუკუნის მეორე ნახევარშიო“). თუმცა მხატვრული თვალსაზრისით ნაწარმოები მდარეა, იგი შეიცავს გართობა-სანახაობათა საგულისხმო აღწერილობათ. კერძოდ ყურადღებას იქცევს აქ აღწერილი თავისებური მასკარადი („როდესაც ადამიანები ინიღბებიან ცხოველებად და სცენაზე გამოდიან ცხოველთა სახით“). ამ გართობის ჩანასახად მკვლევარი თვლის ქართულ ბერიკაობას.

ლიტერატურისა და ფოლკლორის ურთიერთობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კ. კეკელიძის გამოკვლევები: „ბ ა შ ი ა ჩ უ კ ი ს“ ერთი ეპიზოდისათვის“ [132] და „ს ა მ ი ჯ ნ ურ ო ც თ უ ნ ე ბ ი ს პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში“ [133].

„ბაში-აჩუკის ერთი ეპიზოდისათვის“ მოცულობით პატარა ნარკვევია, მაგრამ აქ დასმულია და გადაწყვეტილი დიდი საკითხი. ნარკვევი ცხადჰყოფს კ. კეკელიძის არაჩვეულებრივ ფართო ერუდიციას. მკვლევარს მოჰყავს აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკიდან“ ეპიზოდი შუამთის დედათა მონასტერში ქალწული მოლოზნების გაწყვეტისა თათრების მიერ. სილამაზემ სიცოცხლე შეუნარჩუნა მშვენიერ პირმთვარისას. თათარს იგი ცოცხალი უნდა მიეგვარა ხანისათვის. პირმთვარისამ ნაძრახ სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინა, მისი დამტყვევებელი დაარწმუნა, თითქოს „ისეთ ჯადოს პატრონია. რაზედაც ხმალი ვერ მოქმედობს, თხოვა გაესინჯა მისი სიტყვების სიმართლე, «გადაწვა გულალმა ქვაზე და გულზე დაიდვა ხატი». თათარი „ჯადოს ხელში ჩაგდების სურვილმა წაიტყუა; მართლა მოუქნია ხმალი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, და შუაგაწყვეტილი ქალი ნახევარი იქით გადავარდა და ნახევარი აქეთ“. თითქმის ასეთივე თქმულება ჩაუწერია პოტტოს აღმაჰმადხანის შემოსევის ისტორიიდან. საკვირველი ის არის, რომ ანალოგიურ სიუჟეტზე აუგია ერთი თავისი მოთხრობა ამერიკელ მწერალ ჯეკ ლონდონსაც. კ. კეკელიძე არკვევს, რომ აკაკი წერეთლისა და ჯეკ ლონდონის მონათხრობს საფუძვლად უდევს „ზოგადი ქრისტიანული წყარო“. ეს ყოფილა „მარტვილობა ევფრასია ქალწულისა“, რომელიც მოიპოვება ბერძნულ, ლათინურ, ქართულ და სლავურ ენებზე. ასეთივე ეპიზოდი ცნობილია აგრეთვე ზოგიერთი სხვა საქრისტიანო ძეგლებითაც, სხვათა შორის სომხურ ენა-

---

[131] ეტიუდები, II, გვ. 151—159.

[132] იქვე, გვ. 64—70.

[133] იქვე, გვ. 13—22.

ზედაც. კ. კეკელიძე უდარებს ერთმანეთს ერთი და იმავე სათავის მქონე, მაგრამ სხვადასხვა დეტალით გავრცობილ სიუჟეტურ ეპიზოდებს და ამბობს: „აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მისი მშობლები მცოდნენი იყვნენ საეკლესიო მწერლობისა. თვითონ აკაკიც კარგი მცოდნე იყო ამ მწერლობისა. ამიტომ გაბრიცხული არაა, რომ პოეტს ევფრასიას ეპიზოდი გიორგი მთაწმიდლის თარგმანით შეეძლო სცოდნოდა. მაგრამ პირმთვარისას ეპიზოდი უშუალოდ ამ თარგმანიდან არ მომდინარეობს... მიუხედავად სიუჟეტური და ფაბულური ზედმიწევნითი მსგავსებისა, ის მაინც განსხვავდება ერთ რამეში: ჯადოდ აქ დასახელებულია არა ბალახი და წამალი, როგორც ბერძნულ-სლავურსა და ამერიკულშიც არამედ ხატი“. კ. კეკელიძის საბოლოო დასკვნით, თვითონ „ევფრასიას ეპიზოდის პროტოტიპი, რომელიც მერე სხვადასხვა დეტალებით გავრცობილა, ეჭვი არაა, ფოლკლორული წარმოშობისაა; იმას საფუძვლად უდევს რწმენა ე. წ. «შელოცვის» მაგიური ძალისა“.

მეორე გამოკვლევაში („სამიჯნურო ცთუნების პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში“) კ. კეკელიძე ადგენს იდეურ-შინაარსობლივი და სიუჟეტურ-ფაბულური ხასიათის ძლიერ მსგავსებას ჰაგიოგრაფიულ თხზულების „მარტინიანეს ცხოვრებასა“ და ილია ჭავჭავაძის „განდეგილს“ შორის. ამავე დროს თვითონ ეს ჰაგიოგრაფიული თხზულება ილიასათვის „ხელმიუწვდომელი იყო“. „მაშასადამე, ასკვნის მკვლევარი — უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თხზულება ილიას აუღია ხალხური სიტყვიერებიდან, სადაც ის ალბათ დიდიხნიდან ყოფილა გადასული. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ თვითონ ავტორს თხზულებისათვის «ლეგენდა» დაურქმევია“.

კორნელი კეკელიძე ფართო პროფილის მეცნიერი ფილოლოგია. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის მოსაზღვრე დისციპლინების — ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხების დამუშავებაშიც. „თავის გამოცემებში პროფ. კ. კეკელიძე ყოველთვის სათანადო ყურადღებას აქცევს ძეგლის ენობრივ მხარეს, წარმოადგენს თხზულების ენის სტილისტიკურ დახასიათებას, მოცემული აქვს ძეგლის ენის გრამატიკულ თავისებურებათა აღნუსხვა, ლექსიკურ თავისებურებათა მიმოხილვა, გამოცემას ერთვის ლექსიკონი“ [134]. კ. კეკელიძის მიერ მეცნიერულ-კრიტიკულად გამოცემულ ძეგლებს ჩვეულებრივ

[134] ივ. გიგინეიშვილი, პროფ. კორნელი კეკელიძე და ქართული ენის საკითხები („ლიტერატურული ძიებანი“, IX, 1955, გვ. 433).

ამკობს ტექსტების მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური დახასიათება; „მკვლევრის ენობრივი დაკვირვებები, მის მიერ მითითებული თავისებურებები უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურული ენის ისტორიის თვალსაზრისით [135]. კ. კეკელიძეს აქვს სპეციალური ენათმეცნიერული ხასიათის ნაშრომებიც. ამ მხრივ გამოირჩევა: „წინაშე, თანა და ზედა თანდებულთა სინტაქსური ფუნქციებისათვის ძველ ქართულში“ [136]. საგანგებოდ იხილავს იგი ხანმეტობა-ჰაემეტობის პრობლემას. მხურვალე მონაწილეობას იღებდა კ. კეკელიძე ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენის საქმეში. იყო წევრი თანამედროვე ქართული ლიტერატურული ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიისა [137].

უნდა დავეთანხმოთ პროფ. კ. გრიგოლიას, რომელსაც ეკუთვნის ნარკვევი „კორნელი კეკელიძე და ქართული ისტორიოგრაფია“ [138], რომ: „კორნელი კეკელიძის მრავალმხრივ და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობაში ქართველი ხალხის ისტორიის შესწავლას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ძველი ქართული მწერლობა, რომლის მეცნიერული კვლევა-ძიება მხცოვანი მეცნიერის ძირითადი საგანი იყო დაარის, საქართველოს ისტორიის ერთი მხარეთაგანია მხოლოდ. მწერლობის ისტორიის გარკვევისას კორნელი კეკელიძეს ყოველთვის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მეცნიერული გაშუქება ამოქმედებდა“. ძველი ქართული ლიტერატურის სახელოვან მკვლევარს იზიდავდა და იზიდავს საქართველოს ისტორიის სპეციფიკური პრობლემებიც. მას ხშირად შეაქვს სიახლე საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში. მაგალითად, კ. კეკელიძემ „პირველმა გაარკვია გრიგოლ დიაკონის მოღვაწეობის ქრონოლოგიური ფარგლები და მისი თხზულების რაობა დაახლოებით მაინც მოხაზა“ [139]. „პირდაპირ წინასწარმეტყველურად მოისმის კორნელი კეკელიძის სიტყვები, რომელიც მას დიდი ხანია ლეონტი მროველის მოღვაწეობის დათარიღებასთან დაკავშირებით ნათქვამი აქვს“, ამბობს კ. გრიგოლია [140]. ბრწყინვალედ დადასტურდა კ. კეკელიძის მოსაზრება. რომ

---

[135] იქვე, გვ. 434.

[136] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1942, № 2, 3

[137] კ. კეკელიძის მოღვაწეობა ქართული ენის შესასწავლად მიმოხილული აქვს ივ. ქაჯაიას (ლიტ. ძიებანი, XIV, 1963, გვ. 161—173).

[138] საიუბილეო კრებული, გვ. 111—118.

[139] იქვე, გვ. 113.

[140] იქვე, გვ. 114—115.

ლეონტი მროველი სწორედ მე-11 საუკუნის სამოცდაათიანი-ოთხმოციანი წლების მოღვაწე ყოფილა. დამარწმუნებლად არკვევს კ. კეკელიძე ლეონტის საისტორიო თხზულების წყაროებს.

თვალსაჩინოა კ. კეკელიძის წვლილი „ქართლის ცხოვრების" შესწავლის საქმეში. როგორც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენელი „კორნელი კეკელიძე ღირსეული გამგრძელებელი ჩანს გვირგვინოსანი მეცნიერის ვახტანგ მე-6-ის მიერ დაწყებული საქმისა".

პროფ. ივ. სურგულაძე ამტკიცებს, რომ კ. კეკელიძეს გარკვეული დამსახურება მიუძღვის ქართული სამართლის ისტორიის რიგი საკითხების გაშუქებაშიც [141].

ჩვენი დაუცხრომელი მკვლევარი ოდნავაც არ დაკმაყოფილებულა მარტოოდენ ფაქტობრივი მასალების დაგროვებით, მათი ავკარგიანობის შემოწმებით, აღწერით, პუბლიკაციითა და ისტორიულ-ლიტერატურული თუ ფილოლოგიური ხასიათის ანალიზით, ე. ი. ლიტერატურული ფაქტების მეცნიერული ფიქსაციით.

კორნელი კეკელიძის ფართო განათლებამ, კოლოსალურმა ერუდიციამ, ძველი ქართული მწერლობის სპეციფიკურსა და ვიწრო სპეციალურ საკითხებში განსწავლულობამ, დიდმა გამოცდილებამ, ღვიაათმა ნიჭმა, ნათელმა გონებამ, სამაგალითო ენერგიამ, შრომისმოყვარეობამ და გულმოდგინებამ შეაპირობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მაღალხარისხოვანი მონუმენტური ორტომეული კურსის შექმნა. ორტომეულის პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 1923—1924 წლებში (ტომი პირველი, თბილისი, 1923, II+694 გვ.: ტომი მეორე, თბილისი, 1924, II+528 გვ.). 1941 წელს დაიბეჭდა ორტომეულის მეორე, შევსებული, შესწორებული და საფუძვლიანად გადამუშავებული გამოცემა. 1951—1952 წლებში გამოვიდა მესამე გამოცემა, 1958—1960 წლებში — მეოთხე (1958 წელს მეორე ტომი, 1960 წელს პირველი ტომი).

კეკელიძისეული ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ყოველი ახალი გამოცემა წინა გამოცემასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია, გამდიდრებულია მასალებით და დახვეწილა. ავტორის ახალ-ახალი გამოკვლევები შესაფერისად ექსოვებოდა მისეულ კურსს.

---

[141] ივ. სურგულაძე, კორნელი კეკელიძე და ქართული სამართლის ისტორიის საკითხები (საიუბილეო კრებული, გვ. 321—332).

კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი [142] მოიცავს სასულიერო მწერლობას უძველესი პერიოდიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე. გარდა შესავლისა წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. შესავალის თავებია: 1. ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მდგომარეობა, 2. ქართული ლიტერატურული ენა და დასაწყისი ქართული ლიტერატურისა, 3. პერიოდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, 4. სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში. წიგნის პირველ ნაწილში მიმოხილულია 76 ცნობილი ქართველი მწერლის ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწეობა. მეორე ნაწილში განხილულია ძველი ქართული მწერლობა დარგების მიხედვით (ბიბლიოლოგია, აპოკრიფები, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, აგიოგრაფია, ასკეტიკა და მისტიკა, ჰომილეტიკა, კანონიკა, ლიტურგიკა, სასულიერო პოეზია). მეორე ნაწილში ავტორი განმაზოგადებლად აშუქებს სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგისა და სხვადასხვა ჟანრის საერთო საკითხებს, აგრეთვე განსახილავი დარგის ფარგლებში აანალიზებს ისეთ ძეგლებს, რომელთა ავტორები ცნობილი არ არიან და ამიტომ წიგნის პირველ ნაწილში ვერ მოხვდნენ. ავტორი, რასაკვირველია, განსაკუთრებული გულისხმიერებით ეპყრობა ქართულ ორიგინალურ „გამომეტყველთ", მაგრამ ყურადღებას არ აკლებს არც „თარგმანთ" და ნათარგმნ თხზულებებს. როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, კ. კეკელიძე თარგმანებს სრულიად სამართლიანად თვლის ქართული ლიტერატურის ორგანულ ნაწილად.

„ქართული ლიტერატურის ისტორიის" მეორე ტომი მოიცავს საერო მწერლობას მე-11 საუკუნიდან მე-19-მდის. ამასაც უძღვის ვრცელი შესავალი (ქართული საერო მწერლობის ჩასახვის პირობები და მისი აღმოცენების მიზეზები. საერო მწერლობის დასაწყისი. ძველ ქართულ საეკლესიო და საერო მწერლობათა ურთიერთობა. ძველი ქართული საერო მწერლობის შესწავლის საქმე. ძველი ქართულ საერო მწერლობის ისტორიის პერიოდები). შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი — კლასიკური პერიოდის ლიტერატურა, მეორე ნაწილი — დაცემის პერიოდის ლიტერატურა, მესამე ნაწილი — აღორძინების პერიოდის ლიტერატურა. ლიტერატურული მასალები აქ დალაგებული და განხილულია თემატიკურ-ჟანრობრივი პრინციპის კვალობაზე.

„ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია" დაგვირგვინებაა მისი ავტორის მიერ ათეული წლების მანძილზე წარმოებული დაუ-

---

[142] ვუწყვენებთ უკანასკნელი გამოცემის მიხედვით.

ცხრომელი კვლევა-ძიებითი მუშაობისა. კ. კეკელიძემ შეაჯამა, დაასისტემა და ერთიან სამეცნიერო კურსად ჩამოაყალიბა მრავალფეროვანი ძველი ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. კ. კეკელიძის კურსი ახალი სიტყვაა ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისა. ავტორი, რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერად ითვალისწინებს სხვების ნამოღვაწარს, მაგრამ „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია" ძირითადად კ. კეკელიძის საკუთარი, დამოუკიდებელი კვლევითი და შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს. ორივე ტომი, უპირატესად პირველი, ემყარება უშუალო პირველწყაროებს, საარქივო-სამუზეუმო ხელნაწერ მასალებს.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსი მოფიქრებულია და დაწერილია უაღრესად ორიგინალურად. მასალის სიმდიდრითა და სიახლით, მაქსიმალურად შესაძლებელი სისრულით, ანალიზის სიღრმით, სიმახვილითა და სინათლით კ. კეკელიძის ორტომეული დიდ მეცნიერულ დონეზე დგას და ღირსეულად უპასუხებს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მოთხოვნილებებს. იგი ნამდვილი სამაგიდო წიგნია და სახელმძღვანელო ყველა იმათთვის, ვისაც რაიმე ინტერესი აქვს ძველი ქართული მწერლობისადმი.

უნდა მოვიგონოთ, რომ პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი 1885 წელს წერდა: „Сделать сколько-нибудь наукообразный очерк истории грузинской литературы пока почти невозможно"[143]. რამდენიმე წლის შემდეგ იგივე მეცნიერი აღნიშნავდა, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების დამუშავება ახლა მხოლოდ დაგროვებისა და აღრიცხვის, ასე ვთქვათ, ბიბლიოგრაფიულ-სტატისტიკურ პერიოდში იმყოფებოდა, მხოლოდ „Современем может явиться возможность цельного, стройного и систематического обзора памятников грузинской письменности и литературы"[144].

ამ მიმართულებით ბევრი გააკეთეს ნიკო მარმა და ალექსანდრე ხახანაშვილმა. პირველმა ხელნაწერის სახით დაგვიტოვა ძველი ქართული მწერლობის, უპირატესად საერო ლიტერატურის ისტორიის ჯერ გამოუქვეყნებელი მიმოხილვა, მეორემ — 1895—1901 წლების მანძილზე გამოსცა „Очерки по истории грузинской словесности"[145]. აკადემიკოს ნიკო მარის დიდი მეცნიერული ავტორიტე-

---

[143] Сведения о памятниках грузинской письменности, I, стр. I.

[144] იგივე, II, 1889, გვ. III—IV.

[145] რუსული სამტომეულის საფუძველზეა აგებული ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია" უძველესი დროიდან მე-18 საუკ. გასულამდე. თბილისი, 1904.

ტი ქართული ფილოლოგიის, კერძოდ ძველი ქართული მწერლობის საკითხებში სრულიად უეჭველია. მაგრამ ნ. მარს არ შეუქმნია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიანი, დასრულებული კურსი. იგი წლების მანძილზე ავსებდა, ასწორებდა, აუმჯობესებდა თავის „ისტორიას“, მაგრამ საბოლოოდ მაინც დაუმთავრებელი დარჩა. ნ. მარმა საჭიროდ ვერ ჩათვალა თავისი შრომის ბეჭდურად გამოქვეყნება. პროფ. ალ. ხახანაშვილის „ნარკვევებს“ ჩვენ დიდად ვაფასებთ, ამ „ნარკვევებმა“ პირნათლად მოიხადა თავისი ვალი ჩვენი ხალხის წინაშე, მან თავის დროზე დიდი სამსახური გაუწია მოწავლე ახალგაზრდობას. მაგრამ ალ. ხახანაშვილის „ნარკვევები“ ძალიან შორსაა სისრულისა და სისტემურობისაგან. „ნარკვევებში“ საბუნებაროდ არაიშვიათია ფაქტობრივი შეცდომებიც.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ის „**Цельный, стройный, систематический**“ კურსი, რომლის შესახებ ლაპარაკობს ალ. ცაგარელი. შექმნა კორნელი კეკელიძემ. შეიძლება ავტორს არ დაეთანხმოთ თავისი კურსის კონსტრუქციულ პრინციპებში, შეიძლება სადავო გახადოთ ცალკეული საკითხების გაშუქება, მაგრამ ყოველგვარი ცილობის გარეშეა კ. კეკელიძის მონუმენტური კურსის ორიგინალობა, სისრულე და სხვა მეცნიერული ღირსებანი. კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ მეთოდოლოგიურად სწორ პრინციპებზეა აგებული, გამოირჩევა უხვი ფაქტობრივი მასალების ზუსტი მიმოხილვითა და ღრმა მეცნიერული ანალიზით, უჩვენებს ლიტერატურული ცხოვრების განვითარების რთული პროცესის ვითარებას... კ. კეკელიძეს მოუხდა უზარმაზარი შრომის გაწევა, რომ გამოეკვლია. შეემოწმებინა. წესრიგში მოეყვანა, აეწონ-დაეწონა, განეზოგადებინა და დაესისტემებინა უამრავი მასალა.

კ. კეკელიძე არღვევს ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში მიღებულ არა ერთ ძველ შეხედულებას და ახალ ჰორიზონტებს შლის სამერმისო კვლევითი მუშაობისათვის. კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა კარგად შეაფასეს საზღვარგარეთაც. ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტი და ქართველოლოგი პაულ პეეტერსი აღნიშნავს[1]: რომ კ. კეკელიძის დიდი ორტომეულის ჩამოყალიბება იმ პერიოდში მოხდაო, როდესაც „ქართველი ხალხი შევიდა თავისი (ეროვნული) განვითარების გადამწყვეტ ფაზაში“. პეეტერსი ხმამაღლა აცხადებდა ევროპელი მკითხველის საყურადღებოდ, რომ კ. კეკელიძის

[1] **Analecta Bollandiana, ტ. XLIV, 1926, გვ. 151.**

"L'Histoire de la littérature géorgienne est une affirmation en douze cents pages des titres intellectuels de la Géorgie et de son droit à vivre de sa vie propre. Titres éclatants et droit incontestable"[117]. („ათას ორას გვერდიანი ქართული ლიტერატურის ისტორია არის დასაბუთება საქართველოს ინტელექტუალურ ღირსებათა და იმის უფლებისა, რომ იცხოვროს თავისი საკუთარი ცხოვრებით. ღირსებანი ბრწყინვალეა და უფლება უცილობელი").

ვრცელი რეცენზიით აღნიშნა კ. კეკელიძის კურსის პირველი ტომის გამოცემა ამერიკელმა ქართველოლოგმა რობერტ ბლაიკმა[117].

იმდენად დიდია კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის" მნიშვნელობა, რომ იმის საფუძველზე ევროპულ ქვეყნებში შეიქმნა ახალი შრომები, კურსის ცალკეული ნაწილები დრო და დრო იბეჭდებოდა საცნობაროდ სხვადასხვა პერიოდულსა თუ არაპერიოდულ გამოცემებში. 1955 წელს რომში გამოქვეყნდა ქართული ლიტერატურის ისტორია, რომლის სატიტულო ფურცელზე ვკითხულობთ: „Geschichte der kirchlichen georgischen Literatur. Auf Grund des ersten Baudes der georgischen Literaturgeschichte von K. Kekelidze bearbeitet von P. Michael Tarchnišvili in Verbindung mit Dr. Julius Assfalg. გვ. XVIII+521" (ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია. კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის საფუძველზე დამუშავებული მიქაელ თარხნიშვილის მიერ დოქტორ იულიუს ასფალგის თანამშრომლობით). შესავალში განცხადებულია, რომ გერმანული გამოცემა ემყარება ქართულის მეორე, 1941 წლის. გამოცემას; რომ იგი არაა დედნის „უბრალო თარგმანი", არამედ უფრო მეტად მისი „ახალი თავისუფალი დამუშავებაა" (eine freie Neubearbeitung), რომ შრომის დიდი ნაწილი გადამუშავებულია საფუძვლიანად. „ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორიის" გერმანული გამოცემის გამო კ. კეკელიძე ამბობს: „შრომა მისალმების ღირსია, რადგანაც ის ნაწილობრივ მაინც ავსებს საზღვარგარეთული მეცნიერების შეუწყნარებელ ხარვეზს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ხაზით. ეს შრომა არის ოდნავ შემოკლებული თარგმანი კ. კეკელიძის პირველი ტომისა; მთარგმნელს ალაგ-ალაგ მოაქვს ამათუიმ საკითხის გამო თავისი მოსაზრებანი, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნეს".

---

[117] Georgian theological Literature. The Journal of theological studies. ტ. XXVI, 1924, X, № 101, გვ. 50—64 (ცალკე ამონაბეჭდი).

მოყვანილ ტექსტს ახლავს სამართლიანი გულისწყრომის გამომხატველი შენიშვნა სქოლიოში: „ამ შრომის ხასიათის გათვალისწინებით, იმ სათაურის მაგიერ, რომელიც მისთვის მ. თარხნიშვილს მიუცია, უფრო სამართლიანი იქნებოდა შემდეგი: K. Kekelidze. Geschichte der kirchlichen georgischen Literatur. Übersetzng und Bearbeitung von M. Tarchnišvili... კ. კეკელიძე. ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია. თარგმანი და დამუშავება მ. თარხნიშვილისა). გამოთქმა auf Grund (საფუძველზე) იმდენად ზოგადია, რომ უცხო მკითხველი, რომელსაც კ. კეკელიძის ქართულად დაწერილი შრომა არ უნახავს, ოდნავადაც ვერ გაერკვევა ამ Grund-ის (საფუძვლის) მოცულობაში; ის ვერ გაერკვევა, რა ეკუთვნის ამ შრომაში ავტორს და რა ეკუთვნის მის მთარგმნელს; მან შეიძლება იფიქროს, რომ დედანში ყველაფერი ისეა, როგორც თარგმანში. აოას ვამბობ იმაზე, რომ მეცნიერული ეთიკა მოითხოვდა მ. თარხნიშვილისაგან წინასწარ ნებართვა გამოეთხოვა ავტორისაგან მისი შრომის ამ ზომამდე და ამ სახით გამოყენებისა (ამის შესახებ იხ. სხვათა შორის H. Vogt-ის რეცენზია მ. თარხნიშვილის თარგმანზე Orientalistische Literaturzeitung-ში. 1957, №—11—12, გვ. 531—534 და J. Molitor-ისა Oriens Christianus-ში, 1957, ტომი 41, გვ. 145—148)[148].

უცხო ენებზე გადათარგმნილია კ. კეკელიძის ბევრი შრომა. ღირსეულად არის შეფასებული „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია" ჩვენს ქვეყანაში. პროფესორმა აკაკი შანიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1923 წელს მოპოვებული დიდი სამეცნიერო მიღწევების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარედ ჩათვალა კ. კეკელიძის პირველი ტომის გამოქვეყნება[149] (1923 წელს იქნა აღმოჩენილი განთქმული ხანმეტურ-ჰაემეტური ტექსტები)[150]. ა. შანიძის სიტყვით, ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი საკითხები კ. კეკელიძის ორტომეულში „ჩინებულად არის განხილული, დახვეწილი და სისტემატური სახით წარმოდგენილი... ეს ორი დიდტანიანი წიგნი ქართული ლიტერატურის ისტორიისა ქართული კულტურის ყოველი მოტრფიალის ბიბლიოთეკას ამშვენებს"[151].

---

[148] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 29, შენიშვნა

[149] „ქართული სიტყვა", 1924, № 7, 1 იანვარი.

[150] ამ აღმოჩენებს კ. კეკელიძემ უძღვნა სპეციალური წერილი („მიმომხილველი". 1926, № 1, გვ. 261—267).

[151] ლიტერატურული ძიებანი, 1955, გვ. 445.

რუსულად გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც კორნელი კეკელიძისადმია მიძღვნილი [132], აკაკი შანიძე ამბობს: „Огромное количество фактов, накопленных за длительный период (V — XVIII вв.) литературной деятельности древнегрузинских писателей, нашло в этих двух томах научное освещение, основанное на непосредственном знакомстве с первоисточниками. Широта взглядов, проницательный дух, умение привести в связь разрозненные явления — вот чем характеризуется этот капитальный труд, который появился в итоге целого ряда изысканий по отдельным вопросам».

პროფ. არნოლდ ჩიქობავას მოსაზრებით, კ. კეკელიძის ხანგრძლივსა და ინტენსიურ კვლევა-ძიებითს მუშაობას ნაწილობრივ აჯამებს „პირველწყაროების ღრმა ცოდნასა და ფაქიზ ანალიზზე დაფუძნებული დიდი ორტომეული“. არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს, რომ: „ამ ფუნდამენტალურ შრომაზე ქართველი საბჭოთა ფილოლოგების თაობები აღიზარდა. კორნელი კეკელიძის «ქართული ლიტერატურის ისტორია» ქართული ფილოლოგიის ქვაკუთხედს ქმნის. მარტოოდენ პირველი ტომიც რომ ავიღოთ, იგი ერთი სპეციალისტის სასიცოცხლო საქმეს ეტოლება“ [133].

პროფ. გიორგი წერეთელი თვლის, რომ კ. კეკელიძემ ბრწყინვალედ განაგრძო მისი წინამორბედების მიერ დაწყებული დიდი საქმე. კ. კეკელიძეს წილად ხვდა შეესრულებინა „უფრო დიდი მისია“, მან დააფუძნა მეცნიერების ახალი დარგი — ქართული ლიტერატურის ისტორია. „თუ დღეს არსებობს დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინა — ქართული ლიტერატურის ისტორია, ეს უმთავრესად და ძირითადად კ. კეკელიძის დამსახურებაა“ [134].

პროფ. გ. ჯიბლაძის დასკვნით: „კ. კეკელიძე ძველი ქართული ლიტერატურის უდიდესი და უბადლო მცოდნეა. მეცნიერულ სისტემაში სწორედ მან მოიყვანა პირველად ძველი ქართული მწერლობა“. კ. კეკელიძის ორტომეულს გ. ჯიბლაძე უწოდებს „ფუნდამენტალურ კლასიკურ ნაშრომს“ [135].

დამახასიათებელია მწერალ-აკადემიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შეფასება: „სასულიერო მწერლობის უბადლო მცოდნე, ფრიად ფრთხილი ფილოლოგი... კორნელი კეკელიძე სამართლიანად ითვ-

---

[132] Выдающийся ученый современности („Заря Востока“, 7.VI.61).

[133] ლიტერატურული ძიებანი, IX, 1955, გვ. 446.

[134] იქვე, გვ. 448.

[135] ქართული ფილოლოგიის პატრიარქი (კორნელი კეკელიძე, საიუბილეო კრებული, გვ. 419, 435).

ლება ქართულ ლიტერატურის ისტორიის ფუძემდებლად. აკად. კ. კეკელიძეს არ შეხვედრია ისეთი წინასწარი შემზადებული ნიადაგი, როგორიც დაუხვდათ დასავლეთის ლიტერატურის ისტორიკოსებს, რომელნიც ამყარებდნენ თავიანთ თეორიებს მეცნიერთა თაობების მიერ საუკუნეთა მანძილზე გამოკვლეულ და შესწავლილ მონაცემებზე. კ. კეკელიძე იძულებული იყო თავად ყოფილიყო პირველწყაროთა მკვლევარი და შემდგომ ამისა მოეხდინა მასალის განსაზღვრულ სისტემაში მოყვანა და კლასიფიცირება... კ. კეკელიძის განსაკუთრებული დამსახურება ისაა, რომ მან ცალკეულ ეპოქათა თვის მიძღვნილ სპეციალურ შრომებთან ერთად შესძლო ერთი მთლიანი ფუნდამენტური ისტორიის შექმნა, რომელსაც მან მოანდომა თავისი სიცოცხლის არა ერთი ათეული წელი" [156].

აკ. გაწერელია მოხდენილი შედარებით კვერს უკრავს ყოველივე ზემოთქმულს: „კ. კეკელიძე ამშვენებს იმ დარგს, რომლის მთავარი დედაბოძიც თვითონაა. ამშვენებს არა მარტო მონუმენტური შრომებით. იგი თავისი გარეგნობითაც ამ მონუმენტურობის შთაბეჭდილებას სტოვებს. კ. კეკელიძე ერთგვარად ჰგავს კიდევაც მისივე «ქართული ლიტერატურის ისტორიის» ვეება, ბიბლიის მსგავს, ტომებს" [157].

მოყვანილი მაგალითები ცხადჰყოფს, როგორ შეიყვარა და დაფასა ჩვენმა საზოგადოებამ კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია". სავსებით სწორად გამოთქვა პროფ. გიორგი წერეთელმა ჩვენი ხალხის საერთო გულისთქმა, როდესაც შემდეგი სიტყვებით მიმართა კორნელი კეკელიძეს დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე: „ვიდრე არსებობს ქართული ენა, ქართული მეცნიერება და ქართული მწერლობა, დაუვიწყარი იქნება თქვენი სახელიც" [158].

„ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის" ორტომეულზე ქართველი ფილოლოგების თაობები აღიზარდა. იგი საყოველთაოდ აღიარებული ჩინებული სახელმძღვანელოა უმაღლესი სკოლის მოწაფეთათვის, თუმცა უნდა დავძინო, რომ ორტომეული არ არის სახელმძღვანელოდ დაწერილი ნაშრომი, იგი გაცილებით უფრო დიდია და ფართო. ვიდრე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. თვითონ ავტორი ამის თაობაზე ამბობდა: „მართალია, ამ შრომას სკოლებშიაც იყენებენ, რადგან მასში მოცემულია ის მასალაც, რაც გათვა-

---

[156] კორნელი კეკელიძე, საიუბილეო კრებული, გვ. 87—88.

[157] კორნელი კეკელიძე, ი ქ ვ ე, გვ. 93.

[158] ლიტერატურული ძიებანი, IX, გვ. 448.

ლისწინებულია სკოლის, განსაკუთრებით უმაღლესის, სასწავლო პროგრამით, მაგრამ ის არაა სახელმძღვანელო ამ სიტყვის ჩვეულებრივი. ვიწრო გაგებით. — მას რომ ასეთი დანიშნულება ჰქონოდა, სხვა გეგმითა და მოცულობით დაიწერებოდა. მას ისეთი მიზნები აქვს დასახული და ისეთი ფარგლები მოხაზული, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოსათვის სავალდებულო არაა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მასალის შერჩევასა და დალაგებაში თავისი საკუთარი პედაგოგიური მიზნებიდან გამოდის. ეს კურსი არის ფართოდ წამოწყებული ისტორიულ-ლიტერატურული, უშუალოდ პირველ წყაროებზე დაჭყარებული კვლევა-ძიებათა ხასიათის ნაშრომი, რომელმაც, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა გაარკვიოს და დააზუსტოს ჯერ კიდევ გაურკვეველი საკითხები და მოამზადოს სასკოლო სახელმძღვანელოს შესადგენად ბაზა და საიმედო მასალა. ამასთან ერთად დააკმაყოფილოს მოთხოვნილებანი უმაღლესი და საშუალო სკოლის მასწავლებლებისა. ასპირანტებისა, მეცნიერების სხვა დარგის მუშაკებისა და საბჭოთა ინტელიგენციის დაინტერესებული წრეებისა" [159].

აქ გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად კ. კეკელიძემ თავისი ნაშრომის საფუძველზე უკანასკნელ დროს დაამუშავა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოდ და ფართო საზოგადოების საკითხავ წიგნად ძველი ქართული მწერლობის ისტორიის პირველი ტომის პირველი ნაწილი (მეხუთე-მეთექვსმეტე საუკუნეები) [160].

თავისი დიდი ორტომეულის საფუძველზე კ. კეკელიძემ დაამუშავა და რუსულ ენაზე გამოსცა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კონსპექტური კურსი (**Конспективный курс истории древнегрузинской литературы**, თბილისი. 1938, გვ. 118), რომელიც სახელმძღვანელო წიგნად იხმარება ფილოლოგიური ფაკულტეტების რუსულ სექტორებზე.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ, როგორც ძველი ქართული მწერლობის, ნამეტნავად და განსაკუთრებით ძველი ქართული სასულიერო მწერლობის, მკვლევარსა და ამ მწერლობის ისტორიის სისტემატიზატორს, კორნელი კეკელიძეს ტოლი არ ჰყავს. ამ მხრივ ერთგვარად შესაძლებელია გავიმეოროთ გიორგი ათონელის მიერ ექვთიმე ათონელის მისამართით თქმული სიტყვები. მკვლევა-

---

[159] ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 5.

[160] იგი დაბეჭდილია რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემული „ქართული ლიტერატურის ისტორიის" პირველ ტომში (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე — ძველი ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1954).

რი-მეცნიერი „ეგევითარი... არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა და ვგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“ [161].

კორნელი კეკელიძე იყო თავდაბალი მეცნიერი, თავაზიანი, დარბაისელი, ფრთხილი, ზოგჯერ რამდენადმე სკეპტიკოსიც კი. მან უდიდესი შრომა მოახმარა ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის შესწავლას, მაგრამ ერთ თავის შემაჯამებელი ხასიათის წერილში მეტად მოკრძალებულად შენიშნავს, თითქოს „ქართული ჰაგიოგრაფიის შესწავლა ჯერ ხეირიანად არც კი დაწყებულა“ [162]. კ. კეკელიძე გმობს მეცნიერის მხრივ თვითკმაყოფილებას, თავმომწონეობასა და ყოყოჩობას, იბრძვის პრეტენზიულობისა და სენსაციურობის წინააღმდეგ. იგი მკვლევრისაგან მოითხოვს საკვლევი საგნისადმი ფრთხილ, ფხიზელ, კრიტიკულ დამოკიდებულებას. ამ მხრივ სამაგალითოა განმაზოგადებელი ხასიათის მისი ერთი სახელმძღვანელო მითითება: „ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერ არც აღმოჩენილია სავსებით და არც გამოყენებული. კიდევ მოსალოდნელია ახალი მასალების და წყაროების აღმოჩენა, რაც ჩვენს წარმოდგენას ამათუიმ საგანზე არა მარტო შეავსებს, შესაძლოა, შეცვლის კიდევაც ზოგ შემთხვევაში. საჭიროა ძიება, ძიება და კიდევ ძიება ამ მასალებისა და წყაროებისა. ამასთან დაკავშირებით, ყოველგვარი დასკვნებისას საჭიროა სიფრთხილე, ყოველ შემთხვევაში თავშეკავება კატეგორიული და უაპელაციო ტონისაგან“ [163].

ერთი შეხედვით ცივსა და მშრალ ფილოლოგიურ ან ისტორიულ-ქრონოლოგიურ ნარკვევებში კ. კეკელიძეს შეაქვს მგზნებარება და ემოციურობა. როგორც შალვა დადიანი შენიშნავს, კ. კეკელიძის „ცინცხალ ნიჭს შესდგამს პოეტურობა“ [164].

ჩვენი მწერლობის დიდი მკვლევარი ყოველთვის სერიოზულ ანგარიშს უწევდა მისი ნაწერების მიმართ საქმიან კრიტიკულ შენიშვნებს, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად ეპყრობა საკუთარ ნარკვევებსა და ნაფიქრ-ნააზრევს, არა ერთხელ გადაუსინჯავს და შეუცვლია თავისი ესა თუ ის ცალკეული მოსაზრება ახალი მასალების აღმოჩენასთან თუ სხვა რაიმე მნიშვნელოვან გარემოებასთან დაკავშირებით. კ. კეკელიძე პატივისცემით უგდებდა ყურს საქმიან კრიტი-

---

[161] გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი, თბილისი, 1946, გვ. 28.

[162] თსუ შრომები, XIX, გვ. 150.

[163] ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის (ეტიუდები, I, გვ. 299).

[164] ლიტერატურული ძიებანი, IX, გვ. 449.

კას („პატიოსან კრიტიკას"), მაგრამ მთელი არსებით კიცხავდა უპრინციპო კრიტიკას, სუბიექტურობას, პასკვილიანტობას და კრიტიკანობის სხვა, მავნე სახეებს. კ. კეკელიძე ერთგან გულისტკივილით ჩივის: „უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია უფრო ახალი დროისა, მაგრამ არც ძველად ყოფილა უცნობი. ეს არის დიფამაცია, პასკვილიანტობა, ღვარძლიანი კრიტიკანობა, შურიანობა და მტრობა. თუ ჯანსაღი პოლემიკა, პატიოსანი კრიტიკა ყოველთვის იყო და არის სტიმული აზროვნებისა და ლიტერატურის ზრდა-განვითარებისა, აღნიშნულ მოვლენას არაერთი მოღვაწისათვის გაუგრილებია გული და კალამი ხელიდან გაუგდებინებია"[164ა].

კორნელი კეკელიძე პრინციპული და დაუზოგველი მოპაექრეა, დახელოვნებული, „ერთობ საშიში პოლემისტი... მისი ანალიტიკური ჭკუა ხშირად მძიმე უხერხულობას უქმნის მოკამათეს"[165].

განთქმულია კორნელი კეკელიძის აკურატობა, მკაცრი თვითდისციპლინა. ერთი შეხედვით თითქოს კუშტი და მიუკარებელი, ნამდვილად მიმზიდველია, იშვიათი კეთილი გულის პატრონი, მოყვარული. მგრძნობიარე, ზოგჯერ გულჩვილი. საუცხოო, ხალისიანი და ტკბილი მოსაუბრეა. შინაურობაში უყვარს ხუმრობა, ოხუნჯობა, მხიარულობა, გულით სიცილი. ჩვეულებრივ ხოლმე თვალი უცინის და ძვირად თუ დაეტყობა ბაგეებზე ღიმილი.

როგორც აღმზრდელი-მასწავლებელი, კორნელი კეკელიძე მშობელივით ფაქიზი მზრუნველია, თავდაუზოგველი, „სათნო და ადამიანური", — ამბობს მისი ყოფილი მოწაფე ვინმე „ძველი სემინარიელი"[166].

სტუდენტობის დამოკიდებულება თავისი საყვარელი მასწავლებლისადმი კარგად გამოხატა ე. ტატიშვილმა კ. კეკელიძის დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვით. მოგვყავს ამ სიტყვის ნაწყვეტი: „ძვირფასო მასწავლებელო. დღევანდელ თარიღს თქვენი სტუდენტები აღფრთოვანებით ვეგებებით. დღეს საშუალება გვეძლევა სახალხოდ გადაგიხადოთ მადლობა იმ უდიდესი ღვაწლისათვის, რაც მოახმარეთ ჩვენი სწორად აღზრდისა და სწავლების საქმეს... თქვენ მაგალითზე ვხედავთ, რო-

---

[164ა] ეტიუდები, II, გვ 213.

[165] აკაკი გაწერელია — კორნელი კეკელიძე (საიუბილეო კრებული, გვ. 94). პოლემიკური წერილის მესანიშნავ ნიმუშად უნდა დავასახელო „Несколько замечаний по поводу рецензии С. Аванянца" (ეტიუდები, გვ. VII. 271—278).

[166] კორნელი კეკელიძე (რექტორად დანიშვნის გამო), გაზ. „საქართველო", 1916 .№—223.

გორი უნდა იყოს ნამდვილი პატრიოტი-მამულიშვილი, თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის. მშობლიური კულტურის წინსვლისათვის მებრძოლი ადამიანი" [167].

კ. კეკელიძის საუნივერსიტეტო ლექციები ყოველთვის იყო შთამაგონებელი. არნოლდ ჩიქობავა იგონებს: „კორნელი კეკელიძის პირველი საუნივერსიტეტო ლექციების ერთ-ერთ მსმენელთაგანს მე არ შემიძლია მადლობით არ მოვიგონო წარუხოცელი შთაბეჭდილება, რასაც მსმენელზე ტოვებდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტების, თითქოს შემთხვევითი ხასიათის ჩვენებათა ამეტყველება კულტურის ისტორიის რთული და ბუნდოვანი საკითხების გარკვევისას კ. კეკელიძის ლექციებზე... კორნელი კეკელიძის ლექციები ახალგაზრდობას უნერგავდა პირველწყაროებზე მუშაობის, ფაქტების ანალიზისა. კლდოვან ბილიკებზე სვლის ძნელი და მიუცილებელი საქმის პატივისცემასა და სიყვარულს" [168].

დიდია კორნელი კეკელიძის დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. კორნელი კეკელიძის დაუღალავი, მზრუნველი და მოსიყვარულე ხელმძღვანელობის მადლიერი მოწაფეა ამ სტრიქონების ავტორიც. კ. კეკელიძის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა არა ერთი ათეული დოქტორი და მეცნიერებათა კანდიდატი.

თავისი გამოკვლევებით კორნელი კეკელიძემ ასახელა თავისი თავიც და თავისი მშობელი ქვეყანაც. მან აამაღლა და განამტკიცა ქართული მეცნიერული ფილოლოგიის პრესტიჟი მთელ მსოფლიოში, დიდი მეცნიერის სახელი მოიხვეჭა, თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხის ღრმა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა პატრიოტი მეცნიერისა და შესანიშნავი მოქალაქის ღვაწლი. დიდი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მუშაობისათვის კორნელი კეკელიძე ორჯერ იქნა დაჯილდოებული საპატიო სიგელით: 1928 წელს მუშურ-გლეხური წითელ არმიის ათი წლის თავზე საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციური საბჭოს მიერ, 1938 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთავთან დაკავშირებით. 1943 წელს კ. კეკელიძეს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. 1944 წლის დეკემბერში დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. 1945 წელს

---

[167] ლიტერატურული ძიებანი, IX, გვ. 450.

[168] იქვე, IX, გვ. 447.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საგანგებო ბრძანებულებით ხელმეორედ იქნა დაჯილდოებული შრომის წითელი დროშის ორდენით „ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ძველი ქართული მწერლობისა და ლიტერატურის გამოკვლევის დარგში ძვირფასი ნაშრომებისათვის და მეცნიერული მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით“ [169]. 1934 წელს კ. კეკელიძე დაჯილდოეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კაბინეტს ეწოდა კორნელი კეკელიძის სახელობის კაბინეტი.

ჩვენმა საზოგადოებრიობამ სამგზის (1945, 1954, 1959 წლებში) აღნიშნა კორნელი კეკელიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. განსაკუთრებით თბილად ჩატარდა კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-საზეიმო სხდომა რუსთაველის სახელობის თეატრში 1959 წლის 8 ივნისს. დიდი კმაყოფილებით მოისმინა მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ კ. კეკელიძის მშობლიური სოფლის ტობანიერის კოლმეურნეების დადგენილება მხცოვანი მეცნიერის თავის საპატიო წევრად არჩევის შესახებ.

ბოლო ხანებში მხცოვანი მეცნიერი თავს უგუნებოდ გრძნობდა და ხშირად ავადმყოფობდა, დროს შინ ატარებდა, თავის საწერ მაგიდასთან. მას შენარჩუნებული ჰქონდა განმაცვიფრებელი სულიერი მხნეობა, მკვლევარი-მეცნიერის ნათელი და ფხიზელი გონება, შრომისმოყვარეობის უნარი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის საზეიმო დღეებში (1961 წლის მაისში) ლოგინად იწვა. მაინც შეძლო პატარა მშვენიერი წერილით („განახლებული საქართველო“) გამოხმაურებოდა ქართველი ხალხის ამ ეროვნულ დღესასწაულს [170]. წერილში მოკლედ მიმოხილულია ქართველი ხალხის მიერ გამოვლილი მძიმე ისტორიული წარსული, აღნიშნულია, რომ განახლებული სამშობლო ახლა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად ხალისით ეწევა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ტვირთს, რომ ორმოცი წლის მანძილზე ჩვენშიც გაკეთდა იმდენი „რასაც საუკუნეები დასჭირდებოდა“. წერილი მთავრდება ახალგაზრდობისადმი მიმართული მხურვალე მოწოდებით: „გახაროდეთ და იამაყეთ, ჯაბუკებო! მაგრამ გახსოვდეთ, რომ იმ პირობებს, რომელშიაც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, შენახვა და შენარჩუნება

---

[169] გაზ. „კომუნისტი“, 24. 10. 45.

[170] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გაზეთი 16. 5. 61.

უნდა; და თქვენ, ახალგაზრდებო, რომელთაც მომავალში უნდა შეს-
ცვალოთ დღევანდელი ცხოვრების მესვეურები, ეცადეთ წმიდად,
უმწიკვლოდ და ადამიანთა საკეთილდღეოდ დაიცვათ სოციალისტუ-
რი ცხოვრების პირობები, რათა გული არ გაუტეხოთ ხალხს, რომელ-
მაც ნდობა და სიყვარული გამოუცხადა ამ ცხოვრებას და არ გაახ-
როთ მისი მოძულენი.

გაუმარჯოს განახლებულ, 40 წლის საბჭოთა საქართველოს, გაუ-
მარჯოს მის წარმატებას და წინსვლას".

1961 წლის ზაფხული კორნელი კეკელიძემ სოფელ ახალქალაქში
გაატარა. საგრძნობლად მომჯობინდა. შემოდგომაზე განაგრძო ინ-
ტენსიური მუშაობა. ოთხშაბათობით მას ნახავდით უნივერსიტეტში,
მისი სახელობის კაბინეტში, ხან კათედრის სხდომას ხელმძღვანე-
ლობდა, ხან სტუდენტებთან საუბრობდა. იშვიათად დააკლდებოდა
სამეცნიერო საბჭოს სხდომებს. ახალ წელს მხიარული შეხვდა. იან-
ვრის მეორე ნახევარში გრიპი შეეყარა, წნევამ უმატა, შაქრის ავად-
მყოფობამ გაუხსენა, გულმაც შეუტია. ყველაფერი თითქოს დაძლია.
7 მარტს ოფიციალურ ოპონენტად გამოვიდა გაიოზ იმედაშვილის
სადოქტორო დისერტაციაზე. 12 აპრილს თავის უახლოეს მოწაფე-
ებს შეხვდა პურობაზე, თავს მშვენივრად გრძნობდა, ძლიერ მოილ-
ხინა, შესანიშნავი, ნამდვილად საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა (ეს
სიტყვა ანდერძი გამოდგა). ამ დღის შემდეგ გარეთ აღარ გამოსულა.
19 აპრილიდან ავადმყოფობამ უძალა, ლოგინს მიაკრა, ლოგინს კი
არა — სავარძელს. სავარძელს მიჯაჭვული შრომას არ ანებებდა.
მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, დროს იპარავდა, კალამს არ ელეო-
და, ჩაკირკიტებდა წიგნებს, ასწორებდა ეტიუდების მერვე ტომის
საკორექტურო ფურცლებს, ამოწმებდა და აზუსტებდა შემდეგი ტო-
მის მასალებს, სამერმისო საკვლევა-ძიებო და საგამომცემლო გეგ-
მებს ადგენდა. თანაც წუხდა, ღელავდა, შფოთავდა. შფოთავდა, რომ
მოუძლურებული სხეული ბორკავდა და გასაქანს არ აძლევდა,
ფრთებს აკვეცდა მის სამეცნიერო-შემოქმედებითს აღმაფრენას.
წუხდა, უზომოდ წუხდა, რომ განუხორციელებელი რჩებოდა ბევრი
ნაფიქრ-ნააზრევი, ბევრი ნაოცნებარი. მისთვის ჩვეული ენერგიითა
და შემართებით ავადმყოფი მკვლევარი გულდაგულ ებრძოდა მისი
სადგომის კარებზე მომდგარი სიკვდილის აჩრდილს.

17 მაისს კორნელი კეკელიძის ბინაზე მოვაწყეთ ასპირანტების
გამოცდები. გახალისდა, შეკითხვებს თვითონ იძლეოდა, გულდას-
მით უგდებდა ყურს პასუხებს. 26—30 მაისს სომხეთში ვიყავი; მეს-
როპ-მაშტოცის იუბილეზე. რომ დავბრუნდი, 31 მაისს, ხუთშაბათს,
ვეწვიე ლევან მენაბდესთან ერთად. ძალზე გამოცვლილიყო, ფერ-

დაკარგული მეჩვენა, დასუსტებული. მაინც ერცლად გამომკითხა და დიდი ინტერესით მოისმინა სომხეთის ამბები. შაბათს, 2 ივნისს, კიდევ უფრო სუსტად გამოიყურებოდა. საზაფხულოდ კრწანისში გადასვლაზე ოცნებობდა, იმედოვნებდა, რომ მოუხდებოდა ჰაერის გამოცვლა. მეორე დღეს, სამ ივნისს, უარესობა დაეტყო. გამოუღებ სისხლი და წყალი. იგრძნო ერთგვარი შვება და კრწანისში გადასვლის სამზადისს შეუდგა. სამშაბათს, ხუთ ივნისს, საღამოს, ვინახულე აკაკი შანიძესა და გიორგი ახვლედიანთან ერთად. მაგრამ ვაი ამ ნახვას! ავადმყოფს სასიცოცხლო პირი აღარ უჩანდა. ბორგავდა, სიტყვის დაძვრა უჭირდა, საწყალობელად გადმოგვხედა, სცადა გაღიმება, ამაოდ. აშკარა იყო, რომ დიდი მეცნირი ხელიდან გვეცლებოდა. ოთხშაბათს, 6 ივნისს, ისევ გამოიხედა, მაგრამ 7 ივნისის გამთენიერს, სამ საათზე, დამბლა მოუვიდა და გრძნობა დაკარგა. იმავე დღის 10 საათსა და 25 წუთზე კორნელი კეკელიძე გარდაიცვალა. 12 ივნისს მივაბარეთ მიწას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უზოში, ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის გვერდით.

იოსებ გრიშაშვილი და ძველი ქართული მწერლობა

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტი იოსებ გრიშაშვილი, როგორც სიტყვის სახელოვანი ოსტატი, აღიზარდა და დაუნჯდა ხალხური პოეზიისა და ძველი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებზე. გრიშაშვილის უაღრესად ორიგინალურ შემოქმედებას მკაფიოდ აქვს აღბეჭდილი ამისი სპეციფიკური ნირი.

და ვიზრდებოდი დაჩაგრული ყასბის მორებთან,
და მუსამბაზებს ჩემი გული იმეორებდა, —

ამბობს გრიშაშვილი ავტობიოგრაფიული ხასიათის ერთ უახლეს ლექსში. „მასწავლეთ წიგნი!“ ჩემი ძახილი არვის ესმოდა შეითანბაზრითო“, შენიშნავს იგი სხვაგან („საუბარი ასოთამწყობთან ჩემი წიგნის დაბეჭდვის დროს“). იოსებ გრიშაშვილი, ისე როგორც მისი საყვარელი მგოსანი საიათნოვა, გამობრძმედა და გაწაფა „ძველ თბილისის ცხოვრების დარჯაკმა“. პოეტის მოწმობის თანახმად, თბილისის მდაბიო საზოგადოებრივი წრეების „სულიერ საზრდოს“ შეადგენდა ნაგვიანევი ხელნაწერებით შემორჩენილი ან იაფფასიანი „ბარბაროსული“ წესით დაბეჭდილი ისეთი მოთხრობები, როგორიც იყვნენ — ბეჟანიანი, ქალვაჟიანი, ბარამიანი, ვარშაყიანი, შვიდვეზრიანი, განსაკუთრებით კი ყარამანიანი [1]. „ყარამანიანი იყო განცვიფრების და მოულოდნელობის წიგნი. ამით აიხსნება მისი პოპულარობა და ის დაუბერებელი სილამაზე, რომელიც ხშირად თანამედროვე მკითხველსაც იზიდავსო“, ამბობს გრიშაშვილი [2]. მეტიც, „ძველად

[1] ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბილისი, 1927, გვ. 83—91.

[2] იქვე, გვ. 91.

ყველა ქართულ ოჯახში ვეფხისტყაოსანთან ერთად ყარამანიანის უზარმაზარი ხელნაწერიც ინახებოდა“ [3]. რაც შეეხება პოეზიას, ამ სფეროში ბატონობდნენ ბესიკი, საიათნოვა, შამჩი მელქო, სკანდარნოვა, გივიშვილი, ჰაზირა...

ქალაქის გარეუბნების ლიტერატურაზე თქმული უშუალოდ შეეხება პირადად იოსებ გრიშაშვილსაც. პოეტის მამის დავთარხანაშიც დაცული ყოფილა ალექსიანი, ქალვაჟიანი, ჩარდავრიშიანი, შვიდვეზირიანი (თიმსარიანი), სარიდონიანი, ბეჟანიანი, მირიანი, უთრუთიანი, შვიდთა იყლიმთა ხელმწიფეთა ამბავი, ბარამგურიანი, ლეილმაჯნუნიანი, ყარამანიანი [4]. მამა და „მისი ტოლ-ამფსონები“ ხმამაღლად აკითხებდნენ ამ წიგნებს მაშინ უკვე წერა-კითხვას დაუფლებულ მოზარდ პოეტს. ყარამანიანის ფანტასტიკური მოთხრობები „ყველამ ზეპირად იცოდაო“. საგულისხმოა, რომ აღნიშნულის გარდა გრიშაშვილის მამის საწიგნეში საპატიო ადგილი სჭერია აკაკი წერეთლის, დავით გურამიშვილისა და შოთა რუსთველის თხზულებებს, რომ არაფერი ვთქვათ ცნობილი თუ უცნობი ავტორების სასიმღერო ლექსების კრებულებზე.

იოსებ გრიშაშვილს ოჯახიდან გამოჰყვა წიგნისადმი ღრმა სიყვარული. უკვე ბავშვობაშივე შეუვსია მას მამისეული ბიბლიოთეკა არჩილიანით, ვისრამიანით, ამირანდარეჯანიანით, სიბრძნე სიცრუის წიგნით, ქილილა და დამანათი, სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონით, კალმასობით და სხვებით. მისივე სიტყვით, გრიშაშვილი ადრე გამხდარა „ძველი წიგნების ჩრჩილი და ავანჩავანი“ (ბოჰემა, გვ. 23). შემდეგ ხომ მან შექმნა საქვეყნოდ ცნობილი ბიბლიოთეკა, რომელიც ითვლის იშვიათ კოლექციებსა და უნიკალურ გამოცემებს.

იოსებ გრიშაშვილს ბავშვობიდანვე სჩვევია თავის „არხაიულ წიგნთსაცავში“ განმარტოება და დღე-ღამის გასწორება წიგნების კითხვით. წაკითხული მოთხრობების პერსონაჟები ღამით ელანდებოდნენ და ძილს უფრთხობდნენ ცნობისმოყვარე ყმაწვილს. გრიშაშვილს ყოველთვის ხიბლავდა და ატკბობდა ძველი წიგნებისა და ძველი ხელნაწერების სპეციფიკური სურნელება, „ძველ ხელნაწერთა სურნელებას ხარბად ვყნოსავდიო“ (საიათნოვა, 22). 1916 წელს მას საგანგებო ლექსიც კი შეუთხზავს საგულისხმიერო სათაურით „სურნელება ძველი ხელთნაწერებისა“. 1918 წელს არის დაწერილი

---

[3] იქვე, 88 (შდრ. ე. თაყაიშვილი, Описание рукописей, II, გვ. 613).

[4] ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, თბილისი, 1918, გვ. 46, შენ.

გრიშაშვილის ბრწყინვალე ლექსი „მეფე ვახტანგი“. მოგვყავს ამ ლექსის პირველი სტროფი:

მე შემიყვარდა ძველ წიგნების ნესტი და ჟანგი,
ვეტრფი ყოველგვარ ძველ დანაშთომს, ძველ ნატამალსა.
ახ, ნეტამც იმ დროს, როცა სწერდა „დასტურლამალსა“
მეფე ვახტანგი!

შრომამ, ჯაფამ, წიგნის დიდმა სიყვარულმა თავისი გაიტანა, დაძლია დაუძლეველი. ხარფუხის ვიწრო შუკებიდან გრიშაშვილი მალე გამოვიდა შემოქმედებითი ცხოვრების ფართო შარაგზაზე, ხოლო დაბადების სამოცდამეათე წლისთავს იგი ეგებება როგორც სახელმოხვეჭილი პოეტი-აკადემიკოსი, ღვაწლმოსილი მეცნიერი-მკვლევარი და ღირსეული მოქალაქე-მამულიშვილი.

გავლილია დიდი მანძილი, მოწეულია დიდი ნაყოფი. გრიშაშვილის პიროვნება თავისუფლად ითავსებს და იგუებს ნატიფი ლირიკოსი პოეტის მთრთოლვარე გულს და სკრუპულოზური სიზუსტის მოჩემე მკვლევრის ინტელექტს, თუმცა მგზნებარეზა თანაბრად ახასიათებს გრიშაშვილის ლექსებსა და გამოკვლევებს. როგორც მკვლევარი, გრიშაშვილი ყოველთვის გაურბოდა მშრალსა და ცივ აკადემიზმს, ორიგინალურ, მისებურ გზას ადგა ამ მხრითაც, „ვწერ ჩემებურადო“, ხაზგასმით აღნიშნავს ერთგან (საიათნოვა, გვ. 21). მკვლევარ გრიშაშვილის მოხმობილი ფაქტები სანდოა და უცილობელი, შენიშვნები ჩვეულებრივად მახვილგონივრული, მსჯელობა ლოგიკური და საბუთიანი, გააზრება ნათელი, ენა მარტივი და გამომეტყველი. კვლევაძიება და კრიტიკული წერილების პუბლიკაცია გრიშაშვილმა ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ 1913 წელს დაუბეჭდავს მას მახვილი შენიშვნები სკანდარნოვას ლექსებზე [5]. შენიშვნებს გესლიანი პასუხი გამოუწვევია [6]. ერთს საპასუხო ლექსში სკანდარნოვა გრიშაშვილზე წერს:

ბელინსკის ებაძება,
კრიტიკობა დაიწყო.

გრიშაშვილს ბრმად არავისთვის წაუბაძავს, ხოლო „კრიტიკობა“ მართლაც ბეჯითად დაიწყო და ინტენსიურად განაგრძო. 1914—1918 წლების განმავლობაში მან შექმნა თავისი პირველი დიდი მონოგრაფიული ნაშრომი „საიათნოვა“. 1927 წელს გამოვიდა

[5] ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, გვ. 110—112.

[6] იქვე.

ი. გრიშაშვილის მეორე შესანიშნავი მონოგრაფია „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. დრო და დრო იგი აქვეყნებდა და აქვეყნებს სხვადასხვა ხასიათისა და მოცულობის ლიტერატურულ ნარკვევებს, წერილებს, შენიშვნებს, რეცენზიებს და ა. შ. ამ შრომების უმრავლესობა თავმოყრილია დიდ კრებულში „ლიტერატურული ნარკვევები“, რომელიც ორჯერ დაიბეჭდა, 1952 და 1957 წლებში. ამას გარდა ტექსტოლოგიური თუ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ფრიად მნიშვნელოვანი შენიშვნები დართული აქვს იოსებ გრიშაშვილის პუბლიკაციებს, როგორიცაა: 1. საანდაზო ლექსები, ილია ჭავჭავაძის ამოკრეფილი. წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა, თბილისი, 1935; 2. ავქ. ცაგარელი, კომედიები, თბილისი, 1936; 3. ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1940; 4. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებულის მესამე და მეხუთე ტომები, თბილისი, 1940; 1949; 5. ოვანეს თუმანიანი, რჩეული ნაწერები, ი. გრიშაშვილის თარგმანი, მისივე შესავალი წერილით, თბილისი, 1924 [7]; 6. მირზა ფატალი ახუნდოვი, პუშკინის გარდაცვალებაზე, თარგმანი და შესავალი წერილი ი. გრიშაშვილისა, თბილისი, 1938 და სხვ [8].

ი. გრიშაშვილი თვითონვე ამბობს, რომ იგი არის „ძველი თბილისის ტრუბადური და ქებიაკი“ (ბოჰემა, 23), მისი გულმხურვალე მიჯნური, მისი გატაცებული მომღერალი. პოეტი გამოტეხილად აღიარებს: „მე თბილისი მიყვარს... მიყვარს ეს პოეზიის ძველი აკვანი, ეს დარდიმანდული ბოჰემა, ეს საქართველოს მთრთოლვარე გული, ეს... დასაწყისი და დასასრული ჩემი ობოლი არსებობისა“ (გვ. 191). ივი სიამაყის გრძნობით აცხადებს, რომ მის „ძარღვებში (ძველი თბილისის) მადლიანი (წყაროს) ნაკადი მჩქეფარებს“ (გვ. 190). ამიტომაც ბუნებრივი იყო, რომ პოეტი გრიშაშვილი მონდომებით შეუდგა თბილისის ძველი სულიერი კულტურის დაწვრილებით შესწავლას და შედეგის გამომზეურებას. სხვადასხვა ჯურის ნიჰილისტებმა და უარისმყოფელებმა ერთ დროს გრიშაშვილს ბრალადაც კი დასდვეს, თითქოს პოეზიას გამოეთხოვა, აედევნა წარსულის ლანდებს. წარსულის ნანგრევებს შეაფარა თავი და წარსული დროების ნაცარს დაუწყო ქექვა. ამ ნიჰილისტებს პოეტმა საგანგებო ლექსით გასცა საკადრისი პასუხი. ეს ლექსია „საუბარი ასოთამწყობთან ჩემი წიგნის დაბეჭდვის დროს“.

---

[7] ეს წიგნი შემდეგ რამდენიმეჯერ გამოიცა.

[8] შდრ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, იოსებ გრიშაშვილი და სომხური ლიტერატურა (პუშკინის ,სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1957, გვ. 249—277).

ასოთამწყობად გამოყვანილი ნიჰილისტი პოეტს უსაყვედურებს წარსულში გამოკეტვას, „დაარხიევებას“, „გაყვითლებული კაბადონების“ გაფეტიშებას, ხოლო აწმყოს „უზარმაზარ მიღწევათა“ მიმართ კი გამომწვევ დუმილს:

განა ცოტაა გასალექსავი,
რომ ლექსის ნაცვლად რჩეობ სიმუნჯეს?

— „მე მტერს სხვა მხრიდან ვესვრი ქიმუნჯებსო“, უპრის პოეტი შენიღბულ მქირდავს, „ვწერ გამოკვლევებსო“. ასოთამწყობისა და პოეტის ეს თავისებური „გაბაასება“ იხურება პოეტის სიტყვით:

ეხ, მოვრჩეთ, ძმაო, კამათს და ნისლვას,
ამაოდ მავსებთ საყვედურებით;
ახალი ქვეყნის ზრდასა და წინსვლას
ჩვენ სხვადასხვა მხრით ვემსახურებით.

ჯერ ერთი, უნდა ითქვას, რომ მშობლიურ წარსულს გრიშაშვილი სწავლობდა არა როგორც აწინდელობით განაწყენებული და განზე გამდგარი მოჩივარი, არამედ როგორც ნამდვილად „თანამედროვე ადამიანი“ (ბოჰემა, 191), თავისი ქვეყნის ღრმა პატრიოტი, რომელსაც არ უნდოდა, რომ ძველი საქართველო და ძველი თბილისი დარჩენილიყო მარტოოდენ არქეოლოგთა ხვედრი. „მეგობრებო, პოეტებო, ნუ დავუთმობთ თბილისს არხეოლოგებსო“, მგრძნობიარედ მიმართავდა პოეტი თავის თანამოკალმეებს. გრიშაშვილის სამართლიანი მოსაზრებით, კულტურული წარსულის მეცნიერული შესწავლა და მისი სწორი შეფასება თანამედროვეობის მოვალეობაცაა და მოქალაქეობრივი ღირსების საქმეც. ესეც შრომაა, სანაქებო და სასახელო შრომა, საძრახავი და საკიცხავი აქ არაფერია. სამწუხაროდ, ამ ანბანურ ჭეშმარიტებას მტკიცება სჭირდებოდა 30-იან წლებში.

ანგარიშგასაწევია მეორე გარემოებაც. ი. გრიშაშვილმა კი შეიყვარა „ძველი წიგნების ნესტი და ჟანგი“, იგი ხარბად ყნოსავდა სიძველეთსაცავების სურნელებას, ხალისით კრებდა „ყვითელ ციტატებს“ და საუცხოო გამოკვლევებს წერდა. მაგრამ გრიშაშვილი იყო პოეტი და პოეტურ მოწოდებას როდი ღალატობდა. სწორედ 30-წლებში, ზუსტად 1929 წელს, შეუთხზავს მას ფართოდ გახმაურებული ლექსი „აპრილი თბილისში“, რომელსაც ეპიგრაფად უძღვის ავტორისეული შენიშვნა: „მ უ ნ ა ი ბ ი არხივიდან ამოსვლის შემდეგ, როცა ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა“. „ჰაერში ოქრო ლივლივებს“, მზიანი, თბილი აპრილის ქუჩებში გამოფენილან „ლამაზმანები“. „ჰაუ, რა კარგი დღე არის! ჰაუ, რამდენი ქა-

ლია!“ ეს-ეს არის პოეტი გამოსულა არქივის ცივი შენობიდან, შეუსუნთქავს სუფთა ჰაერი, იგი გაუბრუებია მზესა და სილამაზეს. გულისთქმას გაუმხელია:

რად ვეჯიდები ამ გუჯრებს —
ამ ცხრა თავიან დევებსა, —
ერთ კარგ რითმაში არ გაცვლი
მე ამდენ გამოკვლევებსა.

რა თქმა უნდა, აქ საქმე გვაქვს პოეტურ გადაჭარბებასთან, ერთგვარ ჰიპერბოლასთან. მაგრამ ისიც უდავოა, რომ გრიშაშვილის გული ამბობდა „პოეზია უპირველეს ყოლისა“. მკვლევარ გრიშაშვილს ყოველთვის მაინც პოეტური გული უცემდა, ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში გრიშაშვილი შემოვიდა და მან იქ მყარი ადგილი დაიმკვიდრა როგორც პოეტმა. ეს არ უშლიდა პოეტს მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე სიყვარულით ეზიდა სიძველეთა კვლევის მძიმე ჯაბანი.

გრიშაშვილი-მკვლევარი — სპეციალური გამოკვლევის თემაა. აქ ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ორიოდე სახელდახელო შენიშვნით. ი. გრიშაშვილის პირველი, სერიოზული მონოგრაფიული გამოკვლევაა „საიათნოვა“. ამ ნაშრომით გამომეღავნდა გრიშაშვილის ფილოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი სამაგალითო ნიჭი[9]. „საიათნოვას“ გამოქვეყნებამდის ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით მე-18 საუკუნის სახელოვანი პოეტი-აშუღის თაობაზე. გრიშაშვილს მოუხდა ნამდვილად ყამირის გატეხა, დიდძალი წერილობითი და ზეპირი წყაროების შესწავლა, სამუზეუმო-საარქივო მასალების გამოწვლილვა-გამოძიება, მათი „აზიზად და დიდის სიფრთხილით“ მკვლევრის „დაკვირვების საცერში“ გატარება, დარჩენილის გაანალიზება და გააზრება.

საიათნოვას შესწავლას გრიშაშვილმა მოახმარა დიდი ენერგია და ჩააქსოვა დიდი სიყვარული. 1945 წელს გრიშაშვილი წერდა: „მე, თბილისზე შეყვარებულ პოეტს, საიათნოვას სიმღერები ბალღობიდანვე მიზიდავდა. ჯერ კიდევ ყრმას მომხვდა მისი დიდი ნიჭის ეშხიანი ნაპერწკალი და მგოსნის აღმოუჩენელ ქართულ ლექსებს გაფაციცებით დავეძებდი ყველგან — არქივებსა თუ მომღერლებს შორის“[10]. ასე დაგროვდა საიათნოვას ლექსთა კრებული, ასე მოჰ-

---

[9] სხვათა შორის, მოღწეულია პროფ. ი. ყიფშიძის აღფრთოვანებული რეცენზიის ფრაგმენტი „საიათნოვაზე“ (ჟურნალი „ხელოვნება“, ქუთაისი, 1921, № 3, გვ. 27—28).

[10] ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1957, გვ. 222.

ზადდა მონოგრაფიული გამოკვლევა. მე-18 საუკუნის თბილისის გარკვეული სოციალური წრის ცხოვრების მკაფიოდ მოხაზულ ფონზე ი. გრიშაშვილმა აღადგინა საიათნოვას მგოსნური სახე, გრიშაშვილმა ნათლად გაარკვია პოეტ-აშუღის ძირითადი საბიოგრაფიო ფაქტები, მოხდენილად გაარჩია მისი შემოქმედება. საიათნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის მხრით თუმცა შემდეგაც ბევრი რამ გაკეთდა ჩვენში, მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიაში საიათნოვამ არსებითად ის ადგილი დაიმკვიდრა, რაც მას გრიშაშვილმა მიუჩინა. გრიშაშვილის „საიათნოვა" დღემდის რჩება საიათნოვას ცხოვრება-შემოქმედებისადმი მიძღვნილ საუკეთესო გამოკვლევად. საიათნოვას თემას გრიშაშვილი კვლავ დაუბრუნდა 1945 წელს, როდესაც გამოაქვეყნა განმაზოგადებელი ხასიათის პატარა, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი წერილი „საიათნოვას მოსაგონრად" [11].

მონოგრაფიაში „საიათნოვა" ი. გრიშაშვილს გამოთქმული აქვს საგულისხმო მოსაზრებანი ძველი ქართული ლექსთწყობის, კერძოდ მუხამბაზის თაობაზე. ნაშრომში გაბნეულია საყურადღებო მოკლე შენიშვნები შოთა რუსთველზე, ბესიკზე, სულხან-საბა ორბელიანზე, ზაქარია გაბაშვილზე, იოვანე ბატონიშვილზე და სხვებზე. საკმარისია, თუ ვიტყვით, რომ ი. გრიშაშვილმა თავის ნაშრომში არ დაივიწყა ვეფხისტყაოსნის ყალბისმქნელი ნანუჩა ციციშვილი (გვ. 24) და პირველად მიაქცია ყურადღება რუსთველური ალიტერაციის პრობლემას. გრიშაშვილი აღნიშნავს, რომ რუსთველისა და ბესიკის ლექსებში სიტყვათა ბგერული ორგანიზაცია („შეხმატკბილება") ხელს უწყობს აზრის ნათელყოფას. მას მოჰყავს რუსთველის განთქმული ტაეპი (593,1): „ზახილი მესმა, შევხედენ, მ ო უ მ ე ა მ ა უ ა დ ჰ უ ი ო დ ა". აქ დაყოფილი სიტყვები მას ხაზგასმული აქვს, მკვლევარი განმარტავს: „ასო ყარის შემწეობით ჰგრძნობთ, რომ თითქოს უღაღ მთების შორეთიდან უ ი ვ ი ლ ი ომახიანად და მკვეთრად მოისმისო" (გვ. 73).

„საიათნოვაში" წამოჭრილი რიგი საკითხის კვლევა ი. გრიშაშვილმა გააღრმავა თავის მეორე მშვენიერ მონოგრაფიაში „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა". აქ განმაცვიფრებელი ძალით არის გაცოცხლებული მე-19 საუკუნის თბილისის კოლორიტული სურათები, მკაფიოდ არის დახასიათებული თბილისის აშუღური საზოგადოების ლიტერატურული ცხოვრების სპეციფიკა და დახატულია ნაგვიანევ პოეტ-აშუღთა (გიორგი სკანდარნოვას, დავით გივიშვილის,

[11] ლიტერატურული ნარკვევები, გვ. 220—223.

ანტონ განჯისკარელის, იეთიმ გურჯის, ბეჩარას და ჰაზირას) ლიტერატურული პორტრეტები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გრიშაშვილი იჩენს სამეცნიერულ პირუთვნელობას, იგი თუმცა დიდი სიყვარულით არჩევს საიათნოვასა და მისი მიმდევრების შემოქმედებას, მაგრამ არა თუ არ აიდეალებს მათ, არამედ არ ზოგავს, დაუნდობლად აშიშვლებს იდეურ-თემატიკურად და მხატვრულად მათი ლექსების სუსტ მხარეებს.

მახვილი და მართებული შენიშვნები დაურთო ი. გრიშაშვილმა ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი სააანდაზო ლექსების გამოცემას (თბილისი, 1935). განსაკუთრებით საინტერესოა შენიშვნები ვეფხისტყაოსნის ხალხური ვარიანტებისა და ქილილა და დამანას შესახებ [12]. ძველი ქართული მწერლობის ისტორიკოსისათვის დიდად საინტერესოა ი. გრიშაშვილის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ესკიზები: ოდოევსკის „ვარდი და ბულბულის" ჭავჭავაძისეული თარგმანი [13] და „ბულბულის ყეფა ქართულ პოეზიაში" [14]. ი. გრიშაშვილმა გაარკვია ვარდ-ბულბულიანური პოეზიის ლიტერატურაში გავრცელების ერთი საგულისხმო შტრიხი, დადგინდა საყურადღებო კურიოზული ფაქტიც: ალექსანდრე ჭავჭავაძეს რუსულიდან ქართულად უთარგმნია, უკეთ, გადმოუკეთებია (გადმოუქართულებია) დეკაბრისტი პოეტის ალექსანდრე ოდოევსკის ლექსი „Роза и соловей" (გრიშაშვილი ასაბუთებს, რომ „თარგმანი გაცილებით მაღლა დგას ორიგინალზე"), ხოლო შემდეგ ვითომც ალექსანდრე ჭავჭავაძის საკუთარი ნაწარმოები, ეს ლექსი ორგზის გადაუთარგმნიათ ქართულიდან რუსულად. გრიშაშვილი წერს: „დაე, თვითონ საზოგადოებამ განსაჯოს — რომელი სჯობია: ორიგინალი, თარგმანი თუ თარგმანის თარგმანიო" (გვ. 104). „ბულბულის ყეფა ქართულ პოეზიაში" არკვევს ამ თამამი პოეტური ლიცენციის გამოყენების საკითხს ქართულ მწერლობაში შოთა რუსთველიდან გრიგოლ ცეცხლაძემდის. თანაც დასაბუთებულია, რომ: „არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქართველი მწერალი, რომელსაც „ბულბულის ყეფა" არ ჰქონდეს მოხსენებული".

---

[12] ამის თაობაზე იხ. ალ. ბარამიძე, ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები (ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1957, გვ. 37, 40, 56); მისივე, შოთა რუსთაველი, თბილისი, 1958, გვ. 306, შენ, 417.

[13] ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1957, გვ. 99—104.

[14] იქვე. გვ. 485—490.

მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია აღძრული და გაშუქებული გრიშაშვილის იმ წერილებში, რომლებიც შესავლისა თუ წინათქმის სახით უძღვის მის მიერვე ჩინებულად შესრულებულ თარგმანებს. ამ მხრივ უთუოდ გამოირჩევა დიდი სითბოთი და სიფაქიზით დაწერილი ნარკვევი „ოვანეს თუმანიანი“ [15]. იოსებ გრიშაშვილის წყალობით ოვანეს თუმანიანის ნაწერები ისე იკითხება ქართულად, თითქოს ისინი თავიდანვე ქართულად იყვნენ შექმნილი. ოვანეს თუმანიანისა და იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი თანამეგობრობა შეუპირობებია საიათნოვას, „მე და ოვანეს თუმანიანი საიათნოვამ დაგვამეგობრაო“, ამბობს გრიშაშვილი (გვ. 17). პოეტური გზნებით დაწერილი ნარკვევები უძღვნა იოსებ გრიშაშვილმა გაბრიელ სუნდუკიანსა და მირზა ფატალი ახუნდოვს [16]. ამ ნარკვევებში დიდი ცოდნით არის განხილული ქართულ-სომხური და ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობანი. კონკრეტული მასალების სიუხვითა და დამუშავების გულმოდგინებით ხასიათდება ნარკვევთა მთელი რიგი, რომლებიც შეეხება ქართულ-რუსული და ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობის აქტუალურ საკითხებს [17].

ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ი. გრიშაშვილის კრიტიკულ წერილებზე მე-19 და მე-20 საუკუნეების ქართული მწერლობის გარშემო (ეს სცილდება ჩემ თემას). საგანგებოდ უნდა გაიხაზოს იოსებ გრიშაშვილის დაუფასებელი ღვაწლი როგორც ტექსტოლოგისა (ამაზედაც აქ სიტყვას ვეღარ ვაგრძელებ).

ი. გრიშაშვილი არა მარტო იკვლევდა ძველი საქართველოს და ძველი თბილისის სულიერ ცხოვრებას, ძველი საქართველო და ძველი თბილისი მისი პოეზიის შთამაგონებელი ორგანიული თემებია. გრიშაშვილი თვითონ გვიმოწმებს, რომ მისი „სულის ფესვებიც ღრმად არის გადგმული ძველი მწერლობის ყამირში“ (ბოჰემა, 191). ჩვენ არ ვეხებით ყრმობისდროინდელი გრიშაშვილის გატაცებას მუხამბაზური პოეზიით და მისი ნიმუშების წაბაძვას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პოეტურად სავსებით მოწიფული და ჩამოყალიბებული გრიშაშვილი. ამ გრიშაშვილს ჰყავდა და ჰყავს თავისი „გულის მურაზი“. ესაა, უწინარეს ყოვლისა, დიდება და გვირგვინი ქართული პოეზიისა „უკვდავი შოთა“. „ჩვენ გვიყვარს შოთა, — ეს თავადი ქართული მგოსნობისა, — გვიყვარს ვეფხისტყაოსანი, გვიყვარს მთე-

---

[15] ოვანეს თუმანიანის რჩეული ნაწერების გრიშაშვილისეული თარგმანის პირველად გამოცემა, შესავალი წერილი (თბილისი, 1924).

[16] ლიტერატურული ნარკვევები, 1957, გვ. 234—251, 252—262.

[17] იქვე, გვ. 123—219.

ლის ჩვენის მოცეკვავე ნერვებითო“, ამბობს გრიშაშვილი (საიათნოვა, 24). გრიშაშვილის სიტყვით, იგი „დიდი შოთას მემკვიდრეა“ (დათოვლილი მედროშე), მას უმღერია „შოთას ჰანგები“ (ქალი მსახიობი). 1951 წელს დაწერილ ლექსში, რომელსაც სათაურად აქვს „ო, შოთა! შოთა!“ პოეტი ნატრობს, მუდამ თან ახლდეს შოთას „აჩრდილი“, „რუსთველის ლანდი“, რომ რუსთველის „საკერებელით ჩემი ლექსები უხვად დაებლანდოო“. რუსთველის ლანდს ბინაც უპოვია პოეტის ბიბლიოთეკაში (შოთა რუსთველი ჩემს ბიბლიოთეკაში). საკმარისია პოეტმა თვალი დახუჭოს, მის წინაშე „აიმართება რუსთაველის ლანდი“, რუსთველის სიტყვას კი დაუპყრია პოეტის გული და ინტელექტიც. „მე იმის სიტყვებს ეხლაც ტყვედ ვყევარო“, აღიარებს გრიშაშვილი 1937 წელს დაწერილ ლექსში (შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში). გასაკვირიც არაფერია. რუსთველის „ლექსი ისე მძაფრია, როგორც სურნელი გალეწილ ხორბლის“.

რუსთველს შთაუგონებია გრიშაშვილის არა ერთი და ორი პოეტური ნაწარმოები. რუსთველური სახეები, რუსთველური გამოთქმები, რუსთველური სიტყვები თინათინობენ გრიშაშვილის პოეტურ სტრიქონებში. რუსთველის გმირები (ნესტანი, ტარიელი, შერმადინი...) ცოცხლობენ გრიშაშვილის პოეტურ წარმოსახვაში. გრიშაშვილის ზოგიერთ ლექსს — ილია ჭავჭავაძის ლექსების მსგავსად — ეპიგრაფად ამკობს რუსთველის აფორიზმები. მეორე მსოფლიო ომის მრისხანე დღეებშიც არ ავიწყდებოდა ოსებ გრიშაშვილს „რუსთველის დანაბარები“ (ჩვენს დებს და დედებს). გრიშაშვილს ლექსებს შნოსა და ლაზათს ჰმატებს ზომიერად მოხმობილი ძველ-ქართული ლექსიკა. აქედან ზოგი რამ უცილობლად რუსთველურია. ასე, მაგალითად, სპეციფიკურად რუსთველურია გრიშაშვილის ლექსის „სოქალი“ (ლოტოსი), რუსთველურია „ლამაზმანებიც“ (ლამაზმანებს, აპრილი თბილისში). ლამაზმანებმა (მრავლობითი ფორმით) გრიშაშვილის წყალობით სამოქალაქო უფლება დაიმკვიდრა თანამედროვე ქართულ პოეზიაში. რუსთველურია პოეტის შეძახილი „ამიტომაც გამიგონეთ, გ ე ს მ ა თ ჩ ე მ ი ნ ა უ ბ ა რ ი“ (მეგობარი). საგულისხმო ისიცაა, რომ ამ შეძახილის შემცველი ლექსი თემატიკურად და აზრობლივად რუსთველური მეგობრობის იდეაზეა აგებული, ლექსს ეპიგრაფად უძღვის რუსთველის უკვდავი აფორიზმი „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

რუსთველის სახეებსა და რუსთველის სახელს გრიშაშვილი იყენებს მხატვრული შედარებებისათვის, მაგალითად:

> რუსთაველის ბეჭედივით დგას თბილისის გალავანი
> (გრიგოლ ორბელიანი ახალ ნარიყალაზე).

რუსთველურია გრიშაშვილის ასეთი სალექსო სტრიქონის წყობა: „სიბრძნე. სიუხვე, ლექსის დინება“. რუსთველის მსგავსად გრიშაშვილიც ზოგჯერ იყენებს ე. წ. სინონიმური პარალელიზმის ხერხებს. მაგალითად:

როგორ გეტყვი: იყავ ჩემი! ან,
შევუღლდეთ ტოლად, ჯუფთად
(ლია).

1937 წელს ი. გრიშაშვილმა შექმნა რუსთველის თემაზე მშვენიერი ლექსების ციკლი: „შოთა რუსთაველი ჩემს ბიბლიოთეკაში“, „ვეფხისტყაოსანი და ჰიაკოკონა“, „მაიკო ორბელიანის ვეფხისტყაოსანი“. რუსთველის მოგონებებით არის გამთბარი იმ პერიოდის ისეთი ლექსებიც, როგორიცაა „გრიგოლ ორბელიანი ახალ ნარიყალაზე“ და სხვ.

რუსთველი ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მომღერალია. გრიშაშვილი აგონებს აზერბაიჯანის პოეტებს, რომ: „ჩვენს რუსთაველს და თქვენს ნიზამს ერთი აზრი ასულდგმულებს“ (აზერბაიჯანელ პოეტებს). ქართველ პოეტს სჯერა, რომ სომეხთა დიდ მგოსანს ოვანეს თუმანიანს ხელში ლანგრით შეეგებება „ჰომერი, ფირდუს და რუსთაველი“ (საქართველოს მეგობარს).

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ეპიური პოეზიის აპოლოგეტ რუსთველს ლირიკოსი გრიშაშვილი თუმცა თაყვანს სცემს, მაგრამ არორაზროვანი შეფარვით ეკამათება კიდევაც ერთი ოთხტაეპიანი ლექსით, „ლირიკის დასაცავად“:

განა ლექსის სიკარგე
მის სიგრძეზე ჰკიდია?
ვამბობ: სჯობს „რუბაია“,
მძაგს „დასტანი“ დიდია.

უნდა მოვიგონოთ, რომ რუსთველის პოეტიკით „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ (17,4) და კარგ პოეტს მოეთხოვება „ლექსთა გრძელთა თქმა“ (13,3). გრიშაშვილი კი გამომწვევი კილოთი კითხულობს „განა ლექსის სიკარგე მის სიგრძეზე ჰკიდია?“ გრიშაშვილი ოთხტაეპოვან „რუბაიას“ ამჯობინებს დიდ, გრძელ „დასტანს“ (ამბავს, მოთხრობას, პოემას).

ი. გრიშაშვილი პოეტური ტრადიციით დაკავშირებულია თეიმურაზ პირველთან, ბესიკთან და საიათნოვასთან. თეიმურაზი მისი გულის მურაზია, განთქმულ ლექსში „ტრიოლეტები შეითანბაზარში“ გრიშაშვილი აცხადებს:

ძველ პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი,
მომწონს მაჯამის ამირბარი თეიმურაზი.

თეიმურაზმა ქართულ პოეზიაში დაამკვიდრა ვარდისა და ბულბულის თემა, რასაც თავისებური ფორმით ეხმაურება ი. გრიშაშვილიც. ამასაც აწუხებს ბულბულის ტრადიციული კვნესა. თეიმურაზმა შეთხზა შამისა და ფარვანას სატრფიალო პოემა. გრიშაშვილის ლექსებშიც ვხვდებით შამისა და ფარვანას (სანთელისა და პეპელას) სახეებს. ნათელი შუქის მოტრფიალე ჰრელი პეპელაც — გრიშაშვილის ლექსიდან „პეპელა" — თეიმურაზის ფარვანას მსგავსად „ფრთებ გადამწვარი ძირს დაეცა, გადიქცა ფერფლად". სიყვარულით დამწვარი ფარვანას სიბრალულის გამო გრიშაშვილის „სანთელიც შუდამ ცრემლად იღვენთება" (თქმულებიდან სანთლის ტირილი).

თეიმურაზის სტიქია მაინც იყო მაჯამა. სწორედ მაჯამამ აქცია თეიმურაზი გრიშაშვილის გულის მურაზად. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ მაჯამები ამკობს გრიშაშვილის რიგ ლექსებს. ჯერ კიდევ 1907 წელს დაუწერია გრიშაშვილს მთლიანად მაჯამური ლექსი საგანგებო სათაურითვე „მაჯამა". ამ ლექსის ტექსტი მომყავს სრულად:

რა ლექსი გსურს, არ გამიჭრას მაჯამა,
მუხამბაზი, თეჯლისი თუ მაჯამა.
ეს გოგონა საკადრისი მეფეთა,
აქ პირველად ქურციკივით მეფეთა.
სიხარულმა თვალი ცრემლით მონამა,
გავიმარჯვე სიყვარულის მონამა.
ახ, ნეტავი, კიდევ ერთხელ მეხილე...
შენ — მუშთარი, მე კი შენი მეხილე

მთლიანად მაჯამურია 1920 წლის ლექსი „მაჯამა აღმოსავლეთს", რომელიც ასე იწყება:

თუმც აკაკი ბევრს ჩხუბობდა, დაობდა,
მაგრამ მაინც ძველი სიტყვა დაობდა.

აქ შემთხვევით არ არის მოხმობილი აკაკის სახელი. ახალ ქართულ პოეზიაში სწორედ აკაკი გახდა მაჯამის ნამდვილი ამირბარი. მაჯამებით (ომონიმებით) ი. გრიშაშვილის ადრინდელი ლექსები თეიმურაზთან ერთად აკაკისგან არის დავალებული. მაგალითად.

ცის მახლობლად ფეხ-ქვეშ ვიგრძენ, მ ი წ ა მ ე,
ვსთქვი: ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მ ი წ ა მ ე.
(აკაკი, „აღმართ-აღმართ").

რადგან ცოცხლადვე შენ არ მ ი წ ა მ ე,
მკვდარს მომაყარე მავი მ ი წ ა მ ე.
(ი. გრიშაშვილი: „ჩემის დალატით").

აღმართ-აღმართ მივდიოდი ნ ე ტ ა რ ა დ,
თუ მაღლობზე თავს ვერ ვგრძნობდი ნ ე ტ ა რ ა დ?
(აკაკი, იქვე).

ჩემს თავს შენს მკერდზე ვგრძნობდი ნ ე ტ ა რ ა დ,
შენ კი გამცვალე, მითხარ, ნ ე ტ ა რ ა დ?
(ი. გრიშაშვილი, იქვე).

მაჯამური რითმები საზოგადოდ დამახასიათებელია გრიშაშვილის ლექსებისათვის, მაგალითად (პოემიდან — ეთერ):

ჭალო, ა, ჭალო, სად ილტვი, სიტყვა მაქვს დადეგ, დ ა ი ც ა,
შენგნით დამწვარმა ვაჟკაცმა გულში სანჯალი დ ა ი ც ა.

ნამეტნავად ახლოს იყო ი. გრიშაშვილი (უფრო ადრინდელ პერიოდში) ბესიკისა და საიათნოვას პოეზიასთან. კერძოდ, გრიშაშვილს ატკბობდა ბესიკისა და საიათნოვას მუხამბაზური ლექსების ხმები. საგულისხმოა, მაგალითად, ასეთი შედარება:

შენ კარგი ხარ, ვით ბესიკის ქამანჩური მუხამბაზი
(დამიბრუნდი, დამიბრუნდი).

ოღონდ ი. გრიშაშვილმა მალე დააღწია თავი ყრმობის დროინდელ ცთუნებას (ვგულისხმობ, მუხამბაზებით გატაცებას). მხოლოდ მის ერთადერთ გვიანდროინდელ ლექსში გაისმა მუხამბაზის მოდერნიზებული კილო („მუხამბაზი სომხეთს“). გრიშაშვილის წარმოდგენაში საიათნოვა ცრცხლობს უპირატესად როგორც ხალხთა ძმობის მომღერალი აშუღი და საქართველოს დიდებისათვის მებრძოლი მეომარი. 1942 წელს გრიშაშვილი ასე მიმართავდა თავის წინამორბედ მგოსანს:

პოეტო და მეომარო, გიგონებ და გიმზერ,
შენ მღეროდი ჭიანურით საქართველოს გმირზე.

გრიშაშვილი არ არის ბესიკის ბრმა თაყვანისმცემელი. თვითონ რითმის ვირტუოზი, იგი ამ მხრივ წუნს სდებს ბესიკის ლექსებს. „არ მომწონს რითმა ბესიკისა გ ა ზ ი თუ რ ა ზ ი ო“, ამბობს დაუფარავად (ტრიოლეტები შეითანაბაზარში). ამისდა მიუხედავად ბესიკი ყოველთვის იყო გრიშაშვილის პოეზიის თავისებური მეტრი. გრიშაშვილის ლექსების ლირიკულ გმირს ბესიკივით ბევრი ცრემლი უღვრია ტრფობის უცხოდ მორთულ წალკოტში (დავტოვე ბაღი), მისი გული დაჭრილი და დაცხრილული იყო „ცრემლის ისარით“. (ცრემ-

ლის ისარით; შდრ. ბესიკის „ცრემლთა ისარნი“). ი. გრიშაშვილის ლექსებიც ამკობს კეკლუცი ქალის მწიფე ნარინჯებს (ჩემი საღამო და სხვ.).

ვახტანგ ორბელიანივით ი. გრიშაშვილს აღტყინებით შეუმკია „პეტერჰოფის შადრევნები“. იგი ფხიზლად უგდებდა ყურს „ქართლის ცხოვრების ძვირფასი წიგნის“ პატრიოტულ მოწოდებებს (ჩვენს დებს და დედებს). ძველი ქართული მწერლობა ბევრ მასალას აძლევდა მას ორიგინალური შედარებების მისაღებად. მაგალითად, პოეტი ერთგან ხაზგასმით ამბობს: „დღეს მე კენტი ვარ, კენტი როგორც ასომთავრული“ (1914 წელი). თათრის ქალის წარბები სუფსარქისში პოეტს აგონებს „სახარების წაშლილ სტრიქონებს“. „რითმებს ვსრუტავდი ხარბად და მკაცრად, ვით იოანეს ტუჩებს სალომე“, ამბობს პოეტი ლექსში „ჩემს ეშხისავარს“. იოანე ნათლისმცემლის, სალომეს, მარიამ მაგდალინელისა და რიგი სხვა ბიბლიური სახე არ არის სასხვათაშორისო გრიშაშვილისათვის. გრიშაშვილის ლექსებისათვის ორგანულია სახეები ჩვენი სახელოვანი წინაპრებისა — ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარის, ნინოს, ქეთევანის, ვახტანგის, ერეკლესი და სხვ. მისთვის უცხო არ არის არც ფრთებასხმული ქართული სახალხო მითოლოგიური გმირი ამირანი (დათვლილი მედროშე).

ი. გრიშაშვილს იმთავითვე არ ასვენებდა საქართველოს დარდი და ბოლმა. სახელმოხვეჭილი პოეტი მოესწრო მისი საყვარელი საშობლო ქვეყნის მკვდრეთით აღდგომას ნანგრევებიდან (შდრ. საშობლოს ნანგრევებში), მოესწრო მისი სათაყვანებელი თბილისის 1500 წლისთავის ზეიმს. ი. გრიშაშვილთან ერთად ჩვენ შეგვიძლია დღეს სიამაყით გავიმეორეთ მისი სიტყვები:

მეტეხს, შუშანიკს დღესაც ამკობს შუქნი მზისანი.

გიორგი ლეონიძე როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტი გიორგი ლეონიძე ფართოდ არის ცნობილი როგორც ლიტერატურათმცოდნე, ქართულ მწერლობის მკვლევარი. მისი ყურადღებისა და მეცნიერული კვლევის საგანი არის, უწინარეს ყოვლისა, XVII—XVIII საუკუნეების მხატვრული ლიტერატურა.

გ. ლეონიძემ ჯერ სრულიად ახალგაზრდამ, 1920 წელს, გამოსცა ძველ-ქართული ნორმატიკული პოეტიკის ღირსშესანიშნავი ძეგლი „ჰაშნიკი" მამუკა ბარათაშვილისა. გამოცემა განხორციელებულია ფაქიზად და სიყვარულით, ტექსტს ახლავს თავისი დროის კვალობაზე საფუძვლიანი ცოდნით დაწერილი ნარკვევი და შენიშვნები. გამომცემელი აღნიშნავდა: „მამუკა ბარათაშვილის პოეტიკას, რასაკვირველია, იმდენი ესთეტიკური ღირებულება არა აქვს, რამდენიც ისტორიული" (გვ. VI). „ჰაშნიკის" ეს ისტორიული მნიშვნელობა მკვლევარს საერთო ასპექტში მაშინაც სისწორით ჰქონდა გათვალისწინებული.

მომწიფებული და ჩამოყალიბებული მკვლევრის ხელი ეტყობა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის" 1928 წლის გამოცემას, რომელიც დაიბეჭდა გ. ლეონიძის რედაქციითა და ვრცელი შესავალი წერილით. არსებითად ეს იყო პირველი სერიოზული მონოგრაფიული ნარკვევი სახელგანთქმული ქართველი მეიგავის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. რამდენადმე შევსებული და შესწორებული სახით ეს ნარკვევი დართული აქვს „სიბრძნე სიცრუის" შემდეგდროინდელ გამოცემებს, მათ შორის საიუბილეო გამოცემასაც (1959 წ.). იგივე ნარკვევი საფუძვლად დაედვა აგრეთვე „სიბრძნე სიცრუის" უკანასკნელი რუსული გამოცემის შესავალ წერილს

(Сулхан-Саба Орбелиани, Мудрость вымысла, Предисловие действительного члена Академии наук Грузинской ССР Г. Н. Леонидзе, Тбилиси, 1959).

გ. ლეონიძის ნარკვევში აღდგენილია ეპოქის სურათი და დაწვრილებით განხილულია სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხები. სპეციალურად არის გარჩეული „სიბრძნე სიცრუისა“, როგორც მხატვრული ლიტერატურის ძეგლი. გარკვეულია მისი რიგი ისტორიულ-ლიტერატურული მხარე (თარიღი, გენეზისი, წყაროები და სხვ.). გ. ლეონიძემ გამოთქვა საგულისხმო მოსაზრებანი „ქილილა და დამანას“ ჰუონიასეული გამოცემის მეორე ანდერძის სულხან-საბა ორბელიანისადმი კუთვნილებაზე (რაც შემდეგდროინდელმა კვლევა-ძიებამ სავსებით დაადასტურა). მანვე მართებულად გამოიყენა ამ ანდერძის იგავ-არაკები სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიული ფაქტების დასადგენად. სავსებით სწორად გადაწყვიტა გ. ლეონიძემ „სიბრძნე სიცრუის“ იგავ-არაკებისა და ფოლკლორული მასალების ურთიერთობის პრობლემა. მკვლევრის ფიქრით, ძირითადი წყარო, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი მიმართავდა, უნდა ყოფილიყო არა „წიგნი“, არამედ „ზეპირი სიტყვა“ („სიბრძნე სიცრუის“ 1928 წლის გამოცემის შესავალი წერილი. გვ. CXCIV), ამ მხრივ ხშირად „ეხვდებით გასაოცარ ანალოგიებსა და პარალელებს“ (იქვე, გვ. CXCV). გ. ლეონიძემ ისიც დაასაბუთა, რომ ზოგჯერ იგავ-არაკების ფოლკლორულ ვარიანტებს შემოუნახავს მწიგნობრული ელემენტები და, მაშასადამე, სავარაუდებელი ხდება „სიბრძნე სიცრუის“ პირიქითი გავლენა ფოლკლორზე. მაგალითად, გ. ლეონიძის გამოკვლევის თანახმად, ხალხური ზღაპრის „მკაცრი მეფის“ პერსონაჟი შ ა რ ვ ა ნ გ ი სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკის შირვან-შაჰის „გადამახინჯებას წარმოადგენს“ (გვ. CCIV—CCVI).

გ. ლეონიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება და სწორი შეფასება მისცა სულხან-საბა ორბელიანის შესანიშნავ თხზულებას „სწავლანი“. „სწავლანის“ ლეონიძისეულ მოკლე, სხარტ ანალიზს ამკობს უხვად მოხმობილი საუცხოო ტექსტობრივი ექსცერპტები (გვ. LXXI—LXXVIII). საინტერესო საარქივო მასალები გამოაქვეყნა გ. ლეონიძემ სულხან-საბა ორბელიანის რუსეთში გახიზვნაზე და ცხოვრების აღსასრულზე (ბოლო ფურცელი სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისა, „ლიტერატურული გაზეთი“, 28. I. 55) [1].

[1] საინტერესოა აგრეთვე გ. ლ ე ო ნ ი ძ ი ს წერილი „სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ახალი ხელნაწერები“, „კომუნისტი“, 14. X. 59.

1930 წელს ცალკე წიგნაკად გამოვიდა გ. ლეონიძის ნაშრომი „მგოსანი საათნავა“ (ბიოგრაფიული ესკიზი, გვ. 61). აქ დაბეჭდილია პირველხარისხოვანი ცნობები საიათნოვაზე, რომლებიც მოეპოვებათ თეიმურაზ და იოვანე ბაგრატიონებს. ამ, მანამდის უცნობი, მასალებით გ. ლეონიძემ გაარკვია საიათნოვას ბიოგრაფიის რამდენიმე ბუნდოვანი საკითხი. კერძოდ, მან დაასაბუთა, რომ საიათნოვა, წინააღმდეგ ტრადიციულად ქცეული შეხედულებისა, უნდა გარდაცვლილიყო არა 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, არამედ გიორგი XII-ის მეფობის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, გ. ლეონიძის მტკიცების თანახმად, საიათნოვა ცოცხალი ჩანს გიორგის მეფობის წლებში (ე. ი. 1798—1800 წლებში).

გ. ლეონიძემ ს. იორდანიშვილთან ერთად გამოაქვეყნა XVII საუკუნის მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოები — ფეშანგის პოემა „შაჰნავაზიანი“ (თბილისი, 1935). ეს არის ამ პოემის პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი გამოცემა. ტექსტს უძღვის გ. ლეონიძის ვრცელი გამოკვლევა. აქ გარკვეულია ფეშანგის ბიოგრაფიის მთავარი მომენტები და გარჩეულია პოემის ლიტერატურული მხარე. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „შაჰნავაზიანი... სახოტბო, საკარო პანეგირიკული თხზულებაა“ (გვ. V), ამისდა მიუხედავად მისი უჩინარი ავტორი „უბედავს შეკამათებას ფეოდალური მწერლობის ოლიმპიელებს (იგულისხმებიან რუსთაველი და თეიმურაზ პირველი, — ა. ბ.), იწუნებს რა მათ შემოქმედებაში ფანტასტიკის ელემენტებს, იგი ილაშქრებს ფეოდალური ლიტერატურის ზღაპრულ-ესთეტიკური ტრადიციების წინააღმდეგ“ (გვ. LIII). რამდენადაც ფეშანგის „შაჰნავაზიანი“ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს „არჩილიანს“, გ. ლეონიძის მოსაზრებით, ფეშანგის უნდა მიეცეს პრიორიტეტი (არჩილთან შედარებით) რეალისტური მიმდინარეობის თაოსნობაში (გვ. LV). თუმცა მკვლევრის სიტყვით, ეს არის საკითხის მაინც ფორმალური გადაწყვეტა, რადგანაც „ფეშანგის ახალი ლიტერატურული შეხედულება უმთავრესად გამომუშავებულია მაშინდელ სალიტერატურო წრეებში, სადაც ჩვენი ავტორიც ტრიალებდა. ფეშანგის მხატვრულ დეკლარაციაში გამოთქმულია იმ დროის ახალი ლიტერატურული პროგრამა, ახალი პრინციპები, რომლის შექმნა ერთ პიროვნებას არ ეკუთვნის და მით უმეტეს „უსწავლელ და უშუერ“ ფეშანგის“ (გვ. LIII—LIV). არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ნარკვევის ავტორს, რომ ახალი ლიტერატურული მიმართულების „ოფიციალური ლიდერი“ (გვ. LIV), ანუ ნამდვილი მეთაური, და მისი ესთეტიკური

პრინციპების კანონმდებელი იყო არჩილი, „XVII საუკუნის მეორე ნახევრის პოეზიის მეტრი“ [2].

იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ ლეონიძისეული გამოცემა (თბილისი, 1939) ამ პოემის საუკეთესო გამოცემაა. ჩვეულებისამებრ ამასაც აქვს დართული გამოცემის საფუძვლიანი ნარკვევი. გ. ლეონიძე საბუთიანად ამბობს, რომ თბილელის „მიზანია გიორგი სააკაძის რეაბილიტაცია და ჰეროიზაცია“ (გვ. XLVIII), რამაც შეაპირობა პოემის გარკვეული იდეურ-მხატვრული ხასიათი და პოეტური კილო. „უეჭველია, ერთგვარ რომანტიულ გადახვევას, ერთგვარ ტენდენციურობას ვერ ასცდებოდა პოეტი“ (გვ. LX). გ. ლეონიძე აუჯნებს საკითხს „დიდმოურავიანის“ დათარიღების თაობაზე ტრადიციული შეხედულების გადასინჯვის სასარგებლოდ (გვ. XXXII).

1942 წელს გ. ლეონიძემ დაბეჭდა ბესიკისადმი მიძღვნილი დიდი მონოგრაფიის პირველი ნაწილი („ლიტერატურის მატიანე“, № 3—4, გვ. 341—432), რომელიც შემდეგ (1953 წელს) ცალკე წიგნადაც გამოვიდა. მონოგრაფიაში დასმული და გადაჭრილია ბესიკის შემოქმედებითი ცხოვრების რიგი მნიშვნელოვანი საკითხი. სხვათა შორის, ამ მონოგრაფიას ჩვენ უკვე შევეხეთ ერთ სპეციალურ წერილში [3]. ჩვენ მაშინაც აღვნიშნავდით გ. ლეონიძის გამოკვლევის უდავო ღირსებებს, ოღონდ ყურადღება უფრო სადავო საკითხებზე გავამახვილეთ. გ. ლეონიძესა და ჩვენ ერთდროულად მოგვიხდა ბესიკის გარშემო მუშაობა პოეტის ნაწერების ახალი გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებით 1930—1931 წლებში. ბუნებრივად, ზოგ შემთხვევაში, დასკვნებიც საერთო გამოგვივიდა. გამოირკვა, რომ ბესიკის განთქმული ლირიკული შედევრების შთამაგონებელი ყოფილა მაია ყულარაღასის ქალი (და არა ანა დედოფალი, როგორც ეს საერთოდ იყო მიღებული), კერძოდ, გ. ლეონიძემ დაადგინა, რომ მაია ყულარაღასის ქალი ყოფილა გიორგი ქსნის-ერისთავის ასული, ელიზბარ ერისთავის დაი, მამუკა ორბელიანის ქვრივი. მაია ყულარაღასის ქალის ვინაობის გარკვევა იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ უეჭველი გახდა — „სევდის ბაღის“ ციკლის ლექსები შეთხზული ყოფილა თბილისში, ბესიკის ქართლიდან გაძევებამდე (რადგან ამ ლექსების შთამაგონებელია სწორედ მაია).

---

[2] იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, თბილისი, 1939, გვ. XXX; იხ. აგრეთვე გვ. XXXI.

[3] „ისევ ბესიკის გარშემო“ (გ. ლეონიძის მონოგრაფიის გამო), „თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 43, 1951, გვ. 247—257; „ნარკვევები“, III, თბილისი, 1952, გვ. 359—371.

მზეჭაბუკ ორბელიანსა და ბესიკს შორის გაჩაღებული პოეტური პაექრობის მასალების (აგრეთვე სხვა წყაროების) გულდასმით შესწავლის შედეგად გ. ლეონიძემ აღადგინა ჩვენი დიდებული პოეტის ცოცხალი სახე.

რუმინეთში მოგზაურობის დროს გ. ლეონიძემ ინახულა ბესიკის საფლავი ქალაქ იასში (და ამასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა საყურადღებო საგაზეთო წერილები). გ. ლეონიძემ ბევრი გააკეთა ბესიკის სახელის უკვდავსაყოფად მოძმე რუმინელ ხალხს შორის.

გ. ლეონიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის რუმინელი და ქართველი ხალხების დაძმობილების, მათი კულტურული ურთიერთობის შესწავლის საქმეში. გ. ლეონიძე ავტორია საუცხოო გამოკვლევისა რუმინეთის გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანთიმოზ ივერიელზე და იმის კავშირზე ქართულ სინამდვილესთან. რუმინეთში გამოძიებული მასალების ნიადაგზე მან საბოლოოდ და ეჭვმიუტანლად დაასაბუთა, რომ ანთიმოზი იყო „პირველი ეროვნული ქართული სტამბის ორგანიზატორი ვახტანგ მეექვსესთან ერთად“ [4]. ვახტანგის თხოვნით ანთიმოზს საქართველოში მოუვლენია თავისი საუკეთესო მოწაფე სტეფანე უნგრო-ვლახელი, რომელსაც მოუწყვია თბილისში ქართული სტამბა და შედგომია წიგნების ბეჭდვას. ანთიმოზს არც შემდეგ გაუწყვეტია კავშირი სამშობლოსთან, თავის მხრით ვახტანგიც თურმე სისტემატურად უგზავნიდა მას თბილისის სტამბიდან გამოსულ წიგნებს. ერთ-ერთ ასეთ წიგნში გ. ლეონიძემ აღმოაჩინა შესანიშნავი ქართული ლექსი, რომელსაც მკვლევარი „პატარა პოემას“ უწოდებს. ამ პოემაში მშვენიერი შაირის ენით მოთხრობილია თბილისის სტამბის დაარსების ამბები. ვინც არ უნდა იყოს მისი ავტორი, თვითონ პოემა ქართული კულტურის ისტორიის ჩინებული დოკუმენტია [5].

გ. ლეონიძეს როგორც პოეტსა და როგორც მკვლევარს მუდმივ ხიბლავდა დავით გურამიშვილი. გურამიშვილის გარშემო მას ბევრი უკვლევ-უძიებია და ბევრი უწერია. თავისი ნაკვლევი და ნაფიქრ-ნააზრევი მას შეჯამებული სახით გამოქვეყნებული აქვს წერილების სერიაში 1954—1955 წლების მანძილზე. 1. „დავით გურამიშვილის ცხოვრებიდან“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1954, № 31; 1955,

---

[4] გ. ლეონიძე, ანთიმოზ ივერიელი, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის, „დროშა“, 1951, № 2.

[5] ანთიმოზ ივერიელსა და თბილისის სტამბის 250 წლისთავს მიეძღვნა გ. ლეონიძის წერილები: „Золотая цепь дружбы“ („Заря Востока, 14.X.59“) და „ქართული სტამბა 250 წლისაა“ („კომუნისტი“, 15, X, 59).

№ 9); 2. „ცხოვრება დავით გურამიშვილისა“ (იქვე, 1955, №№ 40, 41, 42, 43); 3. „დავით გურამიშვილის ბიოგრაფიისათვის“ (იქვე, 1955, №№ 29, 31); 4. „დავით გურამიშვილის პორტრეტისათვის“ (იქვე, 15. VIII. 55). წერილების ეს სერია შეიცავს ძვირფას მასალებს დავით გურამიშვილის ცხოვრებაზე, მოღვაწეობაზე. შემოქმედებაზე. გ. ლეონიძე აქაც (ისე როგორც ბევრგან სხვაგანაც) სამაგალითო მიხვედრილობითა და გულისხმიერებით არკვევს პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობის ღირსშესანიშნავ დეტალებს. სანიმუშოა ამ სერიის ორიგინალური მინიატურული ნარკვევები: „მოსკოვში“, „ერაჯ ჭალაშვილი“, „პოეტის ნათესავები კახაბერიძეები“, „დავით გურამიშვილი და გარაყანიძეები“, „დავით გურამიშვილის მირგოროდელი მეზობლები“, „სვენწკა“ ანუ „სესენწკა“ და „ქართველთა ახალშენი მოსკოვში“. ამ წერილებში ავტორი ძლიერ საინტერესოდ იხილავს დავით გურამიშვილის უკვდავ სახელთან დაკავშირებულ ქართული კულტურის ისტორიის ბეკრ საკითხს.

გ. ლეონიძის ვრცელი შესავალი წერილებითა და შენიშვნებით გამოვიდა „დავითიანის“ რუსული თარგმანები (თბილისი, 1954; მოსკოვი, 1955; ლენინგრადი, 1956)*.

თავისი გამოკვლევებით, წერილებით, სიტყვებით (და, რასაკვირველია, ლექსებით) გ. ლეონიძემ დიდად შეუწყო ხელი დავით გურამიშვილის სახელის უკვდავყოფას როგორც ჩვენში, ისე საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ხალხთა შორის.

დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლასთან ერთად გ. ლეონიძეს უხდებოდა ქართულ-უკრაინული და ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის საკითხების ძიება-კ.

1944 წელს გ. ლეონიძემ აღმოაჩინა და თავაზიანად ჩვენ დაგვითმო დასამუშავებლად „ქილილა და დამანას“ დავითისეული ვერსიის ერთი საუკეთესო ხელნაწერი, რომელსაც შემონახული აქვს მთარგმნელის შესანიშნავი ანდერძი.

ცალკე აღსანიშნავია გ. ლეონიძის წერილი „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი“ („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, თბილისი, 1939, გვ. 19—36). ესაა ლენინგრადს ვორონცოვისეულ არქივში ლეონიძისავე თაოსნობით მიკვლეული ძვირფასი ხელნაწერი რუსთველის პოემისა, რომელიც ზაზასეული ვეფხისტყაოსნის სახელწოდებით გახდა ჩვენში ცნობილი. ზაზასეული ვეფხისტყაოსანი უნიკალურია თავისი ხასიათითა და მნიშვნელობით. მას შემოუნახავს

* „დავითიანის“ რუსული თარგმანის თბილისური გამოცემა დაიბეჭდა გ. ლეონიძის რედაქციით.

ინტერპოლანტების ავტორწარწერილი ტექსტები. ამ მხრივ ზაზასეული ხელნაწერი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივი შედგენილობის დასადგენად, აგრეთვე პოემის პირველი (ვახტანგისეული) გამოცემის რაობის გასარკვევად. გ. ლეონიძემ მოგვცა ზაზასეული ვეფხისტყაოსნის პირველი, ვრცელი მეცნიერული აღწერილობა; მან გაარკვია ხელნაწერის სახე, მისი რთული თავგადასავალი, დაადგინა ხელნაწერის თარიღი. ერთი სიტყვით, გ. ლეონიძემ წარმოადგინა ზაზასეული ხელნაწერის ძირითადად სავსებით სწორი, ყოველმხრივი დახასიათება. ამ წერილით მან საპატიო წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის ისტორიაში [7].

მრავალრიცხოვანი ნარკვევებითა და პუბლიკაციებით გიორგი ლეონიძემ გაამდიდრა ჩვენი ცოდნა და გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა ძველ-ქართულ მწერლობაზე, კერძოდ და განსაკუთრებით XVII—XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაზე. გ. ლეონიძემ წინ წასწია ჩვენი წარსული სულიერი კულტურის მეცნიერულად შესწავლის საქმე, ბევრი ახალი საკითხიც აღძრა მომავალი მუშაობისთვის. გ. ლეონიძის დაბადების 60 წლისთავი ემთხვევა მისი ნამდვილი შემოქმედებითი მოწიფულობის ხანას კვლევა-ძიების სფეროშიც. მისგან კვლავ ბევრს მოელის ჩვენი ხალხი. ვუსურვოთ სახელმოხვეჭილ პოეტსა და ღვაწლმოსილ მკვლევარს ხანგრძლივი სიცოცხლე და ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

---

[7] გ. ლეონიძის უმთავრესი ნარკვევები თავმოყრილია მის წიგნში „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბილისი, 1949; 1958 წ. დაიბეჭდა „ძიებათა“ მეორე, გაფართოებული გამოცემა.

კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული წერილები

1. გიორგი ნადირაძე. რუსთაველის ესთეტიკა, თბილისი, 1958, 430 გვ.

გ. ნადირაძის წიგნი წარმოადგენს სერიოზულ მეცნიერულ ნაშრომს. ერთი უაღრესად რთული რუსთველოლოგიური პრობლემა აძ ნაშრომში განხილულია საჭირო სისრულითა და სინათლით. ეს პრობლემა პირველად ხდება მონოგრაფიული შესწავლის საგნად. ამდენად იგი საგრძნობლად ავსებს არსებულ ხარვეზს.

მოკლე შესავალში (გვ. 5—12) გ. ნადირაძე აზუსტებს თავისი „ამოცანის ფარგლებს" და მკითხველს უთვალისწინებს „კვლევა-ძიების გზას". ავტორი ამბობს, რომ ის დიდად აფასებს „შედარებითი მეთოდის მნიშვნელობას", აპირებს ამ მეთოდის მომარჯვებას, რათა მკვეთრად წარმოაჩინოს „რუსთაველის ესთეტიკური კონცეფციის მთელი თავისებურება წინარუსთველური აზროვნების ფონზე" (გვ. 8). ავტორი იუწყება, რომ მისი „განზრახვაა საკუთარი პოზიტიური შეხედულების დალაგება და ამიტომ ამა თუ იმ საკითხის რუსთველოლოგიურ ისტორიას მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ ვეხებით" (გვ. 12).

ნაშრომის პირველ თავს (გვ. 13—36) ეწოდება „მსოფლმხედველობის საკითხისათვის". ამ თავის დასაწყისშივე ავტორი ამბობს, რომ რუსთაველის პოემა „ფილოსოფიური ჟანრის ნაწარმოებია", თუმცა „შეცდომა იქნებოდა ვეფხისტყაოსანში გვეძებნა ფილოსოფიური სისტემა" (გვ. 13). მას ჩამოთვლილი აქვს „რუსთაველის რელიგიურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობად წამოყენებული ცნებების ინდექსი" (ორთოდოქსალური ქრისტიანობა. ბიბლიური ქრისტიანობა, წარმართობა, მაჰმადიანობა, მანიქეიზმი, პლატონიზმი,

არისტოტელიზმი, ნეოპლატონიზმი, სტოიციზმი, სოლარიზმი. პანთეიზმი, ათეიზმი). ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ინდექსში გვხვდება ერთიმეორესთან სრულიად შეუთავსებელი და ერთიმეორის გამომრიცხავი სისტემები, რომ ზოგიერთი მკვლევარი რუსთველის მსოფლმხედველობის გამოსარკვევად პოემას იხილავს არა მთლიანად, არამედ ემყარება პოემის რომელიმე ცალკეულ კერძო ობითს მოტივს (გვ. 15). ავტორი მკაცრად, მაგრამ არსებითად სწორად და საბუთიანად აკრიტიკებს უკანასკნელ დროს წამოყენებულ თეორიას რუსთველის პანთეიზმის თაობაზე. ავტორი ბეჯითად ამტკიცებს, რომ რუსთველის რელიგიურ გრძნობას, — თანახმად პროფ. კ. კეკელიძის შეხედულებისა, — „საფუძვლად უდევს ქრისტიანული სარწმუნოება“ (გვ. 26), ოღონდ ეს არ არის ორთოდოქსალური ქრისტიანობაო. გ. ნადირაძის სიტყვით, რუსთველი ავითარებს ანტიასკეტიკურსა და ანტიკონფესიონალურ თვალსაზრისს (გვ. 31—33). მკვლევარი ასკვნის: „რუსთაველის რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ამოზრდილია X—XII საუკუნეების ქართულ ისტორიულ ნიადაგზე“ (გვ. 31).

შემდეგ თავებში გ. ნადირაძე იკვლევს რუსთველის ესთეტიკის პრინციპულ საკითხებს. მას თანამიმდევრულად აქვს გაანალიზებული და მწყობრად დალაგებული რუსთველის ესთეტიკური შეხედულებანი. გ. ნადირაძე იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ ვეფხისტყაოსნის „პროლოგის თეორიული დებულებები ხორცს ისხამენ და ცოცხლდებიან პოემის“ ნარატიულ ნაწილში (გვ. 199). რუსთველის ესთეტიკურ კონცეფციას მკვლევარი აყალიბებს ანტიკურ ესთეტიკურ კონცეფციებთან შეპირისპირების გზით. მისი მოსაზრებით, მცდარია რუსთველის ესთეტიკური კონცეფციის დაკავშირება პლატონთან ან ნეოპლატონიზმთან. მეტიც, „რუსთაველის ესთეტიკური კონცეფცია მთლიანად... ანტიპლატონური და ანტინეოპლატონურია“ (გვ. 284). ავტორის მოსაზრებათა თანახმად, რუსთველის ესთეტიკური შეხედულებანი „ძირითად მომენტებში ზუსტად უახლოვდება არისტოტელეს შეხედულებას“ (გვ. 71), მაგრამ „ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს რუსთაველის შეხედულება შემუშავებული იყო არისტოტელის გავლენით“ (იქვე). რუსთველის მთელი მსოფლმხედველობის ხასიათს, კერძოდ რუსთველის ესთეტიკურ შეხედულებებს, სარეცენზიო წიგნის თანახმად, აპირობებდა ქართული ეროვნული ნიადაგი.

გ. ნადირაძე ფიქრობს, რომ: „რუსთაველს ნათლად აქვს გაცნობიერებული მხატვრული სახე როგორც ზოგადისა და კერძოობითის ერთიანობა“ (გვ. 71) და რომ შესაფერისადვე „რუსთაველი უნდა.

ჩაითვალოს გაცნობიერებული რეალისტური კონცეფციის მესიტყვედ“ (გვ. 88). მესამე კარში საგანგებოდ განხილულია „ვეფხისტყაოსნის რეალიზმის თავისებურებანი“ (გვ. 95—135). მკვლევრის მოსაზრებით, „რუსთაველის რეალისტური კონცეფცია უნდა შემოწმდეს ვეფხისტყაოსნის პერსონაჟებზე“ (გვ. 95). ამიტომაც თავის ნაშრომში იგი დიდ ადგილს უთმობს ვეფხისტყაოსნის მხატვრული სახეების (პერსონაჟების) რაგვარობის საკითხებს. პოემის პერსონაჟთა რიგიდან მკვლევარი ბუნებრივად გამოყოფს იდეალიზებულ გმირთა ჯგუფს. „იდეალური გმირების დასურათებაში, — ამბობს გ. ნადირაძე, — რუსთაველი სარგებლობს რეალისტური ფერწერის იმ მეთოდით, რომელსაც შეიძლება შესაძლებლობის რეალიზმი ან რეალისტური რომანტიზმი ვუწოდოთ“ (გვ. 104. დაყოფა აქაც და ქვემოთაც ავტორისაა. — ა. ბ.). რუსთველის იდეალური გმირები „ამაღლებული არიან მოცემულ სინამდვილეზე“ და „როგორც ჰომეროსს და სოფოკლეს, ისე რუსთაველსაც ეს ამაღლებულობა გააზრებული აქვს რეალურად შესაძლებელი ნორმის ფარგლებში“ (გვ. 106). ავტორის დაკვირვებით, ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირები თუ, ერთი მხრივ, „მტკიცედ დგანან თავისი დროის გარდამავალ ისტორიულ ნიადაგზე“, მეორე მხრივ, ამ ნიადაგს ერთგვარად მოწყვეტილი არიან, „ისინი მომავალი საუკუნეების პერსპექტივაში გატყორცნილი სახეებია“ (გვ. 113). ავტორს შემოაქვს ახალი ტერმინი, ვეფხისტყაოსნის იდეალურ გმირებს ის უწოდებს „პერსპექტიულ სახეებს“ (იქვე). სავსებით სწორია გ. ნადირაძის მოსაზრება, რომ: „რუსთაველი ობიექტურებს თავის პირად გრძნობებს, ექსოვება თავის სახეებს“ (გვ. 133). ასევე სწორია დებულება: „ფსიქოლოგიზმი მსჭვალავს მთელ პოემას და ფსიქოლოგიური რეალიზმი სჭარბობს გარეგანი მოვლენების რეალიზმს“ (გვ. 118—119). „მკაცრი რეალისტური სტილით“ არის აწერილი გულანშაროს სამყარო, ამ სამყაროს დახატვისას იგრძნობა „მოურიდებელი ნატურალიზმის ხელბაგები“ (გვ. 152). მკვლევარის დასკვნით, ვეფხისტყაოსნისათვის ნიშანდობლივია „ანტროპოცენტრიზმი“ (გვ. 127). უფრო გასაგები ენითაა გამოთქმული ეს დებულება სხვაგან: „რუსთაველის ესთეტიკური სამყაროს ცენტრს წარმოადგენს ადამიანი“ (გვ. 166).

ესთეტიკურ ასპექტში იხილავს ავტორი ვეფხისტყაოსნის ძირითად იდეურ-თემატიკურ მოტივებს: სიყვარული როგორც ესთეტიკური ფენომენი (გვ. 196—215), მეგობრობა როგორც ესთეტიკური ფენომენი (გვ. 216—222), გმირობა როგორც ესთეტიკური ფენომენი (გვ. 223—238).

გ. ნადირაძის მონოგრაფიაში საინტერესოდ არის განხილული მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური ფორმის საკითხები, კერძოდ მისი სამი კომპონენტი: ჟანრები, კომპოზიცია და მხატვრული ენა. ანალიზი ჩატარებულია საქმის ღრმა ცოდნით, გემოვნებითა და სიფაქიზით. ავტორი ბევრ შემთხვევაში ახერხებს საკითხებისადმი ახლებურ მიდგომას და მათ ახლებურ გადაწყვეტას. დიდად საგულისხმოდ მიმაჩნია მკვლევრის მოსაზრებანი ნივთის ესთეტიკაზე რუსთველის პოემაში (გვ. 263). ამასთან დაკავშირებით საუცხოოდ არის გაანალიზებული, მაგალითად, ყაბაჩისა და რიდის ადგილი ვეფხისტყაოსანში (გვ. 269—272), აგრეთვე სამხრის მნიშვნელობა (გვ. 164). საზოგადოდ, მხატვრული ნაწარმოების ფორმის ანალიზი გამოირჩევა კონკრეტულობითა და სიზუსტით. წიგნში ბევრია ცალკეული საგულისხმო შენიშვნები და დაკვირვებანი.

გ. ნადირაძის ძირითადი დასკვნები და ძირითადი დებულებანი მისაღებად მიმაჩნია. ავტორი წარმატებით ცდილობს, დამკვიდრებულ შეხედულებებშიც კი ახალი შუქი შეიტანოს. სარეცენზიო ნაშრომიდან მკაფიოდ გამოსჭვივის ძიებისა და სიახლის გრძნობები. „რუსთაველის ესთეტიკა“ რუსთველოლოგიური მეცნიერების უდავო მიღწევაა.

ავტორის ზოგიერთი მოსაზრება დავასა და ცილობას იწვევს, ზოგი რამ მისი ნაშრომიდან მცდარად მიმაჩნია, შეინიშნება ცალკეული უზუსტობანი, მაგრამ ყოველივე ეს მაინც კერძოობითი მხარეა, რომელიც ძირითადს ჩრდილს ოდნავადაც ვერ მიაყენებს.

როგორც აღვნიშნეთ, გ. ნადირაძე ესთეტიკური ასპექტით ვრცლად აანალიზებს ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სახეებს (პერსონაჟებს). ის მართებულად ფიქრობს, რომ პოემის მთავარი გმირები პოეტმა გამოძერწა „ესთეტიკური და მორალური სრულქმნილების იდეის საფუძველზე“ (გვ. 110). სწორია ისიც, რომ: „ვეფხისტყაოსნის დადებითი გმირების ხასიათებში ყველაფერი როდია იდეალური“ (გვ. 111). რუსთაველმა დახატა ცოცხალი ადამიანები, რომელთათვის არავითარი ადამიანური უცხო არ იყო. მაგრამ, ჩემი მოსაზრებით, მკვლევარი აჭარბებს და არსებითად მცდარად განსაზღვრავს ტარიელის სახის რაობას. ეს მით უფროა ანგარიშგასაწევი გარემოება, რომ ტარიელის სახის სწორ გაგებასთან არის დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი პრობლემა (მაგალითად, პოემის სიუჟეტური კომპოზიციისა და ძირითადი თემის საკითხები).

გ. ნადირაძე საერთოდ იზიარებს იმ შეხედულებას, რომ ვეფხისტყაოსნის ძირითად, ცენტრალურ იდეალიზებულ სახედ უნდა მიჩნეულ იქნეს ტარიელი. ტარიელი „რუსთაველის საყვარელი გმი-

რია“ (გვ. 384), „თანასწორთა შორის პირველი“ (გვ. 103). ტარიელი „პოემის სიუჟეტურ ცენტრში დგას. იგი იმავე დროს არის მისი ფსიქოლოგიური ცენტრიც“ (გვ. 240). მეტიც, ტარიელი წარმოადგენს „პოემის მთავარი გმირის იდეალურ სახეს“ (გვ. 286). ამისდა მიუხედავად, ტარიელი თურმე ყოფილა დისჰარმონიული პიროვნება, სუსტი ნებისყოფის პატრონი, ნამდვილი გმირობის ნიშან-თვისებებს მოკლებული (გვ. 241—242). „გმირობა, — ამბობს გ. ნადირაძე, — უწინარეს ყოვლისა, სულიერი ენერგიაა“ (გვ. 223), „სულიერი სიდიადე“ (გვ. 249), შინაგანი, სულიერი ჰეროიზმი (იქვე). ტარიელის „ნებისყოფის სისუსტე... შესამჩნევად ასუსტებს მისი ინტელექტუალური აპარატის ეფექტსაც“ (გვ. 241). ასკვნის მკვლევარი. ამრიგად, გ. ნადირაძის მოსაზრებათა თანახმად, პოემის მთავარ იდეალურ პერსონაჟს ჰკლებია ნამდვილი გმირისათვის საჭირო სულიერი თვისებები, ნებისყოფის ძალა და გონიერება. თუ ეს ასეა, ტარიელი ვერაფერი შვილი იდეალური გმირი ყოფილა, პოემის სიუჟეტური და ფსიქოლოგიური ცენტრი, პირველი პირველთა შორის. აქ ადგილი აქვს არათანამიმდევრულ მსჯელობას და წინააღმდეგობას. თავისი დებულების საილუსტრაციო საბუთად გ. ნადირაძე ასახელებს ნესტანის გათხოვების თაობაზე გამართული თათბირის შემთხვევას. იგი წერს: „ნესტანის გათხოვების თაობაზე გამართულ თათბირში მან (ე. ი. ტარიელმა. — ა. ბ.) უდავო შეცდომა დაუშვა, ვერც სიტუაცია გაითვალისწინა მთლიანად, ვერც გამოსავალი იპოვა და, ცხადია, ვერც ნებელობითი გადაწყვეტილება მიიღო“ (გვ. 241). გ. ნადირაძე არსებითად იმეორებს ტარიელის მართ ძველად არა ერთხელ გამოთქმულ ბრალდებას, რაც თავის დროზე გაკრიტიკებული იყო ჩვენ მიერ [1]. მკვლევარს უნდა დაერღვია კონტრარგუმენტები, მაშინ მიეცემოდა მის მოსაზრებას ძალა. ის კი ტარიელი განცხადებით კმაყოფილდება. ჩვენ აქ ვერ გამოვუდგებით საკითხის განმეორებით განხილვას, ვიტყვით მხოლოდ, რომ საბედისწერო თათბირზე ტარიელი მოქმედებდა გეგმაშეწონილად. მან ალღო აუღო სიტუაციას, მოვლენები აწონ-დაწონა, გამოსავალიც იპოვა და თავსა უთხრა: „ჟამად გიჯობს გულმაგრობაო“ (533,4) და კიდევ: „ვთქვი, ამითა ვეღარას ვიქმ, ღონე სხვა რა მოვიგვარო“ (535,1). მაშასადამე, არ არის სწორი, თითქოს ტარიელი დაიბნა, სიტუაციაში ვერ გაერკვა და ვერც შესაფერისი გადაწყვეტილება მიიღო.

---

[1] ტარიელი: „რუსთაველის კრებული“, თბილისი, 1938, გვ. 93—97.

საუსებით სწორია მოსაზრება, რომ: „შინაგანი გმირობით ვერავინ ვერ გაუტოლდება ნესტან-დარეჯანს“ (გვ. 249—250). დავეკითხოთ ნესტანს, როგორ შეაფასა მან ტარიელის საცილობელად ქცეული მოქმედება? ნესტანს ხომ „ჩვენზე მეტი უფლება ჰქონდა ტარიელის მიმართ როგორც რისხვისა, ისე შეწყნარებისათვის“, თან-ბირზე ხომ მისი ბედი წყდებოდა! ნესტანმა რომ ტარიელის ახსნა-განმარტება მოისმინა, მან საუსებით გაამართლა თავისი მიჯნური, დაამშვიდა, დაუყვავა, მიუალერსა (538, 1—2):

მოლმობიერდა, მომიტკბა გამწყრალი, გარისხებული,
ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მთვარე პირ-გაუსებული.

უსწოროდ მიმაჩნია ვეფხისტყაოსნის პერსონაჟების ნადირაძისეული დაჯგუფება (გვ. 115—116).

გ. ნადირაძე მშვენივრად ამბობს: „ზოგადი ადამიანი არც ბუნებაში არსებობს და, საბედნიეროდ, არც რუსთაველის პოემაში“ (გვ. 67). ამავე დროს ის არ იწყნარებს ვეფხისტყაოსანში ილია ჭავჭავაძისეული გაგებით „ზოგადი ადამიანის“ ძიების კრიტიკას. მხედველობაში უნდა მივიღოთ ილიას წერილის[2] პოლემიკური ხასიათი (გვ. 99), თანაც „ილიას წერილი უნდა განხილულ იქნას არა იზოლირებულად, არამედ მისი მთლიანი ესთეტიკური კონცეფციის კონტექსტში“ (გვ. 98). გ. ნადირაძის ფიქრით, ილიას „ზოგადი ადამიანი“ არ გამორიცხავს ეროვნულ მომენტს (გვ. 97). საბუთად მას მოჰყავს ილიას წერილის ერთი ნაწყვეტი: „რამოდენადაც მწერლის შემოქმედების ძალა სწვდება... ზოგად-კაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა. თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისი სამკაულით აკაზმინებს, თავისი საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედებისას...“ ამას მკვლევარი ურთავს: „სამკაული და საფერავი“, რომელზედაც ლაპარაკია ამ ციტატში, ის ეროვნული სულია, რომელიც პოეტს შეაქვს მხატვრულ სურათებსა და სახეებში“ (გვ. 99—100. ილიას სიტყვების დაყოფა გ. ნადირაძისაა, გ. ნადირაძისა კი — ჩვენი. — ა. ბ.). თავის მხრით ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ გ. ნადირაძემ დაუმთავრებლად შეწყვიტა ილია ჭავჭავაძის ციტატი. მოყვანილი ტექსტის შემდეგ ილია განაგრ-

[2] იგულისხმება ილია ჭავჭავაძის წერილი „აკაკი წერეთელი და მისი ვეფხისტყაოსანი“, ილია ჭავჭავაძის ნაწერების კრებული, IV, ტფილისი, 1927, გვ. 183—198.

ძობს: „მაგრამ ეგ მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება“ (დაყოფა ჩემია — ა. ბ.).

სრულად მოყვანილი ამონაწერიდან სავსებით ცხადი ხდება, რომ ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისით მხატვრული ნაწარმოების, მხატვრული სახის („ხატის“ სულია, საფუძველია და პირი არსობის განმსაზღვრელია არა ეროვნული სამკაული და ფერი (კერძოობითი მხარე), არამედ მისი „შინაგანი ბუნება“ (ზოგადკაცობრიული მხარე).

წერილის პოლემიკური ხასიათი, მართლაც, მხედველობაში მისაღებია. ეროვნულ მომენტს რომ ილია ჭავჭავაძე საზოგადოდ დიდ ანგარიშს უწევდა, უსეც უდავოა. მაგრამ საცილობლად ქცეული საკითხი მაინც გამოკვეთილად კონკრეტულ ფაქტს შეეხება.

ვფიქრობ, არ შეგვფერის აკაკი წერეთლის რუსთველოლოგიური ნაშრომი იმ სიტყვებით შევაფასოთ, რასაც ადგილი აქვს სარეცენზიო წიგნში (აკაკის „კონცეფცია არ ტოვებს სერიოზულ შთაბეჭდილებას“, გვ. 96).

მთლად სწორი არ არის გ. ნადირაძის დებულება, თითქოს „რუსთაველი დადებითად აფასებს სალონურ პოეზიას, ახასიათებს მას როგორც „კარგსა“ და „საამურს“ (გვ. 326). სალონურ პოეზიას რუსთველი იწყნარებს მხოლოდ ნაწილობრივ, გარკვეული პირობით („с оговоркой“). ამ ჟანრის მოლექსეთ ის არ თელის ნამდვილ პოეტად (მოშაირედ).

ვეფხი და მისი ტყავი ვეფხისტყაოსანში გამოყენებულია მსოფლიო ლიტერატურისათვის უცნობ ორიგინალურ სიმბოლოდ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს შაჰნამეს გმირი როსტომი ვეფხის ტყავის სამოსელს არ ატარებდა (გვ. 397). შაჰნამეს ბაბრი (ببر) სწორედ ვეფხია (тигр).

ვეფხისტყაოსანში ძვირფასი ნივთების აღწერისას არა გვგონია, რომ „მუდამ წინა პლანზეა წამოწეული ესთეტიკური ინტერესი“ (გვ. 253—254).

საგულისხმოა გ. ნადირაძის დაკვირვებანი ვეფხისტყაოსნის ლირიკული პლასტებისა თაობაზე (გვ. 124 და შმდ.). იგი იზიარებს ჩვენს შეხედულებას და უკამათება აკადემიკოს ნიკო მარს (გვ. 124, 134—135). ავტორი სამართლიანად ასკვნის, „ჟანრობრივად ვეფხისტყაოსანი ლირო-უპიური ნაწარმოებია“ (გვ. 135). მით უფრო გაკვირვება გამოიწვია ჩვენში ამ საგანზე გ. ნადირაძის ერთი შენიშვნის უცნაურმა კილომ. ალ. ბარამიძეს „არ მოუცია

არავითარი ჰიპოთეზი იმის შესახებ, თუ რას უნდა მიეყვანა პოეტი ისეთ მდგომარეობამდე, რომ მას ესოდენი სასოწარკვეთილებით აღსავსე სიტყვები წარმოეთქვა“ 951 სტროფში „ვა, სოფელო“... (გვ. 324. დაყოფა ჩემია. — ა. ბ.). ავტორის მიერ მითითებულ ჩვენს „ნარკვევში“ (წიგნი მესამე, თბილისი, 1952, გვ. 151—153) კრიტიკულად არის განხილული ნ. მარის დებულება თითქოს რუსთველი „в самой поэме чужд совершенно субъективного настроения, в ней он по бесстрастности эник“. ჩვენ, პირიქით, ვამტკიცებთ, რომ: „ეპიკური ჟანრის ნაწარმოებში რუსთველი უაღრესობამდე ამჟღავნებს თავის პირადულ, სუბიექტურ განწყობილებას. რუსთაველის ინდივიდუალობა, როგორც ავტორისა, ძლიერ ხშირად იჩენს თავს ცალკეული სიტუაციებისადმი და პერსონაჟებისადმი დამოკიდებულებით...“ სხვა მრავალ საბუთთა შორის ჩვენ მოგვყავს ლირიკული პრელუდიის სახით ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი კარისადმი წამძღვარებული წუთისოფლის სამდურავი, კერძოდ „ვა, სოფელო“. ამ გზობის ჩვენ სრულიად არ გვჭირდებოდა ტექსტის სხვაგვარი ანალიზი. ხოლო იგივე ტექსტი ავტორის მსოფლმხედველობის თვალსაზრისით ჩვენ ორგზის გვაქვს გარჩეული („ნარკვევები“, I, თბილისი, 1945, გვ. 167; „ნარკვევები“, III, თბილისი, 1952, გვ. 102). ეს გარემოება გ. ნადირაძეს უყურადღებოდ არ უნდა დარჩენოდა.

ვეფხისტყაოსნის პროლოგის მე-9 სტროფი არავითარ შემთხვევაში არ იძლევა იმის საფუძველს, თითქოს რუსთველმა „გამოიყენა თავისი ქმნილებისათვის მოარული ხალხური არაკი“ (გვ. 286).

საზოგადოდ, ჩემი ფიქრით, ავტორი აჭარბებს ვეფხისტყაოსნის მისებურად გაგებული ხალხურობის დასაბუთების ცდით (გვ. 319—320). სხვათა შორის, არა გვგონია, „აბდულმესიანისა“ და „თამარიანისაგან“ განსხვავებით ვეფხისტყაოსანი „ერის ფართო მასებისათვის იყო გამიზნული“ (გვ. 415). თუმცა, რასაკვირველია, ვეფხისტყაოსანი სულ სხვა დანიშნულების ნაწარმოებია, ვიდრე „აბდულმესიანი“ და „თამარიანი“. არც ის იქნებოდა ზუსტი, როცა „თამარიანისა“ და „აბდულმესიანისათვის“ გვეწოდებინა ენკომიის ჟანრის ნაწარმოებნი (გვ. 321). კ. კეკელიძის განმარტებით, ენკომიები მოწამეთა და წმიდანთა ხოტბაშესხმათა სახეობაა (ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, თბილისი, 1951, გვ. 471, 524).

გადაჭარბებულადვე მიგვაჩნია ავტორის ზოგადი სახით მოცემული დებულება (რომელიც მონოგრაფიაში გაშლილი არ არის): „სოციალური თვალსაზრისით ქართული კლასიკური მწერლობის პროგ-

რესული ნაკადი მთელი ხალხის ანტიფეოდალურ განწყობილებებს გამოხატავდა“ (გვ. 6).

ვეფხისტყაოსნის პროლოგის მესამე სტროფის მეოთხე ტაეპი უწინარეს ყოვლისა თამარის „ლომს“ უნდა გულისხმობდეს და, შესაძლებელია, იმის შემდეგ (ან იმასთან ერთად) თამარსაც (გვ. 168).

უმართებულოდ მიგვაჩნია ვახტანგ მეექვსისა და მამუკა ბარათაშვილის გამოქომაგება ვეფხისტყაოსნის საცოლქმრო სიყვარულად გაგების საკითხში (გვ. 204).

მცდარია განზოგადებულად მიღებული დასკვნა, თითქოს ხელაღებით „აღორძინების ხანის ვერსიფიკაცია გზააცდენილი ეპიგონობა იყო“ (გვ. 414).

ავტორი ზედმეტად და მოჭარბებულად (რაც მთავარია, საჭიროების გარეშე) ხმარობს უცხოურ სიტყვებსა და ტერმინებს. მაგალითად: „ესთეტიკური შპანუნგი“ (გვ. 221), „აზიანიზმის ჩუქურთმები“ (გვ. 306), „ატიცისტური სისადავე“ (იქვე). „ამბივალენტური განცდა“ (308), „ეპიდიქტიური სახოტბო სიტყვა“ (გვ. 321) და სხვა მრავალი. ეს მით უფროა აღსანიშნავი, რომ ს ი ნ ა თ ლ ე მას მიაჩნია პოეზიის ღირსების ერთ უძირითადეს ნიშნად.

სარეცენზიო ნაშრომი წარმოდგენილია საკვალიფიკაციოდ, ავტორისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მისანიჭებლად. ჩემი აზრით, ნაშრომი საესებით აკმაყოფილებს თავის ოფიციალურ დანიშნულებას: „რუსთაველის ესთეტიკის“ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე მის ავტორს, დოცენტ გიორგი ნადირაძეს, უნდა მიენიჭოს ძიებული სამეცნიერო ხარისხი.

ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. მიმოსლვა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956. 0253+160 გვ.

სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს ტიმოთე გაბაშვილის უმთავრესი თხზულების — „მიმოსლვის“ მეცნიერულ პუბლიკაციას, ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვას და გამოცემული ტექსტის გარჩევას ფილოლოგიური, ისტორიულ-ლიტერატურული, ისტორიულ-კულტურული და ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით. ტიმოთემ აღმოსავლეთში მთაწმინდასა (ათონსა) და იერუსალიმში იმოგზაურა იქაური ქართული კერების მოსახილავად და აღსაწერად 1755 წლის გასულიდან 1759 წლის გასულამდე (სარეცენზიო შრომის გვ. 031—037, 0115). ჩვენს ყურადღებას პირველ

რიგში იპყრობს ე. მეტრეველის წიგნის ტექსტოლოგიური ნაწილი. „მიმოსლვა“ XVIII საუკუნის ქართული მწერლობის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი საინტერესოა როგორც მწერლობის ახალი ჟანრის (მოგზაურობათა აღწერილობა), ნიმუში და საისტორიოგრაფიო წყარო. „მიმოსლვა“ პირველად გამოაქვეყნა პლატონ იოსელიანმა „მ ო ხ ი ლ უ ა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტ ი მ ო თ ე ს გ ა ნ, ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა“ (თბილისი, 1852). როგორც ე. მეტრეველის ნაშრომიდან ჩანს, პ. იოსელიანის გამოცემა ამჟამად ოდნავ დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. იოსელიანს ტექსტი დაუბეჭდავს ნაგვიანევი ხელნაწერის მიხედვით, უკრიტიკოდ და შეცდომებით (გვ. 062—068).

ე. მეტრეველს ამომწურავი სისრულით შეუსწავლია ტიმოთე გაბაშვილის თხზულებათა შემცველი ხელნაწერები ყველა არსებული ფონდის მიხედვით (თბილისის, ლენინგრადისა და ქუთაისის ფონდები), მოუხდენია ხელნაწერთა ზუსტი კლასიფიკაცია, გამოუვლენია რამდენიმე ავტოგრაფული ნუსხა (პირველი გამოცემა ემყარებოდა არაავტოგრაფულ ხელნაწერს), ბეჯითი კვლევა-ძიების შედეგად დაუდგენია თხზულების სამი რედაქციული ტექსტი, გამოცემის საფუძვლად აუღია ავტორის მიერ საბოლოოდ დამუშავებული რედაქცია (ვარიანტებში სრულად ნაჩვენებია დანარჩენი რედაქციის ტექსტებიც). ტექსტების შესწავლის საფუძველზე მკვლევარს ახლებურად დაუსათაურებია ტიმოთეს მოგზაურობის წიგნი.

ე. მეტრეველი ეჭვმიუტანლად ამტკიცებს, რომ „მიმოსლვის“ პირველი, A, რედაქცია (საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი H 842) ყველაზე უძველესია წარმოშობით, დაწერილია მთაწმიდაზე (ათონზე) და კონსტანტინეპოლში 1756—1757 წლებში, მოცულობით უმოკლესია, შეიცავს მხოლოდ მთაწმიდისა და კონსტანტინეპოლის აღწერილობას. „მიმოსლვის“ მეორე, B, რედაქცია (საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი Q 80) შეიცავს იერუსალიმის აღწერილობასაც, დაწერილია საქართველოს გარეთ 1758 წლის მიწურულში და 1759 წლის დამდეგს. მიმოსლვის მესამე, C, რედაქცია (საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი S 3244) წარმოადგენს ამავე თხზულების მეორე (B) რედაქციის გადამუშავებას, დაწერილია საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ე. ი. არა უადრეს 1759 წლისა (გვ. 08—011, 014, 017 და სხვ.). „მიმოსლვის“ სამი ავტოგრაფული ხელნაწერი იმავე დროს შეიცავს თხზულების სამს, ერთმანეთისაგან რედაქციულად საკმაოდ განსხვავებულ ტექსტს. ე. მეტრეველს მოყვანილი აქვს ტექსტების რედაქციულ სხვაობათა საგულისხმო მაგალითები. მკვლევარს უცდია ამ სხვაობათა გამომწვევი მიზეზების

ახსნა. ტიმოთე გაბაშვილს თავისი მუშაობა ტექსტზე მაინც არ დაუმთავრებია სამი ავტოგრაფული ნუსხისა და სამი რედაქციული ტექსტის შექმნით. „მიმოსლვის“ უკანასკნელი რედაქციის ტექსტი (C რედაქციის ავტოგრაფული ხელნაწერი) ავტორის მითითებით გადაუნუსხავს ჩვენთვის უცნობ გადამწერს (ე. მეტრეველის მოსაზრებით საქართველოს გარეთ, საფიქრებელია რუსეთში გამგზავრების შემდეგ, ასტრახანშიო, გვ. 021). უცნობი პირის მიერ გადანუსხული ტექსტი ტიმოთეს თვითონ „გაუჩალხავს“ (გვ. 020). ასე წარმოშობილა ავტოგრაფული მნიშვნელობის მქონე მეოთხე, D. ხელნაწერი „მიმოსლვისა“ (საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდი E—31). D-ს ტექსტი რედაქციულად არ განსხვავდება C-ს ტექსტისაგან. ე. მეტრეველს სრულიად სამართლიანად თავისი გამოცემის დედნად აუღია C ხელნაწერი (C რედაქცია), რამდენადაც იგი ყველაზე უფრო სრულია (D-სთან ერთად) და შეიცავს „მიმოსლვის“ საბოლოოდ დამუშავებულ რედაქციას“ (გვ. 020). ამრიგად, ე. მეტრეველს გარკვეული აქვს „მიმოსლვის“ რედაქციათა ნაირობანი და ტექსტიც დაბეჭდილია ამ ნაირობათა დადგენისა და მათი ავკარგიანობის აწონ-დაწონვისა და სწორი შეფასების შედეგად. ამჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვის“ სანდო, მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა. ჩვენი აზრით, ესაა სარეცენზიო წიგნის ყველაზე უფრო დიდი ღირსება. „მიმოსლვის“ პუბლიკაციით ე. მეტრეველი გვევლინება როგორც დახელოვნებული ფილოლოგი-ტექსტოლოგი. უნდა ითქვას, რომ ჩვენ განვიცდით კარგად განსწავლული, ასე ვთქვათ, პროფესიონალი ტექსტოლოგების ნაკლებობას. მით უფრო სასიხარულოა ე. მეტრეველის სარეცენზიო წიგნის გამოჩენა. ე. მეტრეველის მუშაობა ყოველმხრივ მოსაწონია და წასახალისებელი.

ტიმოთე გაბაშვილის ცხოვრებისა და სამწერლო მოღვაწეობის შესახებ დღემდის ჩვენ მოგვეპოვებოდა „მიმოსლვის“ პირველი გამოცემის რედაქტორის მოკლე ცნობები და პროფ. კ. კეკელიძის ცნობილ კურსში („ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, I, 1923, 1941, 1952) შესული მიმოხილვა. ე. მეტრეველს მოუხდა ტიმოთეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის სპეციალური მონოგრაფიული შესწავლა. მას გარკვეული აქვს (დიდძალი ლიტერატურის, მათ შორის საარქივო მასალების, გამოყენების საფუძველზე) ტიმოთეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტიმოთეს დიპლომატიური მოღვაწეობის მიმოხილვა. ტიმოთე იყო რუსული ორიენტაციის დაჯერებული მოღვაწე

თავისი გონივრული პრაქტიკული საქმიანობით მან დიდად შეუწყო ხელი რუსეთისა და საქართველოს დაახლოების საქმეს. დამაჯერებელია ე. მეტრეველის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მთაწმიდა და იერუსალიმი ტიმოთეს იზიდავდა ერთი მხრივ, როგორც ძველი ქართული კულტურის დიდი კერები და, მეორე მხრივ, სპეციალური სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების გამო (გვ. 0127). ოღონდ იქნებ ზედმეტი იყოს ამ შემთხვევისათვის მოხმობილი სიტყვა „დაზვერვა". დამაჯერებელია ე. მეტრეველის მოსაზრებანი, რომ ტიმოთე გაბაშვილი უნდა ყოფილიყო თავის დროისათვის საყურადღებო სამხედრო რუკის ავტორი (გვ. 084, 090—091 და სხვ.). ე. მეტრეველს ზუსტად აქვს დადგენილი ტიმოთეს აღმოსავლეთში მოგზაურობის ქრონოლოგია. შრომას დართული აქვს ე. მეტრეველის მიერ კარგად შედგენილი რუკა ტიმოთეს მოგზაურობისა.

საერთოდ და მთლიანად ე. მეტრეველს სწორად აქვს გარკვეული ტიმოთე გაბაშვილის ადგილი ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და მწერლობის ისტორიაში. სარეცენზიო შრომაში საინტერესოდ არის გაანალიზებული „მიმოსლვა" როგორც ლიტერატურული დოკუმენტი. ამასთან დაკავშირებით მკვლევარმა წამოაყენა და, ვფიქრობთ, სწორი მიმართულება მისცა შოთა რუსთველის ერთი ძირითადი ხასიათის საბიოგრაფიო ფაქტის დადგენასა და გადაწყვეტას. „მიმოსლვის" ტექსტზე დამყარებით ე. მეტრეველი საგულისხმოსა და დამარწმუნებელ მოსაზრებებს გამოთქვამს შოთა რუსთველისა და მეჯურჭლეთუხუცესის შოთას იგივეობის შესახებ (ცნობები შოთა მეჯურჭლეთუხუცესის თაობაზე დაუცავს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერ საბუთებს, ხოლო შოთა რუსთველი გამოხატულია იმავე მონასტრის კედელზე). ე. მეტრეველის მსჯელობა მეტად ფრთხილია, ჰიპოთეზურია, მაგრამ საკმაოდ არგუმენტირებული (გვ. 055—056). სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ მკვლევარი საგანგებოდ არ ჩერდება აღძრულ საკითხზე და დაწვრილებით განხილვას მომავლისათვის გვპირდება (გვ. 056, შენ. 1). საყურადღებო, თუმცა საცილობელი, მოსაზრებანი აქვს გამოთქმული ე. მეტრეველს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ვითარებასა და იდეურ ბრძოლებზე XVIII საუკუნის შუა წლებში (ანტონ კათალიკოსისა და ზაქარია გაბაშვილის ისტორია). ერთი სიტყვით, ე. მეტრეველის ნაშრომი უთუოდ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისა საზოგადოდ და ქართული ლიტერატურის ისტორიისა კერძოდ. ეს ნაშრომი დაწერილია საქმის დიდი სიყვარულითა და ცოდნით. ფართო ინტერესებითა და კარგი ლიტერატურული გემოვნებით.

რამდენიმე ცალკეული ხასიათის შენიშვნა.

ე. მეტრეველი სწორ შეფასებას აძლევს ტიმოთე გაბაშვილს როგორც მწერალს, როგორც მოგზაურობის ჟანრის მწერლობის წარმომადგენელს ჩვენში. მაინც მკვლევარი ძალიან მოკლედ ჩერდება აღნიშნულ საკითხზე. ე. მეტრეველი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ტიმოთე გაბაშვილს როგორც ისტორიკოსს, ვიდრე საკუთრივ მწერალს. ვფიქრობთ, უკმარია ის ანალიზი, რაც მკვლევარმა უძღვნა მოგზაურობის ჟანრისა და „მიმოსლვის“ სტილის საკითხებს (0154—0158). ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვა“ იძლევა იმის საბუთებს, რომ მეტი ანგარიში გაწეოდა ძეგლის ლიტერატურულ-მხატვრულ მხარეებს.

ზემოთ შევნიშნეთ, რომ ე. მეტრეველი დიდ ყურადღებას აქცევს იდეური ბრძოლების საკითხს XVIII საუკუნის შუა წლებში. მე დამარწმუნებლად არ მეჩვენება ის დახასიათება, რასაც მკვლევარი აძლევს ანტონ კათალიკოსისა და ზაქარია გაბაშვილის ურთიერთობას. კერძოდ, მკვლევარი ვერ არწმუნებს მკითხველს, თითქოს ზაქარია გაბაშვილი მეთაურობდა „კლერიკალურ ბანაკს“ ანდა სათავეში ედგა „რეაქციულ-კლერიკალურ ჯგუფს“ (გვ. 060—062) და ამ პოზიციიდან ებრძოდა ანტონ კათალიკოსსა და მის მიმდევრებს. ე. მეტრეველის მსჯელობიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს თვითონ ზაქარიას მოწინააღმდეგეთა დასი (ე. ი. ანტონის მომხრეთა დასი) როდი ეკუთვნოდა „კლერიკალურ ბანაკს“. სინამდვილეში ერთმანეთს ებრძოდა კლერიკალური დასის ორი ფრთა. მოდასენი ამოფარებული იყვნენ დოგმატიკურ-კონფესიური საკითხების სიბურველს. აკი თვითონ ე. მეტრეველიც აღიარებს, რომ: „ტიმოთე გაბაშვილს რ ე ა ქ ც ი უ ლ ი პოზიცია ეკავა რუსთველის გარშემო ამტყდარ ბრძოლაში“ (გვ. 062). განა დოგმატიკურ-კონფესიურ საკითხებში ტიმოთე მოწინავე პოზიციებზე იდგა? მკვლევარი ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევა თავის წიგნში.

შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ანტონისა და ზაქარიას ბრძოლის საგანი იყო რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი.

ე. მეტრეველი თანამიმდევარი არ არის ტიმოთე გაბაშვილის მხრით რუსთველისადმი დამოკიდებულების პოზიციის განსაზღვრაში. დავიწყოთ იქიდან, რომ ე. მეტრეველი მკვლევართა ერთ ჯგუფს არაპირდაპირ სდებს ბრალს იმაში, ვითომც ამ ჯგუფმა ტიმოთეს ცნობილი ცილისმწამებლური განცხადება რუსთველის შესახებ განიხილა „ამოგლეჯით“ (გვ. 047). ე. მეტრეველი ამტკიცებს, რომ ტიმოთე გაბაშვილი საერთოდ პატივისცემით და მოკრძალებით ახსენებს შოთა რუსთველს, თვლის მას კტიტორად, ჯვრის ჭონასტრის

განმაახლებლად თუ მეორედ აღმაშენებლად (გვ. 050, 053, 054 და სხვ.); მეორე მხრით, „მიმოსლვის“ ტექსტის საბოლოო. C, რედაქციაში ტიმოთე გაბაშვილი ცილისმწამებლურ დახასიათებას აძლევს შოთა რუსთველს: „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი...“ (გვ. 80, შენ.). ე. მეტრეველის სიტყვით, მსგავსი დახასიათება რუსთველისა ბუნებრივად არ გამომდინარეობს ტიმოთე გაბაშვილის მსჯელობიდან რუსთველის შესახებ „მიმოსლვის“ ტექსტის კვალობაზე. რუსთველის განმაქიქებელი დახასიათება გაჩენილა C ხელნაწერის კიდეზე, მინაწერის სახით, ტექსტის გადამუშავების დროს. „მინაწერი ლოგიკურად არ გამომდინარეობს ძირითადი ტექსტის შინაარსიდან. ის ხელოვნურად და ძალად მიტმასნილი ჩანს“ (გვ. 059. დაყოფა ჩემია. — ა. ბ.). ე. მეტრეველი ფიქრობს, რომ ტიმოთე გაბაშვილი „აიძულეს გაეკეთებინა მისი საერთო თვალსაზრისის საწინააღმდეგო განცხადება“ (გვ. 060). ამიტომაც „მიმოსლვის“ ტექსტის გამომცემელს რუსთველის განმაქიქებელი განცხადება ძირითადი ტექსტიდან ამოუღია და გადაუტანია შენიშვნაში. გამომცემლის ეს ნაბიჯი თვითნებურია. ე. მეტრეველი გვისაბუთებს, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ ტიმოთეს მოგზაურობის ტექსტი „გულდაჯერებით კიდევ ერთხელ გადაუმუშავებია“ (გვ. 048), ხელნაწერის კიდეებზე გაუკეთებია სხვადასხვა რიგის შენიშვნები. „ერთი რიგის“ მინაწერებით ავტორს განზრახული ჰქონდა შეეცვალა ტექსტი ახალი მასალით. ეს მინაწერები ნავარაუდევი იყო (ძირითად) ტექსტში შესატანად... ავტორი, ჩანს, ვარაუდობდა, რომ C ხელნაწერის გადანუსხვისას მინაწერები (ძირითად) „ტექსტში ჩაერთვოდა“ (გვ. 049). მკვლევარი არ ივიწყებს შენიშნოს, რომ სწორედ ამ „რიგისაა შოთა რუსთველის გამკილავი მინაწერიცო“ (გვ. 49). მართლაცდა, D ხელნაწერში ყველა შესაფერისი მინაწერი, მათ შორის შოთას განმაქიქებელი დახასიათება, შეტანილია ძირითად ტექსტში. მაგრამ ეს ცოტაა. D ხელნაწერის უცნობ გადამნუსხავს შოთას განმაქიქებელი დახასიათება ძირითად ტექსტში შეუტანია მექანიკურად, რასაც გამოუწვევია „წინადადების სინტაქსური წყობის დარღვევა“. ეს გარემოება შეუნიშნავს თვითონ ტიმოთე გაბაშვილს, მას „თავისი ხელით შეუსწორებია და სინტაქსურად გაუმართავს“ ტექსტი (გვ. 049). ტიმოთე ამითაც არ დაკმაყოფილებულა. მას რუსთველის განმაქიქებელი მოკლე შენიშვნა ჩაურთავს „მიმოსლვის“ B რედაქციის ხელნაწერშიც (გვ. 050). A რედაქციაში ამისათვის ადგილი არ იყო,

იქ მთაწმიდის ამბებია აღწერილი და რუსთველი მოხსენებული არ არის. ამრიგად, ტიმოთე გაბაშვილს მოფიქრებულად და შეგნებულად ანტირუსთველური ტენდენციით გაუმსჭვალავს „მიმოსლვის“ ტექსტის ყველა, ამ შემთხვევისათვის გამოსაყენებელი, ხელნაწერი. ამისდა მიუხედავად. ავტორის ნების წინააღმდეგ, ე. მეტრეველს ძირითადი ტექსტიდან ამოუკვეთია ანტირუსთველური შენიშვნები და სქოლიოში პეტიტით დაუბეჭდავს. ვეკითხებით, რა უფლებით მოიქცა ასე ტექსტის მეცნიერი გამომცემელი? ე. მეტრეველს დაურღვევია როგორც ავტორის ნება, ისე მის მიერვე მიღებული წესი ტექსტის პუბლიკაციისა. ასეთი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ მკვლევარს მით უფრო ნაკლები უფლება ჰქონდა სხვებისათვის ესაყვედურა, აქაო და რუსთველის განმაქიქებელი დახასიათება „ამოგლეჯილად“ მოაქვთ და იმას კი არ ითვალისწინებენ, თუ „რამდენად შეეფერება იგი (ტიმოთე გაბაშვილის) საზოგადოებრივ სახესა და მსოფლმხედველობას საერთოდ“ (გვ. 047). ჯერ ერთი, როგორც ხედავთ, მიკერძებას იჩენს თვითონ ე. მეტრეველი, მეორეც, რუსთველის განქიქება ტიმოთეს დაუწყია თავისი ტექსტის „გულდაჯერებით“ გადამუშავების შედეგად და, მესამეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ე. მეტრეველი თვითონ აღიარებს, რომ: „ტიმოთე გაბაშვილს რეაქციული პოზიცია ეკავა რუსთველის გარშემო ამტყდარ ბრძოლაში“ (გვ. 062). მაშასადამე, სხვების მიმართ სასაყვედურო ე. მეტრეველს არაფერი აქვს.

გასარკვევია საკითხის მეორე მხარე. ე. მეტრეველი ამტკიცებს, რომ ტიმოთე გაბაშვილის გუნება-განწყობილებაზე, მის დამოკიდებულებაზე რუსთველისადმი თითქოს უმოქმედნია ზაქარია გაბაშვილს თუ იმ ატმოსფეროს, რომელიც ზაქარია გაბაშვილის ბრძოლას შეუქმნია. რადგანაც „ქვეყნის იდეოლოგიური მესაჭეობა ზაქარია გაბაშვილმა იდვა თავს“ (გვ. 060). ერთი მხრით, ე. მეტრეველი ამბობს: „ჩვენამდე არ მოუღწევია ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობა დამყარდა ქართლში ჩამოსულ ტიმოთესა და ზაქარია გაბაშვილის ჯგუფს შორის“ (გვ. 061), მეორე მხრით კი მკვლევარი იმ აზრს ავითარებს, რომ სწორედ ზაქარია გაბაშვილმა და იმისმა ჯგუფმა აიძულა ტიმოთე გაბაშვილი ანტირუსთველური პოზიციებიდან გადაესინჯა „მიმოსლვის“ ტექ-ტიო. ე. მეტრეველი ხელაღებით ასკვნის: „ამ მინაწერით (ლაპარაკია შოთა რუსთველის განმაქიქებელ დახასიათებაზე. — ა. ბ.) უნდა დაეყუჩებინა ტიმოთეს თავისი „დროის უფალნი“, ზაქარია გაბაშვილის რეაქციულ-კლერიკალური ჯგუფი, ამ დროისათვის აღზევებული და ქვეყნის სასულიერო ცხოვრების წარმმართველი“ (გვ. 062).

ე. მეტრეველის თქმისა არ იყოს, ჩვენ მართლაც სრულიად არაფერი ვიცით ზაქარია გაბაშვილის რუსთველისადმი დამოკიდებულების შესახებ და ამ უბრალო მიზეზის გამო ვერც ვიტყვით, რომ ტიმოთე გაბაშვილი იძულებული გახდა ზაქარია გაბაშვილის ზეგავლენით გალაშქრებულიყო რუსთველის წინააღმდეგ. ამასთან, ტიმოთე გაბაშვილი ძლიერ სულმოკლე პიროვნებად უნდა წარმოგვედგინა, თუ იგი იძულებული გახდა ზაქარიას შიშით რუსთველი დაუმსახურებლად გაელანძღა (ე. მეტრეველის წიგნიდან ასეთად არ გამოიყურება ტიმოთე გაბაშვილი); ხოლო რუსთველის უარყოფითად დახასიათების მხრით თუ ვინმე იყო ტიმოთესათვის მისაბაძი, ეს უნდა ყოფილიყო უფრო ანტონ კათალიკოსი, ვიდრე ზაქარია გაბაშვილი...

დასასრულ, დავუშვათ, რომ საქართველოში ატეხილმა იდეურმა ბრძოლამ აიძულა ტიმოთე გაბაშვილი თავისი სინდისის წინაშე უკან დაეხია და უმართებულოდ გაეკიცხა რუსთველი. „მიმოსლვის“ ავტორიზებული D ხელნაწერი ე. მეტრეველის მოსაზრებით საქართველოს გარეთ, რუსეთში, ასტრახანშია გადაწერილი (გვ. 021), როდესაც ტიმოთე სამშვიდობოს იყო გასული და მას საბოლოოდ ჰქონდა დატოვებული მშობლიური მხარე. რა სინდისმა აიძულა იგი ამ ხელნაწერის გამართვისა და გაჩალხვის დროს საკუთარი ხელრთვით დაედასტურებინა შოთა რუსთველის უმაგალითოდ ღვაწლიანი ლანძღვა-გინების ფაქტი?! ზაქარია გაბაშვილს ასტრახანამდის ხელი არ მიუწვდებოდა, მით უმეტეს, რომ ამ დროს იგი თვითონ იყო დევნის საგანი. ე. მეტრეველის გამოკვლევით, ტიმოთე გაბაშვილი რუსეთში გამგზავრებულა 1761 წლის დამლევს, 1762 წლის დამდეგში ყიზლარში ყოფილა, ასტრახანში დამკვიდრების ნებართვა კი მიუღია სინოდის 1762 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულების თანახმად. მასაც არ დაუყოვნებია ყიზლარიდან ასტრახანში გადასვლა (გვ. 0121—0122). მაშინ კი ქართლში მეფობდა ერეკლე მეორე, ანტონ კათალიკოსი რეაბილიტირებული იყო და ზაქარია გაბაშვილის საქმე უკუღმა მიდიოდა. ვიმეორებ, ასეთ ვითარებაში მაინც რამ აიძულა ტიმოთე გაბაშვილი რუსთველის მტრად დარჩენილიყო, თუკი ეს მტრობა მართლაც ზაქარია გაბაშვილისა და მისი მომხრეების თვალის ასახვევად იყო მოგონილი!

სარეცენზიო წიგნში გვხვდება ერთი ლაფსუსი (თუ შეუმჩნეველი მძიმე კორექტურული შეცდომა): საეკლესიო-საპოლემიკო თხზულების „გრდემლის“ ავტორად დასახელებულია ბესარიონ გაბაშვილი (გვ. 0125), ნაცვლად ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი-

სა (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1941, გვ. 320—321).

ე. მეტრეველი ორჯერ ასახელებს იოვანე ბატონიშვილის „მცირე უწყებას ქართველ მწერალთათვის“ (გვ. 028, 077). ნამდვილად ამ სათაურის მქონე მოთხრობას იოვანე ბატონიშვილი არ იცნობს; ეს სათაური შეარქვეს „კალმასობის“ ერთ ნაწილს, სადაც მართლაც მოკლედ მიმოხილულია ქართული მწერლობა.

სარეცენზიო წიგნს დართული აქვს დამაკმაყოფილებლად შედგენილი ლექსიკონი. ოღონდ ლექსიკონის აგების ერთიანი პრინციპი დაცული არ არის. ავტორი ზოგჯერ მიუთითებს სიტყვის უცხოურ წარმოშობილობაზე, ზოგჯერ კი არა. მაგალითად. ქოლგა სპარსულიაო და მოყვანილია შესაფერისი სიტყვა არაბული შრიფტით, ხოლო იქვე ქულბაქზე ამ მხრივ არაფერია ნათქვამი. ეს გამონაკლისი როდია. ასეა შედგენილი მთელი ლექსიკონი. განმარტებანი ყოველთვის არ არის მთლად ზუსტი, ყოველ შემთხვევაში ამომწურავი. მაგალითად, ფერმანი — შეწყნარების წიგნი; მირქმა — ხელში აყვანა; განმარტება სწორია, მაგრამ სრულიად უკმარი. საქმე ისაა, რომ ტექსტში დასახელებულია მონასტერი მირქმისა. რა თქმა უნდა, აბსურდი იქნებოდა ეს ადგილი ასე გაგვემარტა: მონასტერი ხელში აყვანისა. რასაკვირველია, აქ იგულისხმება: მირქმის სახელობის მონასტერი (სახარებით ცნობილია ეპიზოდი „მირქმა უფლისა“, როდესაც მოხუცმა სვიმეონმა ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა ყრმა ქრისტე). მყოვარჟამ განმარტებულია როგორც მუდამ ჟამ. ეს აშკარა შეცდომაა. მყოვარჟამ ნიშნავს დიდხანს (საბათი: მყოვარ — ხანდაზმით). მერჩულის მყოვარჟამ დადუმდა ნ. მარს ნათარგმნი აქვს ასე: долго молчал (TP, VII, გვ. 58_{175}; 130_{69}).

ჩვენი შენიშვნები სრულიად უმნიშვნელოა იმ დადებითთან შედარებით, რასაც იძლევა ე. მეტრეველის სარეცენზიო შრომა

ვ. შ. ხიდაშელი, ჰუმანიზმის ზოგიერთი საკითხი ფეოდალური ხანის ქართულ მწერლობასა და ვეფხისტყაოსანში [3]

შ. ხიდაშელის ნარკვევი საინტერესოა და დიდ ყურადღებას იმსახურებს. ეს ინტერესი იმით არის გამოწვეული, რომ ავტორი

[3] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, V, გვ. 267—294.

ცდილობს სიახლე შეიტანოს ვეფხისტყაოსნის საკითხების გაშუქებაში. იგი აყენებს ორ ახალ, ჰიპოთეზურ დებულებას:

1. მიჯნურობის იმ სახეობას, „რომელსაც რუსთაველი „საზეოს" უწოდებს, ქართული საეკლესიო მწერლობა იცავდა" (გვ. 286). ამ სამიჯნურო სახეობის კრიტიკა რუსთველის მხრით „ქართული საეკლესიო მწერლობისა და მასში გამოხატული თეოლოგიურ-იდეალისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ არის მიმართული" (იქვე).

2. შ. ხიდაშელის მოსაზრებით, რუსთველის ჰუმანიზმის ფილოსოფიური თეორია პანთეიზმია (გვ. 292). ეს დებულება უფრო მკაფიოდაა გამოხატული რუსულ რეზიუმეში: „Есть основание предполагать, что философской теорией гуманизма в поэме Руставели является пантеизм" (გვ. 294).

თავის მეორე დებულებას მკვლევარი სიფრთხილით აყენებს. ის საგანგებოდ შენიშნავს: „როგორია რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებანი — ეს უაღრესად რთული და სპეციალური კვლევის საკითხია. მისი გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია წარმოდგენილი წერილის ფარგლებში" (გვ. 292). უფრო ბეჯითად იცავს ავტორი პირველ დებულებას.

შ. ხიდაშელის ნარკვევში სწორი მოსაზრებებია გამოთქმული რუსთველის ჰუმანიზმის ხასიათისა და ვეფხისტყაოსნის სამიჯნურო სახეობათა კლასიფიკაციის თაობაზე. საერთოდ, სწორადაა ნარკვევში გაანალიზებული ადრინდელი პერიოდის საეკლესიო მწერლობის მსოფლმხედველობრივი საკითხები.

მთავარი შენიშვნა, რომელსაც შ. ხიდაშელის ნარკვევი იწვევს, ისაა, რომ ავტორი ყოველთვის სწორ განმარტებას არ აძლევს ვეფხისტყაოსნის ტექსტს, დასკვნა კი შორს მიმავალი გამოაქვს. შ. ხიდაშელი ვრცლად არჩევს „ვეფხისტყაოსნის" პროლოგის შემდეგ სტროფს:

> ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
> ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
> იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
> ვინცა უცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა (20).

ამ სტროფში დახასიათებულ მიჯნურობას შ. ხიდაშელი, რუსთველის თანახმად, უწოდებს აღმაფრენის მომცემ საზეო საქმეს და ასკვნის: „ვინც შეეცდება ამგვარ მიჯნურობას მიეცეს, იგი რუსთაველის აზრით, თავიდან აიცილებს მრავალ «წყენას», მრავალ უსია-

მოვნებას. აქ «წყენასაა» და უსიამოვნებაში რუსთაველი, ჩვენი აზრით, ამქვეყნიურ «წყენასა» და უბედურებას გულისხმობს, რადგან საზენაო (?) სიყვარული ადამიანს, ქართული საეკლესიო მწერლობის შეხედულების მსგავსად, ამქვეყნიური სინამდვილიდან სთიშავს და ამდენად მას ამქვეყნიური სიდუხჭირიდან იცავს» (გვ. 285. დაყოფა ჩემია — ა. ბ.). დაყოფილი სიტყვებით გამოთქმული მოსაზრება არ გამომდინარეობს რუსთველის ციტირებული ტექსტიდან. რუსთველი ამბობს, რომ ვინც ამგვარი (საზეო) მიჯნურობის მიყოლას შეეცდება, მას დასჭირდება მრავალი წყენის ატანა (დათმენა), ე. ი. მას მრავალი წყენა და უსიამოვნება შეხვდებაო. შ. ხიდაშელი კი პირიქით ამტკიცებს, საზეო მიჯნურობის მიმყოლი თავიდან აიცილებს მრავალ წყენასა და უსიამოვნებასო. მართალია, საანალიზო ტექსტი რთულია, მაგრამ იქ აზრი საკმაოდ ნათლად არის გამოთქმული. ს. ორდანიშვილის პწკარედი თარგმნით: „Кто постарается (постичь ее), обрекает себя на страшные лишения". საგულისხმო ისაა, რომ შ. ხიდაშელი იცნობს და იმოწმებს კ. კეკელიძის ნარკვევს „Отражение восточного суфизма в древнегрузинской поэзии" (ეტიუდები. II, 281—286), რომელშიაც მოყვანილია ვეფხისტყაოსნის პროლოგის რიგი სტროფის, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო მე-20 სტროფის, პწკარედი თარგმანი. კერძოდ. მე-20 სტროფის მეოთხე ტაეპი კ. კეკელიძეს ასე აქვს ნათარგმნი: „Кто стремится к ней, должен обладать умением к перенесению многих огорчений" (გვ. 283). სავსებით სწორად აქვს ეს ადგილი გაგებული გ. ცაგარელსაც („...Но несет с собою горечь злоключений и обид", ვეფხისტყაოსნის ცაგარლისეული თარგმანის 1953 წლის გამოცემა). ერთი სიტყვით, ვეფხისტყაოსნის საანალიზო სტროფი შინაარსის მხრით აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს. შ. ხიდაშელის გაგება უმართებულოა.

უმართებულოდ აკრიტიკებს შ. ხიდაშელი ზოგიერთ რუსთველოლოგსაც (მათ შორის ამ შენიშვნების ავტორს) და თავისთვის მიიწერს ზოგიერთ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას ვეფხისტყაოსნის ამა თუ იმ საკითხზე. მაგალითად, შ. ხიდაშელი სამართლიანად იცავს იმ მოსაზრებას, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგში გამოთქმული თვალსაზრისი გატარებულია საკუთრივ პოემაში, და პოლემიკური კილოთი აცხადებს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ წინაადმდეგ რუსთველოლოგიაში გამოთქმული მოსაზრე-

ბ ი ს ა, რუსთაველის თეორიული შეხედულებანი მიჯნურობაზე იდენტურია მიჯნურობის იმ სახეობისა, რომელიც პოემაში, როგორც მხატვრულ ნაწარმოებში, არის მოცემული" (გვ. 283. დაყოფა ჩემია. — ა. ბ.). ასეთივე თვალსაზრისი არის გატარებული ამ სტრიქონების ავტორის იმ წერილშიც, რომელსაც შ. ხიდაშელი იცნობს და რამდენიმეჯერ ასახელებს თავის ნარკვევში (გვ. 283—287). ჩვენ გვიწერია, ვეფხისტყაოსნის პროლოგში „პოეტური დეკლარაციის სახით მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ის პრინციპები, რაც მხატვრულად არის ხორცშესხმული საკუთრივ პოემით, ე. ი. პოემის ნარატიული, თხრობითი ნაწილით" (ვეფხისტყაოსნის პოეტიკის საკითხები, „ლიტერატურული ძიებანი", VII, 1951, გვ. 186). ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვამბობთ: „ამიტომაც სრულიად უნიადაგო იყო ყველა ცდა პროლოგის მოწყვეტისა ვეფხისტყაოსნის სხეულიდან" (იქვე). ეს მოსაზრება მოყვანილია წერილის შესავალ ნაწილში. პროლოგის ვრცელი გაანალიზების შემდეგ ვასკვნით: „კომპოზიციურად პროლოგი ერთი მთლიანი და განუყოფელი ნაწილია პოემისა. შინაარსობლივ-იდეურად მასთან შერწყმულ-შეხორცებული. პროლოგში დასმულია და გადაწყვეტილი თეორიულად ყველა ის ძირითადი პრობლემა, რაც საკუთრივ პოემაში მხატვრულად არის ხორცშესხმული" (გვ. 202) [4].

უფრო საკვირველი ის არის, რომ შ. ხიდაშელი ბრალს მდებს, თითქოს მე უგულებელვყოფ ვეფხისტყაოსნის 21-ე სტროფის მეოთხე ტაეპს („მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან"), ხოლო მას განსაკუთრებული მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობა აქვსო. შ. ხიდაშელი წერს: „ნამდვილი მიჯნურობა", რუსთაველის გაგებით, განსხვავდება აშოტის (კურაპალატის) გრძნობისაგან და იმ, ხორციელი, სიყვარულისაგან, რომლის ანალიზი პოემის 21-ე სტროფის მე-3 სტრიქონში არის მოცემული. ამ განსხვავებაზე რუსთაველი იგივე (უნდა: იმავე. — ა. ბ.) სტროფის უკანასკნელ, მე-4 სტრიქონში მსჯელობს. ჩვენის აზრით, ამ განსხვავებას უდიდესი მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობა აქვს; და ამდენად სცდებიან ის რუსთველოლოგები, რომლებიც ამ სტრიქონს აგ უგულვებელყოფენ [5], ანდა მას შემთხვევით და მხოლოდ სხვა წრე-

---

[4] ასეთი მოსაზრება გამოთქმული აქვთ სხვა რუსთველოლოგებსაც.

[5] სქოლიოში დასახელებულია: ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის პოეტიკის საკითხები, „ლიტერატურული ძიებანი". VII, 1951, გვ. 195.

ების „გულის მოსაგებლად“ („и угоду“) ჩამატებულ სტრიქონად სთვლიან[6]. პირიქით, სწორ გზას ადგია, ჩვენი აზრით, მკვლევარი[7], რომელიც ამ სტრიქონს სათანადო ანგარიშს უწევს“ (გვ. 287. დაყოფა ჩემია. — ა. ბ.).

თვალსაჩინოებისათვის მომყავს საცილობელი სტროფი მთლიანად:

მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენელთა ყურნიცა დავალდებიან;
ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან;
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

ჩემს ნარკვევში მოყვანილია ეს სტროფი და განმარტებულია: „ამ სტროფით რუსთველი ემიჯნება მიჯნურობის განყენებულ, სულიერ, საზეო ფორმასაც (ამჯერად ჩვენთვის სულერთია, საზეო მიჯნურობაში აღმოსავლური სუფიზმია ნაგულისხმევი თუ ე. წ. პლატონური სულიერი ტრფიალება). ის კატეგორიულად აცხადებს: «ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიანო». ე. ი. რუსთველი თავისი პოემის საგნად აღიარებს საჰქვეყნო, მიწიერ, ხორციელ გრძნობას, ანუ სხვანაირად, რეალურ, ბუნებრივ ადამიანურ გრძნობას. ოღონდ რუსთველი საეჭვოდ არ ხდის საზეო მიჯნურობის თავისთავად პრინციპულ თეორიულ მნიშვნელობას. თვითონ საამქვეყნო, მიწიერ-ხორციელი ადამიანური სიყვარული მას საზეო სიყვარულის ბადლად ეხატება, თუ ის საუკეთესო ფორმით ხორციელდება, თუკი ზნეობის გამაფაქიზებელ, სულიერად ამამაღლებელ და ადამიანის ღირსების დამამშვენებელ ფორმას ღებულობს: «მართ მასვე ჰბაძვენ. თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან». აქაა რუსთველის პოეტური აზროვნების ლოგიკური პარალელი დებულებასთან — «კვლა აქაცა ეამების». აქ ისახება რუსთველის ჰუმანისტური მსოფლმხედველობის საფუძველიც. რუსთველის ყურადღების ცენტრშია ადამიანი, ამქვეყნიური რეალური გარემო“... („ვეფხისტყაოსნის პოეტიკის საკითხები“, გვ. 195).

მოყვანილი ნაწყვეტიდან კარგად ჩანს, რომ ავტორს არათუ არ უგულებელუყვია ვეფხისტყაოსნის 21-ე სტროფის მეოთხე სტრი-

[6] სქოლიოში: პროფ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, II, 1945, გვ. 283.

[7] სქოლიოში: Ш. Нуцубидзе. Руставели и Восточный Ренессанс, 1947, გვ. 244.

ქონი („მართ მასვე პბაძვენ..."). არაშედ ის ცალკე აქვს გამოყოფილი. საგანგებოდ აქვს გაანალიზებული და ის დასკვნები გამოაქვს, რასაც ძირითადად იზიარებს და ავითარებს შ. ხიდაშელი.

მთლიანად აღებული შ. ხიდაშელის ნარკვევი უთუოდ ხელს შეუწყობს რუსთველის საზოგადოებრივ-ფილოსოფიური და ლიტერატურული შეხედულებების შემდგომ შესწავლას.

4. ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა

1953 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტი პავლე ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით. ამ გამოცემაზე ჩვენს პრესაში დაიბეჭდა რამდენიმე კრიტიკული წერილი[1]. პაექრობაში მონაწილეობა მიიღო თვითონ რედაქტორმაც[2]. დისკუსია კვლავ გრძელდება[3]. ამ დისკუსიის გამოძახილია ჩვენი ეს ნარკვევიც.

პავლე ინგოროყვა იმეორებს ორ უდავო დებულებას, რაც უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის" გამოცემის საკითხს: 1. ჩვენ ჯერ არ გვაქვს პოემის მეცნიერული გამოცემა, კრიტიკული ტექსტოლოგიური აპარატით და 2. „ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენა ურთულეს ფილოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს" (გვ. 397). პ. ინგოროყვა მკაცრ შეფასებას აძლევს „ვეფხისტყაოსნის" ადრინდელ გამოცემებს, მათ შორის 1937 წლის საიუბილეო გამოცემას და 1951 წლის

---

[1] ა) ზ. ჭუმბურიძე, მცირე შენიშვნა ვეფხისტყაოსნის ერთი ადგილის გასწორების გამო (თბილისის უნივერსიტეტის გაზეთი 13. II. 54, ეს წერილი გაფართოვებული სახით დაბეჭდილია ზ. ჭუმბურიძის წიგნში „სალიტერატურო ენა და წერლობა", თბილისი, 1962, გვ. 178—184).

ბ) კ. ჭიჭინაძე, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო („ლიტერატურული გაზეთი", 26.II.54; მისივე, რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1960, გვ. 196—229).

გ) ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის შესახებ („ახალგაზრდა კომუნისტი", 5.VI.54).

დ) მ. გიგინეიშვილი, კვლავ ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო („ახალგაზრდა კომუნისტი", 8.VII.54).

[2] პ. ინგოროყვა, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო („ლიტერატურული გაზეთი", 12.III და 19.III.54).

[3] პოემის ახალი გამოცემა ვრცლად აქვს განხილული ლ. მენაბდეს თავის წერილში — „ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო", „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები", ტ. 55, 1954; ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო დაიბეჭდა ს. ჩხაიძის შენიშვნებიც, „ახალგაზრდა კომუნისტი", 26.X.54.

გამოცემას, რომელიც რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა მოამზადა. მართალია, გამომცემელი შენიშნავს: „მნიშვნელოვანი მუშაობა პოემის დაზიანებული ადგილების აღსადგენად ჩაატარა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენმა კომისიამ, რომელმაც მოამზადა 1937 წლის საიუბილეო გამოცემა. კომისიამ შეასწორა პოემის მთელი რიგი დაზიანებული ადგილებიო" (402), მაგრამ, დასძენს: „ამასთან კომისიამ მთელ რიგ შემთხვევაში ნაჩქარევად შეასწორა პოემის ნამდვილი ავთენტიური ტექსტი... ამრიგად ძველ დაზიანებულ ადგილებს ახალი დაზიანებული ადგილები შეემატაო" (402—403). რუსთველის ინსტიტუტის გამოცემის თაობაზე პ. ინგოროყვა ამბობს: „1951 წლის გამოცემა, რომელიც იმეორებს 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტს, ზოგიერთ უპირატესობას შეიცავს 1937 წლის გამოცემასთან შედარებით, სახელდობრ:

ა) აქ გასწორებულია კორექტურული ხასიათის შეცდომები, რომლებიც გაპარულა 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში.

ბ) 1951 წლის გამოცემა გამართულია ერთგვარი ორთოგრაფიით. იმ დროს როდესაც 1937 წლის გამოცემაში ორთოგრაფიული ერთგვაროვნება ზოგჯერ დარღვეულია.

ამას გარდა, 1951 წლის გამოცემაში, 1937 წლის საიუბილეო გამოცემასთან შედარებით, შეტანილია რამდენიმე ახალი შესწორება ტექსტის წაკითხვაში" (გვ. 403, დაყოფა ჩემია — ა. ბ.). პ. ინგოროყვა ისე მსჯელობს, თითქოს მას პირადად კავშირი არ ჰქონდეს ვეფხისტყაოსნის საიუბილეო, ე. ი. 1937 წლის გამოცემასთან. იგი ემიჯნება და აკრიტიკებს ამ გამოცემას, ისე როგორც, — და უფრო მეტად, — აკრიტიკებს 1951 წლის გამოცემას, რომელიც „არსებითად წარმოადგენს 1937 წლის საიუბილეო გამოცემის განმეორებას". ერთგან დასახელებული გამოცემების მიმართ ათვალისწინებულად შენიშნავს: „რედაქტორებს" ასე და ასე „უვარაუდნიათო" (ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო, „ლიტერატურული გაზეთი" 12. III. 1954). უნდა ვიცოდეთ, რომ პ. ინგოროყვა იყო ერთ-ერთი უშუალო ხელმძღვანელი ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემისა, რომელიც რუსთველოლოგთა სპეციალურმა კომისიამ დაამზადა. პ. ინგოროყვა ამ კომისიის მუშაობაში არ მონაწილეობდა, მაგრამ იგი იყო ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი წევრი, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც საკითხი შეეხებოდა ტექსტის რედაქციულ წაკითხვებს, ორთოგრაფიასა და პუნქტუაციას. ამიტო-

მაც მოსალოდნელი იყო. რომ პ. ინგოროყვა კი არ გაემიჯნებოდა ამ გამოცემას, არამედ თვითონაც გაიზიარებდა პასუხისმგებლობას 1937 წლის გამოცემის ავკარგიანობისათვის. მეორეც, პ. ინგოროყვას მიზანში უნდა ამოეღო პოემის არა 1951 წლის გამოცემა, არამედ ამისი დედანი, 1937 წლის საიუბილეო გამოცემა. მას ხომ საგანგებოდ აქვს დამოწმებული 1951 წლის გამოცემის რედაქციის განცხადება. ეს გამოცემა „არსებითად წარმოადგენს 1937 წლის საიუბილეო გამოცემის განმეორებასო“ (გვ. 403). მთელი თავისი ნარკვევის მანძილზე პ. ინგოროყვა ეკამათება მხოლოდ 1951 წლის გამოცემას, ასწორებს ამ გამოცემის წაკითხვებს. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ პ. ინგოროყვა ხშირად იმოწმებს სხვადასხვა პირისა თუ გამოცემის კონიექტურას, მაგრამ არასოდეს არ ასახელებს 1951 წლის გამოცემის იმ შესწორებებს, რომლებიც თვითონ მას მიუღია. ხოლო თავის გამოცემაში პ. ინგოროყვას განმეორებული აქვს 1951 წლის გამოცემიდან სხვადასხვა ხასიათისა და მნიშვნელობის საჭასორმოცდაათამდე გასწორება (ამაში შემოდის ორთოგრაფიული ხასიათის გასწორებებიც), მათ შორის ისეთი გასწორებანიც, რომელთა გამო პრესაში ცხარე კამათი ამტყდარა. ისიც საგულისხმოა, რომ 1951 წლის გასწორებებს ის უწოდებს „რამდენიმე“ გასწორებას [4].

თავისი საკუთარი გამოცემის ხასიათის თაობაზე პ. ინგოროყვა ამბობს: „წინამდებარე გამოცემაც აგრეთვე არ წარმოადგენს კრიტიკულ გამოცემასო“ (გვ. 400), ოღონდ, დასძენს: „რედაქციამ საჭიროდ დაინახა ტრადიციულ ტექსტში შეეტანა აუცილებელი შესწორებანი, გაესწორებინა მთელი რიგი სრულიად აშკარა მძიმე შეცდომები, რომელთაც ადგილი აქვთ თანამედროვე გამოცემებში (გვ. 401, დაყოფა აქაც და ქვემოთაც ჩემია — ა. ბ.).

---

[4] უნდა აღინიშნოს, რომ 1951 წლის გამოცემა გამოქვეყნდა ორ გამოშვებად — დასურათებულ მდიდრულ გამოშვებად და მასობრივ გამოშვებად. პ. ინგოროყვა მასობრივ გამოცემას ანგარიშს არ უწევს (ანგარიშს არ უწევს ამას არც კ. ჭიჭინაძე). ამით აიხსნება ის კამათი, რომელიც გაიმართა 934-ე სტროფის მეოთხე ტაეპის გამო („შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი“). აღნიშნული ტაეპი სწორადაა საიუბილეო გამოცემაში, იმაზე შეჩერდა 1951 წ. გამოცემის რედაქციაც, ასე დაიბეჭდა ტექსტი 1951 წლის გამოცემის მასობრივ გამოშვებაში, მაგრამ მეორე გამოშვებაში, სამწუხაროდ, გაპარულა „მე ვირგებ“. არა ერთ ცალკეულ შემთხვევაში პ. ინგოროყვა არასწორად იმოწმებს პოემის 1951 წლის გამოცემას.

ამჟამადო, ამბობს მკვლევარი სხვაგან, „ჩვენ დავკმაყოფილდით მხოლოდ უ დ ა ვ ო ხასიათის შესწორებებითო“ (გვ. 407). პოემის კრიტიკულ გამოცემას პ. ინგოროყვა გვპირდება მომავლისათვის (გვ. 406).

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საქმეში პ. ინგოროყვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ამ პოემის ვახტანგისეულ გამოცემას. „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერები XVI—XVII საუკუნეებიდან მოგვეპოვებაო, ხოლო „ვახტანგის გამოცემას საფუძვლად დასდებია... დაახლოებით მე-14 საუკუნის (ხელნაწერი) დედანიო“ (გვ. 400). უნდა ითქვას, რომ პ. ინგოროყვამ ამით ერთგვარი შესწორება შეიტანა თავის ადრინდელ შეხედულებაში ვახტანგისეული გამოცემის სავარაუდებელი დედნის თარიღის შესახებ. ადრე პ. ინგოროყვა ფიქრობდა: „ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ე უ ლ ი დ ე დ ა ნ ი დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ი ს ს ა ხ ი თ უ კ ვ ე ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ უ ლ ი ყ ო ფ ი ლ ა XIV ს ა უ კ უ ნ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ შ ი“[5]. მეტიც. „ვახტანგისეული დედნის თარიღი — რომ იგი მე-14 საუკუნის ნახევარზე უფრო ადრე დროს ეკუთვნის, შ ე უ რ ყ ე ვ ე ლ ი რ ჩ ე ბ ა. ი ე ს არის... გამოსავალი წერტილი ჩვენი შემდგომი ანალიზისა“[6]. როგორც ჩანს, თავის აღნიშნულ „შეურყეველ“ დებულებაში პ. ინგოროყვამ უკვე შეიტანა შესწორება: იმას, რასაც წინათ დაბეჯითებით XIV საუკუნის ნახევარზე უფრო ადრინდელად თვლიდა, ახლა მხოლოდ დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ მიაწერს ამ საუკუნეს.

პ. ინგოროყვა ძირითადად იმეორებს „რუსთველიანაში“ განვითარებულ თვალსაზრისს „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის რაობის თაობაზე. ე. ი. თითქოს ვახტანგმა უცვლელად გადმობეჭდა თავისი ხელნაწერი დედანი, თითქოს ვახტანგის გამოცემა არ არის კრიტიკული გამოცემა. მკვლევარი ანგარიშს არ უწევს სამი ათეული წლის მანძილზე გაწეულ მეცნიერულ მუშაობას რუსთველოლოგიაში. ჩვენ ახლა კატეგორიულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვახტანგისეული გამოცემა, რასაკვირველია, ხელნაწერულ ტრადიციას ემყარება, მაგრამ იგი უეჭველად კრიტიკული გამოცემაა. „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობის დროს ვახტანგს ხელთ ჰქონია არა XIV საუკუნის ხელნაწერი დედანი. რომელიც პოემის მოკლე რედაქციულ ტექსტს შეიცავდა, არამედ ერთელი რედაქციული ტექს-

---

[5] რუსთველიანა, 1, თბ., 1926, გვ. 42. დაყოფა ავტორისაა — ა. ბ.

[6] რუსთველიანაზე პროფ. კორნ. კეკელიძის წერილის გამო („მნათობი“, 1927., № 3 გვ. 217. დაყოფა — ჩემია, ა. ბ.).

ტის შემცველი უფრო ნაგვიანევი ხელნაწერი (თუ ხელნაწერები). ეს დებულება საბოლოოდ ცხადჰყო ა. შანიძემ. ა. შანიძემ ცოცხალი საბუთებით დაამტკიცა, რომ ვახტანგს კომენტარი გაუკეთებია ისეთი სტროფებისათვის, რომლებიც ვრცელი რედაქციების კუთვნილებაა და რომლებიც XVII საუკუნის ხელნაწერებისათვის არის დამახასიათებელი. პ. ინგოროყვა ამ ფაქტს არ უარყოფს. ის ამბობს: „კომენტარი ვახტანგს დაუწერია უფრო ადრე. ვიდრე პოემის ბეჭდვას შეუდგებოდა; ვახტანგს კომენტარის წერის დროს ჯერ კიდევ არ ჰქონია ხელთ ვეფხისტყაოსნის იმ ტიპის დედანი, რომელიც საფუძვლად დაედო ვახტანგის გამოცემას... ვახტანგს თავისი კომენტარი დაუწერია ვეფხისტყაოსნის იმ განვრცობილი რედაქციის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია XVI—XVII საუკუნეთა ხელნაწერებში“ (გვ. 506). ამის მიუხედავად, პ. ინგოროყვა აკეთებს მოულოდნელ, ვფიქრობთ, ნ ე ბ ი ს მ ი ე რ დასკვნას: „როდესაც ვახტანგი შესდგომია ვეფხისტყაოსნის ბეჭდვას და შემოუკრებიათ პოემის ხელნაწერები, ამ დროს მოუპოვებიათ პოემის ძველი დედანი, რომელიც საფუძვლად დასდებია ვახტანგისეულ გამოცემასო“ (გვ. 507). შემდეგ პ. ინგოროყვა განაგრძობს: „ამ ლიტერატურულ დოკუმენტს, პოემის ძველი დედნის მოპოვებას, გამოუწვევია ვეფხისტყაოსნის კომენტარის გადაკეთება. ვახტანგს თავისი კომენტარი, რომელიც დაწერილი ჰქონია XVI—XVII საუკუნეთა ხელნაწერების განვრცობილი ტექსტის მიხედვით, შეუფარდებია ამ ახალ ტექსტთან, რომელიც საფუძვლად დაედო მის გამოცემასო“ (გვ. 507). საჭიროდ, ეს დასკვნები საბუთებით არ არის გამაგრებული (მკვლევარი კმაყოფილდება მარტოოდენ ლიტონი განცხადებებით. ცალკერ განცხადებებს ჩვენ ვერ ვერწმუნებით. ჩვენ უფრო ვერწმუნებით ვეფხისტყაოსნის ტექსტს, რომელიც ვახტანგმა დაბეჭდა 1712 წ. და რომელიც არ შეიძლება იყოს მე-14 საუკუნის ტექსტი, როგორც ამას გვიჩვენებს მისი ორთოგრაფია და სხვა მონაცემები).

ჩვენ არასგზით არ ვცდილობთ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის მნიშვნელობის დაჩრდილვას. პირიქით, ჩვენი მოსაზრებით, ვახტანგმა უდიდესი სამსახური გაუწია „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას და ამ გენიალური პოემის პოპულარიზაციის საქმეს. ვახტანგმა განმაცვიფრებელი კეთილსინდისიერებით მოამზადა გამოსაცემად და განმარტა ვეფხისტყაოსნის ტექსტი. ვახტანგისეული გამოცემა ვეფხისტყაოსნისა ამ პოემის პირველი მეცნიერული გამოცემაა. მაგრამ ეს ოდნავაც იმას არ ნიშნავს. თითქოს სწავლული რედაქტორი სრულიად უცვლელად და ბრმად იმეორებდა თავის ვითომცდა XIV საუკუნისეულ დედანს. მეცნიერული კეთილსინდი-

სიერება უკარნახებდა ვახტანგს კრიტიკულად მოპყრობოდა მის ხელთ არსებულ მასალებს. ის ასეც მოქცეულა. ვახტანგისეული გამოცემა ვეფხისტყაოსნისა პირველი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემაა.

ჩვენ ვერც იმას მოვუწონებთ მკვლევარს, რომ მან დაუმსახურებლად დაივიწყა ა. შანიძის ღვაწლი ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის რაობის გარკვევაში და მხოლოდ უმისამართო შენიშვნით დაკმაყოფილდა: „ეს ფაქტი (ლაპარაკია ვახტანგის კომენტარებისა და ნაბეჭდი ტექსტის ერთმანეთისაგან ნაწილობრივ დაცილებაზე — ა. ბ.), რომელიც დადგენილია სპეციალურ ლიტერატურაში, აქამდე არ იყო სათანადოდ ახსნილი და შეფასებული“ (გვ. 507, შენიშვნა 1; დაყოფა ჩემია — ა. ბ.).

პ. ინგოროყვას დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემულ ტექსტებში. კერძოდ მას მხედველობაში აქვს პოემის 1951 წლის გამოცემა, შეინიშნება „სტილისტიკური გაუმართაობა“ თუ „სტილისტიკური გაუწყობლობა“, „სტილისტიკური უხერხულობა“, „გრამატიკული გაუმართაობა“, „ფონეტიკური გაუმართაობა“, „პროზოდიული გაუმართაობა“ და ა. შ. ზოგჯერ პოემის ვახტანგისეული გამოცემის მიხედვით, ზოგჯერ ხელნაწერების მონაცემებზე დამყარებით, ზოგჯერ კიდევ სხვების კონიექტურათა კვალობაზე. ზოგჯერ კი საკუთარი შეხედულებისამებრ პ. ინგოროყვას უცდია ტექსტის გამართვა-გასწორება. სულ მას აღრიცხული აქვს მეტ-ნაკლები მნიშვნელობის 454 გასწორება 1951 წლის გამოცემასთან შეპირისპირებით.

პ. ინგოროყვა „ვეფხისტყაოსნის“ დაკვირვებული მკვლევარია. შეიძლება ბევრისთვის ცნობილი არ იყოს, რომ ის ჯერ კიდევ რევოლუციამდე შეუდგა ვეფხისტყაოსნის ტექსტის ბეჭდვას. პოემის ახლანდელ გამოცემაში მოიპოვება რიგი უდავოდ სწორი. ზოგი შესაძლებელი გასწორება, ზოგი გასწორება ნეიტრალური ხასიათისაა. ე. ი. გასწორებით არსებითად არაფერი არ იცვლება, ძველი წაკითხვაც სწორია და ახალიც, მხოლოდ ზოგიერთი სიტყვაა ტექსტში გადასმულ-გადმოსმული. გასწორებათა დიდი ნაწილი, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია, ხოლო გასწორებათა მნიშვნელოვანი ნაწილი სრულიად შეუწყნარებელი.

აქვე წარმოვადგენ შესაფერის სანიმუშო მაგალითებსაც (რასაკვირველია, ყურადღებას ვამახვილებთ გაუმართლებელ გასწორებათა ნიმუშებზე). ინდოეთში უნდა მოეყვანათ ნესტანის საქმრო, ხვარაზმშას ძე. ტარიელმა აღუთქვა ნესტანს, რომ ღირსეულად გაუმასპინძლდებოდა არასასურველ სასიძოს (541):

მე ვაკადრე: ღმერთმან აშოროს მას ყმასა შენი ქმარობა!
რა შემოვიდეს ინდოეთს, შევიგნა მათი გვარობა,
ვუჩვენო ჩემი ძალ-გული და ჩემი მეომარობა:
ასრე **დ ა ვ ხ ო ც ნ ე**, შეეძლოს აღარა, არ, სახმარობა!

ასეა ტექსტი დაბეჭდილი საიუბილეო გამოცემაში* (და განმეორებულია შემდგომ გამოცემებში). ახალ გამოცემაში გასწორებულია მეოთხე ტაეპი:

ესრე **დ ა ვ ხ ა დ ნ ე**, შეეძლოს აღარა, არ, სახმარობა!

„დავხოცნეს" ნაცვლად პ. ინგოროყვას დაუბეჭდავს „დავხადნე" (გვ. 439) და სწორადაც მოქცეულა. მართლაც, თუ ტარიელი **დ ა ხ ო ც დ ა** სასიძოსა და იმის მსლებლებს, მაშინ რაღა **ს ა ხ მ ა რ ო ბ ა ზ ე** შეიძლებოდა შემდეგ სიტყვის ჩამოგდება (ისე დავხოცო ისინი, რომ მოქმედება, მოძრაობა ვეღარ შეძლონო). უფრო ბუნებრივია მეორე წაკითხვით („დავხადნე") გამოთქმული აზრი: ისე **გ ა ვ ხ ა დ ო** ისინი, რომ მოქმედება, მოძრაობა ვეღარ შეძლონო".

უსენი განაცვიფრა ნესტანის სილამაზემ და აღტაცებულმა წამოიძახა (1161, 1-2):

უსენ იტყვის: ბევრ-ათასნი ჭირნი ამან ამისოცნეს;
ესე ღაწვნი მზისად **კ მ ა რ ა ნ**, კაცთაგანმცა ვით იკოცნეს!

სიტყვას **კ მ ა რ ა ნ** პ. ინგოროყვა ცვლის სიტყვით **ხ მ ა ნ ა ნ**. და შენიშნავს „ხმანან" — „ხ ე ლ ნ". მართლაც ზოგიერთ კარგ ხელნაწერში საცილობელი სიტყვა იკითხება დამოწმებული ფორმით **კ მ ა ნ ა ნ**. ამისი აღრევა სიტყვაში **კ მ ა რ ა ნ** გრაფიკულ (დაწერილობის) ნიადაგზე ადვილი წარმოსადგენია. ხოლო ხმანან (კმანან) მრავლობითი ფორმაა სიტყვისა ხამს (კამს). მაშასადამე, დამოწმებული ტექსტის აზრი შემდეგია — ეს ღაწვები მზისათვის არის შესაფერისი (სახამსო), კაცისაგან როგორ უნდა დაიკოცნოსო! აზრიც ნათელია

---

* პ. ინგოროყვა მცდარად მიუთითებს, თითქოს 1951 წლის გამოცემაში იკითხებოდეს: ესრე.

[ა] ოღონდ სხვაგვარი პუნქტუაციით.

[ბ] საყურადღებოა, რომ ვეფხისტყაოსნის ძველ ხელნაწერებში დამოწმებული ყოფილა **დ ა ვ ხ ო ც ნ ე**. ამას გვიდასტურებს როსტომიანი (1510,4):

ასრე **დ ა ვ ხ ო ც თ**. შეეძლოსთ მართ ვერარასა ხმარობა

ცხადია, როსტომიანის ეს ტაეპი შექმნილია ვეფხისტყაოსნის საანალიზო ტექსტის ზეგავლენის შედეგად. მაშასადამე, როსტომიანს შემონახული აქვს ვეფხისტყაოსნისეული ტექსტის ისეთი წაკითხვა, რომელიც XV საუკუნეს ვერ გადმოსცილდება.

და ფორმაც გამართული. თუმცა ძალიან იშვიათი ფორმა კია. აჭ იშვიათობამ გამოიწვია მისი შემდგომი გადაკეთება. ეს ტექსტი პ. ინგოროყვას უთუოდ მართებულად აქვს გასწორებული.

მისაღებია 478-ე სტროფის მეორე ტაეპის „მე ენიანი კაბანი"-ს გასწორება გამოთქმით „მაენიანნი კაბანი".

ასევე სწორად მიმაჩნია მე რიგი სხვა გასწორებანიც (70, 185, 393 და სხვ.).

ასეთ მართებულ გასწორებათა რიცხვი შედარებით მცირეა. ზოგიერთი გასწორება არაფერს არ ცვლის ტექსტში არც შინაარსისა და არც ფორმის მხრივ. ესენი მხოლოდ ზრდის გასწორებათა საერიცხვო ნუსხას. სანიმუშოდ ავიღოთ 1148.3 ძველი და ახალი წაკითხვით:

მკლავი მისი სასთაულად მიიდვის და მიწვის მითა (საიუბ).
მკლავი მისი სასთუნალად მიიდვის და მიწუის მითა (ინგ.).

სიტყვა სასთაულად ინგოროყვას გაუსწორებია სიტყვით სასთუნალად. საბას განმარტებით სასთაული ნიშნავს ბამბის ბალიშს, სასთუნალზე კი ლექსიკოგრაფს ნათქვამი აქვს: „თავსადები ფიცარი თუ რაც". მაშასადამე, ორივე ეს სიტყვა (სასთაული, სასთუნალი) არსებითად ერთისა და იმავე მნიშვნელობის მქონეა. აზრი ტაეპისა ასეთია, ნესტანს ბალიშის მაგიერობას მკლავი უწევდაო. ორივე სიტყვა თავის ადგილასაა. თუ არჩევაზე მიდგებოდა საქმე, ალბათ ბევრს გაუჭირდებოდა გადაწყვეტილების მიღება. რადგანაც საბას ავტორიტეტული მოწმობით სწორედ სასთაული ნიშნავს საკუთრივ ბალიშს.

გასწორებების საჭიროებათა დასასაბუთებლად პ. ინგოროყვას ყოველთვის არ მოეპოვება გარკვეული ობიექტური საზომი. ის ზოგჯერ ასე მსჯელობს, ზოგჯერ ისე, გუნება-განწყობილების მიხედვით. მაგალითად, როსტევანისა და ავთანდილის ნანადირების თაობაზე პოემის წინა გამოცემებში [10] ნათქვამია (81.1):

ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია (საიუბ).
ორთაეე ერთგან მოკლული ყველაი ათჯერ ოცია (ინგ.).

თავისი გასწორების გამო პ. ინგოროყვა შენიშნავს: „რიცხვი „ათჯერ ოცია" აქ ბევრად უფრო ბუნებრივია, ვიდრე „ასჯერ ოცი".

[10] წინა გამოცემებად იგულისხმება საიუბილეო (1937 წ.) და რუსთველის ინსტიტუტის (1951) გამოცემანი.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ რიცხვების გაზვიადება როგორც აქ, ისე სხვა შემთხვევებში, გვიანი დროის გადამწერთაგან მომდინარეობს" (გვ. 419, დაყოფა ჩემია — ა. ბ.). სხვაგან ამბობს: „პოემაში, როგორც ცნობილია, ხშირია რიცხვების გამოყენება ჰიპერბოლურ სახეებში" (427). კი მაგრამ, თუ რიცხვების გამოყენებაში რუსთველი ხშირად მიმართავს ჰიპერბოლის ხერხს, მაშინ რაღა დააშავა ნანადირების აღმრიცხველმა, შედარებით ზომიერმა რიცხვმა „ასჯერ ოცმა?" ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ დაუსაბუთებელი ჩანს გასწორების ის მეორე შემთხვევა, რომლისთვისაც მოხმობილია ჰიპერბოლის ხერხის მოტივი:

ქალსა ცრემლი გადმოსცვივდა ას-ნაკეცი ბევრის-ბევრად (საიუბ.).
ქალსა ცრემლი გადმოსცვივდა ას-ნაკეცი ათას-ბევრად (ინგ.)

ჰიპერბოლის (და „პროზოდიის") თვალსაზრისით პირველი ვარიანტი მეორეზე უკეთესია!

პ. ინგოროყვა ამტკიცებს, რომ ორგზის და სამგზის ერთი და იმავე სიტყვის განმეორება „ერთი მეორის მეზობლად... არაა რუსთველურიო" და შესაფერისად ასწორებს ტექსტებს. მოგვყავს ამისი ორი მაგალითი (გვ. გვ. 417, 437):

ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჯერობა,
მისივე ქმეტობს ყოველსა[11] სული და ტურფა ფერობა (37,2-3).
მიამბე მისი ამბავი, სხვად ნურად მეუბნებია!
მითხრა, თუ: გკადრებ ამბავსა, აწ ჩემგან არ სათნებია.
დღეს ერთმანერთი გინახავს და ტურფად მოგწონებია,
აწ კვლაცა ცნობა ამბისა მას ჩემგან უბრძანებია (492).

პირველი მაგალითიდან პირველი ტაეპის მისივე შეცვლილია სიტყვით რაზომცა, მეორე მაგალითიდან მეორე ტაეპის ამბავსა შეცვლილია სიტყვით მართალსა. დავანებოთ თაეი იმას, რომ მისივეს გამეორება (პირველი მაგალითიდან) მხატვრული გამეორების ნიმუშია, რითაც ავტორი მისთვის საჭირო აზრს კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჰყოფს, მკითხველის ყურადღებას ამახვილებს, ფრაზის შინაარსობლივ მხარეს ამძაფრებს. საგულისხმო ისაა, რომ სიტყვათა აღებული წყობა რუსთველისათვის ჩვეულებრივად არის დამახასიათებელი. ყველას კარგად მოეხსენება, მაგალითად, ცნობილი ტაეპი (719,1):

---

[11] ყოველსა პ. ინგოროყვას შეუცვლია სიტყვით ყვავილთა.

უფრო საყურადღებოა საქმის მეორე მხარე. პ. ინგოროყვა შემდეგნაირად ასწორებს 495-ე სტროფის ტექსტს[13]:

თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო,
ამას იქით ნუღარა სტირ, ჭირსა თავი არიდენო (საიუბ.)
თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო,
ამას იქით ნუღარ იდენ გულსა ჭირი არიდენო (ინგ.).

თუმცა პირველ ტაეპში არის სიტყვა იდენ („არ იდენო"), პ. ინგოროყვას მეორე ტაეპშიც შემოაქვს იგივე სიტყვა („ნუღარ იდენ"). მაშასადამე, ხელს უწყობს „არა რუსთაველური" სტილის დანერგვას „ვეფხისტყაოსანში" [14].

ანალოგიურია პ. ინგოროყვას რიგი სხვა უმართებულო გასწორებანიც. მაგალითად (გვ. 466): „ვარ ძმაო ტარიელისი შეყრად ფრიდონის მჭისისად" (საიუბ.) — „ვარ ძმაო ტარიელისი შეყრად ფრიდონის ძმისისად" (ინგ.). 518 სტროფიდან პაექრე ინგოროყვამ არ შეიწყნარა ორგზის ხმარებული სიტყვა ვნახე, „არაა სტილისტიკურად გაწყობილი: გვერდის-გვერდ ორგზის ვნახე" (გვ. 438). როგორც უკვე აღინიშნა პრესაში (მ. გიგინეიშვილი, კვლავ ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო, „ახალგაზრდა კომუნისტი" 8. VII. 54), პ. ინგოროყვამ ერთი ვნახე კი შეცვალა, მაგრამ იქვე შემოიტანა ორგზისი „აჩნდა". ჩვენ უნდა გავიმეოროთ რეცენზენტის სიტყვები: „თუ ორი ვნახე სტილისტიკურად გაუმართავი იყო, რატომ არ უნდა ჰქმნიდეს უხერხულობას ორი აჩნდა?!"

---

[12] სხვათა შორის, ამ ტაეპის შესახებ პ. ინგოროყვა ვერაფერს ამბობს, მაგრამ იწუნებს 520—4-ს წყობას („გულსა... შუქი შემომადგა, მაგრა გული არ დამიდნა"). „გულსა... გული არაა სტილისტიკურად გაწყობილიო" (438). საგულისხმოა, რომ მკვლევარი არაფერს ამბობს 693-ე სტროფის მეოთხე ტაეპზე („მაგრა ჰქონდა გულისათვის გული გულსა განაცვალი").

[13] იხ. გვ. 437.

[14] სხვათა შორის პ. ინგოროყვა ასწორებს 495-ე სტროფის მესამე ტაეპსაც:

შენნი მჭვრეტნი ჩემთა მჭვრეტთა აგინებენ, არ იდენო (საიუბ.).
შენნი მჭვრეტნი ჩემთა მჭვრეტთა ეჯარვიან, არ იდენო (ინგ.)

ამ გასწორების გამო რედაქტორი ამბობს: „ტექსტი სრულ უაზრობას წარმოადგენს: „შენნი მჭვრეტნი ჩემთა მჭვრეტთა აგინებენ და ამიტომ არ იდენოო (ნუ განსდევნიო)!" ჩვენ აქ

გ უ ლ ი ს ცნობილი დასასიათების შემდეგ რუსთველი ამბობს (718,4):

ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერც პატრონია რომელი!

პ. ინგოროყვა წუნს სდებს რუსთველის ამ ბრწყინვალე ტაეპს, სტილისტიკურად უხერხულ წყობაად: ჰპატრონობს... „პატრონი“, გვ. 450 451). ასწორებს მას, რითაც უკარგავს თავის შნოსა და ლაზათს:

ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა მეფეა რომელი!

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვეფხისტყაოსნის ტაეპი კი არ არის „უხერხულად“ გაწყობილი, უხერხულად ირჯება პატივცემული რედაქტორი [15].

პ. ინგოროყვა უფრო შორს მიდის. პოემის ტექსტს ასწორებს არა მარტო გრამატიკულ, სტილისტიკურ და პროსოდიულ ნიშანთა მიხედვით, არამედ ფონეტიკის სფეროში იჭრება, ფონეტიკასაც იყენებს ტექსტოლოგიურ გასწორებათა გასამართლებლად. მაგალითი (გვ. 434):

დავეკაზმენით სომრად ჯაჭვ-ჯავშანითა, ქაფითა (საიუბ.).
დავეკაზმენით სომრად ჯაჭვითა, ჯავშან-ქაფითა (ინგ.)

ამ გასწორების გამო რედაქტორი შენიშნავს: „ფონეტიკურად უფრო გამართულიაო“ (434). ტექსტის პირველ ვარიანტს ვერავითარ ნაკლს ვერ უპოვით, მაგრამ ჩვენ ამჯერად უფრო გვაინტერე-

---

არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ნესტან-დარეჯანის ამ სატრფიალო პოეტურ წერილში ჩართვა ასე უადგილოდ „გინებისა“ მართლაც სრული უხამსობაა, იგი არავითარ სახით არ უფარდება ამ წერილის პოეტურ სახეებს“ (ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო, „ლიტერატურული გაზეთი“, 12.III.54). ჯერ ერთი უნდა შევნიშნოთ, რომ საანალიზო ტექსტში არავითარი გინება არ არის. პ. ინგოროყვა, ვფიქრობთ, სწორ ინტერპრეტაციას არ აძლევს ტაეპის შინაარსს. აქ ჩვენ გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ მხატერული სინამდვილისათვის უაღრესად დამახასიათებელი კონტრასტული პარალელიზმის ხერხის გამოყენების შემთხვევა. თავმდაბალი და მოკრძალებული ნესტანი ტარიელს წერს, შენი შემყურენი ჩემს შემყურეთ კიცხავენ („აგინებენ“), დურად არ ეპყრობიანო. ტაეპის აზრი ასეთია, შენ ჩემზე უკეთესი შესახედავი ხარო. ეს არის და ეს. აქ უაზრობასა და უხამსობას ადგილი არა აქვს.

[15] მაინც ზემოთ განხილულ შემთხვევებში გასწორების დროს პ. ინგოროყვა გარკვეულ წყაროს ემყარება, ხოლო ზოჯერ ტექსტს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ ასწორებს. 576-ე სტროფში ორჯერ არის ნახმარი სიტყვა ი ც ი ს. „სტილისტიკურად გაუწყობელიაო“ ორგზისი ი ც ი ს, შენიშნავს რედაქტორი და ერთ მათგანს თვითნებურად ასწორებს (ყოველ შემთხვევაში არავითარ წყაროს არ ასახელებს) სიტყვით უ წ ყ ი ს.

სებს საკითხის პრინციპული მხარე: ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ არის დასაშვები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გასწორება მსგავსი სუბიექტური მოსაზრებით.

ტექსტის გასწორების დროს, გარდა სტილისა, გრამატიკისა, პროსოდიისა და ფონეტიკისა, რედაქტორი ემყარება აგრეთვე პოემის შინაარსობლივ მხარეს. მოვიყვანოთ ამისი ორი მაგალითი:

643-ე სტროფის მესამე ტაეპი ასე იკითხება:

უშენოდ მყოფსა ღამე და დღეცა მესაღამოების.

ტაეპს პ. ინგოროყვა ასწორებს ნებისმიერად წყაროს გარეშე და საბუთად ტექსტის შინაარსს ასახელებს („გასწორდა შინაარსის შესაბამისადო“, გვ. 446):

უშენოდ მყოფსა დ ი ღ ა და დღეცა მესაღამოების.

ამრიგად, რედაქტორს ტაეპში შემოაქვს ახალი სიტყვა და ახალი სახე, თუმცა ტრადიციული ტექსტით სურათი ნათელია და კონტექსტურის საჭიროებაც გამორიცხულია.

ფარსადანმა შეიწყალა რამაზ მეფე, დაუბრუნა სამფლობელო და პატივით გაისტუმრა, რამაზი გაეშურა შინისაკენ. „წავიდა და ყველაკაი მისი თანა წაიტანა“ (472,4). უკანასკნელი სიტყვის ფორმას პ. ინგოროყვა ცვლის: თანა წაატანა. „გასწორდა თხრობის შინაარსის შესაბამისადო“ და განმარტავს: „ტყვეთა გატანება დამოკიდებული იყო არა ხატაელთა მეფის, არამედ ინდოეთის მეფის ნებაზეო“ (გვ. 435). სრული გაუგებრობაა. შინაარსი აქ არაფერ შუაშია. საქმე ისაა, რომ 471-ე სტროფში სრულიად გარკვევით ნათქვამია რამაზისა და მისი მხლებლების შეწყალებისა და განთავისუფლების შესახებ:

მერმე ყველაი დამოსა, იგი და მისი ხასია,
შეწყალებული გაგზავნა, უყო რისხვისა ფასია.

შეწყალებულმა რამაზმა სრულიად ბუნებრივად თან წაიტანა თავისი შეწყალებული მხლებლები, ესენი უკვე აღარ იყვნენ ტყვეები, ფარსადანმა ყველაი შეიწყალა („ყველაი დამოსა“, „იგი და მისი ხასია“) და არა მარტო რამაზი. შეწყალებულმა რამაზმაც ეს ყ ვ ე ლ ა ი თ უ ყ ვ ე ლ ა კ ა ი წაიტანა თან.

დამოწმებულ ტექსტში ყველაფერი თავის რიგზეა. ამ ტექსტს შესწორება არ სჭირდება. შინაარსობლივ მომენტს უკავშირებს პ. ინგოროყვა ტექსტის ერთს ფრიად მნიშვნელოვან გასწორებას.

ტარიელმა სასიძო მოკლა, მდევრები დახოცა და თავის სამფლობელო ციხე-ქალაქში გამაგრდა (559,3-4):

ქალაქი მჭონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,
მუნ შიგან შევე მშვიდობით, ამოდ იგივე მე ვარი!

ამ ტაეპების გამო პ. ინგოროყვა შენიშნავს: „სასიძოს მოკვლის შემდეგ „შმაგად" მყოფს ტარიელს, რომელიც გამზრდელს აუჯანყდა და საომრად ემზადება, ცხადია „ამოდ" ყოფნა არ ეთქმისო" (440). მკვლევარს კიდევაც შეუსწორებია ტექსტი:

ქალაქი მჭონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,
მუნ შიგან შევე მშვიდობით; **ს ა ო მ რ ა დ მ ო ს ა მ ზ ე ვ ა რ ი!**

საცილობელი ტექსტის საკითხს პ. ინგოროყვა დაუბრუნდა კ. ჭიჭინაძის რეცენზიის საპასუხო წერილში („ლიტერატურული გაზეთი", 19. III. 54). აქ ის იმეორებს თავის ძველ არგუმენტაციას და დასძენს: „პოეტის სიტყვით, ტარიელს, გამზრდელის წინააღმდეგ აჯანყების გამო, სწვავს „ცეცხლი სირცხვილის ალისა" (სტრ. 563). თავის სულიერ განწყობილებას ამ დროს ტარიელი შემდეგის სიტყვებით გადმოგვცემს: „...გონებასა გაეშმაგე, რომე მისი (—ნესტანის) ვერა მეცნა, ამას უფრო დავედაგე" (სტრ. 567).

დავიწყოთ იქიდან, რომ პ. ინგოროყვას მიერ დადგენილი რედაქცია ტაეპისა „მუნ შიგან შევე მშვიდობით; **ს ა ო მ რ ა დ მ ო ს ა მ ზ ე ვ ა რ ი**" პროსოდიულად (რასაც ხშირად ეყრდნობა რედაქტორი) სრულიად უვარგისია, აქ დარღვეულია რუსთველის ლექსის ბუნებრივი რიტმული წყობა, რომ იტყვიან ხოლმე, კაცი ენას მოიტეხს ამის კითხვაზე. ფორმის მხრით პ. ინგოროყვას გასწორება კრიტიკას ვერ უძლებს. იქნებ, მართლაც, შინაარსის საჭიროებამ გამოიწვია რუსთველის ლექსის ფორმის დარღვევა, ე. ი. იქნებ რუსთველმა აზრის სინათლეს მსხვერპლად მიუტანა ფორმა? არა გვგონია! ასეთი რამ რუსთველს არ შეეფერება. პ. ინგოროყვა გვარწმუნებს, რომ „შმაგად" მყოფ ტარიელს არ შეეძლო ეთქვა „ამოდ" (საამურად) ვარო, ეს არ შეეფერება მის იმდროინდელ სულიერ განწყობილებასო, იმას ნესტანის ამბის უქონლობა აწუხებდა, გამზრდელის წინააღმდეგ აჯანყების გამო სწვავდა „ცეცხლი სირცხვილთა ალისა". ყველაფერი ეს, რაზედაც პ. ინგოროყვა ლაპარაკობს, შეეხება არა იმ მომენტს, როდესაც ტარიელმა ხვარაზმშას ძე მოკლა და თავის ციხე-ქალაქს მიაშურა. მაშინ ტარიელი თავს ამაყად და გამარჯვებულად გრძნობდა. მან ბრწყინვალედ შეასრულა ნესტანის

დავალება, მოქიშპე თავიდან ჩამოიცილა, იოლად დააღწია თავი მდევრებს, თავის ციხე-ქალაქში შევიდა და მოსალოდნელი შეჯახებისათვის სამზადისს შეუდგა. ტარიელმა ვალი პირნათლად მოიხადა, ხიფათი აიცდინა, სამშვიდობოს გავიდა და, რასაკვირველია, თავს ამოდ გრძნობდა. მას მართლაც შესწევდა ძალი ქადილისა ამაყად და კმაყოფილებით ეთქვა:

ქალაქი მჭონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,
შუნ შიგან შევე მშვიდობით, ამოდ იგივე მე ვარი.

„მშვიდობით და ამოდ“ ერთსა და იმავე განწყობილებას გამოხატავს. ტარიელი ამოდ იმიტომ იყო, რომ საქმე კარგად მოაგვარა და უკვე სამშვიდობოს გავიდა. „მშვიდობით და ამოდ“ ერთიმეორეს ებმაურება, ერთიმეორეს ავსებს და აძლიერებს. ეს სიტყვები ერთმანეთთან განუყრელ, ორგანულ კავშირშია. მათი გათიშვა და დაშორებაც დაუშვებელია. პ. ინგოროყვამ პირველი („მშვიდობით“) დატოვა, ხოლო მეორე („ამოდ“) უკუაგდო. მით მან დაარღვია რუსთველის ფრაზის ბუნებრივი წყობა, რუსთველური ლექსის აზრიც დააზიანა და ფორმაც შებღალა.

შეიძლება აქვე განვიხილოთ მომდევნო (560) სტროფის საკითხიც. აი ამ სტროფის ტექსტიც:

კაცი გავგზავნენ, ვაცნობე ყოვლგან ლაშქარსა ყველასა:
აქა მომმართეთ, ვინცაღა ჩემსა იქმოდეთ შველასა.
არ გაწყდა მოსვლა მ დ ე ვ ა რ თ ა ლამესა დია ბნელასა,
ჩემი რა ცნიან, სცევდიან თავებსა მათსა მრთელასა.

ამ სტროფის მეორე ტაეპის დაყოფილი სიტყვა მ დ ე ვ ა რ თ ა. პ. ინგოროყვამ შეცვალა სიტყვით ლაშქართა, ეს ცხადიაო, წერს მკვლევარი, „შეფარდებიდან 559 სტროფის მეორე ტაეპთან და 560 სტროფის პირველ ტაეპთანო“ (გვ. 440). 559-ე სტროფის მეორე ტაეპი ასეთია:

წამოვე, წევნა დამიწყეს, დავხოცე ჩემი მ დ ე ვ ა რ ი.

პ. ინგოროყვას გასწორებამ გამოიწვია კ. ჭიჭინაძის კრიტიკული შენიშვნები ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო („ლიტერატურული გაზეთი“, 26. II. 54). მან დაიცვა ტრადიციული ტექსტი. სათანადო წერილში („ლიტ. გაზეთი“ 19. III. 54) პ. ინგოროყვა ვრცელ განმარტებას იძლევა თავის გასწორების გასამართლებლად. 559-ე სტროფში უკვე მოთხრობილია მდევრების დახოცვის ამბავიო. 560 სტროფით ტარიელმა უხმო თავის მომხრე ლაშქარს. ხოლო „ტა-

რიელის მომხრე ლაშქარი. როდესაც კი გაიგეს ტარიელის განდგომის ამბავი, სასწრაფოდ, ბნელ ღამეში, შემოდიოდა გამაგრებულ ციხე-ქალაქში და ამით თავს იცავდა მოწინააღმდეგეთაგან („ჩემი რა სცნიან, სცევდიან თავებსა მათსა მრთელასა"). ლაშქარი თავს იცავდა და იხიზნებოდა ტარიელის ციხე-ქალაქში იმის გამო, რათა მთავრობის მომხრე ჯარებს არ შეეკრა, არ დაეტყვევებინა ისინი უდროოდ, და როდესაც ომი დაიწყებოდა, ტარიელის მხარეზე გამოსულიყო" (დაყოფა ჩემია — ა. ბ.).

პ. ინგოროყვას ეს ვრცელი განმარტება ოდნავადაც არ არის დამაკმაყოფილებელი. ტექსტში აღნიშნულია (ტარიელის სიტყვებით), როგორც კი მოსულები გაიგებდნენ, რომ ეს მე შემეხება, რომ ეს ჩემი საქმეა. ჩემი ამბავი („ჩემი რა ცნიან"), თავებს იცავდნენ, სიცოცხლეს ინარჩუნებდნენ. ე. ი. ისე იქცეოდნენ, რომ ცოცხლები დარჩენილიყვნენ, სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. უბრალო ლოგიკა გვიკარნახებს, ამ პირებად ვიგულისხმოთ ტარიელის მოწინააღმდეგენი, ე. ი. მდევრები. სწორედ მათ სჭირდებოდათ თავის გადარჩენისათვის ზრუნვა. აქ ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ მოსულებმა არ იცოდნენ, თუ ვისთან ჰქონდათ საქმე. როგორც კი გაიგეს, რომ საქმე ტარიელს შეეხებოდა, თავს უშველეს, თავები დაიცვეს (გაიქცნენ და მიიმალნენ). ამ კონტექსტით აქვს აზრი პოეტის სიტყვებს „ჩემი რა ცნიან, სცევდიან თავებსა მათსა მრთელასა". აღნიშნული გარემოება ლაპარაკობს სიტყვა მდევრების სასარგებლოდ. სწორედ მდევრებმა არ იცოდნენ, თუ ვისთან ჰქონდათ საქმე, ხვარაზმშას ძე ტარიელმა მოკლა ანაზდეულად, მოულოდნელად, ჩუმად. მკვლელს დაედევნენ. მაგრამ კი არ იცოდნენ, თუ სახელდობრ ვინ იყო ეს მკვლელი. თუმცა პირველი მაწევრები ტარიელმა დახოცა, თავის ციხე-ქალაქში შევიდა, მაგრამ მდევრების მოჯარვა არ ცხრებოდა („არ გაწყდა მოსლეა მდევართა"). ვიმეორებ, მდევრებმა არ იცოდნენ, რომ მკვლელი იყო ტარიელი. როგორც კი ტარიელის ქმედობის ამბავს იგებდნენ, დევნას თავს ანებებდნენ და გარბოდნენ. ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება. ტარიელის მომხრეებისათვის ნაცნობი იყო საქმის მდგომარეობა. ტარიელმა ციხე-ქალაქიდან აუწყა მათ გახდგომის ამბავი და დახმარება სთხოვა („კაცნი გავგზავნენ, ვაცნობე ყველგან ლაშქარსა ყველასა: აქა მომმართეთ, ვინცაღა ჩემსა იქმოდეთ შველასა"). ტარიელის მომხრეებმა კარგად იცოდნენ თუ სად, რისთვის და ვისთან მიდიოდნენ. ამათზე პოეტი ვერ იტყოდა „ჩემი რა ცნიანო". ტარიელის მომხრეებს დასამალავი და თავის გა-

დარჩენაზე საზრუნავი არაფერი ჰქონდათ. მათ უნდა ეზრუნათ არა თავიანთი თავის, არამედ ტარიელის დაცვისათვის. ამრიგად, არავითარი ეჭვი არ შეიძლება დარჩეს იმის გამო, რომ 560-ე სტროფის მესამე ტაეპში უნდა იყოს „მდევართა". პ. ინგოროყვას გასწორება მცდარია.

არ არის დასაბუთებული და არ არის დამარწმუნებელი საჭიროება 696-ე სტროფის მეორე ტაეპის გასწორებისა (გვ. 449):

ხსოვნა არა ხამს ჭირისა ვით დღისა გარდასრულისა (საუბ.).
ხსოვნა არა სამს ჭირისა ჟამ პირველ გარდასრულისა (ინგ.).

პირველი წაკითხვა ბევრად სჯობია მეორეს: უფრო აზრიანია, აფორისტულად უფრო მოხდენილია. მეორე წაკითხვით სრულიად ამოკვეთილია მშვენიერი შედარება. შედარება: ხერხი კი რუსთველის ერთ-ერთი უსაყვარლესი მხატვრული ხერხთაგანია. „ვეფხისტყაოსნის" ნაანდერძევი ენის გასწორება მაშინ არის აუცილებელი, თუ ამის საჭიროებას იწვევს შესაფერისი ტექსტის ან აზრის პუნქტუანობა, ან ფორმის უხამსობა. აღნიშნულის კვალობაზე საანალიზო ტაეპს შესწორება არ სჭირდება. პირიქით, გასწორების შემდეგ ჩვენთვის საინტერესო ტაეპს ეკარგება თავისი აზრობლივი სიმდიდრე და ფორმის დახვეწილობა.

878-ე სტროფის პირველ ტაეპში იკითხება:

ვარდსა ჰკითხეს, ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?

პ. ინგოროყვა შენიშნავს: „ვარდის ტანი უხერხული თქმაა" (გვ. 461) და ტექსტს ასწორებს:

ვარდსა ჰკითხეს: ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა თვალად, პირად?

რუსთველს უყვარს თავისუფალი პოეტური ლიცენციები, თამამი მეტაფორები, შედარებანი და ა. შ. რუსთველის პოეტური ენის თავისებურებანი თუ არ გავითვალისწინეთ, მაშინ შეიძლება ბევრი „უხერხულობა" იპოვოს მკვლევარმა. თუ საკითხს მივუდგებით პ. ინგოროყვას პოზიციიდან, განა თვალად კი შეიძლება ითქვას ვარდის შესახებ, ან პირად? ამ შემთხვევაში პრინციპულად ერთსა და იმავე მხატვრულ სახეებთან გვაქვს საქმე და, მაშასადამე, ტრადიციული ტექსტის გასწორების საჭიროება არა ჩანს.

როგორც ცნობილია, რუსთველმა დახატა ვაჭრების ყოფისა და საბაზრო ღებმოცემობის კოლორიტული სურათი (1067):

დიდ-ვაჟარნი სარგებელსა ამის ძეტსა ვერ ჰპოვებენ:
იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ, წააგებენ;
გლახა თვე ერთ გამდიდრდების, საკაჭროთა ყოლგნით ჰკრებენ;
უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ.

„ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემაში ამ სტროფის პირველი ორი ტაეპის ტექსტი გასწორებულია (გვ. 470):

დიდ-ვაჟარნი სარგებელსა ამის ებრსა ვერ ჰპოვებენ:
იყიდიან, გაყიდიან, არ თუ ცუდად წააგებენ.

ახალი გამოცემის ტექსტის სურათს უთუოდ დაჰკლებია ფერები. რუსთველი იმას ამბობს, რომ სააღებმიცემო ურთიერთობის დროს ხან მოიგებენ, ხან წააგებენ („იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ, წააგებენ“). ეს უაღრესად ცოცხალი რეალისტური მომენტი დაჩრდილულია ახალი გამოცემით. საქმე ცალმხრივად არის წარმოდგენილი, თითქოს ყიდვა-გაყიდვას შედეგად მხოლოდ მოგება მოსდევდეს. ნაცვლად გარკვეული ვითარების აღნიშვნისა („მოიგებენ, წააგებენ“), ვღებულობთ საკმაოდ საეჭვოსა და გაურკვეველ მსჯელობას („არ თუ ცუდად წააგებენ“).

ერთგან რუსთველს ფატმანის პირით მოთხრობილი აქვს ნავროზობის დღეობის ამბავი (1124):

დღე მოვიდა ნავროზობა, დედოფალსა ძღვენი ვსძღვენით;
ჩვენ მივართვით, მათ გვიბოძეს, ავავსენით, ავივსენით:
ჟამიერად მხიარულნი წამოვედით ნებით ჩვენით,
კვლა დავსხედით გახარებად, უნებურნი არ ვიყვენით.

პ. ინგოროყვა ცვლის დამოწმებული სტროფის მეოთხე ტაეპს (გვ. 474):

კვლავ დავსხედით ნადიმობად, მუნებურნი არ ვიყვენით.

ამ გასწორებიდან შეიძლება ასე თუ ისე შესაწყნარებელი იყოს „გახარების“ შეცვლა „ნადიმობად“, მაგრამ სრულიად შეუწყნარებელია მეორე კონიექტურა: უნებურნი — მუნებურნი. უნებურნი ნაწარმოებია ნებისაგან. მესამე ტაეპში რომ ნათქვამია „წამოვედით ნებით ჩვენითო“. მეოთხე ტაეპში რუსთველური სიტყვა–შებრუნებით აღნიშნულია „უნებურნი არ ვიყვენითო“. აქ გვაქვს კონტრასტული პარალელიზმის თავისებური გამოვლინება. ნებით და უნებურნი ერთიმეორეს ამაგრებს აზრითაც და ფორმითაც. მუნებურნი კი უადგილოა. მართლაც, მუნებურნი იგივეა, რაც იქაურნი. მაგრამ რა აზრი აქვს ასეთი მნიშვნელობის სიტყვას კონტექსტში? სასახლიდან ჩვენი ნებით, ჩვე-

ნი სურვილით წამოვედით და კვლავ დავსხედით სალხინოდ. იქა-
ურნი არ ვიყვენითო. სრული უაზრობა გამოდის. ხოლო ძველი რე-
დაქციით შინაარსი ნათელია: კვლავ დავსხედით სალხინოდ, უკმაყო-
ფილონი (ჩვენდა უნებურად მოქმედნი) არ ვყოფილვართო. ამიტო-
მაც ძალაში უნდა დარჩეს ადრინდელი რედაქცია.

მინდა ყურადღება მივაქციო ერთ დეტალს. თავის შენიშვნებში პ. ინგოროყვას დაბეჭდილი აქვს სიტყვა კვლა არასწორი ფორმით კვლავ. საკუთრივ პოემის ტექსტში ეს სიტყვა სწორი ფორმითაა. შენიშვნებში, ალბათ, კორექტურული შეცდომაა; მაგრამ მაინც საგულისხმოა, რომ მსგავსი შეცდომები აქ არაიშვიათია (იხ. მაგალითად, შენიშვნა 168 და შდრ. 541 სტროფის მეოთხე ტაეპს: ასრე — ესრე).

არავითარი საჭიროებით არ არის გამართლებული 1127 სტროფის პირველი ტაეპის ტექსტის გასწორება:

ვაჭრის ცოლთა ვუმასპინძლე მხიარულად, ამოდ, დურად (საიუბ.).

ვაჭრის ცოლთა მხიარულმან ვუმასპინძლე ამოდ, დურად (ინგ.).

1261-ე სტროფის მეოთხე ტაეპში იკითხება:

ჩემნი მომკულენი წამწამნი შავნი გიშრისა ხენია.

პ. ინგოროყვას შეუფერებლად მიაჩნია სახე გიშრისა ხენია („სახე-ხე, წამწამთა აღსანიშნავად, შეუფერებელია", გვ. 481). მას ტექსტი შეუსწორებია ნაწილობრივ ხელნაწერზე დამყარებით. ნაწილობრივ საკუთარი შეხედულებისამებრ:

ჩემსა მომკვლელსა წამწამნი შავნი გიშრისა სხენია.

პ. ინგოროყვას მოსაზრება არ არის მართებული. წამწამის მეტაფორულად ხედ წარმოდგენა რუსთველის მხატვრული აზროვნებისათვის ბუნებრივია: მას წამწამი დასახული აქვს (მეტაფორულად) შუბად (1146.2). სარად (889.1) წნელად (1280.2). ამ ვითარებაში ხეც თავის ბუნებრივ ადგილასაა.

ავთანდილი ტარიელს დაეხმარა ინდოეთის განთავისუფლებასა და ტახტის მოპოვებაში. ბევრი მოილხინეს. დრო გავიდა და „ტარიელ ცნა, ამა ყმასა ცოლისათვის მოესურვა" (1655.1). პ. ინგოროყვა ასწორებს: „ტარიელ ცნა, ამას ყმასა მის მზისათვის მოესურვა". აქაც გასწორება არავითარი საჭიროებით არ არის გამოწვეული. ხშირად ასეთი ნებისმიერი გასწორების საფუძველი ხდება მოჭარბებული ნდობა რედაქტორისა ვახტანგის გამოცემისადმი. მაგალითად. 960-ე სტროფის ყოვლად უნაკლო მეოთხე ტაეპი პ. ინგოროყვას შეუცვლია ვახტანგის არც თუ მაინცდამაინც სანაქებო წაკითხვით:

როგორ გასრულვარ, შენ იცი, გული არღა არს ღხენითა (საიუბ.)
როგორ გასრულვარ, შენ იცი, გულია აღარ ღხენითა (ინგ.)

აღნიშნულის მარიჯდიდად საგულისხმოა 1436-ე სტროფის მაგალითი:

ღმერთმან გული განმინათლა გახეთქილი, გაცამწკრალი (1436,2).

„გაცამწკრალი გაუგებარი სიტყვაა, რომელიც არსად დამოწმებული არააო", ამბობს პ. ინგოროყვა (გვ. 492) და ასწორებს მას გაცამჭკრალად. თითქოს ახალი სიტყვა (გაცამჭკრალი) პირველზე უფრო იყოს გასაგები და პოემაშიც სხვაგან იხმარებოდეს. ჭერ მესმის, რა აზრი აქვს ასეთ გასწორებას? მსგავსი გასწორებანი მხოლოდ თვითმიზნურ ხასიათს ატარებს.

მანანა გიგინეიშვილმა დაასაბუთა (ახალგაზრდა კომუნისტი, 8. VII. 54), რომ „ვეფხისტყაოსნის" ახალი გამოცემის ზოგიერთი კონიექტურა გამოწვეულია პოემის ტექსტის არამართებული, უკეთ მცდარი, გაგების შედეგად. ამას ამტკიცებს 455-ე სტროფის მაგალითი:

გაჳგზავნენ ყოვლგნით ლაშქარნი, ალაფი ავაღებინე,
ერთობ სავსენი მოვიდეს, თავიცა ვალაღებინე,
ჩემთა მებრძოლთა სისხლითა მინდორი
შევაღებინე.
არ ვბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გავაღებინე.

პ. ინგოროყვა ასწორებს სტროფის მესამე ტაეპს (გვ. 434):

სისხლსა მძებნელთა ჩემთასა
მინდორი შევაღებინე.

გასწორებული ტექსტის ენა მძიმეა, მოუქნელი, სამაგიეროდ ძველი რედაქციის ტექსტი სხარტია, მკვეთრი, მოქნილი. ტრადიციულ ტექსტს შესასწორებელი არაფერი აქვს. ცხადია, უმართებულოდ ყოფილა გაგებული ტაეპის შინაარსი, სხვა მხრივ გასწორებას აზრი არ ექნებოდა. საქმე ისაა, რომ რუსთველის ენით მებრძოლი ნიშნავს მოწინააღმდეგეს, მოპირდაპირეს, იმას ვინც გებრძვის. ტარიელი ამბობს. ჩემი მოწინააღმდეგეების (ლაპარაკია ხატაელებზე). ჩემი მტრების სისხლით მინდორი შევაღებინეო. საანალიზო ტაეპი საუცხოოდ არის გამართული შინაარსის მხრითაც და ფორმის მხრითაც.

„ვეფხისტყაოსნის" ტექსტის გასწორებას ზოგჯერ საფუძველი უდევს მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისი. ამ მხრივ საყურადღებოა 957-ე სტროფის ისტორია. ამ სტროფის პირველ ორ ტაეპში იკითხება (ტრადიციული რედაქციით):

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა.

პ. ინგოროყვა ასწორებს მეორე ტაეპს და უბრალოდ ამბობს: „გასწორდა ხელნაწერის ჩვენების თანახმად „აჰა, ღმერთო, გეაჯები...“ (გე. 464—465). სამაგიეროდ სქოლიოში შენიშნულია „იხ. ბაქრაძისეული ვარიანტი (შეად. პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, 1926 წ. გვ. 61)“. „რუსთველიანას“ დასახელებულ გვერდზე მართლაც არის დამოწმებული ეს გასწორება, გასწორების პრინციპული საფუძვლის თაობაზე საუბარია დასახელებული წიგნის მე-60 გვერდზე. პ. ინგოროყვა იქ შემდეგს წერს: „ვეფხისტყაოსანში გადმოცემული მსოფლმხედველობის თანახმად მზე არის ღვთების უშუალო ემანაცია, იგივე ღვთაება. ეს სავსებით შეეფერება მანიქეიზმის იდეებს. და პოემის თავდაპირველ დედანში წარმოდგენილი ყოფილა ისეთი ადგილები, სადაც პოეტი პირდაპირ მიმართავს მზეს, როგორც ღვთაებასო“ (ყაყოფა ჩემია, ა. ბ.). შემდეგ მოყვანილია აღნიშნული გასწორება. როგორც ცნობილია, პ. ინგოროყვა წინათ ბეჯითად ამტკიცებდა, ვითომც „ვეფხისტყაოსანი“ გამსჭვალული იყოს მანიქეური მსოფლმხედველობის იდეებით, თითქოს რუსთველი ყოფილიყოს მანიქეველი, მანიქეური „ფილოსოფიურ-რელიგიური ორდენის მეთაური“. ამისი ერთი საბუთიაო მოყვანილი მაგალითი. არა გვგონია პატივცემული მკვლევარი ახლაც იზიარებდეს ამ აშკარად ყალბ შეხედულებას, რომელიც არა ერთგზის ყოფილა გაკრიტიკებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში [17]. მაგრამ ყოველგვარი შენიშვნის გარეშე ის კვლავ თავის ძველ ნაშრომს იმოწმებს. დავუბრუნდეთ თვითონ საცილობელ ნაწყვეტს. „ვეფხისტყაოსნის“ შესაფერისი ტექსტის განხილვა არავითარ ეჭვს არ სტოვებს, რომ პ. ინგოროყვას გასწორება უმართებულოა. მართლაც, მულღაზარისაკენ მიმავალი ავთანდილი თავის გულის წუხილს ანდობს და დახმარებას სთხოვს შვიდ მნათობს. ის რიგ-რიგობით მიმართავს მზეს (957), ზუალს (958), მუშთარს (959), მარიხს (960), ასპიროზს (961), ოტარიდს (962) და მთვარეს (963). ერთგვარია თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში მნათობისადმი მიმართვის ფორმა: „აჰა, მზეო“, „მო, ზუალო“; „ჰე, მუშთარო“; „მოდი, მარიხო“; „მოდი, ასპიროზ“; „ოტარიდო“; „მო, მთვარეო“. დასასრულ, 964-ე სტროფში, ავთან-

[17] პ. ინგოროყვას თეორია რუსთველის მანიქეველობაზე პირველად გააკრიტიკა კ. კეკელიძემ თავის რეცენზიაში რუსთველიანას გამო („მნათობი“, 1927, № 2). იხ. მისი შეხედულება იმის შესახებაც, რომ აღნიშნულ სტროფში უნდა იკითხებოდეს „მზეო“ და არა „ღმერთო“ (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 143—144).

დილი ერთად ჩამოთვლის ყველა მნათობს და იმეორებს თავის საქებრებელს:

> აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
> მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
> მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან.
> მას გააგონე, რანიცა ცეცხლნი უშრეტნი მდებიან.

მაშასადამე, კონტექსტით მზეს უჭირავს თავისი ბუნებრივი ადგილი. მზის სახე აუცილებელია ტექსტისათვის. ამის გარეშე ვეფხისტყაოსნის საანალიზო ტექსტს ეკარგება თანმიმდევრულად განვითარებული, მკაფიო, ნათელი, აზრი. ირღვევა პოემის ცოცხალი, მკაფიო სახეობრივი სისტემა. მაგრამ ეს ცოტაა. რედაქტორის კორექტივი პოემის ავტორს თავს ახვევს მისთვის სრულიად უცნობსა და უცხო მსოფლმხედველობრივ თვალსაზრისს. პ. ინგოროყვას აღნიშნული გასწორება ვეფხისტყაოსნის ტექსტს აშკარად ამახინჯებს და მისი მიღება ყოვლად შეუძლებელია [18].

საკმაოდ ბევრ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გასწორების საჭიროება გამოუწვევია ვითომცდა დაზიანებული რითმების გამართვის სურვილს. პ. ინგოროყვა გამოდის იმ მცდარი მოსაზრებიდან, ვითომც რუსთველის ლექსის აუცილებელი კომპონენტია ე. წ. საყრდენი თანხმოვანი. ამის კვალობაზე რედაქტორის გასწორებანი ზოგჯერ თვითმიზნური ოპერაციის ხასიათს ღებულობს. მაგალითად, 22-ე შენიშვნაში პ. ინგოროყვას უწერია: „სტროფი 990,2, რითმა „რ-ასა“. 1951 წ. გამოცემაში — „სრვასა“. გასწორდა რითმის შესაბამისად: „სრასა“ (გვ. 411). მოგვყავს დასახელებული სტროფის პირველი ორი ტაეპი:

> ცხენთა შესხდეს, გაემართნეს, ფრიდონისსა მივლენ სრასა.
> დაიშალა ნადირობა, მოეშალნეს მხეცთა სრვასა.

მეორე ტაეპში ლაპარაკია ნადირობის, მხეცთა ხოცვის, მოსრვის შეწყვეტის თაობაზე. რუსთველს მოხმობილი აქვს შესაფერისი ქართული სიტყვა სრვა (რომელიც პოემაში სხვაგანაც ხშირად გვხვდება). პ. ინგოროყვა რითმის გულისათვის მოითხოვს ამის შეცვლას უსწორო ფორმით სრა. სრა სულ სხვა მნიშვნელობის სიტყვაა და ის პოეტს უკვე აქვს გამოყენებული პირველ ტაეპში. პ. ინგოროყვას შესწორების მიხედვით ისე გამოდის, თითქოს რუსთველი იმ მიმართულებისაა, აზრი მსხვერპლად შესწიროს შინველ,

[18] შდრ. მ. გიგინეიშვილის წერილს („ახალგაზრდა კომუნისტი“, 8.VII.54).

თვითმიზნურ ფორმას, თითქოს რუსთველისათვის მთავარი იყოს ფორმა, ამასთან თითქოს რითმის ფორმალური სისწორის მისაღწევად პოეტი ამახინჯებდეს თვითონ ამ ფორმის ნორმალურ, წესიერ აგებულებას. ამავე დროს, როგორც ვთქვით, რუსთველის ლექსში სრულიადაც არ არის სავალდებულო საყრდენი თანხმოვნის მონაწილეობა რითმაში. საკმარისია, თუ სანიმუშოდ დავიმოწმებდით „ვეფხისტყაოსნის“ მაღალივე შაირის ერთ უბრწყინვალეს სტროფს-- „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“. ამ სტროფის სარითმო სიტყვებია: პირსა, გმირსა, უნაგირსა, ანატირსა. როგორც მკითხველი ხედავს, აქ რითმაა ირსა, ხოლო საყრდენი თანხმოვანი სხვადასხვაა -- პ. მ, გ, ტ. ასევე, ზემოთ განხილული სტროფის რითმაა არა რასა, არამედ ასა. აქედან ცხადია, თუ რა პრინციპული ხასიათის შეცდომას უშვებს რედაქტორი გასწორებათა გარკვეული ჯგუფის მიმართ. აღნიშნული მცდარი თვალსაზრისის გამო ასწორებს პ. ინგოროყვა „ვეფხისტყაოსნის“ უკვე სახალხოდ ქცეულ ერთ უშვენიერეს აფორიზმს (877,4):

არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!

პ. ინგოროყვას სიტყვით, ეს ტაეპი „გასწორდა რითმის (და ტაეპის შინაარსის) შესაბამისად: საკრეფლად არ მოხდებიან“ (გვ. 410). თავის საპასუხო წერილში („ლიტერატურული გაზეთი“, 19. III. 54) პ. ინგოროყვა ცდილობს დაასაბუთოს განსახილავი აფორიზმის ტრადიციული რედაქციის შინაარსობლივი შეუსაბამობა და წერს: „თავისთავად თქმა — „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან“, ერთგვარ შინაარსობლივ შეუსაბამობას შეიცავს. ვარდი უეკლოდ, ე. ი. ეკალს რომ არ დაეჩხვლიტოს, მრავალს მოუკრებიაო“. წმინდა ნატურალისტური მიდგომაა საკითხისადმი. რა თქმა უნდა, სინამდვილეში ალბათ ბევრ ვინმეს მოუკრეფია ვარდი ხელის დაუჩხვლეტლად, მაგრამ განა ამის გამო ეკარგება ძალა რუსთველის უკვდავ აფორიზმს? რუსთველი განზოგადებული ვითარებიდან გამოდის და არა ცალკეული გამონაკლისად შესაძლებელი შემთხვევიდან. აღებული აფორიზმი რუსთველს სჭირდება საანალოგიოდ მეორე, პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ბრძნული დებულების გასამართლებლად — საბოლოო მიზნის მისაღწევად გარკვეული მსხვერპლის გაღებაა საჭირო, აბა, ხელის დაუჩხვლეტლად ვარდი ვის მოუკრეფიაო. ასეთია, რუსთველის ამ უკვდავი აფორიზმის აზრი და მნიშვნელობა. ამ აფორიზმს შესასწორებელი და გასაუმჯობესებელი არაფერი აქვს.

რითმათა გასწორების კატეგორიას ეკუთვნის პ. ინგოროყვას ერთი უმნიშვნელოვანესი გასწორება, რომელიც პოემის იდეოლოგიუ-

რი არსის ახლებური ინტერპრეტაციის პრეტენზიასაც შეიცავს. საქმე შეეხება 618-ე სტროფს. აქ მოთხრობილია, თუ როგორ უშველა ტარიელმა ფრიდონს თავისი მოწინააღმდეგეების დამარცხებაში. ტარიელი ამის შესახებ უამბობდა ავთანდილს:

მათნი ლამჭარნი გაგვექცეს; ვეცენით, გაცავფანტენით,
ფიცხლად წაგუღეთ ქალაქი, არ თავნი გავაზანტენით;
კვრთა დავპლეწეთ წვივები, ჩვენ იგი გავანატენით.

პირველი ტაეპის სიტყვას გაცავფანტენით პ. ინგოროყვა ყოველგვარი შენიშვნის გარეშე უმართებულოდ ასწორებს სიტყვით გამცავფანტენით (აქ უსწოროდაა გამოყენებული მცა ნაწილაკი). მთავარია მესამე ტაეპის გასწორება: გავანატენის ნაცვლად პ. ინგოროყვას შემოაქვს სიტყვა გავაანტენით (გვ. 412). თავის გასწორებას პ. ინგოროყვა ბეჯითად იცავს საპასუხო წერილშიც („ლიტერატურული გაზეთი", 12. III. 54). გავაანტენით მას ესმის როგორც — ანტედ გავხადეთ, ანტეს დავამსგავსეთ. ანტე ნიშნავსო ანტექრისტეს. პ. ინგოროყვას გაუცარტებით „ძველ ქართულ ხალხურ წარმოდგენათა თანასმად, ანტეს ანუ ანტექრისტეს, რომელიც ვითომც მომავალში უნდა დაბადებულიყო, მახინჯი, არაადამიანური გარეგნობა უნდა ჰქონოდა და კერძოდ არა-ჩვეულებრივად მაღალ-წვივებიანი უნდა ყოფილიყო... აქ ხალხურ წარმოდგენას მაღალ-წვივებიანი ანტეს შესახებ ეფარდება რუსთველის ტექსტი... „გავაანტენით" — ე. ი. ანტედ გავხადეთ, ანტეს დავამსგავსეთ. თავისი მტრები ტარიელმა და ფრიდონმა ანტეს იმით დაამსგავსეს, რომ მათ წვივები დაულეწეს (ისევე, როგორც მაღალ-წვივებიანი ანტე, ხალხური წარმოდგენით, მომავალში წვივებ-დალეწილი უნდა დაღუპულიყო).

ეს სტროფი ერთი იშვიათი ადგილთაგანია პოემაში, სადაც ჩვენ გვაქვს ქართულ ხალხურ-ქრისტიანულ წარმოდგენათა ანარეკლი" (ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, გვ. 412, შენიშვნა 1; დაყოფა ჩემია — ა. ბ.). ამ საკითხს პ. ინგოროყვა ვრცლად ეხება თავის საპასუხო წერილშიც („ლიტერატურული გაზეთი". 12. III. 54). აქ სიტყვა-სიტყვით განმეორებულია უკვე მოყვანილი საბუთი, ოღონდ ღამატებით აღნიშნულია: „არაა საჭირო დიდი გონებამახვილობა იმის გამოსაცნობად, რომ ტექსტი აქ დაზიანებულია. ჯერ ერთი, სიტყვა „გავანატენით" არ ეფარდება კონტექსტს. ამას გარდა, აქ დარღვეულია რითმა (რითმა დაბალი შაირის წყობის თანახმად) აქ არის „ანტე-

ნ ი თ“... მაშასადამე, მესამე სტრიქონში უნდა გექონდეს არა „გავაანტენით“, არამედ „გავაანტენით“.

მოყვანილ ამონაწერში პ. ინგოროყვა ოთხჯერ იმეორებს, ვითომც ანტექრისტეზე წარმოდგენა იყოს ხალხური ან ხალხურ-ქრისტიანული წარმოდგენა და ვითომც ეს ამაგრებს მისი არგუმენტების ძალას. საქმე ისაა, რომ საკითხი ანტექრისტეს შესახებ არის საზოგადოდ ქრისტიანული აღმსარებლობის ან ქრისტიანულ ცრურწმენის საკითხი და არა ხალხური წარმოდგენის საკითხი. საეჭვოა თვითონ მოხმობილი ანალოგია. ტარიელმა და ფრიდონმა უკვე დალეწეს, უკვე დაამარცხეს თავიანთი მტრები, ანტექრისტე კი (ქრისტიანული წარმოდგენით) ჯერ არ მოელენილა, მის წინააღმდეგ ბრძოლა მომავალში უნდა გაჩაღდეს.

საყურადღებოა საკითხის მეორე მხარე. პავლე ინგოროყვას კორექტივის მიხედვით ისე გამოდის, რომ ტარიელმა და ფრიდონმა თავიანთი მტრები ანტექრისტედ აქციეს („ჩვენ იგი გავაანტენით“). მტრები კი ბლომად იყვნენ, ფრიდონის ბიძა-ძეთ თან ახლდნენ „მათნი ლაშქარნი“, სწორედ ამ ლაშქარს დაულეწეს მათ წვიები. გამოდის. რომ ანტექრისტედ კი არა, ანტექრისტეებად უქცევიათ ჰაბუკებს თავიანთი მოწინააღმდეგენი. ანტექრისტე ქრისტიანული წარმოდგენით ქრისტეს საშიში მეტოქეა, მის დასამარცხებლად ქრისტეს დასჭირდება ძალღონის დიდი დაძაბვა. მორწმუნე ქრისტიანული საზოგადოება შუა საუკუნეებში ძრწოლით და შიშით მოელოდა კაცობრიობის ამ საშინელი მტრის დაბადებას. პ. ინგოროყვას მიერ გასწორებული ტექსტით ტარიელმა და ფრიდონმა უკვე აქციეს ანტეებად მულღაზარის საშინაო ფეოდალური ბრძოლის ფერხულში ჩაბმული მეომრები. მერე და რა შედარებაა ეს შედარება? მოლაშქრეები ანტექრისტეებად აქციესო?!.. ეტყობა. მკვლევარი გრძნობს ამ უხერხულობას და ამიტომაც გვარწმუნებს: „თავისი მტრები ტარიელმა და ფრიდონმა ანტეს იმით დაამსგავსეს, რომ მათ წვიებში დაულეწესო“. რა თქმა უნდა, ეს შენიშვნა საქმეს ვერ შველის. დასასრულ, ს. ცაიშვილმა სწორად აღნიშნა, რომ ფრაზაში „ჩვენ იგი გავაანტენით“ ნაცვალსახელი ი გ ი წვიებს ეკუთვნის და წვიების ანტედ ქცევას კი ვერცერთი რედაქტორი ვერ შეძლებსო“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 5. VI. 54). ნამდვილად საანალიზო ტექსტს გასწორება არ სჭირდება. ფორმაც თავის ადგილასაა (ასონანსური რითმა) და შინაარსიც. მართლაც და, გ ა ვ ა ნ ა ტ ე ნ ი თ ნიშნავს ნ ა ტ ა დ ვაქციეთ, ნ ა ტ ა დ გავხადეთ. ნ ა ტ ი „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგანაც იხმარება, მაგალითად (267):

ავთანდილ სარკმლით უჭვრეტდა. ტყვე. სჯნით ნააზატები.
ღან ქალმან ქვეშე დაუგო ვეფხის ტყავისა ნ ა ტ ე ბ ი,
მას ზედა დაჯდა იგი ყმა, სულთქვამს ჰირ-მონამატები,
სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატები.

სხვათა შორის, ეს მაგალითი იმითაც არის საყურადღებო, რომ აქ საყრდენი თანხმოვანი რითმაში არ შემოდის (ზ ა ტ ე ბ ი, ნ ა ტ ე ბ ი, მ ა ტ ე ბ ი, ს ა ტ ე ბ ი). ნ ა ტ ი ნიშნავს ქვეშსაგებ (ან სხვა მიზნით სახმარ) გ ა მ ო ქ ნ ი ლ ტ ყ ა ვ ს. ამრიგად, გავანატენით ნიშნავს ტყავად. გამოქნილ ტყავად ვაქციეთ, გავხადეთ, ე. ი. ისე დავლეწეთ, დავზილეთ მტრები, რომ წვივები ნატებად გავუხადეთო. ტექსტი აზრიანია და შინაარსიანი, რედაქტორის განცხადება „გ ა ვ ა ნ ა ტ ე ნ ი თ არ ეფარდება კონტექსტსო“ დაუსაბუთებელია და ცარიელ განცხადებად რჩება. ტრადიციული ტექსტით აცილებულია პოემაში ქრისტიანული ცრურწმენის აღმნიშვნელი სახის შეტანის საჭიროება. ასეთი სახის შეტანა პოემაში უთუოდ გაუმართლებელი და ნაძალადევი ნაბიჯი იქნებოდა.

ამით ვამთავრებთ ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გასწორებათა ნიმუშების განხილვას. დაგვრჩენია კიდევ ერთი საკითხი, რომლის თაობაზე პ. ინგოროყვა უფრო მწვავედ ლაპარაკობს თავის საპასუხო წერილში („ლიტ. გაზეთი“ 12. III. 54). პ. ინგოროყვა აღნიშნავს, ვითომც „ვეფხისტყაოსნის შესწავლის საკითხში ამჟამად შეინიშნება ერთგვარი თვითკმაყოფილება“, კერძოდ ვითომც ეს „თვითკმაყოფილება“ გამოამჟღავნა რუსთველის პოემის 1951 წლის გამოცემის რედაქციამ, თითქოს ამ რედაქციის მიერ პოემის „ტექსტი მიჩნეულია ძირითადად დადგენილად“. ეს განცხადება არ არის სწორი. „ვეფხისტყაოსნის“ 1951 წლის გამოცემის რედაქციას გარკვეული მიზეზების გამო დიდი ბრძოლა დასჭირდა იმისათვის, რომ მოეხერხებინა საიუბილეო გამოცემის კრიტიკა და მისი ზოგიერთი შეცდომის გასწორება. ამასთან რედაქცია მთელი სერიოზულობით აცხადებდა: „რასაკვირველია, მომავალში უფრო უნდა გაძლიერდეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაღრმავებული შესწავლა. ამჯერად ჩვენ მიზნად ვისახავდით საიუბილეო გამოცემისათვის კომისიის მიერ დამზადებული ტექსტის აღდგენას ზოგიერთი საჭირო ცვლილებითურთ“ (ვეფხისტყაოსნის 38-ე გამოცემა, თბილისი, 1951, გვ. 407). განა ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ 1951 წლის გამოცემის რედაქციას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ძირითადად დადგენილად მიაჩნია?! პირადად ჩვენ ჯერ კიდევ 1949 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში (ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, V) ვაკრიტიკებდით „ვეფხისტყაოსნის

საიუბილეო გამოცემის რედაქციას პოემის სტროფული შემადგენლობის საკითხთან დაკავშირებით და ბრალს ვდებდით ამ რედაქციას ნაკლები წინააღმდეგობის გზით სვლაში, სიძნელეებისათვის გვერდის ავლაში, სიძნელეების მიფუჩეჩებაში, არა მეცნიერული ხერხების გამოყენებაში, ნებისმიერი, ხელოვნური და ტენდენციური რედაქციული მეთოდებით ხელშეწყობაში"[19].

ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ „ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო გამოცემას ჯერ კიდევ სერიოზული გასწორება სჭირდება არა მარტო რედაქციული წაკითხვების მხრივ, არამედ სტროფული შემადგენლობის მხრივაც. „ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო გამოცემაში გაპარულია ზოგიერთი უცილობლად არა-რუსთველური სტროფი. სანიმუშოდ ჩვენ აქ განვიხილავთ ერთ მაგალითს. პოემაში ხშირია სიტყვა კაეშანი და ამ სიტყვით გამოხატული განწყობილებანი. ტარიელის საძებნელად წასულ ავთანდილს აკრძალული ჰქონდა „ტვირთი კაეშნისა" (172.4). ტარიელის მამას, სარიდანს „ხალვა მოსძულდა, შეექმნა გულს კაეშანთა ჯარები" (313,1). გულ-შეღონებულ ტარიელს ავთანდილი „ეხვეწებოდა: „შეჯეო", აჯას ხვეწნითა არვებდა, იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა" (891,1-2). ავთანდილმა დაიყოლია ტარიელი, ცხენზე შესვა, რის გამოც ჰაბუკმა მართლაც „მოიშორვა კაეშანი" (893,4). ფრიდონისას მიმავალი ავთანდილი ზუალს ეუბნებოდა საყვედურს (958,3): „შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე ვითა ვირსაო". ფატმანიც ამბობდა ერთი შემთხვევის გამო (1128,1-2):

> უკმოვახვენ სარკმელნი და შევაქცივე პირი გზასა.
> ვიხედვიდი, ვიჯარვებდი კაეშნისა ჩემგამ ზრდასა.

ნესტანისა და ტარიელის ინდოეთში დაბრუნებით გახარებულმა დედოფალმა „მოიშორვა კაეშანი. გული მდედრი აქვიტკირა" (1634,3). ყოველივე ამის შემდეგ უცნაურად ჟღერს 835-ე სტროფი:

> ტირს, იტყვის „დაღვა კაეშანი ლახვარმან ჩემთვინ ათმანო,
> ინდოთა რაზმი ჩემად კლვად თქვა, ესე ტევრი ვთხზა თმანო.
> თვალთა გიშერი ამვენებს, სათმან რად შომკლა, სათმანო!
> ბაგე-კბილო და თვალ-წარბო, შომცემდი პატიჟთა, თმანო!

---

[19] იხ. დასახელებული წერილის გვ 157—58; შდრ. ჩვენივე ნარკვევები, III, 1952, გვ. 92—93.

ეს ყოველმხრივ უხამსი სტროფი ხელოვნურად არის ჩაჩხერილი ავთანდილის ასტრალური ჰიმნის პრელუდიაში. სტროფის უბადრუკობის მაჩვენებელია მისი საერთო აზრობრივ-შინაარსობლივი და გარეგნული უსუსურობის გარდა რითმაში განმეორებული ტავტოლოგიური „თმანო“ და განსაკუთრებით დამახინჯებული სიტყვა კ ე შ ა ნ ი. ეჭვი არ არის, რომ 835-ე სტროფი რომელიღაც უნიჭო ინტერპოლატორის მიერ არის შეთხზული და შემდეგ არის ჩართული რუსთველის გენიალურ პოემაში. ეს საგალითი აშკარად ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემაში ყველაფერი რიგზე არ არის არც ტექსტის სტროფული შემადგენლობის მხრივ. ჩვენ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჯერჯერობით არ გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ შესაფერისი აპარატით შემკული მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ასეთი ტექსტის უმოკლეს დროში მომზადება. ეს საპასუხისმგებლო საქმე უნდა იტვირთოს რუსთველოლოგთა კოლექტივმა. მხოლოდ ძალების შემჭიდროებით, გულმოდგინე კოლექტიური მუშაობით კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლით შევძლებთ ჩვენ აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტას. „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, ისე როგორც აშისი წინანდელი (1937 და 1951 წლების), გამოცემანი საჭირო და საყურადღებო მასალად გამოდგება პოემის იმ მომავალი გამოცემისათვის.

ნ. ალ. გვახარია, იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები. I ანონიმური ვერსია. თბილისი, 1958 წ. გვ. 155

სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს მისი ავტორის მიერ დასამუშავებლად განზრახული მონოგრაფიის პირველ ნაკვეთს. გამოკვლევის ამ ნაკვეთს სრულიად დამოუკიდებელი და დამთავრებული სახე აქვს. გამოკვლევის საგანი თანაბრად საინტერესოა როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის, ისე სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით.

სარეცენზიო ნაშრომი სერიოზული და მშვენიერი გამოკვლევაა ქართულ-სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურული ურთიერთობის სფეროდან. გამოკვლევის ავტორს თავისი წვლილი შეაქვს ამ საყურადღებო სამეცნიერო პრობლემაში (ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემაში).

ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში განხილულია იოსებზილიხანიანის სპარსულ-ტაჯიკური ვერსიის საკითხები (გვ. 5—103). მეორე ნაწილი შეეხება იოსებ ზილიხანიანის ქართულ, ე. წ. ანონიმურ ვერსიას (გვ. 104—145). გამოკვლევას დართული

აქვს კარგად შედგენილი საკმაოდ ვრცელი რუსული რეზიმე (გვ. 145—155).

ალ. გვახარიას საფუძვლიანად შეუსწავლია იოსებზილიხანიანის ყველა, ასე თუ ისე ცნობილი, სპარსულ-ტაჯიკური ვერსია (ნაწილობრივ უზბეკურიც). უფრო ვრცლად ჩერდება იგი პოემის იმ ვერსიაზე, რომელიც ფირდოუსის კალამს მიეწერება, განსაკუთრებით ვრცლად იხილავს ჯამისეულ ვერსიას. გამოკვლევაში საგანგებო ყურადღება აქვს დათმობილი ჯამის მიმბაძველებს (95—103).

ავტორს საჭირო მეცნიერული სიზუსტით და ცოცხლად აქვს დახასიათებული ჯამის ლიტერატურული ეპოქა. გადმოცემულია ჯამის ცხოვრების ნიშანდობლივი მომენტები, საქმის ცოდნითა და გემოვნებით გარჩეულია ჯამისეული იოსებზილიხანიანის ისტორიულ-ლიტერატურული და იდეურ-მხატვრული მხარეები. კერძოდ, მოხდენილადაა გაანალიზებული ჯამის მხატვრული ენა. შესავალში ავტორს კრიტიკულად აქვს მიმოხილული საგნის ლიტერატურა, საჭირო სისრულითა და ობიექტური, სწორი შეფასებითაა გადმოცემული საკელეო პრობლემის შესწავლის ისტორია. დამარწმუნებელია ავტორის კრიტიკული შენიშვნები ცნობილი რუსი ირანისტის ე. ბერთელსის მისამართით (გვ. 95—96). საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ალ. გვახარიას დამუშავებული აქვს პირველწყაროები ქართულ, სპარსულ, რუსულ და ახალ ევროპულ ენებზე. იგი ამეღავნებს სპარსულ-ტაჯიკური ენის ღრმა ცოდნას. მას მოუხმია სპარსულ-ტაჯიკური როგორც ბეჭდური, ისე ხელნაწერი მასალები თბილისის, ლენინგრადის, ტაშკენტისა და დუშანბეს სიძველეთ საცავებიდან.

ბეჯითი კვლევაძიების შედეგად ალ. გვახარიას დაუდგენია ჯამის დღემდის უცნობი ერთი მიმბაძველის არსებობა; ესაა XVI საუკუნის სპარსელ-ტაჯიკი პოეტი ბადრი (გვ. 98). ბადრისეული იოსებზილიხანიანი აღმოჩენილია ტაშკენტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა დაუმუშავებელ ფონდში. სიფრთხილისათვის ალ. გვახარია საგანგებოდ შენიშნავს, ბადრი „როგორც „იუსუფ ზელიხას“ ავტორი, არ იხსენიება არც ერთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ კატალოგშიო“ (გვ. 98). ბადრისეული იოსებზილიხანიანის აღმოჩენა მნიშვნელოვანი შენაძენია სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის ისტორიისათვის.

გამოკვლევის მეორე ნაწილში, როგორც ვთქვით, ალ. გვახარია იხილავს იოსებზილიხანიანის ერთ-ერთ ქართულ ვერსიას, რომელსაც იგი ანონიმურს უწოდებს. ქართულ ენაზე მოიპოვება იოსებზილიხანიანის ორი ვერსია, ერთი შემონახულია XVI საუკუნის უნიკალური ხელნაწერით (გამოცემულია გ. ჯაკობაის მიერ 1927 წელს)

და უცნობ მთარგმნელს ეკუთვნის. მეორე ვერსიის ავტორია ცნობილი პოეტი და მეფე თეიმურაზ პირველი (1589-–1663).

განსვენებულ გ. ჯაკობიას უთუოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიების, კერძოდ პირველი, ანონიმური ვერსიის შესწავლის საქმეში. ალ. გვახარია აგრძელებს, აღრმავებს და აფართოებს გ. ჯაკობიას წამოწყებას. შედეგებიც მნიშვნელოვანია მიღებული. იოსებ ზილიხანიანის ანონიმური ვერსიის უნიკუმ ხელნაწერს ახლავს 12 მინიატურა. ეს მინიატურები სხვა, უფრო ძველი ხელნაწერიდან ყოფილა ამოღებული და აქ ჩართული. მინიატურების მეორე მხარეზე დაკრული ქაღალდის მოხსნის შედეგად ალ. გვახარიას მოუპოვებია იოსებზილიხანიანის ქართული ტექსტის საყურადღებო ფრაგმენტები. ამ ფრაგმენტების შეჯერებას უნიკალური ხელნაწერის (და ბეჭდური) ტექსტთან წარმოუდგენია საინტერესო ვარიანტული წაკითხვები. ფრთხილი, ზუსტი და მახვილგონივრული ფილოლოგიური ანალიზის წყალობით ალ. გვახარიას შეაქვს იოსებზილიხანიანის ბეჭდურ ტექსტში რამდენიმე საესებით დამაჯერებელი შესწორება (გვ. 107—113).

გ. ჯაკობიას, კ. კეკელიძისა და ჩვენი დაკვირვებით იოსებზილიხანიანის ანონიმური ვერსია ნათარგმნი უნდა ყოფილიყო ჯამის ტექსტიდან. პ. ინგოროყვას ვარაუდით კი, უცნობ ქართველ ავტორს თითქოს აღუდგენია თუ განუახლებია (რესტავრაცია მოუხდენია) ვითომც რუსთველისადმი კუთვნილი დაზიანებული პოემა იოსებ მშვენიერზე.

ალ. გვახარია საბუთიანად ამტკიცებს, რომ იოსებზილიხანიანის პირველი ქართული ვერსია უნდა მომდინარეობდეს არა უშუალოდ ჯამის, არამედ რომელიღაც მისი ადრინდელი უშუალო მიმბაძველის ტექსტიდან. ამ სავარაუდებელი მიმბაძველის ტექსტი ჯერ არ ჩანს, მაგრამ მისი საგულვებელი არსებობა ალ. გვახარიას დამარწმუნებლად აქვს დამტკიცებული. მკვლევარი სამართლიანად ფიქრობს, რომ იოსებზილიხანიანის ანონიმური ქართული ვერსიის დედნის ავტორი არ შეიძლება ყოფილიყო XVI საუკუნის პირველ ნახევარზე ადრე მოღვაწე (გვ. 143). თავის მხრით ქართული ანონიმური ვერსიის ჩამოყალიბება XVI საუკუნის შუა წლებით უნდა დათარიღდეს (გვ. 144).

საყურადღებოა ალ. გვახარიას შენიშვნა ქართული ვერსიის ავტორის (მთარგმნელ-ავტორის) ვინაობის შესახებ (გვ. 144—145). იოსებზილიხანიანის ჯამისეულ ვერსიაში ერთგან შემდეგი საგულისხმიერო რემარკა გვხვდება:

მოდი, ჯ ა მ ი, შენი ყოფიერებისაგან თავი შეიკავე,
შენს არსზე ფიქრისაგან თავი შეიკავე.

ჯამის ამ სტრიქონების გამოძახილია მისი ერთ-ერთი მიმბაძველის, ალ. გვახარიას მიერ მიგნებული, ბადრის სიტყვები:

მოდი, ბ ა დ რ ი, ამ არსის ყოფიერებას
თავი დაანებე, თითქოს არყოფილი იყოს.

იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიის ტექსტში შესაფერის ადგილას იკითხება:

ასრე უნდა, ზ ა ა ლ ხ ე ლ ო, ერთმანერთის სიყვარული.

აღნიშნულის კვალობაზე ალ. გვახარია ფიქრობს „აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ქართველი მთარგმნელის სახელიო". შესაფერისადვე „უცნობ პოეტს შეიძლება ვუწოდოთ ზაალი, ანონიმურ ვერსიას კი — ზაალისეულიო" (გვ. 145).

ვარაუდი სრულიად კანონზომიერია, ოღონდ ისიც შესაძლებელია (და ეს კი ალ. გვახარიას გათვალისწინებული არ აქვს), რომ ზაალი (ზაალ, ქ ს) რქმეოდა იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიის სპარსული დედნის ავტორს.

ამრიგად, ალ. გვახარიას ძირითადად სწორად აქვს გადაწყვეტილი იოსებზილიხანიანის ანონიმური ქართული ვერსიის ყველა ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი. მას მნიშვნელოვანი სიახლე შეაქვს კვლევის საქმეში. საინტერესოდ აანალიზებს იგი ქართულ ტექსტს ლიტერატურულ-მხატვრული თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული პოემის ჯამისეულ ვერსიასა და იმის მიმბაძველებთან ტექსტუალური შეჯერების შედეგები.

ალ. გვახარიას ნაშრომი ნიჭიერად და დიდი ცოდნით დაწერილი მეცნიერული გამოკვლევაა.

6. ახალი ნაშრომი ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან

1960 წლის თარიღით გამოქვეყნდა ტ. რუხაძის ვრცელი ნაშრომი „ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან" (მე-16—18 სს.). ეს არის მონოგრაფიული ხასიათის ნარკვევი ორი ხალხის ლიტერატურულ ურთიერთობაზე შორეული წარსულიდან მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებამდე. ნაშრომს ახლავს ვრცელი რუსული რეზიუმე. ცნება ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა აქ ფართო მნიშვნელობით არის გაგებული. ავტორი შესავალშივე ამბობს: „წინამდება-

რე გამოკვლევაში ლიტერატურული ურთიერთობა გულისხმობს არა მარტო „ლიტერატურას“, ჩვეულებრივი გაგებით, არამედ წერილობით წარმოდგენილ ყველა ძეგლს“ (გვ. 6). მართლაც. წიგნში განხილულია როგორც საკუთრივ ლიტერატურული მასალები, ისე საისტორიო წყაროები, სამართლის ძეგლები, საბუნებისმეტყველო-სამედიცინო, ფიზიკა-მათემატიკისა და ზოგიერთი სხვა დარგის თხზულებანი.

ტ. რუხაძის ნაშრომი ითვალისწინებს საზოგადოდ ქართულ-რუსულ კულტურულ ურთიერთობას გარკვეული ისტორიული მონაკვეთის ფარგლებში. წიგნში მიმოხილულია აგრეთვე რუსული გზით დასავლეთ ევროპიდან ჩვენში შემოსული ლიტერატურაც.

ტ. რუხაძის ნაშრომი საყურადღებოა, საჭირო და სასარგებლო. ავტორს გამოუძიებია, თავი მოუყრია, ერთგვარად დაუჯგუფებია და მეტ-ნაკლები სისრულით გაუანალიზებია დიდძალი ფაქტობრივი მასალა. მას მონდომებულად შეუსწავლია ნაბეჭდი წყაროებიც და ხელნაწერებიც. როგორც თვითონ შენიშნავს, მასალები განუხილავს უპირატესად ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით (გვ. 352).

ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების კვლევა-ძიების დროს ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს „ქართულის წვლილს რუსულში“ (გვ. 10), რაც უთუოდ მოსაწონია. ოღონდ, ჩვენი აზრით, ამ წვლილის შეფასებისათვის მკვლევარი ვერ იცავს სასურველ ზომიერებას.

ტ. რუხაძეს მოუპოვებია და შეუსწავლია საანალიზო პრობლემატიკის თვალსაზრისით რიგი მნიშვნელოვანი ახალი წყარო. ზოგჯერ სიახლე შეუტანია ცნობილი წყაროების გაშუქებაში. ნაშრომი ანგარიშგასაწევია როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის, ისე ნაწილობრივ მაინც რუსული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისითაც. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ავტორს დასმული აქვს და სწორად გადაწყვეტილი რიგი საჭირბოროტო ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. კერძოდ, ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ტრ. რუხაძეს საფუძვლიანად აქვს გამოძიებული რუსული პროლოგ-სვინაქსარის ქართულად გადმოღების გარემოებანი (გვ. 155—168. 170—178 და სხვ.). მან დაასაბუთა, რომ ამ ძეგლს გარკვეული როლი შეუსრულებია ქართული საღვთისმსახურო მწერლობის ისტორიაში, რომ ის პირწმინდად კი არ უთარგმნიათ, არამედ შეუხამებიათ ქართული სინამდვილისათვის, შეუსწორებიათ და შეუვსიათ (გვ. 165—170). შესაძლებელია სწორი იყოს ტ. რუხაძის მოსაზრება, რომ პროლოგ-სვინაქსარი ქართულად თარგმნა და დაამუშავა არ-

ჩილმა (ამ საკითხს შემდგომი. უფრო გაღრმავებული შესწავლა სჭირდება).

საფუძვლიანად არის განხილული წიგნში სიმონ ეგნატაშვილის მოღვაწეობა ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის სარბიელზე (გვ. 135—146), თუმცა ავტორი შეგნებულად გვერდს უვლის ეგნატაშვილის ბიოგრაფიის საჩოთირო მხარეებს. დღემდის ვიცოდით, რომ ს. ეგნატაშვილს ქართული ენიდან რუსულად გადათარგმნია „ბარამ-გულანდამიანი" (Похождение повеодеой красавицы Гуланданы и храбр г принца Барама, СПБ, 1773). ტ. რუხაძემ ერთმანეთს კონკრეტულად შეუდარა „ბარამ-გულანდამიანის" ქართულ-რუსული ტექსტები. შედარებამ გამოაკლინა საინტერესო სურათი: ეგნატაშვილს ნამდვილად ქართული ტექსტი კი არ უთარგმნია რუსულად, არამედ მას ფაქტობრივ შეუთხზავს „ბარამ-გულანდამიანის" ახალი რედაქცია (გვ. 145), რომელსაც ძალიან ცოტა აქვს საერთო თავის ქართულ დედანთან. სხვათა შორის, იმავე ავტორს ეკუთვნის „იმერელი ბრმა მემუსიკის სიმღერის" რუსული თარგმანი (გვ. 146—147).

ნაშრომში შესაფერისი ადგილი აქვს დათმობილი დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილის „ივერიის მუზათა საბრძოლო სიმღერების" რუსული თარგმანის საკითხს (გვ. 147—148), თუმცა საეჭვოა, რომ მთარგმნელი იყოს მისივე ქართველი ავტორი. საგულისხმო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ტ. რუხაძეს ტესტამენტის, აპოთეგმების და სხვა მნიშვნელოვან ძეგლთა ქართული თარგმანების თაობაზე. ავტორს შეუკრებია რუსული საისტორიო წყაროების ცნობები ქართულ სინამდვილეზე, მათ შორის ცნობები ქართველთა განმანათლებელზე და ივერიის ღვთისმშობლის ხატზე (გვ. 103. 113—117, 168, 330 და სხვ.). ეს კია, რომ ბიზანტიური წყაროებიდან მომდინარე ეს და მისი მსგავსი სხვა ცნობები არ შეიძლება განეკუთვნოს ქართულ-რუსულ ან რუსულ-ქართულ ურთიერთობათა რკალს (შდრ. გვ. 114—115). ტ. რუხაძეს გარკვეული აქვს დ. გურამიშვილის ერთი ლექსის ხ მ ი ს რუსული წყარო (გვ. 84—89).

დაინტერესებული მკითხველი ტ. რუხაძის წიგნში იპოვის კიდევ სხვა ანგარიშგასაწევ დაკვირვებებსა და შენიშვნებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. წიგნი მდიდარია მასალებით. სამწუხაროდ, მეტ წილად ეს მასალები ნედლადაა წარმოდგენილი. მკვლევარი ვერ იმორჩილებს თავის მასალას, უკმარია მასალების ანალიზი. უფერულია განზოგადებანი. წიგნის ზოგიერთი ქარი უფრო კატალოგის შთაბეჭდილებას ტოვებს. ნაშრომის ემპირიულსა და სინთე-

ზურ ნაწილთა შორის სუფევს დიდი დისპროპორცია. ავტორი ერთურთისაგან არ არჩევს მთავარსა და წვრილმანს, არსებითსა და შეთხვევითს. წიგნში ხშირია განმეორებანი, შეუწონავი ნახტომები, არათანმიმდევრული მსჯელობანი, უადგილო წიაღსვლები, უცნაური რემარკები (გვ. 299) და ა. შ. დაბალ დონეზეა ნაშრომის ენობრივ-სტილისტიკური მხარე. აქ ბევრს იპოვით გაუგებარსა და ბუნდოვან ადგილებს, აშკარა შეცდომებს, ლაფსუსებს და მისთანათ. ავტორი ზოგჯერ უხეშად ამახინჯებს ან უსწოროდ ხმარობს საყოველთაოდ ცნობილ ტერმინებს.

მოცულობით ყველაზე დიდია და ხვედრითი წონითაც განსაკუთრებულია ტ. რუხაძის წიგნის მეორე თავი: ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ი ს ხ ა ნ ი ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო და რ უ ს ე თ ი (სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურულ-ისტორიული დახასიათება), რუსული რეზუმეთი—Грузия и Россия периода Возрождения. მკითხველი იფიქრებს, რომ ამ კარში მიმოხილული იქნება ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ი ს ანუ რ ე ნ ე ს ა ნ ს ი ს დროინდელი საქართველოსა და რუსეთის მდგომარეობა. მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ არის. ავტორს მხედველობაში აქვს ქართული კულტურის ე. წ. აღორძინების პერიოდი. მაგრამ მაშინ რა შუაშია რუსეთი? საანალიზო კარი დასათაურებულია შეუფერებლად. ავტორს უნდა დაესახელებია ქრონოლოგიური ჩარჩოები. ვთქვათ ასე: საქართველო და რუსეთი მე-15—18 საუკუნეებში. ეს ბუნებრივიც იქნებოდა, ადვილად გასაგებიც და, რაც მთავარია, მეცნიერულად ზუსტი. საგულისხმოა, რომ ამ ე. წ. აღორძინების ხანის ქრონოლოგიური ფარგლებიც არ აქვს ავტორს დაზუსტებული, ზოგან ნაჩვენებია მე-16—18 საუკუნეები (გვ. 20, 322, 325, 328, 339), ზოგან კი — მე-17—18 საუკუნეები (გვ. 322, 326, 338). ერთი ასპექტით აფასებს ტ. რუხაძე ადრინდელ ქართულ რენესანსს (მე-12 ს.) და აღორძინების ხანას (მე-15—18 სს). იგი ხმარობს მიუღებელ გამოთქმას: „ადრინდელი ხანისა და მე-16—13 საუკუნეების ქართული რენესანსი“ (გვ. 20). ე. წ. აღორძინების ხანას რ ე ნ ე ს ა ნ ს ი არასოდეს არ რქმევია. აღორძინება ამ შემთხვევაში აღნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ქართული კლასიკური პერიოდის ლიტერატურული ტრადიციების გამოცოცხლების მომენტს. საკუთრივ რენესანსთან მას კავშირი არ აქვს. რაღაც გაუგებრობაა. თითქოს გამოთქმას ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ი ს პერიოდს სახარების ტექსტის კვალობაზე ვხმარობთ. ტ. რუხაძე ამბობს, რომ ნამდვილი ლიტერატურული ურთიერთობა ქართველებსა და რუსებს შორის „იწყება მე-15 საუკუნის გასულიდან, უფრო ზუსტად იმ ეპოქაში, რომელსაც ევროპელები რენესანსსა და განმანათლებლობას

უწოდებენ, ხოლო ჩვენ, ქართველები, კლასიკური ტერმინოლოგიის მიხედვით (ლკ. I, 80: II, 40), აღორძინების პერიოდა ვეძახით" (გვ. 19.) [1].

აქ უადგილოა სახარების ტექსტის მოწმობა, ისე როგორც უადგილოა დასავლეთ ევროპის რენესანსის ანალოგია. მაგრამ ეს უადგილო ანალოგია ტ. რუხაძისათვის სრულიადაც არ არის შემთხვევითი. იგი ერთ რკალში აქცევს ევროპულ რენესანსსა და ქართულ აღორძინებას, „აღორძინების ანუ რენესანსისა და განმანათლებლობის იდეებს... ჩვენ ეპოულობთ თეიმურაზ პირველისა და არჩილის ლექსებში, საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის დიდაქტიკურ ნაწერებში, ალექსანდრე ბატონიშვილის თარგმანებსა... და ანტონ I-ის ნაშრომებში, აგრეთვე გაიოზ რექტორთან და ბესარიონ გაბაშვილთანო" (გვ. 21). ჯერ ერთი, ტ. რუხაძე რატომღაც ერთაშად ათავსებს რენესანსსა და განმანათლებლობას. რასაკვირველია, რენესანსული განწყობილების ელემენტებს ან განმანათლებლობის მოტივებს იპოვით მე-17—18 საუკუნეების ქართველი მოწინავე მწერლების შემოქმედებაში, მაგრამ ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, თითქოს ქართული აღორძინების პერიოდი რაიმე გარკვეული კუთხით უმთხვეოდეს ევროპულ რენესანსს. ცნობილი მიზეზების გამო ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარება ფეხდაფეხ ვერ მიჰყვა ევროპული ქვეყნების წინსვლას. „კონსტანტინოპოლის დაცემა (1453) და ევროპული დიდი რენესანსი (მე-16—18 სს) -- შუა საუკუნეების დასასრულის მაუწყებელია. ვერ დავიჯერებთ, რომ გულგრილად შეხვდნენ რუსეთსა და საქართველოში იმ დიდ ისტორიულ მოვლენებსო", წერს ტრ. რუხაძე (გვ. 26). კონსტანტინეპოლის დაცემა ქართველობამ ტრაგიკულად განიცადა. ამ დროიდან საქართველო მოექცა მტრულად განწყობილი აგრესიული მუსლიმანური ქვეყნების რკალში, უზომო მსხვერპლი ჯდებოდა ამ რკალის გარღვევის ყოველი გაბედული ცდა. ქართველობა სისხლისაგან იცლებოდა. რომ ფიზიკური არსებობა შეენარჩუნებინა. მართალია. მძიმე ვითარების მიუხედავად ქართველობამ კულტურის სარბიელზედაც სანაქებო თვისებები გამოამჟღავნა, მაგრამ იმდროინდელი ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის შესანიშნავ ნიმუშებს აკლია რენესანსული აზროვნების სიდიადე, სილრმე და სინატიფე. მე-16—18

[1] აქვე შევნიშნავთ, რომ ლუკას სახარების დამოწმებულ ადგილს იკითხება: „ხოლო ყრმაჲ იგი იესუ ა ღ ო რ ძ ნ დ ე ბ ო დ ა და განმტკიცებოდა სულითა". ა ღ ო რ ძ ნ დ ე ბ ო დ ა ჩვეულებრივი და ფართოდ გავრცელებული სიტყვაა ძველ ქართულ მწერლობაში.

საუკუნეების ქართული აღორძინების პერიოდი მხოლოდ სახელით ემთხვევა ევროპული აღორძინების ეპოქას. უსაგნო იქნებოდა ქართული აღორძინების პერიოდის რაიმე არსებითი ნიშნით ევროპულ რენესანსთან დაკავშირება.

დაუშვებელია რენესანსისა და რეფორმაციის გაიგივება. რასაც ადგილი აქვს ტ. რუხაძის ნაშრომში. ტ. რუხაძე ამბობს: „რენესანსი, ან, როგორც გერმანელები უწოდებენ, რეფორმაცია, ყველა ქვეყანას ერთნაირად არ განუცდია..." (გვ. 20). ისეთი გერმანელები, როგორიც იყვნენ მარქსი და ენგელსი, სულ სხვა შეხედულებისა არიან ამ საკითხზე [1].

უკვე აღვნიშნეთ, რომ ტ. რუხაძეს დაზუსტებული არ აქვს ქართული აღორძინების ხანის ქრონოლოგიური ჩარჩოები. სამაგიეროდ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მას ცალკე გამოუყვია ამ ხანის ქვეპერიოდები: პირველ ქვეპერიოდად აცხადებს მე-16 საუკუნეს და მე-17-ის დამდეგს (გვ. 24, 26), მეორედ — მე-17 საუკუნეს, მესამედ — მე-18 საუკუნეს (გვ. 54—55). „1800-იანი წლები და XIX ს. I ათეულები" კი „აღორძინების ხანის მეოთხე ქვეპერიოდად" არის ჩათვლილი (გვ. 55). ამრიგად აღორძინების ხანის ყოველი საუკუნე მიჩნეულია ქვეპერიოდად. საამისო საფუძველი არ ჩანს. ოღონდ. ერთგან სხვათა შორის თითქოს ასახელებს მეორე და მესამე ქვეპერიოდების განმასხვავებელ კონკრეტულ ნიშანს, „მე-17 საუკუნის გასულს დასრულდა რუსთველური ლექსის ბატონობა, მოხდა მკვეთრი გარდატეხა ქართული ვერსიფიკაციის დარგში" (გვ. 55) და დასკვნის სახით შენიშნავს: „ამგვარად, ერთიან რუსთველურ ნაკადზე ზედმეტია ლაპარაკიო" (იქვე).

სპეციალისტთა დიდი უმრავლესობა არ იზიარებს იმ დებულებას, რომ მე-17 საუკუნის ბოლოს მოხდა „მკვეთრი გარდატეხა ქართული ვერსიფიკაციის დარგში". როგორ შეიძლება უდავო დებულების დაფუძნება სადავო წანამძღვარზე? სად გაგონილა ვერსიფიკაციის მიჩნევა ლიტერატურული პერიოდიზაციის საფუძვლად? საიდან მოიტანა ტ. რუხაძემ „ერთიანი რუსთველური ნაკადის" კონცეფცია? ჩვენ გვაგონდება, რომ თავის წიგნში „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია" (გვ. 145) ტ. რუხაძე მთელი აღორძინების ხანის მწერლებს ერთი ხელაღებით აცხადებდა „რუსთველისტებად" (?). რის გამოც თავის დროზე შეგენიშნეთ კიდევაც: „აღორ-

---

[1] И. Н. Голенищев-Кутузов. Итальянское Возрождение и славянские литературы (Исследования по славянскому литературоведению и фольклористике, М., 1960, გვ. 160—162).

ძინების სანის ქართველ მწერლებს მკვლევარი (ტ. რუხაძე) ხელაღებით აცხადებს რუსთველისტებად (?). მას ავიწყდება, თუ რა ბრძოლა წარმოებდა იმ პერიოდში რუსთაველის ლიტერატურული მემკვიდრეობის გარშემო[3].

ქვეპერიოდების მოყვარული ტ. რუხაძე ერთგან ასეთ დებულებას გვთავაზობს: „XVII საუკუნის გასულიდან რუსეთის ისტორიაში ახალი ქვეპერიოდი იწყება. ეწოდება მას «XVIII საუკუნე» (გვ. 32—33). მე კი არ ვიცი, რა ვუწოდო ამ „სიბრძნეს!"

სარეცენზიო წიგნის მეორე კარი წარმოადგენს კომპოზიციურად შეუკრავი და უწესრიგოდ თავმოყრილი შენიშვნებისა და დახასიათებების ნარევს (ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნარკვევის ის ნაწილი, რომელიც შეეხება საქართველოს). ეპოქის დახასიათებისათვის ავტორს არ აქვს შემუშავებული გარკვეული თვალთახედვა. მსჯელობს არათანამიმდევრულად და არამწყობრად. ფაქტები დაჯორგილია და მოვლენები აუხსნელი. აქ ვერ იპოვით ეპოქის ვერც სოციალურ-პოლიტიკური და ვერც კულტურული ცხოვრების წიგნიერ ანალიზს.

ნაშრომის შესავალში ავტორი აცხადებს „გვერდი ავუარეთ პრობლემიკასო" (გვ. 10). ნამდვილად კი იგი ეწევა გამომწვევ, ოღონდ უმისამართო და შენიღბულ, არსებითად უნიადაგო და ფუჭ პოლემიკას. ერთი ნიმუში უკვე მოვიტანეთ („ერთიან რუსთველურ ნაკადზე ზედმეტია ლაპარაკიო"). „ზედმეტია ვილაპარაკოთ ახალი სპარსული ლიტერატურის (მე-9—16 სს.) ნაკადზე აღორძინების ხანაშიო". აცხადებს მკვლევარი სხვაგან (გვ. 58). ცოტათი ადრეც შენიშნავს: „მე-16—17 საუკუნის (?) ქართველმა პოეტებმა, ისე როგორც კლასიკური ეპოქის დიდმა მწერლებმა, გამოიყენეს და თარგმნეს მშვენიერულად ძლიერი, თუმცა არამც და არამც უსაგნო, სპარსული პოეზიის შედევრები. მხოლოდ აღორძინების ხანის პოეტების გატაცება სპარსული ეპოსით აქ არაფერ შუაშია" (გვ. 57, დაყოფა ჩემია, — ა. ბ.). საკითხავია, რა კავშირშია დაყოფილი ფრაზა ნაწყვეტის წინა ნაწილთან? რა ლოგიკა ამართლებს მსგავსი დასკვნის შესაძლებლობას? მერმე და, ვის ეკამათება მკვლევარი? ვინ თვლის, რომ აღორძინების პერიოდის ქართველი პოეტების გატაცება სპარსული ეპოსით აქ რაიმე შუაშია? აღორძინების პერიოდში სპარსულიდან ქართულად ითარგმნა რამდენიმე პირველხარისხოვანი ლიტერატურული ძეგლი, მაგრამ

[3] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, III, 1952 ,გვ. 444.

ყოველი თარგმანი როდია შედევრი. მე-16—18 საუკუნეების ირანულ სამყაროში სპარსული კლასიკური მწერლობის ტრადიციებ ვერ ხეირობდა, მაშინ უიდეო, სალაღობო და ხელოვნური ფორმები გართულებული პოეზია ფასობდა. ასეთ პოეზიას გასავალი ჰქონდა ჩვენშიც. ძალიან ბუნდოვანად და მიკიბულ-მოკიბულად ტ. რუხაძე იმ აზრს ავითარებს, თითქოს მე-16—18 საუკუნეების საქართველოში ადგილი არ ჰქონია სპარსული სალაღობო პოეზიის ტრადიციების გადმონერგვის ცდებს (გვ. 57—58). თუ ეს ასეა, მაშინ გაუგებარია ტ. რუხაძის შემდეგი მოსაზრება: „ყველაზე დიდი დამსახურება «სპარსული ორიენტაციის», კერძოდ მაქმადიანობისა და სპარსული ლიტერატურული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მე-17—18 საუკუნეების «რეალისტ მწერლებს» მიუძღვით“ (გვ. 56). მაშასადამე, ქართულ ლიტერატურაში ადგილი ჰქონია „სპარსულ ორიენტაციას“, თუ კი მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დიდი სამსახური აქვთ გაწეული „რეალისტ მწერლებს“. რა საბუთით უნდა ჩავთვალოთ თეიმურაზ პირველი სპარსული ლიტერატურული ორიენტაციის წინააღმდეგ ბრძოლის წამომწყებად საქართველოში? (გვ. 56). თუ მართლაც თეიმურაზია ამ ბრძოლის წამომწყები, რად ილაშქრებდა მის წინააღმდეგ არჩილი? რად უწოდებდა მას მამუკა ბარათაშვილი „თათრული ზღაპრების“ მთარგმნელსა თუ გამლექსავს? ტ. რუხაძეს სწორედ ერთხაზოვან, ერთიან ნაკადად ეხატება ე. წ. აღორძინების პერიოდის ქართული ლიტერატურის განვითარება.

ტ. რუხაძე დიდ აუგად თელის, რომ თურმე „ზოგიერთები“ დავით გურამიშვილს სახავენ „ჰუმანურ თავადად“ (გვ. 28), ხოლო ეს „ჰუმანური თავადი“ „ვერ გადაურჩა ყმების რისხვასო“ (იქვე). ერთი ვიკითხოთ, ვინ არიან ეს ოდიოზური „ზოგიერთები“, ვის ესხმის იგი თავს? და კიდევ: სად ამოიკითხა ტ. რუხაძემ, რომ გურამიშვილი ვერ გადაურჩა ყმების რისხვას? იქნებ რაიმე საბუთი აქვს. და გვიმალავს? ჩვენ არაფერი ვიცით დ. გურამიშვილის არც „ორიგინალური მათემატიკური“ ნაწარმოების შესახებ. თითქოს ტ. რუხაძეს სცოდნია ასეთი რამ (გვ. 259, შენ. 1). გაგვიმხილოს, თუ ეს მოგონილი არაა.

არა; ტ. რუხაძეს გვერდი არ აუვლია უმისამართო და ფუჭი პოლემიკისათვის.

მკითხველი ტყუილად მოელის ტ. რუხაძის წიგნიდან რაიმე გარკვეულსა და პოზიტიურს მე-16—18 საუკუნეების ქართული ლიტერატურის მამოძრავებელი ძალებისა და წამყვანი ტენდენციების შესახებ. ავტორი კმაყოფილდება მარტოოდენ ცალკეული და ერთმა-

ნეოთან შეუთანხმებელი შენიშვნებით. სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთ მოზრდილ ნაწყვეტს ტ. რუხაძის წიგნიდან (გვ. 52—53): „სახელმძღვანელო მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილი ნიველირების მარქსისტული თეორია ამბობს, რომ ლიტერატურა და ხელოვნება ფეხდაფეხ არ მისდევს პოლიტიკურ აყვავებას თუ დაცემას. ამის საილუსტრაციოდ მოჰყავთ ხოლმე ანტიკური (მონური ფორმაციის) დიდი, განუმეორებელი ხელოვნება და ლიტერატურა. მაგრამ რაღა შორს წავიდეთ; რუსეთმა, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე (1917) ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრული ლიტერატურა. ფაქტია, რომ საბა ორბელიანის, ვახტანგ მე-6-ს, თეიმურაზ I-ის, არჩილის, დ. გურამიშვილის, ბესიკ გაბაშვილისა და სხვა შემოქმედება, რომელთაც ქართული მწერლობის მე-4, ანუ აღორძინების პერიოდში მოუხდათ მოღვაწეობა, არ შეიძლება ჩაითვალოს დაცემულობად, და მათი ნაწერები შუა საუკუნეების თითქმის ყოველი «დიდი ხალხის» პოეტების ბიბლიოთეკას მიუყენებდა ჩრდილს. აღორძინების ხანის ერთერთი ფაქტორი გახდა რუსული კულტურა და ლიტერატურა; მთავარი მაინც შინაგანი, თვითმყოფადი ფაქტორია; გარეშე ძალა არ კმარა“ (გვ. 52—53, დაყოფა ჩემია. — ა. ბ.).

გახაზული სიტყვებიდან ჩანს, რომ ნაწყვეტი ენობრივ-სტილისტურად უწიგნურად არის გაწყობილი. ნაწყვეტის სიტყვადასხვა დებულებას შორის არ არის დამყარებული აზრობლივ-ლოგიკური კავშირი. ავტორი ჯერ ლაპარაკობს ნიველირების თეორიის შესახებ. ამ თეორიის ახსნას ასე თუ ისე უკავშირებს აღორძინების პერიოდის ქართულ მწერლობას და ბოლოს მოულოდნელად აცხადებს: „აღორძინების ხანის ერთერთი ფაქტორი გახდა რუსული კულტურა და ლიტერატურაო“. სხვათა შორის ენობრივად და აზრობრივად არეული ეს ფრაზაა ხეირიანი (ავტორს უნდოდა ეთქვა — ქართული მწერლობის აღორძინების ერთ-ერთი ფაქტორი გახდაო რუსული ლიტერატურა).

საანალიზო ნაწყვეტით ტ. რუხაძე ავითარებს ამკარად ყალბ შეხედულებას, თითქოს მე-17—18 საუკუნეების ქართველი მწერლების ნაწერები ჩრდილს მიაყენებდნენ შესაფერისი დროის „თითქმის ყოველი «დიდი ხალხის» პოეტების ბიბლიოთეკას“. სულხან-საბა ორბელიანი, არჩილი და გურამიშვილი ჩრდილს კი არ მიაყენებდნენ, არამედ დაამშვენებდნენ „დიდი ხალხების პოეტების ბიბლიოთეკებს“.

ტ. რუხაძეს უმართებულოდ ესმის ნიველირების თეორიის შინაარსი, იგი ამახინჯებს მონათმფლობელური ფორმაციის სახელწოდებას („მონური ფორმაცია").

ერთი გარემოება გვაიძულებს საგანგებოდ შევჩერდეთ ტ. რუხაძის მიერ საყოველთაოდ ცნობილი ტერმინების დამახინჯებისა და უმართებულო შინაარსით სმარების თაობაზე.

სარეცენზიო წიგნის 291-ე გვერდის სქოლიოში ტ. რუხაძე იმოწმებს თავის წინანდელ ნაშრომს (ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბილისი, 1949), და ამბობს: „ამ მონოგრაფიის 147—151 გვერდებზე დასაერთოდაც ბარონ დე პოლნიცას მოგზაურობის „შინაარსი" არ გადმოგვიცია, როგორც ეს უმართებულოდაა აღნიშნული პროფ. ა. ბარამიძის „რეცენზიაში" (ნარკვევები, III, 1952). მკვლევარი, რომელმაც თავის წიგნს რეცენზიები დაურთო უმართებულოდ მომაწერს ფრაზას, ვითომც მე ვწერდე: ქართული თეატრის ისტორიაზე წარმოდგენას ქმნის ბარონ დე პოლნიცას თარგმანის შინაარსი (ნარკვევ., 437). რამდენად ობიექტურად იქცევა ავტორი, ეს ჩანს, სხვათაშორის, ფილოლოგიური ტერმინის „პროტოტიპის" მაგალითზე. მე ამ ცნებას ზუსტად ვიყენებ (ძვ. ქართ. თეატრი და დრამატურგია, გვ. 263, 286, 287, 289...). პროფ. ალ. ბარამიძეს დაუძებნია ერთი ლაფსუსი ჩემს მიერ პროტოტიპის არასწორად გაგებისა და მას იხვევს ხელზე (ნარკვ. III, 439). ასეთი „კრიტიკა" არა ერთ გზის დაუგმიათ (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 44—45...) სამეცნიერო და სახელმძღვანელო მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში..." (დაყოფა ჩემია, — ა. ბ.).

ტ. რუხაძის ნაშრომს „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია" ჩვენ მივუძღვენით საკმაოდ ვრცელი რეცენზია[4]. შეძლებისდაგვარად ჩვენ მივუთითეთ ნაშრომის როგორც დადებით, ისე ნაკლოვან მხარეებზე. ტ. რუხაძე ახლა ეხმაურება ჩვენს რეცენზიას, არაობიექტურს უწოდებს მას, დასაგმობ კრიტიკად აცხადებს ჩვენს შენიშვნებს (სიტყვა კრიტიკას სვამს ბრჭყალებში), უკუაგდებს „სამეცნიერო და სახელმძღვანელო მეთოდოლოგიური ლიტერატურის" თვალსაზრისით. ასე შორს მიმავალი დასკვნების საბუთად ასახელებს ჩვენს შენიშვნებს ბარონ დე პოლნიცას მოგზაურობაზე და ტერმინ პროტოტიპზე. პირველის თაობაზე ჩვენ გვიწერია: „ქართული თეატრის ისტორიაზე ვერავითარ წარმოდგენას ვერ შეჰქმნის ბარონ დე-პოლნიცას მოგზაურობის ქართული თარგმანის შინაარსის გად-

[4] ნარკვევები, III, 1952, გვ. 436—448.

მოცემა“ (ნარკვევები, III, გვ. 437). შემთხვევით ჩვენ შეცდომით მივუთითებთ ტ. რუხაძის წიგნის გვერდებს, აღნიშნული თხზულების შინაარსი ტ. რუხაძეს გადმოცემული აქვს თავისი წიგნის 64-ე და 65-ე გვერდებზე. მაგრამ ტ. რუხაძე სა ერ თო დ უარ ჰყო ფს, თითქოს მას პოლნიცას „მოგზაურობის“ შინაარსი ჰქონდეს მოთხრობილი. მეტიც. ტ. რუხაძე ამბობს, ალ. ბარამიძე „უმართებულოდ მომაწერს ფრა ზას, ვი თო მც მე ვწე რდე: ქართული თეატრის ისტორიაზე წარმოდგენას ჰქმნის ბარონ დე პოლნიცას თარგმანის შინაარსი“. კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ტ. რუხაძისათვის ჩვენ არავითარი „უმართებულო ფრა ზა“ არ მიგვიწერია, ჩვენ მხოლოდ ვწერდით: „ქართული თეატრის ისტორიაზე ვერავითარ წარმოდგენას ვერ შექმნის ბარონ დე-პოლნიცას მოგზაურობის ქართული თარგმანის შინაარსის გადმოცემა-თქო“. ეს არის და ეს. ტ. რუხაძე ა ყა ლბე ბს ჩვენს ტექსტს და უარ ჰყო ფს თავის მონათხრობს. საქმე ისაა, რომ მას არ ესმის სიტყვა ფრა ზის მნიშვნელობა, რაც სრულიადაც არ არის შემთხვევითი. საბუთად ტერმინ პრო ტო ტი პის ისტორიაც კმარა. ტ. რუხაძე თითონ აღიარებს, რომ ამ ტერმინის მოხმობისას ერთ შემთხვევაში მოუვიდა ლაფსუსი, რაც ალ. ბარამიძემ ხელზე დაიხვიაო, თორემ საერთოდ ამ ტერმინის მნიშვნელობაში კარგად ვერკვევიო. რეცენზიაში ჩვენ დასახელებული გვქონდა პრო ტო ტი პის უმართებულო ხმარების ორი მა გა ლი თი. მეორე მაგალითს ტ. რუხაძე გვერდს უვლის. აი ეს მაგალითიც: ერთგან ტ. რუხაძე მსჯელობს პიესა „ველისარიონის“ ქართულ ვერსიაზე. ამტკიცებს, რომ იგი „რუსულიდან მომდინარეობს“ (გვ. 264), თუმცა ხელმისაწვდომი რუსული და უცხოური შესაფერისი ტექსტებისაგან საკმაო თავისებურებას ამჟღავნებსო. ტ. რუხაძე წერს: „ყველაზე მეტი სიახლოვე ქართულ თარგმანს აქვს რუსულთან, თუმცა ის არაა რუსულის პრო ტო ტი პი ო“ (გვ. 263). ცხადზე უცხადესია, რომ თუ ვე ლი სა რი ო ნი თარგმანია, და ისიც რუსულიდან მომდინარე ტექსტის თარგმანი, ის ალარ შეიძლება იყოს „რუ სუ ლი ს პრო ტო ტი პი“. პროტოტიპის მნიშვნელობა აქ დამახინჯებულია, ჩვენ მხოლოდ ეს აღვნიშნეთ (ნარკვევები, III, 439). ტ. რუხაძე სხვაგან ზოგჯერ სისწორით, ან მიახლოვებითი სისწორით, იყენებს ტერმინ „პროტოტიპს“. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ მას გარკვევით არ ესმის საცალობელი ტერმინის მნიშვნელობა, რის გამოც შეცდომები მოსდის. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენს რეცენზიაში მითითებული გვაქვს ტ. რუხაძის მიერ რიგი სხვა ტერმინის (ჟანრის, სტილიზაციის, კოლორიტის, პრეცენდენტის, პოტენციის...) მცდარი

გაგების მაგალითებიც. ამათზე მკვლევარი დუმს. ჩვენი შენიშვნები მას ყოველ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მიეღო იმისათვის, რომ ახალი ნაშრომი მაინც დაეზღვია ანალოგიური ხასიათის შეცდომებისაგან. ის ასე არ მოიქცა. შენიშვნები არ იკადრა, სცადა გამოდავება და, როგორც ხედავთ, ახალი, უფრო მძიმე შეცდომა დაუშვა. მთავარი ისაა, რომ ტ. რუხაძე განაგრძობს ტერმინების უხეშად დამახინჯების გზას. ზოგი ნიმუში (მონური ფორმაცია. ფრაზა) უკვე მოვიყვანეთ, რამდენიმეს კიდევ მოვიყვანთ:

ტ. რუხაძე იმოწმებს თეიმურაზ პირველის მიერ რუსეთში გაგზავნილი ერთი წერილის საყურადღებო ნაწყვეტს და შენიშნავს: „ასეთ პოლიტიკურ აზრს იზიარებდა აღორძინების ხანის ყველა ძირითადი ტენდენციური ძალები და მას ხელს მოაწერდა ყველა თავკაცი, ვისაც ნამდვილად აწუხებდა ქვეყნის ჭირვარამი“ (გვ. 42, აქაც და ქვემოთაც ხაზი ჩემია,—ა. ბ.).

სტილისტურად უვარგისია გამოთქმა „აზრს იზიარებდა“, არ შეიძლება ითქვას „აზრს... ხელს მოაწერდა“, ძალები (რამდენადაც ადამიანები იგულისხმებიან) იზიარებდნენ და არა იზიარებდა, ყველა ძალა და არა ყველა ძალები. მაგრამ ეს შედარებით წვრილმანია. მთავარი ისაა, რომ მოყვანილი ნაწყვეტის მიხედვით, თურმე რუსეთის ორიენტაციის პროგრესულ აზრს საქართველოში ემხრობოდნენ „ყველა ძირითადი ტენდენციური ძალები“. რასაკვირველია, ავტორს არ უნდოდა ამის თქმა. ეს ეწინააღმდეგება მის საერთო თვალსაზრისს. მაგრამ მან ვერ შეძლო თავისი აზრის სწორად გამოხატვა, ერთმანეთში აურია ტენდენცია და ტენდენციური, შედეგად კი გამოუვიდა აშკარად მცდარი დებულება.

ძველი ქართული კულტურის რუსულ კულტურაზე გავლენის „საკითხით პირველად კირიონი დაინტერესდა, მაგრამ მის უთუოდ საინტერესო ნაშრომს ნიჰილიზმისა და სუბიექტივიზმის ნიშანი ატყვიაო“, ამბობს ტ. რუხაძე (გვ. 9). ნიჰილიზმი აქ უადგილოა. მკვლევარი ამტკიცებს, რომ კირიონმა, პირიქით, ძალზე გააზვიადა ქართულის გავლენის კვალიო.

კონიექტურის ნაცვლად ტ. რუხაძე ხმარობს ტერმინს კონიუნქტურა (157). მართალია, ბგერული გამოთქმის მხრივ ეს ტერმინები ერთმანეთს ემსგავსებიან, მაგრამ შინაარსობლივად „შუა უზით დიდი მზღვარი“.

დინარას შესახებ არსებული თქმულების „ერთ-ერთ ხელნაწერში, — გვაუწყებს ტ. რუხაძე, — მიღებული ყოფილა „შაბრენის“

მაგიერ „ბერსკის" ო რ თ ო გ რ ა ფ ი ა (124). ცხადია, რომ ო რ თ ო გ რ ა ფ ი ა აქ არაფერ შუაშია, ავტორს არ ესმის ამ ცნების შინაარსი.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ტ. რუხაძის მოსაზრების თანახმად, სიმონ ეგნატაშვილმა კი არ გადათარგმნა „ბარამ-გულანდამიანის" ქართული ტექსტი, არამედ „შეთხზა ახალი, რუსული „ბარამ-გულანდამიანი" (გვ. 145). თუ ასეა, მაშინ როგორღა წარმოაღგენს რუსული „ბარამ-გულანდამიანი" ა ვ ტ ო რ ი ზ ე ბ უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი ს ნ ი მ უ შ ს? (გვ. 147). ა ვ ტ ო რ ი ზ ე ბ უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი ნიშნავს ავტორის მონაწილეობით შესრულებულ თარგმანს. განა სიმონ ეგნატაშვილი იყო ქართული „ბარამ-გულანდამიანის" ავტორი?

ივანე ტოლსტოის ტ. რუხაძე უწოდებს პეტრე პირველის მ ი ს ი ო ნ ე რ ს ვახტანგ მე-6-ის კარზე (გვ. 38). მ ი ს ი ო ნ ე რ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ უნდა კ ო მ ი ს ი ო ნ ე რ ი. შეიძლება ავტორს ეს ჩაეთვალოთ ლაფსუსად ან კორექტურულ შეცდომად, რადგანაც მეორეგან ტერმინს ხმარობს სწორი ფორმით.

„რუსთაველი უშუალო მონაწილე იყო იმ ა ნ ტ ა გ ო ნ ი ზ მ ი ს ა, რომელსაც თამარსა და გიორგი რუსს შორის ჰქონდა ადგილი" (გვ. 15). ტერმინი ა ნ ტ ა გ ო ნ ი ზ მ ი აქ შეუფერებელია. ისიც უნდა ვიკითხოთ, საიდან იცის ტ. რუხაძემ, რომ რუსთველი უ შ უ ა ლ ო მონაწილე იყო აღნიშნული ამბებისა?

ჩვენ უფრო იმან გაგვაკვირვა, რომ ტ. რუხაძე უმართებულოდ ხმარებოს ქართულ სიტყვას ს ა ხ ე ლ ი. „სილვა და ნიკოლოზ ზანდუკელებს... პირველად ჩვენ მოუპოვეთ ადგილი ქართული თეატრისა და დრამატურგიის ისტორიაშიო", გვაფრთხილებს მკვლევარი და წყაროსაც იმოწმებს: „იხ. ჩემი ა მ ა ვ ე ს ა ხ ე ლ ი ს მ ო ნ ო გ რ ა ფ ი ა ო" (გვ. 100, შენ. 1). ამ შემთხვევაში ტ. რუხაძე ერთმანეთში ურევს სახელს (имя) და სახელწოდებას (название). „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია" არის წიგნის სახელწოდება და არა სახელი. ანალოგიურ შეცდომებს ტ. რუხაძე სხვაგანაც უშვებს (იხ. მაგალითად, გვ. 158, 207). მთარგმნელის „სახელი უცნობიაო", შენიშნავს ტ. რუხაძე ერთგან (გვ. 207). მკითხველი იფიქრებს, იმ მთარგმნელის გვარი კი ყოფილა ცნობილი, უცნობი დარჩენილა სახელიო. ნამდვილად ასე არ არის. უცნობია მთარგმნელის გვარიც და სახელიც, ტ. რუხაძეს უნდოდა ეთქვა „მთარგმნელის ვ ი ნ ა ო ბ ა უცნობიაო". ს ა ხ ე ლ ი ვ ი ნ ა ო ბ ა ს ვერ შეცვლის.

ნამდვილად კურიოზულია ტ. რუხაძის მიერ ზოგჯერ გამოყენებული სოციალურ-პოლიტიკური ტერმინოლოგია. ტ. რუხაძის წიგნში ვკითხულობთ: „1555 წელს სამხედრო-ფეოდალურმა ირანმა და ოკუპანტების კლასის თურქეთმა „გავლენის სფეროები“ გაინაწილეს“ (გვ. 25), „ყიზილბაშები და თურქთა ოკუპანტების კლასი გაბატონდა“ [?] (გვ. 35). უნდა გავიგოთ, რომ ჩვენ არ გვესმის ამ უცნაური სიტყვების (თურქთა ოკუპანტების კლასის) შინაარსი, ტ. რუხაძემ ახალი ტერმინით გაამდიდრა სოციოლოგიური მეცნიერება. ისიც გვაკვირვებს, რად ასხვავებს იგი ერთმანეთისაგან სოციალურ-კლასობრივად ყიზილბაშებსა და თურქ დამპყრობლებს.

„ქალაქურ ხელოსნურ წრეებსა და მოვაჭრე ადამიანებს, რომლებიც აღორძინების პერიოდში არაკაპიტალისტურ წარმოებებს წარმოადგენენ, ავსებს სოფელი, გლეხობაო“, გვასწავლის ტ. რუხაძე (31). ეს კი ნამდვილი სოციოლოგიური აღმოჩენაა: ხელოსნური წრეები და მოვაჭრე ადამიანები თურმე წარმოადგენენ წარმოებებს. ამ აღმოჩენას წინ უსწრებს ერეკლე მეორის დროინდელი საქართველოს სოციალური მდგომარეობის დახასიათება, სადაც სხვათაშორის ვკითხულობთ: „ირაკლის დროის საქართველოში ხელოსნურ-მანუფაქტურული წარმოება ასრულებდა უველაზე დიდ როლს. ისინი ერთიანდებოდნენ ამქრებად და ამქართა თავებად — უსტაბაში (ოსტატთა თავი)“ (გვ. 31). თურმე ნუ იტყვით, „ხელოსნურ-მანუფაქტურული წარმოება“ ყოფილა ისინი და ეს ისინი, ე. ი. ხელოსნურ-მანუფაქტურული წარმოება. ერთიანდებოდნენ ამქრებად და უსტაბაშებად (წარმოება ერთიანდებოდა ამქრებად და უსტაბაშებად!). აფერუმ, რა სანიმუშო სოციოლოგიური დახასიათებაა, რა ენაა!

დასასრულ უნდა დავიმოწმოთ ტ. რუხაძის „თეორიული ნააზრევის“ ერთი კურიოზული ნიმუში. მკვლევარი სერიოზულად გვასწავლის: „იდეური ბრძოლა ისეთი რამაა, რომ ხან ერთი იმარჯვებს და ხან მეორე, იმის მიხედვით, ვის რა მოსწონს“ (გვ. 218). კომენტარია აქ, მართლაც, ზედმეტია.

მოყვანილ მაგალითებს ვიკმარებთ. ახლა მკითხველმა განსაჯოს, რამდენად სამართლიანია ტ. რუხაძის მხრივ ჩვენი უწინდელი რეცენზიის შეფასება.

ჩვენ ცალკე აღარ შევჩერდებით ტ. რუხაძის ნაშრომის ენობრივ-სტილისტიკურ მხარეებზე. მინდა აღვნიშნო მხოლოდ, რომ ამ შემ-

თხვევაშიც იგი არ იყენებს საქმიან კრიტიკულ მიდგომებს. მაგალითად, ჩვენს პირველ რეცენზიაში დამოწმებული გვქონდა ტ. რუხაძის შემდეგი ტექსტი: „იოანეს თავი მოკვეთეს და ლარნაკზე დადებული მოგვარეს მეფეს“. ჩვენ ვწერდით: „რა ქართულია მოკვეთილი თავი მოგვარეს მეფეს?“ (ნარკვევები, III, 441). ტ. რუხაძე ახლა იმეორებს: „ხელთ იგდო დიდი საუნჯე და თამარს მოგვარა“ (გვ. 15).

ტ. რუხაძის წიგნში ბევრია ისტორიულ-ლიტერატურული თუ სხვა ხასიათის ფაქტობრივი შეცდომა. ჩვენ მხოლოდ სანიმუშო კონკრეტულ მაგალითებს მოვიყვანთ:

1. რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის თვალსაზრისით ერთი საუკეთესო ძეგლია „ალექსანდრიანი“. ტ. რუხაძე სწორად მოქცეულა, რომ ეს საკითხი ცალკე ქვეთავად გამოუყვია (გვ. 268—276). თუმცა „ალექსანდრიანი“ სპეციალურად უკვე შესწავლილია, ტ. რუხაძეს მაინც უხეიროდ და მცდარად აქვს გადმოცემული ამ ძეგლის ლიტერატურული ისტორია. ავტორი ჯერ ლაპარაკობს „ალექსანდრიანის“ ლიტერატურულ სათაეებზე და აღნიშნავს, თითქოს „ისკანდერნამე“ (სპარსული „ალექსანდრიანი“) შეთხზა ფირდოუსიმ (გვ. 268). მართალია, „შაჰ-ნამეში“ საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ალექსანდრე მაკედონელის ამბებს, მაგრამ „ისკანდერნამეს“ ავტორია ნიზამი განჯელი და არა ფირდოუსი.

„მხატვრული შინაარსის თვალსაზრისით „ალექსანდრიანი“ შეგვიძლია შევუდაროთ „დაბადებას“, ფირდოუსის „შაჰნამეს“, „ქილილა და დამანას“, „ვეფხისტყაოსანს“ და შუა საუკუნეების სხვა განთქმულ ძეგლებსო, ამბობს მკვლევარი (გვ. 271). რა თქმა უნდა, „ალექსანდრიანი“ შეიძლება შეუდარდეს დასახელებულ ძეგლებსაც და დაუსახელებლებსაც. ოღონდ საკითხავია, რა მიზნით? ლიტერატურული ძეგლების შემთხვევითს შეპირისპირებას ლიტერატურათმცოდნეობითს თუ საზოგადოდ კულტურის ისტორიის თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს ფუჭი და უსარგებლო საქმეა. აბა, რა აქვს საერთო „ალექსანდრიანს“ „დაბადებასთან“, „ქილილა და დამანასთან“, „ვეფხისტყაოსანთან“? რა უნდა მოგვცეს შედეგად ამ ძეგლებთან „ალექსანდრიანის“ შედარებამ?

ტ. რუხაძე ერთმანეთისაგან ვერ არჩევს „ალექსანდრიანის“ არჩილისეულსა და ჩხატარაშვილისეულ ვერსიებს, თუმცა მისთვის ცნობილია ამ ვერსიების არსებობის ფაქტი. ტ. რუხაძე წერს: „ვეფხისტყაოსანი და მისი გმირები ტარიელი და ნესტანი, ჭაჯეთის ციხე; შაჰნამეს პერსონაჟები (ქაიომარ, ჯიმშედი). ამირანდარეჯანიანის ინდო ჯაბუკი, ქართულში შემოსული სპარსული რომანების

წყვილები: ვისი. რამინი. ლეილა. მაჯნუნი, იოსები, ზილიხა. ბაზიჯა და ზოგი კიდევ უცნობი რომანის გმირები გვხვდებიან არჩილისა და პეტრე ჩხატარაიშვილის ალექსანდრიანში (გვ. 271). წყაროებად დასახელებულია ალ. ბარამიძის „ნარკვევები“ (II, 271) და ხელნაწერი ნუსხები.

დასახელებული წყაროები კი არ ამბობს იმას, რასაც მათ მიაწერს ტ. რუხაძე. რუხაძის მიერ თქმული შეეხება მხოლოდ „ალექსანდრიანის“ ჩხატარაშვილისეულ ვერსიებს (უფრო მის პროზაულ ვერსიას). არჩილი არაფერ შუაშია. ეს მით უფრო სავალალოა, რომ ტ. რუხაძეს თავის წიგნში ყველაზე ვრცლად და საფუძვლიანად აქვს განხილული სწორედ არჩილის მოღვაწეობა რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ასპარეზზე.

2. მთარგმნელობითს ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა არჩილის ძე, ალექსანდრე ბატონიშვილი. მას მიეწერება სიმეონ პოლოცკის ერთ-ერთი ტექსტის ქართული თარგმანი. ტ. რუხაძე საგანგებოდ ჩერდება ამ თარგმანის თარიღის თაობაზე. მკვლევარის ფიქრით, თარგმანი შესრულებული უნდა ყოფილიყო 1697 წლამდე, რადგანაც ამის შემდეგ ალ. ბატონიშვილი ერთხანს საზღვარგარეთ იმყოფებოდა სასწავლებლად, ხოლო 1700—1710 წლების მანძილზე ტყვედ იყო შვეციაში. „რა თქმა უნდა, — შენიშნავს ტ. რუხაძე. — შვეციაში ის ვერარას თარგმნიდა და კიდეც რომ ეთარგმნა, არჩილამდი ის ვერ მოაღწევდა“ (გვ. 204). ჩვენ კი ვიცით, რომ „არჩილს თავის ტყვე შვილთან განუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა წერილებისა და ადამიანების მეშვეობით“ [5]. კერძოდ, არჩილმა შვეციაში, ალექსანდრესთან გაგზავნა თავისი ცნობილი ლიტერატურული თანამშრომელი მღვდელმონაზონი ბაგრატ სოლოღაშვილი [6]. შვეციიდან. ალექსანდრე ბატონიშვილისაგან არჩილმა მიიღო მოსკოვში სასტამბო შრიფტი [7]. ერთი სიტყვით, ალექსანდრე ბატონიშვილს შეეძლო შვეციაში ეთარგმნა ტექსტები და ისინი არჩილისათვის გადაეგზავნა.

ასევე არ არის სწორი, თითქოს „არტილერიის წიგნის თარგმნა ალექსანდრეს შეეძლო 1700—1710 წლამდე, რადგან დასახელებულ წლებში იგი შვედების ტყვე იყო“ (გვ. 259).

---

[5] ქრ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში (საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, III, 1937, გვ. 21); В. Татишвили, Грузины в Москве, Тб., 1959. გვ. 186—188.

[6] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 574.

[7] ქრ. შარაშიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 19-38.

3. არჩილს არ აქვს ნათქვამი, თითქოს „თათარ-მონგოლთა და ყიზილბაშთა თარეშის ხანაში ფირდოუსის შაჰნამეც მოიხმარეს" (გვ. 118).

4. მკვლევარი ძალზე აზვიადებს ქართველი მწერლების მონაწილეობას ქართულ-რუსული ძეგლების თარგმანების საქმეში, „მე-18 საუკუნის გასულსა და მე-19 საუკუნის დამდეგში არ მოიპოვება თუნდაც ერთი ქართველი. რომელსაც მონაწილეობა არ მიეღოს ქართულიდან რუსულად... ან რუსულიდან ქართულად მთარგმნელობაშიო" (გვ. 95). ერთგან მთარგმნელთა რიცხვში დასახელებულია ბესარიონ გაბაშვილი (გვ. 134), რაც გაუგებრობის შედეგია. მე-18—19 საუკუნეთა მიჯნაზე ჩვენში ძალიან ცოტანი იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც რუსულს ფლობდნენ და რომლებსაც შეეძლოთ მთარგმნელობითი საქმიანობა. მთარგმნელობას მისდევდნენ უპირატესად რუსეთში მცხოვრები ქართველი მწერლები, ან მწერლობის მოყვარული პირები.

5. არსაიდან არ ჩანს, რომ ძველი დროის ქართველ მთარგმნელს „სწამდა" „რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების ერთიანობა" (გვ. 227).

6. ნიკოლოზ ზანდუკელზე არ შეიძლება ითქვას, რომ ის „ქართველი პროფესორია" (გვ. 77). ამ ზანდუკელს და მის ძმას სილვას არავითარი როლი არ შეუსრულებიათ ქართული თეატრისა და დრამატურგიის ისტორიაში (გვ. 100). არ კმარა, რომ ისინი წარმოშობით ქართველები ყოფილან. ან რა სათქმელია: „ის ხომ უდავოა, რომ რუსეთში ქართველებს ქართველებად იცნობდნენ" (გვ. 100).

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ტ. რუხაძე ხელოვნებით და განურჩეველად აქებ-ადიდებს ქართული ჩამომავლობის მქონე რუსეთში მოღვაწე ყველა პირს. ამ მხრივ საინტერესოა ალექსანდრე სულაკაძის ისტორია. ტ. რუხაძის სიტყვით, „რუსეთში მოღვაწე ქართველთა შორის ცალკე მოხსენიების ღირსია ალექსანდრე ივანეს ძე სულაკაძე 1740?—1830 წწ.). ის იყო გამოჩენილი ანტიკვარი, ხალხური სიტყვიერების, ხელოვნების ისტორიისა და ლიტერატურულ წყაროების შემკრები" (გვ. 51). როგორც ცნობილია, ეს „გამოჩენილი ანტიკვარი" და „კოლექციონერი" თავის პროფესიას ანგარების მიზნით იყენებდა და ამისათვის წყაროების ფალსიფიკაციას ეწეოდა*. სულაკაძე არცხვენდა ქართველის სახელს (თუ ქართ-

---

* М. Н. Сперанский, Русские подделки рукописей в начале XIX века (Проблемы источниковедения, V, М., 1956, стр. 44—46, 62—74); В. Ф. Покровская, Еще об одной рукописи А. И. Сулакадзева, (Труды

ველობდა). რატომ არაფერს ამბობს ტ. რუხაძე და მალავს სულაკაძის საქმიანობის სამარცხვინო მხარეს? აკი ის იბრძვის „ერთიანი ნაკადის“ წინააღმდეგ? ნუ თუ რუსეთში მოღვაწე ყველა ქართველი თავისი მოწოდების სიმაღლეზე იდგა და ერთნაირი ღირსებით ემსახურებოდა საზოგადო საქმეს? რად გვჭირდება ჩვენ ფალსიფიკატორი სულაკაძის იდეალიზაცია?

7. გაუგებარია ტ. რუხაძის განცხადება: „რუსეთში მიღებული იყო ვახტანგ მე-6-ის სამართალი“ (252).

8. პირველად ტ. რუხაძის შრომიდან გავიგეთ, რომ თურმე ყოფილა „პეტერბურგის სახელმწიფო“ და „პეტერბურგის იმპერია“ (გვ. 37).

9. არავითარი საერთაშორისო სიუჟეტი არ არის (და საერთოდაც არ არის სიუჟეტი) ლომის გაგუდვის მოტივი, რომელიც ვეფხისტყაოსანშიც იჩენს თავსო (გვ. 277).

10. რა საფიქრებელია, რომ „განდეგილის“ სიუჟეტისათვის ილია ჭავჭავაძე გამოიყენებდა რუსული პროლოგ-სვინაქსარის ტექსტს (გვ. 173).

11. არ არის სწორი, თითქოს „გაბაასების“ ჟანრის „სპეციფიკას შეადგენს იმის ჩვენება, მობაასეთაგან რომელი ჯობს“ (გვ.53).

12. „ერთი სათაურის ქვეშ ლექსების შემოკრება“ (გვ. 53) არ არის მ ა ჯ ა მ ი ს ნიშანდობლივი თვისება.

13. არ შეიძლება ყოველგვარი შენიშვნის გარეშე იმის თქმა, თითქოს „თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი 1235—1250 წლებში წერდა“ (გვ. 122). რიგი ავტორიტეტული მკვლევარი (მათ შორის ივანე ჯავახიშვილი) ამ საგანზე სხვა აზრისაა. სხვათა შორის, სქოლიოში ტ. რუხაძეს შენიშნული აქვს, რომ „მეტი საბუთიანობა მოეპოვება“ იმათ, ვინც ამ ისტორიკოსის თხზულების ავტორად თვლის შოთა რუსთველსო (გვ. 122, შენ. 5). თუ ასეა, მაშინ როდისღა მოღვაწეობდა რუსთველი, როდის შექმნილა ვეფხისტყაოსანი?

14. არ არის სწორი დებულება: „აღორძინების ხანის სომხებთან ქართველებს, ჩანს, რაიმე საკამათო არ ჰქონიათ“, მით უფრო იმ სა-

---

отдела древнерусской литературы, XIV. 1958, стр. 634—636). სულაკაძის ყალბისმქნელობა აღნიშნული იყო ჩვენს ერთ პატარა წერილში (წერილი რედაქციას, „ცისკარი“, 1958, № 5, გვ. 158). ტ. რუხაძე იცნობს ამ ლიტერატურას, ის გამომწვევი კილოთი გვეკითხება: „დასახელებულ ნაშრომში სპერანსკი ხომ თვლის განხილვის ღირსად ალ. სულაკაძეს?“ (გვ. 52, შენ. 2). რა თქმა უნდა, სულაკაძის მოღვაწეობა განხილვის ღირსია, ამაზე ვინ დავობს? საქმე შეეხება ამ მოღვაწეობის შეფასებას.

ბუთით, რომ „მე-17—18 საუკუნის საქართველოში ჩვეულებრივად ქართულად მეტყველი სომეხი მწერალ-მოღვაწენი“ (გვ. 58).

ქართველი და სომეხი ხალხები ძმურად ეწეოდნენ ისტორიულ ცხოვრების ჭაპანს, მაგრამ საეკლესიო მწერლობის სფეროში სარწმუნოებრივ-კონფესიურ ნიადაგზე ბევრი რამ ჰქონდათ სადავო და საკამათო ორივე ხალხის მწიგნობრებს.

15. გაუგებარია მოსაზრება: ძველი რუსული ლიტერატურის მონაპოვარია „რუსული სამართლის წიგნები, სტამბა, სასკოლო წიგნი, მდიდარი ნათარგმნი ლიტერატურა“ (გვ. 60).

16. არ არის სწორი, თითქოს მე-17—18 საუკუნის საქართველოში „წამყვან როლს ასრულებდა“ კახეთი (გვ. 32).

ტ. რუხაძის ნაშრომში ხშირია არაფრის მთქმელი, თითქოს განმაზოგადებელი, დებულებანი, მაგალითად, ამგვარი ხასიათისა: „რუსოს განთქმული ტრაქტატები... ანვითარებს (?) რუსოისტულ შეხედულებებს“ (გვ. 242). „რუსი მწერლები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ქვეყანას არა ერთხელ შეესია პანების პოლონეთი, თარგმნიან და ბეჭდავენ პოლონელ ავტორთა თხზულებებს“ (გვ. 256).

ანდრია მოციქულს ტ. რუხაძე უწოდებს „პეტრე მოციქულის სახელოვან ძმას“ (გვ. 112). მითიური პიროვნების მისამართით მსგავსი რამ არ ითქმის.

ტ. რუხაძე ზოგჯერ მიმართავს ციტირების „ორიგინალურ“ წესს. მკვლევარი ერთგან შენიშნავს: „შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანში ნახსენები არის რუსი (სტროფი 968), თუმცა ეს სტროფი სადავოა“ (გვ. 16, შენ. 1). წყაროდ დასახელებულია „პრავდა“, 1937, 26. 12. მოწინავე წერილი. უცნაურია, ნუთუ გაზეთ „პრავდიდან“ გაიგო ტ. რუხაძემ ვეფხისტყაოსნის ტექსტში რუსის მოხსენების ფაქტი? ეს გარემოება მით უფრო საკვირველია, რომ თურმე დამოწმებული ფაქტი თავისდათავადაც სადავო ყოფილა.

შეცდომებს უშვებს ტ. რუხაძე ტექსტების დამოწმების დროსაც. მის მიერ მოწოდებული მასალებით სარგებლობა დედანთან შეუმოწმებლად სახიფათოა. ერთგან ტ. რუხაძეს მოჰყავს რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნილი წერილების ამონაწერი თავისი საკუთარი თარგმანით (დედნები რუსულადაა გამოცემული):

მზე აღარ გვინათებს, მთვარე მიმქრალია, მოვიდა შაჰ-აბას და ქვეყანა აგვიოხრა. რუსი მხატვრების მოხატული ტაძრები დაგვინგრიეს, ხატები ცეცხლში ჩაჰყარეს ან გაიტაცეს. ალავერდი შაჰის სამყოფად აქციეს.

შაჰმა შეაკრებინა წიგნები საერო და საეკლესიო, და მათი ტბაში გადაყრა ან ლიაში ამოსვრა ბრძანა. წიგნები და ხატები ცეცხლს რომ მისცეს, გავიფიქრე: ნეტავ დედას აღარ ვეშობე. აღწერაც კი მიჭირს ამ სურათისა (გვ. 131).

სქოლიოში წყაროდ მითითებულია: „М. Полиевктов, Материалы [по истории грузино-русских взаимоотношений, Тбилиси, 1937], стр. 44 (50, 55, 60), იხ. აგრეთვე: გვ. 40, 43—46. მ. პოლიევქტოვის გამოცემული თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში, გვ. 19—20".

ჩვენ გულმოდგინედ გადავიკითხეთ მკვლევრის მიერ დასახელებული წყაროები. გამოირკვა, რომ მისთვის საჭირო მასალა სხვადასხვა ადგილიდან გამოუკრებია და ერთი მთლიანი გაბმული ტექსტი შეუქმნია. ამ ტექსტის ზოგი ნაწილი დედნის პირდაპირი თარგმანია, ზოგი კი მკვლევრის მონათხრობს წარმოადგენს. მთავარი ისაა, რომ თარგმანს ახლავს შეცდომები. ტექსტი სწორად არ არის გაგებული. მოგვყავს სათანადო პარალელური ნაწყვეტი:

Шах кизылбашской... и книги евангелие и иные книги наши православные христьянские веры, [не] токмо котор[ые] вдолзи, и из дальних мест привозя, ч собрав все вместо, множество якшуя в озеро и вётиру втоптал. (მ. პოლიევქტოვი. Материалы, стр. 50).

შაჰმა შეაკრებინა წიგნები საერო და საეკლესიო, და მათი ტბაში გადაყრა ან ლიაში ამოსვრა ბრძანა. (ტ. რუხაძე, გვ. 131).

თარგმანში დედნის შინაარსია გადმოცემული. ოღონდ აზრი დამახინჯებულია. დედანში არაფერი არ არის ნათქვამი საერო წიგნების შესახებ (ამას კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს). ის „иные книги", რომელთა შესახებაც დედანშია ლაპარაკი, საეკლესიონია, „наши православные христьянские веры".

საერთოდაც მიუღებელია წყაროების ციტირების ის წესი, რომელიც განსახილავ შემთხვევაში გამოუყენებია ჩვენ მკვლევარს.

სხვაგან ტ. რუხაძეს მოჰყავს ვახტანგ მე-6-ის მიერ პეტრე პირველისადმი გაგზავნილი წერილის ნაწყვეტი მ. ბროსეს პუბლიკაციის თანახმად [9] (გვ. 327):

---

[9] Переписка грузинских царей..., стр. 149.

Вахтанг VI пишет своему посланнику при дворе Петра I:

Умолием его (Петра—Т. Р.) избавить нас из когтей рыси (Персия), теперь да не оставит нас в когтях леопарда (Турция—Осман).

ამთენს მოგვეხმაროს [10], აქამდი რომ [11] ფოცხვერის ჭანგისაგან გამოხსნას ვეხვეწებოდით, ახლა ბაბრის ჭანგში არ შეგვაგდონ.

ტ. რუხაძეს თვითნებურად შეუცვლია რუსული ზმნის (умолять) ულვლილების დრო, რის გამოც მთელი ნაწყვეტის აზრი დაუმახინჯებია. ბროსეს გამოცემაშია: „до сих пор мы умоляли его... теперь“... საქმე ისაა, რომ თანახმად ვახტანგისა და პეტრეს სამხედრო პოლიტიკური კავშირისა, პეტრე ადრე ვალდებულებას კისრულობდა, დაეხსნა აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის (ფოცხვერის) ბატონობისაგან. შემდეგ მდგომარეობა გართულდა. 1723 წელს (ამ წლის მაისშია დაწერილი საანალიზო დოკუმენტი) ოსმალეთი დაემუქრა საქართველოს. ვახტანგიც მოაგონებს პეტრეს, ამდენხანს სპარსეთის (—ფოცხვერის) კლანჭებისაგან განთავისუფლებას რომ გეხვეწებოდით, ახლა (ახლანდელს გართულებულ ვითარებაში), ბაბრის (—ოსმალეთის) კლანჭებში არ მოვექცეთო (до сих пор... теперь).

ამრიგად, ტ. რუხაძის საინტერესოდ მოფიქრებულსა და საერთოდ სასარგებლო წიგნს აუგემურებს შეუწყნარებელი ნაკლოვანი მხარეები, რაც მნიშვნელოვნად აუფასურებს გაწეულ დიდ შრომას.

---

[10] ტ. რუხაძეს ნიშანი, (') არ აქვს.

[11] აქ უადგილოდაა ნიშანი (').

პავლე ინგოროყვას თხზულებათა კრებულის პირველი ტომის გამოქვეყნების გამო

ჟურნალ „მნათობის“ 1963 წლის 3, 4, 5, 6 და 7 ნომრებში დაიბეჭდა ცნობილი ქართველი რუსთველოლოგის პავლე ინგოროყვას ვრცელი ნარკვევი „რუსთველიანას ეპილოგი“. იმავე წლის მიწურულში გამოქვეყნდა იმავე ავტორის თხზულებათა კრებულის პირველი მონუმენტური ტომი (დიდი ფორმატის 886 გვერდი). წიგნი იხსნება „რუსთველიანას“ ტექსტით (252 გვ.) და იხურება „რუსთველიანას ეპილოგით“ (გვ. 525—857). ამას ახლავს „რუსთველიანას და რუსთველიანას ეპილოგის დამატებანი და შენიშვნები“ (გვ. 859—886).

ამ ვეებერთელა ტომის სარჩევში (გვ. 887) დასახელებულია მხოლოდ კრებულის მონოგრაფიული ნარკვევების სათაურები, ე. ი. წიგნს სარჩევი ფაქტობრივ არ აქვს, საძიებლების თაობაზე კი შენიშნულია: „მეორე ტომში დაიბეჭდა საძიებლები რუსთველიანასი, რუსთველიანას ეპილოგისა და II ტომში მოთავსებული რუსთველოლოგიურ(ი) ნაშრომებისა“ (გვ. 886). სრული სარჩევისა და საძიებლების უქონლობა მეტისმეტად აძნელებს დიდი მოცულობისა და მრავალზე მრავალი მასალის შემცველი წიგნით სარგებლობას. ჩვენ არ გვინდა ჩაველრიოთ ავტორის შინაურ საქმეებში, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ აჯობებდა პირველ ტომში მოეთავსებია ყველა რუსთველოლოგიური მასალა, ხოლო მეორე ტომში გადაეტანა ნარკვევები მე-19 საუკუნის კლასიკოსების შესახებ.

როდესაც შევუდექით პავლე ინგოროყვას თხზულებათა კრებულის პირველი ტომის რუსთველოლოგიური ნაშრომების განხილვას, უნებლიეთ მომაგონდა ილია ჭავჭავაძის სიტყვები აკაკი წერეთლის გახმაურებული ლექციების გამო ვეფხისტყაოსნის შესახებ. აკაკი წერეთლის ლექციების დედააზრი ილია ჭავჭავაძემ შეადარა მშვენიერ აკიდოს. „ამ აკიდოზედ ბევრი მართალი მარგალიტები აასხა ლექტორმა გონება-მახვილობისა, ლამაზის შედარებისა, როგორც ბ-ნ აკაკის ბედნიერის ნიჭის ამბავი მოგეხსენებათო“, მაგრამო — ურთავ-

და ილია „თვითონ აკიდოს ღერო... თუმცა ზედ ასხმულს მარგალიტებს ჰზიდავს“, „კრიტიკის ხელშეხება“ მას უჭირსო [1].

მართლაც და, პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“ და „რუსთველიანას ეპილოგი“ წარმოადგენს კვლევა-ძიების დიდი უნარითა და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით დაჯილდოებული ავტორის ერთიან, კარგად გააზრებულ, კომპოზიციურად მტკიცედ შეკრულ, ფაქტობრივი მასალებით უხვად შემკობილ, საეგებო მოსაზრებათა ეფექტიან წანამძღვრებზე მარჯვედ ასხმულ, დარბაისლური ქართული და ენერგიული კილოთი დაწერილ დიდ ნაშრომს.

ჩვენ გზადაგზა მოგვიხდება პ. ინგოროყვას წიგნის სხვადასხვა მხარის განხილვა, ოღონდ ამ თავითვე ვითხოვთ, აუგად ნუ ჩაგვეთვლება, თუ საქმის ინტერესები გვაიძულებს მთავარი ყურადღება დავუთმოთ გამოკვლევის ნაკლოვან მხარეებს.

პ. ინგოროყვა აცხადებს, რომ მან 35 წლის შემდეგ „დიდის მღელვარებით“ აიღო კალამი თავისი ადრინდელი ნაშრომის „რუსთველიანას“ ეპილოგის დასაწერად (I, 532). ამასთან დაკავშირებით მოვახდინეთო „საბოლოო გენერალური შემოწმება შოთა რუსთველის ვინაობის პრობლემისა ყველა ასპექტში“ (I, 546). ავტორი გვარწმუნებს, რომ შემოწმება ჩაატარა „სრულის სიზუსტით“ (I, 593). ახალი, იერუსალიმური მასალების საფუძველზე ჩატარებულმა შემოწმებამ **„ერთხელ კიდევ სრულის უეჭველობით დაადასტურა რუსთველიანაში წარმოდგენილი ამოხსნა შოთა რუსთველის ვინაობისა“** (I, 543, კურსივი ავტორისაა. — ა. ბ.). პ. ინგოროყვა სხვაგანაც არა ერთგზის იმეორებს ამ დებულებას: „იერუსალიმის ახალი მასალები იძლევა საოცარ დამთხვევას რუსთველიანაში დადგენილ ფაქტებთანო“ (I, 545), „შოთას ფრესკამ ერთხელ კიდევ სრული ზედმიწევნილობით დაადასტურა, რომ შოთას ვინაობა საისტორიო წყაროების ანალიზის საფუძველზე სწორად არის ამოცნობილი“ (I, 853) და სხვ.

„რუსთველიანას“ ახალი გამოცემის წინასიტყვაშიც აღნიშნულია: „რუსთველიანაში წარმოდგენილი ამოხსნა შოთა რუსთველის ვინაობისა სრულის ზედმიწევნილობით დაადასტურა ახალმა მასალებმა“ (გვ. 9). წინასიტყვაში ავტორი აუწყებს მკითხველს, რომ „წინამდებარე გამოცემისათვის ჩვენ გადავხედეთ ამ პირველ რუსთველოლოგიურ ნაშრომს რ უ ს თ ვ ე ლ ი ა ნ ას და შევიტანეთ მასში ს ა ჭ ი რ ო ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი და დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი ო“. (და-

---

[1] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტომი IV, თბილისი, 1927, გვ. 184—185.

ყოფა ჩემია. — ა. ბ.). ავტორი აზუსტებს „ცვლილება შეეხო ცალკეულ საკითხებს. ძირითადი დებულებანი უცვლელი რჩებაო".

ჩვენი დაკვირვებით, პ. ინგოროყვას საფუძვლიანად გადაუსინჯავს თავისი ნაშრომი და არსებითი ხასიათის ცვლილებანი შეუტანია შიგ. ამიტომაც მთლად სწორი არ არის რუსთველიანას ახალი გამოცემის ბოლოს (გვ. 252) დართული თარიღი 1913—1922 წ. წიგნში ბევრი რამაა შემდეგდროინდელი.

„რუსთველიანას" ახალი გამოცემა ავტორს საერთოდ საკმაოდ გაუცხრილავს და შეუმოკლებია, თუმცა ახალი მასალებითაც შეუკსია. თითქმის მთლიანადაა აქ შესული ავტორის ორი ნაშრომი (ნამეტნავად მეორე): 1. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა („რუსთაველის კრებული", 1938, 80 გვ., ცალკე ამონაბეჭდი); 2. შოთა რუსთაველი (ბიოგრაფიული ესკიზი), თბილისი, 1937, 74 გვ. აქ დასახელებული მეორე ნაშრომის შესახებ „რუსთველიანას" წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „ზოგიერთი დებულებანი რ უ ს თ ვ ე ლ ი ა ნ ა ს ი გაშლილი იყო ჩვენს მონოგრაფიაში «შოთა რუსთაველი», რომელიც შოთას პოემის 750-წლოვანი იუბილესათვის გამოქვეყნდა".

პ. ინგოროყვას გულდაგულ უდევნებია თვალყური რუსთველოლოგიის დარგში წარმოებული მუშაობისათვის და ამ მუშაობის შედეგები რამდენადმე გაუთვალისწინებია კიდევაც წყაროების დაუსახელებლად. ზოგჯერ ეს წესი დაურღვევია. ასე, ერთგან დასახელებული არიან შ. ნუცუბიძე და ჰონიგმანი, რომელთა გამოკვლევების შედეგად დადგენილიაო, რომ დიონისე არეოპაგელის სახელით წერდა პეტრე ქართველიო (გვ. 179). სხვაგან მოხმობილია ზ. ავალიშვილის მიერ 1929 წელს გამოქვეყნებული საისტორიო ნაშრომი (გვ. 145), იოვანე პეტრიწის შრომები, ტომი II, რომელიც 1937 წელს დაიბეჭდა (I, 136), ილია აბულაძისეული პუბლიკაცია „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანისა (I, 102). ზოგჯერ ავტორს უხერხულობაც კი უგრძვნია სხვისი ნაშრომების დაუსახელებლობის გამო. იგი აკრიტიკებს ჟამთა-აღმწერელის დამოკიდებულებას ლაშა-გიორგისადმი და ამბობს: „საკვირველია, რომ ჟამთა-აღმწერლის ასეთ შეხედულებას ლაშა-გიორგიზე დღემდე უყელა უკრიტიკოდ ღებულობდა. თვით თანამედროვე ისტორიულ შრომებშიც აქამდე უსაბუთოდ იმეორებენ ჟამთა აღმწერლის... გადმოცემას ლაშა-გიორგის «უზნეობაზე»" (გვ. 140). მოყვანილ ციტატას სქოლიოში დართული აქვს შენიშვნა „ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს საისტორიო თხზულებანი, გამოქვეყნებული 1926 წლამდეო". კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მომდევნო გვერდზე ვკითხულობთ „ანა-

დედოფლისეული უძველესი ვარიანტი ქართლის ცხოვრებისა... ჯერ გამოცემული არ არისო" (გვ. 141, შენ. 2). არასპეციალისტი მკითხველი ხომ იფიქრებს, ანა დედოფლისეული ვარიანტი ქართლის ცხოვრებისა დღეს აც გამოუცემელი ყოფილაო. მკითხველისათვის დიდ უხერხულობას ისიც ჰქმნის, რომ ქამთა-აღმწერელის ტექსტი „რუსთველიანას" ახალ გამოცემაშიც მარიამ დედოფლისეული ვარიანტის მიხედვითაა ხოლმე ციტირებული, მაშინ როდესაც ამ ტექსტის ახალი, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით მომზადებული მეცნიერული გამოცემა მოგვეპოვება. აჯობებდა, პ. ინგოროყვას ან უცვლელად დაეტოვებინა „რუსთველიანა", როგორც მისი მუშაობის გარკვეული ეტაპის ლიტერატურული დოკუმენტი, ან ბოლომდე შეეფარდებინა იგი ახალი დროისათვის.

საგულისხმოა, რომ უწინდელ „რუსთველიანას" დართული ჰქონდა სპეციალური თავი „საგნის ლიტერატურის შესახებ" (გვ. 377—379). იქ დასახელებულია ნ. მარი და ორიოდე სხვა ავტორი, ხოლო „საგნის ლიტერატურას დაწვრილებით ვეხებით ამ შრომის დასასრულში (მესამე ტომში), როცა მკითხველი მთლიანად გაეცნობა ჩვენს თეორიას რუსთველისა და მისი პოემის შესახებო" (გვ. 377). თანაც „რუსთველიანას" მეორე და მესამე წიგნების გამოქვეყნებას მკვლევარი მაშინ 1927 წლისათვის გვპირდებოდა (გვ. 380). 1927 წელს კი პ. ინგოროყვა ამბობდა, რომ მისმა „რუსთველიანამ გამოიწვია ლიტერატურული გამოხმაურება. დაიწერა, იწერება, ან მოხსენებათა სახით ითქვა მის შესახებ. ზოგი მართალი, ზოგიც, რასაკვირველია, მრუდე... ჩემთვის არაა სავალდებულო შევეხო ყოველივე ამას ცალ-ცალკე. ზოგი, რაც ჩემ წიგნზე ითქვა, მოკლებულია მნიშვნელობას, რაც ყველა სპეციალისტისათვის აშკარაა. ხოლო ის, რაც ცოტად თუ ბევრად ანგარიშგასაწევი აღმოჩნდება, ამის შესახებ ბაასი გვექნება «რუსთველიანას» შემდეგს წიგნში, სადაც, როგორც ეს უკვე დავპირდით მკითხველს, ცალკე თავში განხილული გვექნება საგნის ლიტერატურა და რუსთველოლოგიის ისტორია" [2]. ახალი „რუსთველიანა" საგნის ლიტერატურის შესახებ დუმს. დამოწმებული თავიც წიგნიდან ამოღებულია. აღარაფერს ამბობს ახლა მკვლევარი იმ სპეციალურ სქოლიოებზეც, რომელთა გამოქვეყნებას აგრეთვე პირდებოდა მკითხველს. სამაგიეროდ გაჩნდა სამერმისო „დამატებითი შენიშვნები" (მეორე ტომში დაიბეჭდებაო, გვარწმუნებს).

---

[2] რუსთველიანაზე პროფ. კორნ. კეკელიძის წერილის გამო („მნათობი", 1927, № 3, გვ. 193).

„რუსთველიანას“ ახალი გამოცემის სამეცნიერო აპარატი არ არის ბეჯითად შემოწმებული და დაზუსტებული. ამ ნიადაგზე დაშვებულია ზოგიერთი შეუსაბამობა. მაგალითად, პ. ინგოროყვა კვლავ ასახელებს ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერს №—78 (მისი ლიტერით Ci), თუმცა ქუთაისის ხელნაწერი №—78 წარმოადგენს სახარების თარგმანს[3]. პ. ინგოროყვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალი ფონდის ნუსხას №—779 (ლიტერით R). ამ ხელნაწერს თითქოს შემონახული აქვს პ. ინგოროყვასათვის საჭირო ერთი დიდად საყურადღებო ვარიანტული წაკითხვა (1, 56). რასაც ქვემოთ სპეციალურად შევეხებით. ნამდვილად მკვლევრის მიერ დამოწმებული წაკითხვა ამ ხელნაწერში არ არის, იგი მოიპოვება სულ სხვა ნუსხაში (სახელდობრ, H—2610-ში). ხელნაწერთა დასახელების მხრივ არასიზუსტეს შეუძლია გამოიწვიოს ისეთი უსიამოვნო გაუგებრობა. რასაც ადგილი ჰქონდა პ. ინგოროყვასა და კ. კეკელიძეს შორის ამტყდარი პაექრობის დროს სა რო ს ტა ნ-სა რო ტა ნი ს შესახებ[4].

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ განვიხილავთ „რუსთველიანასა“ და „რუსთველიანას ეპილოგის“ რამდენიმე ძირითად პრობლემას. პირველად შევეხებით ტექსტოლოგიურ საკითხებს.

„რუსთველიანას“ პირველი გამოცემის თანახმად, პ. ინგოროყვას ვეფხისტყაოსნის მთელი ტექსტი ჩანართებითა და დანართებით დაყოფილი ჰქონდა სამ პლასტად: მესამე, უველაზე გვიანდელი პლასტის „დამატებანი შეტანილია პოემის ტექსტში სხვადასხვა დროს, ორი საუკუნის მანძილზე: მე-15 საუკუნის პირველი ნახევრიდან დაწყებული ვიდრე მე-16 ს. ბოლო წლებამდე“ (გვ. 26). მეორე პლასტის ტექსტები (ამბავი ინდო-ხატაელთა, ამბავი ხვარაზმელთა, ამბავი ვეფხისტყაოსნის გმირთა საკვდილისა) სხვადასხვა ავტორს ეკუთვნისო (გვ. 32). „ისინი დაწერილია მე-14 საუკუნის ნახევრის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს მე-15 საუკუნის დასაწყისისა“ (გვ. 37). პირველ პლასტად მკვლევარი თვლიდა და თვლის ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ ტექსტს. „რაკი — ამბობს პ. ინგოროყვა მეორე პლასტი არის მხოლოდ შემდეგი დროის გაგრძელება ვახტანგისეული

---

[3] იხ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. შედგენილი ე. ნიკოლაძის მიერ კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1953, გვ. 218; ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ირკვევა, რომ პ. ინგოროყვას მხედველობაში უნდა ჰქონდეს ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი №—383.

[4] „მნათობი“, 1927, № 2, გვ. 184; იქვე, № 3, გვ. 205, შენ. 1; იქვე, № 5—5, გვ. 188.

ტექსტისა. ამის მიხედვით ირკვევა, რომ ვახტანგის ტექსტი მე-14 საუკუნის ნახევარზე უფრო ძველია. ვახტანგისეული დედანი დღევანდელის სახით უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა მე-14 საუკუნის ნახევარში" (გვ. 42; დაყოფა ავტორისაა, - ა. ბ.).

პლასტების თეორია პ. ინგოროყვამ უცვლელად დატოვა, თუმცა დათარიღების საკითხში ზოგიერთი კორექტივის შეტანა მოუხდა. ადრე მკვლევარი ამტკიცებდა თითქო უკანასკნელი, მესამე პლასტის ჩამოყალიბება დასრულდა მე-16 საუკუნის გასულისათვის. მაგრამ ამ მესამე პლასტში აღმოჩნდა იოსებ თბილელის ჩანართი ტექსტები. იოსებ თბილელი მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. მისი ჩანართები ეკუთვნის მე-17 საუკუნის სამოციან წლებს. ამის გამო პ. ინგოროყვამ შესაფერისად გადმოსწია მესამე პლასტის თარიღი (I, 25, 41). ჩვენ არ შევჩერდებით მეორე პლასტის საკითხებზე, ვიტყვით მხოლოდ, რომ მკვლევარმა უყურადღებოდ დატოვა დასაბუთებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მეორე პლასტის, მეორე ამბის, ე. წ. ხვარაზმელთა ამბის, ტექსტზე პირდაპირი ზეგავლენა მოუხდენია როსტომიანის საბაშვილისეულ ქართულ ვერსიას და, მაშასადამე, იგი ვერ შეიქმნებოდა ყოველ შემთხვევაში მე-15 საუკუნის დასაწყისზე ადრე ხანაში[5]. პ. ინგოროყვა კი თვლის, რომ „ხვარაზმელთა ამბავის გალექსილი ტექსტი უნდა ეკუთვნოდეს მე-14 საუკუნის მეორე ნახევარს" (I, 37).

„რუსთველიანას" როგორც ძველი, ისე ახალი გამოცემისათვის ერთ უმთავრეს პრობლემათაგანს წარმოადგენს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის რაობის საკითხი. კრიტიკულია ვახტანგისეული გამოცემა ვეფხისტყაოსნის ტექსტისა, ვახტანგმა თვითონ შეამოკლა ხელნაწერებით შემონახული ვრცელი რედაქცია პოემისა. თუ სწავლულმა მეფემ უშუალოდ გამოაქვეყნა ვეფხისტყაოსნის მოკლე რედაქციის შემცველი რომელიმე ხელნაწერი. ამ კითხვაზე პ. ინგოროყვას გადაჭრილი პასუხი აქვს გაცემული: „კრიტიკული ანალიზი ვახტანგის ტექსტისა არ სტოვებს არავითარ ეჭვს აღძრული საკითხის შესახებ. ტექსტის შესწავლიდან უცილობელად მტკიცდება, რომ ვახტანგს არავითარი შესწორება არ შეუტანია

---

[5] ალ. ბარამიძე. ვეფხისტყაოსნის „პლასტების" დათარიღებისათვის (თუ მოაბე, IX, 1928, გვ. 121—131); ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბილისი, 1957, გვ. 32. ჩვენ ვიზიარებთ ს. ცაიშვილის მოსაზრებას, რომ: „პ. ინგოროყვას ე. წ. პლასტების თეორია სრულიად ვერ უძლებს ხელნაწერთა ჩვენებებზე დამყარებულ კრიტიკას" (ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, გვ. 23, შენ. 2).

ვეფხისტყაოსნის დედანში და მას უცვლელად დაუბეჭდავს რომელიღაც ძველი ხელნაწერი" (I, 17, დაყოფა ჩემია, — ა. ბ.).

ვახტანგისეული დედნის თარიღის თაობაზე პ. ინგოროყვა ამბობს: „ვახტანგისეული დედანი არსებული სახით უკვე ჩამოყალიბებული ყოფილა არა უგვიანეს მე-14 საუკუნის პირველი ნახევრისა, ამ საუკუნის 40-იანი წლების უწინარეს" (I, 43) [1].

ამრიგად, პ. ინგოროყვას მოსაზრებათა თანახმად, ვახტანგს უცვლელად დაუბეჭდავს ვეფხისტყაოსნის რომელიღაც ძველი ხელნაწერი, შიგ არავითარი შესწორება არ შეუტანია (თავისი წარმოშობით ეს ხელნაწერი ვერ გადმოსცილდება მე-14 საუკუნის 40-იან წლებს). „რუსთველიანას" პირველ გამოცემაში მკვლევარი იმასაც კი ამბობდა, რომ: „ვახტანგს არ შეუცვლია არა თუ სტროფების რიცხვი, არამედ ცალკე სიტყვების შეცდომებიც კი, თუმცა კარგად სცოდნია, რომ ესა თუ ის სიტყვა დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი მის დედანში" (გვ. 14).

პ. ინგოროყვა ამტკიცებდა, რომ ვახტანგს ისეთი სტროფებიც კი დაუტოვებია ტექსტში, რომელთა შინაარსი მისთვის მიუღებელი იყო (გვ. 13—14 = I, 20). ამ მხრივ დიდ საცთურს წარმოადგენდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებით შემონახული პირველი სტროფი „პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად". ამის თაობაზე მკვლევარი შენიშნავდა: „ეს სტროფი, როგორც ირკვევა, შემთხვევით არის გამორჩენილი ვახტანგისეულ დედანში" (გვ. 54. დაყოფა ჩემია, — ა. ბ.).

ბევრი რამ ითქვა და ბევრი დაიწერა ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის თაობაზე „რუსთველიანას" გამოსვლის შემდეგ. ავტორი ასე თუ ისე იძულებული გამხდარა ამისთვის ანგარიში გაეწია და არსებითი ცვლილებები შეეტანა თავის ნააზრევში.

დავიწყოთ იქიდან, რომ პირველი დანართი სტროფის („პირველ თავი დასაწყისი"...) გამო პ. ინგოროყვა ახლა იუწყება: „ეს პოლემიკური დანართი სტროფი, რომელიც წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში, ვახტანგს აღარ შეუტანია 1712 წლის გამოცემაში, რადგან თვით შინაარსიდან აშკარა იყო, რომ ეს სტროფი არ არის რუსთველისა" (I, 55). თუ ვახტანგმა შეგნებულად არ შეიტანა

---

[1] თავის მონოგრაფიაში „შოთა რუსთაველი" (თბილისი, 1938, გვ. 19) პ. ინგოროყვას აღნიშნული აქვს, რომ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული დედანი ჩამოყალიბდა XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე.

თავის გაძოცებაში ხელნაწერით შემონახული ტექსტის თუ გინდ ერთი სტროფი, იგი ხომ კრიტიკულად მისდგომია ამ ტექსტს, კრიტიკული შეხედულებისამებრ შეუმოკლებია ხელნაწერი რედაქცია?[7] ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანში 1587 სტროფია. პავლე ინგოროყვას გამოანგარიშებით, ამას გარდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში მოიპოვებოდა კიდევ დამატებითი 725 სტროფი. ამ 725 სტროფის შესახებ „რუსთველიანაში“ წერია: „მკითხველს უნებლიეთ დაებადება ასეთი კითხვა: „არის თუ არა ყველა ეს ზედმეტი 725 სტროფი, რომელსაც უმატებენ მე-16—17 საუკუნის ხელნაწერები, თავიდან ბოლომდე ყალბი; ხომ არ არის აქ შერჩენილი ისეთი ნამდვილი ადგილები, რომელიც შემთხვევით იყოს გადმოტოვებული ვახტანგის დედაწში. ამ კითხვაზე შეუძლებელია ორგვარი პასუხის გაცემა. საკმაოა გავეცნოთ ამ ტექსტების ეულგარულ სტილს, ახალ ენას, და გაუმართავი ლექსის ტექნიკას, რათა ცხადი გახდეს, რომ ყველა ეს 725 სტროფი თავიდან ბოლომდე ყალბია. ვერც ერთი რუსთაველისტი, რომელსაც აქვს ელემენტარული ცოდნა ვეფხისტყაოსნის ენისა და პოეტური სტილისა, ვერ იტყვის, რომ აქ იყვეს თუნდაც ერთი სტრიქონი, რომელიც ეკუთვნოდეს რუსთველს“ (გვ. 18, შენ. 1; ბაზი და დაყოფა ჩემია. — ა. ბ.).

წარმოიდგინეთ, აღმოჩნდა ისეთი ურწმუნო თომა, რომელმაც ყურად არ იღო პ. ინგოროყვას ეს გაფრთხილება, იგი არ შეუშინდა არარუსთველისტად მონათვლას და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის გარეთ, ზემოთ აღნიშნულ ტექსტებს შორის, მოიპოვება რიგი ისეთი სტროფი, რომლებიც ყოველ მიზეზ გარეშე რუსთველს ეკუთვნისო. იმ ურწმუნო თომამ სანიმუშოდ გამოყო რამდენიმე სტროფი, კერძოდ კი სტროფები 553 („მე დავშვერ ვითა წესია“) და 1514 („ფრიდონ გაჰყვა“)[8]. ამ მაირების ტექსტების ანალიზის საფუძველზე ის ურწმუნო თომა ასკვნიდა: „არ არის სწორი პ. ინგოროყვას მტკიცება, ვითომც ვეფხისტყაოსნის ვახ-

---

[7] უნდა მოვიგონოთ, რომ ამ დანართი სტროფის თაობაზე კ. კეკელიძე ამბობდა: „ეს სტროფი ვახტანგს თავის გამოცემაში არ შეუტანია არა «შემთხვევით», როგორც პ. ინგოროყვას ჰგონია, არამედ სრული რედაქტორული შეგნებით“ („მნათობი“. 1927, № 2, გვ. 185).

[8] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბილისი, 1958, გვ. 13—16; მისივე, ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხისათვის, ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 138—143; მისივე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1952, გვ. 71—76.

ვახტანგისეული რედაქციის გარეთ არ არის «თუნდაც ერთი სტრიქონი, რომელიც ეკუთვნოდეს რუსთველს»" [9].

ზემოთ ციტირებული კატეგორიული განცხადება პ. ინგოროყვას აღარ შეუტანია „რუსთველიანას" ახალ გამოცემაში. აქ ნათქვამია, რომ ვახტანგისეული რედაქციის გარეთ მოიპოვება 692 დანართი სტროფი (როგორც ეტყობა, პ. ინგოროყვას გამოურიცხავს იოსებ თბილელის ანდერძები"), ხოლო სქოლიოში შენიშნულია: „აქ არაა ჩათვლილი ორი სტროფი (553 და 1514), რომელთა შესახებ საუბარი გვაქვს 23-ე გვერდის შენიშვნაშიო" (1. 22, შენ. 2). ხოლო 23-ე გვერდის შენიშვნაში ვკითხულობთ: „ყველა ამ დანართი ტექსტებიდან გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ორად-ორი სტროფი (553 და 1514), რომლებიც, როგორც ირკვევა, გადაწერის უბრალო მექანიკური შეცდომის გამო (ან ბეჭდვის შეცდომის გამო) შემთხვევით არის გამორჩენილი ვახტანგისეულ დედანში". ამას მკვლევარი ურთავს: „ამ ორი სტროფის შესახებ იხ. დამატებითი შენიშვნები, 3" [10]. სამწუხაროდ, დამატებითი შენიშვნები წიგნს ჩვეულებრივ არ ახლავს.

მაშ, ასე: პ. ინგოროყვა ადრე გადაჭრით ამბობდა, რომ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული დედნის გარეთ დარჩენილი ყველა სტროფი ყალბიაო („ვერც ერთი რუსთველისტი, რომელსაც აქვს ელემენტარული ცოდნა ვეფხისტყაოსნის ენისა და პოეტური სტილისა, ვერ იტყვის, რომ აქ იყვეს თუნდაც ერთი სტრიქონი, რომელიც ეკუთვნოდეს რუსთველს"). ამასთან, მკვლევარი გამორიცხავდა ყოველგვარ შემთხვევითობას. ახლა კი იგი გვარწმუნებს — ვახტანგის დედნის გარეთ „გამონაკლისის სახით", „მხოლოდ ორად-ორი სტროფი" მოიპოვებაო (ორად-ორი სტროფი შეადგენს რვა სტრიქონს!), რომლებიც შემთხვევით არის გამორჩენილიო". საინტერესო ისიცაა, რომ სწორედ ეს ორად-ორი სტროფია ის ორი სტროფი, რომელთა რუსთველისადმი კუთვნილებას შეძლებისდაგვარად ასაბუთებდა ზემოხსენებული ურწმუნო თომა ანუ წინამდებარე ნარკვევის ავტორი.

ამრიგად, პ. ინგოროყვამ დათმო ორი მთავარი პოზიცია: 1. ვახტანგს თავის გამოცემაში შეგნებულად არ შეუტანია ხელნაწერი დედ-

---

[9] ნარკვევები, III, გვ. 76, შენიშვნა. სხვათა შორის, ორივე დასახელებული სტროფი რუსთველის კუთვნილებად ჩათვალა და პოემაში შეიტანა ვეფხისტყაოსნის საიუბილეო ტექსტის დამდგენმა კომისიამ.

[10] პ. ინგოროყვა, 1, გვ. 23, შენიშვნა. ხაზი და დაყოფა აქაც და ქვემოთაც ყველგან, საგანგებო მითითების გარეშე, ჩვენია, — ა. ბ.

ნით შემონახული ერთი სტროფი: 2. ვახტანგის გამოცემის გარეთ დარჩენილა რუსთველის ნამდვილი ტექსტის „ორად-ორი“ სტროფი.

ამ დათმობით პ. ინგოროყვამ თვითონვე გამოუთხარა ძირი თავისავე თეორიას ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული დედნის რაობის შესახებ.

რუსთველოლოგიის ისტორიაში დიდ მოვლენას წარმოადგენს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღდგენილი ტექსტის გამოცემა (განხორციელებული აკაკი შანიძის მიერ 1937 წელს).

ა. შანიძემ გამოარკვია, რომ ვახტანგს „თარგმანში“ განუმარტავს რიგი ისეთი სიტყვა და სტროფი, რომელთაც მისი სახელით დაბეჭდილ ტექსტში ვერ ვპოულობთ და რომლებიც შემონახულია ვრცელი რედაქციის ხელნაწერებით. „შედარება თარგმანში დამოწმებული ადგილებისა და პირველნაბეჭდი პოემის ტექსტისა დიდ განსხვავებას გვიჩვენებსო“, ამბობს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღმდგენელი და განაგრძობს: „ვახტანგის მონოგრაფიის გულდასმით შესწავლა ეჭვს არ სტოვებს, რომ მას ხელთ ჰქონია ვრცელი რედაქციის ხელნაწერი და ამ ვრცელ ვეფხისტყაოსანს უწერდა იგი თარგმანს ანუ ახსნა-განმარტებას. ისიც ირკვევა, რომ ვახტანგს (ან მის კომისიას) საბოლოოდ სხვა რედაქცია შეუმუშავებია და დაუბეჭდავს“ (ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, გვ. 391). მოპოვებული მასალების საფუძველზე აკაკი შანიძეს გამოუტანია უცთომელი დასკვნა: „ვახტანგს გაუცხრილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტი. პირველი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა არის ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი და არა უცვლელად დაბეჭდილი რომელიღაც ძველი ხელნაწერი. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი არის შვილებისამებრ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი“ (გვ. 393. დაყოფა ავტორისაა, -- ა. ბ.).

აკაკი შანიძის დაკვირვებანი ნამდვილი აღმოჩენაა. რამაც არსებითად საბოლოოდ გადაწყვიტა ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის პრობლემა.

პ. ინგოროყვა ვერ უარყოფს აკაკი შანიძის მიერ დადგენილ ფაქტს. წყაროს დაუსახელებლად იგი ახლა შენიშნავს: „ირკვევა ამასთან, რომ ვახტანგს... ძველი ხელნაწერი შოთას პოემისა თავიდანვე კი არ ჰქონია ხელთ, არამედ მოუპოვებია ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის დაწყებისას. ხელნაწერი მოპოვებულია მას შემდეგ, როდესაც ვახტანგს უკვე დაწერილი ჰქონია ვეფხისტყაოსნის კომენტარი (იხ. ამ საკითხზე „რუსთველიანას დამატებითი შენიშვნები, 1) (გვ. 19,

შენ. 1). ეს „დამატებითი შენიშვნებიც“ რუსთველიანას ახალ გამოცემას არ ახლავს (მეორე ტომში დაიბეჭდებაო). როგორც ხედავთ, პ. ინგოროყვა ამგზობის კმაყოფილდება მხოლოდ სიტყვიერი განცხადებით. საძიებელ საკითხს პ. ინგოროყვა შეეხო მისი რედაქციით გამოცემული ვეფხისტყაოსნის ბოლოსიტყვაში 1953 წელს. სამწუხაროდ, იქაც ანალოგიურ დაუსაბუთებელ განცხადებას ვხვდებით [11].

ვერც იმას მოვუწონებთ პ. ინგოროყვას, რომ მან დაივიწყა ა. შანიძის დიდი ღვაწლი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის შესწავლის საქმეში და მხოლოდ უმისამართო შენიშვნით დაკმაყოფილდა: „ეს ფაქტი (ლაპარაკია ვახტანგის კომენტარებისა და ნაბეჭდი ტექსტის ერთმანეთისაგან ნაწილობრივ დაცილებაზე. — ა. ბ.), რომელიც დადგენილია სპეციალურ ლიტერატურაში, აქამდე არ იყო სათანადოდ ახსნილი და შეფასებულიო“ [12].

როგორც ვთქვით, ა. შანიძის გამოკვლევამ არსებითად გადაწყვიტა ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის პრობლემა, მაგრამ მაინც დიდ დაბრკოლებად რჩებოდა ვეფხისტყაოსნის ერთი კარგად ცნობილი ხელნაწერის, S 5006-ის (პ. ინგოროყვას ლიტერით B) მონაცემი. ხელნაწერში 1578-ე სტროფს („სამ თვეს ვლეს“...) მიჰყვება 1637-ე სტროფის („ტარიელ და ცოლსა მისსა...“) სტრიქონ-ნახევარ. გადამწერი ამაზე შეჩერებულა და განუგრძია წერა მე-17 საუკუნის ვრცელი ხელნაწერების კვალობაზე. მაშასადამე, გადამწერს ხელნაწერის გადანუსხვა თითქო დაუწყია ვახტანგისეული რედაქციის მიხედვით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გადამწერს თითქო ხელთ ჰქონია ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქციის დედანი. ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია. დავით კარიჭაშვილმა [13]. B ხელნაწერის მონაცემი პ. ინგოროყვას მიაჩნია „გადამწყვეტი მნიშვნელობის ჩვენებად“, იგი ამბობს: „ასეთია ეს უაღრესად მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი მნიშვნელობის ჩვენება, რომელიც დაუცავს 5006 ხელნაწერს აქ აღძრული საკითხის გამო და საიდანაც დასტურდება ვახტანგისეული დედნის მსგავსი მოკლე რედაქციის ხელნაწერის არსებობა“ (გვ. 20). დამოწმებულ ციტატს სქოლიოში დართული აქვს: „იხ. აგრეთვე დამატებითი შენიშვნები, 2“. ჩვეუ-

---

[11] იხ. ალ. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა (ლიტერატურული ძიებანი, IX, 1955, გვ. 457—458).

[12] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1953, გვ. 507, შენ. 1.

[13] ვეფხისტყაოსნის შედგენილობა (ჟურნ. „განათლება“, 1913, VI, გვ. 4, ცალკე ანაბეჭდი).

ლებისამებრ ეს შენიშვნებიც მეორე ტომში ყოფილა გადატანილი. საჭირო კი იყო ამ „უაღრესად მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი მნიშვნელობის ჩვენების“ ყოველმხრივი განხილვა „რუსთველიანას“ ახალ გამოცემაში. საქმე ისაა, რომ B ხელნაწერი სწორედ ყოველმხრივ შეისწავლა და განიხილა სარგის ცაიშვილმა. მისი შრომის ძირითადი ნაწილი დაიბეჭდა 1957 წელს [14], ხოლო უფრო ადრე, 1955 წელს, გამოქვეყნდა მისი დასკვნები B ხელნაწერის შესახებ [15].

ს. ცაიშვილმა დამარწმუნებლად დაასაბუთა, რომ B ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა არა მე-17 საუკუნეში, არამედ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის შემდეგ: B ხელნაწერის ერთი ნაწილი გადმოწერილია მე-17 საუკუნის ჩვეულებრივი ტიპის ვრცელი ხელნაწერიდან, მეორე ნაწილი კი — თვითონ ვახტანგის გამოცემიდან. ამით აიხსნება გარკვეულ ნაწილებში № 5006 ხელნაწერისა და ვახტანგის გამოცემული ტექსტის არა მარტო მსგავსება, არამედ სრული დამთხვევა. ამგვარად, „ის ერთადერთი მოსაზრებაც. რომელიც საეჭვოდ ხდიდა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის კრიტიკულობას, უარყოფილ უნდა იქნეს“ [16].

სხვათა შორის, B ხელნაწერში არ არის ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის დანაკლისი რუსთველური 1514-ე სტროფი. ესეც იმის უტყუარი საბუთია, რომ B ხელნაწერი ვახტანგის გამოცემის პირია. თუ პ. ინგოროყვა კვლავაც დაიცავს B ხელნაწერის ადრინდელი წარმოშობილობის თვალსაზრისს, მაშინ მან უარი უნდა თქვას ზემოთ დამოწმებულ თავის შენიშვნაზე ვახტანგისეული ტექსტის გარეთ დარჩენილ «ორად-ორი» სტროფის შესახებ. ამ ორიდან ერთი, სახელდობრ 1514-ე სტროფი, უკვე ჰკლებია ვახტანგის გამოცემის უწინდელ ხელნაწერს და, მაშასადამე, იგი ვეღარ ჩაითვლება გადაწერის უბრალო მექანიკურ ან, მით უფრო, ბეჭდურ შეცდომად.

ჩვენი აზრით, პ. ინგოროყვას უფლება არ ჰქონდა გვერდი აეხვია ს. ცაიშვილის სპეციალური გამოკვლევისათვის და კვლავ გაემეორებინა თავისი ძველი შეხედულება. კომენტარები კი შემდეგი დროისათვის გადაედო.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ კიდევ უფრო ურყევი ხდება ა. შანიძის დასკვნა ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის თაობაზე: „პირველი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა არის ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი და არა უცვლელად დაბეჭდილი რომელიღაც ძველი ხელ-

---

[14] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბილისი, 1957. 120 გვ.

[15] ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის საკითხისათვის (ლიტერატურული ძიებანი, I.C, გვ. 313—324).

[16] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, გვ. 61.

ნაწერი. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი არის შეძლებისამებრ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი". ამას უნდა დავურთოთ პ. ინგოროყვას განმარტება: „თუ ვახტანგის დედანი არის ხელოვნურად შეშუშავებული რედაქცია, ცხადია, მას ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება ვეფხისტყაოსნის ტექსტის გენეალოგიის გამოსარკვევად" (I. 17). ოღონდ, არა გვგონია. სწორი იყოს პ. ინგოროყვას ეს მოსაზრება. მიუხედავად კრიტიკულობისა, ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანს მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვს როგორც ვეფხისტყაოსნის ტექსტის გენეალოგიის გამოსარკვევად, ისე პოემის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დასადგენად.

ამით ვამთავრებთ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის რაობის განხილვას და გადავდივართ ზოგიერთი ცალკეული, მაგრამ საერთოდ ფრიად მნიშვნელოვანი ტექსტოლოგიური საკითხების გარჩევაზე.

ვეფხისტყაოსნის პროლოგს კ. კეკელიძე ერთ დროს თვლიდა პოემის შემდეგდროინდელ დანართად. განსვენებულ მეცნიერთან ამ საგანზე პაექრობის დროს პ. ინგოროყვა შენიშნავდა: „როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ უძველესი ვახტანგისეული დედნის ამა თუ იმ სტროფის სიყალბეზე, აქ საჭიროა დიდი სიფრთხილე და ზედმიწევნით პრეციზული ანალიზი ტექსტისა... აქ უაღრესად სავალდებულოა ფრთხილი და დაკვირვებული ფილოლოგიური კვლევა, და კერძოდ რუსთველის პოეტიკის ზედმიწევნით ცოდნა" [17].

უნდა დავეთანხმოთ პატივცემულ მკვლევარს, რომ იგი სრულ ჰეშმარიტებას ამბობს. ამასთან უნდა დავსძინოთ, რომ განსაკუთრებული სიფრთხილე და სიზუსტეა საჭირო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობების შემცველი ტექსტების ბედის გადაწყვეტის დროს.

„რუსთველიანას" პირველი გამოცემის მიხედვით პ. ინგოროყვა თვლიდა, რომ მარტო ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ყალბი ტექსტების რიცხვი „აღწევს რამდენიმე ასეულ სტროფამდე" (გვ. 64), ანუ უფრო ზუსტად „ოთხას სტროფამდე" (87). ამასთან ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი იყო ე. წ. ციკლური დამატებანი. „რუსთველიანას" ახალი გამოცემიდან ეს ადგილები ამოღებულია, ამიტომაც „ციკლიურ დამატებათა" კატეგორიის ყალბ ტექსტებზე ვერაფერს ვიტყვით. ვეფხისტყაოსნის ძირეული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადასაწყვეტად, როგორც ცნობილია, პირდაპირი ცნობები მოიპოვება პოემის პროლოგში.

---

[17] რუსთველიანაზე პროფ. კორნ. კეკელიძის წერილის გამო („მნათობი", 1927, № 4, გვ. 192).

ძველ „რუსთველიანაში“ ვრცლად არის განხილული ვეფხისტყაოსნის პროლოგი. პ. ინგოროყვას მოსაზრებით, პროლოგი „მეტისმეტად დამახინჯებულად არის წარმოდგენილი“, აქ ერთმანეთთან უწესრიგოდ არის შეერთებული „სამი სხვადასხვა კატეგორიის ტექსტები, რომელთაც არავითარი ორგანიული კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან“. ეს ტექსტებიაო: 1. პ ი რ ვ ე ლ ი პ რ ო ლ ო გ ი („ამბისა დასაწყისი პირველი“), რომელიც რუსთველს ეკუთვნის; 2. მ ე ო რ ე პ რ ო ლ ო გ ი („სწავლისათვის მოშაირეთასა“), რომელიც აგრეთვე რუსთველის ნაწარმოებია; 3. ყ ა ლ ბ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი (— „ქარი მიწურობისა“, ცალკე ინტერპოლაციები და კომენტარიები). ავტორს საგანგებოდ განხილული აქვს პირველი პროლოგი, რომელიც ხუთი სტროფისაგან შედგებაო. ესენია: 1. „რომელმან შექმნა სამყარო“; 2. „ვის ჰშვენის—ლომსა“; 3. „თამარს ეაქებდეთ მეფესა“; 4. „თვალთა მისგან უნათლოთა“; 5. „ჩემი აწ სცანით ყოველმან“. „ეს ხუთი სტროფი, რომელსაც შეიცავს პირველი პროლოგი, არის ე რ თ ი მ თ ლ ი ა ნ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი, რომელიც ორგანიულად არის დასრულებული თავის რკალში“, წერდა პ. ინგოროყვა (გვ. 108—109, შენ.). ავტორს ვრცლად აქვს განხილული ეს „პირველი პროლოგი“, კერძოდ მეორე და მესამე სტროფები, რომელთაც მეფეთა ქებას უწოდებს. სპეციალურად არის გაანალიზებული მეორე სტროფი „ვის ჰშვენის“. მკვლევარი ამტკიცებდა, რომ ამ სტროფით შექებულია თამარის მეუღლე დავით სოსლანი. შინაარსობლივად, ენობრივად და სტილურად იგი არისო „წმინდა რუსთველური“ (გვ. 119—122). „პირველი პროლოგის“ საკითხს საგანგებოდ დაუბრუნდა პ. ინგოროყვა კ. კეკელიძესთან გამართული პაექრობის დროს. მკვლევარი ასაბუთებდა, რომ მეფეთა ხოტბა „ატარებს სინამდვილის ყველა ნიშანს“ („მნათობი“, 1927, №—4, გვ. 188), რომ განსაკუთრებით ყურადსაღებია მეორე სტროფი („ვის ჰშვენის“), თავისი „წმინდა რუსთველური ლექსის ინსტრუმენტაციით“ (იქვე, გვ. 197). პ ი რ ვ ე ლ ი პ რ ო ლ ო გ ი „პოეტურის მხრით შედევრს წარმოადგენსო“. ამბობდა მკვლევარი და ასკვნიდა: „პირველი პროლოგის ყალბად გამოცხადება — ეს არსებითად იგივეა, რაც მთელი ვეფხისტყაოსნის ყალბად აღიარება“ (იქვე, გვ. 197).

მშვენიერად და დამაჯერებლად არის ნათქვამი.

მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა ახალ „რუსთველიანაში“ ამოვიკითხეთ, რომ „წმინდა რუსთველური ლექსის“ თვისებებით აღბეჭდილი „ვის ჰშვენის — ლომსა — ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა“ თურმე ყალბი ყოფილა! მართალია, მკვლევარი ამას არ ასაბუთებს, ამაზე არც არაფერს ამბობს, მხოლოდ ფაქტს აღნიშ-

ბავს (შდრ. 1. 45—53. 62—67). დაინტერესებულმა მკითხველმა უნდა უცადოს პ. ინგოროყვას თხზულებათა მეორე ტომის გამოსვლას. პროლოგის ნამდვილი და დანართი სტროფების შესახებ საერთოდ, კერძოდ კი მეორე სტროფის შესახებ ალბათ იქ იქნება საქმიანი საუბარი, როგორც ამას ავტორისეული ერთი შენიშვნა გვაფიქრებინებს (გვ. 53. შენიშვნა).

აქვე უნდა შევეხო კიდევ პროლოგის განთქმულ მეცხრე სტროფს „ესე ამბავი სპარსული". „შეხედულება. რომ ვეფხისტყაოსანს სიუჟეტი ირანული ლიტერატურიდან უნდა მომდინარეობდეს, ემყარება ვეფხისტყაოსნის ნაგვიანევ ხელნაწერებში დაცულს ერთს სტროფს. ამ სტროფში აღნიშნულია, თითქოს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი აღებულია ირანული მოთხრობიდან („სპარსული ამბავიდან"), ამბობს პ. ინგოროყვა (I, 222, დაყოფა ჩვენია. ა. ბ.). მეცხრე სტროფის ადგილის მერყეობა პროლოგში იმის მაჩვენებელიაო, შენიშნავს მკვლევარი, რომ იგი „თავდაპირველად არ შედიოდა პოემის ტექსტში, არამედ მიწერილი ყოფილა შენიშვნის სახით ხელნაწერის არშიაზეო" (I, 223). „ამრიგად... ირკვევა, რომ ის სტროფი, რომელიც სიუჟეტის «სპარსულობას» ეხება — ყალბია და შემდეგ არის ჩართული ვეფხისტყაოსანშიო" (I, 223).

მოყვანილი საბუთები ვერ დაამტკიცებს „ესე ამბავი სპარსული" სიყალბეს. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ პ. ინგოროყვას სიტყვით „ესე ამბავი სპარსული" თითქო შემოუნახავს „ნაგვიანევ ხელნაწერებს". მაგრამ იგი ხომ მოიპოვება ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანში, რომელიც პ. ინგოროყვას თანახმად მე-14 საუკუნის პირველ ნახევარშია ჩამოყალიბებული. მაშასადამე, რა შუაშია „ნაგვიანევი ხელნაწერები?" ესეც არ იყოს, „ესე ამბავი სპარსული" შემონახული აქვს ვეფხისტყაოსნის არსებულ ძველ ხელნაწერებს. საყურადღებო ისიცაა, რომ აგრეთვე პ. ინგოროყვას გამოკვლევის თანახმად შოთა რუსთველის პორტრეტი ერისთვისეული ხელნაწერიდან თითქო ეკუთვნის მე-15 საუკუნეს. ამ მინიატურით რუსთველს ვეფხისტყაოსნის წიგნი აქვს გაშლილი და წერს: „ესე ამბავი სპარსული" (I, 245—247). მაშასადამე, საცილობელად ქცეული სტროფი თურმე მოიპოვება ჩვენამდე მოღწეულთა შორის უძველეს ხელნაწერში.

ჩვენი ფიქრით, ვეფხისტყაოსნის მეცხე სტროფს („ესე ამბავი სპარსული") განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოპყრობა. ადვილია ამ სტროფის ყალბად გამოცხადება, მაგრამ გაძნელდება მისი სიყალბის დამაჯერებელი დასაბუთება.

3. ინგოროყვა ზოგჯერ ნებისმიერად იმოწმებს პირველწყაროს ტექსტს, რომ ამ ტექსტის საშუალებით შორს გამიზნული დასკვნები გამოიტანოს.

მხოლოდ ორიოდე მაგალითი.

„რუსთველიანას" ახალ გამოცემაში ვკითხულობთ: „შოთას პოემაში მოხსენებული ჰყავს «მოაბადნი». თვით ტერმინის «მოაბადნის» სადაურობა გვიჩვენებს, რომ აქ იგულისხმება აღმოსავლეთის ფილოსოფიურ-რელიგიური თხზულებანი" (I, 180). ტერმინ „მოაბადნის" საფუძველზე პ. ინგოროყვას გამოაქვს გარკვეული დასკვნები შოთა რუსთველის განსწავლულობის სპეციფიკური ხასიათის თაობაზე.

მაგრამ სად არის ეს მ ო ა ბ ა დ ნ ი?

ამ ტერმინს ვერ იპოვით ვერც კ. ჰიპინაძისა და ვერც ა. შანიძის სიმფონიებში, ვერ იპოვით მას ვეფხისტყაოსნის ვერც ერთ გამოცემაში, მათ შორის ვერც თვითონ პ. ინგოროყვას რედაქციით დაბეჭდილ გამოცემაში. ამოცანის ამოხსნაში გვშველის „რუსთველიანას" ძველი გამოცემა. სათანადო ადგილას იქ წერია: „შოთას, როგორც ცნობილია (!), პოემაში მოხსენებული ჰყავს ყრუდ «მოაბადნი». ვინ არის ნაგულისხმევი ამ «მოაბადთა», მეცნიერთა სახელით? თვით ტერმინი «მოაბადის» სადაურობა გვიჩვენებს, რომ აქ იგულისხმება აღმოსავლეთის, კერძოდ სპარსული, ფილოსოფიური ან რელიგიური თხზულებანი" (გვ. 265).

როგორც ცნობილია, რომ ამბობს მკვლევარი. გაუგებრობას ბადებს: ვეფხისტყაოსანში ეს ტერმინი ცნობილი არ არის. ამიტომ კარგად მოქცეულა იგი, რომ ახალ გამოცემიდან უადგილო „როგორც ცნობილია" ამოუღია, მაგრამ, გაურკვეველი მიზეზების გამო, პ. ინგოროყვას ძველი გამოცემიდან ამოუღია სქოლიოში შეტანილი საჭირო შენიშვნაც „იხ. ხელნაწერი Q (=საისტ.-საეთნ. საბ. №—461), სტრ. 775—კბ (მეორე ტაეპი)=796—კრ (მეორე ტაეპი)". ეს შენიშვნა საკითხს შუქს ჰფენს. მოგვყავს მითითებული ტექსტი ვეფხისტყაოსნის 1957 წლის გამოცემის მიხედვით (815, 2):

მართლად უთქვამს მ ე ც ნ ი ე რ თ ა: წყუნააო ჰირთა ბადე.

ინგოროყვასეული ლიტერით Q ხელნაწერში ამის სანაცვლო ტექსტია:

მართლად უთქვამს მ ო ა ბ ა დ თ ა: წყუნააო ჰირთა ბადე[18].

---

[18] იხ. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი მეორე, თბილისი, 1961, გვ. 520; „მოაბადთა"-ს კითხულობს აგრეთვე №—461 ხელნაწერის მიმყოლი W 17.

მაშასადამე, ხელნაწერში სიტყვას მ ე ც ნ ი ე რ თ ა ცვლის სიტყვა მ ო ა ბ ა დ თ ა.

ფრიად საინტერესო ვითარებაა. პ. ინგოროყვას ტექსტიდან ამოუღია საპასპორტო მითითება, ხოლო უმისამართოდ დაუტოვებია ხელნაწერის ვარიანტით შემონახული მისთვის საჭირო სიტყვა. ჩვენთვის პირადად სურათი ნათელია (მაგრამ მკითხველისათვის ვითარება გაურკვეველი რჩება). პ. ინგოროყვა ერთ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დასახელებულ Q ხელნაწერს, ძველ „რუსთველიანაში" სპეციალური ქვეთავიც არის გამოყოფილი „შენიშვნა Q ხელნაწერზე" (გვ. 64—68). ამ Q ხელთწერის საშუალებით მკვლევარი აპირებდა ვეფხისტყაოსნის რიგი დიდმნიშვნელოვანი ტექსტობრივი პრობლემის გადაჭრას. „რუსთველიანას" ახალ გამოცემაში ვეღარ ვპოულობთ დამოწმებულ ქვეთავს, ვეღარ ვპოულობთ აქ ვერც იმ მოზრდილ კარს, სადაც ამ Q ხელნაწერის დახმარებით მკვლევარი ასაბუთებდა ვეფხისტყაოსნის დედანში ე. წ. ციკლური დამატებების არსებობას (გვ. 69—85).

ეტყობა, პ. ინგოროყვას თვალში Q ხელნაწერმა დაკარგა თავისი ოდინდელი ფასი. მართლაც, ეს ხელნაწერი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის თავიდან ბოლომდის გადაკეთებულსა და არსებითად დამახინჯებულ ვარიანტს. № —461 ხელნაწერის გადამწერი თუ რედაქტორი მწიგნობარი და ნაკითხი პირი ჩანს, რომელსაც რუსთველის ტექსტი გაუთავისებურებია, გაუმართავს ენის ახალი ნორმების მიხედვით, ტექსტში შეუტანია ახალი სიტყვები და ცნებები, მთელი გამოთქმებიც კი. ამაში დარწმუნდება ყველა დაინტერესებული მკითხველი, ვინც გაეცნობა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პუბლიკაციას „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები. ნაკვეთი 1—4" (ხელნაწერი № —461 აქ მოხსენიებულია ლიტერით J).

№—461 ხელნაწერის გადამწერსა თუ რედაქტორს დედნისეული „მეცნიერთა" შეუცვლია სიტყვით „მოაბადთა". ეს შენაცვლება ხელნაწერის რედაქტორის წვლილია და შოთა რუსთველი აქ არაფერ შუაშია[19]. პ. ინგოროყვას ისე უნდა ამოეღო თავისი ტექსტიდან მონათხრობი „მოაბადთა" შესახებ, როგორც ამოიღო მან შენიშვნები Q ხელნაწერზე. ყოველ შემთხვევაში უმისამართო და უპასპორტო

---

[19] თუმცა პ. ინგოროყვა უპირატესობას აძლევს აშკარად გადაკეთებულ ვარიანტს („მოაბადთა"), იგი შენიშნავს: „ჩვენ მაინც ჯერჯერობით თავი შევიკავეთ ძველი... წაკითხვის აღდგენიდან და ტექსტში დავტოვეთ მ ე ც ნ ი ე რ თ ა" (ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბილისი, 1953, გვ. 458—459).

„მოაბადნი" ახალ „რუსთველიანაში" მეტხორცად რჩება და მხოლოდ გაუგებრობის წყაროს წარმოადგენს.

ვეფხისტყაოსანში მანიქეიზმის ფესვების ძიებასთან დაკავშირებით პ. ინგოროყვამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ვეფხისტყაოსნის ერთ ხელნაწერში. სახელდობრ ხელნაწერში H—2610 (და არა ხელნაწერში Q-- 779. როგორც პ. ინგოროყვა უჩვენებს) ერთგან ნაცვლად სიტყვისა მ ზ ე ო იკითხება ღ მ ე რ თ ო. აი ეს ტექსტიც ავთანდილის ასტრალური ჰიმნიდან (957, 1--2):

მიმავალი ცასა შესტირს, ე უ ბ ნ ე ბ ი ს, ე ტ ყ ვ ი ს მზესა:
აჰა, მ ზ ე ო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა.

პ. ინგოროყვა აკრიტიკებს ამ ტრადიციულ ტექსტს. იწუნებს პირველი ტაეპის სიტყვებს „ეუბნების, ეტყვის", „უხერხული გამეორებაა", ხელნაწერებში ტექსტი დამახინჯებულიაო, უნდა: ეუბნების ე ტ ლ ს ა მზესა (I, 56. შენ. 1). ნამდვილად აქ არავითარი „უხერხული განმეორება სიტყვებისა" არ გვაქვს. ესაა რუსთველურ მხატვრული განმეორების ისეთი ფორმა. როგორც, მაგალითად: სეყდიანი. დალრეჯილი (101. 1). გამწყრალი. გარისხებული (522, 4), დაჯღება. დაალურჯა (579. 2). ამომწყდა, დამეხოცა (588, 3). გაიღიმა. გაიცინა (1080.2) და სხვა მრავალი. რაც შეეხება „მზეოს" შენაცვლებას სიტყვით „ღმერთო". („აჰა, ღმერთო, გეაჯები..."), როგორც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული. აქ უნდა გვქონდეს გადამწერის უბრალო შეცდომა. რადგანაც კონტექსტით სწორედ მზეა მოსალოდნელი.

ისიც უნდა აღინიშნოს. რომ ჩვენ მოგვეპოვება H—2610 ხელნაწერის გადამწერის შესრულებული მეორე ნუსხა S-- 4988. ხელნაწერები რედაქციულად ერთმანეთთან საერთოდ ახლოა. ამავე დროს S 4988 ხელნაწერში თავის ადგილასაა სიტყვა მზეო.

რაც მთავარია, ვეფხისტყაოსნის კონცეფციით მზე ღმერთი კი არ არის, არამედ „ხატი ღმრთისა". სწორედ ავთანდილის სიტყვებიდან ჩანს გამოთქმული შესაფერისი დებულება (836-- 837):

იტყვის: ქე, მზეო, ვინ ხ ა ტ ა დ გთქვეს მზიანისა ღამისად.
ე რ თ-ა რ ს ე ბ ი ს ა, ერთისა, მის უკამოსა ჟამისად.
ვის ხ ა ტ ა დ ღ მ რ თ ი ს ა დ გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი.

მაშასადამე, აშკარაა. რომ H--2610 ხელნაწერში მზის შენაცვლება ღმერთით გადამწერის უნებლიე შეცდომაა. მეთოდოლოგიურად უმართებულო იქნებოდა ასეთს შემთხვევითს ფაქტზე დამყარე-

ბით რუსთველის მსოფლმხედველობის ძირეული საკითხები გადაგვეწყვიტა.

დასასრულ მინდა დავიმოწმო ერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც პ. ინგოროყვა პირველწყაროს ტექსტს ნებისმიერად ასხვაფერებს, თუმცა ამის თაობაზე მკითხველს არავითარ ცნობას არ აწვდის. „რომ მკითხველმა უფრო ახლო იგრძნოს ეპოქის საერო კულტურის სტილი, კერძოდ სამეფო კარის ყოველდღიური ცხოვრება, რაინდობის სცენებით, ტურნირებით, აგრეთვე პოეტური გამოსვლებით, «მგოსნებით» და «მოშაირეებით», ჩვენ მოვიყვანთ თვითონ ამ ეპოქის ტექსტს, რომელიც ეკუთვნის თამარის მეფობას. — აქ აღწერილია საზეიმო მიღება თამარის კარზე შირვანშაჰის აღსართანისა და სპარსეთის დიდი ათაბაგის ძის ამირ-მირანისა 1195 წელს“ — ამბობს პ. ინგოროყვა და განაგრძობს —: „დარბაზობის მონაწილე ყოფილა შოთას მამა გრიგოლი. ამ დროს ჰერეთის ერისთავი, დარბაზობას საფიქრებელია დაესწრო თვით შოთაც“ (1, 177). შემდეგ მოყვანილია „ისტორია აზმათა“ ვრცელი ტექსტი. მკვლევარს საგანგებოდ გამოუყვია აბზაცი, სადაც იკითხება: „იყო სიხარული, ზმა მგოსანთა და მოშაირთა“ (ხაზი ავტორისაა, — ა. ბ.). ჩვენ დაგვაეჭვა სიტყვამ „მოშაირთა“. მივმართეთ „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეულ ვარიანტს, რომელსაც მიუთითებს პ. ინგოროყვა. ამ ვარიანტის ტექსტი გამოცემულია ე. თაყაიშვილის მიერ (თბილისი, 1906).

ე. თაყაიშვილს უცვლელად აქვს დაბეჭდილი დედანი, საჭირო შესწორებები შეტანილია სქოლიოებში. ბეჭდურ გაძოცემაში იკითხება: „სიხარული: იყო: და: ზმა: მგოსანთა: და: მოშაითთა“ (460) ე. თაყაიშვილი სქოლიოში შენიშნავს, რომ დაქარაგმებული სიტყვის მაგიერ „ქართლის ცხოვრებაში“ (იგულისხმება ვახტანგისეული რედაქცია, — ა. ბ.) წერია: „მოშაითთა“. რომ აქ მართლაც „მოშაითთა“ უნდა ყოფილიყო, ამას ამტკიცებს იმავე „ისტორია-აზმათა“ ტექსტის სხვა ადგილი: „იყო: ზმა: მგოსანთა: და: მუშაითთა“ (გვ. 432). „მოშაითი“ და „მუშაითი“ ერთი და იგივეა. როგორც მოსალოდნელი იყო, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშიც დაქარაგმებული სიტყვა „მოშაითთა“ სწორად არის ამოხსნილი „მოშაითთა“ [20]. გამოცემისათვის დართულ ლექსიკონში ს. ყაუხჩიშვილი იმოწმებს „ისტორია-აზმათა“ ორივე ადგილს, განმარტავს მოშაითის მნიშვნელობას („საბელზედ მოთამაშე; აკრობატი“) და შედარებისათვის მიუთითებს ვეფხისტყაოსნის ტექსტზე (119,2): „მგოსანი და მოშაითი უხმეს, პო-

[20] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 66, 17.

უეს რაცა სადა"[21]. აშკარაა, რომ დამოწმებულ ნაწყვეტში გვაქვს სიტყვა „მოშაითთა" და არა „მოშაირთა". რა თქმა უნდა, პ. ინგოროყვას უფლება ჰქონდა მისებურად გაეშიფრა, ვთქვათ, საცილობელი ტექსტი. მაგრამ მას მკითხველისათვის უნდა გაეთვალისწინებინა საქმის ვითარება. იგი უნდა ცდილიყო დაესაბუთებინა შერჩეული წაკითხვა. ამის სანაცვლოდ კი მკითხველს სთავაზობს ვითომცდა დედნისეულ ტექსტს. საგულისხმოა, რომ „რუსთველიანას" პირველ გამოცემაში პ. ინგოროყვას შენიშნული აქვს „მოშაირთას შესახებ იხ. სქოლიო 35" (გვ. 262, შენ. 1). ეს სქოლიო ჯერ არ გვიხილავს. მეორე გამოცემიდან სქოლიო ამოკვეთილია. არასპეციალისტი მკითხველი უნდა ენდოს მკვლევარს, რომ „ისტორია-აზმათა" ავტორის მოწმობით უცხოელი სტუმრების საზეიმო შეხვედრას დასწრებიან „მოშაირენი", ე. ი. პოეტები. ნამდვილად კი ტექსტში ლაპარაკია მომღერლებზე (მგოსნებზე) და აკრობატებზე.

განხილულ შემთხვევებს თუ განვაზოგადებთ, დავინახავთ, რომ პ. ინგოროყვა წინასწარ შემუშავებულ თავის თვალსაზრისს უძებნის და უსადაგებს ნებისმიერად მოხმობილსა და ნებისმიერად გააზრებულ ფაქტებს. ფაქტები კი არ აპირობებს თვალსაზრისს, არამედ თვალსაზრისი განსაზღვრავს ფაქტების შინაარსობლივ ხასიათს. ამიტომაც არის, რომ თვალსაზრისის შეცვლა ამა თუ იმ საკითხზე, ასე ვთქვათ, ავტომატურად იწვევს ფაქტობრივი მასალის შინაარსის შესაფერისადვე შეცვლას.

სანიმუშოდ ავიღოთ შოთა რუსთველის განათლების საკითხი.

მკვლევარი სამართლიანად ამბობს, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, თუ სად და როგორი განათლება მიიღო შოთამ. პოეტის განათლების საერთო ხასიათზე წარმოდგენას გვაძლევს ისევ ვეფხისტყაოსანი. „პოემის რეალიებიო" (I, 179). ეს რეალიები პ. ინგოროყვას აფიქრებინებდა, რომ შოთა აღმოსავლური კულტურის ტრადიციებზე უნდა ყოფილიყო განსწავლული, „ჩვენი პოეტისათვის აღმოსავლეთის კულტურა ისევე ახლო და მშობლიური ყოფილა. როგორც ქართულიო" ((რუსთველიანა, 1926, გვ. 270). სამაგიეროდ, დასავლეთის კულტურის ნაკვალევი შოთას შემოქმედებაზე ნაკლებ იგრძნობაო. „არა სჩანს", მაგალითად, იცოდა თუ არა შოთამ ბერძნული ენა, „ბერძნულ ფილოსოფიურ მწერლობას შოთა სჩანს იცნობდა ქართული თარგმანებისა და ქართველ ნეოპლატონიკოსთა შრომების საშუალებით: თვით ბერძნული ორიგინალების პირდაპირი ცოდნა არა სჩანსო" (იქვე, გვ. 269—270).

---

[21] იქვე, გვ. 583

მკვლევარმა ახლა მნიშვნელოვნად შეცვალა თავისი თვალსაზრისი. თვალსაზრისის შეცვლამ მკვლევარს შეაცვლევინა ვეფხისტყაოსნის რეალიის შინაარსის გაგება. ახალ „რუსთველიანაში“ პ. ინგოროყვა გადაჭრით აცხადებს: „შოთა... ცხადია, ბერძნულ ფილოსოფიას და მწერლობას თვით ორიგინალებშიაც იცნობდა: ბერძნული ენის ცოდნა ამ ეპოქაში ქართული უმაღლესი განათლების აუცილებელი მხარე იყო“ (I, 180).

ამრიგად, სხვადასხვა დროს მიღებულ სხვადასხვა დასკვნას საფუძვლად უძევს ერთი და იგივე ფაქტობრივი მონაცემი, ე. ი. ვეფხისტყაოსნის რეალიები. ამ რეალიების ნებისმიერმა ამოხსნამ შეიძლება სხვადასხვა დასკვნების მიღების შესაძლებლობა.

დასაბრუნებლად არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ პ. ინგოროყვას ერთი შენიშვნა, რომელიც ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხთა სფეროს განეკუთვნება. ახალი „რუსთველიანის“ წესავალში ავტორი წერს: „რუსთველიანას ეს წიგნი არის ერთგვარი პროლეგომენა, რომელიც ისახავს მიზნად მოამზადოს ნიადაგი ვეფხისტყაოსნის პირვანდელი დედნის აღსადგენად, რათა შოთას პოემა სათობდეს თავისი ნამდვილი თავდაპირველი ბრწყინვალებით, განწმენდილი შემდგომი ხანის სხვადასხვა შემატება-დამახინჯებათაგან“ (გვ. 11). მოყვანილ ციტატას ახლავს შენიშვნა სქოლიოში: „ამ დამახინჯებათა რიცხვს ეკუთვნის კერძოდ მე-14 საუკუნის ერთი დანართი, «ინდო-ხატაელთა ამბავი», რომელიც ამ ბოლო დროს, დამატებით, ასე განუსჯელად იქნა შეტანილი შოთას პოემაში (ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ 1937 წელს) და რომელმაც დააზიანა, არჩილ მეფის სიტყვები რომ გავიმეოროთ, შოთას წმინდა წიგნი“.

ჩვენ იძულებული ვართ განვაცხადოთ, რომ პ. ინგოროყვა სწორ ინფორმაციას არ აწვდის მკითხველთ. ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის ტექსტი მოამზადა სპეციალურმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ კ. კეკელიძე (თავმჯდომარე), ა. შანიძე (თავმჯდომარე), იუსტინე აბულაძე, ვუკოლ ბერიძე, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, კ. ჩიჭინაძე, ალ. ბარამიძე და ს. იორდანიშვილი (მდივანი). პ. ინგოროყვა თუმცა ოფიციალურად იყო კომისიის წევრი, მის მუშაობაში მონაწილეობას არ იღებდა. კომისიის დანარჩენი რვა წევრიდან ინდო-ხატაელთა ამბის რუსთველისადმი კუთვნილებას მხარი დაუჭირა მხოლოდ ერთმა. სახელდობრ კ. ჩიჭინაძემ, თუმცა შემდგომ ასე თუ ისე მას მიემხრო სარგის კაკაბაძე. ყოველ შემთხვევაში კომისიის ექვსი წევრი რვადან სხვადასხვა საბუთით ინდო-ხატაელთა ამბავს

თქმულია ვეფხისტყაოსნის ჩანართად თუ დანართად [22]. ამისდა მიუხედავად, კომისიის დაუკითხავად და მისი მოსაზრების წინააღმდეგ, ინდო-ხატაელთა ამბავი ვეფხისტყაოსნის გამოცემაში შეიტანა ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიამ. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ იუსტ. აბულაძე, ე. ბურჭულაძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, გ. კიკნაძე და კ. ჩარკვიანი. ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის კოლეგიის წევრი და ამ გამოცემის ერთი უშუალო ხელმძღვანელი, ანუ ფაქტობრივი ხელმძღვანელი, იყო სწორედ პ. ინგოროყვა. კ. კეკელიძე და იუსტ. აბულაძე კი კატეგორიულად უარყოფდნენ ინდო-ხატაელთა ამბის რუსთველისადმი მიკუთვნებას. ამის შემდეგ მკითხველმა განსაჯოს, რამდენად სწორია პ. ინგოროყვას ცნობა თითქოს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენმა კომისიამ განუსჯელად შეიტანა რუსთველის პოემაში ინდო-ხატაელთა ამბავი და ამით დააზიანა შოთას წმინდა წიგნი [23].

სავსებით მისაღებია ვეფხისტყაოსნის წარმოშობის ის დათარიღება, რომელსაც გვთავაზობს პ. ინგოროყვა. ვეფხისტყაოსანი დაწერილიაო „თამარის და დავითის მეფობაში. ე. ი. მე-12 საუკუნის ბოლოს — მე-13 საუკუნის პირველ წლებში", (I, 72). ან. უფრო კონკრეტულად. „პოემა დაწერილია 1196 წლის შემდეგ. მაგრამ არა უგვიანეს 1207 წლისა" (I, 77). ოღონდ გაზვიადებულად გვეჩვენება მკვლევარის დასკვნა: „ამირიდან საბოლოოდ მოხსნილია და გაცამტვერებული ის ყალბი და უსუსური მოსაზრება. რომელიც ნიჰილისტთა წრეში წარმოიშვა, ვითომც ვეფხისტყაოსანი შესაძლოა მე-14 საუკუნეში ყოფილიყოს დაწერილი. მოსაზრება ანტი-ისტორიული, რომელსაც შოთას პოემა საქართველოს რენესანსის ეპოქიდან — საქართველოს დეკადანსის ხანაში გადაპქონდა" (I. 781). „ნიჰილისტთა" თვალსაზრისს გაცამტვერება აღარ სჭირდება თუნდაც იმიტომ, რომ მათ თვითონ მოხსნეს ეს თვალსაზრისი. რაც შეეხება „ერთ ევროპელ მეცნიერს" (I, 691), რამდენადაც ვიცით, იგი თავს იკავებს თავისი „ნიჰილისტური" შეხედულების გამოქვეყნებისაგან.

---

[22] ამის თაობაზე იხ. კ. კეკელიძე, Отчет о работах комиссии по установлению критического текста поэмы Вепхисткаосани для юбилейного (1937) издания (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. VII,1961, გვ. 279—290.

[23] ამ საგანზე იხ. აგრეთვე ალ. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა (ლიტერატურული ძიებანი, IX, 1955, გვ. 455—456).

გარკვეული წყაროების ჩვენებათა საფუძველზე პ. ინგოროყვა ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორია შოთა რუსთველი. ამის შემდეგ იგი იწყებს შოთა რუსთველის ვინაობის ძიებას. უწინარეს ყოვლისა „პირველი პროლოგის“ (რომელმან შექმნა, 2. თამარს ვაქებდეთ, 3. თვალთა მისგან უნათლოთა, 4. ჩემი აწ ცანით ყოველმან) მიხედვით მკვლევარი ადგენს, ვითომც შოთა „თავისუფლად საუბრობს თამარის, დედოფლის შესახებ, მიმართავს თამარს როგორც თანასწორი თანასწორს“, ხოლო „თუ გავითვალისწინებთ საშუალ-საუკუნეთა გარემოს, ცხადია, რომ რუსთველი, რომელიც თავისთავს თამარის გვერდით აყენებს, უნდა ყოფილიყო არა თუ უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელი, არამედ თვით სამეფო გვარეულობის წევრი“-ო (I, 82—83, დაყოფა ჩვენია, — ა. ბ.).

„რუსთველიანას ეპილოგშიც“ ნათქვამია: „რომ შოთა რუსთველი, ავტორი ვეფხისტყაოსნისა ეკუთვნოდა უმაღლეს არისტოკრატიას, და, როგორც ირკვევა, თვით სამეფო გვარეულობის შტოს, ამას ეთანხმება ვეფხისტყაოსნის რეალიები და პირველ რიგში ვეფხისტყაოსნის პროლოგი... (მკითხველმა მოიგონოს მაგალითისათვის პოემის შესავალის სტროფები, სადაც პოეტი მიმართავს თამარს, როგორც თანასწორი თანასწორს“ (I, 529—530, დაყოფა აქაც ჩვენია, — ა. ბ.).

გვაპატიოს პატივცემულმა მკვლევარმა, თუ ჩვენ ვიტყვით, რომ იგი სრულიად თავისუფლად და ნებისმიერად განმარტავს ე. წ. პირველი პროლოგის შინაარსს. იქ პოეტი დიდი მოწიწებითა და თაყვანისცემის გრძნობით გამოთქვამს თამარის ქებას („თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ დათხეული“), აღიარებს, რომ გამიჯნურებულია და „მიხვდომია“ ველად გაჭრა, შემახვეწეთ, მაკმაროს ხოცის დაწვა, სულს მაინც მისცეს შვება; ყველასათვის გასაგებად ეცხადება, რომ მას ვაქებ, ვინც მიქია (ეს სასახელო საქმედ მიმაჩნიაო), იგი ჩემი სიცოცხლეა, მაგრამ უწყალოა „ვითა ჯიქი“, მისი სახელი ქვემოთ (პოემაში) შეფარვით მითქვამს.

დიდი ფანტაზია უნდა ჰქონდეს მკვლევარს, რომ იფიქროს, ამისი ავტორი თავის თავს „თამარის გვერდით აყენებსო“, „პოეტი თამარს მიმართავს, როგორც თანასწორი თანასწორსო“. ტექსტის ნებისმიერი ინტერპრეტაციის შედეგად პ. ინგოროყვა ასკვნის, რომ შოთა სამეფო გვარეულობის წევრი ყოფილაო.

ერთგან პ. ინგოროყვა მოხდენილად და საბუთიანად ეკამათება პროფ. ს. ერემიანს. შენიშნავს, რომ ერემიანის მოსაზრება არის „მხოლოდ უბრალო ვარაუდი“, რომ „ყველაფრის დაშვება შეიძლება. ხო-

ლო საბუთი?" (I, 652). ჩვენც ეს სიტყვები უნდა გავიმეოროთ მა-თი ავტორის მისამართით: ყველაფრის დაშვება შეიძლება, მაგრამ საბუთი?

„პირველი პროლოგის" გამო მიღებული დასკვნის შემდეგ პ. ინ-გოროყვა ეხება პროლოგის მერვე სტროფს („მე რუსთველი ხელო-ბითა"). ამბობს, რომ იგი მე-13—14 საუკუნეთა ინტერპოლატორის ჩანართია, მაგრამ ამ ინტერპოლატორს „პირდაპირი გადმოცემა უნ-და ჰქონოდა პოეტის ვინაობის შესახებ", იგი „ვეფხისტყაოსნის იდეალურ პერსონაჟებში ხედავს ისტორიული სინამდვილის ანა-რეკლს და იგივეობის ნიშანს ატარებს უფლისწულ ტარიელსა და რუსთველს შორის. ეს ინტერპოლატორი რუსთველს წარმოათქმევინებს შემდეგ სიტყვებს: «მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი (ე. ი. ტარიელის დარი), ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის (თამარისთვის) ვხელობ, მისთვის მკვდარი!». ინტერპოლატორი წარმოგვიდგენს რუსთველს, როგორც უფლისწულ ტარიელის «დარს», სწორს, ტა-რიელის ორეულს, ისევე როგორც დედოფალი თამარ არის «დარი», alter ego დედოფალ ნესტან-დარეჯანისა" (I, 83).

ამ შემთხვევაშიც პ. ინგოროყვა ნებისმიერად გახსარტავს ტექს-ტის შინაარსს და შესაფერისადვე ნებისმიერი დასკვნებიც გამოაქვს. როგორადაც არ უნდა გავიგოთ დამოწმებული „ამა დარი", ერთი ცხადია: აქ ხელოვნურად არის მოტანილი ტარიელის სახელი (ტარიელის დარიო). არაფერი ამისი მსგავსი რამ ტექსტში არ გვაქვს: მე, რუსთველი, ხელობით, ე. ი. სიყვარულისგან გახელე-ბული, ამგვარად, ამის მსგავსად, ან ამის მსგავს საქმეს ჩავდივარ, ვი-საც ლაშქარი მორჩილობს, იმისთვის ვხელობ, იმისთვის ვარ მკვდა-რიო. ტარიელი აქ სრულიად არაფერ შუაშია.

პროლოგის ტექსტების ნებისმიერი ინტერპრეტაციის შედეგად პ. ინგოროყვას გამოაქვს დასკვნა თითქო ვეფხისტყაოსნის ავტორი შოთა იყო სამეფო გვარეულობის წევრი. ამის შემდეგ იწყება სამე-ფო გვარეულობის წევრ შოთას ძიება ქართულ საისტორიო წყა-როებში.

რაც შეეხება პოეტის რუსთველობას, ამას მკვლევარი ასაბუთებს მის მიერ ყალბად მიჩნეული სტროფების ანალიზის საფუძველზე. პ. ინგოროყვა ძალიან ადვილად უგებს ანდერძს მეშვიდე და მერვე სტროფებს, რომლებითაც პირველხარისხოვანი ისტორიულ-ლიტე-რატურული ცნობები გვაქვს შემონახული („დავჯე, რუსთველმან გავლექსე"; „მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი"). „ტექსტუალური ანალიზი პოემის შესავალისა ჩვენ გვიჩვენებს, რომ

ეს სტროფები ინტერპოლაციას წარმოადგენენ. მაგრამ ამით ამ ისტორიულ მოწმობას თავისი მნიშვნელობა არ ეკარგებაო" (I, 78). მართალია, დასახელებული სტროფები ყოველთვის ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას. მაგრამ ვინ დაამტკიცა მათი სიყალბე? „ტექსტუალური ანალიზი გვიჩვენებს"-ო. ეს ანალიზი ჩვენ არ გვინახავს. ასე ხელაღებით კი, უსაბუთოდ, გაძნელდება ამ შესანიშნავი სტროფების სიყალბეში დარწმუნება. პ. ინგოროყვა თვითონ არღვევს იმ პრინციპებს, რომლის გატარებას სამართლიანად მოითხოვს სხვებისაგან.

„რუსთველიანას" და „რუსთველიანას ეპილოგში" პ. ინგოროყვას მისი შეხედულებისამებრ აღდგენილი აქვს ვეფხისტყაოსნის ავტორის, შოთა რუსთველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის „მთავარი საზღვრები": შოთა იყოო პერეთია ერისთავთა-ერისთავი, ჩამომავლობით ბაგრატიონი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ეაზირი მეჭურჭლეთუხუცესი, თავისუფალი მოაზროვნე ბისათვის დევნილი, თავისი ცხოვრების ამბავი რომ პოეტურად აუსახავს ვეფხისტყაოსანში. დაბადებულა „მიახლოვებით 1166 წელს". ხოლო გარდაცვლილა „1240-იანი წლების მეორე ნახევარში, 1250 წლის ახლო".

„რუსთველი აღმოჩენილ იქმნა მას შემდეგ, რაც ამოვიფრეთ ცნობები, რომლებიც დაცულია ერთს ძველ ქართულ საისტორიო ძეგლში („ჟამთა-აღმწერელობა"). რამაც მოგვცა დასაყრდენი შოთა რუსთველის პიროვნების ამოსაცნობად", ამბობს პ. ინგოროყვა „რუსთველიანას ეპილოგში". „მას შემდეგ (კი), რაც გამოირკვა, რომ პოეტი შოთა რუსთველი არის ცნობილი ისტორიული პირი მე-12—13 საუკუნეთა — შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, განაგრძობს მკვლევარი — ახალი შუქი მოეფინა თვით ვეფხისტყაოსნის ძირითად ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებს. ამან მოგვცა საშუალება ამოგვეცნო ისტორიული ფონი პოემისა, მისი ისტორიული ჭარგა, ამოგვეშიფრა პოემაში წარმოდგენილი მთელი რიგი ისტორიული რემინისცენციები" (I, 530).

ჩვენც უმთავრესად შევეხებით სწორედ ამ ორ ძირითად საკითხს, რომლებიც ასე ორგანიულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ჯერ რამდენიმე საერთო ხასიათის შენიშვნა. რუსთველის ბიოგრაფიის ძიებისას პავლე ინგოროყვას კოლოსალური შრომა გაუწევია. კრიტიკულად დაუმუშავებია უამრავი საისტორიო წყარო, ნარატიული თუ ეპიგრაფიკული ძეგლები და იკონოგრაფიული მასალები. ახლებურად გაუანალიზებია და გაუშუქებია ჩვენი ისტორიული წარსულის არა ერთი და ორი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი. ამ საკითხებზე თავიანთ აეტორიტეტულ სიტყვას იტყვიან ალბათ სპეცია-

ლისტი ისტორიკოსები. ჩვენ ასე გვეჩვენება. რომ პ. ინგოროყვა ერთგვარად გააცოცხლა ყუთლუ არსლანი და აბულასან იობისძე, ცოტნე დადიანი და დედოფალი ბორენა, უჩინარი პალესტინელი მოღვაწე გიორგი ჯვარელი და აგრეთვე უჩინარი, მაგრამ შესანიშნავი სვანი მამულიშვილი სოფელ ლაილიდან და ზოგი სხვაც...

როგორც აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვას ძირითადი დებულება ისაა, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი შოთა იყო ჰერეთის ერისთავი შოთა მკვლევარი დიდი მონდომებითა და გატაცებით ცდილობს მკაფიოდ დაგვიხატოს ამ შოთას სურათი და გაგვიშუქოს მისი ცხოვრების გზები.

ჰერეთის ერისთავ შოთას ვეფხისტყაოსნის ავტორად თვლის სწავლული ბატონიშვილი თეიმურაზი და რიგი თანამედროვე რუსთველოლოგი. პირადად ჩვენც უფრო ამ თვალსაზრისისაკენ ვიხრებით. ა. შანიძესა და ილია აბულაძესთან ერთად შედგენილ „ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში“ გვიწერია: „რუსთველი რუსთავის მამულის მფლობელს, ანუ გამგებელს აღნიშნავს. საქართველოში ცნობილია ორი რუსთავი: ერთი რუსთავი მესხეთშია, მეორე კი თბილისის ქვემოთ მდებარეობს. მტკვრის პირად. ვფიქრობთ, რომ შოთა იმ რუსთავიდან იყო, სადაც ამჟამად მეტალურგიული ქარხანაა“ [24].

ჩვენ საკმაოდ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ვეფხის-ტყაოსნის ავტორი შოთა რუსთველი იყო ჰერეთის ერისთავი შოთა. მაგრამ ეს დებულება, ჩვენი აზრით, ჯერ საბოლოოდ დასაბუთებული და, მაშასადამე, დამტკიცებული არ არის. ამ მხრივ ბევრი რამ არის საცილობელი. დავიწყოთ იქიდან, რომ პ. ინგოროყვას კონცეფციით შოთა ჰერეთის ერისთავი იყო ჩამომავლობით ბაგრატიონი. ამის უშუალო გამომახილს მკვლევარი ეძებს და თითქო პოულობს კიდეც ვეფხისტყაოსანში, რამდენადაც პოემაში უშუალოდ აისახაო ავტორის სათავგადასავლო ამბავი. ჰერეთის ერისთავ შოთა ბაგრატიონის თავგადასავალსა და შოთა რუსთველის ორეულის ტარიელის თავგადასავალს შორის დასტურდებაო „სრული იდენტივობა ყველა დეტალებში“ (I, 530). მაგრამ სანამ საბოლოო დასკვნებს გამოვიტანდეთ, ჯერ ხომ უნდა დამტკიცდეს წარმოდგენილი ორივე წანამძღვრის უცილობლობა, მესამე დებულების სიმტკიცე იმაზე რომ საფუძვლიანად დაემყაროს. აი ესაა, ჩვენი აზრით, პ. ინგოროყვას დიდი ნაშრომის სუსტი მხარე. მკვლევარი წინასწარ უშვებს რიგ შე-

---

[24] ქართული ლიტერატურის ქრესტომათია (საშუალო სკოლის მე-9 კლასისათვის), თბილისი, 1963, გვ. 112.

საძლებელ დებულებას და შემდეგ ამ შესაძლებელ (არა უცილობელ) დებულებათა საფუძველზე აგებს თავისი კონცეფციის შენობას. თანაც რიგი დაშვებული დებულება მკვლევრის ნაშრომების მეორე ტომში უნდა დასაბუთდეს.

ვეფხისტყაოსნის ისტორიული შიფრის საკითხს ჩვენ საგანგებოდ დავუბრუნდებით. ახლა ვიკითხოთ, რას ემყარება ჰერეთის ერისთავ შოთას ბაგრატიონობის ვარაუდი?

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „ჰერეთის ბაგრატიონთა გვარის ისტორია სრულებით შეუსწავლელიაო" (I, 112) და თვითონ მოგვითხრობს: საქართველოში არსებობდაო ბაგრატიონთა გვარის სამი შტო: ქართლის ბაგრატიონები, კახეთის ბაგრატიონები და ჰერეთის ბაგრატიონები. მე-11 საუკუნის დასაწყისში, ბაგრატ მესამის დროს საქართველო გაერთიანდა, მაგრამ ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ (1014 წელს) „საქართველოს ხელახლა გამოეყო ჰერეთი და კახეთი და შეიქმნა ახალი პოლიტიკური ერთეულები". ამ დროიდან ძველი ჰერეთი თითქოს დანაწილებულა, ჰერეთის დასავლეთი ნაწილი შეერთო კახეთის სამეფოში, დამოუკიდებლად დარჩა აღმოსავლეთი ჰერეთი სატახტო ქალაქით გიშითო. „საკითხავია, რომელი დინასტია დარჩა ამ ახალ ჰერეთის სამეფოში", შენიშნავს მკვლევარი და უპასუხებს: „რაკი ქართლში და კახეთში ჩვენ ვხედავთ იმავე დინასტიებს, რომლებიც აქ მეფობდნენ ბაგრატ მესამის გაერთიანებამდე. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალ ჰერეთის სამეფოშიც იგივე ძველი დინასტიები — ჰერეთის ბაგრატიონები დარჩნენო". დავით აღმაშენებლის დროს საქართველო საბოლოოდ გაერთიანდა, გაერთიანებულ სამეფოში შევიდა ჰერეთიც, დავითმა „დაიპყრა გრიგოლის ძენი ასათ და შოთა, და აღიღო ციხე გიშიო". მკვლევრის ვარაუდით, ეს შოთა არის ჰერეთის ბაგრატიონთა შთამომავალი, ხოლო მისი ძმის ასათის შთამომავალია ვეფხისტყაოსნის ავტორი შოთა მესამე (I, 112—116, ხაზი ჩემია, — ა. ბ.).

ძალიან მწყობრი, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობაა. მაგრამ ჰერეთის ბაგრატიონთა შესახები მოსაზრებანი მაინც დამყარებულია ვარაუდებზე („უნდა ვიფიქროთო"). როგორც სავარაუდებელ მოსაზრებას, ჩვენი ფიქრითაც, პ. ინგოროყვას დებულებას გარკვეული საფუძველი აქვს. მაგრამ სავარაუდებელი, ან შესაძლებელი დებულება ხომ არ შეიძლება გადაიქცეს ახალ დებულებათა დასაყრდენ წყაროდ?

შოთა ჰერეთის ბაგრატიონთა საგვარეულო სახელიაო გვიმტკიცებს მკვლევარი. „იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც ჩვენამდე არ მოღწეულიყო სხვა ისტორიული წყაროები, ჯერ მარტო ეს საგვარეულო

სახელი «შოთა» — ჩვენ გვიჩვენებდა, რომ შოთა ეკუთვნოდა ბაგრატიონთა გვარეულობას, და კერძოდ ჰერეთის ბაგრატიონთა შტოსო". ამბობს პ. ინგოროყვა (I. 117). პ. ინგოროყვა კატეგორიულად აცხადებს, რომ: „ეს სახელი (შოთა) ჰერეთის ბაგრატიონთა გვარის გარეშე არც ერთხელ არ გვხვდება მე-8 საუკუნიდან ვიდრე მე-13 საუკუნემდე" (I, 116. დაყოფა ჩემია. — ა. ბ.). „სახელი შოთა პოპულარული ხდება მხოლოდ მომდევნო საუკუნეებში პოეტ რუსთველის შემდეგ, ისევე როგორც მისი პოემის გმირთა სახელები: ტარიელ, ავთანდილ, თინათინ, ნესტან-დარეჯან და სხვ.", შენიშნულია იქვე სქოლიოში. პ. ინგოროყვას მოხსენებული აქვს უძველესი დროიდან მე-13 საუკუნის მეორე ნახევრამდის ყველა შოთა, რომლებიც კი ცნობილია რაიმე წყაროს მიხედვით. მაგრამ მას მაინც გამორჩენია ერთი შოთა, რომლის შესახებ შესანიშნავ ცნობას გვაწვდის აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი. „ბორჯომის რაიონში, ქვაბისხევის ხეობაში, ბორჯომიდან ახალციხისაკენ მიმავალ შარა-გზასთან მდებარე სოფლის ზემოთ ორი კილომეტრის მანძილზე, შენახულა საყდრის ნანგრევი... მარიამწმინდის საყდრად წოდებულიო", მოგვითხრობს გ. ჩუბინაშვილი. მარიამწმინდის ეკლესიას გ. ჩუბინაშვილი მე-8—9 საუკუნეებით ათარიღებს (უფრო მე-9 ს. სასარგებლოდ იხრება). ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ მარიამწმინდის ეკლესიას შემოუნახავს კედლის მხატვრობა. „კედლის მხატვრობა ეკუთვნის გვიან დროს (მე-12—13 სს)", ამბობს გ. ჩუბინაშვილი. ამ მხატვრობიდან „ყველაზე უკეთესად შენახული(ა) გამოსახულება ორი ერისკაცისა — განაგრძობს გ. ჩუბინაშვილი — მამაკაცი წარწერით „შოთა" და მის წინ მდგომი ქალი წარწერით „იაჲ" [25].

მაშასადამე, დოკუმენტურად ირკვევა, რომ მე-12—13 საუკუნეთა მანძილზე კიდევ ყოფილა ვიღაც შოთა, რომლის სურათი გამოხატულია ქვაბის-ხევის დანგრეული ეკლესიის კედელზე. რა თქმა უნდა, ეკლესიის კედელზე გამოხატული ეს შოთა შეიძლება შემთხვევითი პირი ყოფილიყო. გასარკვევია მისი ვინაობა, დასადგენია რიგი გარემოება. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ქვაბის-ხევის ეკლესია ძველი მესხეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. საძიებელი და გამოსარკვევი ბევრი რამეა, მაგრამ ქვაბის-ხევის ეკლესიის მხატვრობა თავისთავადაც ბევრის მეტყველი დოკუმენტია. ძველი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები ამომწურავი სისრულით ჯერ

---

[25] გ. ჩუბინაშვილი, ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზილიკა (თუშ. XXXIV ტხ., 1948, გვ. 391—398).

აღრიცხულიც კი არ არის (შესწავლას რომ თავი დავანებოთ). ვინ იცის კიდევ რამდენი შოთას სახელი ამოტივტივდება ჩვენი წარსული ისტორიის ჯერ კიდევ ბურუსით მოცულ ასპარეზზე.

ე. წ. საგვარეულო სახელს პ. ინგოროყვა მართლოდენ გარკვეული გვარის ნიშანდობლივ გამოსატულებად თვლის. საგვარეულოდ მიჩნეული სახელი თუ შემთხვევით რომელიმე სხვა გვარში აღმოჩნდა, მკვლევარს ერთი გამოსავალიღა რჩება — ეს გვარები დანათესავებული ყოფილან მდედრობითი ხაზითო. პ. ინგოროყვას მოსაზრებით, დიდ თანამდებობათა დაკავებაც ფეოდალურ საქართველოში, კერძოდ ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, გარკვეულ გვაროვნულ წესს ემყარებოდა. „თვითეულ სამფლობელოსთან ჩვეულებრივ დაკავშირებული იყო თანამდებობაც, და სამფლობელო ქვეყნის მიღებასთან ერთად მფლობელი ღებულობდა სათანადო მოხელეობასაც“-ო (I, 103). „ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა, — ამბობს მკვლევარი — როგორც ირკვევა, დაკავშირებულია ჰერეთის რუსთავის ერისთავთ-ერისთავის თანამდებობასთანო“ (I, 605). ამიტომაც თუ მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე სხვა გვარის წარმომადგენელი აღმოჩნდა, მაშინ უსათუოდ წამოჰყოფს თავს დანათესავების ზემოთ აღნიშნული პრინციპის მომიზეზება.

პ. ინგოროყვა ადგენს, რომ „არ-შა არის რუსთავის მეორე სახელწოდება“ (I, 102). „არიშიანის ადგილი“ — რუსთავის სამფლობელო (I, 100, 104). დავით აღმაშენებელს მეჭურჭლეთ-უხუცესად დაუნიშნავს არიშიანი (რუსთავის მფლობელი). მაგრამ „1150/60 წლებში შემწყდარა მამრობითი შტო არიშიანის გვარისა, რომელიც მემკვიდრეობითი მფლობელი იყო რუსთავის მხარისაო“ (I, 645).

ერთხან (მე-12 საუკუნის 60-იან — 80-იან წლებში) მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა სჭერიათ სვანეთისა და გურიის ერისთავთ-ერისთავის, ვარდანისძეთა გვარის წარმომადგენლებს. პ. ინგოროყვა გვიხსნის, ეს საპატიო თანამდებობა სხვა გვარის წარმომადგენლებს იმიტომ რგებიათ წილად, რომ: „მე-12 საუკუნის პირველ ნახევარში ვარდანისძეთა სახლი დანათესავებია არიშიანთა სახლს ქალის შტოს ხაზით. — ვარდანისძეთა სახლში რძლად მოუყვანიათ არიშიანის მემკვიდრე ქალი“ (I, 645—646). საბუთი? აი საბუთიც: „როგორც ცნობილია, — განაგრძობს პ. ინგოროყვა — საშუალო საუკუნეებში გვარების დანათესავების გამო საგვარეულო სახელები ერთი ფეოდალური გვარისა გადადიოდა მეორე გვარში. არიშიანის გვართან დანათესავების გამო ქალის შტოის ხაზით, ვარდანის ძეთა გვარში გადმოსულა საგვარეულო სახელი «არიშიანი». იგი ვარდანისძეთა გვარ-

შიაც საგვარეულო სახელად ქცეულა. ასე. ამ სახელს «არ-შ-ან-ატარებს ვარდანისძეთა გვარის მე-13 საუკუნის მოღვაწე არიშ-ანი ვარდანისძე" (I, 646). რა გამოდის? ერთი აუხსნელი, ყოველ შემთხვევაში დასამტკიცებელი ფაქტით ახსნილია და დამტკიცებული მეორე. აგრეთვე აუხსნელი და დასამტკიცებელი მოვლენა. ჯერ გამოსარკვევია და დასამტკიცებელი, საიდან გაჩნდა ვარდანისძეთა გვარში არიშიანთა საგვარეულო სახელი. როგორ იქცა არიშიანთა საგვარეულო სახელი ვარდანისძეთა საგვარეულო სახელად. პ. ინგოროყვას ფიქრით, ეს მოხდა ამ ორი გვარის „დანათესაურების გამო". მაგრამ ეს ხომ ვარაუდია? აი ეს ვარაუდი გამოყენებულია იმის საფუძვლად, რომ გაირკვეს. როგორ გადავიდა სვანეთისა და გურიის შორეული პროვინციების მფლობელთა ხელში „ნაწილი რუსთავის სამფლობელოსი" და „სავაზირო თანამდებობა მეჭურჭლეთ-უხუცესისა" (I. 646).

იმავე მე-12 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლების დასაწყისში (1190- -1191 წ.) რუსთავის სამფლობელო და მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა მიუღია მესამე გვარის წარმომადგენელს აბულასანიობის ძეს. „რუსთავის საერისთაო აბულასანს მიუღია ნათესაობის გზით არიშიანის სახლთან, მდედრობითი შტოს ხაზით. ისევე როგორც მეორე გვარეულობას — ვარდანისძეებსო", მოგვითხრობს პ. ინგოროყვა (I. 650). ეტყობა, არიშიანებმა ოჯახში ბევრი ყოფილა მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. არიშიანების დიდი მამულები და საგვარეულო სავაზირო თანამდებობანიც რიგ-რიგობით დაუნაწილებიათ არიშიანთა სიძეებს, თუ სიძეთა შთამომავლებს.

თამარის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულობის მეთაურობისათვის აბულასანს თურმე მალე ჩამოერთვა „თანამდებობანი რუსთავის მხარის ერისთავთ-ერისთავისა და ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესისა". 1192- 1193 წლებიდან მოკიდებული ეს თანამდებობანი ჰერეთის ბაგრატიონებს დაუმკვიდრებიათ (I. 633, 656). 1192/1193 წლიდან ვიდრე 1250 წლამდე მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა სჭერია ექვს პირს, აქედან სამი ვაზირი ყოფილა სხვა გვარეულობათაგან (I, 661 662). ასევე გრძელდება „გვართა მონაცვლეობა" მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობაზე შემდეგაც (I. 666 668): მკვლევარი ასე აზოგადებს საქმის ვითარებას: „მე-12 საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 1250 წლამდე. საუკუნე ნახევრის მანძილზე, საქართველოს სახელმწიფოს ვაზირნი მეჭურჭლეთ-უხუცესნი უმთავრესად იყვნენ ჰერეთის რუსთავის მფლობელნი: ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა ამ პერიოდში დაკავშირებულია უპირატესად ჰერეთის რუსთავის ერისთავთ-ერისთავის

თანამდებობასთან. ამის მიხედვით ამ პირველ პერიოდს შესაძლო ვუწოდოთ ჰერეთის რუსთავის პერიოდი" (I, 663. ხაზი ჩემია, დაყოფა ავტორისა, — ა. ბ.). შემდეგ, 1250 წლიდან ვიდრე მე-15 საუკუნის დასაწყისამდე მოდის „ზემო-ქართლის პერიოდი". ამ მეორე პერიოდში მეჭურჭლეთ-უხუცესთა თანამდებობაზე ინიშნებიან ზემო-ქართლის გვარეულობათა წარმომადგენელნიო (იქვე, გვ. 669).

ხშირი მონაცვლეობა მეჭურჭლეთ-უხუცესის სავაზიროსი, აგრეთვე მკვლევრის გამოთქმანი „უმთავრესად", „უპირატესად", იმაზე მიგვითითებს, რომ მეჭურჭლეთ-უხუცესობა მაინცადამაინც გარკვეულად კანონიზებული საგვარეულო თანამდებობა არ ყოფილა. ამიტომაც დიდ ცილობას იწვევს მკვლევრის შემდეგი დებულება: „შოთა რუსთველი იყო საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი. ჯერ მარტო ეს გარემოება ცხადყოფს, რომ პოეტი შოთა რუსთველი, საქართველოს სახელმწიფო ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი, ეკუთვნოდა ჰერეთის ბაგრატიონთა გვარეულობას" (I, 606). პ. ინგოროყვას მონათხრობის თანახმად, ჰერეთის ბაგრატიონნი არ ყოფილან, მაგრამ მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა ჰქონიათ მთელ რიგ სხვადასხვა პირებს.

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული არიან მარუშიანი ფალქოსისძე და შალვა შერგილის შვილი ფალქოსისძე (I, 737, 758). ეს მოსახსენებელი უფლებას აძლევს პ. ინგოროყვას, რომ დაასკვნას: „ფალქოსისძეთა გვარეულობა, როგორც ირკვევა, ნათესაურ კავშირში იყო დადიანთა სახლთან. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ფალქოსისძეთა გვარში მიღებულია, ცხადია დანათესავების გზით, დადიანთა ძველი საგვარეულო სახელი მარუშიანი... აგრეთვე დადიანთაგან უნდა იყოს შეთვისებული ფალქოსისძეთა გვარში სახელი შერგილ: ცოტნე დადიანის მამის სახელი (I, 737, შენ.). იმავე ჯვარის მონასტრის სხვა მოსახსენებელთა ჯგუფში გვხვდებიან — ცოტნე აფაქისძე და ცოტნე ქველივაისძე (I, 742). აფაქისძეთა ოჯახში იხსენიება ვინმე ნათელი (ქალის სახელია დადიანთა გვარში). აქედან კეთდება დასკვნა: „აფაქისძენი ოდიშის ფეოდალური გვარეულობა იყო და ისინი დანათესავებულნი ყოფილან დადიანთა სახლთან" (I, 743). კარგი, მაგრამ რა ვუყოთ ცოტნე ქველივაისძეს? ისიც ხომ დადიანთა საგვარეულო სახელს ატარებს? ისიც ხომ არ არის დადიანთან დანათესავებული? ამაზე „რუსთველიანას" ეპილოგი დუმს.

ვგონებ, საკმარისად ვილაპარაკეთ საგვარეულო სახელებზე და საგვარეულო თანამდებობათა შესახებ. პ. ინგოროყვას მოსაზრებანი

და დასკვნები ამ საკითხზე. ჩვენი აზრით, არ სცილდება შესაძლებელი თუ საეგებიო ვარაუდების რიგს.

ბარემ აქვე იმასაც ვიტყვით. რომ პ. ინგოროყვას ნარკვევის თანახმად შოთა რუსთველის სახე თითქო გამოქანდაკებული ყოფილა საორბელოს ბარელიეფზე ალგეთის ხეობაში. „იბადება საკითხი, — ამბობს პ. ინგოროყვა — რით უნდა აიხსნას. რომ ორბელიანთა საგვარეულო ჯგუფთან ერთად წარმოდგენილია გარეშე სამთავროს მფლობელი — ჰერეთის მთავარი შოთა?“ (I, 237). საპასუხოდ ამ შემთხვევაშიც მოხმობილია დანათესავების ჩვენთვის ცნობილი წესი. „ერთად-ერთი ახსნა აქ შეიძლება ის იყოს. რომ შოთა ნათესაურ კავშირში იყო ორბელიანთა გვარეულობასთან. შოთა. უნდა ვიფიქროთ. ან სიძე იყო ორბელიანთა სახლისა. ან სხვა რაიმე ნათესაობის გზით იგი გამხდარა თანამფლობელი ორბელიანთა საშთავროსი“ (იქვე).

შოთა რუსთველის დაბადების თარიღად პ. ინგოროყვა თელის „მიახლოებით 1166 წელს“ (I, 106), თუ „1166 წლის ახლო“ დროს (I, 179, 670, 691, 781). თუმცა ზოგჯერ პირდაპირ 1166 წელია აღნიშნული, „როგორც ირკვევაო“ (I, 116, 209). ერთგან მკვლევარი იმასაც კი ამბობს. რომ „1966 წელს სრულდება რვაასი წელი შოთას დაბადებიდანო“ (I, 671). ახალი „რუსთველიანას“ თარიღი ამ მხრივ დიდად არ შორდება ძველი „რუსთველიანას“ თარიღს. წინანდელი ვარაუდით შოთა უნდა დაბადებულიყო „1168 ან 1169 წელს“ (გვ. 263; შდრ. იქვე, გვ. 181). შოთას დაბადების თარიღი ასეა გამორკვეული: 1911 წელს სამეფო კარზე მიუღიათ „საპატრონოდ დასაღაცავად“ გრიგოლ ჰერეთის ერისთავის ძენი. „შოთა. სჩანს. უფროსი შვილია გრიგოლისა, რადგან ჰერეთის ერისთავობა გრიგოლის შემდეგ მან მიიღო“. ამ დროს შოთა ყოფილა დაახლოებით 23 წლისა. „ერთი ძველი ქართული ქრონიკის ჩვენებიდან სჩანს, რომ 23 წელი ითვლებოდა სრულ-წლოვანებად. რა დროსაც უნდა მომხდარიყო მფლობელად დალოცვა და შეწყალება. ამის მიხედვით უნდა დავასკვნათ. რომ შოთას დაბადება ეკუთვნის 1168—1169 წლების ახლო დროს“ (რუსთველიანა. 1926, გვ. 180—181). ამას ახლავს შენიშვნა: „იხ. სქოლიო 26“ (ეს სქოლიო არ გამოქვეყნებულა). ამის შემდეგ მკვლევარი უფრო აზუსტებს შოთას დაბადების თარიღს და უკვე დამოწმებული საბუთის თანახმად (დალოცვა 23 წლის ასაკში ხდებოდაო) შოთას დაბადება „უნდა მიეკუთვნოს 1168. ან 1169 წელსო“ (იქვე. გვ. 263).

ახალ „რუსთველიანაში“ სამოქმედო ასპარეზზე გამოყვანილია შოთას ძმად შერქმეული ტბელი გრიგოლისძე. ამას გაურთულებია

შოთას დაბადების თარიღის განსაზღვრა. ტბელი უმცროსი ძმა იყოო შოთასი. 1191 წელს იგი „პირველად დალოცვილა“, თავის მხრივ შოთას მაშინ „მიუღია არა პირველი დალოცვა, არამედ ახალი «შეწყალება». რახან შოთას უმცროსი ძმა 1191 წელს პირველად დაულოცავთ, ხოლო „23 წელი ითვლებოდა სრულწლოვანებად“ (თანამად „ერთი ძველი ქართული ქრონიკისა“). ტბელი დაბადებულა „1169 წლის ახლო“, შოთა კი ამაზე აღრე. „ამის ახლო ხანებში“ (I. 107). მაშასადამე, შოთას დაბადების წელი მხოლოდ ზოგადად არის გამოძებნილი. ჩვენ არ ვიცით, რა ასაკი ითვლებოდა სრულწლოვანების ნიშნად [26]. სამწუხაროდ, პ. ინგოროყვა არ ასახელებს იმ „ძველ ქართულ ქრონიკას“, რომელიც თითქო იძლევა ამისათვის საჭირო მითითებას. ჩვენ არ ვიცით, 1191 წელს შოთა პირველად დალოცეს, თუ მეორედ; არც ის ვიცით, რა ასაკობრივი მანძილი აშორებდა შოთას ძმისაგან და არც ისაა ცნობილი, თუ საერთოდ რამდენი ძე ჰყავდა გრიგოლს. ერთი სიტყვით, მოხმობილი საბუთის საფუძველზე შეუძლებელია შოთას დაბადების თარიღის გარკვევა; სწორიც რომ იყოს მკვლევრის საყრდენი ცნობა სრულწლოვანობის ასაკის თაობაზე [27]. საქმე ისაა, რომ 1191 წელს ადგილი ჰქონია, ასე ვთქვათ, ერთგვარ მასობრივ დალოცვა-შეწყალებას ყოველგვარი ასაკის მიუხედავად. საისტორიო წყარო გვ-მოწმებს: „...შეიწყალეს სარგის ვარამისძე, დალოცეს და უბოძეს თმოგვი, და ქუეშოთ წირქუალელნი. ზარტობის ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიაბერის ძენი და მახატლის ძენი, და თავნი კახეთისანი თორღასძენი. - შეიწყალნეს თვითეულნი თავისითა წესითა: „რომელნიმე ახლად დალოცვითა. რომელნიმე მომატებითა: ეგრეთვე ქართველნი, სომხითარნი, თორელნი, მესხნი და ტაოელნი“ [28].

ამ მასობრივი დაჯილდოების დროს ზოგნი შეუწყალებიათ ლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა“. რომელთა რიგს ეკუთვნოდნენ გრიგოლის ძენი, არ ჩანს. ეს საბუთი ვერ გაგვრკვევს მათი (ე. ი. გრიგოლისძეთა) დაბადების წლებს.

ზემოთქმულით ნაგულისხმევია. თითქო შოთა რუსთველს ჰყავდა ძმა, სახელით ტბელი, და ორნივე იყვნენ ჰერეთის ერისთავის გრიგოლის ძენი. უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაფერი ეს ჯერ-ჯერობით

---

[26] ჯ. კეკელიძე, რუსთველიანა, „მნათობი“, 1927, N.—2, გვ. 194; ეტიუდები, IX, გვ. 219.

[27] საგულისხმოა, რომ ტარიელი ვაზირი გახდა და მან მამისეული მამული მიიღო 16 წლის ასაკში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ტარიელი 16 წლისა „დალოცეს“.

[28] ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 55.

მხოლოდ შესაძლებელი ვარაუდია. გრიგოლის ძენი ორჯერ არიან მოხსენებული თამარის ისტორიაში. პირველად მათ ახსენებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ იმ ეპიზოდთან დაკავშირებით, რომელიც უკვე განვიხილეთ (ქ. ც., II, 55). მეორედ არიან გრიგოლის ძენი მოხსენებული საისტორიო წყაროში — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ამ ძეგლის ავტორობა მიეწერება ბასილ ეზოსმოძღვარს). აქ ერთვან საუბარია საქართველოს აღმოსავლეთის სახელმწიფო საზღვრების მტკიცედ დაცვის თაობაზე და აღნიშნულია: „ქუემოთ ნაპირის კერძ გრიგოლის ძენი, და უფროსღა ტბელი, და მახატლის ძენი მონაპირობდეს“ (იქვე, გვ. 130).

მოყვანილი ტექსტის ტბელს პ. ინგოროყვა თვლის გრიგოლის ძედ: ქვემო მიმართულებით (ქვემო მხარეს) საზღვარზე მონაპირეობას ეწეოდნენ (მონაპირობდნენ) გრიგოლის ძენი, მათ შორის უფრო მეტად ტბელი (გრიგოლის ძე), და მახატლის ძენიო (I, 678—679). ამგვარი გაგება დამოწმებული ტექსტისა შესაძლებელია. ღონდ კანონზომიერი იქნებოდა სხვაგვარი გააზრებაც: ქვემო მიმართულებით (ქვემო მხარეს) საზღვარზე მონაპირეობას ეწეოდნენ (მონაპირობდნენ) გრიგოლის ძენი, და უფრო მეტად ტბელი და მახატლის ძენი.

მეორეგვარი გააზრებით, რომელიც უფრო ბუნებრივად გვეჩვენება, ტბელი აღარ ჩანს გრიგოლის ძედ. რაც შეეხება შოთა გრიგოლის ძეს, ასეთ პირს არ იცნობს თამარის ისტორია. შოთას გრიგოლისძეობა ვარაუდია ისევე, როგორც ვარაუდს წარმოადგენს ტბელის გრიგოლისძეობაც (მეორე ვარაუდს მეტი საფუძველი აქვს).

პოეტის დაბადების თარიღის დასადგენად პ. ინგოროყვა იყენებს აგრეთვე შოთას იერუსალიმურ ფრესკას, „ფრესკაზე შოთა წარმოდგენილია როგორც ღრმა მოხუცი, 80 წელს მიწევნილიო“, ხოლო „რაკი შოთა 1240-იან წლების მეორე ნახევარში ღრმა მოხუცი, 80 წლამდე ყოფილა მიწევნილი, იგი დაბადებულა 1160-იანი წლების მეორე ნახევარში“ (I, 780—781). ვინ დაამტკიცებს, რომ ჯვარის მონასტრის სვეტზე გამოხატული მოხუცი შოთა მაინცდამაინც ოთხმოც წელს იყო მიწევნილი?

უფრო გაურკვეველია შოთას გარდაცვალების თარიღი.

ძველი „რუსთველიანას“ მიხედვით, შოთა რუსთველს უკანასკნელად ახსენებსო ყამთა-აღმწერელი 1243—1245 წლებში (გვ. 181, 196, 210), ახალი „რუსთველიანათი“ — შოთა უკანასკნელად იხსენიება კონკრეტულად 1245 წელს (I, 106, 116, 123). ძველი „რუსთველიანათი“ შოთას ხსენების შეწყვეტა მატიანეში იმის საბუთადაა გამოყენებული, რომ პოეტი გარდაცვლილიაო „1245 წლის ახლო

დროს, დაახლოებით 76 წლისა" (გვ. 322). შოთას გარდაცვალების ამ თარიღზე მკვლევარი ერთგან საგანგებოდ ჩერდება და ამბობს (გვ. 326):

„ეს თარიღი შოთას გარდაცვალებისა — 1245 წლის ახლო დრო — ირკვევა ჟამთა-აღმწერელის მოთხრობის მიხედვით. ამ ისტორიკოსს როგორც 1245 წლის ადრე, ისე 1245 (წლის) შემდეგაც წარმოდგენილი აქვს დეტალური აღწერა საქართველოს ისტორიული მოვლენებისა და მის მოთხრობაში ყურადღებას იქცევს შემდეგი: ვიდრე 1245 წლამდე, ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის დროს, ისტორიკოსს მოხსენებული ჰყავს შოთა, ხოლო ამ დროიდან დაწყებული შოთას სახელი აღარ მოიხსენება. ჟამთა-აღმწერელს 1245 წლის შემდეგ აღწერილი აქვს მთელი რიგი ისეთი შემთხვევებისა, სადაც შოთას უნდა მიეღო მონაწილეობა, როგორც ქვეყნის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, დასახელებული ჰყავს შოთას ყველა თანამედროვენი — რომლებიც შოთასთან ერთად მოიხსენებოდენ 1245 წლამდე, ხოლო შოთას სახელს ამის შემდეგ აღარ ვხვდებით; სჩანს, რომ 1245 წლის ახლო დროებში შოთა უკვე გარდაცვალებული ყოფილა" (გვ. 326, შენ. 2).

ამრიგად, საეჭვო აღარაფერი რჩება, პ. ინგოროყვას ადრინდელი დასაბუთებული მოსაზრებით, შოთა ჰერეთის ერისთავი გარდაცვლილა ღრმად მოხუცი (76 წლისა) 1245 წლის ახლო დროს. ამჟამად კი მკვლევარი გვარწმუნებს, რომ იმავე 1245 წლის ახლო დროს შოთა კი არ გარდაცვლილა, არამედ იგი დაუწინაურებიათ, მისთვის მეჰურჭლეთ-უხუცესის სახელო უბოძებიათ. „რუსთველიანას ეპილოგში" ვკითხულობთ: „შოთა მეჰურჭლეთ-უხუცესად იყო 1245—1250 წლებში... ამრიგად, შოთა როდესაც გავაზირდა, 79 წლისა ყოფილა (1245 წელს), ხოლო გარდაცვლილა შოთა, როდესაც იგი 84 წელს ყოფილა მიწევნილი (1250 წელს)" (I, 664). ამ დასკვნასთან დაკავშირებით კვლავ უნდა მოვიგონოთ პ. ინგოროყვას ზემოთ მოყვანილი სიტყვების ნაწყვეტი მაინც: „ჟამთა-აღმწერელს 1245 წლის შემდეგ აღწერილი აქვს მთელი რიგი ისეთი შემთხვევებისა, სადაც შოთას უნდა მიეღო მონაწილეობა როგორც ქვეყნის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, დასახელებული ჰყავს შოთას ყ ვ ე ლ ა თანამედროვენი— რომლებიც შოთასთან ერთად მოიხსენებოდენ 1245 წლამდე, ხოლო შოთას სახელს ამის შემდეგ აღარ ვხვდებით; სჩანს, რომ 1245 წლის ახლო დროებში შოთა უკვე გარდაცვალებული ყოფილა".

დასაბუთება საკვირველია. ვინც არ უნდა იყოს ეს შოთა (მონგოლების დროინდელი მოღვაწე), ის მართლაც უნდა გარდაცვლილიყო 1245 წლის ახლო დროში. თუ ის შოთა კიდევ

ცოცხალი იყო და მით უფრო მეჯურჯლეთ-უხუცესის თანამდებობის მქონე, ყამთა-აღმწერელი ვერას გზით მას გვერდს ვერ აუქცევდა და თავის თხზულებაში უსათუოდ შეიტანდა მისი შემდეგდროინდელი მოღვაწეობის ამბებს. „რუსთველიანაში“ წარმოდგენილი დასაბუთების თანახმად 1245 წლის ახლო დროს შოთა გარდაცვლილად უნდა ვიგულოთ და არა სახელმწიფო ვაზირად.

ჩვენი ფიქრით, შოთა რუსთველის დაბადებისა და გარდაცვალების „ეს სათარიღო მაჩვენებლები“ არ შეიძლება იყოს ის „ურყევი კლდე, რომელსაც ამიერიდან ემყარება“ შოთა რუსთველის ცხოვრების ქრონოლოგია (შდრ. 1, 781).

საკითხავია, რატომ ასე გვიან დროს მიაწერს მკვლევარი შოთას მეჯურჯლეთ-უხუცესობას? აკი, პოეტი ამ დროს გარდაცვლილად ეგულებოდა? საქმე ისაა, რომ პ. ინგოროყვას გაანგარიშების თანახმად, 1245 წლამდის მეჯურჯლეთ-უხუცესის თანამდებობა სხვა პირებს უჭირავთ. ვაკანტურია მხოლოდ 1245 წელი, თანაც იერუსალიმის ფრესკაზე შოთა მოხუცადაა გამოხატული. ამიტომაც გარდაცვლილად საგულვებელ პირს მკვლევარმა ახლა მეჯურჯლეთ-უხუცესის ეს ვაკანტური თანამდებობა დააკავებინა, ხოლო ამ, ჯერ დასასაბუთებელი დებულების ნიადაგზე იგი გვითარიღებს შოთა რუსთველის იერუსალიმურ ფრესკას. „შოთა იყო საქართველოს სახელმწიფოს ვაზირად 1245—1250 წლებში; **ამრიგად, ეს წლები, 1245—1250, არის თარიღი შოთას ფრესკისა**“ (I. 830, ხაზი ავტორისაა, — ა. ბ.).

„რუსთველიანას ეპილოგში“ პ. ინგოროყვა დამარწმუნებლად გვისაბუთებს ორ ძირითად დებულებას: 1. შოთა მეჯურჯლეთ-უხუცესის სააღაპო მოსახსენიებელი მიეკუთვნება მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს, 2. შოთა მეჯურჯლეთ-უხუცესი და ჯვარის მონასტრის სვეტზე გამოხატული შოთა რუსთველი ერთი და იგივე პირია.

შოთა რუსთველის ბიოგრაფიისათვის ორივე ამ დებულებას უდიდესი მნშვნელობა აქვს. ოღონდ ამასთანავე ისიც უნდა პირდაპირ ითქვას, რომ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა არ არის ამ დებულებათა პირველი ავტორი. საკითხის მთელი და საკმაოდ გრძელი ისტორიის მიმოხილვას ჩვენ არ შევუდგებით. გადმოვცემთ მხოლოდ სულ უკანასკნელი დროის ამბავს.

1956 წელს გამოქვეყნდა ტიმოთე გაბაშვილის მიმოსლვის წიგნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი, მომზადებული ელენე მეტრეველის მიერ. ტექსტს ახლავს მეცნიერი გამომცემლის ვრცელი გამოკვლევა. ცნობილია, რომ ტიმოთე გაბაშვილმა გარკვევით აღნიშნა ჯვარის მონასტრის ფრესკაზე გამოხატული შოთა რუსთველისა და შოთა მეჯურჯლეთ-უხუცესის ერთიდაიგივეობა. მაგრამ სხვადასხვა

მოსაზრების გამო ტიმოთე გაბაშვილის ცნობა უარყოფითად იქნა შეფასებული ქართულ სამეცნიერო წრეებში. ელენე მეტრეველი შეეცადა დაესაბუთებინა ტ. გაბაშვილის ცნობის სისწორე. ჯვარის მონასტრის აღაპების ე. წ. ტიშენდორფისეული ნუსხის ფოტოპირების შესწავლის შედეგად ე. მეტრეველი ფრთხილად, მაგრამ სრულიად გარკვევით ასკვნიდა:

„შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესის აღაპის დაწერის თარიღი შეიძლება შემოიფარგლოს მე-13 საუკუნის პირველი ნახევრით იმ ისტორიული პირების მიხედვით, რომლებიც შოთასთან ერთად აღაპებში ერთ ჯგუფს ქმნიან. ამგვარად, აღაპებში მოხსენიებული შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესი შოთა რუსთველის თანამედროვეა. ეს კი გვაძლევს უფლებას ვირწმუნოთ ტრადიცია, — შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესი შოთა რუსთაველთან გავაიგივეოთ და მივიჩნიოთ, რომ გაწეული ზრუნვისა და დახმარებისათვის შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესი — რუსთაველი ჯვრის მონასტრის კედელზეც გამოსახეს და აღაპიც დაუდვეს“ (გვ. 056). ამ ციტატს ახლავს შენიშვნა: „ჯვრის მონასტრის აღაპების ტექსტსა და გამოკვლევას ვამზადებთ გამოსაქვეყნებლად. იქ ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ვეხებით“.

თავისი პუბლიკაცია ტიმოთე გაბაშვილის ტექსტისა და გამოცემისადმი წამძღვარებული გამოკვლევა ე. მეტრეველმა წარადგინა საკვალიფიკაციოდ (დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად). ე. მეტრეველის მოსაზრების თაობაზე, როგორც ოფიციალური ოპონენტი, ჩვენ ვამბობდით, ელენე მეტრეველმა „წამოაყენა და, ვფიქრობთ, სწორი მიმართულება მისცა შოთა რუსთველის ერთი ძირითადი ხასიათის საბიოგრაფიო ფაქტის დადგენასა და გადაწყვეტას. მ ი მ ო ს ლ ვ ი ს ტექსტზე დამყარებით ე. მეტრეველი საგულისხმოსა და დამარწმუნებელ მოსაზრებას გამოთქვამს შოთა რუსთველისა და მეჭურჭლეთ-უხუცესის შოთას იგივეობის შესახებ... ე. მეტრეველის მსჯელობა მეტად ფრთხილია, ჰიპოთეზურია, მაგრამ საკმაოდ არგუმენტირებული. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ მკვლევარი საგანგებოდ არ ჩერდება აღძრულ საკითხზე და დაწვრილებით განხილვას მომავლისათვის გვპირდება [29].

ელენე მეტრეველმა თავისი დაპირება შეასრულა: 1961 წელს მან დაბეჭდა ვრცელი ნარკვევი „შენიშვნები შოთა მეჭურჭლეთუხუ-

---

[29] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, კრიტიკული შენიშვნები (ლიტერატურული ძიებანი, XIII, 1960, გვ. 409); იხ. აგრეთვე, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, თბილისი, 1953, გვ. 37—38.

ცესის აღაპისა და შოთა რუსთველის ფრესკის ირგვლივ“ [30], ხოლო 1962 წელს გამოსცა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპები გამოკვლევით, კომენტარიებით, საძიებლებითა და პალეოგრაფიული ტაბულებით [31]. დამოწმებულ პირველსავე ნარკვევში ე. მეტრეველი ამბობს, რომ იერუსალიმის მონასტრის სვინაქსარის „შოთასეული“ აღაპის პალეოგრაფიულმა სახემ სავსებით დაადასტურა ის თარიღი, რომელიც აღაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის შესწავლამ გვიკარნახა. აღაპი დაწერილია მე-12—13 სს. მიჯნის წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით“-ო (გვ. 231). შემდეგ მკვლევარი ამტკიცებს, რომ: „შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპი დაწერილია მე-12—13 სს. მიჯნაზე, არა უგვიანეს მე-13 საუკ. პირველი ნახევრისა“ (გვ. 232, 254), შოთა რუსთველის ფრესკული გამოხატულება შესრულებული უნდა იყოსო პოეტის სიცოცხლეში (236, 240, 251, 254). შემაჯამებელ დასკვნაში ნათქვამია: „შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპი მე-12 საუკ. დამლევისა ან მე-13 დამდეგის არის. ხოლო შოთა რუსთველის გამოსახულება ჯვარის სვეტზე მის სიცოცხლეშივე უნდა იყოს შესრულებული, ამიტომ შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტიფიკაცია სავსებით კანონზომიერია“ (გვ. 254).

არ შეიძლება უყურადღებოდ იქნას დატოვებული ის ფართო დისკუსიაც, რომელიც გაიშალა ჩვენი გაზეთების ფურცლებზე 1961 წლის მაის-სექტემბერში გრ. პლოტკინის ნარკვევის გამო „У могилы Руставели“ [32]. დისკუსიის მონაწილე რიგი პირები (შ. ნუცუბიძე, ე. მეტრეველი, გ. ლეონიძე, ალ. ბარამიძე და სხვ.) უცილოდ თვლიდნენ შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და პოეტ შოთა რუსთველის ერთდაიგივეობას, თუმცა კ. კეკელიძემ კვლავ კატეგორიული ფორმით გაიმეორა თავისი ძველი შეხედულება. კ. კეკელიძე წერდა: „В Грузии широко распространено мнение, что «казнохранитель» Руставели (такого лица не знает история) и Шота, упомянутый в записи одной из рукописей монастыря, — одно и тоже лицо. Это в корне ошибочное мнение, как и предположение

---

[30] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სმჯ მოამბე, 1961, №—3, გვ. 228—254.

[31] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962 (ოდნავი ცვლილებით აქ მთლიანად არის შესული „მოამბეში“ დაბეჭდილი ნარკვევი).

[32] Гр. Плоткин, Поездка в Израиль, М., 1959, გვ. 112—121.

о том, что поэт постригся в монахи в Крестном монастыре»[33].

სადისკუსიოდ ქცეული საკითხის გარშემო თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა აკაკი შანიძემაც: „Весьма вероятно, что поэт Шота Руставели, автор поэмы «Витязь в тигровой шкуре», и есть тот самый министр финансов («мечурчлет-ухуцес») Шота, поминать которого полагалось в один из понедельников, согласно записи, сделанной почерком XII—XIII вв. в рукописи Крестного монастыря, хранящейся ныне в библиотеке православной патриархии Иерусалима[34].

პ. ინგოროყვა გვერდს უხვევს ყოველივე ზემოთქმულს. მკვლევარი გვიამბობს, რომ როგორც კი გაეცნო შოთას მოსახსენებელის მიკროფილმს, მისთვის აშკარა გახდა — შოთას მოსახსენებელი „პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მიეკუთვნება მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს“ (I, 540). „ჩვენ მაშინვე გავუზიარეთ ჩვენი მოსაზრებანი შოთას მოსახსენებელის თარიღის შესახებ ჩვენს მეცნიერ მეგობარს სიმონ ყაუხჩიშვილსო“, განაგრძობს პ. ინგოროყვა და დასძენს: „მანაც აგრეთვე გაიზიარა ჩვენი დასკვნა, რომ წარწერა შოთა რუსთველის ეპოქისაა“ (I, 541).

ამ განცხადებით პ. ინგოროყვა ერთგვარად ეფარება თავის მეცნიერ მეგობარს, რომ დაიმტკიცოს შოთას მოსახსენებლის სწორი დათარიღების პირველმთქმელობა და შეუდგეს მოსახსენებლის შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის იდენტივობის დასაბუთებას (ამ პრობლემის მთავარი მხარეა მოსახსენებელის დათარიღება). როგორც უკვე ვიცით, ასეთი მოსაზრება, მართალია, ფრთხილად და უპრეტენზიოდ, მაგრამ სრულიად გარკვეულად გამოთქმული ჰქონდა ელენე მეტრეველს ჯერ კიდევ 1956 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში. მეორე მხრივ, თავისი განცხადებით პ. ინგოროყვა, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ს. ყაუხჩიშვილს, რომელმაც 1960—1961 წლების მანძილზე დაბეჭდა ორი წერილი შოთას მოსახსენებელის დათარიღების თაობაზე[35]. ამ წერი-

---

[33] Поиск новых сведений должен быть продолжен (Вечерний Тбилиси, 30.VI.60).

[34] Поездка в Иерусалим. К вопросу о портрете Ш. Руставели (Вестник АН СССР, 1961, № 8, стр. 91—94).

[35] პირველი წერილი წარმოადგენს იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის მასალების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ გამოხმაურებას („კომუნისტი“, 27, 9. 60), მეორე წერილი სათაურით „შოთა რუსთაველი და ჯვარის მონასტერი“ დაიბეჭდა „მნათობში“ (1961, № 2, გვ. 114—119).

ლებში ს. ყაუხჩიშვილი დაახლოებით იმავე აზრს ავითარებს, რა-საც პ. ინგოროყვა: „ამ დოკუმენტის (—ე. ი. მოსახსენებელის, — ა. ბ.) მთავარი მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი დაწერილია მე-13 სა-უკუნის ხელითო“, ამბობს ს. ყაუხჩიშვილი. ს. ყაუხჩიშვილმა თავის პირველ წერილს დაურთო შოთას მოსახსენებლის ფოტოპირიც. ნა-ადრევად ხომ არ გაამეღავნა ჩვენმა საერთო მეგობარმა ს. ყაუხჩი-შვილმა (და ისიც წყაროს აღუნიშნავად) მისთვის განდობილი საი-დუმლო აღმოჩენა?

რაკი ამგვარად პ. ინგოროყვამ დაიმტკიცა პირველ-მთქმელის უფლება ძირითადი პრობლემის საკითხში, შემდეგ მრავალგზის ასა-ხელებს ე. მეტრეველის პუბლიკაციასა და გამოკვლევას და არა მარ-ტო სქოლიოებში, არამედ გამოკვლევის ძირითად ტექსტშიც (იხ., მაგალითად, გვერდები 694, 696—697, ' 750, 768, 777, 815, 832—833 და სხვ.) [30], ერთგან პ. ინგოროყვა საგანგებოდ შენიშნავს: „ეს შრომა უკვე დამთავრებული გვქონდა, როდესაც გამოვიდა მეორე გამოცემა ჯვარის მონასტრის აღაპთა: ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962 წელი (I, 694. შენ.). უნდა მოვიგონოთ, რომ ელ. მეტრეველის სპეციალუ-რი გამოკვლევა შოთას მოსახსენებელისა და ფრესკის შესახებ ამ-ზე ერთი წლით ადრე დაიბეჭდა.

რა თქმა უნდა, ჩვენ არასგზით არ უარვყოფთ, რომ პ. ინგოროყ-ვამ თავისდათავად ბევრი ახალი მოსაზრება წამოაყენა (ზოგი მისა-ღები, ზოგიც საეჭვო) შოთას მოსახსენებელის დასათარიღებლად და შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის იგივეობის და-სამტკიცებლად. სანიმუშოდ მინდა შევეხო შოთას ფრესკის კომპოზი-ციის ინგოროყვასეული ინტერპრეტაციის ერთ საკითხს.

როგორც ცნობილია, იერუსალიმური ფრესკის მიხედვით, ხელებ-აპყრობილი შოთა რუსთველი ფერხთ მორთხმულია იოვანე დამას-კელისა და მაქსიმე აღმსარებელის წინაშე. პ. ინგოროყვას გარდა-წყვეტილი აზრით, იოვანე დამასკელი აქ წარმოდგენილია, როგორც სიმბოლო პოეზიისა. ხოლო მაქსიმე აღმსარებელი — სიმბოლო ფი-ლოსოფიისა (I, 826). ეს სიმბოლიკა ისე გ ა მ ჭ ვ ი რ ვ ა ლ ე ა, რომ ეჭვებს ვერ გამოიწვევსო (I, 829). შოთა, როგორც პოეტი-ფილოსო-ფოსი, ფრესკაზე წარმოდგენილია შესაფერ წრეში. „ამრიგად, — ასკვნის პ. ინგოროყვა — გამოსახვა შოთას გვერდით იოანე დამას-

---

30 პ. ინგოროყვა ჩვეულებრივ იმოწმებს იერუსალიმური აღაპების ნომრებს ე. მეტ-რეველის პუბლიკაციის მიხედვით, აქა-იქ ემყარება ელ. მეტრეველის ნარკვევს, ზოგჯერ კამათობს. მაგრამ ყველაფერი ეს ეხება ცალკეულ საკითხებს და არა პრობლემის არსს.

კელისა (—პოეზიის სიმბოლო), და მაქსიმე აღმსაარებელისა (—ფილოსოფიის სიმბოლო), უაღრესად ნიშანდობლივი ჩვენებაა. ეს არის სრულიად ეჭვმიუტანელი და მტკიცე საბუთი იმისა, რომ იერუსალიმის ფრესკაზე წარმოდგენილი შოთა არის პოეტი შოთა რუსთველი" (I, 830. ხაზი ავტორისაა, — ა. ბ.).

კიდევ უსდა გვაპატიოს პატივცემულმა მკვლევარმა, თუ ჩვენ ჯულწრფელ ეჭვებს გამოვთქვამთ ამ ვითომცდა „ეჭვმიუტანელი" დებულების გამო. მართალია, იოვანე დამასკელი შესანიშნავი საეკლესიო პოეტური ჰიმნების ავტორია, მაგრამ უწინარეს ყოვლისა იგი ითვლება მართლმადიდებლური ქრისტოლოგიური დოგმატიკის უდიდეს სისტემატიზატორად[37]. ამიტომაც ბუნებრივი იქნებოდა, რომ დამასკელი ამ მხრივ გამოეხატათ ჯვარის მონასტრის სვეტზე. პრინციპული ასპექტით სავსებით სწორად იქცევა შ. ნუცუბიძე, როდესაც იგი სწორედ ამ კუთხით განიხილავს შოთას ფრესკის კომპოზიციას[38]. ყოველ შემთხვევაში შოთას ფრესკის სიმბოლიკა რომ ისეთი გამჭვირვალე ყოფილიყო, როგორადაც მას პ. ინგოროყვა სახავს, მას სხვებიც შეამჩნევდნენ.

ამ საკითხს აქვს მეორე საყურადღებო მხარე. პ. ინგოროყვა ამტკიცებს, რომ შოთას წარმომადგენელი პალესტინაში ანუ მისი „საგანგებო მისიის შემსრულებელი იერუსალიმში" იყოო ანტონ ალავერდელი, მთავარეპისკოპოსი ჰერეთ-კახეთის ქვეყნისა (I, 729). ირკვევაო, ამბობს პ. ინგოროყვა, რომ „თვით მოსაბსენებელი შოთასი ჯვარის მონასტერში ჩაწერილია ანტონი ალავერდელის მიერ, მისი ხელით" (იქვე, იხ. აგრეთვე გვ. 780, 855). ამ ანტონ ალავერდელის „მეშვეობით" ჯვარის მონასტრის მხატვრობა 1245—1250 წლებში განუახლებიაო შოთა რუსთველს (I, 833).

იქმნება უცნაური ვითარება. კლერიკალური საზოგადოება რუსთველს დევნიდაო, ამ ნიადაგზე პოეტი ერთ დროს გაძევებულიც

---

[37] იხ. K. Krumbacher, Geschichte der bysantinischen Litteratur. 1897, გვ. 37, 68—71. კარგად ამბობს ს. ყაუხჩიშვილი: „იოანე დამასკელი, უპირველეს ყოვლისა, არის დიდი საეკლესიო მოღვაწე; მან ჩამოაყალიბა ის დოგმატიკა, რომელიც სრულიად საუკუნეების მთელ მანძილზე ბატონობდა ბერძნულ-მართლმადიდებელ ეკლესიაში" (ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, 1949, გვ. 422; ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963, გვ. 171).

[38] იხ. მაგალითად შ. ნუცუბიძის ნარკვევი — პალესტინის... მხატვრობა და ქართული კულტურის საკითხები („საბჭოთა ხელოვნება", 1957, №—9, გვ. 18—22).

ჯოფილა სამშობლოდან (I. 217). ამავე დროს ამ კლერიკალური საზოგადოების ერთ უჩინებულეს წარმომადგენელს, ჰერეთ-კახეთის ქვეყნის მთავარეპისკოპოსს შოთა რუსთველი ჯვარის მონასტრის სვეტზე ხაზგასმულად გამოუხატვინებია ვითარცა პოეტი. ამ ხაზგასმულობის მისანიშნებლად რუსთველის გვერდით მოუთავსებიათ ვითომც პოეზიის სიმბოლო იოვანე დამასკელი.

განმაცვიფრებელი დებულებაა.

აღნიშნულთან დაკავშირებით არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ ერთი საზღვარგარეთელი ქართველი რუსთველოლოგის საყვედურით სავსე სიტყვები ანალოგიური შემთხვევის გამო: „დიაღაც, დიდად გაუგებარი ამბავია, რომელიც არც ერთ ეკლესიაში არ მომხდარა და რა ყველაფერი უცნაური და გასაოცარი რამ მაინც და მაინც ქართული ეკლესიის ისტორიაში ხდება“ [39].

ორიოდე სიტყვა შოთას დაბადების საიუბილეო თარიღზე. „1966 წელს სრულდება რვაასი წელი შოთას დაბადებიდანო“, ამბობს პ. ინგოროყვა. როგორც ვნახეთ, ჩვენ არ ვიცით შოთა რუსთველის დაბადების ზუსტი თარიღი. ოღონდ ყველა რუსთველოლოგი, ვინც კი ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღს თამარისა და დავით სოსლანის მოღვაწეობის დროს უკავშირებს (ასეთებია რუსთველოლოგთა დიდი-ზე-დიდი უმეტესობა), ვარაუდობს, რომ შოთა რუსთველი დაახლოებით მართლაც მე-12 საუკუნის სამოციან წლებშია დაბადებული. საქმე ისაა, რომ ყველა რუსთველოლოგის ფიქრით, ვეფხისტყაოსანი არ შეიძლება ყოფილიყო პოეტის პირველი ნაწარმოები, რომ ვეფხისტყაოსანი შოთას უნდა დაეწერა სრული მოწიფულობის ასაკში. მაშასადამე, პოეტი უნდა დაბადებულიყო მე-12 საუკუნის სამოციან წლებში (შესაძლებელია სამოციანი წლების გასულს, ან სამოცდაათიანი წლების დასაწყისში). ვეფხისტყაოსნის წარმოშობა ვერ გაიგოსციდება დავით სოსლანის გარდაცვალების წელს (1207 წ.). ამიტომაც ახლა, **ჩვენი საუკუნის სამოციან წლებში თამამად შეიძლება აღინიშნოს შოთა რუსთველის დაბადების რვაასი წლისთავი.**

„რუსთველიანას ეპილოგში“ შეტანილია სპეციალური თავი „ძეგლი შოთა რუსთველის ოჯახიდან, შოთას მახლობელნი. პოეტი ქალი ბორენა“ (I, 672—690). აქ ვეცნობით „ძველი ქართული ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლს“ — გიორგი მთავარმოწამის ხატს, რომელსაც თითქოს შემოუნახავს შოთას ძმის ტბელის შესანიშნავი წარწერა. პ. ინგოროყვას მართებული დახასიათებით, ამ წარწე-

[39] ვ. ნოზაძე. ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 85.

რას ნამდვილად ამშვენებს „ელვარება ძველ-ქართული სიტყვისა“ (I, 681).

გიორგი მთავარმოწამის ხატი ძველად დასვენებული ყოფილა შერგილ დადიანის მიერ განახლებულ ხობის მონასტერში. პ. ინგოროყვა დიდი მახვილგონიერებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ხატის წარწერის ავტორი „ტბელი გრიგოლის-ძე“ არის შოთა რუსთველის ძმა. მკვლევრის მიერ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, რომ დ. ბაქრაძე წარწერას ათარიღებდა მე-10—11 საუკუნეებით, ე. თაყაიშვილის მოსაზრებითაც იგი არისო „არა უგვიანესი მე-11 საუკუნისა“. პ. ინგოროყვას მოსაზრებით კი ორივე ქართველი მკვლევარი ცდება, ხატს სწორად ათარიღებსო „დიდი ხელოვნებათმცოდნე“ აკადემიკოსი ნ. კონდაკოვი. წიგნში დამოწმებულია კონდაკოვის სიტყვები: «Икона великомученика Георгия, в окладе чеканном — отличной работы, не позже XII века, сходной по рисунку с орнаментальным стилем грузинских окладов евангелий Гелатского монастыря». აკად. კონდაკოვის ამ ტექსტს მკვლევარი ურთავს შემდეგ კომენტარიას: „გელათის მონასტერში დაცული ოქროქანდაკებული ყდები წყაროსთავის და ბერთის სახარებათა, როგორც ცნობილია, ეკუთვნის ბექა და ბეშქენ ოპიზართ, თამარის ეპოქის განთქმულ ხელოვანთ. აი ამათ ადარებს ნ. კონდაკოვი ხობის მთავარმოწამის ხატის ორნამენტულ სტილს და ამის მიხედვით იგი ხობის ხატს მე-12 საუკუნით ათარიღებს“ (I, 674; დაყოფა ზემოთაც და აქაც ჩემია, — ა. ბ.). კომენტარია მთლად ზუსტი არ არის. ნ. კონდაკოვი არ ამბობს, რომ გიორგი მთავარმოწამის ხატი მე-12 საუკუნეს ეკუთვნის, მე-12 საუკუნის უგვიანესი ძრ ძრისო („Не позже XII века“). მე-12 საუკუნის უგვიანესი არ არისო, არ გამორიცხავს მე-12 საუკუნეს, მაგრამ გადაჭრით არც ამ საუკუნეს ვარაუდობს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ხობის ამ ხატს მე-11 საუკუნის ძეგლად თვლის დიდი ქართველი ხელოვნებათმცოდნე და კერძოდ ოქრომჭედლობის უბადლო სპეციალისტი გ. ჩუბინაშვილი. მოკლე ანოტაციასთან ერთად გ. ჩუბინაშვილს გამოქვეყნებული აქვს ხატის ფოტო და წარწერაც [40]. რასაკვირველია, გ. ჩუბინაშვილი იცნობდა და ასახელებს კიდევაც ნ. კონდაკოვის ნაშრომს. ჩვენ მხოლოდ გაკვირვებას გამოვთქვამთ

---

[40] Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Исследование по истории грузинского средневекового искусства. Текст. Тбилиси. 1959, стр. 512; იგივე, Иллюстрации. ტაბულები 206 და 207.

იმის გამო, რომ პ. ინგოროყვამ გვერდი აუხვია ჩვენ გამოჩენილ მეცნიერს.

ამრიგად, მთავარმოწამე გიორგის ხატი ხობიდან არ შეიძლება უეჭველად მე-12 საუკუნის ნაწარმოებად ჩაითვალოს და მისი წარწერა შოთა რუსთველის ძმას — ტბელს მიეწეროს. ამ შემთხვევაშიდაც პ. ინგოროყვას უთუოდ საინტერესო ჰიპოთეზა ჯერ კიდევ დასამტკიცებელ ვარაუდს წარმოადგენს.

რამდენადმე მსგავსი ვითარება გვაქვს პოეტ ქალ ბორენას შესახებაც. კარგა ხანია ცნობილია ბორენა დედოფლის საუცხოო, რითმიანი იამბიკური ლექსი, ღვთისმშობლის საგალობელი, რომელიც წარწერის სახით შემოუნახავს ღვთისმშობლის ხატს, რომელიც დაცულია სვანეთში, ლენჯერის თემში, ს. ნესგუნში. ამ ხატის წარწერა დიდი შეცდომებით პირველად გამოაქვეყნა ალ. ხახანაშვილმა [41]. ტექსტი უკეთ ამოიკითხა და მისი სალექსო ხასიათი სწორად შეიცნო პ. კარბელაშვილმა. ამ წარწერას მან უწოდა „მშვენიერი ხუთმუხლოვანი იამბიკური ლექსი“ [42]. ლენჯერის ღვთისმშობლის საგალობლის ტექსტი უნაკლოდ აღადგინა და დაბეჭდა ე. თაყაიშვილმა [43]. ალ. ხახანაშვილის პუბლიკაციის საფუძველზე ტექსტი გამართა და მისი საერთო მნიშვნელობა გაარკვია კ. კეკელიძემ [44]. ალ. ხახანაშვილი, პ. კარბელაშვილი და კ. კეკელიძე წარწერის ბორენა დედოფლად თვლიდნენ ბაგრატ მეოთხის (1027—1072) მეუღლე ბორენას. ე. თაყაიშვილმა პირველმა შეიტანა ეჭვი ბორენასეული საგალობლის დათარიღების საკითხში. „ხასიათი წარწერისა ყოვლად შეუძლებელია მე-11 საუკუნეს ვაკუთნოთ. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ წარწერა მერმინდელიაო“, ხოლო „აქ მოხსენებული ბორენა სხვა პირია და არა ბაგრატ მეოთხის ცოლიო“, წერდა ე. თაყაიშვილი [45]. გ. ჩუბინაშვილი ლენჯერის ღვთისმშობლის ხატს თვლის მე-12—13 საუკუნეთა ძეგლად [46].

---

[41] იხ. Материалы по археологии Кавказа. X, М., 1904, стр. 37—38.

[42] პ. კარბელაშვილი, სვანეთში ორის კვირით („ივერია“, 26. 6. 1904, №—148). პ. კარბელაშვილის ეს საინტერესო წერილი ყველამ დაივიწყა (მას ახსენებს ნხოლოდ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკვეთი I, თბილისი, 1962, გვ. 82, შენ. 10).

[43] არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 315—316.

[44] ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941, გვ. 542—543.

[45] დასახ. შრომა, გვ. 316.

[46] დასახ. შრომა, ილუსტრაციები, ტაბულა 425.

პ. ინგოროყვამ ოსტატურად გააანალიზა ბორენა დედოფლის მართლაც ჩინებული იამბიკური ლექსი, საფუძვლიანად უარყო ძველი შეხედულება ბორენა დედოფლის ვინაობის თაობაზე. პ. ინგოროყვა საბუთიანად ამტკიცებს, რომ ღვთისმშობლის საგალობლის ავტორი უნდა იყოს მე-13 საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწისა და მამულიშვილის ცოტნე დადიანის მეუღლე ბორენა დედოფალი (I, 683—689).

ბორენა დედოფლის ვინაობის შესახებ პ. ინგოროყვას გამოთქმული აქვს ფრიად საყურადღებო მოსაზრებანი. ზოგი რამ ამ მხრივ საეჭვოა, ზოგიც უბრალო ვარაუდია.

როგორც უკვე ვიცით, ხობის მონასტერში თავის დროზე დასვენებული ყოფილა გიორგი მთავარმოწამის ხატი ტბელისეული წარწერით. პ. ინგოროყვას სიტყვით, ცოტნე დადიანის ოჯახს თავის მონასტერში დაცული ჰქონია „მათი სახლისა და გვარის რელიქვიები. როგორც, მაგალითად, თამარის გულზე საკიდი ჯვარი, თამარის დედის ბურდუხან დედოფლის ხატი, ან-და ძველი ეპოქის, მე-10 საუკუნის ლეონ მეფისეული ხატი“. „ა ს ე ვ ე დაუსვენებიათ აქ — განაგრძობს მკვლევარი — გიორგი მთავარმოწამის ხატი შოთას სახლიდან, ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახიდან“-ო. ამის შემდეგ იგი სვამს კითხვას „რა გზით მოხვდა ეს ხატი ჰერეთის ბაგრატიონთა სახლიდან ცოტნე დადიანის სახლშიო“ და იქვე უპასუხებს: „ს ა ფ ი ქ რ ე ბ ე ლ ი ა ეს მოხდა ამ ოჯახების დანათესავების გზით“-ო. „დადიანთა ოჯახში, ჩ ა ნ ს, რძლად მოუყვანიათ ქალი ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახიდან, რომელსაც ეს ხატი თან მოუტანია“ (I, 681). ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახიდან გამონათხოვი ქალი კი თითქო ყოფილა შოთას ძმისწული (ტბელის ასული), ცოტნე დადიანის მეუღლე ბორენა, ღვთისმშობლის საგალობლის ავტორი (I, 681—682).

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ პ. ინგოროყვა ფრთხილად ლაპარაკობს „საფიქრებელიაო“, „ჩანსო“. ჩვენ გვგონია, რომ ესეც ბევრია. საფიქრებელი აქ არა არის რა. ჯერ ერთი, ჩვენ არ გვესმის, რად უნდა ჩათვალოს ცოტნე დადიანის სახლისა და გვარის რელიქვიად თამარის ჯვარი, ბურდუხან დედოფლის ხატი და მისთანანი. ყველა ქართველისათვის ეს ძვირფასი რელიქვიები, რა თქმა უნდა, დადიანების ოჯახისთვისაც იქნებოდა სანუკვარი, მაგრამ სპეციფიკურად დადიანთა „სახლისა და გვარის“ მოხმობა აქ უადგილოა. „ა ს ე ვ ე დაუსვენებიათ აქ (ხობის მონასტერში, — ა. ბ.) გიორგი მთავარმოწამის ხატი შოთას სახლიდანო“, ე. ი. შოთას სახლიდან გამოსული ხატიც დადიანთა საოჯახო რელიქვიას წარმოადგენსო. ხობის მონასტერში დაუგროვებიათ და დაუცავთ ჩვენი ხალ-

ხის უძვირფასესი რელიქვიები, მაგრამ უმართებულო იქნებოდა ამ მოვლენის ახსნა საოჯახო, გვაროვნული ინტერესებით. ყოველ შემთხვევაში მსგავსი დასკვნის მისაღებად საჭირო საბუთი არ გვაქვს.

პ. ინგოროყვას ვარაუდი ბორენას ჩამომავლობის თაობაზე იმას ემყარება, თითქო ხობის მონასტერში დაცული ხატი ტბელისეული წარწერით შოთას ოჯახის კუთვნილებას შეადგენდა და თითქო იგი შოთას ძმისწულს (ტბელის ასულს) მზითვად გამოჰყვა. მაგრამ ჯერ ხომ პირველი დებულება არ არის დამტკიცებული. პირველი საეგებიო მოსაზრება მეორე საეგებიო ვარაუდის წყაროდ ვერ გამოდგება. გიორგი მთავარმოწამის ხატი იმ გზით უნდა მოხვედრილიყო ხობის მონასტერში, რა გზითაც მოხვდა იქ თამარის ჯვარი, თუ ბურდუხან დედოფლის ხატი. დანათესავებისა და გამზითვების გზა ამისათვის ერთადერთი გზა არ შეიძლება ყოფილიყო.

ამრიგად, „რუსთველიანას ეპილოგში“ მონათხრობი შოთა რუსთველის, ტბელისა და ბორენას ნათესაური კავშირის შესახებ ძნელად დასაჯერებელი და მით უფრო ძნელად დასამტკიცებელი მაცთური ვარაუდის სფეროს განეკუთვნება.

პ. ინგოროყვას ძალიან საინტერესოდ აქვს მოთხრობილი, თუ როგორ მოიპოვა მან გიორგი მთავარმოწამის ხატი ტბელისეული ჩინებული წარწერით. ამაზე შეჩერება იმისათვისაც ღირს, რომ გავითვალისწინოთ პ. ინგოროყვას კვლევა-ძიებითი მუშაობის სტილი.

პ. ინგოროყვა გვიამბობს, რომ მას უკვე დამთავრებული ჰქონდა გამოკვლევა იმ საკითხებისა, რომელთაც „რუსთველიანას ეპილოგში“ ეხება და საბოლოო შემოწმების მიზნით სინჯავდა ძველი საქართველოს ისტორიის პირველ წყაროებს. სხვა მასალათა შორის მკვლევარს მოუხდა დამუშავება ნ. კონდაკოვის წიგნისა „Опись памятников древностей в некоторых храмах и монастырях Грузии. Грузинские надписи прочтены и истолкованы Н. Бакрадзе“. ნ. კონდაკოვს აღწერილი აქვს ხობის მონასტრის სიძველენიც, მათ შორის გიორგი მთავარმოწამის ხატი. პ. ინგოროყვას უურადღება მიუქცევია ამ ხატის დათარიღებას და ხატის წარწერის ტექსტს. — ტბელი გრიგოლის-ძე — იკითხება წარწერაში. „ეს ხომ ცნობილი მოღვაწეა მე-12—13 საუკუნეთა, ძმა შოთასი, ჰერეთის ბაგრატიონი“, — ასკვნის მკვლევარი. მას აღარ აკმაყოფილებს ბაქრაძისეული დათარიღება. სწორიაო კონდაკოვის ვარაუდი. ახლა მთავარი საზრუნავი ხდება ძეგლის მოპოვება, მისი უშუალოდ შესწავლა. ნ. კონდაკოვის წიგნის საშუალებით გამორკვეულა, რომ 1880-იან წლებში ძეგლი დაცული ყოფილა ხობის მონასტერში. „ჩვენ შევუ-

დექით ამის შემდეგ იმის ძიებას, თუ რა ბედი ეწია ამ ძეგლს, მოაღწია თუ არა მან ჩვენ დრომდეო", განაგრძობს მკვლევარი თხრობას.

1913 წელს სამეგრელოში იმოგზაურა იქაური არქეოლოგიური სიძველეების აღსაწერად ე. თაყაიშვილმა. მკვლევარი გაეცნო თაყაიშვილის ნაშრომს, კრიტიკულად შეაფასა თაყაიშვილისეული დათარიღება. 1913 წელსაც გიორგის ხატი ხობში ყოფილა დასვენებული. მერმე? ე. თაყაიშვილის შრომის წინასიტყვიდან მკვლევარს გაუგია, რომ არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობას ღებულობდა ცნობილი ფოტოგრაფი თ. კიუნე. მკვლევარიც შეუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფოტო-არქივების ქექვას. საჭირო ფოტო-მასალა აღმოჩენილა ხელოვნების მუზეუმში. დიდი რუდუნების შემდეგ მკვლევარს მოუპოვებია გიორგი მთავარმოწამის ხატის ფოტოპირები. „ჩვენს წინაშე იყო ფოტოები ძველი ქართული ხელოვნების მართლაც ბრწყინვალე ძეგლისა, რომელიც სრულიად გარკვევით თამარის ეპოქას ეკუთვნისო", აღტაცებით ამბობს მკვლევარი. „ამის შემდეგ საძიებელი იყო თვით ძეგლი". მკვლევარმა იცოდა, რომ ხობის სიძველეთა ნაწილი „ექსპონირებულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ძველი ქართული ხელოვნების გამოფენაზე". ამიტომაც ფოტოები მან აჩვენა თავის მეცნიერ მეგობარს, ხელოვნების მუზეუმის დირექტორს შალვა ამირანაშვილს, „რომელიც თავიდანვე იყო კურსში ჩვენი მუშაობისა რუსთველიანას ეპილოგის პრობლემებზეო". მკვლევარი დასთანხმებია შ. ამირანაშვილს, იმისგან შეუტყვია, რომ ხობის სიძველეთა მთავარი ნაწილი თბილისშია, ხელოვნების მუზეუმის გამოუფენელ ფონდებში, ნაწილი კი დასავლეთ საქართველოში.

სანუკვარი ძეგლი საბედნიეროდ აღმოჩენილა თბილისში, ხელოვნების მუზეუმის ფონდებში.

როგორც ხედავთ, პ. ინგოროყვას უზომო შრომა დაუხარჯავს, უზომო ჯაფა, თუმცა ამ შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. რუდუნებასთან ერთად მკვლევარს დიდი სიხარულიც უგემებია. მაგრამ რაოდენ ნაკლები ენერგიის დახარჯვა მოუხდებოდა მას, თავიდანვე რომ სწორი თადარიგი დაეჭირა, დროულად გაესინჯა გ. ჩუბინაშვილის იმ ხანად გამოქვეყნებული შესანიშნავი ალბომი, საიდანაც მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოიყურება გიორგი მთავარმოწამის ხატიც და მისი წარწერაც. ვთქვათ, პ. ინგორროყვას შემთხვევით გამორჩა ეს წყარო, სად იყო შალვა ამირანაშვილი? ნუთუ შ. ამირანაშვილმა არ იცოდა გ. ჩუბინაშვილის ალბომის არსებობა? არა გვგონია! ვფიქრობთ, „რუსთველიანას" ავტორს, ჩვენს პატივცემულ მკვლევარს, უყვარს მოვლენების ცოტა არ იყოს გაუცნაურება, საკი-

თხების თავისებურად გართულება და მოპოვებული შედეგების გაზვიადება[47].

დაგვრჩა განსახილავი ორი მთავარი საკითხი — ისტორიული შიფრი ვეფხისტყაოსნისა და შოთას მანიქეველობა.

პ. ინგოროყვას მოსაზრებით, ვეფხისტყაოსანი არის ისტორიული შიფრის შემცველი ნაწარმოები, ხოლო „ამოცნობა ვეფხისტყაოსნის ისტორიული შიფრისა — ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა პოემის სხვა საკითხთა შორის" (I, 201. დაყოფა აქაც და ქვემოთაც ყველგან, სპეციალური შენიშვნების გარეშე, ჩვენია. — ა. ბ.). მეტის თქმაც შეიძლება, რუსთველის პოემის ისტორიული შიფრის ამოცნობა „იძლევა თვით ვეფხისტყაოსნის გასაღებსო" (I, 200).

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის „დაკვირვებულ მკვლევართ არ დარჩენიათ შეუმჩნეველი" პოემისა და საქართველოს ისტორიული სინამდვილის ზოგიერთი მოვლენის მსგავსება, კერძოდ „არა ერთგზის ყოფილა აღნიშნული, რომ ნესტან-დარეჯანში პოეტს

---

[47] ჩვენ სრულიადაც არ ვიზიარებთ იმას, რომ გ. ჩუბინაშვილის აღბომი თუმცა დაიბეჭდა 1959 წელს, მაგრამ ფაქტობრივ გავრცელდა მომდევნო 1960 წელს, 1961 წელს კი ორტომეულზე რეცენზიაც გამოქვეყნდა საზღვარგარეთ (ვ. ბერიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, 1963, გვ. 51). „რუსთველიანას ეპილოგს" თარიღად უზის 1960—1963 წ. პ. ინგოროყვას ნაშრომის უმთავრესი ნაწილი ემყარება იმ მასალებს, რაც იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციამ ჩამოიტანა. ექსპედიცია 1960 წლის ნოემბერში დაბრუნდა და ანგარიში გამოაქვეყნა პრესაში (27. 11. 60). გ. ჩუბინაშვილის ორტომეული მაშინ ცნობილი იყო. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ნ. კონდაკოვის წიგნი პ. ინგოროყვას გადაუსინჯავს მოგვიანებით, როდესაც „რუსთველიანას ეპილოგში" აღძრულ საკითხებზე კვლევა-ძიება „მთლიანად დასრულებული" ჰქონია. იგი გვაუწყებს: „მეცნიერული კვლევა ყველა იმ საკითხზე, რომელთაც ვეხებით რუსთველიანას ეპილოგში, უკვე მთლიანად დასრულებული გვქონდა, და ჩვენ ვაწარმოებდით დაზუსტებას და შემოწმებას ძველი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის — საგაზიროს — პერსონალური შედგენილობისა; როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ამან მოითხოვა გადაგვესინჯა ძველი საქართველოს ისტორიის ყველა პირველწყარო, გამოუკლებლივ, რათა არ გამოგვრჩენოდა არც ერთი ცნობა, რაც მთლიანი სურათის აღსადგენად იყო საჭირო. ამ საგანზე მუშაობის დროს ჩვენ, სხვა წყაროთა შორის, მოგვიხდა დაგვემუშავებინა ნ. კონდაკოვის წიგნი" (I, 674).

თავისივე მოწმობის თანახმად, „მთლიანი სურათის აღსადგენად" პ. ინგოროყვას გადაუსინჯავს ყველა საჭირო წყარო „გამოუკლებლივ". მით უფრო საკვირველია, რომ მას გამორჩენია ისეთი საჭიროზე საჭირო წყარო, როგორიცაა გ. ჩუბინაშვილის ორტომეული.

განსახიერებული უნდა ყოვდესო თამარი" (I, 207). საგულისხმოა, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსული წარმოშობის თვალსაზრისის თანმიმდევრულად დამცველი ნ. მარიც კი თვლიდა, რომ ვეფხისტყაოსანში ივან-გადაკვრით, თუ მოკრაკებით (намеком) ასახული უნდა იყოსო მისი ავტორისათვის კარგად ნაცნობი ტიპები და მოვლენები, „до известной степени эта поэзия намеков чувствуется и теперь"[48].

პ. ინგოროყვას მიზნად დაუსახავს ვეფხისტყაოსნის ისტორიულ სინამდვილის ამოცნობა და ამ გზით პოემის რიგი ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის, მათ შორის სიუჟეტის საკითხის, საბოლოო გადაწყვეტა.

მკვლევარი ჯერ ფრთხილად და ზოგადად ამბობს, რომ ვეფხისტყაოსანში „შეინიშნება ისტორიული სინამდვილის გამონათება", (I, 200). რომ „პოემაში მოცემულია სინამდვილის ანარეკლი" (I. 201).

პ. ინგოროყვა სამართლიანად ფიქრობს, რომ ვეფხისტყაოსნის „მთავარი შინაარსი ეს არის ამბავი ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის მიჯნურობისა" (I, 202). გამჟვირვალე ისტორიული შიფრის მიხედვით „ნესტან დარეჯანი წარმოგვიდგენს პოეტურ ასპექტში თამარს, ხოლო ტარიელი თვით პოეტ შოთასო" (I, 204). „პოემის ამ იდეალურ გმირებზე, როგორც ირკვევა, გადატანილია ცალკეული ხაზები თამარისა და შოთას ბიოგრაფიიდანო", ამბობს მკვლევარი (I, 205).

განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება პ. ინგოროყვა როგორც „რუსთველიანაში", ისე „რუსთველიანას ეპილოგში" ტარიელისა და შოთას ისტორიათა იგივეობის საკითხზე. „ვეფხისტყაოსანში ტარიელის საგვარეულო ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას საგვარეულო ისტორია"-ო (I, 207). ვეფხისტყაოსანში „მოთხრობილი ისტორია ინდოეთის სამეფო გვარეულობის ორი შტოისა, რომელთაგან უფროსი შტოს წარმომადგენელი არის მეფეთ-მეფე ინდოეთისა, ხოლო იმავე სამეფო გვარეულობის მეორე, უმცროსი შტოის წარმომადგენელი არის მეფე ინდოეთის ერთი ნაწილისა, «მეშვიდე» სამეფოსი, — სავსებით იდენტურია საქართველოს სამეფო გვარეულობის ორი შტოის ისტორიასთან. აქ ჩვენ გვაქვს არა ზოგადი შეხვედრა ცალკეულ ხაზებში, არამედ სრული იდენტივობა ყველა დეტალებში" (I, 530). ეს „სრული იდენტივობა ყველა დეტა-

[48] Древнегрузинское одописец, ТР, IV, стр. 56.

ლებში“ მკვლევარს ხუთ პუნქტად აქვს ჩამოყალიბებული (I. 530—532):

1. ინდოეთიცა და საქართველოც შვიდი სამეფოა.

2. ინდოეთის მეშვიდე სამეფოს ფლობდა სარიდანი, რომელიც ფარსადანისავე გვარისა იყო. ასევე საქართველოშიც, ერთი ნაწილი ქვეყნისა „უკანასკნელი დამოუკიდებელი ქართული სამეფო ჰერეთის მხარისა“ («მეშვიდე სამეფო»), — არაა გაერთიანებული სრულიად საქართველოს სახელმწიფოსთან“. საქართველოს ორივე ნაწილში, როგორც გაერთიანებულში, ისე ჰერეთში, მეფობდა ბაგრატიონთა გვარეულობის ორი შტო.

3. ინდოეთის საბოლოო გაერთიანება, სარიდანის ნაწილის შეერთება ინდოეთთან, „ხდება ნებაყოფლობით“, „მშვიდობიანი გზით“. „ასეთივე სურათი გვაქვს მე-12 საუკუნის საქართველოში“.

4. თუმცა სარიდანის სამეფო შეუერთდა სრულიად ინდოეთის სახელმწიფოს, აღიარა ფარსადანის სიუზერენიტეტი, „იგი ი ს ე ვ რ ჩ ე ბ ა მ თ ა ვ ა რ ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ად თ ა ვ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი“. თუმცა სარიდანი აღარ არის ამის შემდეგ «კეისარი» (სუვერენი ხელმწიფე), სხვა მხრივ იგი არის «პატრონი» თავის ქვეყნისა, მხარის უზენაესი გამრიგე ხელისუფალის — ერისთავთ-ერისთავის უფლებებით“. „საკმაოდ ანალოგიურია ჰერეთის ბაგრატიონთა მდგომარეობა ჰერეთის სამეფოს შემოერთების შემდეგ“.

5. „გარდა იმისა, რომ «მეშვიდე სამეფოს» ყოფილი მეფე სარიდანი დატოვებული იქმნა მ თ ა ვ ა რ ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ად (ერისთავთ-ერისთავად) თ ა ვ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი იგი ამავე დროს დანიშნულ იქმნა აგრეთვე ვაზირად სრულიად ინდოეთის მეფეთა-მეფის კარზე: მას მიენიჭა ვაზირის „ამირბარის“ თანამდებობა“ (ხაზი ავტორისაა, — ა. ბ.).

ასეთივე სურათია ჰერეთის ბაგრატიონთა შორისაცო.

წარმოდგენილი დებულებანი ამოღებულია „რუსთველიანას ეპილოგიდან“ (I, 530—532). იგივეა თქმული ახალ „რუსთველიანაშიც“ (I, 205—207). ამ დებულებათა შემოწმების დროს ჩვენ აღარას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ჰიპოთეზურია ჰერეთის ერისთავთა ბაგრატიონობის საკითხი.

ხუთი დასახელებული პუნქტიდან მთავარია მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტები (მეხუთე პუნქტში სანახევროდ გამეორებულია მეოთხე პუნქტის დებულება). პირველი პუნქტის დებულება მარტივია და იგი არა ერთხელ ყოფილა შენიშნული დ. ჩუბინაშვილის დროიდან მოკიდებული დღემდე. მეორე პუნქტის დებულება აგრეთვე მარტივია და სწორია, თუ დავუშვებდით, რომ ჰერეთის ერის-

თავნიც სამეფო გვარეულობას ეკუთვნოდნენ. როგორც ვთქვით, ძირითადია მომდევნო პუნქტები. და სწორედ ეს ძირითადი პუნქტები იწვევს ცილობას.

როგორც პ. ინგოროყვაც ადასტურებს, ვეფხისტყაოსნის მიხედვით, ინდოეთის მეშვიდე ნაწილის მფლობელი სარიდანი ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით „შეეწყნარა“ ინდოეთის ექვსი ნაწილის მფლობელ ფარსადანს. ინდოეთის გაერთიანება სრული მშვიდობიანობის გზით მოხდა (სტროფები 311—314). რა პირობებში შეუერთდა ჰერეთი (აღმოსავლეთი ჰერეთი) საქართველოს სახელმწიფოს დავით აღმაშენებლის დროს, 1117 წელს, „ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ შენახულაო“, გვიამბობს პ. ინგოროყვა, „ისტორიკოსი არაფერს ამბობს ომების შესახებ და მხოლოდ გადმოგვცემს მოკლე ცნობას: «მეორესა წელსა დაიპყრნა გრიგოლის ძენი ასათ და შოთა, დაღიღო ციხე გიში»“ (I, 165).

მართალია, ისტორიკოსს გადმოუცია მოკლე ცნობა, მაგრამ სავსებით ნათელი სურათი დაუხატავს: დავით აღმაშენებელს დაუპყრია გრიგოლის ძენი და აუღია იმ მხარის დედაქალაქი. ცხადზე უცხადესია, რომ ქვეყნის დაპყრობა და დედაქალაქის დაკავება ნებაყოფლობით ვერ მოხდებოდა. თუ „ქართლის ცხოვრებით“ დავით აღმაშენებელმა „დაიპყრნა გრიგოლის ძენი“, ვეფხისტყაოსნით სარიდანი საკუთარი თაოსნობითა და სრული ნებაყოფლობით „შეეწყნარა“ ფარსადან მეფეს, თავისი სამფლობელო ინდოეთის დიდ სამეფოს შეუერთა. ინდოეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა გაერთიანება სულ სხვადასხვა გზითა და სხვადასხვა მეთოდებით მომხდარა. აქ საანალოგიო არა არის რა.

გადავიდეთ მეოთხე პუნქტის განხილვაზე. ვეფხისტყაოსნის მიხედვით, სარიდანი თუმცა ჰკარგავს სუვერენობას („კეისრობას“), მაგრამ „იგი ისევ რჩება მთავარ ხელისუფლად თავის ქვეყანაშიო“, ამბობს პ. ინგოროყვა. ეს დებულება განმეორებულია მეხუთე პუნქტშიც: „ყოფილი მეფე სარიდან დატოვებული იქმნა მთავარ ხელისუფლად თავის ქვეყანაში“. „რუსთველიანაშიც“ გარკვევით არის ნათქვამი — სარიდანი „მიიღებს, როგორც ვასალი, თავისი ყოფილი სამეფოს განმგებლობას“ (I, 205). „სავსებით ანალოგიურიაო“ ჰერეთის სურათიც (I, 205, 531).

ჩვენ კარგად არ ვიცით, როგორი სურათი იყო ჰერეთში, მაგრამ ინდოეთის სურათი პ. ინგოროყვას სისწორით არ აქვს დახატული. ვეფხისტყაოსანში არ არის ნათქვამი, თითქო სარიდანს საგანგებოდ დაუტოვეს თავისი ყოფილი ქვეყანა, თავისი ყოფილი სამეფო. პოემაში მოთხრობილია, რომ სარიდანის მოქ-

შედებით გახარებულმა ფარსადანმა დიდი პატივი მიაგო ახალ ქვეშევრდომს და იგი ღირსეულად დააჯილდოვა (316):

ერთი სამეფო, საკარგყმო, უბოძა ამირბარობა.
თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირ-სპასალარობა.
მეფე(დ) რა დაჯდა, არა სჭირს ხელისა მიუმცთარობა.
სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა [49].

როგორც დამოწმებული შაირიდან ჩანს, სარიდანს უბოძეს „ერთი სამეფო, საკარგყმო“, ერთი კარგი სამფლობელო მამული. ეს მამული უნდა ყოფილიყო საკარგავი, რადგანაც სარიდანის გარდაცვალების შემდეგ იგი წილად ერგო ტარიელს: „ასი ებოძა (ფარსადან მეფეს, — ა. ბ.) საჭურჭლე, ებრძანა ახდა შავისა, ბოძება მისეულისა (ე. ი. მამისეულისა, სარიდანისეულისა, — ა. ბ.) სრულისა საკარგავისა“ (336, 2—3). ამიტომ ვეფხისტყაოსნის ახალ კრიტიკულ გამოცემაში, რომელიც ა. შანიძემ და ჩვენ მოვამზადეთ, 316-ე სტროფის პირველი ტაეპი ასე გაიმართა საუკეთესო ხელნაწერთა ჩვენების თანახმად:

ერთი სამეფო საკარგად, უბოძა ამირბარობა.

ერთი სიტყვით, ინდოეთის მეშვიდე ნაწილზე უარისთქმის გამო, სარიდანს სამფლობელოდ მიეცა შესაფერისი ერთი რომელიც საკარგავი (თუ გინდ საკარგყმო) მამული და არა თავისი ყოფილი ქვეყანა.

ინდოეთისა და საქართველოს სინამდვილე ერთი მეორეს სრულიად არ ემთხვევა არც მეოთხე პუნქტის კვალობაზე. უნდა საგანგებოდ შევნიშნოთ, რომ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისტორიული სინამდვილის ის კონკრეტული სურათი, რომელიც პ. ინგოროყვამ დაგვიხატა, თორემ პატრონ-ყმური შეწყნარებისა და მამულის საკარგავად გაცემის ის სახეობა, რაც ვეფხისტყაოსანშია აწერილი, საქართველოს მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების უაღრესად დამახასიათებელი და ნიშანდობლივი მოვლენებია [50].

მეხუთე პუნქტის პირველ ნახევარში, როგორც ვთქვით, მეოთხე პუნქტის დებულებაა განმეორებული. ამ პუნქტის მეორე ნახევარი

[49] ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ტექსტი მოგვყავს 1957 წლის გამოცემის მიხედვით (ასევე აქვს ტექსტი დაბეჭდილი პ. ინგოროყვასაც თავის 1953 წლის გამოცემაში, რამდენადმე განსხვავებულია მხოლოდ პუნქტუაცია).

[50] ამის თაობაზე დაწვრილებით იხ. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1953, გვ. 118—123.

საქმის ვითარებას სისწორით ასახავს, რამდენადაც ეს ვეფხისტყაოსანს შეეხება. სარიდანმა გარდა საკარგავი მამულისა მიიღო აგრეთვე ამირბარობა, ხოლო ინდოეთში ამირბარს „აქვს ამირსპასალარობა“. ჰერეთის ბაგრატიონებმა თუმცა დაკარგეს სუვერენი მფლობელის უფლება, ამბობს პ. ინგოროყვა, მაგრამ მათთვის „საპატრონოდ“ დაუტოვებიათ მათივე ძველი სამფლობელო აღმოსავლეთი ჰერეთიო (I, 165). საისტორიო მიმოხილვაში მკვლევარი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ჰერეთის ბაგრატიონს თავისი მამულის საპატრონოდ დატოვებასთან ერთად ვაზირობაც უბოძეს (I, 165). არ ამბობს იმიტომ, რომ არც დავით აღმაშენებლის ისტორიაშია ამაზე რაიმე თქმული. კაცმა რომ თქვას, ეს არც შეიძლებოდა მომხდარიყო. დავითს დაუპყრია ჰერეთი. კიდევ კარგი თუ დაპყრობილი ქვეყნის მფლობელობა გამარჯვებულმა მეფემ არ ჩამოართვა მის ყოფილ მეპატრონეს. რა დაჯილდოებაზე და ვაზირად დაწინაურებაზე შეიძლება აქ ლაპარაკი? „რუსთველიანას ეპილოგში“, სადაც ვეფხისტყაოსნის ანალოგიაზეა საუბარი, პ. ინგოროყვა მხოლოდ ზოგადად მსჯელობს: „ასევე, აგრეთვე, ჰერეთის ბაგრატიონნი: გარდა იმისა, რომ ისინი არიან მთავარნი ხელისუფალნი (ერისთავთ-ერისთავნი) თავის ქვეყანაში, მათ უჭირავთ ვაზირის თანამდებობა სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფის კარზე (ხან ვაზირის მანდატურთ-უხუცესისა ანუ ამირბარისა; ხან ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესისა“). «რუსთველიანაში» ჩვენ დადგენილი გვქონდა, რომ შოთას პაპამ, ასათ II გრიგოლის ძე ჰერეთის ბაგრატიონმა, 1192—3 წელს, რუსთავის სამფლობელოსთან ერთად მიიღო აგრეთვე «სასთაული», დაინიშნა ვაზირად მეჭურჭლეთ-უხუცესად. ხოლო ამჟამად ირკვევა, რომ თვით შოთაც ვაზირი ყოფილა, მეჭურჭლეთ-უხუცესი“ (I, 531).

ყველაფერი, რაზედაც პ. ინგოროყვა მსჯელობს, შეეხება შემდეგდროინდელ ამბებს. გასარკვევია კი, რა ბედი ეწია ჰერეთის ერისთავ ასათს 1117 წელს, როდესაც მისი სამთავრო დაიპყრო და შეერთა დავით აღმაშენებელმა. ნუთუ მას ძველი მამულიც დაუტოვეს და ვაზირადაც დანიშნეს? მკვლევარი ამაზე დუმს. სხვა ადგილას პ. ინგოროყვას ჩამოთვლილი აქვს სავაზიროს პერსონალური შედგენილობა მე-12 საუკუნის დასაწყისიდან — მე-14 საუკუნის დასასრულამდე (გვ. 573 და შმდ.). აქ ერთგან დასახელებულია: ასათ I (გრიგოლ I-ის ძე) ჰერეთის ბაგრატიონი: უკანასკნელი მეფე აღმოსავლეთ-ჰერეთისა (1117 წლამდე); შემდეგ ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა. ვაზირი [მანდატურთ-უხუცესი] 1117/20—1145 წ. (I, 574). ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სიტყვა მანდატურთ-უხუცესი მკვლევარს კვადრატულ კავებში აქვს ჩასმული. მაშასადამე, ესაა

შკვლევარის თეორეტიკული ვარაუდი. ამიტომაცაა, რომ სათანადო ადგილას იგი კონკრეტულად არაფერს ამბობს, უკეთ, ვერაფერს ამბობს ჰერეთის მთავრის ვაზირობაზე. ტარიელმა კი ორი ვაზირის — ამირბარისა და ამირსპასალარის თანამდებობანი დაიკავა.

ამრიგად, არც მეხუთე პუნქტით ემთხვევა ერთმანეთს ინდოეთისა და საქართველოს ისტორიული სინამდვილე.

საკითხი გარკვეულია. განხილული ფაქტების მიხედვით არა თუ „სრული იდენტივობა“ არ დასტურდება „ყველა დეტალში“, არამედ ჩვენს წინაშე იშლება სულ სხვადასხვაგვარი სურათები.

სანამ ისტორიული შიფრის სხვა კონკრეტულ მაგალითებს შევეხებოდე, უნდა შევჩერდე ერთ კერძო საკითხზე. პავლე ინგოროყვას განმარტებული აქვს ვეფხისტყაოსნის ტერმინი ა მ ი რ ბ ა რ ი და თქვის, რომ ეს არის სპარსული امیر بار (სიტყვა-სიტყვით „სახლთუხუცესი“ო) სამეფო „სახლის“ („კარის“) ვაზირი. „ამ სავაზირო თანამდებობის აღსანიშნავად ძველ საქართველოში სამი ტერმინი არსებულა. ადრინდელ ხანაში უფრო გავრცელებული იყო ტერმინი «მანდატურთ-უხუცესი», მაგრამ ამის გვერდით მიღებული ყოფილა პარალელურად «ამირბარი» და «სახლთ-უხუცესი», უფრო გვიან ხანაში ტერმინმა «სახლთ-უხუცესი» შეცვალა ტერმინები «მანდატურთ-უხუცესი» და «ამირბარი»“ (I, 531). რამდენადაც ვიცით, ტერმინი ამირბარი ქართულ საისტორიო წყაროებში არ გვხვდება. განმარტება ამ ტერმინისა, როგორც امیر بار სახლთ-უხუცესი შესაძლებელია. ოღონდ პ. ინგოროყვას უნდა აღენიშნა, რომ ეს განმარტება ეკუთვნის ნიკო მარს. მარს უწერია: „В грузинском подлиннике в значении о б е р г о ф м е й с т е р а употреблено ამირბარი amir-bari (перс. امیر بار э м и р д в о р а) (ТР, XII, 1910, გვ. XI, შენ.4). ნ. მარის დასახელება მით უფრო იყო საჭირო, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტების თანახმად „ამირბაჰრ“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს „მთავარი ზღვისა“ (განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა. გ. იმედაშვილის გამოცემა, თბილისი, 1960, გვ. 45). სპარსულისმცოდნე თანამედროვე ლექსიკოგრაფ-რუსთველოლოგებიც იუსტინე აბულაძე და აკაკი შანიძე არსებითად ასევე განმარტავენ: ამირბარი امیر البحر — ზღვის უფროსი, ადმირალი, ფლოტის უფროსი (იუსტ. აბულაძე), ზღვათა ვაზირი, საზღვაო ძალთა მინისტრი (ა. შანიძე).

„ვეფხისტყაოსნის ისტორიზმი ამაზე არ სრულდება“, ამბობს პ. ინგოროყვა. „მთავარი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ თვით შოთას, როგორც ტარიელს, ტახტის მემკვიდრეობის უფლებები ჰქონდათო“ (I, 207) და მოთხრობილია ტარიელის ცნობილი თავგადასავალი. „საესებით ანალოგიურია ის ვითარება, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მე-12 საუკუნის საქართველოშიო“. (I, 208—209).

ვეფხისტყაოსნის მიხედვით, ფარსადანი ერთხანს უშვილო იყო, მეფემ გადაწყვიტა ტარიელი ეშვილა და, როგორც ტახტის მემკვიდრე, ისე აღეზარდა. ტარიელს რომ ხუთი წელი შეუსრულდა, ფარსადანს ეყოლა ქალი — ნესტან-დარეჯანი. ამან შეაცვლევინა მეფეს წინანდელი გადაწყვეტილება, ნესტანი შვიდი წლისა იყო და ტარიელი თორმეტისა, როდესაც ფარსადანმა იგი მამას დაუბრუნა.

აღნიშნულის საანალოგიოდ „რუსთველიანაში“ გადმოცემულია შემდეგი ამბავი (I, 209—210):

„შოთას ახალგაზრდობის წლების შესახებ ცნობები არ შენახულა, მაგრამ ზოგიერთ გარემოებათა გამო საფიქრებელია, რომ შოთას თავგადასავალი ბავშვობის წლებში იგივე უნდა ყოფილიყო, რაც ტარიელისა.

გიორგი III გამეფდა 1156 წელს. იგი ათეულ წელიწადზე მეტი უშვილო იყო. გიორგის, ბუნებრივია, უნდა ეფიქრა ტახტის მემკვიდრეზე. დემნა ბატონიშვილი, ძე მისი ძველი მეტოქის დავითისა, ცხადია, მიუღებელი იყო გიორგისათვის (ამ ორ ოჯახს შორის ძველი მტრობა იყო და უფრო გვიან დემნა დაიღუპა კიდეც გიორგის ხელიდან). და რაკი სამეფო გვარეულობის ძირითადი შტოს მამრობითი ხაზის წარმომადგენელი სხვა არავინ იყო, გიორგის მემკვიდრე უნდა აერჩია ბაგრატიონთა გვარის გვერდის შტოდან, — ჰერეთის ბაგრატიონთა გვარიდან.

და მართლაც, როგორც ეს ზევითაც გვქონდა გამორკვეული, მე-12 საუკუნის 60-იან წლებში იწყება ჰერეთის ბაგრატიონთა გვარის ამაღლება და გიორგი III მათ წყალობით უცქერის. 1163 წელს, იმ სამსახურისათვის, რომელიც გაუწიეს სახელმწიფოს ჰერეთის ბაგრატიონებმა, გიორგი III მათ სამფლობელოს ერთი-ორად გაადიდებს. ეს მოხდა 1163 წელს.

ამის ახლო ხანებში, 60-იანი წლების მეორე ნახევარში (როგორც ირკვევა 1166 წელს), დაიბადა შოთა. უშვილო და უმემკვიდრო გიორგიმ, საფიქრებელია, შოთა იშვილა და აღსაზრდელად აიყვანა იგი.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან, რომ ვეფხისტყაოსნის ცნობით ტარიელი უფროსი იყო ნესტანზე ხუთი წლით. შოთაც აგრეთვე დაახლოებით ხუთი წლითვე იყო უფროსი თამარზე.

1170/1 წელს, მანამდე უშვილო გიორგი III ეყოლა ქალი თამარი[51]. როდესაც თამარი წამოიზარდა, გიორგი III გადასწყვიტა თავისი ქალი გამოეცხადებია მემკვიდრედ და სამეფოდ აღეზარდა. შოთა ამის შემდეგ უნდა დაებრუნებიათ თავისი მშობლებისათვის.

და მართლაც, რომ 70-იან წლებში მომხდარა განხეთქილება გიორგი III და ჰერეთის ბაგრატიონთა სახლს შორის, ეს ცხადი ხდება მომდევნო პოლიტიკური ამბებიდან. ჰერეთის ბაგრატიონები 70-იანი წლებიდან ოპოზიციაში უდგებიან გიორგი III (თუმცა, როგორც ვნახეთ, ისინი სწორედ გიორგი III მიერ იყვნენ დაწინაურებულნი). და 1177 წელს, როდესაც მოეწყო აჯანყება გიორგი III წინააღმდეგ, ჰერეთის ბაგრატიონებს ჩვენ ვხედავთ გიორგი III მოწინააღმდეგე ბანაკში.

ჰერეთის ბაგრატიონებმა, როგორც ვნახეთ, აჯანყების დროს დიდი ბრძოლა გაუმართეს გიორგი III და აამხედრეს მის წინააღმდეგ არა მარტო ჰერეთი, არამედ მოკავშირე დაღისტანი და კავკასიის მთიელები. გიორგი III ბედი, ჰერეთის ბაგრატიონთა განდგომის გამო, სასწორზე იდო".

სისრულისა და ობიექტურობისათვის ჩვენ მთლიანად მოვიყვანეთ „რუსთველიანას" ტექსტი. ჩვენი აზრით, შეუძლებელია ისტორიული მოვლენებისა და ისტორიული ფაქტების ამგვარად გადმოცემა. მთავარი და ძირითადი აქ უბრალო ვარაუდებზეა დამყარებული: „საფიქრებელია, რომ შოთას თავგადასავალი ბავშვობის წლებში იგივე უნდა ყოფილიყო, რაც ტარიელისა"; „გიორგის მემკვიდრე უნდა აერჩია ბაგრატიონთა გვარის გვერდის შტოდან"; „გიორგიმ საფიქრებელია, შოთა იშვილა...". „შოთა ამის შემდეგ უნდა დაებრუნებიათ თავისი მშობლებისათვის" და სხვ. ასეთი გზით, რა თქმა უნდა, ადვილად შეიძლება ვეფხისტყაოსნის შინაარსისა და საქართველოს ისტორიული სინამდვილის დამსგავსება, მაგრამ მას არ ექნება მეცნიერული საფუძვლები და, მაშასადამე, საქმარისად არგუმენტირებული ჰიპოთეზის ძალა.

---

[51] რომ თამარ 1170/1 წლებში დაიბადა, ეს ირკვევა თამარის მატიანეებში დაცული სინქრონიული ცნობებიდან. 1184 წელს, როდესაც გამეფდა თამარი, იგი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი „ყრმა" ყოფილა (შენიშვნა ავტორისა. — ა. ბ.).

ჩვენ წინასწარ მოველით პ. ინგოროყვას იმ პასუხს, რომელიც მას თავისი ისტორიული ექსკურსის ბოლოს აქვს გამოთქმული: „როგორც ირკვევა, ვეფხისტყაოსანში გაირჩევა ისტორიული სინამდვილის ანარეკლი. ვიმეორებთ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ვეფხისტყაოსანში ჩვენ გვქონდეს ისტორიული ამბების უბრალო ქრონიკა. ვეფხისტყაოსანი... პირველ ყოვლისა არის, რასაკვირველია, Dichtung — პოეზია და მხოლოდ შემდეგ Wahrheit — სინამდვილე. ისტორიული სინამდვილე აქ პოეტურ ასპექტშია მოცემული, და ბევრ შემთხვევაში ძნელია აქ ზუსტად ხაზის გავლება, თუ სად თავდება Dichtung და სად იწყება Wahrheit“ (1,211).

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პ. ინგოროყვას, რომ ვეფხისტყაოსანში აღბეჭდილია „ისტორიული სინამდვილის ანარეკლი“, რომ „ისტორიული სინამდვილე აქ პოეტურ ასპექტშია მოცემული“, მაგრამ მკვლევარი ჩემულობს, რომ მან მოიპოვა გასაღები და ამოხსნა ვეფხისტყაოსნის ეს მიფარული შიფრი, რომ „პოემაში ტარიელის საგვარეულო ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას საგვარეულო ისტორია“, რომ მოპოვებული გასაღებით შესაძლებელი ხდება რიგი რთული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა. ასე, მკვლევარი ერთგან პირდაპირ აცხადებს: „პრობლემა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტისა, რომლის გამო ხანგრძლივი კამათი იყო გამართული რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, საბოლოოდ გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც აღდგენილ იქნა პოეტის ბიოგრაფია და ამასთან დაკავშირებით ამოშიფრულ იქნა ისტორიული ქარგა ვეფხისტყაოსნისა“ (I, 227).

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, ვერ დაემყარება იმ სათუო ვარაუდებს, რაც საფუძვლად უძევს ვეფხისტყაოსნის ისტორიული შიფრის ამოხსნის წარმოებულ ცდას.

ვეფხისტყაოსნის სხვა პერსონაჟებზე არ შევჩერდები, ორიოდე სიტყვა მხოლოდ ნესტან-დარეჯანის შესახებ. ნესტან-დარეჯანი რომ თამარის პოეტიზირებული სახეა, ეს საეჭვო არ არის. ოღონდ საეჭვოდ გვეჩვენება ის კონკრეტული პარალელი, რომელიც გაჰყავს „რუსთველიანას“ ავტორს, რადგანაც ფარსადან მეფეს „ვაჟიშვილი არა ჰყავს. იგი გადაწყვეტს ქალის გამეფებას, მაგრამ ამას მოჰყვება პოლიტიკური გართულება და თვით ნესტან-დარეჯანიც განსაცდელში ჩავარდება“. ანალოგიურია თამარის ისტორიაც. „რაკი (გიორგი) მეფეს ვაჟიშვი-

ლი არა ჰყავს, იგი გადაწყვეტს ქალის გამეფებას. მაგრამ ამას მოჰყვება პოლიტიკური გართულება და თვით თამარის პირადი ბედიც მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ეწყობა" (I, 207).

გარეგნულად ყველაფერი რიგზეა, პარალელიც თითქოს თვალსაჩინო. ნამდვილად კი საქმე ასე არ არის, ვეფხისტყაოსნის სიტუაცია სიზუსტით არ არის ასახული „რუსთველიანაში". მართალია, პოემის მიხედვით ტარიელი გვიამბობს (328, 2—3):

მეფე ქალსა ვით ხედვიდა მეფობისა ქმნისა მწთომსა,
მამასავე ხელთა მიმცეს

მაგრამ ამას სრულიადაც არ გამოუწვევია რაიმე უსიამოვნება და სამღურავი, მით უფრო პოლიტიკური გართულება. პოლიტიკური გართულება იმან გამოიწვია, რომ ფარსადან მეფემ განიზრახა ხვარაზმშაჰის შვილის ზედსიძედ მოყვანა, რომელიც უნდა გამხდარიყო ინდოეთის ფაქტობრივი მეფე. ფარსადანი ამბობდა (509):

აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ.
სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ.

ამიტომაც იყო, რომ ნესტანი ურჩევდა ტარიელს ჯერ გაუხმაურებლად მოეკლა ხვარაზმშაჰის ძე, ხოლო (544—545):

იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა,
ჰკადრე, თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჰამასა,
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა,
არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა ვითა ტრამასა.

ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული, ნუცა ნდომა,
ამით უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მოხდომა;
ქმნას მეფემან ყელ-მოტეხით შემოხვეწა, შემოკვდომა,
ხელთა მოგცეს თავი ჩემი, შეგვფეროდეს ერთგან სხდომა.

სწორედ ამის შედეგად, ნესტანთან შეთანხმებით, ნესტანის მითითების საფუძველზე გაუგზავნა ტარიელმა მეფე ფარსადანს თავისი მრისხანე, დიპლომატიურად გაფორმებული ეპისტოლე და ინდოეთის ტახტი მოითხოვა (563—566):

მე შევუთვალე: „მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა,
თვარა რად მიშლის სიკვდილსა ცეცხლი სირცხვილთა ალისა?
მაგრა, თვით იცით, ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართალისა.
ზე, თქვენმან მზემან, მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა!

იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია! —
ერთიღა მე ვარ მემკვიდრე, — ყველაი თქვენ მოგხდომია:
ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია;
სამართლით ტახტი უჩემოდ არავის მისახდომია.

ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ-მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიზის ერთაი ქალია,
ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია?
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია?

შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე!
ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცე ჩემგან კიდე:
ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოვფხვრიდე.
სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ. ვისცა ვინატრიდე!.

ახლა თუ ვეფხისტყაოსნის ამბავს გიორგი მესამის სამეფო კარის სათანადო ამბავს შევუდარებთ, სურათი სხვადასხვაგვარი გამოვა. მართალი რომ ითქვას, თამარის გამეფების ისტორია გარეგნულად მაინც გაცილებით უფრო ჰგავს თინათინის გამეფების ეპიზოდს, ვიდრე ნესტანის თავგადასავალს.

დასასრულ მხედველობაში მისაღებია ერთი დიდად მნიშვნელოვანი სპეციფიკური გარემოება. ტარიელს პირადად დამოუკიდებლად არ დაუსვამს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხი. იგი თავს ბედნიერად იგრძნობდა, ფარსადანს რომ სახელმწიფო ტახტზე მისი სათაყვანებელი ნესტანი დაესვა. ზემოთ დამოწმებული ეპისტოლე და ტახტის მოთხოვნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო დიპლომატიური ფანდი. ტარიელის პრეტენზიებს ტახტისა და მამულისათვის ნესტანის თანაგრძნობა და სიყვარული აპირობებდა.

თუ მე-12 საუკუნის 70-იან წლებში გიორგი მესამესა და ჰერეთის ბაგრატიონებს შორის მომხდარი განხეთქილება შოთას სამეფო კარიდან დათხოვას უკავშირდება, როგორც ამას პ. ინგოროყვა ვარაუდობს (I, 210), მაშინ პარალელის ხაზი კიდევ უფრო გამრუდდება, მაშინ მთლიანად უნდა გამოირიცხოს სიყვარულის მომენტი, რაც ვეფხისტყაოსნის დიდებული პოეტური შენობის საფუძველთა-საფუძველია (1177 წელს, დემნას აჯანყების დროს, პ. ინგოროყვას გამოანგარიშების თანახმად, შოთა დიდი-დიდი უნდა ყოფილიყო 11 წლის ბიჭი, თამარი კი 6/7 წლის გოგონა). თუმცა, როგორც ეტყობა, შოთასა და თამარის სიყვარულის თეორიას პ. ინგოროყვა ახლა აღარ იზიარებს. ახალ „რუსთველიანაში" თითქმის მთლიანად შევიდა პ. ინგოროყვას მონოგრაფიული ნარკვევის „შოთა რუსთველის" (თბილისი, 1938) ის თავები, სადაც საუბარია ვეფხისტყაოსნის ისტო-

რიული შიფრისა და ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების თაობაზე. ამ მონოგრაფიაში ჩვენ ვკითხულობთ: „მკითხველს. რასაკვირველია, მოეხსენება, რომ შოთას და თამარის მიჯნურობის შესახებ მოგვითხრობს არა მხოლოდ ძველი სალიტერატურო ტრადიცია, არამედ ამაზედ მოგვითხრობს თვით პოეტი შოთა რუსთველი ვეფხისტყაოსნის პროლოგში. მკითხველს, ცხადია, ახსოვს ვეფხისტყაოსნის პროლოგის სტროფები, რომლებიც მიძღვნილია თამარისადმი. კს სტროფები თამარზე სრულებით არ არის უბრალო ტრუბადურული შექება დედოფლისა, არამედ ნამდვილი სიყვარულის გამოძახილია, იგი შთაგონებულია უიმედო მიჯნურობის ტრაგიკული გრძნობით“ (გვ. 15). შემდეგ გაანალიზებულია პროლოგის შესაფერისი სტროფები და გამოტანილია დასკვნა: „ვეფხისტყაოსანი შთაგონებულია თამარის სიყვარულით და რომ ქვემორე, ე. ი. პოემაში განსახიერებულია ეს სიყვარული“ (გვ. 17). ახალ „რუსთველიანაში“ აღნიშნულის სანაცვლოდ ლაპარაკია მხოლოდ ამაღლებულ მიჯნურობაზე, რომლითაც „განათებულიაო ვეფხისტყაოსანი“ (I, 200). მკვლევარი უთუოდ სწორ გზაზეა დამდგარი, მაგრამ, ვშიშობთ, რომ ეს მით უფრო ვერ გაამაგრებს ვეფხისტყაოსნის ისტორიული შიფრის ამოხსნის საქმეს.

ჩვენი საბოლოო დასკვნა ამ მონაკვეთზე ასეთია: პ. ინგოროყვა გვთავაზობს ვეფხისტყაოსნის ისტორიული შიფრის ამოხსნის საინტერესოსა და ორიგინალურ ცდას. მაგრამ ეს ცდაც უმეტეს ნაწილად სათუო ვარაუდების ფარგლებში რჩება.

„რუსთველიანას“ სულსა და გულს შეადგენდა რუსთველის მანიქეველობის თეორია: „რუსთველიანას ეპილოგში“ მისი ავტორი წერს: „რუსთველი აღმოჩენილ იქმნა მას შემდეგ, რაც ამოვაშიფრეთ ცნობები, რომლებიც დაცულია ერთს ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში („ჟამთააღმწერელობა“), რამაც მოგვცა დასაყრდენი შოთა რუსთველის პიროვნების ამოსაცნობად“ (I, 528).

უწინარეს ყოვლისა ჟამთა-აღმწერელმა ამოაცნობინა პ. ინგოროყვას შოთას მანიქეველობა, თუმცა მკვლევარი ირწმუნება „თუნდა ჩვენამდე არ მოღწეულიყო ცნობა ჟამთა-აღმწერელისა შოთას მანიქეველობის შესახებ, თითონ ვეფხისტყაოსნის შესწავლას უნდა მიეყვანეთ იმავე დასკვნამდე“ (რუსთველიანა, 1926. გვ. 220). პ. ინგოროყვა საჯაროდ აცხადებდა — შოთას მანიქეველობის ამოცნობა „ახალ ფურცელს გვიშლის ქართული კულტურის ისტორიდან“ (იქვე, გვ. 241). „ჩვენი ეს აღმოჩენა, — რომ შოთა მანიქეიზმის მოძღვრებას იზიარებდა, — იძლევა ნამდვილს გასაღებს ვეფხისტყაოსნის პრობლემისა“, ამბობდა მკვლევარი და განაგრძობდა:

„შოთას მანიქეველობამ მოგვცა გასაღები არა მარტო ეეფხისტყაოსნის პრობლემისა, არამედ ამასთან დაკავშირებით აიხსნა ახალი ფურცელი ქართული ჰუმანიზმის ისტორიიდან“ [52]. და, მართლაც, პ. ინგოროყვას ადრინდელი კონცეფციის თანახმად, მანიქეველობა თითქო ფართოდ ყოფილა გავრცელებული მე-12 საუკუნის საქართველოში, განსაკუთრებით საკარო წრეებში, თურმე თამარის სამეფო კარზე მოღვაწეობდა პოეტი ბარამანი, რომელსაც — ვითარცა მანიქეველს — შერქმეული ჰქონია ზედწოდება მანი (ბარამან მანი). ერთხანს თვითონ თამარიც კი „თანაუგრძნობდა არა-ორთოდოქსალ ფილოსოფიურ მოძღვრებებს, და თუ პირდაპირი თანაგრძნობა არა, ყოველ შემთხვევაში შეწყნარებით უცქეროდა ქართულ ჰუმანიტარულ იდეურ მოძრაობას, რომელიც ამ დროს განახლებული მანიქეიზმის ნიშნის ქვეშ მიდიოდა“ (იქვე, გვ. 310). მანიქეიზმს განცხადებულად მიმხრობია გიორგი ლაშა. თამარის დროს საქართველოში არსებულა მანიქეური ორგანიზაცია, „მანიქეური ორდენი“ (იქვე, 305). „ამ ორდენის წევრები ყოფილან საქართველოს განათლებული წრეების წარმომადგენელნი, — როგორც მაგალითად ბარამან მანი, და თვით მეფეც გიორგი ლაშა“. ამ ორდენის სათავეში მდგარა „მანის ფერი“, ე. ი. „მანის რელიგიური ორდენის მეთაური“ პოეტი შოთა რუსთველი (იქვე, 238). შოთა რუსთველის შემოქმედებას მანიქეური მოძღვრების ძლიერი ზეგავლენის კვალი აღუბეჭდავსო.

მანიქეველობის კონცეფციას პ. ინგოროყვა ახლა აღარ იზიარებს, უკეთ, იზიარებს მხოლოდ ნაწილობრივ. „ეეფხისტყაოსნის გაღრმავებულმა შესწავლამ“ (I, 126, 130) ბევრი რამ გადააფიქრებინა ჩვენს მკვლევარს [53]. მაგრამ თუ ჩვენ მაინც ვეხებით ამ საკითხს, ვეხებით იმიტომ, რომ პ. ინგოროყვას სიტყვით, თითქო „ყამთა-აღმწერელი, როდესაც იგი აღნიშნავს შოთას «მანის ფერობას», ე. ი. მანის მოძღვრებისადმი გადახრას, ძირითადში არაა დაშორებული სინამდვილეს“ (I, 130). პ. ინგოროყვამ შეარბილა, შეასწორა მაგრამ ეს თეორია მას არ მოუხსნია. საინტერესოა, რომ ახალი „რუსთველიანათი“ დარჩა გამონაგონი პოეტი ბარამანიც, ოღონდ მას ჩამოსცილდა ზედწოდება მანი, ახლა იგი უბრალოდ ბარამანია (I, 74, 189). სხვათა შორის, ამ ბარამანის თაობაზე მკვლევარი სპეციალურ სქოლიოსაც გვპირდებოდა (რუს-

---

[52] ჟურნ. „მნათობი“, 1927, №—4, გვ. 221.

[53] არა გვგონია პ. ინგოროყვას მხედველობაში არ მიეღო მანიქეველობის თეორიის ერთსულოვანი კრიტიკა მთელი რიგი მკვლევრების მიერ.

თველიანა, 1926, გვ. 236, შენ. 1), თუმცა წიგნში საგანგებო თავი ჰქონდა გამოყოფილი — „პოეტი ბარამან მანი (მანიქეველი)“ [54]. ეს თავი ახალ „რუსთველიანაში“ აღარ შესულა, მას თან გადაჰყვა დაპირებული სქოლიოც.

მაინც რას ამბობს ჟამთა-აღმწერელი შოთას მანიქეველობის შესახებ?

ერთგან ჟამთა-აღმწერლის ტექსტში იკითხება:

„ერისთავი შოთაი, რომელსა მანისი ფერობისათვის კუპრობით უხმობდეს“ [55].

მეორეგან იმავე ძეგლში ნათქვამია:

„არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაცოთა მქონებელი შოთა კუპარი“ [56].

პირველ ტექსტში შოთას ზედწოდებად გვაქვს სიტყვა კუპრი. მეორე ტექსტში — კუპარი. მკვლევარი უპირატესობას აძლევს მეორეს, მაგრამ მხედველობაში არ არის მიღებული ის გარემოება, რომ ჟამთა-აღმწერელი შემდეგ კიდევ ორგზის იხსენიებს შოთას ზედწოდებით კუპრი [57]. ამასთან წინა შემთხვევაშიც „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული და მაჩაბლისეული ნუსხები კითხულობენ „კუპრი“. ამრიგად, ოთხი შემთხვევიდან სამ შემთხვევაში ჟამთა-აღმწერელი გარკვეულად გვაძლევს სიტყვას „კუპრი (და არა კუპარი), ერთ შემთხვევაშიც მარიამისეულ ხელნაწერის წაკითხვას ასწორებს სხვა ნუსხები. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხა საერთოდ ძლიერ დამახინჯებულ ტექსტს შეიცავს. თუ ყოველივე აღნიშნულს მივიღებთ მხედველობაში, უნდა დავასკვნათ, რომ ჟამთააღმწერელი შოთას ზედწოდებად ხმარობს სიტყვას „კუპრი“ (შოთა კუპრი). კუპრი თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით ჩვენ სხვაგანაც გვხვდება ჟამთააღმწერელის ტექსტში — „წყალი მსგავსი კუპრისა“ (ქ. ც., II, 278, 2). თითქოს სურათი ნათელია, შოთას სიშავის გამო შერქმული ჰქონია კუპრი (შავი). ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრება“ ამას სავსებით ადასტურებს. აქ იკითხება: „რომელსა სიშავისათვის კუპრობით უხმობდეს“.

---

[54] რუსთველიანა, 1926, გვ. 234—237.

[55] ქ. ც. მარიამისეული ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 600; ქ. ც., ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, II, გვ. 192.

[56] იქვე, 605; ქ. ც. II, 195.

[57] მარ. ვარ., 634, 2; 641, 12 (ქ. ცხ. II, 215, 3; 219, 16). ს. ყაუხჩიშვილი ორივეგან ბეჭდავს: კუპარი (კუპრი კი გადატანილი აქვს ვარიანტებში).

პ. ინგოროყვა დაჟინებით იცავს ფორმას კ უ პ ა რ ი და მას ასე განმარტავს: არაბ. كافر (მრავლ. რიცხვი) ნიშნავს: არა მართლმორწმუნე. სარწმუნოებიდან განდგომილი (I, 125).

ჯერ ერთი, რად დასჭირდა ისტორიკოსს შოთას უსჯულოების აღსანიშნავად არაბულ-სპარსული ტერმინის ხმარება და ისიც უადგილოდ მრავლობითს რ-ცხვში; მეორე, არაბულ-სპარსული კ ქართულში ჭანითვე გადმოდის ჩვეულებრივ და არა კანით (ქითაბი, ქარხანა, ქამარი და სხვ.), ფ კი ფარით და არა პარით (ფარმანი, ფირმანი, ფიქრი და სხვ.)[38]; მესამე, არაბულ-სპარსული ქ ა ფ ი რ. ქ ა ფ ი რ უ ნ ნიშნავს ურწმუნოს, უსჯულოს არამუსლიმანის მნიშვნელობით (აქედანაა მიღებული რუსული гяур) და, მეოთხე, მუსლიმანი „ურწმუნოს“ („ურჯულოს“) შესატყვისი ძველ-ქართული ტერმინია ქ ა ფ ა რ ი[39]. თამარის ისტორიაში გვაქვს ასეთი ტექსტი: „იხილა კაცმან სულტნისამან, მოვიდა სპა ურიცხვი ქაფარი“ (II, 1959, 969). ს. იორდანიშვილმა და ი. ლოლაშვილმა იმასაც მიაქციეს ყურადღება, რომ ქ ა ფ ა რ ს არამუსლიმანის მნიშვნელობით, ხმარობს ფარსადან გორგიჯანიძე („მე მუსურმანი მეგონაო, ის ისრეევე ქ ა ფ ა რ ი ყოფილა“). თუ ჟამთა-აღმწერელი მაინცადამაინც შოთას ქრისტიანობიდან განდგომილების აღსანიშნავად სიტყვა كافر-ს მოიხმობდა, მას მოიყვანდა ფორმით ქ ა ფ ა რ ი (შოთა ქაფარი) და არა კ უ პ ა რ ი (შოთა კუპარი).

საყურადღებოა, რომ დასახელებული მკვლევრების ნაშრომთა გამოქვეყნების შემდეგ პ. ინგოროყვამ საჭიროდ დაინახა აღენიშნა (წყაროზე მიუთითებლად): „ჟამთა-აღმწერელის ტექსტის ერთ-ერთ უძველეს დედანში (რომლის პირით უსარგებლნია მე-17 საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ფარსადან გორგიჯანიძეს) შოთას ეპითეტი კ უ პ ა რ ი წარმოდგენილი ყოფილა ასეთი ვარიანტული სახეობითაც: კ ა პ ა რ ი ← ქაფარი“ (I, 125, შენ. 3). მოყვანილ ტექსტს დართული აქვს: „იხ. დამატებითი შენიშვნები 16“. ჩვეულებრივ არც ეს „დამატებითი შენიშვნები“ იხილება პ. ინგოროყვას თხზულებათა პირველ ტომში.

ვგონებ, აშკარაა, რომ მონგოლებისდროინდელ მოღვაწე შოთა ერისთავს სიშაოის გამო შერქმეული ჰქონია ზედწოდება კუპარი.

---

[38] ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ჟამთა აღმწერლის ერთი ცნობის შესახებ (თუშ, III, 1936, გვ. 179—180).

[39] ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ძველი ქართველი მეხოტბენი, I, 1957, გვ. 124—126.

„მანისა[60] ფერობა“ — განმარტავს პ. ინგოროყვა — აღნიშნავს მანის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევრობას“ (I, 125).

ფ ე რ ი ს განმარტებას მთელი ისტორია აქვს. ადრე იგი პ. ინგოროყვას გაგებული ჰქონდა, როგორც სპარსული ,,ჲ, რაც ნიშნავსო „რელიგიურ ან ფილოსოფიური ორდენის მეთაურს“[61]. თავის მონოგრაფიაში „შოთა რუსთველი“ (თბილისი, 1938) პ. ინგოროყვა საგანგებოდ შეჩერდა ამ ტერმინის მნიშვნელობის გარკვევაზე (გვ. 32). ფერი ორგვარად შეიძლება გაგებულ იქნასო, ერთი სპარსულ ნიადაგზე, მაშინ მისი მნიშვნელობა იქნებოდა ფილოსოფიურ-რელიგიური „ორდენის მეთაური“, მაგრამ ფ ე რ ო ბ ა შესაძლოა აიხსნასო ქართული სიტყვისაგან ფ ე რ ო ბ ა, რაც საშუალ ქართულში ნიშნავდა: შეფერება, შეფარდებულობა, მიკერძება, მიმდევნობა. ამის შესაფერისად „მანისა ფერობისათვის“ ნიშნავსო „მანისადმი მიკერძებისათვის, მანის მიმდევრობისათვის“. „რომელი განმარტებაა სწორი, პირველი თუ მეორე, ამის გადაჭრით თქმა ძნელიაო“, ასკვნიდა (იქვე). ახალ „რუსთველიანაში“ განმეორებულია მონოგრაფიაში თქმული, ოღონდ ერთგვარი ცვლილება მაინც არის შეტანილი განმარტებაში — „მანისა ფერობისათვის“ ნიშნავსო „მანისადმი მიკერძებისათვის, მანის მოძღვრებისაკენ გადახრისათვის“. „თავდაპირველად ჩვენ ვფიქრობდით, — ამბობს პ. ინგოროყვა — რომ ტექსტი გაგებულ უნდა იქნას პირველი განმარტების თანახმად, მაგრამ შემდეგ, ვეფხისტყაოსნის გაღრმავებული შესწავლის შედეგად, ჩვენ საბოლოოდ იმ აზრს ვადგებით, რომ სწორია მეორე განმარტება“ (I, 126), ალბათ, მეორე განმარტების მეორე ვარიანტი. ფერის გაგებაში ასეთი მერყეობა იმის მაჩვენებელია, რომ მკვლევარი მყარ ნიადაგზე არ დგას. საეჭვოა, რომ ასეთ პირობებში მართებულად გადაიჭრას რუსთველის მსოფლმხედველობის ურთულესი საკითხი.

მთავარი მაინც ისაა, რა არის ვეფხისტყაოსანში მანიქეური?

მრავალგზის თქმულა და დაწერილა (და ზედმეტი იქნებოდა აქ მისი განმეორება), რომ რუსთველის რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლხედვა დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მანიქეური მოძღვრების საფუძვლებს. პ. ინგოროყვას შეუძლია თქვას, რომ ამჯერად იგი ლაპარაკობს „მანიქეიზმის ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ზ ე“[62] ვეფხისტყაო-

[60] უნდა შევნიშნოთ, რომ დედანში გვაქვს არა მ ა ნ ი ს ა, არამედ მ ა ნ ი ი ს (მანისი ფერობისათვის), იხ. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 192, ჭ.

[61] რუსთველიანა, 1926, გვ. 213.

[62] თუმცა ისიც კი აქვს ნათქვამი, რომ: „სათავე შოთას ფილოსოფიური კონცეპციისა არის მანიქეიზმი“ (I, 151).

სანში (I, 155). მაგრამ თვითონ მანიქეიზმი საკმარისად შეიცავს სხვადასხვა რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემების, მათ შორის ქრისტიანობის, ელემენტებს. საგულისხმოა, რომ პ. ინგოროყვას შეხედულებით, ვეფხისტყაოსანში იგრძნობა „ასტრალიზმის სული" (I, 153), სოლარიზმი (I, 150), შესაძლებელია „სუფიზმის გაწმტორების" გამოძახილი (I, 139); ვეფხისტყაოსანს დასტყობია ნეოპლატონიზმის ზემოქმედებაც, თუმცა „გავლენა ნეოპლატონიზმისა შოთას მსოფლმხედველობაზე არაა იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც ამას დღემდე ჰფიქრობდნენო" (I, 158—159); ვეფხისტყაოსანში ჩაქსოვილი ყოფილა პანთეისტური სოფლგაგება (I, 159—161). დასასრულ, პ. ინგოროყვას მოსაზრებით, რუსთველი აღიარებს „ქრისტიანიზმის ფილოსოფიურ-რელიგიურ არსს", მაგრამ საეკლესიო დოგმატებს უარყოფს. შოთა რუსთველი ქრისტიანობის არსს ღებულობს, ამბობს პ. ინგოროყვა „არეოპაგიტული ფილოსოფიის ასპექტშიო" (I, 155—157). მეტიც, შოთა რუსთველს „შესაძლებლად მიაჩნია(ო) შეათავსოს და შეათანხმოს ქრისტიანიზმის იდეები ფილოსოფიასთან, სხვა ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებათა იდეებთან" (I, 157).

პ. ინგოროყვას ნააზრევის მიხედვით მაინც შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ ბოლოსა და ბოლოს რა რელიგიურ-ფილოსოფიურ მრწამსს აღიარებდა ვეფხისტყაოსნის ავტორი.

მანიქეიზმის კონკრეტულ ნაკვალევად ვეფხისტყაოსანში პ. ინგოროყვა, მაგალითებრ, იმას თვლის, თითქოს პოემით მზეაო გაღმერთებული. როგორც ვიცით, მკვლევარი ამ შემთხვევაში ემყარება ერთი ხელნაწერი ნუსხის უნებლიე შეცდომას. 957-ე სტროფის პირველ ორ ტაეპს პ. ინგოროყვა ასე კითხულობს:

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების ეტლსა მ ზ ე ს ა:
აჰა, ღ მ ე რ თ ო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა-მძლესა.

„როგორც ვხედავთ, — ამბობს პ. ინგოროყვა — რუსთველი აქ მზეს, როგორც ღვთაების წმინდა ემანაციას (') პირდაპირ უწოდებს ღმერთს" (I, 154). სხვაგანაც შენიშნულია: „ისევე როგორც მზე არის სრულყოფილი ემანაცია ღვთაებისა", ამდენად იგი „არის ღმერთი" (I, 56). გაუგებარია, როგორ არის მზე ღვთის ემანაციაც (ემანაცია — გამოდენა, გამოსვლა, **истечение**) და თვითონ ღმერთიც[63]. მეორე: ვეფხისტყაოსნის კონცეფციით, მზე არის არა ღმერთი, არა-

[63] ვ. ნ ო ზ ა ძ ე, ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, 1963, გვ. 441.

მედ „ხატი ღმრთისა“ [64]. მესამე: არც ერთ „განვითარებულ რელიგიას, რომელიც ბუნების ძალთა გაღმერთებას გაშორდა, მზე ღმერთად აღარა ჰყავს“ [65]. რასაკვირველია, მზეს ღმერთად არც მანიქეიზმი აღიარებს [66].

ამრიგად, რუსთველის მანიქეველობის მთავარი არგუმენტი უნდა მოიხსნას.

„შოთას ფილოსოფიურ სამყაროდან“ პ. ინგოროყვა საგანგებოდ ჩერდება „შოთას ფილოსოფიურ კონცეპციაზე სამყაროს წყობის შესახებ“ (I, 159). მისი თვალსაზრისით „შოთას ფილოსოფიური კონცეფცია სამყაროს წყობისა — ეს არის თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ უ ლ ი პ ა ნ თ ე ი ზ მ ი (I, 159), ანდა „წმიდა სახის პანთეიზმი, ღვთაების ყოვლადობა ბუნებაში“ (I, 161). „ღმერთი, შოთას წარმოდგენით, — წერს პ. ინგოროყვა — არის საყოველთაო უკვდავი სული სამყაროსი. იგი არის თავკიდური კოსმიური წყობისა, — მ ი ზ ე თ ა-მ ი ზ ე ზ ი და «სახელვართა განმსაზღვრელი»“ (იქვე). ოღონდ საკითხავია, თუ ღმერთი კოსმიური წყობის „მიზეზთა-მიზეზია“ და „სახელვართა განმსაზღვრელი“, იგი ყოფილა ღმერთი შემოქმედი. რამდენად ეთანხმება ეს რუსთველის „თანმიმდევრულ პანთეიზმს“?

საგულისხმოა შემდეგი. შ. ნუცუბიძე სამართლიანად არის აღიარებული ავტორად იმ თეორიისა, რომელიც ვეფხისტყაოსანს განიხილავს, როგორც პანთეისტური მატერიალიზმის იდეებით თანმიმდევრულად გამსჭვალულ მხატვრულ ნაწარმოებს. მაგრამ თვითონ შ. ნუცუბიძემაც შენიშნა, რომ პოემაში ეს თანმიმდევრობა ზოგჯერ დარღვეულია, დარღვეულიაო იმდენად, რომ იგრძნობაო „разрыв в миропонимании Руставели“, აშკარა ხდებაო „внутренняя неувязка в идеологии поэмы“.[67] ამ მოვლენას შ. ნუცუბიძე იმით ხსნის, რომ ვეფხისტყაოსანი ორი ტექსტობრივი ფენისაგან შედგე-

---

[64] პ. ინგოროყვა ამბობს, რომ შოთა რუსთველი არ იზიარებდაო ისეთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო დოგმატს, როგორიც არის „ღვთაების სამი ჰიპოსტასობა“ (I, 155, 157, 159). საქრისტიანო თეოლოგიის დიდი მცოდნის კ. კეკელიძის განმარტებით, ვეფხისტყაოსნის „ერთარსება“ ღმერთი „implicite ჰგულისხმობს სამებას, ისე მას არავითარი აზრი არ აქვს“ (ეტიუდები, IX, 224).

[65] ვ. ნოზაძე, დასახ. შრ., გვ. 441.

[66] იქვე. იხ. აგრეთვე, ზ. ავალიშვილი, ვეფხისტყაოსნის საკითხები, პარიზი, 1931, გვ. 55.

[67] Творчество Руставели, თბილისი, 1958, გვ. 367—368.

ბაო. თუმცა ორივე ავტორისეულიაო, ისინი ითხზვებოდაო „в разное время и в разной морально-политической ситуации“[68]. მეორე ფენის ტექსტებს შ. ნუცუბიძე უწოდებს ავტორისეულ ჩანართებს ანუ ავტორისეულ ინტერპოლაციებს. სხვათა შორის, ავტორისეულ ინტერპოლაციად და პანთეიზმისათვის შეუთავსებლად თვლის შ. ნუცუბიძე ვეფხისტყაოსნის იმ ცნობილ სტროფს („ვა. სოფელო, რაშიგან ხარ“), რომელიც პ. ინგოროყვას რუსთველის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ქვაკუთხედად ეხატება. როგორც ჩანს, პანთეიზმის რაობის საკითხი ვეფხისტყაოსანში ჯერ კიდევ გასარკვევი ყოფილა.

პ. ინგოროყვას აწინდელი შეხედულებით, შოთა რუსთველი არც ისეთი საშიში მოაზროვნე ყოფილა, კლერიკალურ საზოგადოებას რომ მისი დევნა დაეწყო და სამშობლოდან გაეძევებინა. ამიტომაც ახლა ნაკლებად დამარწმუნებლად ჟღერს მკვლევრის სიტყვები: „პოეტის თავისუფალი-მოაზრეობა, საფიქრებელია, იყო მისი დ ე კ ნ ი ს ე რ თ ე რ თ ი მ თ ა ვ ა რ ი მ ი ზ ე ზ ი“ (I, 217). ახლებურად დაისვა კითხვა იმის შესახებაც, თუ სად დაიწერა ვეფხისტყაოსანი. უწინ პ. ინგოროყვა ფიქრობდა, ვეფხისტყაოსანი უცხოეთშია დაწერილიო, პოეტის დევნილებაში ყოფნის დროსო (რუსთველიანა, გვ. 302), თითქოს კონკრეტულად ბასრაში (იქვე, გვ. 312. შენ. 2). სწორედ მესოპოტამია, პირველ რიგში ქალაქი ბასრა იყოო „სამშობლო მანიქეიზმისა“ (იქვე, გვ. 316—317). ამას თითქოს ვეფხისტყაოსნის რეალიებიც ადასტურებდა (დასახელება ტიგროსისა და ევფრატისა. სამოქმედო ასპარეზზე მობაღდადელი ვაჭრების გამოყვანა, ვითომც არაბი პოეტის ეზრას დ ი ვ ა ნ ი ს დამოწმება, „ეზრას დივანის არსებობა შოთას თუ შეეძლო გაეცნო მხოლოდ არაბული კულტურის ისეთ მთავარ ცენტრებში, როგორიც იყო ბაღდადის ხალიფატის ქალაქები — ბაღდადი ან ბასრაო“, გვ. 317—318). ერთი სიტყვით, მანიქეველობისათვის დევნილი შოთა გაშურებულა მანიქეიზმის კერებისაკენ და იქ მიუღიაო „უმაღლესი ხარისხ. მანიქეიზმის ადეპტისა, და გამხდარა «ფერი», შეიხი, შეცნობილ. (посвященный)“ (იქვე, გვ. 316). ახლა ყველაფერი ეს მოიხსნა. მკვლევარს შერჩა მხოლოდ რუსთველის ორი ლირიკული წიაღსვლა („ამ საქმესა მემოწმების“, „ვა სოფელო“), მაგრამ იგი კვლავ ბეჯითად იცავს ჩვენი პოეტის უცხოეთში ყარიბობის თეზისს, თუმცა გეოგრაფიაზე აღარაფერს ამბობს, ხოლო პოემის დაწერის თაობაზე

[68] იქვე, გვ. 367.

შენიშნავს. „თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, დევნილებაში ყოფნის დროს არის დაწერილიო“ (I, 66, 213, 216). დასკვნა აშკარად დამჭლევდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, და უსაგნო გახდა. მკვლევარი ვერ ელევა შოთას უცხოეთში ყარიბობის თეზისს იმიტომ, რომ დაასაბუთოს შოთას ნაგვიანევი გავაზირება და ყოველივე ამასთან ერთად დაიჩემოს „საოცარი დადასტურება ერთი ჰიპოთეზისა“ (იგულისხმება შოთას დევნილებისა და უცხოეთში ყარიბობის ჰიპოთეზა, — ა. ბ.), რომელზედაც საუბარია რუსთველიანაშიო (I, 665).

რამდენადაც პ. ინგოროყვა კვლავ ემყარება ვეფხისტყაოსნის ზემოთ დასახელებულ ორ სტროფს („ამ საქმესა მემოწმების“, „ვა, სოფელო“), ჩვენც მათ გვერდს ვერ აუვლით.

პირველი დასახელებული სტროფის (177-ე სტროფის) პირველ ტაეპს პ. ინგოროყვა გვთავაზობს შემდეგი რედაქციით (1, 214):

ამ საქმესა მემოწმების მე დ ი ვ ა ნი ბრძენის ეზროს.

ყველა საუკეთესო ხელნაწერში და ვახტანგისეულ გამოცემაში ამის სანაცვლოდ გვაქვს:

ამ საქმესა მემოწმების დ ი ო ნ ო ს ი ბრძენი ეზროს.

სადავოდ ქცეული სიტყვის ვარიანტებია (ხელნაწერების მიხედვით): დეონოსი, დიონოსი, დივანოსე, დიონისი, დეონოსე, დივანოსი, დევანოსე, დევანოსი, დიონისე, დიონოსე, დევანოსაი, დიონოს[69].

დამოწმებული ტექსტებიდან ცხადად ჩანს, რომ ყველა ვარიანტისათვის ამოსავალია ერთიდაიგივე სიტყვა დიონოსი (ან დეონოსი). ამ მხრივ ხელნაწერებში სრული თანხმობაა. პ. ინგოროყვა კი ტექსტს რადიკალურად ასწორებს. შემოაქვს ტაეპში ახალი სიტყვა-ცნება დ ი ვ ა ნ ი, რომ მისთვის სასურველი და შორს გამიზნული შინაარსი მიიღოს. ტექსტის თვითნებური გადაკეთებით ყოველთვის შეიძლება საჭირო მასალის მოპოვება, მაგრამ რამდენად მყარი იქნება ასეთ „მასალაზე“ დაფუძნებული თუ გინდ ჰიპოთეზური დებულება?

„განსაკუთრებით საყურადღებოსა და გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს ჩ ვ ე ნ ე ბ ა ს იძლევა განთქმული სტროფი ვეფხისტყაოსნისა — «ვა, სოფელო», ამბობს პ. ინგოროყვა (I, 215). ამ სტროფით იწყება ვეფხისტყაოსნის ერთი კარი — „წასლვა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“. მოგვყავს ტექსტი (951):

---

[69] ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, I, 1960, გვ. 120.

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.

„ამ სტროფს არა აქვს არავითარი უშუალო გადაბმული კავშირი თვითონ მოთხრობასთან“, „აქ არავითარი ეჭვი აღარ არის, რომ ეს სტროფი ეხება თვითონ შოთას“ (I, 215). რასაკვირველია, ეს სტროფი ეხება თვითონ შოთას. იგია შოთას ლირიკული წიაღსვლა ანუ ლირიკული გადახვევა. მაგრამ იგი არ არის პოემაში გამონაკლისი. რიგ კარს ვეფხისტყაოსანში ამბის დაწყებამდე უძღვის ერთგვარი ლირიკული პრელუდია. მაგალითად, ტარიელის საძებნელად ავთანდილის პირველი წასვლის ამბავი იხსნება სწორედ იმ სტროფით, რომელიც ზემოთ გავარჩიეთ („ამ საქმესა მემოწმებია დიონისი“), ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობის ამბავს უძღვის (1213):

ვა, საწუთრო, სიცრუვით თავი სატანას ადარე!
შენი ვერავინ ვერა ცნას, შენი სიმუხთლე სად არე,
პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ქყავ, სად არე?

თავის ლირიკულ განწყობილებას რუსთველი გამოხატავს ამბების სიტუაციურ ვითარებასთან, გმირების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ამდენად ყველა დასახელებულ სტროფს პირდაპირი კავშირი აქვს ამბის მიმდინარეობასთან და ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერებაც დასტურდება. საერთოდ შენიშნულია[70], რომ რუსთველი თითქოს უშუალოდ მონაწილეობს თავისი გმირების ცხოვრებაში, თითქოს თან დაჰყვება მათ, მათი მწუხარების გამო სწუხს, მათი სიხარულით ხარობს[71]. „ვა, სოფელო“-ც თავის ბუნებრივ ადგილასაა და გამონაკლისს არ წარმოადგენს.

ჩვენ ამით ვამთავრებთ პაელე ინგოროყვას თხზულებათა კრებულის რუსთველოლოგიური ნაშრომების განხილვას. თხზულებათა ამ ტომს ხურავს პატარა, მაგრამ მშვენივრად დაწერილი, მგრძნობიარე

---

[70] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 81—83.

[71] შდრ. მაგალითად:
აწ ამბავი სხვა დავიწყო, ყმასა წავჰყვე წამავალსა (813, 1).
ოდი ჰაბუკნი შუქითა ვნახენ მზისაცა მეტითა (1409, 1).
ფატმან-ხათუნს მოსლვა მისი, შე-ვი თ-ვატ ყვ ე, არ ეწყინა (1076, 4).
მათ უღირს ყოვლად ქვეყანად, შ ე ვ ა ტ ყ ვ ე, არ გაჰყიდიან (1370, 4).

ლირიკული ბოლოსიტყვა. მოგვყავს ამ ბოლოსიტყვის ტექსტი (გვ. 857):

«ძვირფასო მკითხველო, თქვენ, და თქვენთან ერთად მეც, გვჭონდა ბედნიერება დაგვენახა ქართველი ერის დიდ მნათობთა შორის ნათელი სახე თვით შოთასი.

ამიერიდან შოთა — თავისი ბიოგრაფიით, ისევე ნაცნობი ხდება ჩვენთვის, როგორც ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა.

შოთა უდიადესი პოეტია. ხოლო ამავე დროს იგი იყო მამა ერისა. ქვეყნისათვის თავდადებული. შოთას სახე ჩვენ გვინათებს სამშობლოსათვის შეფიცულთა — კოხტისთავის გმირთა — ნათელი ხომლიდან. შარავანდედით შემოსილი".

მოყვანილი ტექსტი, ჩვენი აზრით, პოეზიის სფეროს განეკუთვნება. აბა, ვინ დაიჯერებს, რომ „ამიერიდან შოთა — თავისი ბიოგრაფიით, ისევე ნაცნობი ხდება ჩვენთვის, როგორც ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა?" ესაა ლამაზი ჰიპერბოლა, ხოლო ჰიპერბოლა სწორედ პოეზიას შვენის.

„რუსთველიანაში" და „რუსთველიანას ეპილოგში" სხვაც ბევრია ემოციური და პოეტური. ამას თავისი ფასი და მნიშვნელობა აქვს. პ. ინგოროყვამ შექმნა ჩვენში მეცნიერული კვლევა-ძიების თავისებური სტილი. ბევრ რამეში ეს სტილი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. არ გვაკმაყოფილებს იმიტომ, რომ პ. ინგოროყვას ნაშრომებში ჭარბად არის ჩაქსოვილი სუბიექტური, ლირიკული, ემოციური ელემენტი.

არასგზით არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პ. ინგოროყვამ კოლოსალური შრომა გასწია. ზოგი რამე ამ დიდი შრომიდან ჩვენ მიუღებლად გვეჩვენება, ზოგ რამეს სადავოდ ან საეგებიო ჰიპოთეზად ვთვლით. მაინც ეს შრომა უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა უკანასკნელი დროის რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში. ამ შრომაში წამოჭრილი საკითხები დიდხანს იქნება სპეციალური დაკვირვებისა და შემდგომი შესწავლის საგანი. პ. ინგოროყვას შრომა ყველაფერთან ერთად ბიძგს აძლევს ქართულ მეცნიერულ აზროვნებას, მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეს. ესაა ამ მონუმენტური შრომის დიდი ღირსება.

იანვარი-თებერვალი-მარტი,

1964 წელი

პირთა საძიებელი

(შეადგინა ბ. დარჩიამ)

ა

აბდ-ალ-მუტალიბი („ყისაი ჰამზა“) 70.

აბო ტფილელი 232—234.

აბულასან იობის ძე 393, 397.

აბულაძე ილ. 100, 110, 370, 393.

აბულაძე იუსტ. 8, 9, 13, 17, 53, 117, 388, 389, 421.

აბუტარი („ამირანდარეჯანიანი“) 70.

აგათანგელე დამასკელი 231.

Авалиани С. 271.

ავალიშვილი გ. 6.

ავალიშვილი ზ. 121, 160, 370, 433.

ავთანდილი, **Автандил** („ვეფხისტყაოსანი“) 23, 44, 48, 49, 52, 53, 174, 175, 181, 325, 335, 337, 342—344, 395, 436.

ათონელი ნ. გიორგი ათონელი, ექვთიმე.

აინი ქ. Айни К. С. 91, 92, 97, 99.

ალექსანდრე ბატონიშვილი 351, 362.

ალექსანდრე მაკედონელი 116, 361.

ალექსიშვილი დავით ნ. დავით რექტორი.

ამბრი არაბი („ამირანდარეჯანიანი“) 70, 75, 76, 78.

ამილახვარი 186.

Амилахоров 65.

ამირ არაბი („ყისაი ჰამზა“) 71, 75.

ამირა ბასრელი ნ. ბასრელი ამირა.

ამირა მუმლი („ამირანდარეჯანიანი“) 77.

ამირანი, **Амирани** (მითოლოგიური) 39, 78, 257, 289.

ამირანი, ამირან დარეჯანის ძე („ამირანდარეჯანიანი“) 76, 77, 159.

ამირანაშვილი შ., **Амиранашвили Ш. Я.** 45, 414.

ამირ-მირანი, სპარსეთის დიდი ათაბაგის ძე („ისტორიანი და აზმანი“...) 386.

ანა (რუსეთის იმპერატრიცა) 198.

ანა დედოფალი 293, 370, 371.

ანდრია (მოციქული) 365.

ანვარი სოჰაილი 160.

ანთიმოზ ივერიელი 242, 294.

ანუშირვანი („ყისაი ჰამზა“) 77, 79.

ანტე (ანტექრისტე) 340, 341.

ანტონ ალავერდელი 408.

ანტონ განჯისკარელი 283.

ანტონ I (კათალიკოსი) 308, 309, 312.

ანტონ სელევკიელი 242.

არდაზიანი ლ. 170.

არეოპაგელი დიონისე ნ. დიონისე არეოპაგელი.

Ареопагит Дионис ნ. დიონისე არეოპაგელი.

არიშიანი 396, 397.

არისტოტელე, **Аристотель** 64, 238, 298.

არისტოფანე 180.

არჯასპი („რუსუდანიანი“) 114.

არჩილი, **Арчил Багратиони** 16, 29, 30, 65—67, 89, 142, 144, 169, 171—180, 182, 184, 293, 348, 351, 354, 355, 361—363, 388.

ასათ გრიგოლის ძე (ბაგრატიონი) 391, 418.
ასათ II გრიგოლის ძე (ბაგრატიონი) 420.
ასმათი, Асмат („ეჭუბისტყაოსანი") 44, 52.
ასფალგი იულიუს, Assfalg J. 265
აღმაჰმადხანი 258.
აღმაშენებელი დავით ნ. დავით აღმაშენებელი.
აღსართანი (შირვანშაჰი) 386.
აშოტ კურაპალატი 61, 316.
ახვლედიანი გ. 275.
ახმატოვი მ. ნ. 218.
ახუნდოვი მ. 279, 284.

ბ

ბაგრატიონი, ბაგრატიონები 185, 392, 394, 395, 397, 398, 412, 417, 420, 422, 423, 426. ნ. კიდევ—არჩილი, ასათ გრიგოლის ძე, ასათ II გრიგოლის ძე, გრიგოლ ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი, იოანე ბატონიშვილი, შოთა ბაგრატიონი.
ბაგრატ III 394.
ბაგრატ IV 411.
ბაგრატ მუხრანბატონი 69, 72, 75.
ბადრი (სპარსელ-ტაჯიკი პოეტი) 343, 347.
ბაზიყა („იოსებზილიხანიანი") 362.
ბაიყარა ნ. ჰუსეინი (სულთანი).
ბალზაკი 170, 181.
Бальмонт К. Д. 43, 46.
ბარათაშვილი მამუკა, Бараташвили Мамука 66, 177, 178, 290, 305, 354.
ბარათაშვილი ნიკოლოზ 235, 437.
ბარათაშვილ-ორბელიშვილი ბესარიონ 312.
Барам („ბარამ-გულანდამიანი") 65.
ბარამი („რუსუდანიანი") 114.
ბარამანი, ბარამან მანი 128, 429.
ბარამიძე ალ. 4, 6, 13, 16, 21, 28. 32, 33, 70—76, 97—99, 131, 134, 160, 166, 168, 171, 206, 234, 263, 283, 303, 316, 353, 356, 357, 373, 375, 378, 388, 389, 404, 405, 419.
ბარზინი („რუსუდანიანი") 109, 110, 112, 114, 115.
ბარზუ („ბარზუ-ნამე") 108, 109.
ბარზუ („როსტომიანი") 112.
ბარონ დე-პოლნიცა 356, 357.
ბასილ ეზოსმოძღვარი 401.
ბასილ ზარზმელი 232.
ბასილ კეხარიელი, Василий Великий 65, 166.
ბასილ მაკედონელი 243.
ბასილ ხანძთელი 58.
ბასრელი ამირა („ლეილ-მაჯნუნიანი") 89, 90, 93, 98.
ბატონიშვილი ნ. დემნა ბატონიშვილი, ვახტანგ VI, თეიმურაზ ბაგრატიონი, იოვანე ბატონიშვილი.
ბაუმშტარკი ა. 220.
ბაქარი 200, 201, 205.
ბაქრაძე დ., Бакрадзе Д. 104, 209, 410, 413.
Белецкий А. 41, 46.
ბელიაშვილი ლადო 154.
ბელინსკი 278.
ბერთელსი ე., Бертельс Е. Э. 43, 45, 46, 66 — 67, 84, 86 — 87, 91, 345.
ბერიძე ვ. 388. 415.
ბესიკი 186. 204. 277, 282. 286, 283, 289. 293, 312, 351, 355, 363.
ბეჩარა 283.
ბლაიკი რ. 265.
ბოზორჯმიჰრი („ყისაი ჰამზაჲ") 76.
Болдырев А. Н. 45, 46.
ბოლხოვიტინოვი ევგენი 4, 119, 124.
ბოლქვაძე მალაქია 212.
ბორენა დედოფალი 393, 409, 411—413.
Боура М., Bowza M. H. 40, 41, 45, 46.

Брагинский И. 157.
Бросе მ. 6, 23, 32, 102, 210, 365, 367.
ბურდუბან დედოფალი 412, 413.
ბურჭულაძე ე. 389.
ბუტურლინა ბარბარე 172.

გ

გაბაშვილი ბესარიონ ნ. ბესიკი.
გაბაშვილი ზაქარია 282, 308, 309, 311, 312.
გაბაშვილი ტიმოთე 4, 305, 307—312, 403, 404.
გაბრიელ დაფანჩული 61.
გაიოზ რექტორი 351.
გამურინი გ. 217.
გამსახურდია კ. 119, 267.
გარაყანიძეები 189, 190.
გაფრინდაშვილი გ. 246.
გაფრინდაშვილი ვალერიან 208.
გაფრინდაშვილი ივანე 208.
გაწერელია აკ. 160, 166, 268, 271.
გერასიმე III 242.
გვახარია ალ. 83, 136, 160, 166, 252, 254, 344—347.
გიგინეიშვილი ივანე 100, 102—104, 107, 110, 114, 115, 117, 118, 259.
გიგინეიშვილი მანანა 318, 327, 335, 338.
გივი („რუსუდანიანი") 114.
გივიშვილი დ. 277, 282.
გიორგი ათონელი (მთაწმიდელი) 241, 259, 269, 270.
გიორგი-ლაშა ნ. ლაშა-გიორგი.
გიორგი მთავარმოწამე, Георгий Великомученик 409—414.
გიორგი III 422—424, 426.
გიორგი XI 23, 24.
გიორგი XII 292.
გიორგი რუსი 359.
გიორგი ქსნის-ერისთავი 293.
გიორგი ჩორჩანელი 233.
გიორგი ჭყარელი 393.
გლაგოლევი ა. 211, 212, 215.
გოგებაშვილი იაკობ 167, 209.
გოდერძიანი („ბარზუ-ნამე") 108.
Голенищев-Кутузов И. Н. 352.
Гольцев В. В. 46, 67.
გორგაძე ს. 10.
გორგიჯანის ძე ფარსადან 430.
Гордлевский В. А. 157.
გორელიშვილი თ. 95, 97.
Горький М. 138.
გოსტამი („საპყარან ამარამზა და ბაბა ამარი") 80.
გრიგოლ ბაგრატიონი (პ. ინგოროყვას მიხედვით, შოთა რუსთველის მამა) 386, 399—401.
გრიგოლ ბაკურიანის ძე 243.
გრიგოლ დიაკონი 260.
გრიგოლია კ. 260.
გრიშაშვილი იოსებ 125, 276—289.
გუარამ მამფალი 61.
Гуландан 65.
გულანდუხტ სპარსი 231.
გურამიშვილი დავით, Гурамишвили Давид 66, 67, 172, 177, 179, 180, 182, 186, 188—206, 225, 234, 252, 277, 294, 295, 349, 351, 354, 355.
Гургани 38, 40, 43, 66.
გუსენი რ. 220.

დ

[დადიანი]ნათელი 398.
დადიანი შალვა 270.
დადიანი შერგილ 398, 410.
დადიანი ცოტნე 393, 398, 412.
დავითი (დემნა ბატონიშვილის მამა) 422.
დავითი („ქილილა და დამანას" მთარგმნელი): დავითისეული 295.
დავით აღმაშენებელი 115, 248, 289, 394, 418, 420.
დავით სოსლანი 253, 381, 389, 404.
დავით რექტორი (ალექსიშვილი) 5, 6.

დავითაშვილი პავლე 124
დამასკელი ნ. აგათანგელე, იოვანე დამასკელი.
დანტე, Данте 40, 154, 180.
დარეჯანი („კაცია-ადამიანი?!") 174.
Дестерс Г. 38, 40, 41, 45.
დევანოსაი ნ. დიონოსი.
დევანოსე ნ. დიონოსი.
დევანოსი ნ. დიონოსი.
დემნა ბატონიშვილი 422, 426.
დეონოსე ნ. დიონოსი.
დეონოსი ნ. დიონოსი.
დეალი („ისქანდერ-ნამე") 253.
დივანოსი ნ. დიონოსი.
Диларгет 65.
დიმიტრი (აფხაზეთის მეფე) 60.
დინარა დედოფალი, царица Динара 65, 358.
დიონისე არეოპაგელი, ფსევდო დიონისე არეოპაგელი, Псевдо-Дионисий, Дионисий Ареопагит. 63, 65, 85, 242, 370.
დიონისი ნ. დიონოსი.
დიონოს ნ. დიონოსი.
დიონოსე ნ. დიონოსი.
დიონოსი („ეეფისტყაოსანი") დევანოსაი, დევანოსე, დევანოსი, დეონოსე, დეონოსი, დივანოსი, დიონისი, დიონოს, დიონოსე 435.
დმიტრიევსკი ა. 211—218.
დოსითეოსი (პატრიარქი) 20.

ე

ებრალიძე მ. 100.
ევნატაშვილი სიმონ, Игнатьев Семен 65, 349, 359.
ევაგრე ქართველი 242.
ევსტათი მცხეთელი 60.
ეფრასია (მოწამე) 259.
ეზოპე. Эзоп 119. 120,
ეზრა (ვ. ინგოროყვას მიხედვით, არაბი პოეტი) 434.
ენგელსი ფრ., Энгельс Ф. 41, 170, 180, 181, 352.
ერეკლე II. Ираклий II 66, 289, 360.
ერემიანი ს. 390.
ერისთავი გიორგი 170.
ერისთავი ელიზბარ 293.
ერისთავი ზურაბ 173, 177, 182, 194.
ერისთავი რაფიელ 167.
ესქილე 180.
ეფრემ მცირე, Ефрем Мцире (Малый) 64, 65, 231, 236, 240.
ექვთიმე ათონელი (მთაწმიდელი, ქართველი) Евфимий Афонский 64, 85, 240—242, 769.
Эшенбах Вольфрам 40.

ვ

ვარდანი, Вардан 121, 130, 136, 160.
ვარდანის ძე, ვარდანისძეები 395, 397.
ვაჟა-ფშაველა 221, 437.
ვახტანგ გორგასალი 289.
ვახტანგ VI, ბატონიშვილი, ლევანისძე Вахтанг VI 3 — 22, 24 — 37, 51, 118, 127, 128, 131—135, 137, 140, 193, 194, 196—202, 205, 251, 252, 261, 278, 289, 291, 305, 321—323, 335, 355, 359, 361, 366, 367, 372—380.
ვახუშტი 104, 105.
ვედასაზმანი („ჰიტოპადეში") 161.
ვირსალაძე ელ. 166.
ვისი („ვისრამიანი") 362.
ვოსტორგოვი 222.

ზ

ზაალი („ბარზუ-ნამე") 108.
ზაალი („როსტომიანი") 111, 115.
ზაალი („იოსებ-ზილიხანიანი") 347.
ზაბოლოცკი ნიკოლოზ. Заболоцкий Н. 47, 48, 51, 54.
ზავი („რესუდანიანი") 114.

ზაზა [ციციშვილი]: ზაზასეული 16, 17, 252, 295, 296.
Залеман К. Г. 45.
ზანდუკელი ნიკოლოზ 359, 363.
ზანდუკელი სილვა 359, 363.
ზარტიბის ძენი 400.
ზილიხა („იოსებ-ზილიხანიანი") 362.
ზიჩი 7.

თ

თათქარიძე ლუარსაბ („კაცია-ადამიანი?!") 174, 186.
თამარ მეფე, Тамар (царица) 35, 41—43, 60, 121, 233, 251, 253, 289, 305, 359, 381, 386, 389—391, 397, 401, 409, 410, 412—414, 416, 423—427.
თარხნიშვილი მ., Tarchnišvili M. 265, 266.
თარხნიშვილი სოლომონ 73, 79, 80.
თაყაიშვილი ეკ. 3, 7, 9, 73, 79, 102, 134, 277, 386, 410, 411, 414, 429.
თბილელი ნ. იოსებ თბილელი.
თეიმურაზ ბაგრატიონი (ბატონიშვილი) 5, 6, 23, 34, 210, 292, 393, 421.
თეიმურაზ I. Теймураз I 16, 20, 29, 30, 81—83, 86—99, 171—173, 175, 177—178, 182, 184, 239, 286, 287, 292, 346, 351, 354, 355, 358.
თეიმურაზ II 172.
თეოდოს განგელი 231.
თეოფილე ტარსელი 242.
თეპმინე („შაჰ-ნამე") 114. შდრ. თუმიანი.
თინათინი („ვეფხისტყაოსანი") 51—53, 174, 175, 395, 426.
თომა (ბიბლიური) 375, 376.
თორღას ძენი 400.
თუმანიანი ოვანეს 279, 284, 286.
თუმიანი („როსტომიანი") 114. შდრ. თეპმინე.
თუმიანი („რუსუდანიანი") 114.
თურმანიძე ხოსრო 108.

ი

იაკობ ცურტაველი 234.
იანოვსკი 222.
იბნ-ალ-მუყაფფა 162, 165.
იეთიმ გურჯი 283.
იესე (მეფე) 203, 205.
ივანე მინჩხი 58.
ივანე ქონქოზის ძე 58.
Изольда („Тристан и Изольда") 13.
ილარიონ ქართველი 245.
ომედაშვილი გაიოზ 5, 6, 122, 271, 421.
ინგოროყვა პ. 9, 10, 12—14, 26—30, 55—62, 234, 249, 318—342, 346, 368—403, 406—416, 418—422, 424, 426—428, 430—438.
ინდო ჭაბუკი („ამირანდარეჯანიანი") 70, 361.
იოანე ნათლისმცემელი 289, 361.
იოვანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) 124, 186, 187, 234, 282, 292, 313.
იოანე (იოვანე) დამასკელი, Иоанн Дамасскин 65, 231, 407—409.
იოვანე-ზოსიმე 242.
Иоанн Итал 64.
იოვანე მტბევარი 58.
იოანე (იოვანე) პეტრიწი (პეტრიწონელი) 85, 242, 370.
იოანე (იოვანე) საბანის-ძე 232, 243, 245.
იოანე ურპაელი 231.
იოანე ქართველი 246.
იოანე ქსიფილინოსი, Иоанн Ксифилин 64, 236—238.
Иоанн Шавтели 39.
იოანიკი 208.

იოდასაფი („სიბრძნე ბალავარისი") 126, 159.
იორდანიშვილი ს., Иорданишвили С. 121, 139, 167, 292, 315, 388, 430.
იოსები („იოსებზილიხანიანი") 362. ნ. იოსებ მშვენიერი.
იოსებ თბილელი (საკაძე) 16, 182—185, 293, 373, 376.
იოსებ მშვენიერი 346. ნ. იოსები.
იოსებ სკევოფილაქსი 231.
იოსელიანი პლ. 209, 306.
იშტვანოვიჩი მიხაილ (მიხაილ სტეფანესშვილი, უნგროელახელი) 19.

კ

კაენი („ვეფხისტყაოსანი") = ყაისი („ლეილ-მაჯნუნიანი") 253. შდრ. ყაისი.
კაკაბაძე სარგის 10, 13, 388.
კარაბინოვი 218.
კარბელაშვილი პ. 411.
კარიჭაშვილი დ. 7, 8, 12, 13, 378.
კახაძე მ. 85.
კეკელიძე კ., Кекелидзе К. С., Kekelidze K. 6, 10, 12, 13, 15—18, 24, 27, 29, 45, 57, 58, 64, 71, 72, 85, 90, 97, 102—104, 159, 160, 194, 207—239, 241—275, 298, 304, 307, 313, 315, 317, 321, 337, 346, 362, 371, 372, 375, 380, 381, 388, 389, 400, 405, 411, 433.
კეკელიძე სამსონ 207, 208.
კელენჯერიძე ელენე 73.
კვასხვაძე შ. 37.
კვიპრიანე 19.
კიკნაძე გ. 389.
კირიონი 358.
კიუნე თ. 414.
კლუჩარევი დ. 366.
კობიძე დ. 72, 74, 75, 89, 91, 94, 97, 113.
კონდაკოვი ნ. 410, 413, 415.
კონიბერი ფ. 220.
კონსტანტი კახი 245.
კონსტანტინე (მაჰმად-ყული-ხანი) 133, 193, 194, 197, 199, 200, 202, 204, 205.
კორბო ვირჯილიო 244.
კრაჩკოვსკი ე., Крачковский И. Ю. 84, 162.
Кретьен Де Труа 40.
Krumbacher K. 403.
Кузьмин И. П. 162.
კუკავა თ. 131, 132, 134—136, 138.
კურდანი-კვირიკე 58.
კურდღელაშვილი შ. 20.

ლ

ლანდაური („საპყარან ამარამზა ბაბა ამარი") 80.
ლატიშევი ვ., Латышев В. В. 64, 220, 237, 238.
ლაშა-გიორგი 370, 428.
ლევანი (ქართლის გამგებელი) 23, 24.
ლეილი, ლეილა („ლეილ-მაჯნუნიანი") 92—94, 362.
ლენგი დ. მ., Lang D. M. 69, 72—79, 119, 122—124, 126, 127, 129, 158, 167.
ლეონარდო და ვინჩი 160.
ლეონ მეფე 412.
ლეონი („სიბრძნე სიცრუისა") 126, 127, 135, 139—141, 146, 147, 155, 159.
ლეონიძე გიორგი, Леонидзе Г. 16, 138, 139, 156, 160, 166, 194, 195, 290—295, 405.
ლეონტი მროველი, Леонтий Мровели 246, 260, 251.
ლიხაჩოვი დ. 84.
Локман 119.
ლოლაშვილი ივ. 71, 79, 123, 430.
ლონდონი ჯ. 258.

ლუარსაბ მეფე 173.
ლუკა (მახარობელი) 351.
ლუნდბერგი ე. 122.
Луппол И. К. 41, 46.

მ

მავრიდი („რუსუდანიანი") 114.
მაია (ყულარაღასის ქალი) 293.
მაკარ ლეთელი 58.
მაკედონელი ნ. ალექსანდრე მაკედონელი, ბასილ მაკედონელი.
Маковельский А. 45, 67.
მამაცაშვილი მაია 97, 98.
მანუჩარი („რუსუდანიანი") 101, 102, 114.
Мариам („Хосров и Ширин") 42.
მარიამ დედოფალი 371, 386.
მარიამ მაგდალინელი (ბიბლ.) 289.
მარი ნიკო, Марр Н. Я. 41, 43—46, 57, 58, 69, 71, 72, 85, 102, 103, 106, 121, 130, 136, 209, 210, 213, 215, 217, 218, 220, 222, 226, 232, 263, 264, 303, 304, 313, 371, 416, 421.
Марр Ю. Н. 67.
მარქსი კ., **Маркс К. 170, 180, 352, 356.**
მარტვირი ქართველი 231.
მარუშიანი 398.
მარუშიანი ფალქოსისძე 398.
მაქსიმე აღმსარებელი 407, 408.
მაყაშვილი სიმონ (მაყაევი სვიმონ) 73, 79.
მაჩაბელი ივანე 7.
მახათაძე მ. 36, 95.
მახატლის ძენი 400, 401.
მაჯნუნი („ლეილ-მაჯნუნიანი") 92—94, 362.
მაჰმად-ყული-ხანი ნ. კონსტანტინე..
მეგრელიძე იოსებ 126, 159.
მელიქიშვილი პ. 275.
მელიქსეთ-ბეგი ლეონ 279.
მენაბდე ლ. 244, 274, 318, 411.
მერედიტ-ოუენსი გ. მ., Meredith-Owens G. M. 69, 72, 76—79.
მერინიგარი („ყისაი პამზა") 79.
მერჩულე, მერჩული 55—62.
მესროპ-მაშტოცი 274.
მეტრეველი ელენე 4, 6, 305—313, 403—407.
მეტრეველი ლევან 12, 17.
მეუნარგია იონა 7.
მზეჭაბუკი („ამირანდარეჯანიანი") 76.
მთაწმიდელი ნ. გიორგი ათონელი, ექვთიმე ათონელი.
მიმინოშვილი რ. 244.
მიტროფანე სმირნელი 231, 238.
მიქაელ საბაწმიდელი 62.
მიქაელ ფსელოსი 238.
მიქელ (მიქაელ) დეკანოზისშვილი 17—20, 22—26, 252.
მიქელ მოდრეკილი 58, 59.
მიშეცკი 366.
Molitor J. 266.
მოსე ხონელი 74, 77, 78.
მურიე უორჯ 168.

ნ

ნადირაძე გ. 297—304.
ნადირ-შაჰი, შაჰ-ნადირი 198, 199.
ნავაი ნ. ნაოი.
ნაოი (ნავაი), Навои Алишер 86, 87, 90—92, 255.
ნანუჩა 16.
ნასრედინი ხოჯა 16.
ნატროშვილი გ. 188, 193, 194, 205.
Немесий Емесский 64.
ნესტან-დარეჯანი, Нестан-Дареджан („ვეფხისტყაოსანი") 42, 44, 52, 172, 174, 175, 285, 301, 302, 323, 325, 328, 330, 343, 361, 391, 395, 416, 422—426, 436.
ნიზამი განჯელი, Низами (Незами) Гянджеви (Гянджеви) 38, 40, 42, 43, 45, 46, 66, 67, 85, 89—93, 116, 253, 255, 256, 286, 361.

ნიკიფორე იბარხი 246.
ნიკოლაძე ე. 372.
ნინო 245, 289.
ნოდარი („რუსუდანიანი") 114.
ნოზაძე ვ. 409, 432, 433.
ნუშაბე (ბარდავის ღედოფალი) 253.
ნუშრევანი („რუსუდანიანი") 114.
ნუცუბიძე შ., Нуцубилзе Ш. 40, 63, 85, 129, 130, 253, 317, 370, 405, 408, 433, 434.

ო

ოდოევსკი ა. 283.
ომარ ამიჰი („ყისაი ჰამზა") 75.
Онсори 38, 66.
ოპიზარი ბექა 410.
ოპიზარი ბეშქენ 410.
ორბელიანი გრ. 7, 191.
ორბელიანი ვახტანგ 289.
[ორბელიანი] ზოსიმე 134.
ორბელიანი მამუკა 293.
ორბელიანი მზეჭაბუკ 294.
ორბელიანი ხულხან-საბა, Орбелиани Сулхан-Саба 29, 67, 180, 117—160, 166, 167, 235, 249, 277, 282, 290, 291, 325, 351, 355.
ორბელიანები 399.
ორბელიშვილი ნიკოლოზ 19.
ორენტიოსი 231.
ოშანგი („რუსუდანიანი") 114.

პ

პეტერსი პ. 218, 220, 230, 264.
პეტრე მოციქული 365.
პეტრე იბერი (იბერიელი, ქართველი). **Петр Ивер** 63, 64, 85, 242, 370.
პეტრე I, Петр I 65, 133, 198, 359, 366, 367.
პეტრე ჩხატარაის ძე (ჩხატარაშვილი) 361, 362.
პეტროვი ნ. 211, 216.
პირმთვარისა („ბაში-აჩუკი") 258, 257.
პლატონი. Платон 64, 298.
პლოტკინი გრ., Плоткин Гр. 45.
Прокл Диадох 64.
Прометей 63.
Покровская В. Ф. 363.
პოლიევქტოვი მ., Полиевктов М. 366.
პოლოცკი სიმეონ 362.
პოტტო 258.
პუშკინი ალ. 279.

ჟ

ჟამთა-აღმწერელი 370, 371.
ჟორდანია თ. 20, 209, 218, 219, 227, 238.

რ

რამაზი („ვეფხისტყაოსანი") 329.
რამინი („ვისრამიანი") 156, 362.
როდამი („როსტომიანი") 114. შდრ. რუდაბე.
როდენი, როდამი („რუსუდანიანი") 101, 102, 114.
როსტევანი („ვეფხისტყაოსანი") 325.
როსტომი („ბარზუ-ნამე") 108, 109.
როსტომი („ვეფხისტყაოსანი") 115.
როსტომი („სპაჟარან ამირამზა და ბაბა ამარი") 80.
როსტომი („როსტომიანი") 113, 115, 303.
როსტომ მეფე 103, 104.
რუდაბე („შაჰ-ნამე") 114. შდრ. როდამი.

რუხთველი (რუსთაველი) შოთა, Руставели (Руставели) Шота, Rustaweli Schota 3—5, 7, 10, 11, 20, 21, 23, 28—33, 35, 36, 39—51, 53, 54, 67, 87, 144, 154, 171, 172, 174, 177, 181, 248—251, 253, 257, 277, 282—286, 292, 297—300, 308—312, 314—318, 326, 327, 330, 331, 333, 335, 337—340, 342, 344, 346, 353, 359, 364, 369—371, 374—378, 380—384, 386—393, 395, 398—401, 403—413, 415, 422—424, 426—437.
რუსუდანი (გიორგი III-ის და) 253.
რუსუდანი („რუსუდანიანი") 101, 102.
რუჯა („სიბრძნე სიცრუისა") 126, 127, 139, 145—147, 155.
რუჭნადინი 60.
რუხაძე ტრ. 78, 347—367.

ს

საადი შირაზელი 136.
საკაძე გიორგი 173, 177, 182—184, 293.
საკაძე იოსებ ნ. იოსებ თბილელი.
საბაშვილი [სოგრატ] 373.
საითნოვა 276, 277, 281, 282, 284, 286, 288, 292.
სალამან („ვეფხისტყაოსანი") 253.
სალომე (ბიბლ.) 289.
სარგის ვარამისძე 400.
სარიდანი („ვეფხისტყაოსანი") 343, 417, 419, 420.
სედრაქი („სიბრძნე სიცრუისა") 127, 139, 145, 146, 155.
სერაპიონ ზარზმელი 232—234, 245.
სერგიოსი 19.
Серебряков С. Б. 45.
სერვანტესი 180.
სეფედავლე („ამირანდარეჯანიანი") 76.
სვაბძავაკრიპანა („პანჩატანტრა") 160.
სვიმეონი (ბიბლ.) 313.
სვიმეონ ლოღოთეტი 235. ნ. **Симеон Метафраст.**
სვიმონ მეფე 108.
Симеон Метафраст 64, 236, 237. ნ. სვიმეონ ლოღოთეტი.
Сыркин А. Я. 161.
სიხარულიძე ქს. 255—257.
სკანდარნოვა გ. 277, 278, 282.
სოლომონ ბრძენი 116.
სოლოღაშვილი ბაგრატ 362.
სომაშარმან („პანჩატანტრა") 161.
სოსლანი დავით ნ. დავით სოსლანი.
სოფოკლე 299.
სპანდიატი („როსტომიანი") 115.
სპერანსკი, Сперанский М. Н. 363, 364.
სტეფანე სანანოელ-ძე ჭყონდიდელი ნ. ჭყონდიდელი.
სტეფანე უნგრო-ელახელი ნ. იშტვანოვიჩი.
სტეფანეშვილი მიხაილ ნ. იშტვანოვიჩი.
სტივენსონი რ. 69.
სულაკაძე ალ., Сулакадзе А. И. 363, 364.
სულხანიშვილი: სულხანიშვილისეული 80.
სუნდუკიანი გაბრიელ 284.
სურგულაძე ივ. 261.

ტ

ტარიელი, Тариэл („ვეფხისტყაოსანი") 5, 11, 33, 42, 44, 52, 159 172, 174, 175, 181, 285, 300—302, 323, 324, 327, 328, 330—333, 335, 336, 340, 341, 343, 361, 391, 395, 400, 416, 419, 421—426, 436.
ტატიშვილ ე. 271.

Татишвили В. 362.
ტბელი გრიგოლისძე (პ. ინგოროყვას ვარაუდით, შ. რუსთველის ძმა) 399—401, 409—413.
ტიმოთე ანტიოქიელი 230, 231.
ტინიანოვი იური, Тынянов Ю. 121, 167.
ტიშენდორფი: ტიშენდორფისეული 404.
ტლაშაძე იესე 193, 204.
ტოლსტოი ივანე 359.
ტოლსტოი ლევ 181.
ტომერანი („როსტომიანი") 114.
ტომერანი („რუსუდანიანი") 114.
ტოპმურას („შაჰ-ნამე") 114.
Тристан („Тристан и Изольда")· 43.
Труа б. Кретьен Де Труа.

უ

უორდროპი ოლივერ 121, 122.
უსენი („ვეფხისტყაოსანი") 324.
უშვერიძე თებრონე 207.

ფ

ფალავანდიშვილი ზაქარია 6.
ფანაი 136.
ფარემუზი („რუსუდანიანი") 114.
ფარსადანი („ვეფხისტყაოსანი") 172, 417—419, 422, 424—426.
ფატმანი („ვეფხისტყაოსანი") 334, 437.
ფარჰადი, Фархад („ხოსროვ-შირინიანი", „Хосров и Ширин") 42, 116.
ფეშანგი [ფაშვიბერტყაძე] 172, 203, 292.
ფინეზი („სიბრძნე სიცრუისა") 139, 140, 147, 159.
ფირანი („რუსუდანიანი") 114.
ფირდოუსი, Фирдоуси 38, 66, 89, 90, 107, 115, 286, 345, 361, 363.
Vogt H. 266.
ფრანგიშვილი ა., Прангишвили А. С. 141, 147, 155.
ფრიდონი („ვეფხისტყაოსანი"), Придон 44, 174, 175, 327, 329, 340, 341, 343.
ფრიდონი („რუსუდანიანი") 114.
ფსევდო დიონისე არეოპაგელი ნ. დიონისე არეოპაგელი.
ფურცელაძე დ. 209.

ქ

ქავთარაძე ივ. 260.
ქაიომარ („შაჰ-ნამე") 361.
ქაიხოსრო მეფე 24, 25.
ქართველი ნ. ექვთიმე ათონელი, მარტვირი ქართველი, პეტრე იბერი.
ქართველიშვილი გ. 7.
ქაშიფი 163, 165, 166.
ქეთევან დედოფალი 173, 289.
ქეთევან („რუსუდანიანი") 114.
ქიქოძე ბ. 81—84.
ქიქოძე გაბრიელ 209.
ქრისტე 313.
ქრისტინე 231.
ქუთათელაძე ლილი 118.

ღ

ღლონტი ალ. 166.
ღოღობერიძე ე., Гогоберидзе Е 122, 168.

უ

უაისი („ლეილ-მაჯნუნიანი") 253. შდრ. კაენი.
უაისარი („რუსუდანიანი") 104, 105.
უარამანი („რუსუდანიანი") 105, 114.
უარამანი („საპყარან ამარამზა და ბაბა ამარი") 80.
უაუხჩიშვილი ს. 371, 386, 406—408, 429, 431.
Кипиани Д. 221.
უვიცარიძე პოლიევქტო 208, 209.
უიფშიძე იოსებ 138, 281.
უუბანეიშვილი სოლომონ 4, 188, 192, 193, 204, 206.
უუთლუ არსლანი 393.

შ

შაიემანი („რუსუდანიანი") 114.
შალვა შერგილის შვილი ფალქოსის ძე 398.
შამირა („ხოსროვ-შირინიანი") 253.
შამჩი მელქო 277.
შანიძე აკ. 3—5, 12—15, 17, 25, 27, 28, 32, 33, 37, 53, 116, 117, 138, 235, 266, 267, 275, 322, 323, 377—379, 383, 388, 393, 406, 417, 421.
შარაშიძე ქრ. 3, 18—21, 24, 25, 33, 37, 362.
შარვანგი („მკაცრი მეფე") 291.
შაჰ-აბას I (შაჰ-აბაზი) 80, 173, 183, 184, 246, 365.
შაჰინ შაჰ სარანელი („ყისაი ჰამზა") 76.
შეიხ საად-ედ-დინ რაჰაი ხაფელი, (შეიხ საადი) 94, 97.
Шекер („Хосров и Ширин") 42.
შერმადინი („ვეფხისტყაოსანი") 285.
შერუქ მეფე („რუსუდანიანი") 104, 105.
შილერი 180.
შირვან-შაჰი 291.
შირინი, Ширин („ხოსროვ-შირინიანი", „Хосров и ширин") 42, 43, 46, 66, 116, 254
Шишмарев В. Ф. 40, 45.
შიხ შეიდი, შიხ ისლამი, შიხ სალიამინი, შიხ სადი (თეიმურაზ I, „ლეილ-მაჯნუნიანი") 94.
Шкловский Виктор 157.
შოთა 395, 396, 402.
შოთა (საორბელოს ბარელიეფისა) 399.
შოთა (ქვაბისხევის მარიამწმინდის საყდრისა) 395.
შოთა გრიგოლის ძე ბაგრატიონი 394, 399, 418.
შოთა III გრიგოლის ძე ბაგრატიონი 392—394, 399—401, 412—413, 418, 422—424, 426.
შოთა კუპარი (კუპარი) 429, 430.
შოთა მეჯურჭლეთუხუცესი 308, 382, 398, 402—408, 420.
შოთა რუსთველი ნ. რუსთველი შოთა.
შოთაძე 248.
Шор Р. О. 161.
შუშანიკი 289.

ჩ

ჩარკვიანი კ. 389.
ჩაჩიკაშვილი თომა 124.
ჩაჩიკაშვილი კორნილიე 124.
ჩაჩიკაშვილი ნიკოლოზ 123—125.
Чахрухадзе 39.
ჩიქობავა არნ. 154, 267, 272.

ჩიქოვანი მ. 75, 79, 166.
ჩიქოვანი ს. 188, 193, 194, 206.
ჩუბინაშვილი გ., Чубинашвили Г. Н. 45, 395, 410. 411, 415.
ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი) დავით 6, 7, 32, 102, 120, 417.
ჩუკოვსკი ნ., Чуковский Н. 54.
ჩოლოყაშვილი დავით ჯიმშერის-ძე 349.
ჩხაიძე ს. 318.

ც

ცაგარელი ალ., Цагарели Ал. 33, 120—122, 126, 129—131, 160, 167, 209, 215, 222, 226, 263, 264.
ცაგარელი ავქ. 279.
ცაგარელი გ. 315.
ცაიშვილი სარგის 15, 16, 18, 318, 341, 373, 379.
ცეცხლაძე გრ. 283.
ცინცაძე ამფილოქე 209.
ციციშვილი ნოდარ 234, 251, 254, 255, 282.
ცოტნე აფაქიძე 398.
ცოტნე ქველივაისძე 398.

წ

წერეთელი აკაკი, Церетели А. 7, 130, 155, 185, 221, 258, 259, 277, 279, 287, 303, 368, 437.
წერეთელი გიორგი, პროფესორი, 267, 268.
წერეთელი მ. 121, 168.

ჭ

ჭავჭავაძე ალ. 279, 283.
ჭავჭავაძე ილია, Чавчавадзе И. 7, 120, 121, 156, 170, 174, 175, 221, 259, 279, 283, 285, 302, 303, 364, 368, 369, 437.
ჭელიძე ა. 136.
ჭიაბერის ძენი 400.
ჭიჭინაძე კონსტ. 10, 248. 318, 320, 330, 331, 383, 388.
ჭონქაძე დ. 170.
ჭუმბურიძე ზ. 318.
ჭყონდიდელი სტეფანე ნ. სტეფანე სანანოას-ძე ჭყონდიდელი.
ჭყონია ილ. 127.

ხ

ხაკანი, Хакани 38, 45, 46, 66, 67, 85.
ხაყანი („ბარზუ-ნამე") 108.
ხანძთელი ბასილ ნ. ბასილ ხანძთელი.
ხანძთელი გრ. 56—62.
ხახანაშვილი ა. 102, 130, 263, 264, 411.
ხელაშვილი იოვანე 186.
ხერხეულიძე გრ. 195, 196.
ხვარაზმშაჰი, ხვარაზმშა („ვეფხისტყაოსანი") 50, 425, 426.
ხვარაზმშასძე 323, 330, 332.
ხიდაშელი შ. 313—316. 318.
ხონელი მოსე ნ. მოსე ხონელი.
ხოსრო („რუსუდანიანი") 109, 110, 114, 115.
ხოსრო, Хосров („ხოსროვ-შირინიანი", „Хосров и Ширин") 42, 254.
ხოსრო დიპლელი 92, 254.
ხუედიოსი („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება") 61.

ჯ

ჯავახიშვილი ივ., Джавахишвили И. А. 11, 15, 20, 21, 43, 57, 58, 66, 71, 74, 106, 179, 215, 223, 226, 275, 364.
ჯაკობია გ. 89—94, 345, 346.
ჯამი 90, 92, 93, 345—347.
ჯანაშვილი მოსე 232.
ჯანი („რუსუდანიანი") 114.
ჯიბლაძე გ. 267.
ჯიმშედი („რუსუდანიანი") 114.
ჯიმშედი („შაჰ-ნამე") 361.
ჯიქია ს. 108.
ჯაფარიძე რაჟდენ ქაიხოსროს-ძე 123.
ჯაფარიძე ონოფრე 123.
ჯაფარიძე ქაიხოსრო ონოფრეს-ძე 123.
ჯუმბერი („სიბრძნე სიცრუისა") 139, 141—143, 146, 147, 156, 159.

ჰ

ჰაზირა 277, 283.
ჰათეფი 97, 98.
ჰამზა („ყისაი ჰამზა") 70, 71, 73, 75—77, 79, 80.
ჰარკნესი 170.
ჰარნაკი, Harnack 210.
ჰენკო ა. 254.
Hertel J. 162.
ჰილალი, Хилоли Бадриддин 91—93, 97, 99.
ჰომეროსი, Гомер 64, 286, 299.
ჰონიგმანი, Хонигман Э. 63, 242, 370.
Huppert Hugo, Гупперт Г. 39, 46.
ჰუსეინი სულთან ბაიყარა Хусейн Султан 88, 90, 97—99.

ᲡᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი 3

О гуманистической литературе грузинской классической эпохи 38

ვეფხისტყაოსნის ზაბოლოცკისეული თარგმანის შესახებ 47

„გიორგი მერჩულეს“ გარშემო 55

Литературные связи древней Грузии 63

ამირანდარეჯანიანის გარშემო 69

თეიმურაზ პირველის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ 81

რუსუდანიანის გამოცემის გამო 103

სიბრძნე სიცრუის გარშემო 119

1. რა ეწოდება სულხან-საბა ორბელიანის ივავ-არაჯთა კრებულს და როგორ უნდა გავიგოთ მისი შინაარსი (119); 2. სიბრძნე სიცრუის თარიღისათვის (130); 3. სიბრძნე სიცრუისა (138).

რეალისტური ნაკადის შესახებ XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში 169

დავით გურამიშვილი დაღესტანში 183

დავითიანის პერსონაჟები: ვახტანგი და კონსტანტინე 197

ჩვენი მწერლობის დიდი მკვლევარი 207

იოსებ გრიშაშვილი და ძველი ქართული მწერლობა 276

გიორგი ლეონიძე როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი 290

კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული წერილები 297

1. გიორგი ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა (297). 2. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა (305); 3. შ. ხიდაშელი, ჰუმანიზმის ზოგიერთი საკითხი ფეოდალური ხანის ქართულ მწერლობასა და ვეფხისტყაოსანში (313); 4. ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა (318); 5. ალ. გვახარია, იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები (344); 6. ახალი ნაშრომი ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (347).

პავლე ინგოროყვას თხზულებათა კრებულის პირველი ტომის გამოქვეყნების გამო 368

Александр Георгиевич Барамидзе

ИССЛЕДОВАНИЯ ПО ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

том IV

(На грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ც. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
კორექტორი ლ. ჩ ხ ა ი ძ ე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VII; ქაღალდის ზომა 60×90;
ნაბეჭდი თაბახი 28.4; სააღრიცხვო-საგამომცემლო 24,91
თაბახი; უე 02745; ტირაჟი 2000; შეკვეთა 1732

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება". თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8.
თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 1.